

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXII

Linguistic
P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“
"KARTULI ENA" Publications
2006

81.2
800
ს 157

„საენათმეცნიერო ძიებანი“

XXII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers“ volume 20 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Ch. Kiria, R. Kurdadze, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze

მაკაბერიძე აბაიშვილი

მო- და შე- ზმნისწინების ვარიანტები ფშაურში

ზმნისწინების განხილვა ზოგადი თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია. როდესაც გამოყოფენ დიალექტების ორ ჯგუფს — აღმოსავლურსა და დასავლურს, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ტერიტორიული გავრცელება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური პრინციპი. ამ შემთხვევაში ენობრივი ურთიერთმიმართება წარმოადგენს უმთავრეს საზომს.

სწორედ ამ კრიტერიუმით ვმსჯელობთ ფშაურ დიალექტსა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ენაში გამოვლენილ ზმნისწინებზე; ამასთანავე ვითვალისწინებთ მათ შესახებ გამოქვეყნებულ შრომებს, აგრეთვე სხვა დიალექტების ანალოგიურ თავისებურებებს. იგრძნობა, რომ ზოგიერთ საკითხზე კიდევ უფრო გამოკვეთილი, დამარწმუნებელი არგუმენტაციაა საჭირო. თუმცა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყველა თავისებურება არაა გამოვლენილი და ახსნილი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ზმნისწინთა ხმოვნის შეცვლა, რომელთა გარკვეული ნაწილის ფონეტიკური პროცესებით ახსნა არ ხერხდება. ასეთებია **მო** და **შე** ზმნისწინთა ხმოვნები.

გ. ცოცანიძე [ცოცანიძე, 1978, 20-26] ფშაური დიალექტის სათანადო მასალაზე დაყრდნობით ანალიზს უკეთებს პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა მიმდევრობებს, საიდანაც მხოლოდ **ე-ე** და **ო-ე** მიმდევრობა წარმოადგენს დიალექტურს, რადგან იგი მიღებულია ასიმილაციური პროცესის შედეგად: უფრო ქვემოთ /იქვე, 55-58/ განხილულია ზმნისწინები, სადაც ვარიანტებად დასახელებულია **მო-** ზმნისწინისათვის **მა-** და **მე-**, **შე-** ზმნისწინისათვის — **შა**.

ზმნისწინთა ხმოვნის შეცვლას კახურ დიალექტში არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი ხსნიან გაერთფეროვნებისაკენ მიდრეკილებით.

ზმნისწინთა დიალექტური ვარიანტები მწერალთა თხზულებების ენაშიც სათანადოდ აისახა. ეს ეხება ახალი ქართული სალიტერატურ-

რო ენის ფუძემდებელს ილია ჭავჭავაძესაც. როგორც გ. შალამბერიძე მიუთითებს, ილიას თხზულებებში „ზმნისწინების გამოყენების მხრივ ისეთივე ვითარებაა, როგორც საერთოდ კახურ დიალექტში“ (მარტი-როსოვი, იმნაიშვილი, 1956, 89). კახური კილო კი ქართულ დიალექტებს შორის ზმნისწინის ხმოვნის შეცვლის მხრივ სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს.

საკითხი ეხება კონკრეტულად ზმნისწინის ხმოვნის შეცვლას ფშაურთან ერთად ქართული ენის აღმოსავლური ჯგუფის დიალექტებში. კერძოდ, ხსნის თუ არა პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა მიმდევრობები ანდა მათი გაერთეფროვნებისაკენ მიდრეკილება ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლას? გავითვალისწინოთ, რომ პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის მიმდევრობა ფონეტიკური პროცესების თანახმად მხოლოდ ორ კომპლექსს **აე→ეე** და **ოე→ეე**-ს ეხება, დანარჩენი მიმდევრობები სიახლეს არ შეიცავს, რადგან ლიტერატურულ ენაშია დამკვიდრებული.

1) ზმნისწინების განხილვა **შე**- პრევერბით უნდა დავიწყოთ. ცოცხალ სალაპარაკო ენაზე დაკვირვებაც და გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური მასალებიც ცხადყოფს, რომ **შე**- ზმნისწინმა თავისი პოზიციები დათმო და გაბატონებული მდგომარეობა **შა**- ვარიანტმა დაიკავა. არავითარი კანონზომიერება ამ მოვლენის ასახსნელად არ არსებობს. იგი დამახასიათებელია ძირითადად ქართული ენის აღმოსავლური ჯგუფის დიალექტებისათვის და მათ შორის ფშაურისთვისაც. სტატისტიკა შეიძლება მოსაბეზრებელი იყოს, მაგრამ მაინც უნდა მივმართოთ: 1984 წელს გამოქვეყნდა ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის ა.შანიძის თხზულებათა I ტომი, რომელშიც შესულია მთის კილოთა ტექსტები და სალექსიკონო მასალა. მას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმის გამო, რომ დიალექტოლოგიური მასალები ჩაწერილია 1911-1913 წლებში ავტორის მიერ და გამოცემაც უშუალოდ მას ეკუთვნის. ფშაურს წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. სხვა ენობრივ მოვლენებთან ერთად ზმნისწინების საკითხმაც დავგაინტერესა. აღმოჩნდა, რომ **შე**- მხოლოდ 17-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო **შა**- — 144-ჯერ.

ამგვარად დავამუშავეთ თ.რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ფშაური ხალხური ლექსების გარკვეული ნაწილი — 50 გვერდამდე. აქაც შედეგი ასეთია: **შე**- 4-ჯერ არის გამოყენებული, **შა**- 111-ჯერ.

როგორი იყო ვაჟა-ფშაველას პოზიცია ზმნისწინების გამოყენების მიმართ? პოეტს თავისი დამოკიდებულება მასზე არ გამოუთქვამს. მისი თხზულებების მიხედვით კი აშკარად ჩანს ის ევოლუცია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ განიცადა. 1884-1886 წლებში დაწერილ ლექსებში **შა** მხოლოდ **შვიდჯერ** აქვს გამოყენებული. 1880 წელს დაწერილ პოემაში „დაჩაგრული მესტივირე“ **შა- სამჯერ, შე- კი 45-ჯერ**. 1886 წლიდან ვაჟა-ფშაველას თხზულებებში უფრო გაბედულად იჭრება კილოური ენობრივი მოვლენები. მთავარ მიზეზად მიგვაჩნია შემდეგი: სალიტერატურო ენა არ იყო ნორმირებული, სალაპარაკო ენა, დიალექტები კვებავდა მწერლობას, ტრადიციული ენობრივი მოვლენების პარალელური ფორმები თუ ერთეულები იკავებდა ადგილს ლიტერატურულ ენაში. არ უნდა დავგავიწყდეს მწერალთა მიერ ლოკალიზებული კუთხეები თავისი ყოფითი რეალობით, ადამ-წესებით, რწმენა-წარმოდგენებით, ბუნებრივი მოვლენებით, რაც ეთნიკური თავისთავადობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. მხოლოდ თემატური მრავალფეროვნება ვერ უზრუნველყოფს მხატვრული ქმნილების ღირსებებს. მას თავისი სამოსელი სჭირდება, რაც ენობრივი შესატყვისობით, სინამდვილის მხატვრული შემეცნებით მიიღწევა.

2) დავუბრუნდეთ ზმნისწინებს, კერძოდ, **მო** ზმნისწინს, რომლის ვარიანტებად **მა**- და **მე**- არის მიჩნეული, **მე** ვარიანტის ახსნამიღება საძიებლს არ წარმოადგენს, რადგან მას ასიმილაციური პროცესი განსაზღვრავს: **მოება→მეება** [ვაჟა, II, 33]; **ამოვეგბნეს→გამევეგბნეს** [ვაჟა, II, 33]; **ჩამოეკიდა→ჩამეეკიდა** [შან., 76]; **ჩამოეკიდა→ჩამეეკიდა** [რაზიკ., 19].

მო- ზმნისწინის **მა**- ვარიანტს კი კონკრეტული, კანონზომიერი ახსნა არ დაეძებნება. იგი ნებისმიერ პოზიციაში იჩენს თავს. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **მო**- ზმნისწინი რთული ზმნისწინების შემადგენლობაში შედის და ამდენად ნებისმიერ ბგერასთან შეიძლება კონტაქტში აღმოჩნდეს, ხმოვნებთან მისი მიმართება მხოლოდ ერთ შემთხვევას წარმოადგენს. თუ რამდენად არის **მო**-ს პარალელურად **მა** წარმოდგენილი, მოვიტანთ საგულისხმო ცნობას: ა.შანიძის მიერ გამოქვეყნებულ დიალექტოლოგიურ ტექსტებში **მო**- 251-ჯერ გვხვდება, **მა**- — 152-ჯერ. თ.რაზიკაშვილის შეკრებილ ფშაურ ხალხურ ლექსებში — **მო**- 123-ჯერ, **მა**- 103-ჯერ, „ალუდა ქეთელაურში“ — **მო**- 47-ჯერ, **მა**- 30-ჯერ.

როდესაც ლიტერატურული ქართულის მიმართ ვაყვას თხზულებათა ენის ერთგვარ ევოლუციურ პროცესზე, შემდგომ დაახლოებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს 900-იანი წლების თხზულებებიც. 1901 წელს დაწერილ „გველის-მჭამელში“ **მო-** ზმნისწინი **942-ჯერ** არის გამოყენებული, ხოლო მისი ვარიანტი **მა** — მხოლოდ **9-ჯერ**.

აქვე კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ძირითადად მსჯელობაა ვაყვას პოეზიაში დადასტურებულ ფონეტიკურ-გრამატიკულ დიალექტიზმებზე. პროზის ენაზე აღარ ვსაუბრობთ, რადგან იგი საერთო აღიარებით მიჩნეულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად. აქვე უნდა მოვიტანოთ 1902 წელს გამოქვეყნებული მოთხრობიდან „შობის წინა ღამე ტყეში“ — **მო-მა- / —** ზმნისწინის რაოდენობრივი დასახელება: **მო- 30-ჯერ** არის გამოყენებული, ხოლო **მა- 4-ჯერ** უმთავრესად პერსონაჟთა მეტყველებაში.

ზემოთ ითქვა და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ **მო-** ზმნისწინის ხმოვნის შეცვლას კანონზომიერება არ გააჩნია. ზოგიერთ შემთხვევაზე კი შეიძლება მივანიშნოთ: როდესაც მარტივ ზმნურ ფუძეებს **მო-** ზმნისწინი ახლავს, მისი ხმოვნის შეცვლა ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება: ზმნური ფორმები მოგვაქვს იმ სახით, როგორც ტექსტშია: **მოდის, მოჩანს, მოსთქვამს, მოვიყვან, მოქუჩდა**. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, როდესაც რთული ზმნისწინები ერთგვარ ფუძეებს: **ჩამოდის, გამოდგება, ჩამოხეული, გამოცვივნილი, წამოვიდა, წამოწეული**.

მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არაგადამწყვეტი, ზმნა სუბიექტური წყობისა თუ ობიექტური. კერძოდ, ობიექტური წყობისას II პირში **მო-** ზმნისწინის ხმოვანი იშვიათად იცვლება: შენ რო სხვას მაჰკლავ, შენც **მოგკვლენ** მკვლელს არ შეარჩენს გვარია [ვაჟა, II, 33]; საკარგემო დამალეინეთ, **მოგიტანთ** ხელსა მტრისასა [ვაჟა, II, 37]; ვერ გიქნავ კარგად, მინდია, საქმე **მოგირთავ** ავადა [ვაჟა, II, 35]; ნუმც **მოგეშლება** დავლათი წმინდის გიორგის ძალითა [ვაჟა, II, 177]; **წამოვალ** ცირცლოვანზედა, **მოვივალ** წუბროვნისასა [შან., I, 77]; ზურაბო ერისთვის შეილო, შეიდსამც წელსა ხარ სნეული, გულსამც **მოგხვდების** ისარი, ფშავლების გამოსრეული [რაზიკ., 12].

განხილული მასალის საფუძველზე, წარმოვადგინეთ **მო-** და **შე-** ზმნისწინების ვარიანტები ფშავურში, მათი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები. სტატისტიკის მოშველიებით, შევეცადეთ გვეჩვენებინა

აღნიშნულ ზმნისწინთა ამა თუ იმ ვარიანტის მოხმარების დიაპაზონი და სიხშირე.

ლიტერატურა

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ. 1956;

ქეგელ, 1950 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950, ტ. I;

შალამბერიძე, 1966 — გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ. 1966, გვ. 116;

შანიძე, 1984 — ა. შანიძე, თხზულებანი, თბ., 1984, I ტ;

ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშავური დიალექტი, თბ. 1978.

EKATERINE ABAISHVILI

The Variants of the Preverbs *mo* and *še* in Pshav

Summary

In the Pshav dialects the preverbs **mo** and **še** have the variants with the vowel **a** — **ma**, **ša**. The statistic analysis has shown that the given variants are more commonly used especially at the end of the 19th c. and the beginning of the 20th c. The cause of the distribution remains inexplicable, and the phenomenon is not regular.

ლილა ავიძა

შელოცვები აფხაზურ ხალხურ მედიცინაში.

თანამედროვე ადამიანი იმდენად გაიტაცა ქიმიური სინთეზის გზით მიღებულმა პრეპარატებმა, რომ ამ ფონზე ხალხურმა მედიცინამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და აქტუალობა. მიუხედავად ამისა, ადამიანები დღესაც მიმართავენ დახმარებისათვის ბუნებას, რომელიც უხსოვარი დროიდან გვასაჩუქრებს თავისი უძვირფასესი განძეულობით.

ჩვენი წინაპრების მრავალფეროვანმა გამოცდილებამ არაერთხელ დაამტკიცა ბუნებრივი (ხალხური) სამკურნალო საშუალებების ეფექტურობა. მკურნალობასთან დაკავშირებული ხალხური ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა ყოველთვის აინტერესებდა არა მარტო მკურნალებს, არამედ ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებს.

ხალხურ მედიცინაში გამოყენებული საშუალებები თავისებური და ორიგინალურია. მედიცინის დარგში პროგრესისა და მიღწევების მიუხედავად, ამჟამად მკურნალობის ხალხურ მეთოდებს სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანები იყენებენ. ისინი ხალხურ მედიცინას უფრო ენდობიან და ხშირად მეტ სასარგებლოს პოულობენ მასში, ვიდრე თანამედროვე მედიცინაში.

ხალხური მედიცინა სამკურნალო პრეპარატებთან ერთად მთლიანობაში მოიცავს ხალხურ ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა კავკასიის ხალხთა მედიცინაში, რომელიც აერთიანებს ორ დამოუკიდებელ სამკურნალო საშუალებას: ფსიქიკურს და მატერიალურს.

კავკასიურ, კერძოდ, აფხაზური ხალხური მედიცინის ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო მრავალი ფაქტორი, რომელთაგან უმთავრესია რელიგიური რწმენები, კერძოდ კი, ის, რომ ნებისმიერი დაავადება, უპირატესად ეპიდემიური, ზებუნებრივი ძალებით არის გამოწვეული; აქედან გამომდინარე, მათი მკურნალობა მედიკამენტების გამოყენებით არ შეიძლებოდა. დაავადების გამოვლენის შემთხვევაში აუცილებ-

ბელი იყო შესაწირის გაღება იმ ძალებისადმი, რომლებმაც ეს დაავადება გამოიწვიეს.

მაგიური ხასიათის შეხედულებებს და მათზე დაფუძნებულ რიტუალებს დღესაც ხშირად იყენებენ აფხაზები თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში. განსაკუთრებით ხშირად მაგიური წეს-ჩვეულება გამოიყენება ავადმყოფის განკურნების დროს. მაგიურ წეს-ჩვეულებებით ადამიანი ცდილობს გავლენა მოახდინოს ბუნების ძალებზე, თავიდან აიცილოს ღმერთების რისხვა, მიიღოს კარგი მოსავალი, თავი დააღწიოს ავადმყოფობასა და ავის მოსურნეებს. აფხაზები შელოცვებითა და სიმღერებით მოუწოდებენ ბუნების ძალებს სასურველი შედეგის მისაღწევად (ტაბალუა, 2001, 132)

„აფხაზთა ღრმა რწმენით, — წერს ნ. ჯანაშია, — ყოველი ზევიდან გამოგზავნილი დაავადება არის ღმერთებისა და სულების სასჯელი ადამიანის ურჩობისა და უმეცრების გამო. აფხაზები ერთმანეთს შეხვედრისას ასე ესალმებიან: „როგორ არის შენი ჯანმრთელობა?“ რაზეც აფხაზი უპასუხებს „**xar sNmam**“ — მე უდანაშაულო ვარ, მე არა ვარ ცოდვით დამძიმებული, ანუ მე ჯანმრთელი ვარ“ (ჯანაშია, 1917, 174)

ავად გახდომა ნიშნავს დანაშაულს ღმერთის ან გარდაცვლილი წინაპრების სულების წინაშე, რომელთაც აფხაზები უსიტყვოდ ემორჩილებიან სიკვდილისა და ავადმყოფობის შიშით.

როგორც იუწყებიან ძველი ბერძენი მწერლები — სტრაბონი, არიანე, პროკოპი და გვიანდელი მისიონერები **Lamberti, Zampi, Chardin**, კავკასიაში დაავადებების გამომგზავნ ღვთაებების სიცოცხლის გადასარჩენად მსხვერპლს სწირავდნენ (პანტიუხოვი, 1899)

თავიანთ ცოდვებსა და დანაშაულებს აფხაზები გამოისყიდნენ ახდენდნენ „გამოსასყიდი მსხვერპლმწიფრებით“. როგორც წესი, ავადმყოფის ნათესავები მიმართავდნენ მკითხავს (**afSPLN**) და ნათელმხილველს (**axAlaLM**). ისინი გაარკვევდნენ, თუ ვის წინაშე შესცოდა ავადმყოფმა ან მისმა ნათესაობამ და როგორ უნდა გამოესყიდათ თავიანთი დანაშაული. მკითხავები იყენებდნენ ლობიოს მარცვლებს, ნათელმხილველები ზემოქმედებდნენ ავადმყოფზე ან მის ნივთზე (**ayGNx**). (ჩურსინი, 1957) მკითხავთა ზოგადი სახელი **awaaLN** „ვინც კითხულობს, ეკითხება“ წარმოიქმნა სიტყვა **awAara** „შეკითხვა“—დან. სხვადასხვა წყაროში აღნიშნულია, რომ კავკასიაში განრისხებული ღმერთების გულის მოსაგებად მიღებული იყო მსხვერ-

პლმეწირვა. ამ დროს მღვდელმსახურის ან მოგვის მთავარი მოვალეობა იყო გაეგო, თუ რომელი წმინდანი იყო განრისხებული ავადმყოფზე. აფხაზებში, ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, ზოგჯერ აკრძალული იყო რაიმე წამლის მიღება, რადგანაც ეს ართულებდა დაავადების მიმდინარეობას. ამიტომ უფრო ხშირად ავადმყოფის განსაკურნებლად, ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად (ადამიანის ან შინაური ცხოველის სიკვდილი) იყენებდნენ სხვადასხვა შელოცვას **aTGhGA** და ლოცვებს მაგიური ქმედების თანხლებით.

აფხაზებში მრავალ დაავადებას ჰყავდა თავისი მბრძანებელი, ავი სული. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის დაავადების ავი სული — **anAfra**, გამონაყარის — **aSGMrAR** (ნ. ჯანაშია მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი სამი ფუძისაგან შედგება: **aSGrA** — (მუწუკი ლ.ა.), **a-TrA** — ბუდე, **AR^a** — თესლი). (ჯანაშია, 1917)

ღვთაების გულის მოგებას მხოლოდ მსხვერპლშეწირვით ახდენდნენ. აქედან გამომდინარე, ავადმყოფის მკურნალობასთან დაკავშირებული, აფხაზთა ყველა ადათ-ჩვეულების ძირითად კომპონენტი მსხვერპლშეწირვა იყო (კრავით, ხბოთი, მამლით).

აფხაზეთში ავადმყოფობის ყველაზე ძლიერ მბრძანებლად მიიჩნევდნენ **axⁿN zMshAn** „ოქროს ზოსჰანი“ და მის მეუღლეს **xAnKa SPkGakGa** „ხანია თეთრი“ — მათ ძალუძთ ყვავილის განკურნება (ჩურსინი, 1957, 209)

როდესაც ადამიანს ყვავილი (**ahcGA**) შეეყრებოდა, ითვლებოდა, რომ სახლში სტუმრობს „ოქროს ზოსჰანი“. მისი სტუმრობა 40 დღე გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში აკრძალული იყო წამლის მიღება, მუშაობა, საქონლის დაკვლა, ძაღლის ცემა, კითხვა, დაბანა, სარკეში ჩახედვა (სამკითხაოდ). ავადმყოფის სახლში უნდა ემღერათ, ეცეკვათ, ემხიარულათ.

როცა ვინმე ავად ხდებოდა, ნათესავ-მეზობლები მორიგეობით ათევდნენ ღამეს ავადმყოფის საწოლთან, აფხაზები ასეთ ღამისთევას **AWafSra-s** უწოდებდნენ. ძირითადად მასში ახალგაზრდები ერთვებოდნენ და სიცილსა და გართობაში უნდა გაეტარებინათ ღამე ავადმყოფის ოთახში.

მსგავსი **AWafSra** ტარდებოდა დაჭრილისათვის ტკივილის შესამსუბუქებლად. ანალოგიური ადათ-წესი (**капшар**) სრულდება ჩერქეზებშიც ბრძოლაში დაჭრილის განსაკურნებლად.

„ყვავილს“ მკურნალობდნენ განსაკუთრებული „გამომლოცველები“, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მოხდილი ეს დაავადება. 40 დღის განმავლობაში დღეში სამჯერ ლოცულობდნენ:

axⁿN zMshAn uaTabNu

uarNudara uaTabNu

axⁿN zMshAn KNua KMfsN dMuNhGauaKt

axAnKa SPkGakGa axⁿN zMshAn uaTabU (გენკო, 1998, 100)

(შელოცვის დედაზრი გაუგებარია, მაგრამ დღეს უკვე დადგენილია, რომ შელოცვის ტექსტში, ბგერათა თანწყობაში ძვეს ძირითადი დატვირთვა შელოცვის საკურნებელი ძალისა).

40 დღის გასვლის შემდგომ, კვირას ხდებოდა მსხვერპლშეწირვა — მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ მამალ თხას. ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ ითვლებოდა, რომ ავადმყოფი „გათავისუფლდა“.

გ. ბერზენოვი, რომელიც იმოწმებს უძველეს ქართულ სამკურნალო წიგნს „კარაბადინს“, წერს, რომ საქართველოში ლოცვები და შელოცვები ძალიან პოპულარულია დაავადების განკურნების დროს. და სწორედ მათზეა დაფუძნებული ექიმბაშობა. ადამიანისა და ცხოველის ყველა დაავადებას თან სდევს განსაკუთრებული ლოცვა და შელოცვა (ბერზენოვი, 1857)

შელოცვის საკურნებელი ძალის რწმენა არის მთავარი და აუცილებელი პირობა შელოცვით მკურნალობის დროს. რწმენამ, სიტყვისა და მოქმედების სწორმა გადმოცემამ განაპირობა შელოცვის ხანგრძლივი არსებობა ხალხურ ტრადიციაში.

შელოცვები წარმოადგენენ აფხაზთა ტრადიციული კულტურის შედარებით არქაულ ნაწილს.

აფხაზური მაგიური ადათები და სიმღერები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი დაავადებების განკურნებასთან, როგორიცაა ყვავილი, შედარებით გვიან აღმოცენდა, ვიდრე შელოცვები ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა ჯიბლიბო (**kGrwMkⁿ**), ძირმაგარა (**awNsxa**), მუცლის დაავადებები (**AmgGaxⁿaa**), სისხლდენა (**aSarA**), ხველება (**aimhGA**), გათვალვა (**AlafSP**), ყოფითი ტრავმები (დაჟეჟილობა (**aJAJra**), დამწვრობა (**abMlrA**), გველის ნაკბენი და სხვ.).

გველის ნაკბენით დაზარალებული ადამიანის პირველივე შემხვედრი ხმის ამოუღებლად იღებს თხილის წყებლას, მიდის მკურნალთან და მის წინ აგდებს ამ წყებლას. მკურნალი ხვდება საქმის

ვითარებას, ასხამს ჭიქაში წყალს, ხელს მაგრად უჭერს ავადმყოფს ნაკბენ ადგილზე (ჯანაშია, 1917, 145) და ამბობს:

„გვერიცა, გვერი ცემულიცა, პორინოტიინასა, პატანასა, ეიშასირი-მისა, ეიშას რუგუპიტინისა“ (გულია, 1985, 191)

ან

xoda-xoda neq'araTa TazisnigGaT

haca-maca, x'aca fMwGwGa

uarA uAsM iuMrCIt

sa sAsnM isNrdeit

CHHu, CHHu, CHHu!

(ინფორმატორი ოღლა რეშიდის ასული აგრბა, სოფ. ზემო ეშერა).

ამის შემდეგ წყალს მიაწვდის ამბის მომტანს, ის უსიტყვოდ სვამს წყალს, ამის შემდეგ გველით დაკბენილი ადამიანი მორჩება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შელოცვები ძირითადად შედგება გაუგებარი სიტყვებისგან, რაც მიუთითებს მათ საკრალურობასა და არქაულობაზე. ცალკეული სიტყვები შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ შელოცვის არსი ძირითადად გაუგებარია.

შელოცვის, როგორც პოეტური ნაწარმოების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მისი სიტყვიერი გაფორმების (ტიქსტის) მდგრადობა, რომელიც გარკვეული შაბლონით იქმნება.

შელოცვებს, ძირითადად, მსგავსი სტრუქტურა აქვთ: შელოცვის ძირითად ნაწილში აღწერილია დაავადება, მისი სიმპტომები, მას მოსდევს დაავადების განკურნებისა და ავი თვალის მოსაცილებლად (ძირითადად ავი თვალი ასოციირდება წითელ ფერთან) აუცილებელი რჩევა — ფორმულის სახით. აქ დაავადება წარმოდგენილია როგორც ადამიანში ჩასახლებული ცოცხალი არსება, რომელიც უნდა გამოიდევნოს მისგან. შელოცვას ამთავრებენ გამოთქმით „ჩქჟუ, ჩქჟუ, ჩქჟუ“, რომლითაც მკურნალი სულის შებერვის იმიტირებას ახდენს. საკუთრივ ტერმინი **aTGhGA** „შელოცვა“ მომდინარეობს სიტყვისაგან **aTGhGarA** „სულის შებერვა“ (ტაბალუა, 2001, 43)

ტივილის განდევნის იმიტირებით მიიღწევა უფრო დიდი ეფექტი ავადმყოფობაზე ან დაზიანებულ ადგილზე ზემოქმედებისას. შელოცვის წარმოთქმისას ობიექტი განიცდის გარკვეულ ასოციაციას. მაგალითად, „ქარი“ — ჭრილობას აშრობს, „რკინა“ — დეზინფექციას ახდენს, წვავს და სხვა.

ყველა სამკურნალო მანიპულაციას, მათ შორის შელოცვით მკურნალობას, ატარებდნენ მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტები, სახალხო მკურნალები, ექიმბაშები. მათ ავადმყოფზე ზემოქმედებისათვის სამკურნალო საშუალებების მდიდარი არსენალი გააჩნდათ, მათ შორის ფსიქო-თერაპიული და ფსიქო-აქტიური საშუალებანი. ჰიპნოზის და თვითჰიპნოზის უნარი ექიმბაშის ქმედითი საშუალება იყო და მას საფუძვლად ედო პაციენტის დიდი ნდობა მკურნალისადმი, მათი საერთო რწმენა, რომ დაავადების მიზეზი იმალება ძლიერი ავი სულის წინასწარგანზრახულ ქმედებაში.

ექიმბაშები ხალხური მედიცინის რაციონალურ საშუალებებს ფლობდნენ და მათ მიერ გამოყენებული სამკურნალო საშუალებები დიდ ინტერესს იწვევდნენ სხვადასხვა მეცნიერებათა მკვლევრებს შორის.

თუკი ავი სულის მომადლიერება და გულის მოგება ავადმყოფს არ შეელოდა, ექიმბაშები მიმართავდნენ ადამიანიდან პირუტყვზე ავადმყოფობის გადაცემის მაგიურ ხერხს: ავადმყოფს გადააფარებდნენ თეთრ საფარველს, გამოიყვანდნენ ეზოში და მის გარშემო შემოატარებდნენ ხბოს, კვიცს ან მამალს. ამ დროს ექიმბაში ამბობდა:

Kax'ArnaxMs ugGAYraqGa zeg'N arK AraxG ASPya KasaaKt

„დღეიდან ყველა შენი სატივიარი ამ პირუტყვზე გადავიდეს“.

აფხაზურ ხალხურ მედიცინას აქვს სიმღერის სამკურნალო საშუალებად გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. მუსიკის სამკურნალო თვისება ცნობილი იყო აფხაზთა წინაპრებში და გამოიყენებოდა მთელი რიგი დაავადებების მკურნალობის დროს. სიმღერა სრულდებოდა აფხაზური ხალხური ინსტრუმენტის **afx'arcA**-ს თანხლებით. სიმღერის ინტენსივობა და მასობრივი შესრულება ხელს უწყობდა დაავადებისაგან განკურნების რწმენის გაძლიერებას.

მაგალითად, როცა დაჭრილს მკურნალობდნენ, სიმღერა **AxGra-SGa** მას მხნეობას და გამოჯანმრთელების რწმენას მატებდა, დაჭრილის გუნება-განწყობა უმჯობესდებოდა და სიმღერა მართლაც ეხმარებოდა გამოჯანმრთელებაში:

ua rAida-rAida, Ui dxAwam

zx'Aa ChanN izzNmWgaxGa,

**ua rAida-rAida, zx`Aa zzNmChaua
zx`Aa q`ra-RNzrMla izxNzgauga
ua rAida-rAida, zx`Aa zzNmChaua
Ui dxAwam, afhGNs dlEifSPup.
AxGra _ xAwara fNSGagoup,
AChara zmOu izmAm eilnArgoit.
ua rAida-rAida, Ui dxAwam,
zx`Aa ChanN izzNmWGaxGa.**

(თარგმანი)

უა რაიდა-რაიდა, ის მამაკაცი არ არის,
ვინც თავის ტკივილს ვერ დამალავს, ვერ მოითმენს,
უა რაიდა-რაიდა, ვინც თავის ტკივილს ვერ დამალავს,
ვინც კვნესის ტკივილის დროს.

უა რაიდა-რაიდა, ვინც თავის ტკივილს ვერ ითმენს,
ის მამაკაცი არ არის, ქალს ჰგავს,
ჭრილობა — სიმამაცის გამოცდაა,
ის, ვისაც აქვს გამოჯანმრთელების უნარი,
ეხმარება უუნაროს გამოჯანმრთელებაში.

უა რაიდა, მამაკაცი არ არის
ვინც ტკივილს ვერ დამალავს, ვერ მოითმენს.

ეს სიმღერები წმიდათაწმიდად ითვლებოდა და მოხუცები კრძა-
ლავდნენ მათ გაჟღერებას საჭიროების გარეშე.

ხალხურ მედიცინაში დამწვრობის დროს დიდი როლი ენიჭებოდა
მუსიკას. აფხაზურმა მუსიკალურმა ფოლკლორმა შემოინახა სპეცია-
ლურად ამ შემთხვევისთვის განკუთვნილი „სიმღერა დამწვრობაზე“. ხალხში
არსებობდა შეხედულება, რომ ამ სიმღერას შეეძლო და-
მწვრობის მალე განკურნება. (ხაშბა, 1983, 59)

მუსიკა იყო უმთავრესი ბავშვთა ინფექციური დაავადებების —
წითელას, წითურას, ქუნთრუმას, ჩუტყვავილას მიმდინარეობის შე-
სამსუბუქებლად. აფხაზთა რწმენით, ამ დაავადებებს ზებუნებრივი ძა-
ლები აგზავნიდნენ. ამ დროს ავადმყოფის სახლი განსაკუთრებული
ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, რადგანაც თვლიდნენ, რომ აქ ღვთა-
ებამ დაისადგურა. ავადმყოფის ოთახს რთავდნენ წითელი ნაჭრით
და ყვავილებით, აუცილებელია იები, თუ იმ დროს იები არ ყვავოდა,
მიჰქონდათ მისი ფოთლები. იები ოთახში ნაზ სურნელს გამოსცემდა,

რაც დამამწვიდებლად მოქმედებდა ავადმყოფზე. იის ნაყენით უწმენ-
დნენ ავადმყოფს თვალებს, სახეს. ანალოგიური ადათი აღწერილია
ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ქართული მუსიკალური ფოლკლორი შეიცავს ბავშვთა ინფექციური
დაავადებისადმი განკუთვნილ იავნანას, რომელიც დაკავშირებულია
ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას წარმართულ კულტთან (ხაშბა, 1983, 59)

აფხაზთა საკულტო სიმღერები შინაარსობრივად ორი სახისაა. ადა-
მიანთა ყოფის ამსახველი და სამკურნალო. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება
მონადირეული სიმღერები: **aJGEifSaa, Aerg`**, **dad iuAna**, აგრეთვე
სიმღერა **ZiuOu**, რომელსაც მღერიან წვიმის მოსაყვანად. მეორე ჯგუფს
მიეკუთვნება ღრმა ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე სიმღერები.
წარსულში, ანესთეზიური საშუალებების უქონლობის დროს ავადმყოფს
ტკივილს უქარგებდნენ სიმღერითა და **afx`arCa**-ზე დაკვრით. ანალო-
გიური ფუნქცია ეკისრებოდა სიმღერას ყვავილისა და ბავშვთა ინფექცი-
ური დაავადებების დროს (ხაშბა, 1983, 60)

რაც შეეხება სიმღერა „ატლარჭობას“, — მას ასრულებდნენ
წმინდა ვიტეს დაავადების დროს (აფხაზურად — ატლარჭობა ლ.ა.),
რომელიც გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციო-
ნალური დაზიანებით, მას თან ახლავს მოძრაობის კოორდინაციის
დარღვევა. ის ძირითადად ახალგაზრდა გოგონებს ემართება.

მაგიური, სამკურნალო თვისება ჰქონდა ცეკვასაც. როდესაც ქა-
ლიშვილს ატლარჭობას მორიგი შეტევა ეწყებოდა, თვლიდნენ, რომ
მას ღვთაება ესტუმრა და იწყებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა მის
გარშემო. თვითონ ავადმყოფი ქალიშვილიც ერთვებოდა ცეკვაში. ის
ირჩევდა ყველაზე ლამაზ ვაჟკაცს და ორივენი ცეკვავდნენ ძალიან
ჩქარ ტემპში. სიმღერა „ატლარჭობას“ ჩქარი, რიტმული პულსაციის
მუსიკა აქვს. ავადმყოფს ამ მუსიკის ტაქტში უხდებოდა ცეკვა, რაც
უმსუბუქებდა ტანჯვას და აწყნარებდა მას. ცეკვა საკმაოდ დიდხანს
გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მოცეკვავენი ძალიან მაღალ
ტემპს აღწევდნენ, ხშირად ავადმყოფი ქალიშვილი ვერ უძლებდა
ჩქარ ტემპს და ეცემოდა. ამ მდგომარეობაში რამდენიმე საათის ყოფ-
ნის შემდეგ ის თავისუფლდებოდა შეტევისგან და კვლავ ქმედითუნა-
რიანი ხდებოდა. „ატლარჭობა“ შთამავონებელი ცეკვაა, ის მკვდარ-
საც კი გააცოცხლებს“, — ამბობს ხალხი (ხაშბა, 1983, 59)

ამრიგად, სამკურნალო სიმღერები და ცეკვები საზოგადოებრივი
აზროვნების წიაღში აღმოცენებული ხალხური მკურნალობის ხან-

გრძლივი ტრადიციებისა და გამოცდილების შედეგია. ისინი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა გარკვეული რიტმულ-ინტენსიური ფორმაციების მეშვეობით.

შელოცვების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს კეთილი სურვილები — დალოცვა **anNhGara** და წყევლა **aSGMIra**, რომლებიც კონკრეტული პიროვნებისადმი მიმართული. დალოცვა და წყევლა ცალ-ცალკე ითქმის, მაგრამ ზოგჯერ დალოცვაში ინტეგრირებულია წყევლაც, რომელიც ამ სინთეზში დამცავი თილისმის ფუნქციას ასრულებს და არა აქვს მთავარი აზრობრივი დატვირთვა ტექსტში. შელოცვისგან განსხვავებით, რომელსაც თან ახლავს მაგიური ქმედებები, დალოცვასა და წყევლაში თვით სიტყვა იძენს მაგიურ ძალას, მათთვის დამახასიათებელია მდგრადი, მტკიცე ფორმულირება, რომელშიც გადმოცემულია ხალხურ ტრადიციულ წარმოდგენებში, შედარებებსა და მეტაფორებში არსებული შეხედულება ბედნიერებაზე, ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე ან, პირიქით, უბედურებაზე, ავადმყოფობაზე, მწუხარებაზე (ტაბალუა, 2001, 146)

დალოცვა ფართოდ იყო და არის დანერგილი აფხაზურ ყოფაში. ის გამოიყენებოდა საოჯახო რიტუალების შესრულებისას, სანადიროდ გამგზავრებისას, დალოცვით იწყებოდა ნებისმიერი საქმე. დალოცვა ავგაროზის იდენტური იყო.

სარიტუალო პოეზია, სიტყვიერი შელოცვები დღემდე აქტივალურია თანამედროვე აფხაზეთში. ისინი ავადმყოფს ანიჭებენ გამოჯანმრთელობის რწმენას, მხნეობას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა

ბერზენოვი, 1857 — Берзенов Г. Статья, посвященная разбору грузинского лечебника «Карабадин». «Кавказский календарь» 1857.

გენკო, 1998 — Генко А.Н. Абхазско-русский словарь. Сух. Алашара, 1998.

გულია, 1985 — Гулия Д.И. Собрание сочинений. Сух. Алашара, 1985 том V.

პანტიუხოვი, 1899 — И.И. Пантюхов О народном врачевании в Закавказском крае. Тифлис 1899.

ტაბალუა, 2001 — Табагуа С.А. Абхазские традиционные обряды

и обрядовая поэзия. Москва Макс Пресс, 2001.

ჩურსინი, 1957 — Чурсин Г.Ф. Материалы по этнографии Абхазии. Сух. 1957.

ჯანაშია, 1917 — Джанашия Н.С. Абхазский культ и быт. Религиозные верования. Том 5, вып 3, 1917 стр.174

ხაშბა, 1983 — Хашба М.М. Жанры абхазской народной песни. Сух. Алашара, 1983.

LEILA AVIDZBA

Incantations in Abkhazian Folk Medicine

Summary

The means and methods used in folk medicine are often quite original. Folk medicine includes not only medicines but folk psychology and philosophy. A number of factors, especially religion and beliefs influenced the development of Caucasian and Abkhazian medicine in particular.

Our ancestors believed that supernatural forces sent illnesses and epidemics as a punishment.

During the treatment of some diseases Abkhazians as well as some other Caucasian nations forbade one to take a medicine, believing that it could worsen the state of one's health. Exorcisms, charms, incantations, lamentations and prayers were used as treatment or as prevention from diseases, deaths or other misfortunes and disasters.

Incantations generally contain some incomprehensible and hardly translatable expressions.

This speaks about their archaic and sacred meaning. Even if we succeed in translating some words, the overall meaning of the incantation remains unintelligible.

The Abkhazian folk medicine has an age-long experience of using magic power of chants as medical means. The chants used to be accompanied by a traditional Abkhazian instrument apxarcs.

The intensity of mass performance helped to gain confidence in success. Music and songs were quite frequently used to cure even such infectious diseases as measles, rosella, scarlet fever, and chickenpox.

Even in modern Abkhazian ritual poetry, encantation and charm encourage a sick person and give him/her confidence and what is really curious that helps him/her to recover from the illness.

წელი ახგვლიანი

სარეკლამო დისკურსის ლინგვისტიკისტიკური
თავისებურებანი

სარეკლამო დისკურსის ლინგვისტიკისტიკური მახასიათებლების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებას, თუმცა მისი რეალიზაციის სპეციფიკამ სარეკლამო ტექსტებში ენათმეცნიერულ ნაშრომებში საკმარისი გამოხატულება ვერ პოვა.

ურთიერთობის ინსტიტუციონალური სახეების შესწავლა სოციო-ლინგვისტიკის, პრაგმალინგვისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ამასთან სარეკლამო დისკურსი, როგორც ინსტიტუციონალური სამეტყველო ურთიერთობის ერთ-ერთი სახე, ლინგვისტიკურ ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სარეკლამო დისკურსში ლინგვისტიკისტიკური მახასიათებლების გამოვლენა და მისი რეალიზაცია რეკლამაში, ენობრივი საშუალებების გამოყოფა, რომლებიც გამოიყენება სარეკლამო შეტყობინებებში; ასევე რეკლამის ენის ნიშანდობლივი მახასიათებლების ხაზგასმა. დასახული მიზანი კონკრეტულია და შემდეგი ძირითადი ამოცანების სახით:

- დისკურსის, როგორც ლინგვისტიკური ცნების განხილვა;
- დისკურსისა და მეტყველების ურთიერთშეპირისპირება;
- დისკურსის პრაგმატული თვალსაზრისით განხილვა;
- სარეკლამო დისკურსის სტილის განსაზღვრა;
- აღრესატზე ზემოქმედების ხასიათის განსაზღვრა

თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „დისკურსი“. იგი, როგორც ტერმინი, აქტიურად ფუნქციონირებს სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებში. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ლინგვისტიკა, მაგრამ დისკურსის ლინგვისტიკური გეგმა მრავალრიცხოვანია, რომელთა შორის დგას რთული მეცნიერული აზროვნების მიერ კარგად დაუფლებული კონცეფციები (ფ. სოსიური,

ბენვენისტი, დისკურსის ანალიზის ფრანგული სკოლა, პეშე).

პატრიკ სერიო მიიჩნევს, რომ სიტყვა „დისკურსი“ არის

- „მეტყველების“ სოსიურისეული გაგება, ანუ ნებისმიერი კონკრეტული გამონათქვამი;
- გამონათქვამის თეორიის ან პრაგმატიკის ფარგლებში აღრესატზე გამონათქვამის ზემოქმედება და ამისი გაერთიანება „გამომხატველობით“ სიტუაციაში (რაც გულისხმობს გამონათქვამის სუბიექტს, აღრესატს, მომენტსა და გამონათქვამის ადგილის განსაზღვრას);
- შეზღუდული სისტემის განსაზღვრა, რომელიც თან ერთვის გამონათქვამის შეუზღუდავ რიცხვს განსაზღვრული სოციალური და იდეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე (მაგალითად, „ფემინისტური დისკურსი“ და „ადმინისტრაციული დისკურსი“) (სერიო, 1999: 26).

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ტექსტისა და მეტყველების დიფერენციაცია. ტექსტს ვან დეიკი დამაჯერებლად გამოიყენებს დისკურსსა და ტექსტს ერთმანეთისაგან: დისკურსი არის აქტიურად წარმოთქმული ტექსტი, ხოლო ტექსტი ეს არის წარმოთქმულის აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურა. დისკურსი არის ცნება, რომელიც მეტყველებას, აქტუალურ სამეტყველო ქმედებას ეხება, მაშინ როცა ტექსტი ცნებაა, რომელიც გულისხმობს ენის სისტემას ან მის ფორმალურ ლინგვისტიკურ ცოდნას, ლინგვისტიკურ კომპეტენციას“ (დეიკი, 1989, 264).

მოცემულ ფრაგმენტში ჩვენ ვხედავთ, რომ დისკურსი აღარ არის თვით მეტყველება, არამედ არის მეტყველების აბსტრაქტული გაგება.

აქედან გამომდინარე, ჩვენში ყალიბდება განსაზღვრული წარმოდგენა დისკურსზე: დისკურსი არ არის ტექსტი, მაგრამ იგი ტექსტშია, თუ ამ უკანასკნელს განვიხილავთ, როგორც გამონათქვამის კომპლექსს, ანუ, როგორც სამეტყველო (კომუნიკაციურ) აქტსა და მისსავე შედეგს.

დისკურსის პრაგმატული თვალსაზრისით განხილვა საყიროა დავიწყოთ სქემის ანალიზით, რომელსაც ბელგეელი ლინგვისტი ე. ბიუისანსი გვთავაზობს: „langue - ეს არის სისტემა, განყენებული გონებრივი კონსტრუქცია, discours- კომბინაცია, რომლის რეალიზაციისას მოსაუბრე იყენებს ენობრივ კოდს (ანუ სემას), parole-მექანიზმი, რომელიც იყენებს ამ კომბინაციების განხორციელების საშუალებას (ანუ

სემიოტიკური აქტი“.

აქედან გამომდინარე, დისკურსი გაიგება, როგორც ზეენობრივი კოდი, რომელსაც ექვემდებარება ენის გრამატიკული წყობა. ასეთი კოდის გაგება მოითხოვს რეციპიენტის მხრიდან განსაზღვრულ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია დისკურსის კოდის ჩართვაზე. ასეთი სახის დისკურსი ჩაერთვება „გამომხატველობით“ სიტუაციაში.

აქედან გამომდინარე, ლინგვისტიკაში დისკურსზე არსებული სხვადასხვა შეხედულების ანალიზის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკურსი არის ტექსტის, როგორც კომპლექსური გამონათქვამების ისეთი განზომილება (ანუ, როგორც სამეტყველო აქტის პროცესი და შედეგი), რომელიც შეითვისებს სინტაგმატურ და პარადიგმატურ იდეოლოგიურ ურთიერთობებს სისტემის წარმომქმნელ ფორმალურ ელემენტებს შორის და გამოავლენს გამონათქვამის სუბიექტის პრაგმატურ იდეოლოგიურ მითითებებს, რომლებიც ზღუდავენ ტექსტის მნიშვნელობის პოტენციურ უსასრულოებას.

რაც შეეხება სარეკლამო დისკურსს, იგი არის სარეკლამო შეტყობინება, რომელსაც აქვს მკაცრად ორიენტირებული პრაგმატული მითითება, რომელიც შეიცავს ზეპირი და წერიტი მეტყველების დისტინქციურ ნიშნებს სემიოტიკური საშუალებების კომპლექსთან (პარა- და ექსტრალინგვისტური) ერთად.

რეკლამა უნიკალური სოციოკულტურული გამოვლინებაა. მის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ნებისმიერი საშუალებით ზემოქმედება მოახდინოს რეკლამის მომხმარებლის პრაგმატულ სფეროზე, ამისათვის მრავალი საშუალების გვერდით გამოიყენება სხვადასხვა სტილისტური ხერხი, რომელთა მიზანს წარმოადგენს ადრესატის ინტერესის გააქტიურება.

ამრიგად, სტილზე როგორც ადამიანური მოღვაწეობის განსაკუთრებულ, სიმბოლურად მნიშვნელოვან ხერხზე საუბრისას, რომელიც წარმოიშობა სუბიექტის მიერ საზოგადოდ მიღებული ნორმების შიგნით მოღვაწეობის განსაზღვრული ხერხების შერჩევით და რომელიც ატარებს სუბიექტის მოღვაწეობის, მისი სოციალური როლის, ასევე სუბიექტის განსაზღვრული პიროვნული ხერხების შესახებ ინფორმაციას, სადაც სუბიექტის პროდუქტს წარმოადგენს სარეკლამო დისკურსი. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ

- სარეკლამო დისკურსის სტილისტურ საშუალებებს აქვთ მკვეთრად გამოხატული პრაგმატული მიმართულება;

- ეს საშუალებები განსაზღვრავენ დისკურსის სტილისტურ კუთვნილებას, რომელიც მას სხვებისაგან განასხვავებს;
- ისინი ასევე ქმნიან სტილისტური რეგისტრების შეთავსებადობას, რომელიც აყენებს სარეკლამო დისკურსს ტრადიციული სტილისტიკური ნორმების მიღმა;

რეკლამა არა მხოლოდ ინფორმაციაა. იგი ასევე ხალხის ფსიქოლოგიურ დაპროგრამებასაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ რეკლამის ზემოქმედების ძირითად ფსიქოლოგიურ დონეებს:

- კოგნიტიური (შეტყობინების, ინფორმაციის გადაცემა);
- აფექტური (ემოციური ასპექტი, ურთიერთობის ფორმირება);
- სუგესტიური (შთანერგვა);
- კონატიური (ქცევის განსაზღვრა);

კოგნიტიური ზემოქმედების არსი მდგომარეობს განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის, საქონლის შესახებ ერთობლიობის, მისი ხარისხის მახასიათებელი ფაქტების გადაცემაში.

აფექტური ზემოქმედების მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის ნაკადის გადაქცევა მითითებების სისტემად, ადრესანტის მიმართვის მოტივად და პრინციპად. ურთიერთობის ფორმირების ინსტრუმენტად გამოიყენება ერთი და იმავე არგუმენტის ხშირი გამეორება, ნათქვამის ლოგიკური მტკიცებების მოყვანა, სასურველი ასოციაციის ჩამოყალიბება და სხვა.

შთაგონება გულისხმობს შეცნობილ ფსიქოლოგიურ, ასევე შეუცნობელ ელემენტებს. შთაგონების შედეგს წარმოადგენს დარწმუნება, რომელიც მიიღება ლოგიკური შეხედულებების გარეშე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შთაგონება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება ადრესატის მოთხოვნებსა და ინტერესებს და იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის წყაროდ ადამიანი გამოიყენება, რომელიც ავტორიტეტით და ნდობით სარგებლობს.

შთაგონებისათვის საჭიროა ეფექტური სარეკლამო მიმართვის მრავალჯერადი განმეორება.

მიმართვის კონატიური ზემოქმედება უბიძგებს ადრესატს მოქმედებისაკენ, იგი კარნახობს ადრესატს, თუ რა უნდა გააკეთოს.

ბოლო წლების ლინგვისტურ პრაგმატიკასა და სამეტყველო ზემოქმედების თეორიაში ტრადიციულ იქცა ადრესატის ფაქტორის გათვალისწინება. სამეტყველო შეტყობინებისას ადრესანტი ნაკლებ ყუ-

რადღებას აქცევდა ადრესატისაგან მიღებულ შეტყობინებას. სამე-
ტყველო გარემოს დიალოგის ორივე მხარე აწარმოებს. გამგზავნის
რეპლიკა (რეპლიკების სერია, ტექსტი, კომუნიკაციური ქმედება) იწ-
ვევს განსაზღვრულ გამოძახილს ადრესატის ქმედებაში, რომელზე და-
კვირვებაც ადრესატის კომუნიკაციურ ქმედებაზე კორექტირებას ახ-
დენს.

აქედან გამომდინარე, კომუნიკაციური პროცესის მოდელის ფარ-
გლებში სასურველია ვისაუბროთ არა იმდენად ადრესატის სამეტყვე-
ლო ზემოქმედების შესახებ (ერთმიმართულებიანობა, ერთჯერადობა),
არამედ სამეტყველო ურთიერთზემოქმედებაზე (ურთიერთმიმართება,
განმეორებადობა), რომელიც წარმოადგენს „ენის ძირითად რეალო-
ბას“.

ამრიგად, ცნება „დისკურსის“ სხვადასხვა თვალსაზრისით გან-
ხილვის შედეგად მივიღებთ იმ დასკვნამდე, რომ დისკურსი ეს არის
ცნება, რომელიც ეხება მეტყველებას, აქტუალურ სამეტყველო მოქმე-
დებას; დისკურსი არ არის თვით მეტყველება, არამედ მეტყველების
აბსტრაქტული გაგებაა.

ლექსიკონში დისკურსი განისაზღვრება, როგორც ბმული ტექ-
სტი, რომელიც შეიცავს ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ,
ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვიყალიბდება განსაზღვრული წარმო-
დგენა დისკურსის შესახებ: დისკურსი არის არა ტექსტი, თუმცა იგი
ტექსტია, თუ ამ უკანასკნელს მივიჩნევთ გამონათქვამთა კომპლექსად.
ანუ ის არის სამეტყველო (კომუნიკაციური) აქტი ან მისივე შედეგი.
ე.ი. დისკურსი ტექსტის ისეთი განზომილებაა, რომელიც იდეოლოგი-
ურ ურთიერთობაშია სინტაგმატური და პარადიგმატული სისტემის
წარმომქნელ ფორმალურ ელემენტებთან. იგი ამყდვენებს გამონათ-
ქვამის სუბიექტის პრაგმატულ იდეოლოგიურ მითითებებს, რომლე-
ბიც ზღუდავენ ტექსტის მნიშვნელობის პოტენციურ უსასრულობას.

სარეკლამო დისკურსი განისაზღვრება, როგორც დასრულებული
შეტყობინება, რომელსაც აქვს მკაცრად ორიენტირებული პრაგმატუ-
ლი მითითებები, რომლებიც შეიცავს სემიოტიკური საშუალებების
კომპლექსთან ერთად ზეპირი და წერიითი მეტყველების დისტინქცი-
ურ ნიშნებს.

რეკლამის ძირითად მიზანია, ზემოქმედება მოახდინოს მომხმარე-
ბელზე, რისთვისაც საჭიროა სხვადასხვა სტილისტური ხერხები, რათა

აღძრული იქნეს ადრესატის ინტერესი რეკლამირებადი საქონლის მი-
მართ.

მარკირებული ელემენტები (სლენგი, ელიფსური კონსტრუქციე-
ბი, ფრაზეოლოგიზმები) ადრესატზე დადებითად მოქმედებენ და მას
აღუძრავენ საქონლის მიმართ ინტერესს.

სარეკლამო მიმართვების დროს იყენებენ მრავალ ტექნოლოგიას.
ერთ-ერთი ამათვანი არის ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება (NLP).
დასახული მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია რეკლამის
ფსიქოლოგიური ზემოქმედების შემდეგი მნიშვნელოვანი დონეები:

- კოგნიტიური;
- აფექტური;
- სუვესტიური;
- კონატიური;

რეკლამის შექმნისას მნიშვნელოვანია ადრესატზე მანიპულირება.
მანიპულაცია შეუმჩნეველი უნდა იყოს. აქ მნიშვნელოვანია ადამიან-
ის ფსიქიკურ სტრუქტურებზე ზემოქმედება. იგი ფარულად ხორცი-
ელდება და მიზნად ისახავს საჭირო მიმართულებით ადამიანის აზ-
რის, მისი მიზნის შეცვლას.

ამრიგად, სარეკლამო დისკურსში ზემოქმედების ფუნქციის რეა-
ლიზაცია სხვადასხვაგვარად ხდება, მაგრამ რეკლამის მიზანია დაარ-
წმუნოს მომხმარებელი. ერთი სიტყვით, იმოქმედოს ადრესატზე ისე,
როგორც ეს ადრესანტს (რეკლამის შემქმნელს) სურს.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კომუნიკაციის გლობა-
ლური მიზანი და ფუნქცია არის ურთიერთობა, ხალხის გაერთიანება
ერთიან ქმედებაში. კომუნიკაციური პროცესის მიზანია არა ინფორ-
მაციის გადაცემა ერთი მიმართულებით, არამედ გამოძახილის გამო-
წვევა ადრესანტის მიმართაც, არა ზემოქმედება, არამედ ურთიერ-
თზემოქმედება.

ლიტერატურა

სერო, 1999 — Серио П. Как читают тексты во франции. Квадратура смысла:Французская школа ан] [ализа дискурса: Пер.с фр. И португ. М. :Прогресс,1999, с 26.

დეიკი, 1989 — Деик Т. А.ван. Язык. Познание. Коммуникация. М., 1989, 264 с.

ბოვე, არენსი, 1995 — Бове К, Аренс У . Современная реклама —Тольятти: Издательский Дом Довгань, 1995

მორისი, 2001 — Моррис Ч. У. Основания теории знаков . Семиотика :Антология / Сост. Ю. С. Стеланов. М.: Акад. Проект, 2001. 136 с.

კოშიკი, 1996 — Koschick W. Y. Standart-Lexikon . Werbung. Verkaufsforderung. öffentlichkeitsarbeit.München, New Providence, London, Paris. 1996. S-145

ვენერი, 1996 — Wehner Ch. überzeugungsstrategien in der Werbung. Eine LangschriftnlKse von Zeitschriftenanzeigen des 20.Yahrhunder-tes. Opladen, 1996.

NELLI AKVLEDIANI

Linguostylistic Peculiarities of Advertisement Discourse

Summary

As is known, advertisement discourse has a specific pragmatic loading. The latter is realized by various stylistic devices, whose purpose is to attract the addressee's attention and focus it on certain pieces of information. The use of marked linguistic elements (such as slang, elliptical constructions, phraseologisms) help the addressee overcome the automatism of the process of perception.

The paper also focuses on various technologies used in advertising (for instance, neurolinguistic programming), as well as, different levels of psychological influence.

ნესტან აკოზია

პრაგმატული კატეგორიების პრეპარირება-ნაკლებობის დადგენა იურიდიულ ტექსტში

მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ენობრივი სისტემის პრობლემატიკის მკვლევარნი განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი იმ საკითხებით, რომლებიც ძირითადად ენის სტრუქტურას ეხებოდა, ე.ი. სწავლობდნენ სინტაქსურ მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის. შემდეგ, ენობრივი სისტემის სხვა ასპექტების შესწავლის მიზნით, დაიწყო ენობრივი ერთეულების მიმართების დადგენა აღსანიშნი ობიექტის მიმართ, რაც სემანტიკის საკვლევი ობიექტი იყო. 70-იანი წლებიდან ენათმეცნიერთა ინტერესმა გადაინაცვლა ენობრივი ფუნქციონირების შესწავლაზე და, ბუნებრივია, მოიძებნა ენობრივი სისტემის ამ ასპექტისათვის შესაფერისი სახელიც — პრაგმატიკა. ჩ. მორისის მიერ ენათმეცნიერებაში შემოტანილი ტერმინი „პრაგმატიკა“, სემიოტიკის ორ დანარჩენ ძირითად კომპონენტთან — „სემანტიკასა“ და „სინტაქტიკასთან“ ერთად მტკიცედ დამკვიდრდა ენათმეცნიერებაში.

ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი სამი განზომილებიდან რომელიმეს. ყოველი კატეგორია თავისი შინაარსის თვალსაზრისით შინაგანად იქმნება, კონსტიტუირდება ორი რეალობის ურთიერთ გადაკვეთის შედეგად; ეს ორი რეალობა, ერთი მხრივ, კომუნიკაციის აქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ენობრივი ნიშნის სათანადო განზომილება. რომელი კატეგორიაც არ უნდა ავიღოთ, მისი დღევანდელი გაგება (კომუნიკაციურ-ლინგვისტური გაგება) აუცილებლად გულისხმობს ამ ორი რეალობის ურთიერთგადაკვეთას, მათ სინთეზს.

იმისათვის, რომ გავიგოთ პრაგმატიკა და მისი ცალკეული კატეგორიები, საჭიროა ორი პირობა:

1. გავითვალისწინოთ, თუ ნიშნის რომელ განზომილებას ეკუთვნის ეს კატეგორია.

2. როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი სუბიექტი და, საერთოდ, სუბიექტურობის ცნება თვით კომუნიკაციურობის ფარგლებში.

როდესაც ლაპარაკია სუბიექტზე კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელის თვალსაზრისით, მაშინ მხედველობაში მისაღები სუბიექტურობის სამი აუცილებელი მომენტია:

1. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ ადრესანტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში.
2. უნდა გვქონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესატთან.
3. კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ ურთიერთმიმართება მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა.

დღეისათვის პრაგმატულ კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც უკავშირდება მეტყველ სუბიექტს, ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენი ორი ქვესისტემის კატეგორია, მაგრამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტურობის ორი დანარჩენი ფაქტორის გათვალისწინება.

შესავალში უბრალოდ მინდა ჩამოვთვალო ცალკე პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში და პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მსმენელი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში.

მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან შემდეგი პრაგმატული კატეგორიები:

- ლოკაციის კატეგორია
- მოდალობის კატეგორია
- შეფასების კატეგორია
- ემოციურობის კატეგორია
- დისტანტურობის კატეგორია

მსმენელ სუბიექტს კი უკავშირდება სამი პრაგმატული კატეგორია:

ინფორმაციულობის კატეგორია
ექსპრესიულობის კატეგორია
გამჭვირვალობის კატეგორია
თითოეული ამ პრაგმატული კატეგორიის განხილვას ვაწარმოებ იურიდიული ტექსტის მიხედვით.

იურიდიულ ტექსტად აღებული მაქვს საქართველოს კონსტიტუციის ინგლისური ვერსია.

საქართველოს კონსტიტუცია შედგება ცხრა თავისაგან და 109 მუხლისაგან; თითოეული მუხლი შედგება პუნქტებისაგან, ზოგიერთი პუნქტი კი ქვეპუნქტებისაგან, მაგალითად 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 73-ე მუხლის პირველი პუნქტი, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტი და 102-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციის თითოეულ თავს თავისი სათაური აქვს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მთლიან ტექსტში გვაქვს ერთი მთავარი თემა — საქართველოს სახელმწიფოს კანონი და ქვეთემები, რომლებიც ამ მთავარ თემას უკავშირდებიან. ე. ი. გვაქვს თემატური ურთიერთკავშირი.

ცნობილია, რომ საერთოდ ტექსტის ლინგვისტური ცნება შინაგანად ორაზროვნანია და ეს ორაზროვნება გამომდინარეობს ტექსტის ლინგვისტური განსაზღვრის ფუნქციური და სტრუქტურული კრიტერიუმების განსხვავებიდან. თუ ტექსტს (ამ შემთხვევაში იურიდიულ ტექსტს) წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით გავიგებთ, მაშინ ტექსტად შეიძლება ჩავთვალოთ კონსტიტუციის ერთი რომელიმე მუხლის ერთი რომელიმე წინადადება, იმდენად რამდენადაც მასში ასახულია კომუნიკაციური ლინგვისტიკისთვის რელევანტური კომუნიკაციის ცნება; ე. ი. თუ გამონათქვამში ასახულია როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური სიტუაცია (როგორც რეფერენტული, ისე კომუნიკაციური), მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ გამონათქვამი წარმოადგენს კომუნიკაციის პროდუქტს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტექსტის წარმომქმნელი, ანუ ტექსტობრივი ქმედება; ე. ი. გვექნება ერთი ცალკეული გამონათქვამი, თუ გამონათქვამთა თანმიმდევრობა, ანუ აისახება შესაბამისი რეფერენტული სიტუაცია ერთ გამონათქვამში თუ გამონათქვამთა თანმიმდევრობაში, ამას წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს: ტექსტი შეიძლება დაემთხვეს გამონათქვამს

და გამონათქვამი — ტექსტს. ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას, თუნდაც ერთი წინადადების სახით — თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური — ერთი სიტყვის — მოცულობა. მაგ: წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით, როცა ვახსენებთ სიტყვა „კონსტიტუციას“ — რაც არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომც არ წავიკითხოთ იგი, უბრალოდ სიტყვის მიხედვით ჩვენ მივხვდებით და წარმოდგენა გვექნება იმაზე, თუ რას გულისხმობს ეს სიტყვა. არ უნდა დაგვაფიქვდეს ის ფაქტი, რომ თვით არაკომუნიკაციურ ლინგვისტიკაშიც წინადადება შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო სიტყვით და ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ სიტყვა აღქმული და გაგებული ყოფილიყო, როგორც წინადადება. ზუსტად ასევე, ტექსტიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს წინადადებით, წინადადება კი შედგებოდეს ერთი სიტყვისგან. თუ ამ მსჯელობას ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანთ, მაშინ არამც თუ სიტყვა, არამედ ისეთი სამეტყველო მოვლენაც, როგორიცაა პაუზა და ისეთი სემიოტიკური ფენომენიც კი, როგორცაა ყესტი, შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტად, თუკი ისინი კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ. ფუნქციურ თვალსაზრისს უპირისპირდება სტრუქტურული თვალსაზრისი. ეს გაგება უფრო რეალისტურია. მართალია ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, იგი შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან. მაგრამ თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ტექსტზე, როგორც წინადადებათა თანმიმდევრობაზე, ამით გარკვეულ განუსაზღვრელობას ვანიჭებთ ტექსტის ლინგვისტურ ცნებას. ტექსტად, ლინგვისტური თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა. ის, რაც წინადადებათა თანმიმდევრობას აქცევს ტექსტად, ეს არის სწორედ თემატური ურთიერთკავშირი, ანუ ტექსტის წინადადებებში ასახული თემის ერთიანობა.

ჩემ მიერ განსახილველად აღებულ ამ იურიდიულ ტექსტში — საქართველო კონსტიტუცია, მეტყველი სუბიექტი დაფარულია, ანუ იგი პირდაპირ არ არის გადმოცემული. შესაძლებელია, მეტყველ სუბიექტად პიროვნება კი არა, ხელისუფლება მოისაზრება. თხრობა მიმდინარეობს მესამე პირში. აქცენტი მსმენელ სუბიექტზეა. მართალია, ადრესანტი არ ჩანს, დაფარულია მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ როგორ გასაგებად არის გადმოცემული სათქმელი, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება კონსტიტუციას.

მართალია, იურიდიულ ტექსტებს ისინი უფრო კარგად გაიგებენ, ვინც კარგად არის გათვითცნობიერებული იურიდიულ სფეროში, მაგრამ თუ ტექსტი გასაგებადაა გადმოცემული (მე ვგულისხმობ, თუ ძალიან არ არის დატვირთული მთელი რიგი ტერმინებით), მაშინ ნებისმიერი მკითხველისთვის გასაგები იქნება.

თანამედროვე ლინგვისტური მოძრაობის რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, ორივე შემთხვევაში მივდივართ კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე — ერთ შემთხვევაში ტექსტამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში — პრაგმატიკამდე.

ახლა კი მინდა მივუბრუნდე პრაგმატულ კატეგორიათა სამ ქვესისტემას და გავიხსენო:

1. კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესანტს და მის გავლენას სამეტყველო აქტსა და გამონათქვამზე. ეს კატეგორიები ეგოცენტრისტული ხასიათისაა. (ადრესანტი თავის თავზე ამბობს „მე“-ს [ეგო]. იგი კომუნიკაციის მომენტში თავის საკუთრებად აქცევს მთელ ენობრივ სისტემას (ბენვენისტი). ლინგვისტური პრაგმატიკის ეს მოსაზრება დღეს უკვე მიუღებლად ითვლება იმიტომ, რომ ადრესანტის გარდა არის ადრესატი და მისი როლი გამონათქვამის სტრუქტურაში არანაკლებ მნიშვნელოვანია. როგორი იქნება გამონათქვამი როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით, დამოკიდებულია არა მარტო მეტყველ სუბიექტზე, არამედ მსმენელ სუბიექტზეც: მოსმენა, აღქმა არანაკლებ მნიშვნელოვანია, აქტიურია, ვიდრე ინფორმაციის მიწოდება.
2. ქვესისტემა, რომელიც, პირველ რიგში, ასახავს ადრესატს და მის ზეგავლენას, რომელსაც იგი ახდენს გამონათქვამის შინაარსობრივ და კომუნიკაციურ სტრუქტურაზე.
3. პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც ატარებენ სინთეზურ ხასიათს.

ლინგვისტური პრაგმატიკა თეორიული ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც ექსპანსიას ახდენს მთელ ენობრივ სისტემაზე. ამიტომ ენობრივი ერთეულები და კატეგორიები, რომლებიც ტრადიციულად შეისწავლებოდნენ პრაგმატიკასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, იღებენ პრაგმატულ განზომილებას; ხდება ტრადიციულ ერთეულთა და კატეგორიათა პრაგმატიზაცია. პრაგმატიკა ტექსტის ლინ-

გვისტიკასთან ერთად მიჩნეულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვად. თუ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, ისე როგორც ყველა მეცნიერებას აქვს კონცეპტუალური ბირთვი, ის რაც გამოხატავს ამ მეცნიერების ძირითად შინაარსს, — მაშინ ეს ბირთვი ორასპექტიანია: მას პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა შეადგენს. მათი შერწყმის უშუალო შედეგს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ენობრივი ერთეულის ან კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს ამავე დროს მის ტექსტოლოგიზაციას. ტექსტოლოგიზაცია კი გულისხმობს, რომ ყოველი კატეგორია, რომელიც ტექსტის გარეშე შეისწავლებოდა, ახლა ტექსტის ფარგლებში აღიქმება.

პრაგმატული კატეგორიების განხილვა იურიდიული ტექსტის მაგალითზე პირდაპირ დავიწყეთ იმ კატეგორიებით, რომლებიც მსმენელ სუბიექტთან არიან დაკავშირებული; თუ რატომ, ამას ქვემოთ მოვახსენებთ:

ვინაიდან და რადგანაც, მეტყველი სუბიექტი აღნიშნულ იურიდიულ ტექსტში არ ჩანს, მასთან დაკავშირებული კატეგორიებიც არ იქნება განხორციელებული. საერთოდ, თანამედროვე პრაგმატიკა გამოყოფს ხუთ კატეგორიას, რომელიც უკავშირდება და ასახავს მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში. იურიდიულ ტექსტებში კი, მინდა ვთქვა, რომ მთავარია მსმენელი სუბიექტი როგორ აღიქვამს ტექსტს. აღარ შევუდგები ადრესანტზე ორიენტირებული პრაგმატული კატეგორიების ჩამოთვლას, რადგან ერთხელ უკვე ჩამოვთვალე; უბრალოდ აღვნიშნავ, რომ შეიძლება მათგან ერთი მივუყენო იურიდიულ ტექსტს; თუმცა სრულად კი არა, ნაწილობრივ. ეს არის ლოკაციის კატეგორია. ცნობილია, რომ ლოკაციის ფორმულაა: „მე-აქ-ახლა“; ე. ი. ლოკაციის კატეგორიას აქვს სამი ასპექტი: პერსონალური, საკუთრივ ლოკალური და ტემპორალური. როდესაც ვთქვი, რომ ლოკაციის კატეგორია იურიდიულ ტექსტებში არასრულადაა წარმოდგენილი, ვიგულისხმე ის, რომ მეტყველი სუბიექტი ტექსტში არ ჩანს, თუმცა ცხადია, არსებობს ან არსებობდა, სხვაგვარად ტექსტი ვერ შეიქმნებოდა. ხოლო დანარჩენი ორი ასპექტი ლოკალური და ტემპორალური აშკარად ჩანს; ლოკალური ასპექტის მიხედვით მოქმედება საქართველოში ხდება, ხოლო ტემპორალური ასპექტის მიხედვით საქართველოს კონსტიტუცია 1921 წელს შეიქმნა.

მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული დანარჩენი კატეგორიები-

დან არც ერთი არ არის მოცემული იურიდიულ ტექსტში; ისიც მინდა დავძინო, რომ ხდება უკვე არსებულ კატეგორიათა გადააზრება და მათთვის პრაგმატულობის სტატუსის მინიჭება.

პრაგმატულ კატეგორიათა პირველი ქვესისტემა უფრო უკეთესადაა შესწავლილი, ვიდრე მეორე, ვინაიდან პრაგმატიკა ტრადიციულად გულისხმობდა მხოლოდ სუბიექტს, ლაპარაკობდა სამეტყველო აქტის ეგოცენტრიზმზე. მაგრამ ვინაიდან აღვნიშნე, რომ იურიდიულ ტექსტებში აქცენტი მეორე — მსმენელ სუბიექტზეა, ჯერ მინდა კიდევ ერთხელ დავასახელო, ხოლო შემდეგ განვიხილო როგორ არის განფენილი თითოეული მათგანი ჩემ მიერ აღნიშნულ იურიდიულ ტექსტში. ეს კატეგორიებია:

ინფორმაციულობის კატეგორია

ექსპრესიულობის კატეგორია

გამჭვირვალობის კატეგორია

კატეგორიათა ამ ქვესისტემას საფუძვლად უდევს ადრესანტის დაინტერესება იმით, რომ ადრესანტმა მას ადეკვატურად გაუგოს. ეს კი ნიშნავს, რომ ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი — ეს საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია, მაგრამ ეფექტურობის მისაღწევად მთავარი ის კი არ არის, რომ ტექსტი შეიცავდეს ლოკაციას, მოდლობას, შეფასებას და ა.შ. ტექსტი გარკვეული თვალსაზრისით უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

ახლა კი ვნახოთ, რამდენად ინფორმაციულია, გამჭვირვალე და ექსპრესიულია იურიდიული ტექსტი.

იურიდიული ტექსტიც, როგორც ყველა ტექსტი, თავის თავში გულისხმობს გარკვეულ ინფორმაციულობას. მსმენელი სუბიექტისთვის ფაქტობრივ ჩემს ხელთ არსებული საქართველოს კონსტიტუციის ინგლისური ვერსია ითვლება ახლად. მისთვის ახალია ყოველივე, რაც კონსტიტუციაში წერია; თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ იურიდიულ სფეროში მოღვაწე პირთათვის კონსტიტუციის ყოველი მუხლი, ყოველი პუნქტი, ცნობილია, ხოლო რიგითი მკითხველისთვის — ახალი.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მართებული იქნება, თუ ვახსენებთ კოჰერენტულობას, რომელიც ყველა კატეგორიის ინტეგრირებას ახდენს. იგი ითარგმნება, როგორც შეკავშირებულობა. კოჰერენტულობის ხსენება იმიტომ დამჭირდა, რომ აღვნიშნო, ტექსტში მთავარია

შინაგანი შეკავშირებულობა. ცნობილია, რომ რომელიც იერარქიული დონეც არ უნდა ავიღოთ ტექსტისა, ტექსტი მუდამ წარმოადგენს ისეთი წინადადებების თანმიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ძირითადი თემით; ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა, ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა — მთავარია შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის. კოჰერენტულობა კი ითვლება ცენტრალურ კატეგორიად, რადგან იგი ასახავს ტექსტის ძირითად მაკონსტრუირებელ ნიშანს.

ეს რაც შეეხებოდა ინფორმაციის კატეგორიას, რომლის განხილვამაც გამახსენა კოჰერენტულობა და საჭიროდ ჩავთვალე ორიოდ სიტყვით ამეხსნა მისი კავშირი ინფორმაციულობასთან.

ახლა კი გადავიდეთ მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებულ, მეორე პრაგმატულ კატეგორიაზე — გამჭვირვალობის კატეგორიაზე. ამ კატეგორიის არსებობა და ცხადია, შინაარსიც განპირობებულია ადრესატი. ტექსტი გამჭვირვალეა იმდენად, რამდენადც იგი გამჭვირვალეა ადრესატისთვის. გამჭვირვალეობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის.

იმისათვის, რომ გავიგოთ ჩემ მიერ განსახილველად აღებული იურიდიული ტექსტი გამჭვირვალეა თუ არა, მხოლოდ ის არ კმარა, რომ ის გასაგებად იყოს წარმოდგენილი ადრესატისათვის, არამედ გამჭვირვალეობის ყოველი ფაქტორი უნდა იყოს მოცემული ტექსტში.

პირველი ფაქტორის მიხედვით ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია უნდა იყოს ერთნაირი ორივე მონაწილისთვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალეობა ვერ იქნება. საქართველოს კონსტიტუციის განხილვისას კი რეფერენტულ სიტუაციას წარმოადგენს კონსტიტუცია თავისი მუხლებით. ცხადია, იგი ერთნაირია მეტყველი სუბიექტისთვის (რომელიც დაფარულია, მაგრამ არსებობს) და მსმენელი სუბიექტისთვის.

მეორე ფაქტორია კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება): კომუნიკაციური სიტუაცია უნდა იყოს იდენტური ორივე მონაწილისთვის. იურიდიული ტექსტის მიხედვით კი კომუნიკაციური სიტუაცია იდენტური ვერ იქნება ორივე მონაწილისთვის; თუ რატომ, ამას შემდეგნაირად ავხსნი:

კომუნიკაციური სიტუაცია შეიცავს ორ კომუნიკანტს: ადრესანტსა და ადრესატს. ყოველი კომუნიკანტი ხასიათდება გარკვეული ნიშნებით: სოციალური სტატუსი, სოციალური როლი, და ა.შ.

ცხადია, იურიდიული ტექსტის შემთხვევაში, ორივე მონაწილეს ერთნაირი სოციალური სტატუსი, ანდა სოციალური როლი ვერ ექნება. შეიძლება ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა სოციალური როლი ანდა სტატუსი აქვს მეტყველ სუბიექტს, ვინაიდან იგი ტექსტში არ ჩანს;

გამჭვირვალეობის შემდეგი ფაქტორია კომუნიკანტთა თეზაურუსები — მათი ფონური ცოდნა თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ჩემ მიერ აღნიშნულ იურიდიულ ტექსტებში კი ტექსტის შემქმნელისა და აღმქმელის თეზაურუსები არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაძლებელია, ამ კატეგორიის ტექსტის მკითხველის წარმოდგენათა და ცოდნათა ერთობლიობა არ შეესაბამებოდეს ტექსტის შემქმნელის ცოდნათა ერთობლიობას. ლინგვისტიკაში თეზაურუსების გვერდით იყენებენ აგრეთვე ტერმინს ფონურ ცოდნასა და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წარმოშობის ტერმინს სამყაროს ხატს. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს, რომ კომუნიკანტებს წარმოდგენა აქვთ ერთმანეთის თეზაურუსებზე, ფონურ ცოდნასა თუ სამყაროს ხატზე, რაც იურიდიული ტექსტების შემთხვევაში ვერ ხდება. ყოველი თეზაურუსი ამასთანავე გულისხმობს არა მარტო სამყაროს შესახებ უშუალო ცოდნის ან წარმოდგენათა სისტემას, არამედ ამ სისტემისათვის დამახასიათებელ პრესუპოზიციასა სისტემასაც. ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ გამჭვირვალეობის კატეგორია უშუალოდ მიემართება ისეთ ზოგადკომუნიკაციურ კატეგორიას, როგორცაა კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე იურიდიული სტილის ტექსტი ნაწილობრივ გამჭვირვალეა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი გასაგებია მკითხველისათვის, მაგრამ გამჭვირვალეობის ყველა ფაქტორს ვერ პასუხობს.

პრაგმატულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემის შემდეგი კატეგორიაა ექსპრესიულობის კატეგორია. ტრადიციულად მთელი გამონათქვამის ან გამონათქვამის რომელიმე კომპონენტის ექსპრესიულობა ათვისებული იყო ლინგვისტიკის მიერ კონოტაციის ცნების საშუალებით; კონოტაციას კი სტილისტიკა შეისწავლიდა. აქაც საქმე ეხება პრაგმატიზაციის ფენომენს, რაც მუდამ ორ მომენტს შეიცავს: სუბიექტივიზაციისა და ტექსტოლოგიზაციის მომენტებს.

სტილისტიკის ფარგლებში ტექსტის ანდა მისი რომელიმე კომ-

პონენტის ექსპრესიულობა გულისხმობდა, რომ ყოველი გამონათქვამი ანდა მისი კომპონენტი დენოტაციის გარდა მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. არსებობს ნეიტრალური კონოტაციაც. კონოტაციის გარეშე გამონათქვამი არ არსებობს, ისევე როგორც დენოტაციის გარეშე.

სუბიექტივიზაციის პლანში კი ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე. ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია არ უარყოფს იმას, რომ ადრესანტმა შეიძლება გამოხატოს თავისი სუბიექტური დამოკიდებულება, მაგრამ მისი მიზანია, ადრესატზე ზემოქმედება.

ჩემ მიერ დასახელებული იურიდიული ტექსტი არაექსპრესიულია. მინდა ვთქვა, რომ არა მარტო ეს კონკრეტული ტექსტი, არამედ საერთოდ, იურიდიული ტექსტები ექსპრესიულობით არ ხასიათდებიან; ყოველივეს ავხსნი შემდეგნაირად:

თუ მეტყველი სუბიექტი გამოხატავს რაიმესადმი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების გამოხატვა კომუნიკაციური თვალსაზრისით ეფექტურია — ხოლო ეფექტურია იგი იმ შემთხვევაში, თუ ეს სუბიექტი ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს, — მაშინ ეს კომუნიკაციური ეფექტურობა ემყარება არა მარტო ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურად გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის.

იურიდიული ტექსტის შემთხვევაში კი ამგვარი რამ წარმოუდგენელია. ჩემ მიერ დასახელებული ტექსტი ხომ დოკუმენტია, რომელშიც მთავარია ფაქტების, კონკრეტული პირობების აღნიშვნა და არა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულება და ის, თუ რა ზეგავლენას მოახდენს იგი მსმენელზე.

აქედან გამომდინარე, დასახელებულ იურიდიულ ტექსტს ექსპრესიულობის კატეგორიას ვერ მივუყენებდი.

საქართველოს კონსტიტუცია, ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციულია, ნაწილობრივ გამჭვირვალე და არა ექსპრესიული.

ლიტერატურა:

იული, 1996 — Yule. G. , "Pragmatics", Oxford University Press, 1996.

ლევინსონი, 1983 — Levinson Stephen C. , "Pragmatics", Cambridge University Press, 1983.

კუკი, 1994 — Cook G., "Discourse and Literature", Oxford University Press, 1994.

ლიჩი, 1983 — Leech G. N., "Principles of pragmatics", London N.Y., 1983.

ნიკოლაევა, 1978 — Николаева Т., "Лингвистика текста", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

იზენბერგი, 1978 — Изенберг Х., "О предмете лингвистическое теорий текста", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

სგალი, 1978 — Сгалл П., "К программе лингвистики текста", "Новое в зарубежной лингვистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

ვეუბიცკა, 1978 — Вежбицка А. , "Метатекст в тексте", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

ბარტი, 1978 — Барт П., "Лингвистика текста", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

ვან დეიკი, 1978 — Ван деик Т., "Вопросы прагматики текста". "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, М., 1978.

არუთინოვა, 1985 — Арутюнова Н. Д., "Истоки, проблемы и категорий прагматики", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск XVI, лингвистическая прагматика, М., "Прогресс", 1985.

კიფერი, 1985 — Кифер Ф. О., роли прагматики в лингвистическом описании", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск XVI, лингвистическая прагматика, М., "Прогресс", 1985.

სგალი, 1985 — Сгалл П., Значение, содержание и прагматика", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск XVI, лингвистическая прагматика, М., "Прогресс", 1985.

სტოლმეიკერი, 1985 — Столмейкер Р. С., "Прагматика", "Новое в зарубежной лингвистике", выпуск XVI, лингвистическая прагматика, М., "Прогресс", 1985.

გალპერინი, 1981 — Гальперин И., "Текст как объект лингвистического исследования", Москва, Наука, 1981.

პრობსტი, 1978 — Пробст М., "Текст в системах коммуникации", в: "Проблемы структурной лингвистики", Москва, 1978.

ტურაევა, 1986 — Тураева З., "Лингвистика текста", Ленинград, 1986.

"Языковая деятельность в аспекте лингвистической прагматики" (сборник), Москва, 1984.

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, „ენა და კულტურა“, თბ., 1998.

სერგია, 1989 — სერგია, „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ., განათლება, 1989.

შენგელაია, 1987 — ნ. შენგელაია, „ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები“, თბ., თსუ გამომცემლობა, 1987.

ენუქიძე, 1990 — ენუქიძე, „ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა“, თბ., თსუ გამომცემლობა, 1990.

NASTAN AKOBIA

On Stating Prevalence or Lack of Pragmatic Categories in Juridical Texts

Summary

The paper examines the English version of the Georgian Constitution from the pragmatic standpoint, and aims at stating pragmatic categories in the given sample of legal text. Special emphasis is placed on addressor-oriented categories, viz.: the category of location.

The text in question is characterized as informative and partially transparent since it cannot meet all the demands of transparency.

თამარ არაბული, ლილი ბოქსაძე

ორენოვანი ბავშვის უმცლოების ანალიზი სემანტიკურ დონეზე

წინამდებარე სტატია ასახავს ინგლისურ-ქართული ორენოვანი ბავშვის მეტყველებაში დადასტურებულ უმცლოებათა თავისებურებებს სემანტიკურ დონეზე, კერძოდ, ბილინგვი ბავშვის სიტყვაწარმოებისა და იდიომატურ გამონათქვამთა აღქმის უნარს.

ენაში გამონათქვამთა მნიშვნელობების გააზრებისათვის გასათვალისწინებელია ფართო კონტექსტი, პრაგმატიკული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები და ფრაზების კომპონენტებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის ბუნება. შესაბამისად, ენობრივი ერთეულების სწორად აღქმა ბავშვისთვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. საქმეს ისიც ართულებს, რომ გამონათქვამის აზრი შეიძლება ექსპლიციტურად, ცხადად არ იყოს გამოხატული ენობრივი ფორმით, იგი შეიძლება მხოლოდ „იგულისხმებოდეს“.

თ. გამყრელიძის აზრით, ბავშვი ენის სწავლას „პრიმიტივებით“ იწყებს. სემანტიკური თეორიის მიხედვით, სემანტიკური პრიმიტივები ისეთი პირველადი სემანტიკური ცნებებია, რომლებსაც განმარტება არ სჭირდება, რადგან ისინი ყველასთვის ინტუიციურად გასაგებია. ადამიანებს ერთმანეთის გაგება იმიტომ შეუძლიათ, რომ რთულ გამონათქვამთა მნიშვნელობები აგებულია ამ თავისთავად ცხად და უნივერსალურ ელემენტებზე დაყრდნობით. პრიმიტივები ნებისმიერი ენის სემანტიკური სისტემის საფუძველია; მათი ათვისების უნარი ადამიანს თანდაყოლილი აქვს.

წინადადებაში სიტყვათა დაკავშირებას უნივერსალური და პრიმიტიული სემანტიკური წესები უდევს საფუძვლად, რაც ამარტივებს ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესს. მაგრამ დგება დრო, როცა ბავშვი სემანტიკის უფრო რთულ მოვლენებს აწყდება და ცდილობს მათ აღქმასა და გამოყენებას საკუთარ მეტყველებაში.

ბილინგვა ახალ ლექსიკურ ერთეულებს აწარმოებს ანალოგიის, ინტერფერენციის, კონვერსიის, მისთვის უცნობი სიტყვის ნაცნობით ჩანაცვლების, აფიქსების უჩვეულო გამოყენებისა და სიტყვათა ზმნად ქცევის საშუალებით.

როგორც მრავალი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ბავშვებს ყოველთვის ესმით ერთმანეთის და შესანიშნავად იგებენ იმ სიტყვებს, რომელთაც ისინი ქმნიან. ბუნებრივია, თვითონ ბავშვი ვერ აცნობიერებს თავის ხელოვნებას, თავის შემოქმედებით უნარსა და ენობრივ ნოვატორობას, იმას, თუ რამოდენა სამუშაოს გაწევა უხდება მის ტვინს იქ არსებული ცოდნის კოორდინაციისა და ლექსიკო-გრამატიკულ ქაოსში ორიენტაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის მიერ შექმნილი სიტყვების მნიშვნელობა მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობების ჯამს წარმოადგენს, ე. ი. იგი ქმნის არა მყარ შესიტყვებებს, რომელთაც ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, არამედ არაიდიომატურ, გამჭვირვალე, მოტივირებულ, თავისუფალ შესიტყვებებს.

ბილინგვი ბავშვის მეტყველებაში დადასტურებული თავისუფალი შესიტყვებები ჩვეულებრივ წარმოებულია ანალოგიის, ინტერფერენციის, სიტყვათა შერწყმისა და იდიომატური, არამოტივირებული ფრაზეოლოგიური გამონათქვამები მოტივირებული, გამჭვირვალე მნიშვნელობის მქონე გამონათქვამები ჩანაცვლების საშუალებით.

ენაში არსებული სიტყვაფორმების ანალოგიითა და ლოგიკური აზროვნების უნარის წყალობით ბავშვი ქმნის თავისუფალი სიტყვაფორმების საკუთარ ვარიანტებს:

1. Dad usually sits in arnchair and puts his legs on legchair;
2. Mom, give me my nosecarchief.
3. Don't go to a get-losing forest.
4. მე დედაენაზე კი არა, მამაენაზე ვლაპარაკობ;
5. იასამანი არ მომწონს; ვარდისამანი უფრო მომწონს;
6. ვაჟკაცურად კი არა, გოგოურად მოგიყვები.

ამავე ჯგუფს განეკუთვნება სიტყვები O-tummy, H-bridge, რომელთაც ბილინგვა სიტყვების — T-shirt, V-neck-ის ანალოგიით აწარმოებს.

რამდენადაც უფროსები ბავშვისთვის ენის შეუმცდარ სანიმუშო მასწავლებლებს წარმოადგენენ, მცირედი დარღვევაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ბავშვმა ჩვენგან დიდი სიმკაცრითა და სიზუსტით

ნორმების დაცვა მოითხოვოს. თუ ბავშვს არ ესმის პირდაპირი შესაბამისობა საგნის ფუნქციასა და მის სახელს შორის, იგი ასწორებს სახელს, უსვამს რა ხაზს ამ სიტყვაში იმ ერთადერთ ფუნქციას, რომლის დანახვაც მან შეძლო. ე. ი. ბავშვი ითხოვს, რომ სიტყვაში აზრი იდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ აძლევს გაუგებარ სიტყვას სასურველ ხატსა და მნიშვნელობას. მაგალითად:

1. Don't say `octopus~. Look at his legs. It's eightopus.
2. It's a beautifly, not a butterfly.
3. I found a lot of beachshells, not seashells.
4. ეს ხელთათმანი კი არა, თითთათმანია.
5. ჭიკაყვლა კი არა, მცოცავი, სულ დაცოცავს.
6. დამურა ღამით დაფრინავს, დღეურა — დღისით.

როგორც ვხედავთ, ბავშვი ენას ეუფლება არა მარტო მიბაძვის საშუალებით, არამედ კრიტიკული მსჯელობის გზითაც. ჩუკოვსკის აზრით, ბავშვის კრიტიკა ორგვარია: **ქვეცნობიერი, ცნობიერი.** თუ თავიდან ბავშვი ვერ ამჩნევს, როგორც ცვლის „გაუგებარ“ სიტყვებს საგნის თვისებიდან გამომდინარე საკუთარი ვარიანტით, მოგვიანებით იგი ჩვენი მეტყველების შეგნებული კრიტიკოსი ხდება და სიტყვებს საკუთარ ლოგიკასა და საგნების მათეულ აღქმას გააზრებულად უკავშირებს.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვი ცნებაში რაიმე თვისებას ან დანიშნულებას ამოიცნობს, მის მიერ ამ ცნების ნომინაცია სწორედ მისი დანიშნულების მიხედვით ხდება:

1. There's yesbody in the room (somebody _ ის ნაცვლად)
2. He was looking at Aladin in his time-watch (sand-watch _ ის ნაცვლად);

3. სიცხე სიცხემეტრით გამიზომე? რა ზომა მაქვს?
4. წისფქვილში ხომ ფქვილს ფქვავენ?

ხშირად მისთვის გაუგებარ ან უცნობ სიტყვაფორმას ბავშვი მისთვის მისაღები სიტყვაფორმით ან მორფემით ანაცვლებს:

1. I saw a warmapillar (catepillar — ის ნაცვლად);
2. Godwitch/Godbeauty did the magic and mouses turned into horses (fairy/godmother — ის ნაცვლად);
3. He's climbing ice-cubes (icy mountain — ის ნაცვლად);
4. ანამ ჯერ მითვალთვალა, მერე მიყურყურა.
5. ხვალ აღდგომაა, დღეს — დაწოლაა.

6. ჩიხითმა გვაქვას? ჩიხი მე ამომიღეთ, თმა თქვენ ჭამეთ.

ბილინგვა მისთვის უცხო სიტყვის ნაცვლად ზოგჯერ პერიფრაზსაც იყენებს, რომელიც შედგება მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან:

1. **They put corn in the corn house (barn** _ ის ნაცვლად).

2. **We boil water in a boiling pan (kettle-** ის ნაცვლად, **frying-pan-** ის ანალოგიით).

3. ეს წერილი წერილის ყუთში ჩავდეთ და სანტას გავუზავ-ნოთ (კონვერტის ნაცვლად).

4. ძიამ თავში ხელის მუხლი მომარტყა და მერე ხელის მუც-ლით მომეფერა.

სიტყვის დავიწყების შემთხვევაში ბავშვი ანაცვლებს მას ისეთი ლექსიკური ერთეულით, რომელიც მოცემული სიტყვის მსგავსია შინაარსის პლანში:

1. **These're flying cars (flying saucers).**

2. **The lion has four toes (paws).**

3. **When you throw a ball up, it climbs down again (falls down).**

4. ბეზიას ძროხას პატარა ძროხა გამოუჩეკია (ხბო, გაუჩენია).

5. ქარი აფრენს (ქრის).

6. დედიკო, ლამაზად ხარ გაფერადებული (შეღებლი).

ბავშვი ყოველ ახალ სიტყვაში მისთვის უკვე ნაცნობ შინაარსს ეძებს და ასეთ დასკვნებს აკეთებს:

1. **A mister makes mist.**

2. **A secretary keeps secrets.**

3. **A candidate is made of candy.**

4. ჭაობი დაობებული ჭაა.

5. ბამბუკს ბამბა ასხია.

6. ცხელარი ცხენზე ზის.

ამგვარად, დაკვირვებისა და ანალიზის უნარის წყალობით, ბავშვი უღრმავდება ყოველი სიტყვის სემანტიკას და მათ თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენს. იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ბავშვის აქტიური მეტყველების ნაწილს არ წარმოადგენს, ბილინგვა მოცემულ სიტყვას ანაცვლებს მასთან ულერადობით ახლო მდგომი სიტყვით, რაც იმის დასტურია, რომ ახალ სიტყვებს ბავშვი იმასსოვრებს ან მათში შემავალი ნაცნობი ელემენტების, ან მთელი ახალი სიტყვის ბგერითი შემადგენლობისა და ნაცნობი სიტყვის ბგერითი შემადგენლობის მიმსგავსების ხარჯზე. მაგალითად:

1. **The servants peeled more mattresses (piled).**

2. **There fly many peasants in my village (pheasants).**

3. **When you have amnesia, you don't remember nothing (amnesia).**

4. ანას ტინის სინათლე აქვს (ანთება).

5. მასწავლებელი კრედიტში წავიდა (დეკრეტში).

6. რა ბოროტებით დადგმულხარ (რობოტებით დამდგარხარ).
ზოგჯერ ბავშვი დავიწყებული სიტყვის ნაცვლად მოცემული სიტყვის ახსნას იძლევა:

1. **You put a candle in it (a candle-stick).**

2. **You keep old things there (a shed).**

3. მეფე რომ ცხოვრობს, ის სახლი მომწონს (სასახლე).

4. ცხენს რომ უკეთია, იქ ვიჭექი (ეტლი).

ხშირად ბავშვი თავისუფალ სიტყვაფორმას ენათა ინტერფერენციის საშუალებით ქმნის:

1. **My feet got stuck in the waterweeds (seeweeds** — ის ნაცვლად, „წყალმცენარის“ ანალოგიით);

2. **Do all people have honeymoon after they get married (honeymoon** _ ის ნაცვლად, „თაფლობისთვის“ ანალოგიით);

3. **He's sitting under the sunumbrella (beachumbrella** _ ს ნაცვლად, „მზის ქოლგის“ ანალოგიით).

4. ველოსიპედზე რომ ვჯდები, დაჯახების ქუდს ვიკეთებ (დამცავი მუზარადის ნაცვლად, „crash helmet _ ის ანალოგიით).

ორი ენის ბაზაზე ბილინგვი ბავშვი ხშირად ქმნის შერწყმულ თავისუფალ სიტყვაფორმებს, რომლებიც წარმოდგენილია ორივე ენისთვის დამახასიათებელი თავისუფალი მორფემებით:

1. ელენე სოფლენდში წავიდა (სოფელი + **land, England, Ireland** _ ის ანალოგიით);

2. ეს ფილმი ტელევიზონში ვნახე (ტელე + **vision, `television**");

3. ჩემს ინსაიკლოპედიაში ბევრი ცხოველების სურათია (**encyclo** + პედია, „encyclopedia“).

სიტყვათა შერწყმა ერთი ენის ბაზაზეც ხდება:

1. **It's my heliplane (helicopter + plane).**

2. **There's a strong wain outside (wind + rain).**

3. **I like eating crips (chips + crisps).**

4. გიბუა მოვიდა (გივი + ბაბუა).

5. დედა, შენ გამებუტული ხარ? (გამებუტე + გაბუტული).

6. ბაგრატიონები იყვნენ საქართველოს *მაიკები* (მეფე + პაიკი (ჭადრაკში)).

აღსანიშნავია, რომ ბავშვის ყველაზე უნიკალური სიახლეებიც კი არ გამოდიან საერთოეროვნული ენობრივი ტრადიციის ჩარჩოებიდან. ბავშვი ისევე ქმნის სიტყვებს, როგორც დიდი მწერლები ქმნიდნენ ახალ ფორმებს მხატვრულ ნაწარმოებში გარკვეული ეფექტის შესაქმნელად. მაგალითად, ლუის ქეროლი, რომელმაც თავიანთი ორიგინალურობის გამო ასეთ სიტყვებს „სიტყვა-ჩემოდნები უწოდა, თავის ნაწარმოებში „Alice’s Adventures in Wonderland“, ამგვარ ნეოლოგიზმებს ქმნის: *explotition* (expedition), *missage* (message), *inciting* (exciting + interesting).

ნიშანდობლივია, რომ ბავშვს აქვს უნარი, ზმნად აქციოს მეტყველების სხვადასხვა ნაწილი. კერძოდ, არსებითი სახელი:

1. **He’s clowning.**
2. **The clock is belling.**
3. **I’ve doored my finger.**
4. რატომ *აწამწამებ* თვალებს.
5. კრუხი *გაწიწილდა* და ქუჩა *გადახალხდა*.
6. ცოტას დავიძინებ და უფრო *გადილდება*.

ბავშვი ზმნად აქცევს ინსტრუმენტის აღმნიშვნელ სახელებსაც:

1. **Don’t inbutton my coat, outbutton it** (ჩამდილე, ამდილე).
2. **Birds arse beaking crumbs of bread.**
3. ნახე, ხორცი როგორ *აგჩანგლე*.
4. ნუ დამიჩაქუჩე ეს ლურსმანი.

ბავშვის მეტყველებაში ზმნად იქცევა ზედსართავი და ნაცვალსახელებიც:

1. **Stop crazing.**
2. **He’s greening the grass (colouring green).**
3. **He’s mining the ball** (იჩემებს — ის ანალოგიით)
4. ჯერ *გავბრაზდები*, მერე *გავკეთილდები*.
5. ვერ ავკრფე სათამაშოებს, *დავკუზიანდები*.
6. ეს ჟაკეტი ადრე მაიკოსი იყო, მერე გადიდდა და *ვაჩემდა*.

ზოგჯერ ბილინგვა ზმნად აქცევს სხვადასხვა სიტყვასა და შე-

სიტყვებსაც:

1. **She’s good-bying.**
2. ერთმა მამალმა მეორეს გადაუყიცილიყა.

3. ნუ ღმერთო-ჩემობ, ბებო.

4. ვილაც ტელეფონში ალოობს.

არ არსებობს სახელი, რომელსაც ბავშვი ზმნად არ აქცევს. როგორც ჩანს, მას არ ჰყოფნის ენაში არსებული ზმნები და დაუღალავად ქმნის ახალ და ახალ ფორმებს ენობრივი კანონების თავისებური დაცვით.

ბილინგვა ახალ სიტყვებს კონვერსიული დერივაციითაც აწარმოებს:

1. **The snow snows.**
2. **The rain rains.**
3. ისინი თევზაობენ თევზებს.
4. მოდი, წყალი მაღლა ავწყალოთ.

თავის მეტყველებაში ბავშვი ინტენსიურად იყენებს დერივაციულ ან ფლექსიით / მიმოხრით მიღებულ ფორმებსაც. აღსანიშნავია, რომ შეთვისებული აქვს რა გარკვეული სუფიქსის მნიშვნელობა, როგორც ბილინგვა, ისე ერთენოვანი ბავშვი სწორად გამოყენებასთან ერთად აზოგადებს მას ისეთ შემთხვევებზეც, სადაც მისი ხმარება მიუღებელია. ასეთ სიტყვამაწარმოებელ ბმულ მორფემას ინგლისურ ენაში წარმოადგენს — „er“:

სწორი:

1. **A watch repairer is someone who repairs watches;**
2. **A wood cutter is someone who cuts wood;**

არასწორი:

1. **A goaler is someone who scores goals.**
2. **A drawer is someone who draws.**
3. **A cooker is someone who cooks;**

საყურადღებოა, რომ პროფესიების ან საქმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებში ბილინგვი ბავშვი *seaman, postman, workman* — ის ანალოგიით ხშირად აერთიანებს ორ თავისუფალ ძირს, რომელთაგან პირველი ამა თუ იმ პროფესიასთან პირდაპირ კავშირშია, ხოლო მეორე — *man* მორფემაა. მაგალითად, *footballman (footballer), phoneman (operator), planeman (pilot), musicman (musician), sickman (patient)* და ა. შ.

როგორც ჩანს, ინგლისურის ანალოგიით ინგლისურ-ქართული ბილინგვა ქართულშიც ასეთივე ფორმებს ქმნის:

1. *პიცის კაცს* პიცა მოაქვს;
2. *ფეხბურთის კაცი* ფეხბურთს თამაშობს;
3. *ფოტოს კაცი* ფოტოს იღებს;

გარკვეული საქმიანობის შემსრულებელ ადამიანთა აღმნიშვნელ სიტყვებს ბავშვი დერივაციითაც აწარმოებს მე-ე ცირკუმფიქსის საშუალებით, ე. ი. იგი იყენებს იმ სემანტიკურ ერთეულებს, რომლებიც ენის იღუმალი კანონების მიხედვით აუცილებელია მოცემული აზრისა და მნიშვნელობის გადმოსაცემად:

1. *მეჯოხე*, ის ვისაც ჯოხი უჭირავს.
2. *მეთოკე*, ის ვინც თოკებს აბამს.
3. *მეფორცხე*, ის ვინც ფორცხავს.

სქესის განსხვავების მიზნით ორენოვანი ბავშვი არსებითი სახელის წინ ჩვეულებრივ მსაზღვრელს სვამს:

1. **Girl-beauties (fairies) _ boy-beauties (elves).**
2. **Girl-goat (nanny goat) _ boy-goat (billy goat).**
3. **Girl-sparrow (hen-sparrow) _ boy-sparrow (cock-sparrow).**
4. ეს ბიჭი ნაძვის ხეა, თუ გოგო ნაძვის ხე?
5. ერთი ყვითელი ბიჭი წიწილა **died**.

საყურადღებოა, რომ გარკვეული მორფემა ბავშვის შემეცნებაში კონკრეტულ მნიშვნელობას უკავშირდება. მაგალითად, ეს/ის უკავშირდება ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობას და ბავშვის მეტყველებაში იგი დამოუკიდებელი ერთეულის სახით წარმოდგება:

1. *ისპანახი კი არა, ესპანახი მინდა.*
2. *ესენციალი კი არა, ისენციალი მინდა.*

მსგავსად, არა/არ სიტყვის თავში უკავშირდება უარყოფას, რასაც შედეგად მოჰყვება ასეთი ფორმების შექმნა:

1. არაყანი გინდა? — *კიყანი* მინდა რა, ბებო.
2. არ არსებობს დინოზავრები — კი, *რსებობს*;
3. შენს მეგობარს ხელი ატკინე და არა უშავს? — მაშინ *უშავს*.

უარყოფა/უქონლობა/უკუთქმის მნიშვნელობას ბავშვი გამოხატავს უ — ო ცირკუმფიქსთა სახელებზე დართვის საშუალებით, როგორც ჩანს, ზედსართავისა და მიმღობის ანალოგიით. „უ“ აქ იმავე შინაარსის მატარებელია, როგორისაც უარყოფითი ნაწილაკი „არა“. მაგალითად:

1. თუ მარტო ვიქნებოდი, შემეშინდებოდა, თუ *უმარტო* — არა.
2. *უსიმალო* ვარ და ვერ ვწვდები.
3. თუ ბურთი ვერ იპოვე, ვიყოთ *უბურთიანოდ*.

ცნობილია, რომ როცა რომელიმე აფიქსი რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება, ბავშვები ითვისებენ მის ერთ, ყველაზე უფრო გავრცე-

ლებულ, მთავარ ფუნქციას და სხვა მნიშვნელობით ამ მაწარმოებლის გამოყენება მათთვის გაუგებარია. ასე ხდება უ — პრეფიქსის შემთხვევაშიც: უ — სიტყვის თავში ბავშვისთვის იმდენად უკავშირდება უარყოფითი შინაარსის გამოხატვას, რომ როდესაც იგი უფროსის მეტყველებაში აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად არის გამოყენებული, ბავშვი იბნევა:

1. რატომ ულამაზესი, პრინცესა ხომ ლამაზია?
2. რატომ „მისი უწმინდესობა?“ პარტიარქი ხომ წმინდაა?

გვხვდება უ — ს ცალკე გამოყენების შემთხვევებიც:

ლუკა ჩანთით იყო, თუ უჩანთოდ? — ჰკითხეს 2 წლის ბიჭს. მან კი უპასუხა: „უ“.

თავისებურად აწარმოებენ ბავშვები უკუთქმით ფორმებს ზმნური ფუძისაგან. გვხვდება უ — ო ცირკუმფიქსით ნაწარმოები ზმნური ფორმები:

1. *უხვეწნოდ* მათხოვე ხოლმე.
2. *უხელმოკიდებოდ* დავსრიალდი.

უარყოფითი მიმღობის წარმოებისას ბავშვები მიმართავენ იმ მოდელს, რასაც იყენებენ სახელებთან. კერძოდ, უ — ო ცირკუმფიქსს. მაგალითად: *უ-შეღებილ-ო, უ-ჩაცმულ-ო, უ-დაბმულ-ო, უ-დამყავებულ-ო, უ-დაკლულ-ო* და ა. შ.

ზოგჯერ დადებითი შინაარსის ზმნისწინიან ფორმას უპირისპირდება უ — პრეფიქსიანი უზმნისწინო ფორმა:

1. მე მომადრეს დაკრეჭილი კბილები და გამიკეთეს *უკრეჭილო*.
2. როგორი რაკეტაა, ასაფეთქებელი თუ *უსაფეთქებელი*?

ბავშვები მიმართავენ მიმღობის წარმოებას ორმაგი პრეფიქსაციით. მაგალითად: *უგაუთავებელი, უგაუნათებელი, უგაუთლელი, უგაუთხოვილო* და ა. შ.

როგორც ჩანს, ბავშვის მეტყველებაში უ-პრეფიქსი სიტყვის ძირეულ ელემენტად აღიქმება და უარყოფითი ფორმის ხელახალი წარმოება ხდება, სადაც უ — სიტყვის თავში დგას.

„უ“ ბავშვის შემეცნებაში იმდენად უკავშირდება უარყოფით მნიშვნელობას, რომ დადებითი მნიშვნელობის გადმოსაცემად იგი სიტყვას (ა)უ — პრეფიქს აცილებს: **აუტანელი** — ტანელი, **აუხდენელი** — ხდენილი, **უნებურად** — ნებურად, **უგემური** — გემური, **უნერხული** — ხერხული, **უბადრუკი** — ბადრუკი, **უკეთესი** — კეთესი და სხვ.

ინგლისურში ბავშვი უარყოფას სიტყვის წინ **not**-ნაწილაკის დასმით გამოხატავს (მაგალითად, **not clever, not beautiful, not big, not quickly**). შემდეგ იგი სწავლობს ანტონიმების მთელ რიგს და **not+adj./adv.** მოდელს ანაცვლებს მოცემული სიტყვის პირდაპირი ანტონიმით (მაგ. **stupid, ugly, small, slowly**).

პრეფიქსიანი უარყოფითი ფორმების გამოყენებას ბილინგვა მოგვიანებით იწყებს, ამასთანავე თავისებური გზით. კერძოდ, მოცემულ პრეფიქსს იგი გარკვეულ მნიშვნელობას უკავშირებს და ხშირად არასწორად იყენებს. მაგალითად, პრეფიქსი **„in“** ბავშვის შემეცნებაში „ში, შინ, შიგნით“ მნიშვნელობის მატარებელია და სიტყვების **inside, indoors, inland, inshore** – ანალოგიით, იგი **“in”** – ით დაწყებულ სხვა სიტყვებსაც ამავე მნიშვნელობას უკავშირებს: **„inborn“** – შინ დაბადებული, **“inbuilt”** – შინ ჩაშენებული, **“income”** – შინ მოსული, **“indeed”** – შინ გაკეთებული, **“intent”** – კარვის შიგნით, **“input”** – შიგნით ჩადება, **“intake”** – შიგნიდან ამოღება, **“indiscipline”** – სახლის დისციპლინა და ა. შ. მოგვიანებით ბავშვი სწავლობს **“in”** – პრეფიქსის უარყოფით მნიშვნელობას და სიტყვების - **inactive, inattentive, incurious, inexact** – ანალოგიით, იგი ამავე მნიშვნელობით ხმარობს სიტყვებს: **„insure”** – არ დარწმუნება, **“intense”** – არა დაძაბული, **“ingenious”** – არა გენიოსი/გონიერი, **“infamous”** – არა ცნობილი, **“incense”** – არა მგძნობიარე, **“indifferent”** – არა განსხვავებული და სხვ.

განსაკუთრებით განვითარების ადრეულ ეტაპზე ბილინგვა ხშირად იყენებს კინოზობით-ალერსობით სუფიქსებს: **y/ie** (ინგლისურში), **კა/ნა** (ქართულში). მაგალითად, **dollie** (პატარა თოჯინა), **roadie** (პატარა გზა), **cloudie** (პატარა ღრუბელი), **doggy** (პატარა ძაღლი), **foggy** (ცოტა ნისლი), **rainy** (ცოტა წვიმა); ძაღლუ**კა**, წიგნუ**კა**, დათუ**ნა**, თევზუ**ნა** და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში აფიქსთა პროდუქტული ხმარება განაპირობებს ბავშვის მეტყველებაში მათ აქტიურ გამოყენებასაც, განსაკუთრებით ზმნებთან მიმართებაში. ბავშვი ხშირად ამჩნევს, რომ ზმნისწინიანი ფორმა მომავალ ან წარსულ დროს და სრულ ასპექტს გამოხატავს, უზმნისწინო კი – ახლანდელ დროს ან ზოგად აწმყოს და უსრულ ასპექტს, ისიც ახალ ფორმებს ზმნისწინიანი ფორმის ზმნისწინის ჩამოშორებით აწარმოებს. მაგალითად, „ყვანა“. ზმნისწინიანი ფორმა ბავშვისთვის მომავალი დროის გამოხატველია და ახლანდელ დროში ისიც უზმნისწინო ფორმას იყენებს:

1. საბავშვო ბაღში დედა ავტობუსით *მიყვანს* ხოლმე, მამა – მანქანით.

2. სარდაფში *გყვები* ბებიას.

სხვა შემთხვევაშიც, როცა ახლანდელი დროის ფორმები ნორმის მიხედვით სხვა ძირის ზმნებით ან მიმდევარაზე მეშველი ზმნის დართვით იწარმოება, ბავშვები უზმნისწინო ფორმებს იყენებენ:

1. პური მანდ *გიძალია?*

2. თმები მინდა რომ მაღლა *მეწიოს*.

3. კითხვა უფრო მიყვარს, ვიდრე *ყოლა*.

4. ონკანი *ვშვი*, *ვშვი* და მოვუშვი.

რომელიმე მორფემის ფუნქციის გათავისების შემდეგ ბავშვი მისთვის ცნობილი მოდელის მიხედვით ქმნის ახალ ფორმას და სიტყვის ძირეულ სემანტიკურ მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევს. მაგალითად:

1. **First he swallowed grandma, then he outswallowed her.**

2. **I inbuttoned my coat. Can you outbutton it?**

3. **I inhammered and outhammered this nail.**

4. მე უკვე გადავიფიქრე და ახლა ველარ *გადმოვიფიქრებ*.

5. ქული მეხურა და მამამ *ამახურა*.

6. ჯერ მუცელში ვიყავი დაბადებული, მერე ისევ *გადმოვიბადე*.

არასწორი ზმნისწინის ზმნაზე დართვით ბავშვი ისეთ უჩვეულო ფორმებს ქმნის, როგორცაა, კუჭი *შემეშალა*, *შეისმინე* ზღაპარი, დედოფალმა *შეიცინა* და სხვ.

საყურადღებოა, ბავშვის მეტყველებაში წაი/შემომე ზმნისწინების გამოყენების სპეციფიკაც. „წაი“, რომლის მნიშვნელობაც მოქმედების სიმცირეს აღნიშნავს (წაიძღვრა, წაიცეკვა), ასეთ კომბინაციებში გვხვდება: **წაიმალა**, **წაიცინა**, **წაისეირნა**, **წაილია** (ცოტა დალია) და ა. შ. ხოლო „შემომე“ – რაღაცის უნებურად გაკეთებას გულისხმობს და ბავშვიც, შემომეჭამა, შემომელახა-ს ანალოგიით, ასეთ ფორმებს ქმნის: **შემომეთამაშა**, **შემომეძინა**, **შემომეთქვა**, **შემომეტკინა**, (თვალები) **შემომეხილა** და ა. შ.

როგორც ჩანს, გარემომცველ ადამიანთა მეტყველების მრავალჯერადი უშუალო ზემოქმედების წყალობით, ბილინგვას გონებაში ილექება ლექსიკო-გრამატიკული განზოგადებანი, რომელთაც იგი მოხერხებულად და მოქნილად იყენებს საჭირო შემთხვევებში.

კაუზალური მიმართების დასწავლის შემდეგ ბავშვი ანალოგიით აწარმოებს არაადეკვატურ ფორმებს მოქმედებითი გვარის ზმნებზე — ინ სუფიქსის დართვით. მაგალითად: *დამისვინე* (დამისვი), *გადამასვინე* (გადამსვი), *ამადგებინე* (ამაყენე), *დამაჯღინე* (დამსვი), *ამაცოცინე* (ამაცოცე), *ვაცეკვინე* (ვაცეკვებ), *მაყურებინე* (მაჩვენე) და ა. შ.

ზოგ ზმნას არა აქვს პასივი, ბავშვი კი სხვა ვნებითის ყალიბის მიხედვით ასეთ ფორმებს ქმნის:

1. გუბე *ყენდება*.
2. ის ძალი მინდა, თოკით რომ *იტარება*.
3. ჩაქუჩი, იცი, როგორ *იტკინება*?
4. ცხვირი გაფუჭებულა და აღარ *ისუნთქება*.

როგორც ჩანს, ფუძემონაცვლე რთული ზმნის ფორმათა წარმოებას ბავშვები გვიან ითვისებენ. ზოგადი სტრუქტურული მოდელების მიხედვით ისინი ახალ ფორმებს ქმნიან ან უბრალოდ ბაძავენ უფროსის წინადადებებს.

მაშასადამე, როგორც ინგლისურში, ისე ქართულში, ბილინგვა ინტენსიურად იყენებს აფიქსებს როგორც სწორ, ისე არასწორ კომბინაციებში. აფიქსების დართვის დროს ძირითადად არ იცვლება სიტყვის ძირეული შემადგენლობა (**longen, deepth**; უმარტო, ავიკუზე), თუმცა ზოგჯერ დასტურდება სიტყვის ძირში ცვლილებების შეტანის შემთხვევებიც (**luckidate**, მაღალი — უსიმაღლო).

ბილინგვას მიერ ნაწარმოები თავისუფალი სიტყვა-ფორმების განალიზების დროს აღვნიშნეთ, რომ ბავშვი ძირითადად ქმნის გამჭვირვალე მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულებს, რადგანაც მისი აზროვნება უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ ცნებებს. საინტერესოა, როგორია ბავშვის რეაქცია, როცა მას ესმის მყარი შესიტყვებები, ანუ ფრაზეოლოგიზმები. ცხადია, ბავშვი პროტესტს აცხადებს ამ „მზა“ ერთეულების შემადგენელი ნაწილების პირდაპირი მნიშვნელობით აღქმის გზით და უჩვეულო კითხვებს სვამს:

1. **I'm scared to death _ are you still alive?**
2. **This news broke my heart _ is it damgerous?**
3. **I'm wet to the bones _ will they dry soon?**
4. ანას წნევამ დაარტყა — მერე, ანასაც დაერტყა მისთვის.
5. მოდი, ეს შავი ღლისთვის შევინახოთ — ღამემდე?
6. თაფლობის თვე არ ჰქონდათ ჩვენს მეზობლებს — რა ცუდია, რომ თაფლს ვერ ყიდულობდნენ.

როგორც ვხედავთ, ამ რაციონალისტთა ლოგიკა დაუნდობელია. ბავშვი ფხიზლად დგას ენის „სიწმინდისა და სისწორის“ სადარაჯოზე და ითხოვს, რომ მეტყველება შეესაბამებოდეს რეალური სინამდვილის ტემპარიტ ფაქტებს.

ბილინგვას მეტყველებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იდიომების აღქმის სპეციფიკა. როგორც ვიცით, იდიომების მნიშვნელობა ლექსემების მნიშვნელობების ჯამზე მეტია, რადგანაც მათი მნიშვნელობა შეიცავს არა მარტო კომპონენტებისათვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრაზების ხატოვან საფუძველსაც. შესაბამისად, როგორც ინგლისურში, ისე ქართულშიც ბილინგვა საგონებელში ვარდება იდიომის გაგონებაზე და ცდილობს ამ რთული სემანტიკური ერთეულის მისეულად აღქმას. უფროსის მიერ გამოყენებულ იდიომს ჩვეულებრივ ბავშვის მხრიდან უჩვეულო კითხვები მოჰყვება:

1. - **My neighbour is a silver-tongued person** (დამაჯერებლად ლაპარაკობს)
- **how does he talk then?**
2. — **I think you should take the bull by the horns** (სირთულეს გაბედულად შეხვდე)
- **Isn't it dangerous?**
3. - **In my house there's not enough room to swing a cat** (საცხოვრებლად არასაკმარისი სივრცე)
- **Do you have a cat? I wanted to have a puppy.**
4. - ყური დამიგდე, ნუ ცელქობ.
- როგორ? მოვიჭრა ყური და დაგიგდო?
5. - გინდა, ენის გასატეხი გითხრა?
- არ მინდა ენის გატეხა, მეტკინება.
6. - ნუ დამდეგ კულში.
- აბა, კული სადა გაქვს?

ასაკის მატებასთან ერთად ბილინგვა ეუფლება მყარ შესიტყვებათა და იდიომთა გამოყენების ტექნიკას.

ამგვარად, ორენოვანი ბავშვი უსაზღვროდ დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და ლოგიკური აზროვნების წყალობით მარტივად ართმევს თავს სიტყვაწარმოების ამოცანას, კერძოდ, მისთვის გამჭვირვალე მნიშვნელობის მქონე სიტყვათა შერწყმასა და ინოვაციური შედგენილი თუ დერივაციული ფორმების წარმოებას. ბავშვი თითქოს-და

მიჰყვება იმავე გზას, რომელიც ოდესღაც ჩვენმა წინაპრებმა განვლეს — მარტივი ლექსიკო-გრამატიკული ერთეულებიდან რთული სტრუქტურების ჩამოყალიბებისაკენ, რაც განაპირობებს ორენოვანი ბავშვის „მოჩლექილი“ ენის სრულყოფილ ენად ქცევას.

ლიტერატურა:

გამყრელიძე 2003 — თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2003.

გამყრელიძე 2002 — ე. გამყრელიძე, უცხოენოვანი ლექსიკოლათინურში. ენობრივი კონტაქტები ანტიკურ იტალიაში. თბილისი. 2002.

ჭუმბურიძე — ნ. ჭუმბურიძე, უქონლობა-უარყოფის გამომხატველი ფორმები ბავშვთა მეტყველებაში. საენათმეცნიერო ძიებანი.

ბალიაშვილი, 1988 — **Балиашвили Т.** Интерференция как проблема двуязычия. Издательство Тбилисского Университета. Тбилиси. 1988.

ბიულერი, 1930 — **Бюлер К.** Первые шаги в развитии речи. Первые суждения о развитии предложения. Москва. 1930.

ვაინრიხი, 1979 — **Ваинрайх У.** Языковые Контакты. Издательство при Киевском Государственном Университете. Издательство Объединения «Вища школа». Киев. 1979.

ბრაიანი, 1976 — **Briane M. D. S.** Children's first word combinations. Monographs of the society for research in child development. 1976.

ბრაუნი, 1996 — **Brown G., Malmkjær K., Williams J.** Performance and Competence in Second Language Acquisition. Cambridge University Press. 1996.

ჭომსკი, 1987 — **Chomsky N.** The development of grammar in child language. Oxford University Press. 1987.

კრისტალი, 1986 — **Christal D.** Listen to your Child. A parent's Guide to Children's Language. Penguin Books. 1986.

TAMAR ARABULI, LILI GOKSADZE

Error Analysis of the Speech of a Bilingual Child on the Semantic Level

Summary

The paper deals with the peculiarities of the semantic development of a bilingual child. The connection of words in a sentence is based on the universal and primitive semantic rules, which make the task of language acquisition easier for a child. Later he/she encounters more difficult aspects of semantics _ word formation and idiomatic expressions. This is when a bilingual's speech is represented by an interesting mixture of innovations in both languages.

At this stage free word combinations are produced by means of **analogy, interference, word coinage, paraphrases, affixation, conversion of words into verbs and substitution of idiomatic, non-motivated phrasal expressions by motivated, transparent ones.**

A bilingual perceives the language patterns literally protesting against the "ambiguity" of the adult speech. Eventually, a child reaches the stage of productive language use and starts to unpack his/her conceived formulas, language patterns and semantic means of expression.

ასრატ ასრატოგ-ოგარაზიში

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ინგილოურ ტოპონიმებში

ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილია. ტიპონიმებში დიალექტის თავისებურებების გამოვლენა და მათი შედარება-შეპირისპირება ამა თუ იმ დიალექტთან უფრო სრულყოფილ სურათს მოგვცემს ამ დიალექტის გრამატიკულ-ფონეტიკური პროცესების შესახებ. ეხება რა ტოპონიმებისა და დიალექტების ურთიერთიმართების საკითხს, პროფესორი ბ. ჯორბენაძე სამართლიანად დაასკვნის: „ტოპონიმია ერთ-ერთი ფრიად ანგარიშგასაწევი წყაროა ისტორიულ დიალექტოლოგიისათვის (ჯორბენაძე, 1976, 258). დღეისათვის ფართოდაა გაშლილი მუშაობა ერთიანი ქართული ტოპონიმების შეკრება-შესწავლისათვის, რათა შემდგომ დიალექტებთან შედარებისას ენათმეცნიერულად სრულყოფილი სახე გამოვლინდეს ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისა.

ინგილოური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელია ის ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რაც საერთოდ ინგილოური კილოსათვისაა ნიშანდობრივი. ინგილოურში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები სპორადულად გვხვდება ქართულ დიალექტებსა და საერთო ქართულ ტოპონიმიაში.

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ბგერები ჯ, ჟ, ინგილოურ ტოპონიმებში: **კმელ-ღელე** (მოსული); **ვჩობელა სხალი** (ალიაბადი); **მინდრობა წყარო** (ალიაბადი); **ჟორჟა ვაშლი** (კახი); **აკუნე ქუა** (კახი). ძველი ქართულის ჟ უნდა იყოს ამ მაგალითებში: **ჟანგიშულეები** (ალიაბადი); **ნადირაშულეები** (მოსული).

ინგილოურის უმლაუტები ნიშანდობრივია ტოპონიმებშიც: **გჟი** → **ჟ**: **ყუთელა სხალი** (ალიაბადი); **ცუცქული უბანი** (ალიაბადი); **შუნდრიანი** (ალიაბადი); **ცქუტანები** (მოსული).

გჟე → : **ზ ლ ბაზარი** (ალიაბადი); **ზ ლ სამარუანი** (მოსუ-

ლი); ზოგჯერ **გჟი** გვაძლევს არა უმლაუტს, არამედ ჩვეულებრივ უ-ს: **წუნტლები ნავადი** (ალიაბადი).

ფართოდაა გავრცელებული სპირანტთა დენაფრიკატიზაცია. **ძ→ზ**: ჰანი ბიზა ღელე (მოსული); იბღუ ბიზა ვერანა (მოსული), ფათა ბიზა ყოროდ (კახი); პავლი/ა/ ბიზა ყოროდ (კახი). მოყვანილ მაგალითებში ტოპონიმის მეორადი შემადგენელი ნაწილია „**ბიზა**“, რაც „**ბიძა**“-დან მომდინარეობს. **ზ-სა** და **ზ-ს** შორის : **ზ ზრიანი ტყე** (მოსული); **ზ ზრიანი მინდრები** (მოსული). **ი→ჟ**: **ზჟრკიანი** (მოსული). **ძ-ს** დენაფრიკატიზაცია ხდება არა მარტო სიტყვის დასაწყისში, არამედ სიტყვის შიგნითაც: **ზუზუა ვაშლი** (მოსული); **კუნზრიანი ტყე** (ალიაბადი).

ჯ სპირანტი შემონახულია საკუთარ სახელში, რაც იშვიათობას წარმოადგენს ინგილოურისათვის: **ჯუნა ცუცქილ** (ქოთოქლო).

იკარგვის ბგერები. **რ**: ზინა სხალი (მოსული); **სონა ზალა** წყარო (ალიაბადი); **ცხილი წყარო ჰანდი** (მოსული); **ცხილიანი ყოროდები** (ითითალა). **მ**: **ლურჟსხალი** (მოსული); **ბეგევი სხლევ** (ალათემური); **ჟაგენები** (მოსული); **ყელიანა სხალი** (მოსული);

ი: **გორგი ჩოქაქ** (ილისუ).

ტოპონიმებში პატრა აყდარი (მოსული); პატრა ჩალა (ქემუხთან) პატრა ბინა (ალათემური), ჩვეულებრივ, კუმშვასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან „სიტყვა „პატარა“, თუკი იგი მსაზღვრელადაა გამოყენებული ზოგ ტოპონიმებში, ჩვეულებრივ, იკუმშება, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ტოპონიმებში“ (ჯორბენაძე, 1976, 242). ვ ბგერა იკარგვის ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოში:

ვერნი წყარო (მოსული); **ვერნობა კალიები** (მოსული); **მინდრი თომარ** (თასმალო).

მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი ეკვეცება: **ჰარუმ ბეგა (ს) თხილიანი/ი/-(ყიფჩალი)**; **გრიგოლ ორბელიანი(ს) მეიდან** (კახი); **ჰიუსუფადა (ს) მინდორ** (ქოთოქლო). თანხმობანთა ასიმილაციიდან **ღ-ზ**: **ყანდალი ჰევი** (ალიაბადი). ნაწილობრივი ასიმილაცია: **ფოშტი გზა** (ქოთოქლო).

ბგერათმონაცვლეობიდან აღსანიშნავია: **ქ-ზ**: **ქოსრო ვიდი** (მოსული). **ფ-ბ**: **ფაკნი ახო** (კახი). **ე-**: **კემური** (→**კამური**) (ალიაბადი); **ზაგანი** (→**ზეგანი**) სოფელი კახის რაიონში.

გ-მ: **ტარტარონ მენავევ** (ალათემური). **ყ-კ**: **ბაკაკი წყარო** (მო-

სული). **მ-ნ:** კონსერვანტი (ალბანური). **ჰ-წ:** ჰიბლიანი (ყორანი). **ხ-დ:** ჰროსინები (ალბანური). **-ე:** ბექმაზანები (ალბანური). **ო-ი:** ჰაჟი ქარიშხანი კალიები (მოსული).

ი ბგერა განვიტარდა ტოპონიმებში: **ბრიმა დარჩინა კიდი** (მოსული); **ბრიმა ასადულა ყორანი** (მოსული).

ბგერათა გადასმის მაგალითია **ღურბლი წყარო** (ალბანური).

გ+ა კომპლექსის **ო** ხმოვანში გადასვლა ნიშანდობლივი მოვლენაა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა მონაცემებზე დაყრდნობით პროფ. ბ. ჯორბენაძემ შემდეგი დასკვნა შემოგვთავაზა: „აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ კილოებისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ენობრივ არეალებში ეს პროცესი არა მხოლოდ საერთო თვისებას ამჟღავნებს, არამედ რაოდენობრივადაც ზოგჯერ ერთი და იმავე კონკრეტული მაგალითებით ვლინდება“ (ჯორბენაძე, 1976, 244-245).

გ+ა ინგილოურ ტოპონიმებში: **წონილი** (ითითალა); **ნაცოლი** (ალბანური); **ცხორი გემრა** (მოსული). ზაქათლის რაიონის სოფელ მოსულთან, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ძველი ნამოსახლარი **ფადარი** || **უფადარი**. აქ დღესაც თვალნათლით ჩანს სასაფლაო და გორა „**ფორფად ყალა**“ — მიწის გორა, რომელსაც დაფარავს ოდესღაც ამ ადგილას მცხოვრებთა მთელი ქონება.

ხალხურ გადმოცემებში შემონახულია თქმულება **ფადარის** დაუვიწყარ ღვინებზე. „ქართლის ცხოვრება“ მრავალჯერ მტკიცედ გვარწმუნებს, რომ **უფადარში** ციხეც მდგარა და ქართველ მეფეთა ხშირი სტუმრობაც ყოფილა. ეს ადგილები არც მტრის თვალსა და ყურს გამორჩენია მხედველობიდან. ნადირშაჰის ბრძანებით აქედან აუყრიათ ქრისტიანი მკვიდრნი: „კუთლად ყოფილ არს ალაზნის მოსაბრუნთა შინა ძუელად შენობა ქრისტიანეთა, და შემდგომად დასხნეს ელნი, და უმეტეს ხანთა-ელი ფადარი, დიდი, მრავალი გარნა იგიცა აპყარა შანადირ იორის-პირს ელითურთ“ (ბატონიშვილი, 1973, 541). ქართლის ცხოვრების სხვა გვერდებზე (იქვე, 437, 543, 593, 605, 625) ნაამბობია ამ ადგილებში ოსმალოთა და ჭარელთა ბრძოლის ამბავი, ზურაბ ერისთავსა და თეიმურაზს შორის ატეხილი დავის პერიპეტები უფადარის სანახებში იშლება და სხვ.

ნათელია, რომ მეფეთა საკადრისი და შესაფერისი ციხე თუ სოფელი მართლაც გამორჩეული, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ყოფილიყო თავისი მდებარეობით, სტრატეგიული თვალსაზრისით თუ კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებით. ვახუშტის აღწერილობით, „მოსაბრუნთა ჟადარიობა“ ჰერეთში შედიოდა და მის ეპითეტად გამოდგება „ქართლისავე ცხოვრების“ სიტყვები: „და არს ესრე სანადირო კეთილი“.

ტოპონიმის უძველესობა უდავოა, საინტერესოა მისი ახსნა: **უფადარი** და **ფადარი** ძველ ტექსტებში სინონიმებია. „ფადარი“ ასე შეიძლება დავყოთ: **ფა-დარი**. გავიხსენოთ **რიონი** მდინარის სახელწოდების ეტიმოლოგია: **ფაზის** || **ფასიდ**. აქაც ფუძედ გამოიყოფა **ფასის** და **იდ** ბერძნული დაბოლოებანი. მეორე თვალსაზრისით, **ფას-ფსა** || **ფშა** ზოგადად წყლის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩიქობავა, 1942, 197).

ჩვენთვის საინტერესოა **ფა-დარ**-შიც **ფა** შეიძლება **ფას** სიტყვის ნაშთი იყოს, რადგან ადგილი მდინარე ალაზნის პირსაა. სიტყვის მეორე ნაწილი კი **დარი** უნდა აიხსნას „**დარიალის**“ ანალოგიით (მონათესავე დერბენტი (ჭუმბურიძე, 1982, 159), რომელშიც **დარი** — კარს ნიშნავს და, თუ გვაქვს **კლდე-კარი**, **ქაშის-კარი** და სხვა, რატომ არ შეიძლება და ყოფილიყო **ფადარი**, ე.ი. **ფას-დარი**, **წყლისკარი**?

საინგილოში არის სოფელი **ფალდარლუ**, რომლის სახელწოდებაც **ფადარიდან** უნდა გამომდინარეობდეს. ისტორიულ წყაროებშიც ნათქვამია, რომ უფადარელნი აპყარეს და გადაასახლეს, ნაწილმა თვითონ უშველა ალბათ გახიზვნით. შესაძლოა, იმ გაქცეულ მოახალშენებმაც ახალ სოფელს ძველი სახელწოდება შეუნარჩუნეს. ფადარიდან გადმოსახლებული კაცი, სახელად, მუსა ცხოვრობდა სოფელ მოსულში და მას მოსახლენი **ფადარ-მუსას** ეძახდნენ. **ფალდარ-ლუ**-ში **ლუ** აზერბაიჯანული მაწარმოებელია.

ლიტერატურა

ჯორბენაძე, 1976 — ბ. ჯორბენაძე, — დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმებში, „ტოპონიმოკა, I, თბ., 1976.

ბატონიშვილი, 1973 — ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწ. მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჭუმბურიძე, 1982 — ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.

ASRAT ASRATOV-OMARASHVILI

Main Phonetic Phenomena in Ingiloan Toponyms

Summary

On the whole the Ingiloan toponyms are characterized by the same processes as the Ingiloan dialect.

The analysis of some of the toponyms are presented.

ალინა ბალიშვილი

არაბული წარმოშობის ლექსიკა მებრუნო

ენათა ინტერფერენცია, გარდა ენობრივ სისტემაში მისი გავრცელების მასშტაბისა, ხასიათდება გარკვეული თვისებრივი მაჩვენებლებითაც. ვ. ახვლედიანი განიხილავს ენათა კონტაქტების შესაძლო გამოვლინებებს და აღნიშნავს „ერთი ენის მეორეზე გავლენის დადებით, ეკვივალენტურ და უარყოფით შედეგებს“ (ახვლედიანი, 1987, 8).

ენაში უცხო წარმოშობის ლექსიკის ანალიზის დროს, ყურადღებას იქცევს მეტ-ნაკლები ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობა, რომელიც თავს იჩენს ნასესხებ სიტყვასა და მის ამოსავალ უცხო სიტყვას შორის. ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამ მოვლენათა არათუ კონსტატაცია, არამედ ცვლილებათა მოტივაციაც, უცხო ენიდან შეთვისებული ლექსიკის ადაპტაციის პროცესში (რომელიც პირობითად მოიცავს ორ ეტაპს — უშუალოდ სესხების დროს სიტყვის ფონეტიკურ და სემანტიკურ ტრანსფორმაციებს და მის ცვლილებას ენაში დამკვიდრებისა და მასში ფუნქციონირების განმავლობაში). გარკვეულ კანონზომიერებათა არსებობა ზოგ შემთხვევაში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს სიტყვის სესხების დრო, პირობები, ან მისი გავრცელების მასშტაბი. ჰაუგენის აზრით „ადრეული ნასესხობანი ესაა უფრო ძლიერად დამახინჯებული სიტყვები, ხოლო შედარებით გვიან პერიოდში შემოსული სიტყვები გაცილებით ახლოს დგანან თავის უცხოურ ნიმუშებთან (ჰაუგენი, 1972, 356).

მეგრულში მოგვეპოვება არაბული ლექსიკური ნასესხობანი, რომელიც ძირითადად ქართული ენის მეშვეობით არის შესული. გარდა ამისა გვხვდება ისეთი ნასესხობანიც, რომელიც მხოლოდ მეგრულ ენაში დასტურდება. ე. ი. უშუალოდ არაბული ენიდანაა შესული. განვიხილავთ რამდენიმე არაბული წარმოშობის სიტყვა, მეგრული ფოლკლორისა და ტექსტების მიხედვით.

1) დუქანი — „დუქანი“ (ჭარაია, 1997, 62) მეგრულში პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება შდრ. ქართ. დუქანი (ქეგლ, 1986,

215) სიტყვა დუქანი არაბულია **dukkan**. სიტყვის არაბული წარმოშობა დადასტურებულია ი. ყიფშიძესთან (ყიფშიძე, 1944, 229) და მ. ანდრონიკაშვილთან (ანდრონიკაშვილი, 1996, 195). უნდა ვივარაუდოთ, რომ სესხება ადრეულ პერიოდში მოხდა. დუქანი ტექსტებში დაფიქსირებულია, მაგრამ სალაპარაკო ენაში ძალზე იშვიათად გვხვდება. იხმარება მეგრული ჯიხური. სიტყვის მეგრულ წარმოშობაზე მითითებულია ზ. სარჯველაძესთანაც. „მეგრულიდან ნასესხები ჯიხური გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში“ (სარჯველაძე, 1990, 435).

1. თიჯურა მოცადინეჲ იყიის, წანამოწანას ჯგირი დუქანი გოგუმანწყიის (ყიფშიძე, 1994, 207). „ისეთი მონდომებული შეიქმნენ, ერთ წელში დუქანი გამართეს“. ნასესხობა პირდაპირი მნიშვნელობით არის შესული მეგრულში, ეკუთვნის მეორად ნასესხობას.

2. ზანთი — „ზავთი“ (ყიფშიძე, 1994, 236) შდრ. ქართ. ზავთი (ქეგლ, 1986, 230). ზავთი სიტყვის არაბული წარმოშობა დადასტურებულია დ. ჩუბინაშვილთან (ჩუბინაშვილი, 1984, 511) და ი. ყიფშიძესთან (ყიფშიძე, 1994, 236) < არაბ. **savt**.

1. ათენერო სერით მუზარბიი მუში ზანთითგ თხილანდგ, სოქიშა იში ხუმა ქიმიანჭულდუნი (დანელია, ცანავა, 1991, 39) „ამნაირად ღამით მუზარბიი თავისი ყვირილით იცავდა, სანამღე მისი ხმა მიწვდებოდა“. არაბული — **savt** ნიშნავს „ხმას“, „ყვირილს“. ქართულში სიტყვამ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა „ძლიერი ხმა“, „დიდი“, „გამაყრუებელი ხმაური“ (ქეგლ, 1986, 230).

ს.-ს. ორბელიანის მიხედვით „ზავთი სხვათა ენაა ქართულად ბაქი ჰქვიან“ (ორბელიანი, 1965, 278). ქართულში არაბული სიტყვების მნიშვნელობის ჩამოყალიბების პროცესში, ამ სახელთა მნიშვნელობის ტრანსფორმაციის ანალიზისას შეიმჩნევა ერთი ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეულების დამკვიდრება. შემოსული სიტყვები ხშირად იცვლიან თავიანთ მნიშვნელობას და ამდენად ქართულში და შესაბამისად ქართულიდან მეგრულში, ან სხვა ენიდან შემოსული არაბული სიტყვები სემანტიკური ძირის ფარგლებში იცვლიან სინონიმურ და იდენტურ მნიშვნელობას. არაბული **savt** მეგრულში იმავე სემანტიკურ მნიშვნელობას ატარებს, რასაც ქართულში. ფონეტიკური ტრანსფორმაციის მხრივ აშკარა ცვლილება შეინიშნება კბილბაგისმიერი, მყდერი ვ- თანხმოვანი, ენაკბილისმიერი ნ- ბგერად იქცა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სესხება ადრეულ პერიოდში მო-

ხდა. სალაპარაკო ენაში შენარჩუნებულია მეგრული ღვარა — „ყვირილი“-ს მნიშვნელობით.

3) თაბუნი — „ამხანაგი“, „სწორი“ (ყიფშიძე, 1994, 239) შდრ. ქართ. თაბუნი — გუნდი, ჯგუფი (ქეგლ, 1984, 234) თაბუნი დ. ჩუბინაშვილთანაც ცხენების ჯოგს ნიშნავს (ჩუბინაშვილი, 1984, 534), განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა აქვს ს.-ს. ორბელიანთან, თაბუნი — „რამთონიმე მისი ხელქვეითი“ (ორბელიანი, 1965, 298). არაბული **tābī** ნიშნავს მიმდევარს, მსგავსთა სულს. არაბული სიტყვა თავისი სემანტიკური დატვირთვით პირდაპირი მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება. მეგრული თაბუნი და არაბული თაბიუნ ნიშნავს სულიერ ამხანაგს, სულიერ მიმდევარს, მსგავსთა სულს.

1. მეწამალეჲ მოლუცონგ ჩილი დო დიიშაყარეს სუმხილო თაბუნენჲ (დანელია, ცანავა, 1991, 265) „მეწამლემ წამოიყვანა ცოლი და შეიყარნენ სამივე ამხანაგები“. ტექსტის შემდგენლები თაბუნ სიტყვის არაბულ წარმოშობას ადასტურებენ.

2. ნამულა უკულიანეჲჲ ზვალე აკა ჟანს იმუშეეს დო ჩქე გამითაბუნით სი თინეფი ნამუქეთი დლაში სიმონკა დო სინჩხე გინი-იჭყვიდირაფეთინი (ცაგარელი, 1880, 290; მათე, 20. 1-15) „ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ერთი საათი წაიმუშავეს და შენ ისინი ჩვენ გაგვიტოლეს, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე დავითმინეთ“. ნასესხობა ჩვენი აზრით, ადრეულ პერიოდს ეკუთვნის. მეგრულისთვის პირველად ნასესხობას წარმოადგენს.

4) მოხამუზი — „მოხამუზი“ (ჭარაია, 1997, 97). გ. ელიავასთან მუხამუზი-ი ფორმით არის წარმოდგენილი (ელიავა, 1997, 242). ი. ყიფშიძესთან სიტყვის არაბული წარმოშობა დასტურდება დეზის მნიშვნელობით (ყიფშიძე, 1994, 282). მუხამუზი გვხვდება მ. ანდრონიკაშვილთან, თურქული წარმოშობის სიტყვებთან, ხოლო მოხამუზი არაბული წარმოშობის სიტყვებისთვის არის მიკუთვნებული. ჩვენი აზრით, ეს ერთი და იგივე სიტყვაა და არის არაბული **mahamiz** (მსხვრეული მრ. რ.) რაც დეზს ნიშნავს. არაბულ სიტყვას მეგრულში დამკვიდრების შემდგომ სემანტიკური მნიშვნელობა არ შეუცვლია. მეგრულისათვის პირველად ნასესხობას წარმოადგენს. ქეგლ-ში არ გვხვდება. არაბულმა -მ, მეგრულში ხ თანხმოვანი მოგვცა.

1. ატუქ ჯორს ქიგედოხოდგ, მუუნჯე მოხამუზი დო მუჭოთ შეალებუნი თეში ქაართულუ (დანელია, ცანავა, 1991, 282) „ატუ ჯორზე დაჯდა ჰკრა დეზი და როგორც შეაძლებინა ისე გაარბენინა“. სი

ეფერი წარას ქიმმოგი მუხამუზეფია (ხუბუა, 124) „შენ ისე მწარედ მომარტყი დეზები“. მეგრულში დასტურდება მუხამუზი და მოხამუზიც დეზის მნიშვნელობით. ფონეტიკური ტრანსფორმაციის მხრივ სიტყვამ ცვლილება განიცადა უ- იქცა ო-დ. მაგ. 1) მუხამუზი — მოხამუზი; 2) ცუმური — ცომური.

5) ჯილო — „გმირი“, „ძლიერი“, „ვაჟკაცი“ (ელიავა, 1997, 395) ჯილო, ჯოლო, ჯელი — „დიდი“, „უზარმაზარი“ (ჭარაია, 1997, 184) ჯილო სიტყვის არაბული წარმოშობა დასტურდება ყიფშიძესთან დი-დი-ს მნიშვნელობით (ყიფშიძე, 1994, 413) და მ. ანდრონიკაშვილთან (ანდრონიკაშვილი, 1996, 196). არაბული jīe პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება მეგრულში, დამატებითი სემანტიკური მნიშვნელობა გაიგივდა ძლიერის მნიშვნელობით, ლომთან. 1. მის ოსქუ ჯილოს მორქია (ფაზისელი, 2000, 39) „ვის შვენის ლომსა ხმარება“. მეგრული-სათვის წარმოადგენს პირველად ნასესხობას.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი, 1996 — მ. ანდრონიკაშვილი, ნაკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I. თურქულ-ლაზურ-მეგრული მონაცემების გათვალისწინებით, თბ., 1996.

ახვლედიანი, 1987 — В. Г. Ахвледиани, О влиянии Таджикского языка на бухарский арабский диалект, М., 1987.

ბარანოვი, 1984 — Х. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1984.

ბერიძე, 1920 — შ. ბერიძე, მეგრული (ივერიული) ენა, ტფ., 1920.

ელიავა, 1997 — გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ორბელიანი, 1965 — ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV ტ. თბ., 1965.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, პოეზია. ტ. გუდავა, თბ., 1975.

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები. ტ. II.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991.

ფაზისელი, 2000 — ი. ფაზისელი, ლექსები, თბ., 2000.

ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ყიფშიძე, 1994 — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, კ. დანელია გამოცემა, თბ., 1994.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ცაგარელი, 1880 — Ал. Цагарели, Мингрелские этюды, С/П., 1880.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ხუბუა, 1937 — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

ჰაუგენი, 1972 — Э. Хауген, процесс заимствования - Новое в лингвистике, М., 1972.

ALINA BAGHISHVILI

Lexemes of Arabic Origin in Megrelian

Summary

The paper investigates the issue of interference on the material of Arabic borrowings in Megrelian. Some loan-words from Arabic appeared in Megrelian via Georgia

However, a number of Arabic lexical units that are encountered in Megrelian are not evidenced in Georgian.

თავისუფალი

ფორმისა და სემანტიკის მიმართებისათვის
გვარის ფორმებში

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ავტორები (დიონისე თრაკიელი, გეორგიუს ხერობოსკი) ზმნურ სემანტიკაში განარჩევდნენ მოქმედებას და ვნებას ან მოქმედებას, ვნებას და რაღაც საშუალო მდგომარეობას (ანტიკ. თეორიები..., 1936, 124).

გვარის ფორმათა სემანტიკის ამგვარი დახასიათება მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა და აისახა ქართულ გრამატიკულ აზროვნებაშიც. ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა პირდაპირ დამართული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განიცდილია სხვისი ზემოქმედებით. ამის მიხედვით გვაქვს გვარის სამი ფორმა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო (შანიძე, 1980, 280).

მოქმედებითი გვარი ყველგან განმარტებულია, როგორც აქტივი. მის საპირისპიროდ ვნებითი მოხსენიებულია პასივად. აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტი მოქმედია — აგენსია (რეალურად ქვემდებარის შესატყვისია), პასივად კი სახელდებულია ფორმა, რომლის სუბიექტი მოქმედების განმცდელია (რეალურად დამატების შესატყვისია). დაპირისპირების ძირითად წყვილებად მიჩნეულია მოქმედებითი და ვნებითი გვარი. საშუალო გვარის ზმნები ჩვეულებრივ დახასიათებულია უარყოფითი ნიშნით.

„პასივის ცალკე და ამგვარი კრიტერიუმით გამოყოფისას, თავს იჩენს არაერთი წინააღმდეგობა. კერძოდ, პასივის ცალკე გვარად გამოყოფის ზოგადად მიღებული სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც ამ გვარის ზმნების სუბიექტის პასივობას გულისხმობს, ქარ-

თულში ყოველთვის და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში ვერ მუშაობს“ (მელიქიშვილი, 2001, 64).

მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, ქართულ ენაში პასივად სახელდებული ყველა ზმნა არ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც წაყენებული აქვს პასივ ზმნას ზოგადი ენათმეცნიერების მიერ. მართალია, არსებობს სტრუქტურები, რომელიც სემანტიკურად ანდა ზედაპირული სტრუქტურით ვნებითს ჰგავს, მაგრამ მათ „პასივი“ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ვთქვოდით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ზუსტ სინტაქსურ განსაზღვრას, პასივისთვის აუცილებელია შემდეგი პირობები: 1. მოქმედება უნდა იყოს სრულ ასპექტში. 2. მოქმედება უნდა იყოს სტატიკური. 3. მოქმედება უნდა იყოს არაპროგრესულ ასპექტში 4. (ზოგი მეტყველისათვის) მოქმედებას არ უნდა ჰქონდეს ირიბი ობიექტი (ჰარისი, 1987, 114). მეცნიერისათვის, უნივერსალური განსაზღვრის მიხედვით, ნამდვილი „პასივი“ არის აღწერილი ვნებითი გვარის ფორმები. პრობლემები კი დაკავშირებულია იმ ვნებითებთან, რომლებიც აღინიშნება: ი — ება (ე — ება), Ø-დება, Ø-ება კონფიქსებით.

ხშირად ვნებითი გვარის ერთპირიანი ზმნებიც კი სუბიექტს აქტიურად წარმოგვიდგენენ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სემანტიკური ოპოზიციის (აქტიური სუბიექტი — პასიური ობიექტი) მიღებულ კრიტერიუმს:

ი ბ ა დ რ ე ბ ა , ი ბ უ ზ ე ბ ა , ი ბ უ ს კ ნ ე ბ ა , ი ბ უ შ ტ ე ბ ა , ი ბ ღ ი ნ ძ ე ბ ა , ი ბ ღ ო ტ ე ბ ა , ი ზ მ ო რ ე ბ ა , ი ზ უ ზ ნ ე ბ ა , ი კ ვ ი რ ტ ე ბ ა , ი ლ უ კ მ ე ბ ა , ე მ ა ლ ე ბ ა , ი პ რ უ წ ე ბ ა , ი ს უ ს ე ბ ა , ი ფ ო ფ რ ე ბ ა , ი ყ უ რ ს ე ბ ა , ი შ ხ ვ ა რ თ ე ბ ა , ი წ უ მ პ ე ბ ა , ი ჭ ა - ჭ ე ბ ა , ი ჭ ი ნ თ ე ბ ა , ი თ ხ უ პ ნ ე ბ ა , ი თ ი თ ხ ნ ე ბ ა , ი პ ა რ ე ბ ა , ი ყ უ ყ ე ბ ა ... (ის).

რელატიურ ე-პრეფიქსიან ვნებითებში სუბიექტი ბევრ შემთხვევაში არა პაციენსად, არამედ რეალურად მოქმედად, აგენსად წარმოგვიდგება (მელიქიშვილი, 2001, 64), მაგ., ე ბ ღ ო ტ ე ბ ა (ხელების მოშველიებით აღის ხეზე), ე ბ ლ ა უ ჭ ე ბ ა , ე ს ი ყ ვ ა რ უ ლ ე ბ ა , ე ტ მ ა ს ნ ე ბ ა , ე ტ ო რ ღ ი ა ლ ე ბ ა , ე მ უ ქ რ ე ბ ა , ე მ ა ლ ე ბ ა , ე ჭ ა ჭ გ უ რ ე ბ ა , ე ჩ ხ უ ბ ე ბ ა , ე კ ვ ე თ ე ბ ა , ე ძ გ ე რ ე ბ ა , ე პ ა რ ე ბ ა ... (ის მას).

ამგვარი, აქტიური შინაარსის ე-პრეფიქსიანი ფორმები ხშირად მოქმედებითი გვარის მოდელს იმეორებენ და უღლებიანს მრავ-

ვალ თავისებურებას გვიჩვენებენ. ისინი ხშირად სამპირიანებიც ხდებიან, ანუ მათი სემანტიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ მეორე ირიბი ობიექტიც შეიწყონ. ასეთები არიან ძირითადად „მეტყველება“ წრის სემანტიკის ზმნები:

ეზაასება, ელაპარაკება, ემასხრება, ეხუმრება, ეკამათება, ეთავხედება, ეუბნება, ეკაპასება, ეჩიფჩიფება, ეკინკლავება, ემუდარება, ეჭიკჭიკება, ეჩურჩულება, ესაყვედურება, ემუქრება, ემასლაათება, ეთათბირება, ებუზღუნება, ელაზღანდარება, ესიტყვება, ეფიცება, ეჟღერტულება, ებოდიშება (მელიქიშვილი, 2001, 207).

ენიან ვნებითა უმეტესობა აქტიურია: ისინი ძირითად აქტანტების (სუბიექტისა და ირიბი ობიექტის) გარკვეული სახის ურთიერთობებს ასახავენ (ებლაუჭება, ეკიდება, ეძიძილავენა, ეშველება, შეეყრება, გაეცევა... ის მას), აქტიურები არიან ე-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები მაშინაც, როცა მათ ერთ-ერთი აქტანტი (კერძოდ, ირიბი ობიექტი) აკლიათ: მიეშურება, მიეჩქარება, ემზადება... ის.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ გრამატიკული ცნება გვარისა, სემანტიკურად არ არის მოტივირებული. ეს გარკვეულწილად ეხება მოქმედებითი გვარის ზმნებსაც.

შეიძლება ითქვას, ქართულ ენაში გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთა სემანტიკა თითქოს ნაკლებად ამართლებს „აქტივად“ სახელდებას. მართალია, ეს ზმნები გრამატიკულად გარდამავლები არიან, შეიცავენ აქტიურ სუბიექტს, მაგრამ მათი აქტიურობის ხარისხი აშკარად ჩამოუვარდება პასივად მოაზრებულ ზოგიერთ ფორმას, მაგალითად:

აგონებს — ის მას; **ადევნებს** — ის მას თვალს; **ალოდინებს** — ის მას; **ანდობს** — ის მას მას; **აპყრობს** — ის მას მას; **არგუნებს** — ის მას მას; **ატყობს** — ის მას მას; **აფასებს** — ის მას; **ათევს** — ის მას; **არჩევს** — ის მას; **ამხელს** — ის მას; **აჩვენებს** — ის მას მას; **აცდენს** — ის მას (მოაცდენს), **აყვანებს** — ის მას (> აყვანებს ის); **ამჩნევს** — ის მას; **არგებს** (სარგებელს მოუტანს) — ის მას...

თვალს ადევნებს-ს — რამე მოძრავს თვალს გააყოლებს, — უყურებს, უთვალთვალებს...

ატყობს-ს — ამჩნევს, (მი)ხვდება, გრძნობს.

აგონებს-ს — 1. (გა-აგონა, გაუგონებია), ვისამე გასაგებად ამბობს, ის ამბობს, რომ გაიგონო. დადის, დაეძებს, იგი შვილს, შვილი კი ზურგში მისძახის, მაგრამ ვერაფერს აგონებს (ვაჟა).

ანდობს-ს — უზიარებს, (გა)უმყლავნებს, უმხელს (საიდუმლოს). (მზალო) ვერავის ანდობდა თავის გულის დარდს (ა. ყაზბ.)....

2. საიმედოდ მიაჩნია და აძლევს, (ჩა)აბარებს, აკისრებს...

აიყინებს-ს — აიჩემებს, დაყინებით მოისურვებს, დაიყინებს, აიხირებს. რასაც აიყინებს, გადათქმა აღარ შეიძლება მაგისი... (ს. მგალობ.).

ათევს-ს — ღამეს უძილოდ ატარებს.

აგვიანებს-ს — გვიან ასრულებს, გვიან აკეთებს რასმე, — არ ჩქარობს, აყოვნებს... იგივეა, რაც იგვიანებს. წადი, შვილო, წადი, ნულარ აგვიანებ! (აკაკი).

აპყრობს-ს ... ვინმესკენ ან რამესკენ მიმართავს (თვალს, სმენას, ყურადღებას). აბა, მაპყარ ყური სმენად და მოგითხრობ გარდასავალსაო (ზ. ანტონ.)... (ქეგელ, I, 1950).

საინტერესოა, როგორც ხორციელდება ამ ზმნებში კონვერსიის პროცესი?

კონვერსია გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ურთიერთობა აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არსებითად არის ფორმის მობრუნება, ანუ კონვერსია. თუ გამოსავლად მოქმედებით გვარს ავიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ, მაშინ, პირუკუ, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებითის მობრუნებული სახე (შანიძე, 1980).

კონვერსიის დროს ის პირი, რომელიც მოქმედებით გვარში სუბიექტურია, ვნებითად მოქცევისას საერთოდ იკარგება. ხოლო ის პირი, რომელიც აქტიურში პირდაპირ-ობიექტური იყო, სუბიექტური ხდება პასივში. პირთა რაოდენობა ვნებითში ყოველთვის ერთით ნაკლებია, ვიდრე სათანადო მოქმედებითში.

ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა, ამიტომაც ძალიან ცოტაა ისეთი მოქმედებითები, რომელთაც სათანადო ვნებითი არ მოუპოვებოდეს. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

ალოდინებს ის მას, აგონებს ის მას მას, აპყრობს ის

მას მას, არ გუნებს ის მას მას, ათევს ის მას, უშვერს ის მას, მას, აიჩემებს ის მას, აიხირებს ის მას, ალაჯებს ის რალაცას...

ამ ზმნებთან მიუხედავად გრამატიკული წესების მოთხოვნისა, კონვერსიის პროცესი არ ხორციელდება, ანუ ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებითი გვარის ზმნებს არ აქვთ უნარი, რომ შესაბამისი ვნებითი გვარის ზმნა აწარმოონ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ ხდება ასე? განხილულ ზმნათა სემანტიკა გვიჩვენებს, რომ როცა მოქმედებითი გვარის ზმნებში არ ხორციელდება ფიზიკური ზემოქმედება, კონვერსიის პროცესიც გართულებულია და ვნებითის წარმოებაც გარკვეულწილად იზღუდება. ამგვარ ზმნებში აქტიურობის ხარისხი არის შესუსტებული.

განვიხილოთ კიდევ ერთი — **ახამხამებს, აპარპალებს, აპაჭუნებს, აფახულებს, აზრიალებს, აბრიალებს, აჭრიალებს, აფრატუნებს** — ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქტიურ ზმნათა რიცხვს მიეკუთვნებიან, სემანტიკურად მაინც არ ჩანან ისეთივე აქტიურები, როგორებიცაა **ამტვრევს, ანგრევს, ბრდღენის** და მსგავსი მოქმედებითი გვარის ზმნები, შდრ.:

ა ბ რ ი ა ლ ე ბ ს — ბრიალს აწყებინებს, — აგიზგიზებს, ალიანი ცეცხლით ანთებს, კაშკაშა ალით ანთებს.

ა ხ ა მ ხ ა მ ე ბ ს — არანებისმიერად ამოძრავებს (ქუთუთო-წამ-წამს). აფახურებს თვალებს.

ა პ ა ჭ უ ნ ე ბ ს — იგივეა, რაც ახამხამებს. ბერ-მონაზონი... მწუხარების ნიშნად თვალებს აპაჭუნებდა (გ. წერეთ.)

ა პ ა რ პ ა ლ ე ბ ს — იგივეა, რაც ახამხამებს. თვალებს აპარპალებს.

ა ზ რ ი ა ლ ე ბ ს — 1. ზრიალს აწყებინებს, ზრიალს გამოაღებინებს... იგივეა, რაც აყრყოლებს.

ა ფ რ ა ტ უ ნ ე ბ ს — ფრატუნით ატარებს.

ა ჭ რ ი ა ლ ე ბ ს — ჭრიალით ახმაურებს... 2. იგივეა, რაც აკრაჭუნებს... (ქეგლ I)

ა ხ ა მ ხ ა მ ე ბ ს ტიპის ზმნებში არის შინაგანი მოქმედება, ანუ სუბიექტის მოქმედება ხდება თავის თავში, გარეთ არ გამოდის. პარალელური მიცემითსუბიექტიანი ფორმების არსებობისას ვითარება უფრო შორსაც მიდის. კერძოდ:

ა ზ რ ი ა ლ ე ბ ს ის მას — აზრიალებს მას... იგივეა, რაც აყრყოლებს. მაზრიალებდა ტანში...

ამტვრევს ის მას — ამტვრევს მას (ტანში)...

განხილული მოქმედებითი გვარის ზმნების პარალელური მიცემითსუბიექტიანი ვარიანტები მდგომარეობას გამოხატავენ და ამგვარად, ისინი საშუალო გვარის თვისებებით აღიჭურვებიან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პასიური დიათეზის წარმოქმნის შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მოქმედებითი გვარის ზმნური ლექსემის მნიშვნელობით. ეს დიათეზა უპირატესად იმ ზმნებს ეწარმოებათ, რომელთაც აქტიური სუბიექტი და ინერტული ობიექტი აქვთ. ძირითადად ასეთი ლექსემები გამოხატავენ სუბიექტის კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას ობიექტთან მიმართებით (ხრაკოვსკი, 1981, 8). უნდა აღინიშნოს, რომ პასიური გარდაქმნები არ არის უნივერსალური, არსებობენ ენები, სადაც არ გვაქვს პასიური კონსტრუქციები. ასე მაგალითად, პასიური კონსტრუქციების არქონა ერთ-ერთ მახასიათებლად არის მიჩნეული ერგატიული ენებისათვის (კლიმოვი, 1973, 104).

აქედან შეიძლება მივიღოთ ერთგვარი დასკვნა: გრამატიკული ცნებები სემანტიკურად არ არის მოტივირებული.

უპირველეს ფაქტორს, რომელიც ქმნის პასიური გარდაქმნების პოტენციას, წარმოადგენს ფიზიკური ზემოქმედების სემანტიკა — აქტიური სუბიექტი ზემოქმედებს ინერტულ ობიექტზე.

ფიზიკური ზემოქმედების ზმნები პასივად გააზრებისას თავიანთი პოტენციით მიეკუთვნებიან ორ პოლუსს, რომელთა შორისაც განთავსებულია სხვა შინაარსობრივი ჯგუფის ზმნები (მაგ.: მეტყველების, ემოციური და ფსიქიკური ქმედების, მოძრაობისა და სივრცეში მდგომარეობის ამსახველი ზმნები), რომლებიც ზოგ ენებში ხან გამოიყენება პასიურ კონსტრუქციაში და ხან არა (ხრაკოვსკი, 1981, 9).

ამ მხრივ ძალიან საინტერესო მასალას იძლევა საშუალო გვარის ზმნები. ის გვარის სამწევრიანი სისტემის წევრია და, ისევე როგორც ვნებითი გვარი, მოქმედებითი გვარის კონვერსიულ ფორმას წარმოადგენს. აკაკი შანიძის განმარტებით: საშუალოა (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში (შანიძე, 1980, 280).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საშუალო გვარის ზმნები დანაკლის მწკრივებს იმავე ფუძის აქტიური ან პასიური ფორმებით ივსებენ. იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ამ დანაკლისის შევსება, საშუალო გვარის ზმნათა ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. მედიაქტიური ზმნები, რომლებიც ფორმათწარმოებით აქტიურ ზმნებს მიჰყვებიან და 2. მედიაპასივები, რომლებიც ნაკლულ მწკრივებს პასივის ფორმებით ივსებენ. მედიალურ ზმნათა ერთი რიგის აქტიური შინაარსი გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია. ამაზე მიუთითებს ტერმინი „მედიაქტივი“. ქართული ენის პირველსავე გრამატიკაში გამოყენებული იყო ტერმინი „ხატ-შემოქმედებითი“ — „ხატვებითის“ საპირისპიროდ (ანტონ I, 1885, 158).

უკვე ამგვარი დაყოფიდან ჩანს საშუალო გვარის განსაზღვრის სირთულეები, სირთულეები ეხება როგორც ფორმალურ, ასევე სემანტიკურ განსაზღვრას (ჯორბენაძე, 1975, 11). ბევრ მედიაქტივს აქტიური სემანტიკაც არ უჩანს, შდრ., ნანობ-ს... სანანებლად აქვს..., ნებვიგობ-ს.... ნებვიგად არის, განებვიგებულა, განცხრომაშია... ნეტარებ-ს... ნეტარებაშია, ნეტარებას გრძნობს... (ქეგლ, 1958), ფხიზლობ-ს... ფხიზლად არის... შიმშილობ-ს... უსაჭმელოდ, უჭმელად არის, — შშიერია (ქეგლ, 1962, VII) (სუხიშვილი, 2005).

დ. მელიქიშვილი საგანგებოდ ეხება თამაშობს, სწავლობს, სწუხს ტიპის ზმნებს და მიაჩნია, რომ ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ: თამაშობს ის — ითამაშა მან, სწავლობს ის — ისწავლა მან. ობიექტი შეიძლება გარეთ გამოვიდეს, ასე ვთქვათ, ამოტივტივდეს: თამაშობს ის — თამაშობს ის მას, სწავლობს ის — ისწავლობს ის მას. მაშინ ამ სტრუქტურის ზმნა პირდაპირ გარდამავალ მიმართებას გამოხატავს, სრული კონსტრუქციისად იქცევა და აქტივთა ჯგუფში გადადის. მკვლევარი ასეთ ზმნებს ლაბიალურად გარდამავლებს უწოდებს (მელიქიშვილი, 2001, 68).

„ქართული ენის განმარტებით“ ლექსიკონში წარმოდგენილია არა ერთი საშუალო გვარის ზმნა, რომელთა აქტიური შინაარსი სემანტიკურად აშკარად აღემატება ზემოთ მოყვანილი მოქმედებითი გვარის ზმნების აქტიურობის ხარისხს:

ბურტყუნებს — ის / ბურტყუნებს — ის მას
ბუტბუტებს — ის / ბუტბუტებს — ის მას
როხროხებს — ის / როხროხებს — ის მას
რატრატებს — ის / რატრატებს — ის მას
რახრახებს — ის
რაკრაკებს — ის

აქ წარმოდგენილი ზმნები ძირითადად ხმიანობის გამომხატველ ზმნათა რიგს მიეკუთვნებიან. მაგრამ არის კიდევ მოძრაობის გამომხატველი საშუალო გვარის ზმნები, რომელთაც აწმყოშივე დაერთვის ზმნისწინები მი-, მო-, გა-, და-, შე-, ჩა-, მაგრამ განსხვავებით მოქმედებითი გვარისაგან ეს ზმნისწინები არ ქმნიან ასპექტურ დაპირისპირებას და უსრული ასპექტისანი არიან.

მიბაკუნებს — ის, მიბაბიჯებს — ის, მიბაგელვებს — ის მას, მიბაღაჯებს — ის, მიბაპობს — ის მას, მიბარდევებს — ის მას, მიბობღავს — ის, მიბობრძიკებს — ის, მიბედინება — ის, მიხტის — ის, მიხობხავს — ის...

დ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ ამ ზმნებში ზმნისწინები გამოხატავენ მიმართულება-ორიენტიაციას სივრცეში, ინტენსიურ მოქმედებას, მოქმედების დიდ დიაპაზონს, მიახლოებით მოქმედებას, მოქმედებას ზევიდან ქვევით ან ქვევიდან ზევით და სხვ. (მელიქიშვილი, 2001, 88).

წინამდებარე წერილში გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რა სირთულეებითან არის დაკავშირებული ქართულ ენაში გვარისა და მისი ფორმების განსაზღვრა სემანტიკის მიხედვით: გვარის კატეგორიაში შემავალ ფორმათაგან (მოქმედებით, ვნებით, საშუალო) არც ერთი არ ხასიათდება სემანტიკური ერთგვაროვნებით.

ლიტერატურა

ანტიკ. თეორიები, 1936 — Античные теории языка и стиля, под общей ред. О. М. Фрейденберг, Москва, ленинград, 1936.

ანტონ I — ქართული ღრმბატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885.

კლიმოვი, 1973 — Г. Климов, Очерк общей теории эргативности, М., 1973.

მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის

უღლების სისტემა, თბ., 2001.

სუხიშვილი, 2001 — მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილუბის პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, ტ. XXXV, თბ., 2005.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, 1950-1964, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

ხრაკოვსკი, 1981 — В. С. Храковский, Залоговые конструкций в разноструктурных языках, М., 1981.

ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ჰარისი, 1987 — ა. ჰარისი, ვნებითი ქართულში, მაცნე №3, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1987.

TAMAR BERIA

On the Relationship between the Form and Semantics in the Voice Form

Summary

In Georgian the forms included in the category of voice (Active, passive, neuter) are not semantically homogeneous. Different forms of the Passive verbs (e.g. those with **i** and **e**) can express active meanings as well and vice versa, some active voice verb forms are partially active in meaning. The active verb forms of this type convey the meaning of neuter voice and naturally do not have passive forms.

Neuter verb forms are not semantically homogeneous either. As is known they are subdivided into medioactive and mediopassive forms, however the former are not always active in meaning.

მარინა ბერსენაძე

შესაძლებლობის გამოხატვის ბრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები ინგლისურსა და ქართულში

თანამედროვე ინგლისურში მოდალობის გამოხატვის ფართო სემანტიკურ სპექტრში გამოიყოფა გარკვეული შინაარსის მოდალური ზმნები: **can** (ნამყო დრო **could**) და **may** (ნამყო დრო **might**), რომლებიც გამოხატავენ მოქმედების შესაძლებლობას (ნების დართვა, შესრულების უნარი).

can მოდალური ზმნით ძირითადად გამოიხატება:

მენტალური ან ფიზიკური შესაძლებლობა, უნარი (**mental or physical ability**); ამ მნიშვნელობით **can**-ის პარაფრაზად შეიძლება მოგვევლინოს **to be able to, to be capable to, know how to**; შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია ობიექტურ მომენტზე (**possibility which is due to the objective moment**);

ეს მნიშვნელობები განსხვავებულ კონტექსტში მრავალ სემანტიკურ ნიუანსს იძენს, როგორცაა:

თხოვნა/ნების დართვა (**permission**). (ეს მნიშვნელობა გვხვდება უპირატესად სალაპარაკო მეტყველებაში).

აკრძალვა (**prohibition**);

ირონიული ელფერის გამოხატვა (**irony**);

თავაზიანი თხოვნა (**polite request**);

საყვედური (**reproach**);

ეჭვი/დაურწმუნებლობა/ვარაუდი (**doubt, uncertainty**).

ინგლისურში, როგორც ცნობილია, მოდალობის შინაარსი გამოხატულია მოდალური ზმნებით, მოდალური სიტყვებით და კავშირებითი (ხშირად — ბრძანებითი) კილოს ფორმებით (ბაიბერი, 1999, გოქსაძე, 1998).

can-ის შემცველი კონსტრუქციები წარმოდგენილია ფორმებით:

can + simple infinitive

can + perfect infinitive

მოდალური შინაარსის გამოხატვა ქართულშიც ძირითადად ეკისრება კავშირებითი კილოს ფორმებს, მოდალურ ზმნებს, მოდალურ სიტყვებს, მაგრამ არსებითად განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით და განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით.

უარყოფითი მოდალური შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებულია თხრობითი კილოს მწკრივები და **არ, ვერ**, უარყოფითი ნაწილაკები (შანიძე, 1980), **არაფერი, ვერაფერი** უარყოფითი ნაცვალსახელები, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ შესაბამის მოდალურ შინაარსს:

„I **can't** think why. It's Iris party and I can't believe she is so particularly anxious for our company“

არ მესმის რატომ? წვეულება ხომ აირისისთვის იმართება, მას კი რაში უნდა ეპიტნავებოდეს მაინცდამაინც ჩვენი კომპანია?

Why you want to get into such stades about everything. **I can't think**

„ვერ გაიმიგია, ყველაფერში რატომ ერევი?“

can + simple infinitive-ს ფორმები ახლანდელი დროის მნიშვნელობით ქართულში გადმოცემულია აწმყოს ფორმებით ან მასდარული კონსტრუქციით — შეიძლება + სახელზმნა:

„I **can hear** you sighing through the telephone. Is anything the matter?“

„ტელეფონში **მესმის**, რომ ოხრავე. რამე ხომ არ მომხდარა?“

„Let us lunch and over lunch we will put heads together and see what **can be done**“

„კეთილი, კეთილი, — თქვა პუარომ.

მოდით ვისაუზმოთ და საუზმის შემდეგ ერთად მოვიფიქროთ და ვნახოთ რისი **გაკეთება შეიძლება**“.

მომავალი დროის ფორმათა გადმოსაცემად ქართულში გამოყენებულია როგორც მყოფადის, ისე II კავშირებითის ფორმები, რომელთაც ქართულში მომავლის გაგება აქვთ:

„I've a good friend there, **I can borrow** from he had declared“

„მე იქ ერთი კარგი მეგობარი მყავს, ვისგანაც შემიძლია ფული **ვისესხა**, — განაცხადა თურმე რუფეთმა“

„Don't upset yourself, Mrs. Drake. Least said, you know, soonest mended. We'll see what we **can do**.“

„გულის ნუ გაიტეხთ, მისის დრეიკ, ხომ გაგიგონიათ, ცოტა სიტყვა — ბევრი საქმეო.

ვნახოთ, რის გაკეთებას შევძლებთ“.

განხილული კონსტრუქცია ინგლისურში გამოყენებულია წარსულის მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევებში სათანადო შინაარსის გამოხატავად ქართულში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ნამყოფი ფორმები:

„Now **I can see**, why, if you're so horrid about him“

ახლა კი **მივხვდი**, რატომ არ მოდის. შენს არაკეთილგანწყობას გრძნობს“.

can+perfect infinitive -ის ფორმები ქართულში მოდალობის სემანტიკური ნიუანსების მიხედვით გადმოცემულია:

1. შეძლება + II თურმეობითით

„I'm begining to believe that is what happened - that, it's only thing that **can gave happened**“

„თანდათან ვრწმუნდები, რომ ასეც იყო. სხვა არაფერი შეიძლება ბოლა **მომხდარიყო**“.

2. აღნიშნული ფორმა **უნდა** + II თურმეობითთანაც გვხვდება, რაც მოცემული კონტექსტის თავისებურებად უნდა მივიჩინოთ:

How can it **have been done**?

„მაგრამ, როგორ **უნდა მომხდარიყო** მკვლელობა?“.

can+perfect infinitive-ის — შინაარსი შეიძლება გადმოიცეს უწყვეტლის მწკრივითაც.

„The glass can quite easily **have been poisoned** without needing a conjuring trick to explain it“

„მასში საწამლავის ჩაყრა ადვილი **იყო**“.

ლიტერატურა

ბაიბერი, 1999 — D. Biber, S. Johanson, Longman Grammar of Spoken and writthe English, 1999.

გოქსაძე, 1998 — L. Goksadze, An advanced course in current English, Tb., 1998.

კოტინოვი, 1986 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

ოქრობირიძე, 1974 — ნ. ოქრობირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში, „საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, II, თბ., 1974.

პალმერი, 1995 — F. R. Palmer, Mood and Modality. C.U.P., 1995.

პაპიძე, — ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“, წიგნი 4.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

MARINA BERSENADZE

Grammatical and Semantic Means of Expressing Ability in English and Georgian

Summary

The paper examines some of the linguistic means for expressing the meanings of the modal verb **can** in Georgian translations of English fiction. It is maintained that the main as well as contextual meanings of **can** may be conveyed by means of various chunks: Past Imperfect, the Aorist, the Present, Subjunctive 2, the Future. When dealing with the semantics of modality peculiarities of negative forms of Georgian, should be taken into consideration.

თამარ ბასიტაშვილი

ტერმინ „ბარქაშის“ მნიშვნელობისათვის „რუსულდანიანში“

ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანი „რუსულდანიანი“ XVII საუკუნით თარიღდება. მისი ავტორი უცნობია. ეს საგმირო-სათავგადასავლო თხზულება მეტად საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. უხვად ვხვდებით სამოხელეო და სოციალური ურთიერთობების გამომხატველ ტერმინებს.

ჩვენთვის საინტერესოა ლექსიკური ერთეული „ბარქაში“ მხოლოდ ერთხელ სახელდება „რუსულდანიანში“. მეათე კარის I თავში „აქა შამისა ხელმწიფის ბარნაოზის ანბავი“ ვკითხულობთ: „...მიხედა ღმერთმან მას გლახასაცა და ხელმწიფემან თავისისა ფირუხის **ბარქაშით** საჭმელი უბოძა ერთსა მონასა: ეს იმ შიშველს გლახას მიუტანეო. მან მონამან წაიღო და ამდენი არ აცალა ან ერთი ლუკმა შეეჭამა და ან დაჯდომილიყო და იმ ფუტის კალთაში ჩაეყარა, ის თავს დააყარა და ლანგარი წამოიღო“ (რუსულდ., 567, 36).

სიტყვა ბარქაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია როგორც მოღრმო თევზი ZABC. ნ. ლანკანი (ჭურჭელთანაც) (ორბელიანი, 1991, 96). ლანკანი ესე არს ჭურჭელი ტაბლათა : თევზი, ფეშხუმი, **ბარქაში**, ლაკანი, ლანკანაკი, ფიალი, ტაშტი და მისთანანი ZA. (ორბელიანი, 1991, 405) ჭურჭელთან : ლანკანი არს ჭურჭელი ილეკროსი (ოქრო, ვერცხლი, რკინა და ყოველი მისთანანი (ორბელიანი, 1993, გვ. 409).

ლექსიკონის ბოლოს დართულ უცხო შესატყვისობანში ვკითხულობთ ბარქაში თურქულად საჰნ ZAAb, საჰანი Cb, საჰნი Ca, საჰნი CqD, სჰანი E. სომხურად [ბადია] E. (ორბელიანი, 1993, 484) sahn [საჰნი] მოძვ. დიდი ლანგარი, სინი (რუბინიკი, 1985, 133).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბარქაშის საბასეული განმარტებაა მოყვანილი, რომელიც უფრო დაზუსტებულია. ეს არის

პატარა გობი (იხმარება სახელდახელოდ ცოტაოდენი ცომის მოსაზე-
ლად) შდრ. ხონი, თაბახი (ქეგლ, 1950, 984).

ივ. ჯავახიშვილიც საბასეული განმარტებით განიხილავს ბარქაშს
(ჯავახიშვილი, 1965, 58-65).

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მ-
სალებში, გარდა „რუსულდანიანისა“ ლექსემა ბარქაში გვხვდება:

„...მოიღეს ცხრა ათასი ოქროს დიდროვანი **ბარქაში**...“

(შაჰ-ნ. III, 189, 30-31).

„ორთავე ვერცხლისა **ბარქაში** დაუდგეს. წინა ნაპირი ყველაი
თვალითა და მარგალიტითა და ოქროთა მოკაზმული იყო“

(შაჰ-ნ. III, 555, 23)

„ფელურით ავსებდნენ **ბარქაშსა**“

(გაბ. თ. და რ. 758, 3).

„...სამოცი მარჩილი ბიჭუნტისა ღისმშობლის **ბარქაში** გეცა...“

(დას.; საქ. საეკ. საბ. 103, 5) (1700-1712 წ.)

„ესე საქადაგე ხატი, სურა, **ბარქაში** აქ დარჩა და თუ მართლად
საქართველო შეიქმნას, იპრიანოს, ღწ, ჩვენ მოვახსენოთ ამის საყ-
დრისა და სხვაცა მრავალი კარგი შევსწიროთ...“

(ქრონიკ. II, 441, 16) (1615 წ.)

„...შევსწიროე მე... ომფორის სიკივრები, რვა ვეცხლის **ბარქაში**...“

(ქართ. სამართ. ძეგლ. III, 387, 30) (1600 წ.)

„...სახლის ჭურჭელი, თასები, ჭიქები, ჩინურები, ქუაბები, თეფ-
შები, **ბარქაშები**... ყულა ძმურად გაიყონ“

(ქართ. სამართ. ძეგლ. IV 12, 19) (1523 წ.)

ბარქაში, როგორც ვხედავთ XVI საუკუნიდან უკვე ცნობილია
ქართულში.

1523 წ. ბარათაშვილების გაყრილობის წიგნში ზოგადად არის
აღნიშნული „სახლის ჭურჭელი“ და ჩამოთვლილია: „თასები, ჭიქები,
ჩინურები, ქუაბები, თეფშები, **ბარქაშები**“

(ქრონიკ. II 350, 29) (1523 წ.)

ბარქაში გვხვდება გურულ დიალექტში.

„კაცებმა... **ბარქაში**, ტაშტი, ჯამი, ვაცხლი... მუუტანეს ამ აჩა-
ბაჩას“ (დიალექტ. გურ. 427, 22).

ზურაბ ჭუმბურიძე გვაწვდის ბარქაშის სხვადასხვა ფონეტიკურ
ვარიანტს, რომელიც დღემდე შემორჩენილია რამდენიმე დიალექტსა
და ენაში : ბარქაში, ბარქამა, ბარქაშე (გურულში). ბალქაში (ქარ-

თლურსა და იმერულში), ბარქაშია (მეგრულში). ეს არის თეფშის
მსგავსი საოჯახო ჭურჭელი, ჯამზე დიდი და გობზე პატარა, დამზა-
დებული ხისა, თიხისა ან ლითონისაგან. იხმარება სუფრაზე ისეთი
კერძების მისატანად, როგორცაა ფლავი, ხინკალი და მისთანანი. ამ
ძირითადი მნიშვნელობიდან განვითარებულია გადატანითი მნიშვნე-
ლობანი : ღომის საცხველის ჯამი; საცხველი; ხმამაღალი ლაპარაკი,
ქაქანი (ჭუმბურიძე, 2001, 136).

ი. რუბინჩიკის მიერ რედაქტირებული სპარსულ-რუსული ლექსი-
კონის მიხედვით **bār-kaš || bar-keš** [ბარქაშ || ბარქემ] არის ტვირთის
გადამტანი, სატვირთო (რუბინჩიკი, 1985, 165) (იხ. აგრეთვე მოინი,
1998, 450).

როგორც ვნახეთ, ზემოთ აღნიშნულ ლექსიკონებში ბარქაში,
როგორც ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვა, არ გვხვდება.

bār-kaš [ბარქაშ] **sahnak-e bozorg** [საჰნაქე ბოზორგ] || **zarf-e bo-
zorg** [ზარფე ბოზორგ] ანუ დიდი ზომის ლანგარი; დიდი ჭურჭელი,
დადასტურებულია ალი აქბარ დეჰხოდას ლექსიკონში (დეჰხოდა,
1993, 3485) სპ. ბარქაშ-ი დეტერმინატული კომპოზიტი (ინდური
დეტერმინოლოგიით **tatpuruṣa**) შედგება ორი კომპონენტისაგან **bār**
[ბარ] და **kaš-keš** [ქაშ || ქემ]

bār [ბარ] პოლისემიური სიტყვაა და აღნიშნავს:

- 1) ტვირთი, ბარგი;
- 2) ნაყოფი,
- 3) სიმძიმე, მძიმე მოვალეობა;
- 4) ფიზ. მუხტი,
- 5) ნაყოფი (მუცლად ყოფნის დროს)
- 6) სინჯი (ოქროს, ვერცხლის)
- 7) პოლიგრ. ლიგატურა
- 8) ნაღები ენაზე
- 9) სასუქი, ნაკელი, პატივი (რუბინჩიკი, 1985, 161-162).

სწორედ სპ. **bār** [ბარ]-ის I მნიშვნელობას მიიჩნევს სიტყვის
ფუძედ ზურაბ ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე, 2001, 136).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობებისა, საინტერესოა **bār**
[ბარ]-ის სხვა მნიშვნელობაც: ზედადგარი, სამფეხი ქვაბისათვის“ და
ჩაღრმავება კერიაში (ქვაბისათვის); „კერია“. გვხვდება აგრეთვე ზმნა
bār kardan [ბარ ქარდან] ქვაბის ცეცხლზე დადგმა (რუბინჩიკი, 1985,
162).

მ. მოინისა და ალი აქბარ დეჰხოდას სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში, გარდა ძირითადი მნიშვნელობებისა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, **bār** [ბარ] აღნიშნავს „ყველანაირ პროდუქტს, რომელიც ჭურჭელში თავსდება მოსახარშად (მაგ. ხორცი, მარცვლეული, პარკოსნები, ბოსტნეული, მწვანილი, ჩირი და მისთ.)“ და „საჭმელს, საკვებს“ (მოინი, 1998, 445; დეჰხოდა, 1993, 3452).

ჩვენი მოსაზრებით, სპ. **bār** [ბარ]-ის ეს მნიშვნელობა უნდა იყოს ამოსავალი სიტყვა, რომლისგანაც წარმოიშვა კომპოზიტი **bār-kaš** [ბარქაშ], როგორც ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინი.

კომპოზიტის მეორე ნაწილი **kaš-keš** [ქაშ || ქეშ] არის აწმყო დროის ფუძე ზმნისა **kešidan** || **kašidan** [ქეშიდან || ქაშიდან], გაწევა, გათრევა, გასმა (ხაზისა), ტარება, გადატანა, გადაზიდვა, მიტანა, აგრეთვე გადაღება (საჭმლისა თეფშებზე) (რუბინჩიკი, 1985, 332); კომპოზიტის შემადგენლობაში **keš-kaš** [ქეშ || ქაშ] აღნიშნავს მწველს, გადამზიდს, მთრეველს, მატარებელს. მაგ.: **dudkaš** [დუდქაშ] საკვამლე მილი (სიტყვასიტყვით კვამლის გამწოვი). **zobālekaš** [ზობალექაშ] ნაგვის გადამტანი, მენაგვე (რუბინჩიკი, 1985, 327) (იხ. აგრეთვე დაფაროვი, 1974, 657).

ამრიგად, ბარქაში სპარსული სიტყვაა, რომელიც სპარსულ ენაში გარდა ზოგადი მნიშვნელობისა — „ტვირთის, ბარგის გადამტანი, სატვირთო“ — აღნიშნავს დიდი ზომის ჭურჭელსაც.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებიდან ჩანს, რომ ბარქაში შეიძლება იყოს ოქროსი და ვერცხლისა, რომელიც შეიძლება მოკაზმული იყოს თვალმარგალიტით. „რუსულდანიანში“ გვხვდება ფირუზის, ანუ ფირუზებით მოოჭვილი ბარქაში, რომელსაც აქვს საჭმლის, ხორაგის მისატანი ლანგრის მნიშვნელობა.

ლიტერატურა

ქეგლი, 1950 — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950.

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, თბ., 1991.

ორბელიანი, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“, ტ. II, თბ., 1993.

ჯავახიშვილი, 1965 — ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბ., 1965.

ჭუმბურიძე, 2001 — ზ. ჭუმბურიძე, ბარქაში, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

რუბინჩიკი, 1985 — Ю. А. Рубинчик, "Персидско-русский словарь" под редакцией Рубинчика Ю. А., т. I-II, М. 1985.

მოინი, 1998 — Mohammad Mo'in, Farhang-e Fārsi, I, moaseseye enteshārāt-e Amir Kabir, Tehran, 1998.

დაფაროვი, 1974 — М. А. Гаффаров, "Персидско-русский словарь" под редакцией Л. И. Жиркова, т. II, М. 1974.

დეჰხოდა, 1993 — Dehkhoda Aliakbar, "Loghtnāme" (Encyclopedic Dictionary), III, Tehran, 1993-94.

TAMAR GASITASHVILI

On the Meaning of the Term *barkaš* in "Rusudaniani"

Summary

Barkaš evidenced in "Rusudaniani" is a Persian lexical unit. *Barkaš* has a number of meanings it is a load-carrier, 2. a large tray, vessel.

The Persian *barkaš* is a compound noun.

The first component denotes _ a. luggage, load, b. all kinds of products that can be put in a vessel to be cooked. e. food.

The second part of the compound *kaš* // *keš* is the Present tense stem of the verb *kešidan* // *kašidan* meaning to pull, drag, carry, deliver. It also has some other meanings _ to underline, to help oneself to some food.

According to the Georgian works *barkaš* may be made of silver or gold, and can be inlaid with precious stones. In "Rusudaniani" *barkaš* is either a large turquoise tray or a tray inlaid with turquoise. The word in question is evidenced in the dialects of Georgian as well.

რუსულან ბერსამია

სისტემური, ბანამორებადი მოქმედების ბაზროცემა
ბილა- ზმნისწინის საზუსალებით მებრულო

მეგრულში სიარულის აღმნიშვნელი სინონიმური ლექსიკის ერთი ჯგუფი წარმოდგენილია დამოუკიდებელი ზმნური ლექსელებით, მეორე ჯგუფს კი ეს მნიშვნელობა **გილა-** ზმნისწინის დართვის შემდეგ ენიჭება.

გილა- მეგრულში პრეფიქსული ფორმანტია, შედგენილობით რთულია და იწლება **გი-გე-** და **ლა-** ფორმანტებად, სადაც **გი-გე-** მარტივი პრევერბია, ხოლო **ლა-** ნაწილაკი (ჩიქობავა, 1936, 117-118). **გილა-** მეგრულში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით არის წარმოდგენილი : **გალა-, გელა-, გოლა-, გულა-გგლა-** (ქაჯაია, 2001, 59).

თავისთავად საინტერესოა თვით ზმნისწინის სემანტიკის გარკვევა: ი. ყიფშიძის განმარტებით, მისი მნიშვნელობაა: „ВДОЛЬ, ПО, ТУДА-СЮДА, СВЕРХУ, НА“ (ყიფშიძე, 1914, 0119) და „1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით (ოდნავ დაბლა)... 2. აწმყოს მწკრივს აძლევს მყოფადის მნიშვნელობას... 3. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად“ (ქაჯაია, 2001, 329).

ზმნისწინის ფუნქციითა შორის მყოფადი დროის წარმოებაზე ჯერ კიდევ ა. ჩიქობავამ მიუთითა (ჩიქობავა, 1936, 118), თუმცა, როგორც ი. ქობალავა მიიჩნევს, „მყოფადის წარმოება დაკავშირებულია არა უშუალოდ ზმნისწინის დართვასთან, არამედ სრულსაპექტიან ფორმებთან. ამიტომ იგი შეიძლება არ მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ფუნქციად“ (ქობალავა, 2002, 166).

რაც შეეხება მესამე ფუნქციას, ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულში ზმნისწინის დართვამ შეიძლება არ წარმოშვას ასპექტური დაპირისპირება; გამონაკლისი არც **გილა-** ზმნისწინიანი ფორმებია; უსრულსაპექტიანია: **გილა-ცოთანს** „ავდებს“; **გილა-კვათუნსუ** „ჭრის“, **გილა-ჭარუნს** „ჩამოწერს“..., მაგრამ სრულსაპექტიანია: **გეგ-**

ლათოლუ „ჩამოთალა“, **გეგლაცოთუ** „ჩამოაგდო“, **გეგლაკვათუ** „ჩამოჭრა“, **გეგლაჭარე** „ჩამოწერა“.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიმართულების გამოხატვა **გილა-** ზმნისწინის უმთავრეს ფუნქციად რჩება. როგორც ი. ქობალავა ზოგადად მეგრულისათვის მიუთითებს, „ზმნისწინთა მნიშვნელობები თავს იყრის ორი წარმოსახვითი სივრცული ღერძის — ჰორიზონტალურისა და ვერტიკალურის გარშემო. ვერტიკალური სიბრტყისათვის ძირითადი სივრცითი კატეგორიებია **ჟი** „მაღლა“, „ზევით“ და **თუდო** „დაბლა“, „ქვევით“, რაც სამგანზომილებიან გრავიტაციულ სივრცეში ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება ადამიანის სტანდარტული მდგომარეობით დედამიწის მიმართ. ეს დაპირისპირება ვლინდება კონკრეტული ოპოზიციებით, რომელთაგან ძირითადია: **ჟი** „მაღლა“ — **თუდო** „დაბლა“ და ეშე „ქვევიდან ზევით“ — **გიმე** „ზევიდან ქვევით“. პირველი ოპოზიციის წევრები აღნიშნავენ სივრცეში მყოფობას, მდებარეობას, მეორისა კი — მიმართულებას“ (ქობალავა, 2002, 168).

მაშასადამე, **გილა-** ზმნისწინისათვის შეიძლება გამოიყოს ორი სემანტიკური ნიუანსი, აღნიშნოს: 1. მოქმედების მიმართულება და 2. სივრცეში მყოფობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ზმნათა დინამიკურობა-სტატიკურობას: დინამიკურ ზმნებთან გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით: **გილაკვათუნსუ** „ჩამოჭრის“, **გილასგართუნსუ** „ჩამოჭრის“ (გარკვეული სემანტიკური ნიუანსები ემატება), **გილატახუნსუ** „ჩამოამტვრევს“, **გილაქიმინუნსუ** „ჩამოაქნევს“ (სანთელს **გილმაქიმინანს** „სანთელს ჩამოაქნევს“), **გილმულუ** „ჩამოაქვს“, **გილმეჩინე** „იცივება ზევიდან ქვევით“, **გილმურს** „ჩამოდის“... სტატიკურებთან გამოხატავს მდებარეობას, მყოფობას რაიმეზე ზემოდან: **ჯას გილახე** „ხეზე ზის“, **ჟი გილაჯანუ** „ზევით წევს“, **შარას გილაჯუცუ** „გზაზეა ჩაკუზული“, **შარას გილარე** „გზაზე დგას“. ეს რიგი შეიძლება გაიზარდოს ექსპრესიულ ფუძეთა ხარჯზე: გილექვიქვინანსუ, გილეფიჟვინანსუ, გილებიჯვინანსუ..., ისინი სხვადასხვა ნიუანსებით ახასიათებენ სუბიექტს და ყველა მათგანი ამგვარი სუბიექტის ზევიდან რაიმეზე მყოფობაზე მიუთითებს.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, **გილა-** გამოიყენება ჰორიზონტალური მოძრაობის, გადაადგილების აღნიშვნის დროსაც. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მოძრაობა, გადაადგილება ხდება

სივრცეში არა გარკვეული მიმართულებით, არამედ მიმართულების გარეშე, აქეთ-იქით. შდრ.: 1. ქოჩორა **ქიმიოფაფუ** მუში ცხენით (ქსს. 80₂) „ქოჩორა მიეხეტება თავისი ცხენით“ და ირი დღას დოხტურეფი **გილეფაფუ** (ბერ. 91, 43₁₉) „ყოველდღე ექიმები იქით-აქეთ დაეხეტებოდნენ“; 2. ციხეში კარს მა გუორდი, გორდიქ **ქემანქვალუნი** (გულ. 230, 345_გ) „ციხის კართან მე ვიდექი, ბაყაყი რომ მობაჯბაჯებდა“ და მარებელეფი **გილანქვალანა** ეკი დო დიკე „მამვლები უმიზნოდ დახეტიალობენ აღმა-დაღმა“; 3. სით(ი) გიფორც, თისგთ უფორქ, **გილეკვანწით** იზა-აშო (სამ. 29, 20₆) „შენც გიყვარს, მასაც უყვარხარ, ისეინეთ იქით-აქეთ“ და იშენ ქვგორლუაფულა, შარას **მიოკვანწანდე** (გულ. 80, 151₄) „მაინც შემოგველე, გზაზეც რომ მისეირნობდე“...

აქედან სემანტიკური გადაწევით მიღებულია მნიშვნელობა სისტემატური, განმეორებადი მოქმედების აღნიშვნისა, როდესაც აქეთ-იქით მიმართულება დაჩრდილულია:

გილანაკანსუ „დახანხალეხს“; **გილაჯღარკანსუ** „დალაყლაყეხს“; **გილვოხაკა**, **გილვოჯღარკა**, სი ჩქიმ სირუმაში კაკა (გულ. 248, 351₃) „დაეხანხალეხ, დავლაყლაყეხ, შეჩემო სირმის ღილკილოვ“. **გილანაკაუა** „ხანხალი“ (ქაჯაია, 2001, 338), გილაჯღარკაუა „ლაყლაყი“.

გილერქალუ „გიყვივით დადის“: მინშა ხანგანი თეში **გილებქალქ**, მინშა იბილ ჩქიმი დუსუ (შან. 134, 124₁₂) „ზოგჯერ გიყვივით დავბორიალებ, ზოგჯერ თავს ვიკლავ“. **გილარქალუა** „ხეტიალი (აწყვეტილი)“ (ქაჯაია, 2001, 332).

გილეფაფუ „დაწანწალეხს“: ჭუმე უღუნა თი ჩიტეფს შაყარუა დო **გილეფაფუნანია** (ქსს. 248, 20₁) „ხვალა აქეს იმ ჩიტეხს შეკრება და დაფარფატებენო“. **გილაფაფინი** „წანწალი, ხეტიალი“ (ქაჯაია, 2001, 334).

გილეძვარძუ „დაეხეტება“: მუჟამც დადია **გილეძვარძულუ**, კოჩიში შურით ორდუ ვაჭრობა (ქაჯაია, 2001, 338) „როდესაც დადიანი დაეხეტებოდა [მთელი ამალით], კაცის სულით იყო ვაჭრობა“. **გილაძვარძვინი** „ხეტება“.

გილაბარჯანსუ „თავისუფლად დადის, დაბორიალობს“, სერით **გილაბარჯანქენი**, დღაშით კოჩი ვარძირუნსი (ქსს. 482, 32₄) „ღამით რომ დაბორიალობ, დღისით კაცი ვერა გნახავს“. **გილაბარჯუა** ბორიალი“ (ქაჯაია, 2001, 329).

გილებურჯანსუ „ბორგვით დადის“: ქოგულე ცოროფას — მუჭო **გილებურჯანსუნი** (გულ. 37, 67_გ) „შემოვევლე სიყვარულს — როგორ ბორგვით დადის“.

გილეფიორუ „დაფარფატებს“: ცოროფილი მუშოთ ოკო, შხვამა **გილეფიორგნდა** (გულ. 242, 351 (63₄)) „შეყვარებული რად უნდა, თუ სხვასთან დაფარფატებს“. **გილაფიორი** „ფარფატი; წადმა-უკუღმა ბრუნვით, ტრიალით მოძრაობა“ (ქაჯაია, 2001, 334).

გილაბაძღვანს დაჩლატუნობს, ულაზათოდ დადის“: სერით კოჩი ვარძირუნსუ, დღაშით მუსი **გიაბაძღვა** (ქსს. 481, 29₅) „ღამით კაცი ვერა გნახავს, დღისით რას დაეხეტები“.

გილაკვანწანსუ „დასეირნობს, დაკობტაობს“: მა გურჭვილო გიჯინე დო, სი თეში **გილაკვანწუნე** (ბერ. 52, 2₁₄) „მე გულდამწვარმა გიყურო და, შენ ისე დაკობტაობდე“. **გილაკვანწინი** „სეირნობა, კოპწიაობა“ (ქაჯაია, 2001, 330).

გილევარვალუ „დანავარდობს“: სუსტი რექ დო ვემგალეზე-თეში **გილევარვალა** (გულ. 178, 264_გ) „სუსტი ხარ და არ შეგიძლია — ისე ინავარდეო“. **გილავარვალი** „...გადატ. ნავარდი“ (ქაჯაია, 2001, 330).

გილა- ზმნისწინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ახალი სემანტიკის წარმოება წარმოადგენს. რიგ ზმნებზე **გილა-**ს დართვით მიიღება ფორმები, რომლებიც თავის ძირითად შინაარსს მოძრაობის პროცესში წარმოგვიდგენენ, ამგვარი ზმნები აღნიშნავენ გადაადგილებას სხვა თანმხლებ მოქმედებასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ზმნისწინი გამოხატავს სიარულს, საერთოდ მოძრაობას, ზმნა კი ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება მოძრაობის დროს შესრულდეს, ვთქვათ, ლაპარაკს, სტვენას, სიმღერას, ტირილს, ცხვირის დაცემინებას, ხველას და მისთ.: **გილარაქვალა** „ხმამალალი უთავბოლო ლაპარაკი და ისე სიარული“ (ქაჯაია, 2001, 332), **გილაფურცქინი** „ჩურჩულით სიარული“ (ქაჯაია, 2001, 332), **გილაქირქინი** „სიარული ხმამალა უშნო სიცილით, **გილანხვიჩინი** „გაბადრული სახით სიარული“ (ქაჯაია, 2001, 339), **გილაწუმინი** „ზმულით, ზუზუნით სიარული“, **გილაფარწუა** „მაგარი ხველებით იქით-აქეთ სიარული“ (ქაჯაია, 2001, 334), **გილაჩიონი** „ცხვირის დაცემინებით სიარული“ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ფუნქციები სწორედ **გილა-** ზმნისწინის დართვის შედეგად გამოხატავენ ორმაგ მოქმედებას და ლექსიკონთა განმარტებებიდანაც ჩანს, რომ მისი ფორმულა ასეთია: სიარული + სხვა მნიშვნელობა, ვფიქრობთ, მიმართულება მაინც დაჩრდილულია და ხაზგასმულია ზოგადად სივრცეში მოძრაობა, რომელიც არ არის ერთგვარადი, არამედ სისტემატურია

და მეორდება; ამასთან, ძნელი დასადგენია, ამგვარ ფორმებში თუ რომელ მნიშვნელობას მიენიჭოს უპირატესობა, ანუ რომელი მნიშვნელობა ჩაითვალოს ძირითადად და რომელი თანმხლებად. ამის დადგენა მხოლოდ კონტექსტით არის შესაძლებელი. მოვიტანთ ერთ მაგალითს: ვართ თინა რე ცაზახალა, ტყა დო ტყას **გილაფრთიკონი**, ცხენეფ(ი) **გილეფხირიკო** დო კოჩი **გილაპილიკონი** (გულ. 270, 375^{24, 25, 26}). ხაზგასმული ზმნები II პირობითის I პირის ფორმით არის გადმოცემული, აწმყოს III პირში იქნებოდა: **გილურს**, **გილენირს**, **გილაცვილუნს**. პირველი ფორმა თავისთავად ნიშნავს „სიარულს“; მაგრამ შემდეგი ორი ფორმისათვის საყრდენია **ხირუა** „პარვა“ და **ცვილუა** „კვლა“ მნიშვნელობები. **გილა**-ს დართვა კი იმაზე მიანიშნებს, რომ ამ მოქმედებებს აქვს სისტემატური ხასიათი; ზმნური ფორმა **გილაფრთიკონი** კი აზუსტებს, რომ ტექსტში შემდეგ ჩამოთვლილი მოქმედებები სწორედ გადაადგილების, მოძრაობის დროს ხდება.

მეგრულში **გილა**- ზმნისწინს ისეთი ზმნური ფუძეებიც ირთავენ, რომლებიც მის გარეშეც თავისთავად გამოხატავენ რაღაც სახით მოძრაობას, განმეორებად მოქმედებას: **ცხვაბარი**, **ცხვანტალი**, **კილოთი**, **სოფინი**, **კეკინი**, **ქიტოლი**... მათი მნიშვნელობაა „ფუთფუთი, ფაცური, ბორგვა, შეფოთვა, წრიალი...“ ამგვარი მოქმედებები სრულდება ერთ წერტილზე, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ვიწრო სივრცეში; **გილა**- დართული ფორმები კი აუცილებლად გულისხმობს გადაადგილებას, მოძრაობას რამდენიმე წერტილს შორის და, შესაბამისად, იზრდება იმ სივრცის მოცულობაც, სადაც სრულდება მოქმედება. ამგვარ ფორმებში **გილა**- ზმნისწინსა და ზმნურ ძირებს აღმოაჩნდათ გადაკვეთი ფუნქცია განმეორებადი, სისტემატური მოქმედების აღნიშვნისა, ამიტომაც აღმოჩნდნენ ისინი თავსებადნი. ზოლო ახალი ფუნქცია, რომელიც ზმნისწინს შემოაქვს, არის „გადაადგილება“.

ლიტერატურა

ქაჯაია, 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

ქობალავა, 2002 — ი. ქობალავა, გე- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში: ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2002.

ყიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (аварского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914.

ჩიქობავა, 1936 — ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

ბმჰსტაბი

ბერ. — შ. ბერიძე, მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები, I წიგნი, I ნაკვეთი, ტფ., 1920.

სამ. — კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), თბ., 1971.

გულ. — ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები) I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გულდავამ, თბ., 1975.

ქსს. — ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები ქართული თარგმანითურთ) II, თბ., 1991.

შან. — ყილოშტყეობაში „ვეფხისტყაოსნის“ გედევან შანავასეული მეგრული თარგმანი, სოხუმი, 1991.

RUSUDAN GERSAMIA

“Ganzi” (treasure) - Old Georgian Juridical Term

Summary

In Old Georgian juridical terminology the term “ganzi” is one of the first terms nominating the right on property.

The lexeme in question is first evidenced in the written records in the 9th c.

It is a borrowing from Persian and derivationally quite productive.

The juridical meaning of “ganzi” differs from its common core meaning; the latter denotes purposefully buried or otherwise hidden treasure. The terms “saunje” and “saganjuri” that are encountered in Old Georgian legal documents are not synonymous to the technical term “ganzi”.

ეკატერინე გოგალაძე

ფატიკური კომუნიკაციისა და საგმეტყველო აქტების შესახებ სპარსულში

ენა, კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი, ადამიანის მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრების გამოხატულებაა. მისი როლი იმდენად დიდია, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ დაობენ ენის ფუნქციითა საერთო რაოდენობაზე...

ყოველი ლინგვისტი აღიარებს, რომ ენის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ადამიანთა შორის სიტყვიერი კომუნიკაციის დამყარება, ვინაიდან არც ერთი სოციალური აქტის განხორციელება არ ხერხდება ვერბალური კომუნიკაციის გარეშე [ჩიქობავა, 1952; ბენვენისტი, 1974; ბლუმფილდი, 1969]. მისი საშუალებით მყარდება ადამიანური ურთიერთობანი, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გრძობების გამოხატვა. კომუნიკაციის საშუალებით აღწევენ ადამიანები გარკვეულ მიზნებს, ახდენენ შთაბეჭდილებას სხვებზე და იქმნიან პიროვნულ ავტორიტეტს. ყველა ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფატიკურ კომუნიკაციას, რომელიც ემსახურება, არა ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას, მოულოდნელად ჩამოვარდნილი უხერხული პაუზის შევსებასა და მის თავიდან აცილებას. ამ სახის უთიერთობებს „ფატიკური“ პირველად უწოდა პოლონელმა მეცნიერმა ბრონისლავ მალინოვსკიმ. მის სახელს უკავშირდება ფატიკური კომუნიკაციის პირველი მეცნიერული კვლევა. თვით სიტყვა „ფატიკური“ ბერძნულიდან მომდინარეობს : **phanai** — ლაპარაკი, **phatos** — სალაპარაკო [გოგალაძე, 1996, 10-11]

ფატიკური კომუნიკაცია მყარდება, როგორც ნაცნობების, ასევე უცნობთა შორისაც, თუკი ისინი შემთხვევის წყალობით შეიყარნენ ერთად და იძულებულნი არიან რამეზე ისაუბრონ, უხერხული სიჩუმის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა საუბარი ფატიკური კომუნიკაციის ნორმების დაცვით. სწორად წარმართული ამგვარი მუ-

საიდის შემდეგ, უცნობებიც კი, მეგობრული, თბილი ღიმილით შორდებიან ერთმანეთს. ფატიკური კომუნიკაციისას სასაუბრო თემებიც თავისებურია. ძირითადად გავრცელებულია საუბარი ზოგად თემებზე: ბავშვების, სახლის ან სტუმრის მიერ მასპინძლის კულინარიული ხელოვნების შესახებ. ხშირად იწყება საუბარი ოთახის მორთულობის, კედლებზე დაკიდებული სურათების, თაროებზე განთავსებული პატარ-პატარა საგნების შესახებ და სხვა.

სპარსულ ენაში თავაზიანობისა და ქცევის ნორმების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ: **akhlay, moašerat, akhlay-e moašerat, adab, adab-e akhlay-e moašerat**, ეს ყველგან ერთად აღებული არის „თა'არუფი“, ანუ პატივისცემის, ხათრის, კრძალვა-მოწიწების გამოხატვა, ე.ი. თავაზიანობის ინსტიტუტი. ტერმინი **Täarof**, ფატიკური კომუნიკაციის სპარსულ შესატყვისად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თავად სიტყვა არაბული წარმოშობისაა, მასდარია და ნიშნავს: გაცნობას, წარდგენას. სპარსულში შემოსულია შემდეგი მნიშვნელობებით: თავაზიანობა, პატივისცემა, მოკითხვა, ცერემონიალი, მიპატიჟება, შეთავაზება და სხვა. ტერმინი თა'აროფ მეტყველებაში გვხვდება, როგორც რთული ზმნა, რთული მასდარი (**Täarof dadän, Täarof daštän, Täarof ferestadän, Täarof kändän**), სახელი, ზედსართავი სახელი (**Täarofati, Täarofi**).

ირანელი მეცნიერი მოჰამედ დანეშგარი, სტატიაში: "**Täarof va färhäng-e an näzdike Iranian**" „თა'არუფი და მისი ინსტიტუტი ირანში“, წერს, რომ „თა'არუფი“ იმდენად მნიშვნელოვანი და ორგანული მოვლენაა ირანელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმდენად მრავალფეროვანია მისი მნიშვნელობა და გამოყენების სფერო, რომ შეუძლებელია მისი, როგორც ტერმინის, სრულყოფილი განმარტების შემუშავება. „თა'არუფი“ ბატონობს ყველგან: ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში, სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებაში, მეგობრულ თუ ოფიციალურ მისალმება-მოკითხვაში [დანეშგარი, 1381, 58-59]

ფატიკური კომუნიკაცია, ძირითადად დიალოგურია [ვეჰბიციკა, 1987, 251-274]. გამონაკლისია საჯარო მოხსენებები, ოფიციალური თუ საზეიმო გამოსვლები, ეპისტოლარული ჟანრის ლიტერატურა. ფატიკური, თავაზიანი გამონათქვამები ერთმანეთზე დამოკიდებული: მისალმება გულისხმობს საპასუხო მისალმებას, დამშვიდობება — ასევე დამშვიდობებას, მობოდიშება — პატიებას და ა.შ. ასეთი დაწყვი-

ლებული გამონათქვამები იმდენად შესისხორცებული აქვთ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებებს, რომ მათ წინასწარ იციან, თუ რომელ შემთხვევაში რას უპასუხებენ თანამოსაუბრეებს. თავაზიანი ფრაზების წარმოთქმა და მათზე ასევე თავაზიანი პასუხის გაცემა, უმეტესწილად ყოველგვარი დაფიქრებისა და დაყოვნების გარეშე ხდება. მაგალითად, ზოგჯერ გაუცნობიერებლად ვუპასუხებთ ხოლმე მისალმებაზე (მაშინაც კი, თუ შემხვედრი ვერ ვიცანით) ან ბოდიშს ვიხდით, როცა უნებლიეთ ვეჭახებით, ფეხზე ვაბიჯებთ ვინმეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფრაზების გამოყენებასა და ქცევის ნორმებს ადამიანი თანდათან ეცნობა ასაკისა და ცოდნის მატებასთან ერთად.

თავაზიან საუბარს თავისი ნორმები აქვს. ერთ-ერთი ძირითადი ნორმაა „დათანხმება“. როგორც უკვე აღინიშნა, ფატიკური კომუნიკაციის მიზანია დროის სასიამოვნოდ გაყვანა, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა და ადამიანზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა, ამიტომ, შეიძლება სულაც არ ვეთანხმებოდეთ თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრს, მაგრამ პატივისცემის გამოხატვის მიზნით მის ნათქვამს უნდა დავეთანხმოთ. საუბრისას ირანელი ხშირად ამბობს დასტურის გამოხატველ სიტყვებს **b le** — დიახ, **allo te** — რა თქმა უნდა, ნამდვილად, **vay'e'an**— ჭეშმარიტად და სხვა.

ყოველ კულტურულ საზოგადოებაში მისალმებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას მუსლიმური რელიგიის თანახმად, რამდენიმე სავალდებულო ნორმა აქვს. პირველ რიგში **sālam**/სალამის თქმა აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ყველანაირი საუბრის დაწყებას, უნდა წარმოითქვას ხმის აწევით, მკაფიოდ, რათა თანამოსაუბრემ გაიგონოს და ადამიანი, თავისდაუნებურად, უზრდელობაში არ დაადანაშაულოს.

მისალმება ევალემა ყველას: დიდს, პატარას, მოხუცს, ახალგაზრდას, გამვლელს, გამომვლელს, ცხენოსანს, ქვეითს, ნაცნობს, უცნობს და სხვა [ჩიქობავა, 1952, 32-34]. ეს ტრადიცია ქართველისთვის უცხო არ არის. ქართველი კაცი, განსაკუთრებით სოფლად, ესალმება ყველა შემხვედრს და გულთბილ პასუხს აძლევს მისალმებაზე, უცნობსაც კი.

მორწმუნე მუსლიმი დღეში რამდენჯერაც შეხვდება ერთსა და იმავე ადამიანს, თავს მოვალედ თვლის იმდენჯერვე მიესალმოს მას. ეს ერთგვარი გამოვლინებაა რწმენისა და ამასთანავე თავაზიანობისაც [მოჰამადი, 1380, 69-70].

გარდა იმისა, რომ *გამარჯობა, მისალმება* გამოხატავს სიტბოს, კეთილგანწყობას, პატივისცემას, იგი საუკეთესო საშუალებაა საუბრის წამოწყებისათვის, განსაკუთრებით ფატიკური საუბრისა, რომელიც მიზნად ისახავს ორ ადამიანს შორის სასიამოვნო და მეგობრული ატმოსფეროს შექმნას.

მუსლიმური ადათით, მისალმების დროს მამაკაცებს შორის ხელის ჩამორთმევა და გადახვევა, გამარჯობის თქმის მსგავსად, ნიშანია თბილი დამოკიდებულების დაწყებისა, რომელსაც განსაზღვრული ქცევის ნორმები აქვს. ერთ-ერთი ასეთი სავალდებულო ნორმაა ხელის ჩამორთმევის პროცესის გახანგრძლივება: რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება იგი, მით მეტია სურვილი კარგი განწყობისა. რაც შეეხება ქალებს, მათ შეხვედრაში სჭარბობს ემოცია, აქ თბილი, გულისამაჩუყებელი გადახვევა და გულში ჩაკვრის პროცესია გახანგრძლივებული. ხოლო მამაკაცისა და ქალის შეხვედრა მუსლიმური წესით მკაცრადაა განსაზღვრული, იკრძალება ხელის ჩამორთმევაც კი, მხოლოდ სიტყვიერი მისალმებაა დასაშვები [დანეშგარი, 1381, 36-37].

ირანელისათვის მისალმება საჩუქრის ტოლფასია, რომელსაც მაღლიერების გამოსახატავად, გადამეტებული პასუხი უნდა გასცეს. ამის გამოა, რომ იგი მისალმებისას სიტყვაუხვი და, შეიძლება ითქვას, სიტყვაჭარბიც კია.

ფატიკური კომუნიკაციის ნორმების მიხედვით, თანამოსაუბრეზე თავაზიანი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენას ემსახურება დამშვიდობების გახანგრძლივებაც. იგი ყოველთვის არასასურველად უნდა გამოიყურებოდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთ-ერთ თანამოუბარს აღარ სურს საუბრის შემდგომი გაგრძელება ან სურს, მაგრამ ეჩქარება, იძულებულია წავიდეს, მან ეს არ უნდა გამოამყვანოს.

სპარსელები თავად აღნიშნავენ, რომ დიდი უნარი აქვთ საუბრის გაგრძელებისა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სალაპარაკო უკვე აღარაფერია. ამისათვის ისინი ხმარობენ გამოთქმას: : **digē čē khābār?** — „სხვა, რა ამბავია?“ და მიუხედავად პასუხისა, შეუძლიათ დაუსრულებლად იმეორონ იგი. თუმცა ენაში არსებობს ისეთი გამოთქმაც, რომელიც დელიკატურად მიანიშნებს, რომ დროა საუბარი შეწყდეს: **amri (färmaieši) nist?! —** „ხომ არაფერს მიბრძანებთ?!“ მისი პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გამოთქმები **yorban-e šoma**— „თქვენი მონა-მორჩილი მე გახლავარ“ (შდრ. ქართული პასუხი დაძახებაზე: "ბატონო!", მის პასუხად: „თავად ბატონო“,) ან **arzi nist, khaheš mikonäm** —

„გეთაყვა, კი ბატონო, ბატონი ბრძანდებით“ , რომელთა წარმოთქმის შემდეგ ისმის კონკრეტული დამშვიდობება **khoda häfez** — „ნახვამდის /ღმერთი გფარავდეს“ და ამით წყდება საუბარი.

ფატიკური საუბრის, მასლაათის დროს, როდესაც ამოწურულია საუბრის თემა, თანამოსაუბრეები მაინც ამბობენ: **khob tä'rif kon** — „ძალიან კარგი, კიდევ მიაძმე, გააგრძელე“, ანდა უბრალოდ სიტყვას **bäle**— „ასე“, თარგმანში შეესატყვისება „ჰო-ო-ო, დიას“, წარმოთქმული ბოლო ხმოვნის დაგრძელებით [გოგსაძე, დემეტრაძე, 1996, 149].

ფატიკური კომუნიკაცია და მისი სპარსული შესატყვისი თა'რუფი, ალბათ ერთადერთია სიტყვიერ კომუნიკაციათა შორის, რომელიც ყოველთვის სიმართლის თქმას არ მოითხოვს. გულწრფელობის ფაქტორი, რაც ინფორმაციული საუბრისათვის მნიშვნელოვანია, ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა მიხედვით, ხშირად ირღვევა, თუმცა კი, ადგილი არა აქვს გაზრახ დამცინავ, დამამცირებელ ტყუილს.

არაგულწრფელი, ფატიკური გამონათქვამების ნიმუშები მრავლად გვხვდება, როგორც ქართულ, ასევე ირანულ ყოფაში. როდესაც, მისალმების შემდეგ, ადამიანი ამბობს კარგად ვარ! ძალიან კარგად! — **khobäm, kheili khobäm**, შეიძლება სულაც არ არის კარგად, მაგრამ ეტიკეტური ნორმები ავალდებულებს ასე მოიქცეს, თავისი გასაჭირი სხვას თავს არ მოახვიოს და თანამოსაუბრეს გუხება არ გაუფუჭოს. მაგრამ, ამასთანავე არსებობს უფრო გულახდილი და რეალური პასუხიც: ნელ-ნელა; ნელ-თბილად; როგორც მკითხულობთ; ისე რა, არა მიშავს... სპარსული : **bäd nistäm** — „ცუდად არა ვარ, არა მიშავს“.

ფატიკური არაგულწრფელი გამონათქვამების სწორად გაგებასა და აღქმას, ძირითადად, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ახერხებენ. უცხო თვალი კი ხშირად ვერ აღიქვამს ამგვარი გამონათქვამების აზრს და თავს დამცირებულად, მოტყუებულად მიიჩნევს. სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ სპარსული „თა'რუფი“ არაირანელისათვის, უმეტეს შემთხვევაში, სიცრუესთან ასოცირდება. მართლაც ძნელია, უცხოელი არ დაიბნეს და შეურაცხყოფილად არ იგრძნოს თავი, ისეთი გამონათქვამების მოსმენის დროს, რომელთა პირდაპირი თარგმანი არავითარ კავშირში არ არის იმ გრძობებთან, რომელსაც გამოხატავს.

მაგალითად, როდესაც ირანელი გაწეული სამსახურისათვის მადლობას იხდის ფრაზით **däst-e šoma därd näkone**, რაც სიტყვასიტყვით

ითარგმნება: „ხელი არ აგტკივდეთ /ხელი ნუ გეტკინებათ“, მისთვის, ვისთვისაც სპარსული მშობლიური ენა არ არის, ეს პასუხი გაუგებარი, გასაკვირი და ცოტათი გამაღიზიანებელიც კი შეიძლება იყოს.

ირანელი ავტორები, გულისტკივილით აღნიშნავენ უცხო თვალის მიერ ზოგჯერ არაადეკვატურად აღქმულ აღმოსავლურ ეტიკეტს, სპარსულ „თა'რუფს“ და დასძენენ, რომ „თა'რუფი“ სპარსული მრავალსაუკუნოვანი კულტურის შემადგენელი ნაწილია და მისი სწორად გაგებისათვის, აუცილებელია „თა'რუფის“ საგანგებოდ შესწავლა.

უცხო ენის შემსწავლელმა, შეიძლება, ადვილად აითვისოს ენის ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, გაეცნოს ისტორიულ და ლიტერატურულ წარსულს, კულტურას, მაგრამ ცოდნა არასრული იქნება, თუ საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი ქვეყნის სამეტყველო ეტიკეტი, ყოფითი თავისებურებანი, ფრაზეოლოგიზმები და ეგრეთ წოდებული, ხატოვანი და ფრთიანი გამონათქვამები.

ლიტერატურა

გოგსაძე, დემეტრაძე 1996 — გოგსაძე ლ., დემეტრაძე ი., ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი, თბ., 1996.

ჩიქობავა, 1952 — ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

ასატრიანი, გეგორგიანი 1988 — Асатрян Т.С., Геворгян Н.Х., Некоторые материалы по этикету у персов.В кн.: Этикет у народов Передней Азии, Москва, 1988.

ბენვენისტი, 1974 — Бенвенист Э., Общая лингвистика, Москва, 1974.

ბლუმფილდი 1969 — Блумфилд Л., Язык, Москва, 1969.

ვეუბიცკა, 1987 — Вежбицка А., Речевые Акты, Новое в Лингвистике, т. 16, 1987.

პაპი, 1985 — Папп Ф., Паралингвистические факты, Этикет и Язык, Новое в Лингвистике, т. 15, 1985.

რუბინჩიკი, 1970 — Персидско-Русский Словарь, в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, Москва, 1970.

ადაბე ესლამი, 1387 — Adab-e eslami (1), 1387.

მოჰამადესი, 1380 — Javad Mohamadesi, akhlāy-e mo'ašerat, 1380.

დანეშგარი, 1381 — Mohamad Danešgari, Ta'arof va farhange an nazdike Iranian, Bameye Parsi, 1381.

ზარიაზ გოლუაძე

EKATERINE GOGALADZE

On Phatic Communication and Speech Acts in Persian

Summary

The paper investigates the notion of phatic communication in the Persian language and culture. A number of Persian terms (viz.: moaşerat, akhlay-e moaşerat, adab, adab-e akhlay moaşerat) depicting the norms of polite verbal behaviour are examined.

The term "ta a rupi" is regarded as the equivalent of the term phatic.

**ერთიანობა || მთლიანობის და განყოფილება || გაცალკევების
გამომსახველ ცნებათა სემანტიკური
კოდისათვის ქართულში**

ღვრთივობიანი სიტყვა, სიტყვათქმნადი ენა ადამიანისათვის ონტოლოგიურ მახასიათებლად მიიჩნევა. იოანეს სახარების ცნობილი შესავალიც სწორედ ამას ამოწმებს: „პირველთაგან იყო სიტყვა“ ... (იოანე, თავი 1, 1-2). ეს ღმრთაებრივი, „შორისმდებარეობითი“ სიტყვებია ადამიანისა, რომელიც „ყოველსავე მტკიცედ იტყვს, და ვითარცა კლდესა ზედა დამყარებული, არასადა თ შეირყევოს, რამეთუ უხილავთა მხილველ იქმნა და ყოველთა მეუფს აქუნდა თავსა შორის თვსსა მეტყუელად. და ამისთვის არა კაცობრივი იყო მის თანა, არამედ ყოველივე საღმრთო“ (იოანე ოქროპირი, 1993, 5).

იოანე ოქროპირის ხაზგასმა, რომ მახარობელს „მეტყუელად თავსა შორის თვსსა თავად ყოველთა მეუფს აქუნდა“, არის მინიშნება „შინაგანი“, ენდიათეტური სიტყვის შესახებ, სწორედ ეს სიტყვაა „იმანენტური აზრი, გონი, რაც ქმნის და მსჭულავს სამყაროს“. ისევე როგორც, თავად მახარობელია მისით განმსჭვალულიც და გარემოსილიც.

სწორედ ეს პირველი, „შინაგანი სიტყვა“ წარმმართველი „შორისმდებარეობითი“ ანუ „უშინაგანისი“ (იოანე პეტრიწი) პირველსიტყვისაკენ, მთავარაზრისაკენ, როგორც შემოქმედაზრისკენ, შემოქმედგონისკენ, მთავარდასაბამისკენ (ე. ჭელიძე).

თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის უცხო არ არის ლინგვისტური არგუმენტები, რომლებიც ენის (როგორც ღმრთაებრივი არსების — ადამიანის მ. გ.) კრეაციული თეორიის სასარგებლოდ მეტყველებენ (ქურდიანი, 1990, 193). ისევე როგორც, კარგა ხანია დადგენილია ქართული კულტურის, როგორც ქართული ენის, „შინაგანი სიტყვის“, მისი „შინაგანი მთავარაზრის“ რაობა (ზოგადი ასპექტით) — ესაა ქრისტიანობა, ქრისტიანული გონი, რაც ქართველმა ერმა

ცნობიერად შეიძინა, ანუ, უკეთ, რითაც ქართველი ერი ცნობიერად განიმსჭვალა „ჟამსა თჳსსა“. ქართული კულტურა ქრისტიანული გონის გამოვლინებაა (ე. ჭელიძე, იქვე).

როდესაც აღნიშნული ასპექტით ქართული ენის განვითარებას ვაკვირდებით, მრავალ სხვა საკითხთან ერთად თავს იჩენს, ვფიქრობთ, ზოგიერთი არცთუ უმნიშვნელო რამ. ენაში არსებული ესა თუ ის ლექსიკური ერთეული სხვადასხვა ფონეტიკური პროცესისა თუ ამა თუ იმ ფსიქიკური კოდის მოშლის შედეგად დროთა განმავლობაში იცვლის ფორმას, ხანაც შინაარსს. რამდენადაც ქართველთა სალაპარაკო ენა ვახლავთ მათი „შინაგანი“ მეტყველების გარეგანი სამოსელი, ამდენად აისახება მასში ის ცვლილებები თუ რღვევები, რასაც თავად ერი-ენა განიცდის ასწლებულთა მდინარებაში.

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში ყურადღებას იპყრობს გულის-ხმა სიტყვის ორგვარი დაწერილობა (სარჩველად, 19845, 297). ეს სიტყვა X საუკუნისა და მომდევნო ხანის ხელნაწერებში ხან ჯარით არის წარმოდგენილი, ხანაც — ხანით. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მისი მართლწერის შესახებ ჩვენში ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი ჩამოყალიბდა. ერთის მიხედვით, მასში უნდა იწერებოდეს ხანი, ჯარი მერმეა მიღებული აღრევის ნიდაგზე (იმნაიშვილი, 1975, 3, 28). ეს შეხედულება პირველად გამოთქვა სულხან-საბა ორბელიანმა, შემდეგ გაიზიარეს: ნიკო მარმა, კ. კეკელიძემ, ი. ქავთარაძემ და სხვებმა. მეორე შეხედულების მიხედვით, ამ სიტყვაში თავიდანვე იყო ჯარი (გულის-ჴმა, გულის-ჴმის ყოფა), ხანი შემდეგაა მიღებული. ეს შეხედულება პირველად ს. ჯანაშიამ წამოაყენა. მას ემხრობიან ვ. თოფურია, ა. შანიძე და სხვა.

ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით ამ კომპოზიტი მეორე სიტყვად გვქონდა არა ჴმა (голос). არამედ — ხმა, — ხუმა, რაც „აღებას“, „მიტანას“, „შეტანას“ ნიშნავს (ობიექტით მრავლობითში), გულის-ხმის ყოფა, ამის მიხედვით, იქნება „გულთან მიტანა“, „გულში შეტანა“. გული კი ქართულში წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგროვებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად. ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭის და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვიული სისტემის მაგივრობა გასწიოს" (ჩიქობავა, 1983, 9, 66). აქედან გასაგებია, რომ „გულის ჴმა“, „გულის ჴმის ყოფა“ სიტყვის შინაარსულ მხარეს ვერ ხსნის,

ცვლის (იმნაიშვილი, იქვე) ამ პოზიციაზე დგანან ი. ყიფშიძეცა და ი. ქავთარაძეც.

ზემოთ წარმოდგენილი მეცნიერული დასაბუთებანი ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ჩაენაცვლოს ენაში ერთი სიტყვა მეორეს, პირველმა დაკარგოს თავისი შორისმდებარეობითი ხასიათი და იქცეს პროფორიკულ სიტყვად. „გულის ხუმა“, გულის ღმერთამდე ახუმა სწორედაც რომ პროფორიკულ გულის ჴმად, გულის ჴრახვად, ჴრახვად იქცა.

ამავე თვალსაზრისით იპყრობს ჩვენს ყურადღებას „განწვალება“, „განყოფა“, „წვალება“ სიტყვები. უძველეს ქართულ ტექსტებში განწვალება „განშორებას“, გამოცალკეებას, გამოყოფას, გარჩევას (აბულაძე, 1973, 1, 79) ნიშნავს. „და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა“ (შეს. 1, 4); „განწვალეთ იგინი ქალაქისაგან“ (ისუ. ნ., 8, 6)...

ილია აბულაძის განმარტებით, წვალება ერესს, განხეთქილებას, მწვალებლობას, შეგულიანებას გამოხატავს (აბულაძე, 1973, 1, 543); „არა იყოს წვალება ჴორცთა მათ შინა“ (I კორ. 12, 25); „ცხად არიან საქმენი ჴორცთანი... გულის წყრომანი, წვალებანი, შფოთებანი“ (გალ. 5, 20); „ნუუკუე იყვენ თქუენ შორის წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლაღებანი“ (II კორ. 23, 20) და სხვა...¹

ნიკო ჴუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ „განწვალება“ შემდეგნაირად განიმარტება: „(განვსწვალებ) განყოფა, განშორება (დაბად. 1, 4, 18; გამოს., 26, 33. различать, разделять, განკვეთა ყოვლადისა კერძოთა ჴედა თჳსთა (ლოლიკა ბაუმ. §71) (ჴუბინაშვილი, 1961, 10, 169)). „წვალება“ აქ სამგვარად განიმარტება: პირველი გაგება ავტორის მოღვაწეობის თანადროულია (წვალება (გაწვალებ, ვეწვალები) ტანჯვა, არ მოსვენება (мучить, беспокоиться), (ხოლო დანარჩენი ორი — უფრო არქაული (წვალება (გსწვალებ) განყოფა, განწვალება (разделять) წვალება — განსაკუთრებით სწავლა განდგომილთა საზოგადოებისაგან სარწმუნოებისა (раскол, ересь) (2) (იქვე, გვ. 449).

ამ განმარტებათა მიღმა საგულისხმოა ენისათვის ონტოლოგიური

¹ წულ რეკონსტრუირებულ ძირს, შესაბამისად, ქართულ წულ-ილ ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. წულ-უ (შეფარდებისათვის ქართულ. — ილ; მეგრ. — უ; (ფენრიხი, სარჩველად, 1990, გვ. 451).

ფისქოლოგიური ფაქტორები. ძველი ქართული, როგორც ქრისტიანული გონით ღრმად გაშინაგანებული ენა, მიმართული პირველსიტყვისა, დასაბამონისა თუ, გნებავთ, „მთავარაზრისაკენ, მთავარდასაბამისაკენ“ — ქრისტესაკენ, მამითა და სულიწმინდითურთ, სწორედ რომ „დამარხულ არს... მესისა საწამებლად“. ძველ ქართულ ენაში არსებული მორფოლოგიური ფაქტორები უნიკალურია და ზუსტად გამოხატავს ენა-ერის იმდროინდელ ენდიათეტურ მდგომარეობას. გაერთიანებული მრავალგვაროვნების — სამგვაროვანი ერთი ღმერთის ხატება სრულად დაიტია ქართულმა, როგორც გრამატიკულმა, ისე მუსიკალურმა ენამ (შდრ. მრავალხმიანი ქართ. საგალობელი უნისონური დაბოლოებით).

ძველად განწვალება განყოფას ნიშნავდა. მთელისაგან განყოფა-დაყოფა-განშორება-განხეთქილებამ კი, რალა თქმა უნდა, ტანჯვის, წვალების შინაარსი შეიძინა. ისევე როგორც, მთელისაგან დაცალე-ბამ, „ორის ტოლითგან ერთის“ (ს.ს. ორბ., ტ. II, გვ. 331) გამოყოფამ, დაცალიერებამ ცალკეობის, „გათვისთვისების“ (საბა) არყოფილობის, გამოცლის, დაცლის, ცარიელობის, სიცარიელის შინაარსი შეიძინა.

ცალიერს იგ. იმნაიშვილი ასე გამარტავს: ა) ცარიელი, ხელცარიელი; ბ) მოცლილი, უსაქმო (საქმისაგან გამოცლილი, გამოცალეებული — მ. გ.) — მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარავლინეს იგი ცალიერი (მრ. 12, 3)... მოქმედთა მათ ჰსცეს და ტანჯეს და წარავლინეს იგი ცალიერ (ლ. 20, 19); (იმნაიშვილი, 1975, 715).

აქ ცალიერება „მოცალეობას“, „უსაქმობას“, მოცლილობას, დაცალეობას ნიშნავს, ხოლო ცალიერ-ყოფა — „დაცულებას“, სულთა წყურთელთა ცალიერ-ყოფად" პბ — „სულთა წყურთელთა დაცუებად" O ეს. 32, 6.

საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ენაში, „ცალიერ" სიტყვაში ფონეტიკური პროცესები უკვე მომხდარია და იგი შეცვლილი ფორმით გვხვდება: „არ დაარჩენს ცარიელსა, არა ყმასა და არცა ქალსა" (57, 4).¹

აქვე ერთი სიტყვის შესახებაც გვინდა ვთქვათ. მძნვარება ძველ

¹ ქართ. ცალ — ფორმაც კანონზომიერად შესატყვისება სვან. შალ (< ჩალ — დეზაფრიკაზაციით). მეგრ. და ლაზური შესატყვისი არ ჩანს (ფენრიხი, სარჯველაძე, გვ. 406).

ქართულში სისასტიკეს, აბობოქრებას გამოხატავს. ილ. აბულაძის განმარტებით, მძნვარე სასტიკს, ბობოქარს აღნიშნავს (აბულაძე, 1973, 309); მძნვარე ლომი" O, სიბრძ. სოლ. 11, 18; „ნინიველნი იყუნეს... მძინვარე, ვითარცა მვეცი" მ. ს. 42, 26;

ეწყვებიან ღელვათა მძნვარეთა ჟამთა მრავალთა". მსწ. 108, 1; ვითარცა მვეცი მძნვარე ყიოდა" შუშ. VI, 17.

„მძნვარე" სიტყვის ფუძე სახელური წარმოშობისაა, ძვნი ქართულად შანთს, გახურებულ რკინის ნაჭერს ნიშნავს: „მსგავს იყო შენ ძვნისა რკინისასა, რომელსა სცემნ მჭედელნი ფრად", მ. ცს. 51რ... გავარვარებულ ძვნს აქვს უნარი, შემუსროს ხორცი, მძინვარებას კი აქვს უნარი, შემუსროს სული. ყოველი მძინვარე ადამიანიც საკუთარი სულის მკვლელია. ნ. ჩუბინიშვილის „ქართულ ლექსიკონში" მძინვარე ადამიანიც საკუთარი სულის მკვლელია. ნ. ჩუბინიშვილის ქართულ ლექსიკონში" მძინვარება მხეცურ მრისხანებასთან (свирепость) იგივეება (ჩუბინაშვილი, 1961, 305). აქ „მძულვარება" ფორმა არ ფიქსირდება, ასევეა ილ. აბულაძესთან. საბა მძინვარებას — „მხეცურ დაუპყრობელ რისხვად" მოიხსენიებს (ორბელიანი, 1991, ტ. I. გვ. 543); ძულვებას — საძაგლად მიიჩნევს. ამ განმარტებათა ფონზე ყურადღებას იპყრობს თავად ძირი ძვნ, ძვნვარე, მძულვარება სიტყვებისა. „ძ", „ძუ" მორფემები² ქართულში იმთავითვე მდებდრთან ასოცირდება: ძუ, ძუვი — დედალი, ხვადი (აბულაძე, 1973, 528), მდებდრი — ძუალთან, ძუალი — ევასთან (ძუალთაგანთან ადამისა), რომელიც არის დასაბამი: ძირისა, ძეობისა, ძიებისა, ძახვისა, ძებნისა, ძალ-დებისა, ძალვისა, ძაგებისა, ძლებისა, ძლევისა, ძლიერებისა, ძმისა, ძმაცვულობისა, ძოვისა, ძნობისა, ძონძისა, ძრწოლისა, ძუელისა, ძალობისა ძურომისა, ძვრებისა, ძუძუსა, ძლომისა... ეს და სხვა მრავალი მაგალითი უფრო და უფრო ასაცნაურებს, თვალსაჩინოსა და ხილულს ჰყოფს იმ პირველცოდვას, რომელთან მიახლოებითაც ევამ საკუთარ თავსაც და კაცობრიობასაც ყოველივე ეს შეაგრძნობინა. გასაოცარია ძველი ქართული ენის ბუნება, რომელიც ასე ხელშესახებად წარმოგვიდგენს, გვიჩვენებს უნარს „დაწერილობის მიღმა მდგარი ენისას" (სოსიური). სწორედ ეს ენა გვიქმნის ხატს მთე-

² ქართული ძუძუ რედუპლიცირებული ფუძე ჩანს (ძუ-ძუ > ძუძუ). ამ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. ძუძუ, ლაზ. ბუძ-ი ბერძნულიდან არის ნასესხები (ფენრიხი, სარჯველაძე, გვ. 436).

ლი იმ ფსიქიკური კორპუსებისას, რომელმაც ჩვენი ერი აქამდე მოიყვანა. ენაში, სადაც ერთი მთლიანის განყოფილება-განაწევლება ტანჯვასთან, წამებასთან ასოცირდა, სადაც „ორის ტოლისაგან „გათვისთვისება“ — დაცალდება — დაცალიერება ცარიელობას, არარსებობას უღრის, სადაც მძულვარება — სიძულვილი მძვნვარებას, ძვს, ამძუნებას... უკავშირდება, ეს ყველაფერი კი პირველ „ძულთან“ (ძვალ-ძვალთაგან) გვაბრუნებს, არის მოცემული თუ დამარხული, სწორედ-დაც რომ, უდიდესი ენდიათეტური სიბრძნე, რომელიც გვიქადაგებს, გვმოძღვრავს, გვასწავლის, შეგვაგონებს ჭეშმარიტებას, გვაძლევს სასუმელს, რომელიც უნდა ვიხმოთ, რათა კვლავ შევძლოთ გულთა ახუმბა, გულისხმისყოფა, მთელი ჩვენი გულით, გონებითა და სულით ღმერთამდე აღსვლა.

ქართული ენის წიაღში დაფარული სიბრძნე იძლევა მოდელს, როგორც კონკრეტული ადამიანის, ისე თვით ერის, კაცობრიობის გადასარჩენად: განყოფილება-განაწევლება, წვალდება — ღმერთისაგან დაკლება — დაცარიელება, გაქრობა.

განუყოფელი ტრიადის — ღმერთი → ენა → ეთნოსის მოდელში გვაბრუნებს უდიდესი ქართველი მოღვაწის უკვდავი სიბრძნეც: „შევაზავნეთ ნებაჲ ურთიერთას, შფოთი ილტვის ბრძენთაგან“.

ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძვ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1973.

თოფურია, 1927 — ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II ჯ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, საქ. არქ. II, ტფ. 1927.

იმნაიშვილი, 1975 — ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევები და ლექსიკონი, თბ., 1975.

იოანე ოქროპირი, 1993 — იოანე ოქროპირი, განმარტებანი იოანეს სახარებისა. 1993, ნაწ. I.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1991, ტ. I; ტ. II.

ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართულ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქართველური მემკვიდრეობა III, 1999.

ჩიქობავა, 1983 — ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1983.

ჩუბინიშვილი, 1961 — ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონტის რედაქციით. თბ., 1961.

ჯანაშია, 1925 — ს. ჯანაშია, ცხოვრება საბა ასურისა, 1925.

MARIAM GODUADZE

On the Semantic Code of the Notions Expressing Unity//Wholeness and Division // Separation in Georgian

Summary

As is known, lexical units of a language undergo conceptual as well as formal changes through time. Since the Georgian language is the realization of the inner world, i. e. Ethnopsychology of Georgians, any change in the deep structure is reflected on the surface. The paper investigates diachronic alterations of the semantic code formed by the notions of unity // wholeness and division // separation in Georgian.

განა ბუზუნავა

ინტერტექსტუალობა კინემატოგრაფიაში

XX საუკუნემ მრავალი სიახლე შემოიტანა მსოფლიო ხელოვნებაში, რამაც მთლიანად შეცვალა წარმოდგენა თვით ხელოვნების საგანსა და ფორმებზე, გამოსახვის საშუალებებსა თუ შემოქმედის ადგილზე საზოგადოებაში.

მასობრივი განათლებისა და კულტურის გავრცელებამ გამოიწვია ადამიანური ცხოვრების ძლიერი სემიოტიზაცია. შესაბამისად ხელოვნება და ზოგადად XXI საუკუნის ყოველდღიური სემიოტიკური პროცესები გარკვეულწილად „ინტერტექსტუალურ“ სახეს იღებს.

უკანასკნელ წლებში ინტერტექსტუალობის პრობლემა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფილოლოგიურ კვლევებში. მართალია, მხატვრული დისკურსის სფეროში არსებობს არაერთი ნაშრომი ინტერტექსტისა და ინტერტექსტუალობის შესახებ, მაგრამ ტექსტებს შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენის საკითხი ჯერ ამოწურული არ არის.

ვინაიდან ინტერტექსტუალობის სხვადასხვა გამოვლინება უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, XX საუკუნის ბოლოს მისი თეორიული სახით ჩამოყალიბება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

იქიდან გამომდინარე, რომ სემიოტიკის ფორმირება ხდება ბუნებრივი ენის შესწავლის შედეგად მისი გავრცელების გზით, ინტერტექსტუალური კავშირების კვლევისას ინტერტექსტუალობის თეორია ძირითადად ყალიბდება მხატვრულ ლიტერატურაში. თუმცა სინამდვილეში ის უფრო ფართო სფეროს მოიცავს. ანუ იგი გვხვდება ისეთ ტექსტებშიც, რომელნიც აგებული არიან სხვადასხვა ნიშანთა სისტემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ინტერტექსტუალური კავშირები არსებობს სახვითი ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორცაა არქიტექტურა, მუსიკა, თეატრი თუ კინემატოგრაფია. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ინტერტექსტი კინოხელოვნებაში.

ინტერტექსტუალობის გარშემო საუბრობენ სტრუქტურალიზმისა

და პოსტმოდერნიზმის ისეთი წარმომადგენლები, როგორც არიან ი. კრისტევა, რ. ბარტი, გ. რიფატერი, ა. დერიდა. უ. ჟენეტი, ა. გრეიმასი და სხვ. მაგრამ ინტერტექსტუალობას როგორც თეორიას გააჩნია სამი ძირითადი წყარო. ესენია ი. ტინიანოვის, მ. ბახტინის და ფ. დე სოსიურის ანაგრამების თეორია.

მ. ბახტინის თანახმად (ბახტინი, 1979) ინტერტექსტუალობის ცნება დაკავშირებულია პოლიფონიასთან, ანუ დიალოგიზმთან. ბახტინი ხაზს უსვამს მრავალხმიანობას ტექსტში, მაგრამ იგი არ ხმარობს ტერმინს ინტერტექსტუალობა. ნეოლოგიზმი „ინტერტექსტუალობა“ შემოიღო პოსტსტრუქტურალიზმის ფრანგმა წარმომადგენელმა, უ. კრისტევამ. „ყოველი ტექსტი იქმნება როგორც ციტატების მოზაიკა, ყოველი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტის შთანთქმას (აბსორბციას) და ტრანსფორმაციას“. მისი აზრით ტექსტი წარმოადგენს სემიოტიკურ ფუნქციას არა გამოხატულებასა და შინაარსს შორის, არამედ გამოხატულებასა და გარე რეფერენტს ანუ ტექსტს შორის.

ი. ტინიანოვი (ტინიანოვი, 1924) ინტერტექსტს მიუღდა პაროდის შესწავლის გზით. იგი, ისევე როგორც ბახტინი, პაროდიაში ხედავდა მხატვრული სისტემის განახლების ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც დამყარებულია წინამავალი ტექსტის ტრანსფორმაციაზე.

მ. ბახტინი ავითარებს რა ტექსტების დიალოგიური სახის კონცეფციას, მის მრავალხმიანობას, გამოაქვს შემდეგი დასკვნა:

„ტექსტი წარმოადგენს გარკვეულ მონადას, რომელიც საკუთარ თავში ირეკლავს მოცემული აზრობრივი სფეროს ყველა ტექსტს.“ ის თვლის, რომ ტექსტი არის სხვადასხვა აზრის ურთიერთკავშირი (რადგან ისინი მხოლოდ გამონათქვამებში ჩანს). როგორც ტექსტებს შორის, ასევე შიგ ტექსტში არსებობს დიალოგიური ურთიერთობები, ანუ ერთი ტექსტი შეიცავს მთელ რიგს სხვა დაუსრულებელი ტექსტებისა, რომელნიც გარკვეული აზრობრივი სფეროს ფარგლებში ერთმანეთს შეესაბამებიან.

ტექსტი არ წარმოადგენს საგანს, ის არის აზრთა ტრანსფორმირებული ველი, რომელიც ჩნდება ავტორისა და მკითხველის გადაკვეთაზე. გარდა ამისა, ტექსტში არა მხოლოდ ის აზრი დევს, რაც მასში ავტორს აქვს გაცნობიერებულად შეტანილი, არამედ აქ უკვე შემოდის მკითხველი, რომლის შედეგად ჩნდება დიალოგი.

ეს პოზიცია ტრადიციული თვალსაზრისიდან გამომდინარე ცოტათოდენ უჩვეულო ჩანს, ვინაიდან ტრადიციული ხელოვნებათმცოდნე-

ობა ყველა ინტენციებს მიზანმიმართულად მიაწერდა ტექსტის შემქმნელს ან ტექსტს ხედავდა. როგორც იმანენტურ სტრუქტურას.

მ. ბახტინის ლოგიკა აშკარად სწორია, თუ წარმოვიდგინებთ ტექსტს, როგორც აზრის წარმოქმნის ადგილს. ამ შემთხვევაში შეუძლებელია გამოყო მკითხველის ტექსტზე მუშაობა ავტორის განზრახვისგან. ყოველ შემთხვევაში ერთი მეორისგან განმაცალკევებელი ინსტრუმენტი არ არსებობს და არც შეიძლება, რომ შექმნილ იქნას. ყოველივე ამის საფუძველზე ხელოვნებათმცოდნეობაში გაჩენილი ახალი თეორია მოითხოვს ცნება „ტექსტის“ ძირეულ გადასინჯვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით 60-70 წწ. ფრანგი სემიოტიკოსების იულია კრისტევისა და როლან ბარტის მიერ ჩატარდა გამოკვლევა.

რ. ბარტმა (ბარტი, 1989) ახლებურად ჩამოაყალიბა ჟ. კრისტევის თეორია და დაამტკიცა რომ: „ყოველი ტექსტი არის ინტერტექსტი, ყოველი ტექსტი წარმოადგენს ციტაციის ახალ ქსოვილს. ინტერტექსტი ანონიმური ფორმულირების ზოგადი ველია, რომლის წარმომავლობის დადგენა იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი.“

ბარტმა თავის ნაშრომში „ნაწარმოებიდან ტექსტისკენ“ განასხვავა ცნებები „ტექსტი“ და „ნაწარმოები“, სადაც დაასაბუთა, რომ „ნაწარმოები“ არის საგნობრივი ნივთიერი ფრაგმენტი, ერთეული, რომელიც წიგნების სივრცეში იკავებს გარკვეულ ადგილს (მაგ. ბიბლიოთეკაში), ხოლო ტექსტი გახლავთ მეთოდოლოგიური ოპერაციების ველი, ანუ მისი განლაგება ხდება ენაში, ის მხოლოდ დისკურსში არსებობს (ბარტი, 1989, 415).

ტექსტი ჩნდება კითხვის პროცესში, ის ვერ სცდება ასოციაციის იმ მოზღვაგებას, რომელიც აუცილებლად შეერწყმის მას.

რ. ბარტი დასძენს, რომ „ნებისმიერი ტექსტი არის **სხვა ტექსტებს შორის არსებული ტექსტი**, მაგრამ ეს ინტერტექსტულობა არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მას რაიმე წარმომავლობა აქვს. „წყაროების“ და „გავლენის“ ყოველგვარი ძიება შეესაბამება ნაწარმოების ფილიაციის მითებს, ტექსტი კი შედგება ანონიმური, შეუძინეველი და ამასთანავე უკვე წაკითხული ციტატებისგან, იმ ციტატებისგან, რომელთაც ბრჭყალები არ გააჩნიათ“ <...>.

რაც შეეხება ავტორს, იგი ითვლება ნაწარმოების მამად, მეპატრონედ. ლიტერატურათმცოდნეობა ამიტომ მოგვიწოდებს ავტორის ავტოგრაფის პატივისცემისკენ და ემსახურება ავტორის ჩანაფიქრის გამოვლინებას, ხოლო რაც შეეხება ტექსტს, მასში ავტორის ხელწერა

ალარ ჩანს. ტექსტის წაკითხვა შესაძლებელია მისი „მამის“ უფლებების გათვალისწინების გარეშე. ინტერტექსტუალური კვლევისას, მემკვიდრეობითი უფლებები პარადოქსული სახით იცვლება. რა თქმა უნდა, ავტორის „აჩრდილი“ შეიძლება „გაჩნდეს“ მისავე ტექსტში, მაგრამ ის აქ უკვე სტუმრის სახით მოგვევლინება. (ბარტი 1989, 418-420)

როდესაც ბარტი განდევნის ავტორს ტექსტიდან, ის გვიჩვენებს იმ რეალობას, რომლის დანახვა ჩვენ ხშირად არ გვსურს. ფილმის ყურებისა თუ წიგნის კითხვისას ჩვენ ვთვლით, რომ ავტორის ჩანაფიქრის გაშიფრვას ვახდენთ, სინამდვილეში კი ჩვენ ვაწარმოებთ ტექსტზე მუშაობას საკუთარი ცხოვრებისეული და კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით. ტექსტთან ურთიერთობის სხვა ფორმა ფაქტობრივად არ არსებობს.

ინტერტექსტუალობის ერთ-ერთ წყაროდ ითვლება სოსიურის ანაგრამების თეორია (სოსიური, 1977). მან აღმოაჩინა ლექსის შედგენის ახლებური მეთოდი „ანაგრამების“ თეორიის გამოყენებით. „ყოველი პოეტური ტექსტის აგება დამოკიდებულია საკვანძო სიტყვის ბგერით (ფონოლოგიურ) შემადგენლობაზე. ტექსტის დანარჩენი სიტყვები შეირჩევა ისეთი სახით, რომ მათში გარკვეული კანონზომიერებით განმეორდეს საკვანძო სიტყვის ბგერები“ (ივანოვი, 1916, 251)

ამგვარად, ელემენტების გარკვეული რიგი (რომელსაც ტრადიციულად ჰქონდა ფუნდამენტური მნიშვნელობა აზრის წარმოქმნაში) სრულიად სხვა ფუნქციას იძენს. ის ანაგრამირებას უკეთებს სხვა, (წინამავალ) ტექსტს და ამის შედეგად ახორციელებს აზრს, არა მხოლოდ სინტაგმატიკურ, არამედ პარადიგმატიკულ პლანში, არა მხოლოდ სინქრონიაში, არამედ დიაქრონიაში. ანაგრამების თეორიის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ინტერტექსტუალობის შეტანა სტრუქტურულ კონტექსტში.

სოსიურმა ანაგრამების ოთხი ტიპი გამოჰყო:

ანაფონია, ჰიპოგრამა, ლოგოგრამა და პარაგრამა. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა ამ უკანასკნელს. ტერმინი პარაგრამა მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი ელემენტი ფუნქციონირებს, როგორც მოძრავი „გრამა“, რომელიც არა თუ გამოხატავს აზრს, არამედ წარმოშობს მას (დიუკრო-ტოდოროვი, 1979, 446).

განსაკუთრებული ინტერესი პარაგრამებისა და ანაგრამების მიმართ გამოიჩინა იულია კრისტევიამ, რომელსაც, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, ეკუთვნის ტერმინ „ინტერტექსტუალობის“ შემოტანა თანამედროვე მეცნიერებაში. ეს გახლავთ სოსიურისეული მასალის თეორიული გააზრების პირველი მცდელობა კრისტევას მიერ: „პოეტური აღმნიშვნელი მიუთითებს სხვაგვარ დისკურსულ აღმნიშვნელს ისეთი სახით, რომ პოეტურ გამოხატულებაში შესაძლებელი ხდება მრავალი დისკურსის ამოკითხვა. ამის შედეგად **პოეტური აღმნიშვნელის** გარშემო იქმნება მრავლისმომცველი ტექსტუალური სივრცე, რომლის ელემენტები შესაძლებელია შეტანილ იქნეს კონკრეტულ პოეტურ ტექსტში. ამ სივრცეს ჩვენ ინტერტექსტუალურს ვუწოდებთ.<...> ასეთ პერსპექტივაში აშკარაა, რომ პოეტური აღმნიშვნელი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთი კოდი. ის წარმოადგენს მრავალი კოდის გადაკვეთის ადგილს. ეს კოდები ერთმანეთთან ურთიერთგამომრიცხავ კავშირში იმყოფებიან.

პოეტურ ენაში მრავალი უცხო დისკურსის გადაკვეთის პრობლემა გამოვლენილი იყო სწორედ ფერდინანდ დე სოსიურის „ანაგრა-მებში“. სოსიურის პარაგრაფების ცნებიდან გამომდინარე, ჩვენ შევძელით დაგვედგინა პოეტური ენის ფუნქციონირების ფუნდამენტური თავისებურებანი, რომელიც განვსაზღვრეთ ტერმინით პარაგრაფმატიზმი, ანუ მრავლისმომცველი ტექსტის (აზრების, მნიშვნელობის) შესვლა პოეტურ გადმოცემაში, რომელიც კონცენტრირებულია ერთიანი აზრის გარშემო“ (კრისტევა, 1969, 255).

კრისტევას დებულებანი ტექსტში კოდების მრავალგვარობასა და ტექსტუალურ სისტემებზე კრისტიან მეცმა კინემატოგრაფიაში გადაიტანა (მეცი, 1977, 76-79), თუმცა პარადიგმასთან არ დააკავშირა ისინი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თავისი ხასიათიდან გამომდინარე პარაგრაფები ჩნდება ვერბალურ ტექსტში და საეჭვოა, რომ არსებობდეს სემანტიკების არტიკულაციური დანაწევრება მონტაჟის ფარგლებში, რადგან კინემატოგრაფიაში მთავარი გამოხატვის ფორმა მაინც გამოსახულებაა.

ასე მაგალითად, ანაგრაფების თვალსაზრისით მ. იამპოლსკის (იამპოლსკი, 1993) ყურადღებას იპყრობს ავანგარდული კინოს წარმომადგენლის ჟან ვიგოს დოკუმენტური ფილმის ესოდენ უცნაური სახელწოდება „რაც შეეხება ნიცას“ (1929), რადგან ფილმისთვის ამგვარი სახელწოდების არჩევა გაკვირვებას იწვევს იქიდან გამომდინარე, რომ იგი არც თუ ისე დამახასიათებელია მხატვრული ტექსტისთვის, ის უფრო სამეცნიერო სტატიას ან ესეს მოუხდებოდა. ასე

რომ, ეს დასახელება შეიძლება ჩაითვალოს გი დე მოპასანის ესეს ვარიაციად, რომელსაც „რაც შეეხება“ ეწოდება და სადაც სწორედ რომ ნიცაზეა საუბარი.

უნდა ითქვას, რომ „არაფერი“ და „ნიცა“ პარაგრაფებია, ანუ არასრული ანაგრაფები. პარაგრაფის საშუალებით ფილმში „ნიცას“ განსხვავებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან სიტყვა „ნიცა“ იქ „არაფრის“ ეკვივალენტი, სრული უარყოფაა. მაგრამ აქ კიდევ სხვა საკითხიც დგას. ორი ტექსტის ანაგრაფმატიზმი მათი ერთმანეთთან დაახლოების, პროეცირების საშუალებას იძლევა. ამგვარი ანაგრაფები საინტერესო შედეგის მომტანია.

სათაურის სახელწოდების სიტყვიერი პარაგრაფი შეიძლება მთელ ტექსტზე გავრცელდეს, რათა გამოჩნდეს ერთ-ერთი მათგანის (ამ შემთხვევაში კინოფილმის) საერთო აზრობრივი სტრატეგია. ვიგო/მოპასანის წყვილში ინტერტექსტუალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ლიტერატურული ტექსტი სიტყვის „არყოფნაზე“ მიუთითებს, როგორც მათი ხედვის ერთ-ერთ პირობას, კინემატოგრაფიული ტექსტი კი ამ ხედვას უსიტყვოდ ახორციელებს. ხოლო ვიგოს ფილმში სიტყვის არყოფნა შესაძლებელია, რადგან ის მოპასანის ვერბალურად არის არგუმენტირებული. ეს ფაქტი თითქოს ათავისუფლებს ამ სახელწოდებას აუცილებლობისგან ეწოდოს „ნიცა“. ამ ინტერტექსტში ვიგოს ფილმი უარყოფს მოპასანის „ნარკვევს“, მაგრამ ეს ფილმი იძენს აზრს სწორედ ამ უარყოფილი ტექსტის საშუალებით.

მომდევნო მაგალითში უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საუბარია ანტონენ არტოსა და ჟერმენ დიულაკის ფილმზე „ნიჟარა და მღვდელი“, რომელიც გადაღებული იყო 1927 წელს ანტონენ არტოს სცენარის მიხედვით. მაგრამ ამ ფილმს დიდი გამოხმაურება არ ჰქონია, პირიქით, მას გარკვეული უსიამოვნებაც მოჰყვა. ამის კონკრეტული მიზეზი ალბათ სხვა არაფერია თუ არა არტოს გადაწყვეტილება შექმნილიყო „აბსოლუტური“ ტექსტი, რაც პრინციპში არარეალურია. მას სურდა, რომ თეატრში მომხდარიყო სიტყვის დაძლევა, მომხდარიყო დრამატურგიული ტექსტის ტრასცენდირება ნიშანთა ახალ საგნობრივ ენაზე, და მათ ნაცვლად სთავაზობდა ეგვიპტურ იეროგლიფებს. „მე ვითამაშებ იმ პიესებში, რომელნიც დამყარებულნი არიან დამწერლობასა და სიტყვაზე“, — განაცხადა მან. არტოს სურვილის მიუხედავად, რეჟისორმა მას არ ანდო

მთავარი როლის შესრულება, რამაც ბევრად იმოქმედა ფილმის ბედზე — გაღიზიანებული არტო თავის მეგობარ სიურრეალისტებთან ერთად ობსტრუქციას უწყობს ფილმს.

როგორც ჟ. დერიდამ (დერიდა, 1979) აღნიშნა, არტოსთვის გამოთქმული სიტყვა, განსაკუთრებით სხვისი სიტყვა, არის მოპარული სხეულისაგან. აქედან გაჩნდა არტოს ინტერესი „უშუალოდ კომუნიკაციური **მეტყველების** მიმართ“, სადაც სიტყვა წაიშლება ქესტიკულაციით“ (არტო, 1968, 162). ამასთან ერთად იგი თვლიდა, რომ „სცენა კონკრეტული ფიზიკური სივრცეა, რომელიც შევსებას, და საკუთარ კონკრეტულ ენაზე ლაპარაკს მოითხოვს... ამ კონკრეტული ენის, რომელიც გრძნობებისკენ არის მიმართული და სიტყვისგან დამოუკიდებელია, უპირველსი დანიშნულება ამ გრძნობების დაკმაყოფილებაა, რომ არსებობს გრძნობათა პოეზია, ისევე როგორც არსებობს ენის პოეზია და რომ კონკრეტული ფიზიკური ენა ჭეშმარიტად თეატრალური მხოლოდ მაშინაა, როცა მისი საშუალებით გამოხატული აზრები შორს არის ჩვეულებრივი ენისგან. — ჩვეულებრივი ენა კი — შედგება იმ ყველაფრისგან, რაც სცენაზეა, ყველაფრისგან, რაც შეიძლება სცენაზე გამოქვადდეს და მატერიალურად გადმოიცეს, ყველაფრისგან, რაც უპირველესად გრძნობებისკენ არის მიმართული და არა გონებისკენ, ისევე როგორც მას სიტყვიერება აკეთებს... ენა, რომელიც გრძნობებისკენ არის მიმართული, უპირველესად, მათი შესაბამისი უნდა იყოს, რაც სულაც არ უშლის მას ხელს მომავალში ინტელექტუალური შესაძლებლობები ყველა მიმართულებით განავითაროს. ეს საშუალებას მოგვცემს ენის პოეზია სივრცეში განფენილი პოეზიით შეიცვალოს., პოეზიით, რომელიც სწორედ იმ სფეროში გაჟღერდება, რომელიც ენასთან მკაცრად არის დაკავშირებული. ეს საკმაოდ რთული პოეზია უამრავ ხერხს იყენებს: უპირველესად მას ყველა ის გამოსახვის საშუალება აქვს, რომელიც სცენაზეა მიღებული... ისეთებისა, როგორცაა მუსიკა, ცეკვა, პლასტიკა, პანტომიმა, მიმიკა, ქესტი, ინტონაცია, განათების არქიტექტურა და დეკორაციები. ყველა მათგანს საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ინტონაცია აქვს... სივრცეში განფენილი პოეზიის ერთ-ერთი ფორმა, გარდა იმისა, რომელიც ისევე როგორც ხელოვნების სხვა ჟანრებში, ხაზების, ფორმების, ფერების, სხადასხვა პირველქმნილი საგნის შერწყმით შეიძლება შეიქმნას, ნიშანთა ენაა... ეს ნიშნები ნამდვილი იეროგლიფებია...“ (ანტონენ არტო. რეჟისურა და მეტაფი-

ზიკა ესსე. კონტინენტი მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი)

მოკლედ, არტოს თეატრალურმა კონცეფციამ დიდი ზემოქმედება მოახდინა XX საუკუნის მეორე ნახევრის თეატრზე. გაჩნდა ურეპრეზენტაციო თეატრის იდეაც, თეატრისა, რომელსაც აბსოლუტური უშუალობა ახასიათებს, თეატრისა ტექსტის გარეშე. იგი განუხორციელებელ, უტოპიურ სანახაობას სთავაზობდა.

ლ. უილიამის აზრით, არტოსთვის კინო იყო საშუალება მომხდარიყო ენის უტოპია სხეულისაგან მოპარული სიტყვის გარეშე, ენისა, რომელიც არ ახდენს ზემოქმედებას გამოსახულებაზე ხმისა და აზრის განცალკევების გარეშე, რაც ესოდენ ახასიათებს ენას. (უილიამ, 1981, 21).

ამ ენის ძიებას, სადაც არ უნდა მოხდეს ხმისა და აზრის გაყოფა, ერთი მხრივ, მიყვავართ კინემატოგრაფისკენ, სადაც ერთმანეთთან შერწყმულია აღმნიშვნელი და აღსანიშნი, მეორე მხრივ კი, — ანაგრამატიზმისკენ, რომელიც თავისებურად ასევე უარყოფს სხვაობას აზრსა და ხმას შორის. ერთი სიტყვით, სცენარის ტექსტი შედგება ისეთი რთული პარაგრამებისგან, რომელთა გამოსახულებაში გადატანა შეუძლებელია.. მაგრამ სცენარში ასევე არის მესამე „ორიენტიორი“. საუბარია ალქიმისტურ ქვეტექსტებზე.

ანაგრამირება ხორციელდება სცენარის მხოლოდ სიტყვიერ ფენაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ა. არტოს მიერ მოფიქრებულ სათაურს "clergymen". სცენარის გმირი ორი სიტყვითაა აღნიშნული: "homme" და "clergymen" (მღვდელი). ეს სიტყვა ფრანგული ყურისთვის შეუჩვევლად ჟღერს, რადგან "clergymen" ანგლიკანური ეკლესიის პასტორებს ეწოდებათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ასეთი დასახელების არჩევა ფონეტიკური ანაგრამატიზმია, რადგან მასში ნათლად იკითხება ორი სიტყვა: „l'air“ (ჰაერი) და "humen“ (ჰიმენი).

ასე რომ, ანაგრამა წარმოადგენს მეტ-ნაკლებად პირდაპირ საშუალებას გადააქციოს ფონეტიკური ხედვითად. ის თითქოს ეკრანიზაციის შინაგანი მექანიზმის მატარებელია, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ეკრანიზაცია გაგებული იქნება, როგორც სიტყვიერის გარდაქმნა ხედვითად.

ეკრანიზაცია თითქოს ანაგრამირებულია თვით სიტყვიერ ტექსტში, რაც გამორიცხავს ამ ტექსტის შემდგომ ეკრანიზაციას.

ლიტერატურა

- არტო, 1968** — Artaud A. Le théâtre et son double. P.: Gallimard, 1968.
- არტო,** — ანტონენ არტო. რეჟისურა და მეტაფიზიკა ესსე. „კონტინენტი“- მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი)
- ბარტი, 1989** — Барт Р. Избранные работы: Семиотика. Поэтика. М.: Прогресс, 1989.
- ბახტინი, 1979** — Бахтин М. М. Эстетика словесного творчества. М.: 1979.
- დერიდა, 1979** — Derrida J. L'Écriture et la différence. P.: Seuil, 1979.
- დიუკრო, თოდოროვი, 1979** — Ducrot O., Todorov T. Dictionnaire encyclopédique des sciences du langage. P.: Seuil, 1979
- იამპოლსკი, 1993** — Ямпольский, Память Тиресия, 1993
- ივანოვი, 1976** — Иванов В. В. Очерки по истории семиотики в СССР. М.: Наука, 1976.
- კინწურაშვილი, 2005** — მ. კინწურაშვილი. ტექსტი, ინტერ-ტექსტი, დიკონსტრუქცია. 2005. სამეცნიერო ძიებანი № 13
- კრისტევა, 1969** — Kristeva J. Sémiotikè: Recherches pour une sémanalyse. P.: Seuil, 1969
- მეტცი, 1977** — Metz Ch. Langage et cinéma. P.: Albatros, 1977.
- სოსიური, 1977** — Соссюр Ф. де. Труды по языкознанию. М.: Прогресс, 1977.
- ტინიანოვი, 1924** — Тынянов Ю. Проблема стихотворного языка. Л.: 1924.
- უილიამსი, 1981** — Williams L. Figures of Desire: A Theory and Analysis of Surrealist Film. Urbana, Chicago, L.: Universty of Illinois Press. 1981.

MAYA GUGUNAVA

Intertextuality in Cinematography

Summary

The paper attempts to develop a theory of cinematic intertextuality. Semiotic studies as well as contemporary film theory form the theoretical basis for the investigation. Cinema is defined as a chain of transparent mimetic fragments intermixed with the so-called ‘textual’ anomalies’. The cinematic intertextuality is interpreted by means of exploring the language of the cinema and by aiming to understand the way film-makers work with their sources.

The paper also deals with two different views on intertextuality - J. Kristeva’s and Lampolski’s.

ტარიელ ბურბანიძე

მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელთა
აბაზის თეორიული საფუძვლები

ნებისმიერი ენის მხოლოდითი რიცხვის I, II და III პირის ნაცვალსახელებს აღვნიშნავთ შესაბამისად ლათინური ანბანის **a**, **b** და **c** ასოებით. ამოსავალი **a**, **b** და **c** სიმბოლოების (ანუ, მარტივი ელემენტების) დაკავშირება \wedge („და“) ოპერატორით მოგვცემს რთულ ორწევრა ელემენტებს: **aab**, **aac**, **bab**, **bac**, **cac**. ჩაწერის გამარტივების მიზნით, შესაძლებელია \wedge ოპერატორის გამოტოვება; ანუ, გვექნება: $Q^2 = \{ab, ac, bb, bc, cc\}$. ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის მონაწილეობა დაუშვებელია, ამიტომ გამოირიცხება **aaa** (**aa**) კომბინაცია. შესაძლებელია რთული სამწევრა, ოთხწევრა და ა. შ. **n**-წევრა ელემენტების მიღებაც:

$$Q^3 = \{abb, abc, acc; bbb, bbc, bcc; ccc\};$$

$$Q^4 = \{abbb, abbc, abcc, abcc; bbbb, bbbc, bbcc, bccc; cccc\}.$$

რთული **n**-წევრა ელემენტებისაგან შემდგარი Q^n სიმრავლის ელემენტები ბუნებრივ ენებში გამოხატავის თვალსაზრისით ასე დაჯგუფდება:

$$\begin{aligned} A^2 &= \{ab, ac\}; & B^2 &= \{bb, bc\}; & C^2 &= \{cc\}; \\ A^3 &= \{abb, abc, acc\}; & B^3 &= \{bbb, bbc, bcc\}; & C^3 &= \{ccc\}; \\ A^4 &= \{abbb, abbc, abcc, abcc\}; & B^4 &= \{bbbb, bbbc, bbcc, bccc\}; & C^4 &= \{cccc\}; \end{aligned}$$

a სიმბოლოს შემცველი ელემენტები გაერთიანდება A^n ქვესიმრავლეში; მხოლოდ **c** სიმბოლოს შემცველი ელემენტები გაერთიანდება C^n ქვესიმრავლეში; ხოლო დანარჩენი ელემენტები B^n ქვესიმრავლეში მოხვდება. **n**-წევრა ელემენტებიანი Q^n სიმრავლე ამგვარად დაიყო ურთიერთარაგადამკვეთ A^n , B^n და C^n ქვესიმრავლეებად: $Q^n = A^n \cup B^n \cup C^n$ (U არის სიმრავლეთა გაერთიანების აღნიშვნელი სიმბოლო). ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ, რომ $n > 1$. თუ n -ის სიდიდეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება ჩაწერის გამარტივების მიზნით n ინდექსი გამოვტოვოთ. ანუ, გვექნება: **A** („ჩვენ“), **B** („თქვენ“), **C** („ისინი“).

B^n სიმრავლის ელემენტები შეიძლება დავახასიათოთ ელემენტში **c** სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით. B^n სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც შეიცავენ **c** სიმბოლოს, გაერთიანდება $(B^n)^{in}$ ქვესიმრავლეში, ხოლო დანარჩენი ელემენტები გაერთიანდება $(B^n)^{ex}$ ქვესიმრავლეში: $B^n = (B^n)^{in} \cup (B^n)^{ex}$. შემოგვაქვს აღნიშვნები: **in** — ინკლუზივი, **ex** — ექსკლუზივი. ამგვარად გვექნება:

$$\begin{aligned} (B^2)^{in} &= \{bc\}; & (B^2)^{ex} &= \{bb\}. \\ (B^3)^{in} &= \{bbc, bcc\}; & (B^3)^{ex} &= \{bbb\}. \\ (B^4)^{in} &= \{bbbc, bbcc, bccc\}; & (B^4)^{ex} &= \{bbbb\}. \end{aligned}$$

თუ იმავე ნიშნით (ანუ, ელემენტში **c** სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით) დავახასიათებთ A^n სიმრავლის ელემენტებს, გვექნება: A^n სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც შეიცავენ **c** სიმბოლოს, გაერთიანდება $(A^n)^{in}$ ქვესიმრავლეში, ხოლო დანარჩენი ელემენტები გაერთიანდება $(A^n)^{ex}$ ქვესიმრავლეში: $A^n = (A^n)^{in} \cup (A^n)^{ex}$.

ამგვარად გვექნება:

$$\begin{aligned} (A^2)^{in} &= \{ac\}; & (A^2)^{ex} &= \{ab\}; \\ (A^3)^{in} &= \{abc, acc\}; & (A^3)^{ex} &= \{abb\}; \\ (A^4)^{in} &= \{abcc, abcc, abcc\}; & (A^4)^{ex} &= \{abbb\}. \end{aligned}$$

ზემოთ მიწერილი ინდექსი **in** (resp. **ex**) ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი სიმრავლის ყოველი ელემენტი შეიცავს (resp. არ შეიცავს) **c** სიმბოლოს.

შესაძლებელია A^n სიმრავლის ელემენტები დავახასიათოთ ელემენტში **b** სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით. A^n სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც შეიცავენ **b** სიმბოლოს, გაერთიანდება A^n_{in} ქვესიმრავლეში, ხოლო დანარჩენი ელემენტები გაერთიანდება A^n_{ex} ქვესიმრავლეში: $A^n = A^n_{in} \cup A^n_{ex}$. ამგვარად, გვექნება:

$$\begin{aligned} A^2_{in} &= \{ab\}; & A^2_{ex} &= \{ac\}; \\ A^3_{in} &= \{abb, abc\}; & A^3_{ex} &= \{acc\}; \\ A^4_{in} &= \{abbb, abbc, abcc\}; & A^4_{ex} &= \{abcc\}. \end{aligned}$$

ქვემოთ მიწერილი ინდექსი **in** (resp. **ex**) ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი სიმრავლის ყოველი ელემენტი შეიცავს (resp. არ შეიცავს) **b** სიმბოლოს.

როგორც ვხედავთ, $(A^2)^{in} = A^2_{ex}$; $(A^2)^{ex} = A^2_{in}$.

როცა $n > 2$, მაშინ შესაძლებელია $(A^n)^{in}$ სიმრავლის ელემენტები დავახასიათოთ ელემენტში **b** სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების

მიხედვით. $(A^n)^{in}$ სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც b სიმბოლოს შეიცავენ, გაერთიანდება $(A^n_{in})^{in}$ ქვესიმრავლეში, ხოლო დანარჩენი ელემენტები გაერთიანდება A^n_{ex} ქვესიმრავლეში: $(A^n)^{in} = (A^n_{in})^{in} \cup A^n_{ex}$.

ამგვარად, გვექნება:

$$(A^3_{in})^{in} = \{abc\}; \quad A^3_{ex} = \{acc\};$$

$$(A^4_{in})^{in} = \{abbc, abcc\}; \quad A^4_{ex} = \{accc\}.$$

შემოგვაქვს კიდევ ერთი აღნიშვნა: $(A^n_{in})^{in}$ — ორმაგი ინკლუზივი, ანუ „სუპერინკლუზივი“ (რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი სიმრავლის ყოველი ელემენტი ერთდროულად შეიცავს b და c სიმბოლოებს).

ზუსტად ასევე, როცა $n > 2$, მაშინ შესაძლებელია A^n_{in} სიმრავლის ელემენტები დავახასიათოთ ელემენტში c სიმბოლოს შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით. A^n_{in} სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც c სიმბოლოს შეიცავენ, გაერთიანდება $(A^n_{in})^{in}$ ქვესიმრავლეში, ხოლო დანარჩენი ელემენტები $(A^n_{in})^{ex}$ ქვესიმრავლეში გაერთიანდება: $A^n_{in} = (A^n_{in})^{in} \cup (A^n_{in})^{ex}$.

ამგვარად გვექნება:

$$(A^3_{in})^{in} = \{abc\}; \quad (A^3_{in})^{ex} = \{abb\};$$

$$(A^4_{in})^{in} = \{abbc, abcc\}; \quad (A^4_{in})^{ex} = \{abbb\}.$$

რომ შევავალოთ, მივიღებთ: $A^n = (A^n)^{ex} \cup (A^n_{in})^{in} \cup A^n_{ex}$.

A^n სიმრავლის ელემენტების აღსანიშნავად თეორიულად მოსალოდნელია სამი განსხვავებული ფორმის არსებობა: ერთი ფორმა — $(A^n)^{ex}$ ქვესიმრავლის ელემენტებისათვის, მეორე ფორმა — $(A^n_{in})^{in}$ ქვესიმრავლის ელემენტებისათვის, ხოლო მესამე ფორმა — A^n_{ex} ქვესიმრავლის ელემენტებისათვის.

A^n სიმრავლის ელემენტებისათვის ორი განსხვავებული ფორმის არსებობის შემთხვევაში (თუკი ეს სხვადასხვა პირთა კომბინაციებით არის განპირობებული), ჩვეულებრივ, როგორც წესი, გამოხატულია ის სემანტიკური დაპირისპირება, რომელიც მოცემულია ოპოზიციაში $A^n_{in} \sim A^n_{ex}$. ჩვენთვის არ არის ცნობილი ისეთი ბუნებრივი ენა, რომელშიც ფორმალურად გამოხატული იქნება $(A^n)^{in} \sim (A^n)^{ex}$ ოპოზიციაში არსებული სემანტიკური დაპირისპირება (თუმცა, თეორიულად ასეთი რამ არ გამოირიცხება).

A^n სიმრავლის ელემენტებისათვის ორი განსხვავებული ფორმის არსებობის კიდევ ერთი ვარიანტია შესაძლებელი: ერთი ფორმა $(A^n_{in})^{in}$ ქვესიმრავლის ელემენტებისათვის, ხოლო მეორე ფორმა ზიარი იქნება $(A^n)^{ex}$ და A^n_{ex} ქვესიმრავლეთა ელემენტებისათვის.

B^n სიმრავლის ელემენტებისათვის სხვადასხვა პირთა კომბინაციებით განპირობებული ორი განსხვავებული ფორმის არსებობის შემთხვევაში გამოხატული იქნება ის სემანტიკური დაპირისპირება, რომელიც მოცემულია ოპოზიციაში $(B^n)^{in} \sim (B^n)^{ex}$.

TARIEL GURGENIDZE

Theoretical Basis for Building the Plural of the First Person and the Second Person Pronouns

Summary

The sets of n -member elements expressed by the first person or the second person pronouns are signified by the symbols A^n and B^n respectively (it is implied that $n > 1$).

The elements of the sets A^n 'we' and B^n 'you' can be characterized by the inclusion or exclusion of the third person in the element of these sets:

$B^n = (B^n)^{in} \cup (B^n)^{ex}$, i. e. we have the opposition $(B^n)^{in} \sim (B^n)^{ex}$.

$A^n = (A^n)^{in} \cup (A^n)^{ex}$, i. e. we have the opposition $(A^n)^{in} \sim (A^n)^{ex}$.

The above-given index in (resp. ex) means that any element of the respective set contains at minimum one (resp. does not contain any) third person. This is the case when the elements of B^n (resp. A^n) can have two different forms.

The elements of the same A^n 'we' set can be characterized by the inclusion or exclusion of the second person in the element of this set:

$A^n = A^n_{in} \cup A^n_{ex}$, i. e. we have the opposition $A^n_{in} \sim A^n_{ex}$. In this case the index in (resp. ex) means that any element of the respective set contains at minimum one (resp. does not contain any) second person. And this is the another case when the elements of A^n set can have two different forms.

When $n > 2$ we will have: $(A^n)^{in} = (A^n_{in})^{in} \cup A^n_{ex}$, $A^n_{in} = (A^n_{in})^{in} \cup (A^n)^{ex}$.

One more type of signification is introduced $(A^n_{in})^{in}$ — double inclusive, or 'superinclusive'. $A^n = (A^n)^{ex} \cup (A^n_{in})^{in} \cup A^n_{ex}$. These are three different theoretically possible forms for denoting the elements of A^n set.

For the elements of A^n set one more variant for the existence of two different forms is possible: one form is only used for denoting the elements of $(A^n_{in})^{in}$ subset whereas the other will be shared by the elements of the subsets $(A^n)^{ex}$ and A^n_{ex} .

ინზა დიპონიძე

ხალხური და „ცრუ ხალხური“

მიუხედავად პარემიის რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობისა, არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრება, რომ პარემია, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად არის ის, რაც ხალხურია, ფოლკლორის საკუთრებაა. მაგრამ რა შეიძლება მივსახუროთ ფოლკლორს? არც ეს საკითხია საბოლოოდ გადაწყვეტილი.

რა არის ფოლკლორი? სიტყვა *ფოლკლორი* მე-19 საუკუნის ამერიკელმა მკვლევარმა ჯ.ტომსმა შემოიღო, რათა შეეცვალა ფოლკლორის აღსანიშნავად მანამდე დამკვიდრებული ინგლისური **popular antiquities** “ხალხური სიძველეები” (სხვა ენებსაც საკუთარი ტერმინები ჰქონდა ხალხური ზეპირსიტყვიერების აღსანიშნავად. ასე რომ, **ფოლკლორი** ახალი საერთაშორისო ტერმინია) (ბრუნვანდი, 1992).

ხსენებულმა ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა მიიღო სხვადასხვა ფილოლოგისა თუ მწერლის ნაშრომში.

ზოგი მკვლევარი მხოლოდ ვერბალურ ფორმას მიიჩნევს ფოლკლორად, თუმცა ამათ შორისაც არსებობს ორი განსხვავებული თვალსაზრისი: ერთნი ფოლკლორს მიაკუთვნებენ ყველა ვერბალურ ხალხურ ფორმას, მათ შორის წერილობითსაც, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ფოლკლორიდან უნდა გამოირიცხოს ყველა ხალხური ფორმა, გარდა ზეპირსიტყვიერებისა (დანდისი, 1980).

არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ფოლკლორი არ ამოიწურება ვერბალური ფორმებით. მაგალითად, უ.ბასკომის თქმით, ფოლკლორი „ვერბალური ხელოვნებაა“, მაგრამ ამ ცნებაში იგი უფრო ფართო შინაარსს დებს, ვიდრე საყოველთაოდ არის მიღებული. მისი აზრით, გარდა მხატვრული ფორმებისა, ფოლკლორი მოიცავს მუსიკას, ანდაზასა და ამინდის საწინასწარმეტყველო გამოთქვამებსაც. უ.ბასკომი სრულიად უგულვებელყოფს ფოლკლორის სხვა ხალხურ ვერბალურ ფორმებს (დალოცვა, წყევლა, ხალხური სა-

მართლის წარმოების ფორმულები, ხალხური შემოქმედების, ასე ვთქვათ, მატერიალური პროდუქტი — ნაკეთობები, ეროვნული ტანსაცმელი, ნაქარგები და ა.შ.), ისევე როგორც — არავერბალურს. თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა მაინც იმ საერთო დასკვნამდე მიდის, რომ ფოლკლორს ახასიათებს ოთხი ძირითადი თვისება:

1. ფოლკლორს ან ზეპირსიტყვიერების (ვერბალური) სახე აქვს, ან იგი არავერბალურია — უკავშირდება ზნე-ჩვეულებებს (სხვადასხვა რიტუალი), ან მატერიალურია (ფიზიკური პროდუქცია);
2. გავრცელების სფერო, ფორმა და წესი ტრადიციულია;
3. არსებობს სხვადასხვა ვერსიის სახით.
4. ჩვეულებრივ უავტოროა (ბრუნვანდი, 1992)

მკვლევრები ხაზს უსვამენ პირველი ორი თვისების აუცილებლობას. ფოლკლორის განსაზღვრისას ამერიკელი მკვლევარი უ. ჰ. ბრუნვანდი იყენებს ტერმინს „**true folklore**“ (“ნამდვილი ფოლკლორი”). დაისმის კითხვა: შეიძლება კი არსებობდეს არანამდვილი, ცრუ ფოლკლორი? რატომ განსაზღვრავს მკვლევარი ფოლკლორს სიტყვა „ნამდვილით“ (**true**)? ეს, ალბათ, გამოწვეულია ფოლკლორის კვლევაში ტერმინ **fakelore**-ის გამოჩენით, რომელიც შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა რ.დორსონმა. მისი პირდაპირი თარგმანია „ცრუ სიბრძნე“ (მაგრამ აზრობრივად უფრო ზუსტი იქნებოდა „ცრუ ხალხური“). შესაძლოა, არსებობს რაღაც მცდარი შეხედულება ფოლკლორზე, რასაც უ.ჰ. ბრუნვანდმა დაუპირისპირა ტერმინი „**true folklore**.“ მაშ, რა ითვლება **fakelore**-ად, ცრუ ფოლკლორად? ამერიკელი მკვლევრის განმარტებით, **fakelore**-ად იწოდება ისეთი ნაწარმოები, რომელიც ხალხურადაა მიჩნეული საზოგადოების მიერ, მაგრამ რომელსაც ჰყავს ავტორი და ძალიან ცოტა თუ აქვს საერთო ნამდვილ ფოლკლორთან (ბრუნვანდი, 1992). ავიღოთ, მაგალითად, თანამედროვე პოპულარული ქართული სიმღერის ტექსტი:

„კაცი ვარ და ქუდი მხურავს,
ქედს არ ვუხრი არავის,
არც არავის ვემონები,
არც ვბატონობ არავის.“

ინფორმატებთან საუბარმა გვიჩვენა, რომ უმრავლესობა ამ ლექსს ხალხურად მიიჩნევს. ცოტამ თუ იცის, რომ იგი რობერტ ბერნსს ეკუთვნის, ხოლო თარგმანი შესრულებულია თამარ ერისთავის მიერ; ე.ი. იგი **fakelore**-ია. რა აქვს მას საერთო ფოლკლორთან?

ის, რომ იგი იმდენად შესამებულია ქართულ ხასიათთან, იმდენად კარგადაა ნათარგმნი, რომ მთიანი შოტლანდიის ხალხურ ყაიდაზე მომდერალი პოეტის ლექსი ქართულ ხალხურ ლექსად აღიქმება. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, „ცრუ ხალხურია“, ანუ **faklore**-ია ასევე გამონათქვამი „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. ინფორმატებთან საუბარმა გვიჩვენა, რომ დღეს უკვე დავიწყებას ეძლევა ამ აფორიზმის წარმომავლობა შოთა რუსთაველის პოემიდან. ჰერ კიდევ ახსოვთ, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ შოთა რუსთაველის სტრიქონია, მაგრამ რა შეიძლება მოხდეს ხვალ, საუკუნის ან თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ? სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გამონათქვამი შეუერთდეს ისეთ აფორიზმთა რიცხვს, რომელთა ავტორს აღარ ვეძებთ, ანუ იგი შეიძლება იქცეს პარემიად, იმდენად რამდენადაც იგი ზოგადსაკაცობრიო სიბრძნეს ასახავს, რასაც მკითხველი ინტუიციით გრძნობს, იგი არქეტეპულ საფუძველზეა დამყარებული.

ზოგიერთი საავტორო აფორიზტიკული ჟანრის პარემიად ქცევის ფაქტს აღნიშნავს ყ.პ.ბრუნვანდი (ბრუნვანდი, 1992), მაგრამ არ მსჯელობს იმაზე, თუ რატომ იქცევა ზოგიერთი საავტორო გამონათქვამი ხალხურ ფორმად და ზოგი—არა.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული მიზეზი, რომლის გამოც პარემიად მივიჩნევთ ზოგიერთ საავტორო აფორიზმს, ანუ კერძოდ ის, რომ გამონათქვამი შეიცავს ზოგადსაკაცობრიო სიბრძნეს, არქეტეპულ სქემას, რეალიზებულია კონკრეტულ გამონათქვამში — **"I'd rather be right than be a President,"** რომლის შესახებაც ყ.პ. ბრუნვანდი აღნიშნავს, რომ იგი ვერასოდეს იქცევა პარემიად.

ჩვენ არ ვიზიარებთ ყ.პ.ბრუნვანდის ამ მოსაზრებას, რადგან მივიჩნევთ, რომ თუკი საავტორო აფორიზმი შეიძლება ხალხური გახდეს (როგორც ვნახეთ ეს შესაძლებელია), მაშინ ზემოთ მოყვანილ გამონათქვამსაც შესაძლებელია, ანალოგიური ბედი ეწიოს. იგივე შეიძლება ითქვას ბიბლიურ ან სხვა ლიტერატურულ ციტატებზე, რომლებსაც ხალხი უკვე წყაროს მიუთითებლად იყენებს და, ფვიქრობთ, ეს უმეტეს შემთხვევაში გაუცნობიერებლად ხდება. ასეთებია, მაგალითად, ბიბლიური **"Money is the root of all evil"** (არასწორი ციტირება თომას სახარებიდან [1,6.10]) და ფრაზა **"To cast bread upon the waters"** (ეკლესიასტე 11:1), შექსპირისეული **"What's in a name,"** **"The wish is father to the thought,"** და მისი არაერთი სხვა გამონათქვამი, სა-

მუილ ჯონსონის **"Patriotism is the last resort of a scoundrel"** და უილიამ უელდსუესის **"The child is the father to the man"**. ბევრი ანდაზა კლასიკური ბერძნული და რომაული წარმომობისაა (**"Love is blind,"** **"The die is cast,"** **"Many men, many minds"**), ან ისინი შეიცავენ მინიშნებებს კლასიკურ მითოლოგიასა და ისტორიაზე (**"To cross the Rubicon,"** **"as rich as Croesus,"** **"Rome was not built in a day"**), რომელთა ავტორები, სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა. ეს ისეთი გამონათქვამებია, რომლებიც უკვე ხალხურ ანდაზებად აღიქმება.

მაშინ სადაა ზღვარი „ცრუ ხალხურსა“ (**faklore**) და ნამდვილ ხალხურს (**folklore**) შორის?

ჩვენს თვალში ტერმინი „ცრუ ხალხური“ საფუძველმოკლებულია და საეჭვოა, რომ ფეხი მოიკიდოს მეცნიერებაში. თუ გამონათქვამი შეიცავს ხალხურ, ღრმა, საუკუნეებიდან მომდინარე არქეტეპულ სიბრძნეს (რაც განაპირობებს მის ანდაზად აღქმას), თუ ადვილად მოსახელთებელი, სხარტი, ხალხური თქმისათვის, ანდაზისათვის, ნებისმიერი ხალხური გამოთქმისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს, თუ მთქმელთა და მსმენელთა უმრავლესობას აღარ ახსოვს მისი ავტორი, მაშინ ეს უკვე ხალხის კუთვნილებაა. თუმცა გენეტიკურად, წარმოშობით იგი არ არის ხალხური, მაგრამ ერის საამაყო, გენიოსი მწერლის ნათქვამია. არც ეს არის შემთხვევითი—ალბათ, არა ასეთი ბრძენი, გამორჩეული მწერლის ნათქვამი ხალხის კუთვნილებად იშვიათად აღიქმება. მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა ხალხური გამონათქვამი პირველად ითქვა რომელიღაც ინდივიდის მიერ, რომელიც, ცხადია, არ არის რუსთაველის დონისა. სამაგიეროდ, ის თავის პირად, ინდივიდუალურ დაკვირვებას კი არ გამოხატავს, მის მიერ გამოთქმული სიბრძნე პირადად მას კი არ ეკუთვნის, არამედ ხალხში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი, საუკუნეების სიღრმეში დანახული, საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე არქეტეპული ცოდნაა, კოლექტივის საერთო ცოდნაა. და მწერლის მიერ ნათქვამი, ის, რასაც **faklore**-ს (ცრუ ხალხურს, ცრუ სიბრძნეს) უწოდებენ, შეიძლება ხალხურ ნათქვამად იქნეს აღქმული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასში გამოთქმული სიბრძნე ამ ხალხურ არქეტეპულ სიბრძნეს ემთხვევა. ამავე დროს, ასეთი გამონათქვამი ყოველთვის გამოხატავს ან ზოგად და მარადსაკაცობრიო, პირველად, არქეტეპულ ღირებულებებს ეროვნული ფორმით, ან წმინდა ეროვნულს, კოლექტიური ცნობიერების, უფრო ზუსტად კი „კოლექტიური არაცნობიერის“ ეროვნული შრიდან მომდინარეს (იუნგი, 1995).

ლიტერატურა

ბრუნვანდი, 1992 — Brunvand J.H., The Study of American Folklore. New-York, 1992.

დანდისი, 1980 — Dundes A., Ways of studying folklore, in: American Folklore", by Tristram Coffin III. Washington Press, Washington, 1980

იუნგი, 1995 — იუნგი კ.გ., სიზმრები. თბილისი, 1995.

INGA DIAKONIDZE

Folklore and Fakelore

Summary

The paper examines the terms "folklore" and "fakelore" and aims to differentiate between them. The works that have authors but are still perceived by society as samples of folk origin are termed as fakelore.

They have similar form as proverbs and sayings and contain pieces of archetypal wisdom. The paper argues that because of these features the term "fakelore" is unacceptable and the two terms are identical.

ინგა ჯურაბიშვილი

„სნრა“-ს ჟანრის განმსაზღვრელი ერთი სტილისტური თავისებურების შესახებ „ათას ერთ ლაგოში“

„ათას ერთი ლამის“ ვრცელი ნარატივი „უმარ ან-ნუჰმანის ამბავი“ ყველაზე დიდი თხზულებაა კრებულში. იგი მოიცავს დაახლოებით 134 ლამეს. ზოგიერთი მკვლევარი მას მიიჩნევს სარაინდო რომანად, ზოგიც — „სნრა“-დ.

ტერმინი „სნრა“ არაბულ ლიტერატურაში აღნიშნავს ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების აღწერას. გამოყოფენ საერო და რელიგიური ხასიათის სნრას. საერო აღწერს გმირებისა და მეფეების ცხოვრებას, ხოლო რელიგიური — ისლამის წმინდანების (როგორც წესი ერთი ადამიანის) მოღვაწეობას. თავის მხრივ, „სნრა შაჰები ა“ — ანუ „ხალხური სნრა“ სამი სახისაა: „სნრა კაბალი ა“, რომელშიც აღწერილია რომელიმე ტომის ძლევა მოსილგება; „სნრა კავში ა“, სადაც მოთხრობილია არაბების საგმირო ბრძოლების შესახებ და „სნრა ისლამი ა“, რომლის გმირების ბრძოლისა და საქციელის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ისლამის გავრცელებაა (ალ-ჰიჯაჯი, 1991, 10).

მკვლევრების მიერ შემჩნეულია სნრაში საგმირო ეპოსისა და ზღაპრული ელემენტის, მითოლოგიური მოტივებისა და საყოფაცხოვრებო-ფოლკლორული სტიქიის არსებობა (იბრაჰიმოვი, 1984), რაც ქმნის ერთიან, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

ბ. ი. შიდფარი სტატიაში სნრას გენეზისის შესახებ წერს: „სნრა — ეს არის ხალხური ლიტერატურის ნაწარმოები, ჩვეულებრივ, დიდი ზომის, გათვლილი ზეპირი შესრულებისათვის დიდი აუდიტორიის წინაშე. სნრა ყოველთვის აგებულია განსაზღვრული სქემით — სიუჟეტის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ბრძოლა სიკეთეს — განსახიერებულს მუსლიმი გმირი-მებრძოლების სახით — და ბოროტებას შორის, რომელსაც განასახიერებენ „ურწმუნოები“. მნიშვნელოვან კომპოზიციურ თავისებურებას წარმოადგენს დიდი რაოდენობის ჩა-

რთული ნოველები, ეპიზოდების დუბლირება, მსუბუქი დაყოფა ეპიზოდებად, რაც გათვალისწინებულია ერთჯერადი შესრულებისათვის. სწორასათვის დამახასიათებელია დიდი წილი დიალოგებისა, პირდაპირი თქმა. არსებით მახასიათებელს წარმოადგენს გართიმული პროზის გამოყენება, ლექსების ჩართვა, ხშირად ილუსტრირებული ხასიათის, ზოგიერთ შემთხვევაში — თხრობის სტიმულირებისათვის“. მკვლევარი ამ ჟანრის განსაზღვრისათვის სამეცნიერო ტერმინად ყველაზე მეტად მიზანშეწონილად მიიჩნევს არაბული ტერმინის — „სირა“ — გამოყენებას და აკეთებს შემდეგ დასკვნას: „თუმცა, თუ შევეცდებით მსოფლიო ლიტერატურის ჟანრების სისტემაში მის ჩართვას, ყველაზე მეტად მიზანშეწონილი იქნებოდა ალგენიზნა მისი „გარდამავალი ხასიათი“ წერილობით ფიქსირებული საგმირო ეპოსიდან სტადიურად უფრო გვიანდელ ჟანრზე რომანული თხრობისა“ (მიდვარი, 1980, 129).

იბრაჰიმოვი თავის მონოგრაფიაში „არაბული ხალხური რომანი“ (იბრაჰიმოვი, 1984, 7) აღნიშნავს, რომ მართალია „სირა“-ს ფესვები ფოლკლორშია, ის საგრძნობლად დაშორდა მას და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ჟანრი.

ყოველი ჟანრი ავლენს თავის დამოკიდებულებას სინამდვილესთან — თავის პრინციპებს ცხოვრებისეული პრინციპების შერჩევისას, მათი შეფასებისა და მხატვრული ასახვისას, ეს პრინციპები, ლიტერატურისაგან განსხვავებით ფოლკლორში უშუალოდ არ არის ფორმულირებული, არამედ მატერიალიზებულია თვით ფოლკლორულ ნაწარმოებში (პუტილოვი, 1976, 12).

აქედან გამომდინარე, ფოლკლორული ნაწარმოების შესწავლა და შეფასება შეუძლებელია მისი ესთეტიკის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების ესთეტიკა განსხვავებულია, ასევეა ლიტერატურად ქცეული, ანუ წერილობით ფიქსირებული ფოლკლორული ნაწარმოების ესთეტიკა და მისი კვლევის მეთოდები.

ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ჟანრისა მდგომარეობს მისი პოეტიკის ერთიანობაში, ანუ პოეტიკურ სისტემაში. არსებობს სხვა ნიშნებიც, მაგრამ აღნიშნული — უმნიშვნელოვანესია (პროპი, 1976, 117).

გ. პროპის მიერ ჩამოყალიბებული ჯადოსნური ზღაპრის პოეტიკური სისტემა უნივერსალურია. ნაშრომში „ჯადოსნური ზღაპრების ტრანსფორმაცია“, ტრანსფორმაციის ერთ-ერთ სახედ განიხილება

„ლიტერატურული შენაცვლება“. საინტერესოა შემდეგი ფორმულირება: „ზღაპარი ავლენს ისეთ მდგრადობას, რომ მასზე ხდება სხვა ფორმების „გადატეხვა“; ისინი არ შეერწყმება ერთმანეთს. თუ შეხვედრა მაინც მოხდება, იმარჯვებს ზღაპარი. სხვა ლიტერატურული ჟანრებიდან ზღაპარი ყველაზე მეტად შეისრუტავს „ბილინა“-ს და ლეგენდას, შედარებით იშვიათად შენაცვლება ხდება რომანიდან. აქ მხოლოდ სარაინდო რომანი თამაშობს ერთგვარ როლს. თუმცა სარაინდო რომანი ხშირად თვითონ მომდინარეობს ზღაპრიდან. განვითარება ხდება შემდეგი ეტაპებით: ზღაპარი → რომანი → ზღაპარი. ამიტომაცაა, ასეთი ნაწარმოებები კონსტრუქციის მიხედვით წარმოადგენენ ზღაპრებს“ (პროპი, 1976, 166).

პროპი საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას ლიტერატურულ და არქაულ ასიმილაციებზე, აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ასიმილაციასთან, არამედ ერთი ფორმის მიერ მეორის გამოდევნასთან ზღაპრული შემადგენელი ნაწილების შენარჩუნებით (პროპი, 1976, 168).

არსებობს მოსაზრება, რომ „უმარ ან-ნუჰმანის ამბავი“ კრებულში „ათას ერთი ღამე“ შესვლამდე არსებობდა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები და დაემატა კრებულს მისი შესვლა-გაგრძელებისათვის (ალ-კალამავი, 1959, 114). თანამედროვე ევკლიპტიკი ფოლკლორისტიკის ალ-ჰიჯაჯის აზრით, ეს ვრცელი ნარატივი წარმოადგენს სირას, რომლის „ათას ერთ ღამეში“ მოხვედრამ გამოიწვია მისი ტრანსფორმაცია ჟანრობრივად ახალი სახის ნაწარმოებად, რომელიც უფრო მეტად იქნებოდა მისადაგებული კრებულის ხასიათთან (ალ-ჰიჯაჯი, 1994, 238). მკვლევარი გამოყოფს სწორასათვის დამახასიათებელ ნიშნებს და იმ მახასიათებლებს, რაც ნიშანდობლივია ზღაპრული ნარატივისათვის. იგი სწორას ზღაპრად ტრანსფორმაციის შესახებ წერს: „ზღაპრის სწრაში შესვლა ან პირიქით არ არის უჩვეულო და უნიკალური მოვლენა. ნარაცია ხალხურ შემოქმედებაში წერილი მოძრაობით ხასიათდება, იწყება მარტივი თხრობით, რაც საზოგადოების მოთხოვნილების პირობების შესაბამისად რთულდება, რათა მისდინოს მის საერთო მისწრაფებებს და მარტივი ნარაცია გადაიქცევა სწრადად. შესაძლოა მოხდეს სწორას „დამსხვრევა“ და მისი საგმირო ეპოსად გადაქცევა, შესაძლოა ეს არც მოხდეს და დაუბრუნდეს პირვანდელ ფორმას — ზღაპარს (ალ-ჰიჯაჯი, 1994, 245).

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნარაციის ხასიათი და ტრანსფორმაციის პროცესის განმსაზღვრელია ისტორიულ-სოციალური პირობები, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების აღქმასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებული ეპოქალური პირობები წარმოშობს საზოგადოების მოთხოვნილებას უანრობრივად ახალი ფორმების გააქტიურებისაკენ. სწრაში აირეკლება ეპოქალური მისწრაფება გმირობისა და გადამრჩენი გმირის იდეის მიმართულებით, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ „ათას ერთ ღამე“-ში ამ ვრცელი ნარატივის ჩართვა გამოწვეული ყოფილიყო რექტორ-შემდგენლის მიერ გარკვეული იდეური მოსაზრების გამო და არა მხოლოდ „ღამეების“ შევსება-გაგრძელების მიზეზით, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ნაწარმოებში აშკარად ჩანს ფოლკლორული გენეზისის ნიშნები. ეს ნიშნები ვლინდება არა მარტო ენობრივ დონეზე, არამედ ტრადიციულ კომპოზიციურ ხერხებში, რასაც პირველ რიგში მიეკუთვნება ერთნაირად აგებული ეპიკური სიტუაციებისა და აღწერების ფართოდ გამოყენება. განმეორებადი სცენების არსებობა ეპიკური ტექსტების ერთ-ერთი ყველაზე ცხადი თავისებურებაა.

ფორმულური ხასიათის შესახებ აღმოჩენა, რომელიც ეკუთვნის მ. პარის და დასტურდება ა. ლორდის მიერ, აღმოჩნდა არსებითი მნიშვნელობის მქონედ არამარტო „ცოცხალი“ ეპოსის გენეზისის გასაგებად, არამედ წერილობით ფიქსირებულისაც (გრინცერი, 1978, 16).

ა. ლორდის განსაზღვრით, „თემად შეიძლება განისაზღვროს განმეორებადი ელემენტი თხრობისა და აღწერის ტრადიციულ ზეპირ პოეზიაში, იგი არაა მეტრული საზომით განსაზღვრული (ფორმულის მსგავსად), ამიტომ იგი არ დაიყვანება სიტყვასიტყვით განმეორებად ელემენტად. უფრო მკაცრი განსაზღვრით, ჩვენ ვერ ვუწოდებთ „თემას“ სიტუაციას, აღწერას ან მოვლენას, თუ მას ორჯერ მაინც არ შევხვდებით (ლორდი, 1951).

განმეორებადი სცენების არსებობა არაბულ ხალხურ „სწრა“-ში ერთ-ერთი ყველაზე ცხადი თავისებურებაა. ეს გარემოება თვალშისაცემია „უმარ ან-ნუ მანი“-სათვის. აქ შეინიშნება ერთნაირად აგებული ბატალური სცენები, გმირების გარეგნობისა თუ განცდების აღწერა, სადაც გამოიყენება ე. წ. გართმული პროზა ანუ „საჯი“. „სწრა“-ს მკვლევრები „საჯი“-ს განიხილავენ, როგორც „ჟანრის ნიშან-თვისებას“, „ჟანრის წარმომქმნელ“ ელემენტს (იბრაჰიმოვი, 1984,

190). არც ერთი ბატალური სცენა და აღწერა არ ხდება საჯის გამოყენების გარეშე.

„საჯი“ არა მხოლოდ სწრასათვისაა დამახასიათებელი. მისი ფესვები ჯერ კიდევ ისლამამდელ ხანაშია. საჯითაა დაწერილი ყურანის მნიშვნელოვანი ნაწილი. IX-XX სს-ში საჯის გამოყენების მთავარი სფერო იყო ეპისტოლარული ჟანრი, ასევე მაკამა, მოგვიანებით „საჯი“-მა გამოიყენება პოვა ხალხურ „სწრა“-შიც. „მაღალ“ ლიტერატურაში გამოყენებული საჯი-ის ფუნქციური დატვირთვა განსხვავებულია „სწრა“-ში გამოყენებულისაგან. კლასიკური საჯი განკუთვნილია მკითხველისათვის, ანუ ვიზუალური აღქმისათვის, ხოლო ხალხური სირას საჯი გათვლილია სმენით აღქმაზე (კუდელინი, 1978, 93).

ამ პრინციპული განსხვავების გარდა არსებობს მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები: თუ კლასიკურ საჯიში გართმულია იშვიათად ხმარებული სიტყვები, სწრაში ძირითადად ხდება მრ. რიცხვისა და მიმღებობების ფორმების გართმვა; კლასიკურ საჯიში რიტმული მონაკვეთები ერთნაირი საზომით ხასიათდება, სწრაში ეს მონაკვეთები სხვადასხვა საზომითაა შესრულებული. კლასიკურ საჯიში ირითმება სინონიმები, სწრაში კი სემანტიკურად აბსოლუტურად განსხვავებული ლექსიკა (იბრაჰიმოვი, 1984, 191).

„უმარ ან-ნუ მანის ამბავის“ ტექსტში არსებული საჯის უმეტესი წილი მოდის ბატალურ სცენებზე. საჯი გვხვდება გარეგნობისა და გმირის განცდების აღწერის თითქმის ყველა შემთხვევაში. ხშირია მისი გამოყენება მიმართვაში, შეხვედრისა და განშორების სცენებში.

ჩვენ მიერ გაანალიზებულია საჯის ხმარების 80 შემთხვევა, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ, თუ რამდენად შეესაბამება ამ ტექსტში არსებული გართმული პროზა სწრასათვის დამახასიათებელ საჯს,

დასტურდება რითმული ორგანიზაციის შემდეგი სქემა¹:

aa (32)	aaaaabbcc (1)
aaa (8)	aabbcc (3)
aaaa (3)	aaabbcc (1)
aaaaa (5)	aaaabbcc (1)
aaaaaa (1)	aaabbbbcc (2)

¹ ფრჩხილებში მოცემული რიცხვი მიუთითებს მისი ხმარების სიხშირეზე.

aabb (6) aabbbccccc (1)
 aaabb (1) aaaaabbccddddd (1)
 aaaabb (1) aabbccddeeee (1)
 aaaabbccddddd (1)
 aabbbccccc (1)
 aabbbbccc (1)
 aabbbbccccccddd (1)

აღნიშნულ სქემაში პროდუქტიული რითმა სწორასათვის დამახასიათებელი მსხვრეული მრავლობითის ფორმების გართმევა, როგორცაა af'al, fi'al, fu'al, fa'al, maf'al, fa'a'ilu ფორმების გართმევა. ხშირია fa'il, fa'al, fa'il, fa'al, fu'lan ფორმების, ორობითი რიცხვის სუფიქსის — āni, ayni-სა და ზმნების ორობითი რიცხვის ფორმების გართმევა. დაფიქსირდა fa'lā'u ტიპის მდებარეობითი სქესის ფორმის რითმული პოზიცია. იშვიათია ყურანისათვის დამახასიათებელი სწორი მრავლობითი რიცხვის - na, ina — სუფიქსებისა და ზმნების na სუფიქსიანი ფორმების რითმა. იშვიათია, ასევე ყურანის რითმული სისტემისათვის დამახასიათებელი გართმევის მარტივი ფორმა — ერთი და იმავე სიტყვის გამეორება რითმულ პოზიციაში. დადასტურდა 1 ამგვარი შემთხვევა:

aina 'aināka yā daw al-makān litarā ma jarā 'alā kān ma kān hattā ya'ud 'an waṭānih wa ḥaraja mīnal makān (გვ. 90).

ტექსტში საჯ'ის გამოყენება უკავშირდება სირასათვის დამახასიათებელი მყარი შესიტყვებების გამოყენებას. ასეთი მყარი შესიტყვება, შეიძლება განიხილოთ, როგორც ფორმულა, პარის განსაზღვრით, ფორმულა მოიცავს მხოლოდ სიტყვა-სიტყვით ან თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებას. ფორმულა ვარირებს ორი-სამი სიტყვიდან ნახევარტაეპამდე ან თვით სტრიქონიც კი შეიძლება იყოს (მონროუ, 1972). პარი-ლორდის თეორიის მიხედვით, ფორმულარული სტილი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ეპიკური პოეზიის ზეპირი შესრულებისა. ცხადია, საჯ'ი არ წარმოადგენს პოეზიას, თუმცა თავისი ხასიათით მასში ფორმულური შესიტყვებების ფუნქციონირება ახლოს დგას ეპიკური პოეზიის ფორმულების ფუნქციონირების კანონებთან (კუდელინი, 1978, გვ. 93). რ. ბლაშერის აზრით, საჯ'ი წარმოადგენდა ფორმას განსაკუთრებული ენისა, რომელიც ემორჩილებოდა მხატვრულ ჩანაფიქრს ან მნემოტექნიკურ მიზანს. გარდა

ამისა, იგი წარმოადგენდა იმპროვიზაციის ინსტრუმენტს (ბლაშერი, 1965, 190).

ბატალური სცენების აღწერისას გვხვდება მთელი რიგი მყარი შესიტყვებები, როგორცაა გმირის დამახასიათებელი წყვილად ხმარებული სიტყვები: 1) jabbār 'anīd (381, 380) — მოძალადე და ქედმოუხრელი.

- 2) šayfān marīd (381, 380) — შეითანი ამბოხებული.
- 3) asad dırğām (102, 353) — ძლევამოსილი ლომი.
- 4) asad ğaḍbān (360, 269) — მრისხანე ლომი.
- 5) baṭal muṣdām (92, 103, 353) — მედგარი გმირი.
- 6) wajhuhu kabadr (102, 269, 357) — სავსე მთვარის სახის
- 7) fāris humām (103), šuj'ān (397), miqdām (353), malīḥ (364), 'azīm

(398).

გვხვდება მყარი შესიტყვებები:

- 8) bīduṣ-şifāḥ (102, 363, 356, 398) თეთრი ხმლები.
- 9) sumrur-rimāḥ (363, 398) რუხი ისრები.

ბატალური სცენები აგებულია მყარი შესიტყვებების გამოყენებით და ემყარება გართმევის გარვეულ კანონზომიერებას, როგორცაა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეპიზოდებში ერთნაირი ლექსიკური ერთეულების გართმევა. მაგ. მეორდება შემდეგი სიტყვები ერთნაირ რითმულ პოზიციაში:

- Rimāḥ - şifāḥ (102, 113, 363)
- imsān - līsān (103, 332)
- şabāḥ - lāḥ (99)
- kıfāḥ - jurāḥ (96)
- ḥiṣān - līsān (353, 332)
- karr-farr (398, 461), ta'r-'aār (39, 82, 99),
- ḡarb - ṭa'n - ḥarb (387, 364, 365, 395, 398, 401),
- ḡubār - aqtār - nahār - ṭār (95, 102, 356, 332, 392, 395, 398)

გვხვდება არა მარტო რითმული გამეორება, არამედ მთელი ფრაზების:

- 1) 'alā naḥīb wa bukā' (366) — ხმამალალი იყო ქვითინი და ტირილი.
- 'alā naḥībuhum fa zāda bukā' uhum (365) — ხმამალალი იყო მათი ქვითინი და ყვირილი.
- ḡajjū bībukā' wan-naḥīb (404) — ხმამალლა ტიროდნენ და ქვითინებდნენ.

- 2) walā n-nahār wa aqbalal-layl bīl-i'tikār (387, 395, 384, 269) — დღემ პირი იბრუნა და დადგა ღამე თავისი წყვილიადით.
- 3) azāhū minhumur-ru'ūs 'anil-abdān (387) — თავებს ტანებიდან აცლიდნენ.
fāratir-ru'ūs 'anil-abdān (395) — თავები ტანებიდან მიფრინავდა.
- 4) sayf ya'mal fil-a'nāq (400) — ხმალი თამაშობს კისრებზე.
as-suyūf ta'mal fil-ajsām (357, 397) — ხმლები თამაშობს ტანებზე.
la'iba bis-sayf was-sinān (261, 401) — აათამაშა ხმალი და მახვილი.
- 5) hanna'ū ba'ḏahum bis-salāma wa 'āzīmal - 'ujūrī fi yawmil - qiyāma (387) — მიულოცეს ერთმანეთს გადარჩენა და დიდი ჭილდო განკითხვის დღეს რომ ელოდათ.
yuhanni'uhum bi-naṣrī was-salāma wat-tawāba fi yawmil qiyāma (358) — ულოცავდნენ მათ გამარჯვებას და გადარჩენას და ჭილდოს განკითხვის დღეს რომ ელოდათ.
- 6) mā ya'jiz 'an waṣfihīl-lisān (95, 103, 353, 356) — ენაც ვერ შეძლებდა ამის აღწერას.
- 7) lī 'annahu kān jabbāran 'anīdan wa ṣayfānan marīdan (380, 381) — რადგანაც იყო გოლიათი შეუბოვარი და შეითანი ამბოხებული.
- 8) wa ḏajjal - muslimūna bit-takbīr wat-tahlīl waṣ-ṣalāt 'alal-baṣīrīn - nazīr (402, 387, 389) — დიდ არს ალაჰი! არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა, კურთხევა მახარობელსა და შემგონებელს! — იძახდნენ მულიმები.

ფორმულა — შესიტყვებების ფუნქციონირება როგორც მნემოტექნიკური ელემენტებისა უზრუნველყოფს მოქმედის მიერ ნაწარმოების ზეპირად შესრულების ხანგრძლივ სეანსებს (კუდელინი, 1978, 102).

„ათას ერთი ღამის“ განხილული ნაწარმოებში ფორმულა შესიტყვებების გამოყენება უკავშირდება გარითმულ პროზას, ანუ საჯ'ს. ის გამოიყენება სტანდარტულ სიტუაციებში, სტერეოტიპულ აღწერაში, რითმა ემყარება მსგავსი მორფოლოგიური ელემენტების გამოყენებას, რაც დამახასიათებელია „სირა“-ს ჟანრისათვის. არ დასტურდება „მალალი“ ლიტერატურის საჯ'ისათვის დამახასიათებელი იშვიათი ლექსიკის გარითმვის ტენდენცია, საჯ'ი უკავშირდება ფორმულა-შესიტყვებების გამოყენების ტექნიკას, რაც ასახავს ზეპირი შემოქმედების ტრადიციას.

ლიტერატურა

აკ-კალამავი, 1959 — Suḥayr Al-Kalamāwīyy, Alfu laylatin wa laylatun, Dārul-ma'ārif bi-miṣr, 1959.

ალ-ჰიჯაჯი, 1991 — Aḥmad Ṣamsu-dīn Al-Ḥijājīyy, Mawlid al-baṭal fis-ṣīrātūš - ṣa'biyya.dārul-hilāl, 1991.

ალ-ჰიჯაჯი, 1994 — Aḥmad Ṣamsud-dīn Al-Ḥijājīyy, Qiṣṣatul - malīkīn - nu'mān baynassīra wal-ḥikāyyatūš - ṣa'biyya, Fuṣūl, mujallad 12, al-'adadu 4, 1994.

ბლაშერი, 1966 — Blachere R. Histoire de la littérature arabe des origines a la fin du XV-e siecle de J. C. 1, - "L'Hégémonie du domaine arabe dans littérature en cette langue (des origines aus environs de 725)", Paris, 1952, 1964, 1966.

გრინცერი, 1978 — Гринцер П. А., Стилистическое развертывание темы в санскритском эпосе. Памятники книжного эпоса. "Наука", М., 1984.

იბრაჰიმოვი, 1984 — Ибрагимов Н., Арабский народный роман, "Наука", М., 1984.

კუდელინი, 1978 — Куделин А. Б., Формульные словосочетания в "Сират Антар". Памятники книжного эпоса. "Наука", М., 1978.

ლორდი, 1951 — Lord A. B. Composition by Theme in Homer and Southslavic Epos, - "Transactions and Proceeding of the American Philological Association", 1951, vol,82.

მონროუ, 1972 — Monroe J. T., Oral Composition in Preislamic Poetry - "Journal of Arabic literature", Leiden, vol. 3, 1972.

პროპი, 1976 — Пропп В. Я., Об историзме фольклора и методах его изучения, წიგნი: Фольклор и действительность. Избранные статьи, Главная редакция восточной литературы, М., 1976.

პროპი, 1976 — Пропп В. Я., Трансформация волшебных сказок, წიგნი: Фольклор и действительность. Избранные статьи, Главная редакция восточной литературы, М., 1976.

პუტილოვი, 1976 — Путилов Б. Н., Предисловие книги - В. Я. Прпп, Фольклор и действительность. Избранные статьи, Главная редакция восточной литературы, М., 1976.

შიდფარი, 1980 — Шидфар Б. Я., Генезиси вопросы стиля арабского народного романа (сирь), წიგნში: Генезис романа в литературах Азии и Африки, М., 1980.

Alfu laylatin wa laylatun, al kitābul-awal, al kitābuṭ-ṭānī, Dāru maktabatīl-ḥayātī, Bayrūt.

INGA ZURABISHVILI

A Stylistic Peculiarity Determining The Genre of *Sīra* in the *Thousand and One Nights*

Summary

Umar an-nu'mān's story is the longest narrative in "The Thousand and One Nights". Some scholars consider it to be a tale of chivalry, others regard it as a *sīra*. According to the widely-spread viewpoint the narrative in question had existed as a *sīrā* long before it was included into "The Arabian Nights". After becoming part of the collection in question, its genre underwent transformation. Combining the features of both *sīra* and a fairy tale.

The paper focuses on one of the stylistic peculiarities - *saj'* - used in similarly built scenes in "Umar an - nu'mān's story" *Saj'* or rhymed prose is typical of *sīra*. *Saj'* is achieved by the repetition of set expressions. The following rhymed lexical units are encountered throughout the narrative in question: *rimāḥ - ṣifāḥ, insān - lisān, ṣabāḥ - lāḥ, ḥīsan - lisan, karr - farr, ṭa'r - ār, insān - fursān, ḍarb - ṭa'n - ḥarb, ḡubār - aqṭār - nahār - ṭār*.

The battle scenes are abundant in the following set expressions: *jabbāran 'anīdān, ṣaytān marīd, asad dirḡām, asad ḡaḍbān baṭal miṣ dām, bīduṣ - ṣifāḥ, summur - rimāḥ* etc.

Apart from the rhymed repetition, whole phrases are rhymed by using identical morphological elements and this is also typical of *sīra*. Rhyming of rare lexical units that is characteristic of a high literary style *saj'* is not evidenced.

The narrative in question is characterized by the combination of stereotypical and improvised elements and that is a technique typical of spoken narrative genres.

რუსულან თუთხერიძე

ერთი უარყოფითი ბაზისური ემოციის – Fear/შიში – სახელდების საკითხი ინგლისურ და ქართულ ენებში

ცნობილი ფსიქოლოგი კ. იზარდი თვლის, რომ ემოცია, რომლისადაც ყველაზე მეტად ეშინიათ, არის შიში. ეს ფაქტი კარგად მიესადაგება დ. რუზველტის კონცეფციას, რომლის თანახმადაც „ერთადერთი, რისიც უნდა გვეშინოდეს, არის თვით შიში“ (The only thing we have to fear is fear itself“).

ფსიქოლოგები შიშს განიხილავენ, როგორც უარყოფით ემოციას, რომელიც წარმოიშობა რეალური ან მოსალოდნელი საფრთხის შედეგად და ემუქრება ორგანიზმს, პიროვნებას და მის ღირებულებებს.

შიშს გააჩნია ინტენსიურობის სხვადასხვა საფეხური და გამოხატვის მრავალი ფორმა. შიში ვითარდება განსაზღვრული და სრულიად სპეციფიკური ფიზიოლოგიური ცვლილებებისაგან, ექსპრესიული ქცევისა და განცდებისაგან, რომლებიც გამომდინარეობენ მუქარის ან საფრთხის მოლოდინიდან. შიშის სუბიექტურმა განცდამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ადგილზე „გაქვავება“, რამაც შეიძლება მიიყვანოს იგი აბსოლუტურად უმწეო მდგომარეობამდე ან, პირიქით, აიძულოს იგი გაექცეს საფრთხეს.

უ. ჩარლზუორთის მიერ შემოთავაზებული შიშის ინდიკატორთა ჩამონათვალი მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორცაა მიმდინარე ქმედებების წუთიერი შეწყვეტა, ხანგრძლივი გაშეშება, დაძაბულობა, გაქცევის რეაქცია ან სახის სერიოზული და შეშინებული გამომეტყველება. უ. ჩარლზუორთის აზრით, შიშს ზოგჯერ თან ახლავს ღიმილი და სიცილი. ჯ. ბოულბი ასახელებს რიგ ექსპრესორულ და მოტორულ აქტებს, რომლებსაც იგი შიშის ინდიკატორებად მიიჩნევს. მათ რიცხვს აკუთვნებს ობიექტზე მიმართულ დაძაბულ მზერას, შიშისათვის სპეციფიკურ მიმიკურ გამოვლინებებს, რომლებსაც შეიძლება თან ახლდეს კანკალი ან ტირილი, პანტომიმური კომპლექსები, გაქცევის მცდელობა (ბოულბი, 1940).

ზოგი მკვლევრის აზრით, შიშის გაცილებით სანდო და ზუსტი ინდიკატორებია მიმიკური გამოვლინებები, მაგალითად, შიშის სრული გამოხატვისას წარბები აწეულია და ოდნავ დადის ცხვირის ფუძესთან, თვალები ფართოდაა გახელილი, ზედა ქუთუთო ზოგჯერ ოდნავაა ზემოთ ასული, რის შედეგადაც ქუთუთოსა და ჯუგას შორის არსებული თვალის თეთრი გარსი შიშვლდება. პირის კუთხეები მკვეთრადაა გაწეული, პირი კი — ჩვეულებრივ ოდნავ გაღებული.

ცნება შიშის დეფინიციას ფილოსოფოსებთანაც ვხვდებით. არისტოტელეს აზრით, შიში არის ტკივილისაგან გამოწვეული მენტალური მდგომარეობა, რომელიც გამომდინარეობს რომელიმე გამანადგურებელი ან მტკივნეული ბოროტებისაგან. შიშის ფენომენი ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში შემოიტანა ს. კიერკეგორმა. მისი აზრით, არსებობს „ემპირიული“ შიში, რომელსაც იწვევს კონკრეტული საგანი ან გარემოება და შეუტყნობადი შიში.

რელიგიური წარმოდგინების თეორიები (დემოკრიტი, ლუკრეციუსი, იუმი, ჰოლბახი და სხვ) შიშს განიხილავენ რელიგიური წარმოდგენებისა და რწმენის გაჩენის მიზეზად. ზოგი მეცნიერი შიშს რელიგიურ ემოციად მიიჩნევს, თუმცა ე. სეპირი თვლის, რომ შიში რელიგიური ხასიათისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შიშის ემოცია და ღმერთის რწმენა ერთ ღირებულებად ინტეგრირდება (სეპირი, 1951).

ინგლისურ და ქართულ ენებში სალექსიკონო დეფინიციების განხილვამ ცხადყო, რომ **fear**/შიში მოიხსენიება ხან როგორც გრძნობა, ხან კი — როგორც ემოცია. ნაშრომში განხილული ინგლისური ენის ლექსიკონების უმრავლესობა **fear**-ს გრძნობად მიიჩნევს (**Longan Dictionary, Collins Cobuild Dictionary**), მხოლოდ ერთ მათგანში **fear** მოხსენებულია როგორც ემოცია (**Random House Dictionary**). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი შიში მოხსენებულია, როგორც გრძნობა. ამ მხრივ ენაშიც აისახება ფილოსოფოსებსა თუ ფსიქოლოგებთან წამოჭრილი დისკუსია გრძნობისა და ემოციის გამიჯვნის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ფსიქოლოგი უპირატესობას ანიჭებს ტერმინ „ემოციას“, რადგან თვლის, რომ განხვავებით „გრძნობისაგან“ „ემოციას“, ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია და ამდენად შესაძლებელია მისი „ობიექტურად შესწავლა“. როგორც აღნიშნავს ა. ვეჟბიკა, თვით სიტყვა **emotion** კულტურისათვის სპეციფიკური ტერმინია, რომელიც წარმოგვიდგება გრძნობასთან, აზროვნებასა და სხეულთან მიმართებაში (ვეჟბიკა, 1996). აღნიშნულ

ენებში **fear**/შიში გამომწვევ მიზეზებად სახელდება რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე, უბედურება, ბოროტება, ტკივილი. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ენაში შიშის გამომწვევი მიზეზები უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე ქართულ ენაში. საილუსტრაციოდ მოვიყვან დეფინიციებს დასახელებული ენების ავტორიტეტული ლექსიკონებიდან. დავიწყებ ქართული ენის ლექსიკონიდან, სადაც შიში განმარტებულია, როგორც „მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვეული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა“. შიშის ამგვარი დეფინიცია ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებული დახასიათების იდენტურია. ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით კი შიშიში შემდეგი მნიშვნელობებია გაერთიანებული — **ზარი**, **ტუქსვა**, **ძრწოლა**, **თრთოლა**. განვიხილოთ თითოეული მათგანი: ა) **ზარი** - უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით, გამოწვეული შემფოთება (შიშის ზარს დასცემს, შიშის ზარი აიტანს); აღნიშნული მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ენის ლექსიკონში არ გვხვდება, თუმცა შიშის ეს მნიშვნელობა შემორჩენილია ფრაზეოლოგიაში. ბ) **ტუქსვას** თანამედროვე ქართულ ლექსიკონში მხოლოდ რისხვის მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბასაც ტუქსვის ასეთივე განმარტებას ვაძლევს- „ტუქსვა არს რისხვა“; გ) **ძრწოლა** — მეტსმეტი შიშის აღმნიშვნელია; დ) **თრთოლა** არის შიშისაგან გამოწვეული კანკალი, ცახცახი. აღნიშნული მნიშვნელობებიდან, მხოლოდ ძრწოლა გვევლინება შიშის ემოციის აღმნიშვნელად, რაც შეეხება ზარს, ტუქსვას და თრთოლას, ისინი მხოლოდ ასახავენ მოცემული ემოციით გამოწვეულ მდგომარეობას. ძველი ქართული ენის ლექსიკონში შიში დახასიათებულია როგორც შემფოთება, თანამედროვეში კი — როგორც გრძნობა.

ინტერესს არ არის მოკლებული სულხან-საბას ლექსიკონიდან შიშის მნიშვნელობათა მოხმობა. სულხან-საბა შიშიში ექვს ტიპს გამოყოფს. „ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: **მცონარებად**, **კდემულეზად**, **სირცხვილად**, **განკვირვებად**, **განკვიფრებად** და **ულონობად**. „**მცონარება** — „ვიდრემდე არს შიში ყოფადისა მოქმედებისა“. **კდემულეზება** — „შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ვნება“. ძველი ქართული ლექსიკონის მიხედვით, კდემულეზება არის სირცხვილი, რიდი, აქედან გამომდინარე კდემა „რცხუნა“, მორცხვობა, რიდება. როგორც ჩანს, შიშის ამ მნიშვნელობაში იგულისხმება შიში ღმერთისადმი, ანუ მოწიწება, რიდი უზენაესი ძალისადმი. **სირცხვი-**

ლი — „შიში ბილწებისა რასამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან“. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულხან-საბასთან შიშის ერთ-ერთ ტიპად მოიაზრება სირცხვილი. ამ ფაქტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადასტურებენ ფსიქოლოგებიც, რომლებიც მიუთითებენ შიშისა და სირცხვილის ურთიერთკავშირზე. **განკვირვება** — „შიში დიდისა ოცნებისაგან“; **განცვიფრება** — „შიში უჩვეულისა საოცისაგან“; **ულონობა** — „შიში განვრდომილების, რამეთუ შეგეშინის რა , „უკებულ ყოფასა ულონობითა“. შიშის ამ უკანასკნელ მნიშვნელობაში იგულისხმება მის მიერ გამოწვეული უძლურება, ულონობა, ფიზიკური უუნარობა (სულხან-საბა ორბელიანი, 1991). თანამედროვე ქართული ენის ლექსიკონი სულხან-საბასთან მოცემული შიშის მნიშვნელობებიდან მცონარებასა და კდემულებას ფარავს. დანარჩენი მნიშვნელობები შიშის თანამედროვე დეფინიციასში არ მოიაზრება.

ინგლისური ენის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ლექსიკონში - **Random House Dictionary** შიში განმარტებულია, როგორც „a distressing emotion aroused by impending danger, evil, pain, etc whether the threat is real or imagined (დამთრგუნველი ემოცია, რომელსაც იწვევს რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე, უბედურება, ბოროტება, ტკივილი, სხვ). ზემოთ დასახელებული დეფინიცია დიდ მსგავსებას ავლენს არისტოტელისეულ განმარტებასთან, კერძოდ ორივე დეფინიციაში გვხვდება აღნიშნული ემოციის წარმოსახვითობა — მენტალური მდგომარეობა, ემოციასთან დაკავშირებული ბოროტება, ტკივილი. სემები — ტკივილი, ბოროტება არ გვხვდება შიშზე არსებულ სხვა ლექსიკონურ დეფინიციებში. შიშის უარყოფით ბუნებაზე საუბარია ასევე **Longman Dictionary of English Language and Culture**-შიც, სადაც **fear** დახასიათებულია, როგორც „unpleasant and usually strong feeling caused by the presence or expectation of danger,“ (უსიამოვნო და ჩვეულებრივ ძლიერი გრძნობა, რომელსაც იწვევს არსებული ან მოსალოდნელი საფრთხე). ზემოხსენებული ლექსიკონის დეფინიციის მსგავსად შიშის გამომწვევად არსებულ ან მოსალოდნელ საფრთხეს მიიჩნევს, თუმცა მისგან განსხვავებით თვლის, რომ შიში არის უსიამოვნო და ძლიერი გრძნობა. **Longman Dictionary of English Language and Culture**-ის მსგავს დეფინიციას გვაწვდის ასევე **Collins Cobuild English Language Dictionary**, სადაც შიში არის არა მხოლოდ „unpleasant feeling you have when you think that you are in danger“ (უსიამოვნო გრძნობა რომელიც გვეუფლევ-

ბა მაშინ, როდესაც ფიქრობ, რომ საფრთხეში ხარ, არამედ „a thought that something unpleasant might happen or might have happened“ (აზრი, რომ რაღაც უსიამოვნო შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში შიშის ერთ-ერთ მნიშვნელობად ასევე ვხვდებით „reverential awe, esp toward God“ (**Random House Dictionary**) — მოწიწება კრძალვა უზენაესი ძალისადმი. ბიბლიაში ვკითხულობთ: „Let us cleanse ourselves from all filthiness of the flesh and spirit, perfecting holiness in the fear of God.“ (**2 Corinthians 7. The Holy Bible: King James Version**). შიშის ემოციაზე იდენტურ დეფინიციას გვაწვდის ასევე **American Heritage Dictionary**-იც — „reverential awe, as toward a supreme power“. ე. სეიპირის მოსაზრებიდან გამომდინარე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ემოცია რელიგიური ხასიათის მატარებელია. შიშის მოცემულ მნიშვნელობას არ იზიარებს ზემოთ დასახელებული ლექსიკონების ნაწილი.

ამრიგად, ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონებში **fear** რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება. ამ მნიშვნელობათა კლასიფიცირება ზოგადად შემდეგი სახით არის შესაძლებელი: 1. შიში უარყოფითი ემოცია/გრძნობა (**Random House Dictionary, Longman Dictionary of English Language and Culture, Collins Cobuild Dictionary**); 2. შეშფოთება, შიში ვისმეს უსაფრთხოებაზე (**Random House Dictionary**); 3. ობიექტი, რომლიც იწვევს შიშს ან შეშფოთებას (**Random House Dictionary**); 4. მოწიწება/კრძალვა უზენაესი ძალისადმი (**Random House Dictionary, American Heritage Dictionary**). ქართული ენის ავტორიტეტული ლექსიკონებში შიშის მნიშვნელობათა ამგვარი დაკონკრეტება არ ხდება.

როგორც უკვე დავინახეთ სალექსიკონო დეფინიციებიდან, **Fear/შიში**-ის დასახასიათებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი ატრიბუტები: დამთრგუნველი, უსიამოვნო, ძლიერი, ცუდი, შემაწუხებელი. თანხვედრა აღნიშნულ ენებში ხდება მხოლოდ სიტყვა ცუდზე. ფსიქოლოგებთან შიში დახასიათებულია ზოგადი სიტყვით — უარყოფითი. ზემოაღნიშნული სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად.

როგორც ცნობილია, ყველა ენაში არსებობს ისეთი ელემენტარული ცნებები — ლექსიკური უნივერსალიები, რომლებსაც ნებისმიერ ენაში მოეძებნება მათი აღმნიშვნელი სიტყვა და რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ კულტურისათვის სპეციფიკური ტერმინების

კვლევისათვის. ცნობილი ლინგვისტის ა. ვეჟბიკას აზრით, იმის გამო, რომ ყოველი ენა და კულტურა სამყაროზე განსხვავებული ხედვას გვთავაზობს, ამიტომ კულტურისათვის სპეციფიკური შეიძლება ასევე აღმოჩნდეს ემოციათა გამომხატველი ლექსიკაც. ორ განსხვავებულ ენასა და კულტურაში ემოციათა აღმნიშვნელი ერთი შეხედვით იდენტური, მაგრამ სიღრმისეულად განსხვავებული ცნებების შედარებას ემსახურება ემოციათა აღმნიშვნელი ლექსიკის ახსნა სემანტიკური საწყისების ენაზე. ლინგვისტური სემანტიკის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ა. ვეჟბიკამ მოგვცა ცნებათა პირველი ჩამონათვალი წიგნში „სემანტიკური საწყისები“. სწორედ მოცემული საწყისების გამოყენებით, დახასიათებული იქნება ემოცია **fear**/შიში.

შიში

ვიღაც ფიქრობს:

რალაც ცუდი მოხდა ან შეიძლება მოხდეს.

ამის გამო თავს ცუდად ვგრძნობ ან ვიგრძნობ

ემოცია შიშის ამგვარი დეფინიცია ეფუძნება სალექსიკონო განმარტებას, სადაც შიში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დახასიათებულია, როგორც ცუდი ემოცია, რომელიც ადამიანი ან უკვე განიცდის ან შეიძლება დაატყდეს თავს. მსგავსი მოსაზრებით იქნება დახასიათებული ემოცია **Fear**-ც.

Fear

ვიღაც ფიქრობს:

რალაც ცუდი მოხდა, შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო.

რალაც ცუდი შეიძლება არ მოხდეს

ამის გამო თავს ცუდად ვგრძნობ ან ვიგრძნობ

ახლა კი განვიხილავთ ემოცია **fear**/შიში ფრაზეოლოგიურ დონეზე, თავდაპირველად ქართულ, შემდეგ კი ინგლისურ ენაში. ინგლისურ ენაში შიშზე არსებული ლექსიკის განხილვის შედეგად ნათელი გახდება, რომ ამ ემოციის ყოველი გამოვლინება უშუალოდ აისახება მის ლექსიკაშიც. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოტანილი ფრაზებიდანაც დასტურდება, რომ შიში არის ძლიერი ემოცია (**Fear is stron-**

ger than love), რომელიც მიჩნეულია სიყვარულზე ძლიერ გრძნობადაც კი. შიში იწვევს ტანჯვასა და ტკივილს (**fear has torment, fear brings more pain than does the pain, fear kills more than illness**). შიშით შეპყრობილ ადამიანს არ ძალუძს გონებით მოქმედება, ვინაიდან ამ ემოციური მდგომარეობის გაცდისას ადამიანს ეკარგება აზროვნების უნარი. (**the fear's greater than the reason for it**). შიშის ნეგატიური ბუნება ვლინდება იმაშიც, რომ მას აღიარებენ ბოროტების საწყისად **Fear is the father of cruelty**, დამონებულთა ღირსებად (**Fear is the virtue of slaves, men who fear to live are in love with fear**), თუმცა აღნიშნულ ემოციას შეიძლება გააჩნდეს დადებითი მხარეც, რისი ნათელი დადასტურებაა: **Fear mothers safety, but it often smothers it**“, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ შიში ყოველთვის არ წარმოიწვევს უსაფრთხოებისადმი მიმართულ მუქარად, შიშს შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოებაც, თუმცა ხშირად იგი თავგზას უბნევს ადამიანს და საბედისწერო ნაბიჯსაც ადგმევინებს. შიში სიკვდილზე უფრო ძლიერ ფენომენადაა მიჩნეული: **Fear of death is more to be dreaded than death itself, if you fear death you are already dead**, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნული ემოციის ძლიერ ხასიათს. შიშის ბუნება, გამოხატოს გამოვლილი, წარმოსახვითი და ირეალური საფრთხე, ვლინდება გამოთქმაში: **Fear is a great inventor**“. ფსიქოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრება შიშისა და სირცხვილის ურთიერთშეგავლენის თაობაზე აისახება შემდეგ ფრაზაში: **where there is fear there is shame**. როგორც ჩანს, ინგლისელთა ხედვით შიში სასირცხვილო გრძნობაა. შიში ადამიანში ბადებს ღმერთისადმი კრძალვას, მოწიწებას, რიდს, რაზეც ნათლად მეტყველებს: **Fear of the Lord is the beginning of wisdom (knowledge), the fear of God makes the heart shine, put the fear of God into somebody**.

ინგლისურ ენაში უხვად მოიპოვება ისეთი ერთეულები, რომლებიც მიუთითებენ შიშის ამსახველ ფიზიოლოგიურ გამოვლენებსა და მიმიკურ გამოხატულებებს, მაგალითად, ფსიქოლოგი ჯ. ბოულბი შიშის ინდიკატორებს ასახელებს ისეთ მიმიკურ გამოვლინებებს, რომელთაც შეიძლება თან ახლდეს კანკალი და ტირილი. ეს ნათლად ჩანს **shake**-ის მაგალითზე. შიშის მდგომარეობას გამოსახატავს სიტყვა **shake** შემდეგ ფრაზაში: **to shake like a leaf** ან ზოგადად **shake with fear**. იმავე მდგომარეობას ასახვენ ასევე ზმნები **to tremble**, მაგ. **to tremble with fear**, და **to quiver-Zlieri emociisagan gamowveuli caxcaxi**.

ფსიქოლოგების აზრით, შიშის დროს ადამიანს უჩნდება მოსალოდნელი საფრთხისაგან გაქცევის სურვილი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ ძლიერი ემოციის განცდისას იგი ადგილზევე გაქვავდეს. აღნიშნულ მდგომარეობათა გამოსახატავად ენა მიმართავს შემდეგ ფრაზებს, პირველის შემთხვევაში **fear gives wings**, მეორის შემთხვევაში კი — **to become petrified** (ადგილზე გაქვავება).

ფრაზები **fear has a quick ear, fear has many eyes** გამოხატავენ შიშის ემოციის თანმხლებ დაძაბულ მდგომარეობას, რომლის დროს შიშით შეპყრობილი ადამიანი ყურადღებას ამახვილებს და მზერას მიმართავს მხოლოდ იმ ობიექტსა ან სიტუაციაზე, რომელიც უშუალოდ ამცნობს საშიშროების მოახლოებას.

შიშით გამოწვეულ რეაქციის გამომხატველია შემდეგი ფრაზები: **to make one's hair stand on end** (შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა), **to lose one's head**, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის აღნიშნული ემოციის განცდისას ეკარგება გონებით მოქმედების უნარი, ასევე **his heart was in his boots** (ძლიერ შეშინდა, დაფრთხა).

საინტერესოა, როგორ არის წარმოდგენილი სახელდებული ემოცია ინგლისურენოვან ლიტერატურაში.

...her knees shaking, and he was afraid she would faint. He was as white as the sheet and notwithstanding his tan his cheeks were pale...suddenly she clutched his hand more tightly (Maugham).

...I will put the fear of God into her (Maugham).

...a sudden gust of fear made the sweat start out in the palm of her hands...(Maugham).

ქართულ ენაში სახელდებულ ემოციაზე არსებული ლექსიკური ერთეულები, ერთი მხრივ, ასახავენ ფიზიოლოგიურ ცვლილებებსა თუ მიმიკურ გამოხატულებებს, მეორე მხრივ — ქართული კულტურის დამოკიდებულებას მის მიმართ.

შიშის ისეთი ინდიკატორები, როგორცაა ხანგრძლივი გაშეშება, სახის შეშინებული გამომეტყველება, მიმიკური გამოვლინებები, ცივი ოფლის დასხმა, ფართოდ გახელილი თვალები გამოიხატებიან შემდეგ ფრაზებში: შიშისაგან გაშეშდა, ცივმა ოფლმა დაასხა, შიშს დიდი თვალები აქვს, შიშისაგან ტირილი მორთეს. გაქცევის რეაქცია აისახება ანდაზებში: შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, შიში მაჩვენე და მუხლს გაჩვენებო.

შიშის მიმართ სხეულის სხვადასხვაგვარ რეაგირებასთან დაკავშირებით იტყვიან: შიშისაგან მუხლები მოეკეცა, შიშისაგან გული წაუვიდა, გული გაუსკდა, გული გადაუქანდა, ენა ჩაუვარდა, თვალი დაუბნელდა, შიშისაგან თმა ყალზე დაუდგა, კანკალმა აიტანა, სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა, ტანზე ეკალი აესხა, ფერმა გადაუარა, ფერი შეეცვალა.

შიშის ემოციაზე ქართული ლიტერატურიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმეს: ...იგრძნო, რა გამალებით აუძგერდა გული, როგორ აუცახცახდა მუხლები, როგორ გაეოფლა ხელისგულები. ასაფრენად გამზადებული ჩიტოვით იჯდა სკამის კიდზე, მაგრამ, ფრთებს ვერ გრძნობდა.. (ჭილაძე)

„შიშს შიშში ემალობოდა“.. (ჭილაძე)

..სირაქლემასავით შიშის სილაში წაჰყოფდა ხოლმე თავს“ (ჭილაძე) და სხვ.

მიღებული კვლევის შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ემოცია **fear**/შიში მნიშვნელობები ინგლისურ და ქართულ ენებში ერთმანეთს გარკვეულწილად ფარავს. დადგენილი იქნა, რომ ამ ემოციის აღმნიშვნელი ერთეულები შემდეგ მნიშვნელობას აერთიანებენ: 1) უარყოფითი ემოცია, რომელიც გამოწვეულია რეალური, მოსალოდნელი ან წარმოსახვითი საფრთხის შედეგად. როგორც ინგლისურ, ისევე ქართულ ენაში უხვად მოიპოვება ფრაზოლოგიური ერთეულები (იდიომები, ანდაზები), რომლებიც ზუსტად ასახავენ განხილული ემოციის ფიზიოლოგიურ და მიმიკურ გამოხატულებებს. ინგლისურ ენობრივ მასალაში ემოცია შიში შედის ინტერაქციაში ემოცია სირცხვილთან. მსგავსი ინტერაქცია თანამედროვე ქართულ ენაში არ შეიმჩნევა, თუმცა საშუალო ქართულში სიტყვა შიშის სემანტიკა მოიცავდა „სირცხვილის სემას“.

ლიტერატურა

ბოულბი, 1940 — Bowlby, J Personality and Mental Illness., London: Kegan, Paul, Trench, Trubner & C

იზარდი, 2000 — Изард К. Э Психология Эмоций, Санкт-Петербург, 2000.

კახიანი, 1978 — Кахиани С.Н. Экспрессивность лица человека., Издательство «Ганатлеба», Тбилиси, 1978.

პლუტჩიკი, 1980 — Plutchik Robert, Theories of Emotion, 1980.

რეიკოვსკი, 1979 — Рейковский Я. «Экспериментальная психология эмоции». Прогресс, Москва, 1979.

სეპირი, 1951 — E.Sapir Selected Writings in Language, Culture and Personality, University of California Press.

ტომკინსი, 1981 — Tomkins S. The role of facial response in the experience of emotion: A reply to Tourangeau and Ellsworth. *Journal of Personality and Social Psychology*, 40(2), 355–357

ლექსიკონები

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, 1973

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, „მერანი“, თბ. 1991

სახოკია, 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, „მერანი“, თბ. 1979.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

ქართული ანდაზები, „საბჭოთა მწერალი“, 1959

The Random House Dictionary of the English Language, Second edition, New York, 1987

Longman Dictionary of English Language and Culture, 1992

Brewer's Dictionary of Phrase and Fable, 14th edition, Cassell 1992.

Collins Cobuild English Language Dictionary, Collins London and Glasgow, 1992.

A Dictionary of American proverbs, Oxford University Press, 1992.

The American Heritage Dictionary of the English Language, 2000

RUSUDAN TUTBERIDZE

Nomination of One Negative Basic Emotion Fear / šiši in English and Georgian

Summary

The study has proved that the English and Georgian lexical units fear / šiši denoting the negative basic emotion partially cover each other. The given units depict the emotion caused by real or imagined danger. Phraseological entities (idioms, proverbs) reflect physiological and mimical expressions associated with the given emotion.

According to the English data the emotion **fear** interacts with the emotion shame. In current Georgian this interaction is not evidenced. It is testified in Medieval Georgian though.

თინათინ თუჩუა

„ცხოვრება“ სიტყვის სემანტიკური ველის შესახებ

თანამედროვე საენათმეცნიერო კვლევათა უდიდესი ნაწილი სემანტიკის საკითხებს ეძღვნება. ეს ალბათ ბუნებრივია, რადგან ბოლო ხანებში წინა პლანზე წამოიწია ლექსიკის კვლევამ კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. ძველი ქართული სალიტერატურო და ისტორიოგრაფიული წყაროები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს კი ლექსიკის სემანტიკური საზღვრების ცვალებადობის პროცესის საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა.

ქართული ენის ლექსიკონებისა და ლიტერატურული ტექსტების საფუძვლზე დავაკვირდით „ცხოვრება“, „სიცოცხლე“, „ცხოველი“, „ცხოვნება“ სიტყვების მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში და ამ ლექსემებისათვის დღემდე მიკუთვნებულ სალექსიკონო განმარტებებს რამდენიმე სხვა მნიშვნელობაც დავუმატეთ;

„ცხოვრება“ სიტყვის სემანტიკისათვის

- სიტყვა „ცხოვრება“ ა) სიცოცხლე, ბ) სიმართლე და გ) ხსნა

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალით რამდენადმე დამატებითი მნიშვნელობით შეივსო:

1. „ცხოვრება“ ნიშნავს მიწიერ სიცოცხლეს:

„რამეთუ მოკლე არს **ცხოვრება ესე** და ადრე დაჰლევინ დღენი და ღამენი“ (ბალ.).

2. „ცხოვრება“ ჩვენს მაგალითებში დროის მიხედვით განსაზღვრულ ცნებად წარმოჩნდა და არა სივრცის, ადგილის თვალსაზრისით განსაზღვრულად (მაგალითად, ცხოვრება უვიწროესი, მოკლე ცხოვრება, დღენი ცხოვრებისა და ა.შ.). „ცხოვრება“ ვრცელდება არა მარტო „ამ სოფლისა“ და „იმ სოფლის“ საზღვრებში, არამედ იზომება დროის საზომი ერთეულებითაც;

3. „ცხოვრება“ ნიშნავს მარადიულ, ზეციურ სიცოცხლეს;

სემანტიკური თვალსაზრისით მიწიერი „ცხოვრება“ და ზეციურ-

რი „ცხოვრება“ მარკირებულია ერთმანეთთან შეპირისპირების გზით:

„...და უკუეთუ პირველი იგი **ცხოვრება** არა შევირაცხიეს **ცხოვრებად**, თანა გაც, რა თა სიკვდილიცა იგი მომავალი არად შევერაცხოს“ (ბალ.).

4. „ცხოვრება“ მეტაფორულად გადაიაზრება და სახარებისეულ ტექსტებში ქრისტიანული სიტყვა-სიმბოლოების „ჭეშმარიტებისა“ და „გზის“ გვერდით სახელდება, როგორც უფლის მახასიათებელი მესამე მნიშვნელოვანი მარკერი;

5. როგორც ლექსიკონებშია მითითებული სიტყვა „ცხოვრების“ ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ხსნა, გადარჩენა;

6. „ცხოვრება“ ნიშნავს ბედს, არსებობის ფორმას, წესს, ბუნებას;

7. „ცხოვრება“ ნიშნავს სიმართლეს, ჭეშმარიტებას;

8. ცალკე აღნიშვნის ღირსია მსაზღვრელები, რომლებიც სიტყვა „ცხოვრებასთან“ გვხვდება და, ფაქტობრივ, ამ სიტყვის პოლისემურობას განსაზღვრავს. ამ მხრივ საინტერესოა: „ძალი **ცხოვრებისა**“, „დღეთა **ცხოვრებისა**“, „ამას **ცხოვრებასა**“, „**ცხოვრება ესე**“, „**ცხოვრება ჩვენი**“, „არა რომელი **ცხოვრება**“, „**ცხოვრებისა** ამის“, „საქმე **ცხოვრებისა**“, „**საუკუნო სა მისთვის ცხოვრებისა**“, „**გვირგვინი ცხოვრებისა**“, „პირველი იგი **ცხოვრება**“, „**სული ცხოვრებისა**“, „**სიტყვათა ცხოვრებისათა**“.

„ცხოველი“ სიტყვის სემანტიკისათვის

ი.აბულაძე: ცხოველი, ცხოელი „მცხოვნი“, სულიერი არსება, ცოცხალი, განმაცხოველებელი, მხეცი.

საბა: ცხოელ არს უფალი და ცხოელ არს სული შენი. ესე არს

არა თუ კერპთა უსულოთა ვხადი, არამედ ცხოელსა ჩვენსა უფალსა და ცხოელსა სულსა შენსა არა დაგიტეობ. ცხოელი = ცოცხალი.

„ცხოველ“ ფუძის სემანტიკური არეალის დადგენის გზაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნ.ხახიაშვილის ის მსჯელობა, რომ ზოგადად ყოველივე არსებულის, ქმნილის, დაბადებულის აღსანიშნავად გვაქვს ტერმინები: „დაბადებული“, „ნაშობი“, „ცხოველი“.

ჩვენთვის საინტერესო სწორედ ეს უკანასკნელი, „ცხოველ“ სიტყვა, იყო, რომელთან დაკავშირებითაც ნ.ხახიაშვილი აღნიშნავს,

რომ სიტყვა „ცხოველმა“ განიცადა სემანტიკური ცვლებადობა: 1. ცოცხალი არსება, 2. პირუტყვი, საქონელი.

ტექსტები, რომლებიც ჩვენ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ, ასეთ ვითარებას გვიჩვენებენ:

1. ცხოველი ნიშნავს ცოცხალს:

„და იგივე მოსლვად არს განსჯად **ცხოველთა** და მკვდართა“
(დავით და კონსტ., 174)

„ღმერთი არა არსა მკუდართაი, არამედ ცხოველთა (ლ..20,38)

„დაღაცათუ ჰაერთაგან შეიმუსრნეს, გარნა ეგრეთცა **ცხოველ** არიან.“ (ნინოს ცხ. 200).

2. ცხოველ = სულიერი არსება.

ვფიქრობთ, ძნელია ოდენ „ცოცხალის“ (ანუ „არა მკვდრის“)

შინაარსით იქნეს განმარტებული ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც „ცხოველ“ „ღმერთის“ მსაზღვრელად არის გამოყენებული

„...მოაქციეს ღმრთისა **ცხოველისა**“ (38) ევსტათი

„ღმერთი ცხოველი (მცხოვნი) არს“. (ისუ ნ,3,10)

აქ შესაძლოა გავიმეოროთ საბას განმარტება: **ცხოველ** არს უფალი და **ცხოველ** არს სული შენი. ესე არს არა თუ კერპთა უსულოთა გხადი, არამედ **ცხოველსა** ჩვენსა უფალსა და **ცხოველსა** სულსა შენსა არა დაგიტეობ.

3. „ცხოველ“ ფუძე კომპოზიციის შემადგენლობაშია და სიცოცხლის მნიშვნელობას ვადმოსცემს:

„ამის შემდგომად დაიბეჭდნეს გვამნი მათნი ბეჭდით **ცხოველსმყოფელის** ჯვარისა თა და თქვეს...“ (დავ.და კონსტ. 179)

4. „ცხოველ“ ფუძე მიმღეობის საფუძველი ხდება და ნიშნავს სიცოცხლეს, ცოცხლად მყოფობას:

„...და თაყვანი სცეს **განმაცხოველებელსა** საფლავსა და შეუგრდეს უფალსა.“ (ნინოს ცხ.187)

„...რომელ-იგი შემძლებელ არს მოწყვედად სულისა და ხორცთა და კვალად ხელმწიფება აქვს **განცხოველებად**, ვითარცა-იგი მოსიკვდიდა.“ (კონს.კახის წამება,152).

5. „ცხოველ“ ფუძე სიცოცხლის სემანტიკას სძენს ჩვეულებრივ საგანს (უსულოს):

„...და ვიდრე ცისკრისა მოწყენადმდე დგის ზედა კერძო **სვეტისა ცხოველისა**.“ (ნინოს ცხ., 209).

„...რომელსა ზედა დღეს შენ არს ეკლესია **სვეტისა ცხოვე-**

ლისა ჯვარი პატიოსანი“ (ნინოს ცხ.209)

„...რათა იხილოს და თაყვანის სცეს **ცხოველსა სვეტსა** და **ჯვარსა ცხოველსა**.“ (ნინოს ცხ.211).

6. „ცხოველ“ ფუძე აღნიშნავს ყოველივე ცოცხალს და არა მხოლოდ ადამიანს:

„ვიხილენ ყოველნივე **ცხოველნი**, რომელნი ვლენან მზესა ქუეშე (ეკლ.,4.15).

„ცხოველნიცა შენნი მკვიდრნ არიან მას შინა“ (ფს.67,11)

7. „ცხოველი“, როგორც არაადამიანი და „ცოცხალი“, როგორც ადამიანი:

„**ცხოველნი** და **ცოცხალნი** აქებენ უფალსა“ (ზირ.,17,27)

8. ცხოველი/სიცოცხლე თვისებაა და არა საგანი:

„მისცა მისდღოსს **ცხოველი** და იგი სასოება თვისი (თომა მოც.20,34).

„ცოცხალი“ სიტყვის სემანტიკისათვის

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ეს ლექსემა ასეა განმარტებული:

ცოცხალი-ი — „სრული“, „მრთელი“, სულიერი, ჯანმრთელი; „**ცოცხალთა** ფერჯითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით“ (შუშ. 16);

იქვეა განმარტებული ცოცხალ ფუძის სხვა წარმოებაც: სიცოცხლე= ცხოვება, სიმართლე, ხსნა.

„სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე **სიცოცხლით**“ (შუშანიკი, X,IV)

ცხოველი, ცხოელი — მცხოვნი, სულიერი არსება, ცოცხალი, განმაცხოველებელი, მხეცი.

„უკუეთუ სულითა **ცხოველ** არს იგი, **ცოცხალმცა** ხართ იგიცა და შენცა, უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვა ეგე შენი შენდავე მოიქეცინ.“

საბასთან „ცოცხალი სულდგმულია“; ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ ცოცხალი —ჯანმრთელი, სალი.

ჩვენს მასალაში სიცოცხლის მნიშვნელობით გაცილებით მეტჯერ შეგვხვდა „ცხოვება“, ვიდრე „ცოცხალი“, თუმცა ტექსტებსა და სიმფონიებში „ცოცხალ“ ფუძის ხმარების რამდენიმე შემთხვევა მაინც დადასტურდა. კერძოდ, „ცოცხალ“ ფუძე შემდეგი მნიშვნელობით შეგვხვდა:

1. ცოცხალ = ცოცხალი:

„ჩვენ მოვსწყდებით, უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი.“ (ევსტათი 45)
„...სიხარულით ყოველნივე აკურთხევედეს ღმერთსა ცოცხლებით და მშვილობით შეკრებისა მათისათვის“ (აბო 128)
„განერე შენ ცოცხალი ჯელისაგან აზონისა (ქართლ.ცხ. 21, 8);
„ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისადმდე.“ (ი. 11,26)
„მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალ-ლა იყო.“ (მ. 27,63)

2. ცოცხალ = ცოცხალი, გადარჩენილი:

„...ვითარმედ მთავარნი მათნი ცოცხლებით მოვლენან, ყოველნი, რომელნი იყვნეს ქვეყანასა მას, ყოველნი მოეგებნეს წინა მდინარესა მას ზედა ღაღამარასა“ (ნინოს ცხოვრება, 188).

„ცხოვნდა“ სიტყვის სემანტიკისათვის

რამდენადაც ცოცხალის, სიცოცხლის სემანტიკაზე გვაქვს საუბარი, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ სიტყვა „ცხოვნება, ცხოვება“, რომელიც ლექსიკონების მიხედვით სწორედ „ცოცხალის სემანტიკურ ველში განთავსდება.

ი.აბულაძე: ცხოვნება, ცხოვება, ცხოვება = განცოცხლება, განრიცხება; ხსნა; გადარჩენა, ცოცხლება

საბა: ცხოვნა = დღეგრძელობა,

ცხოვნებული = დღეგრძელებული.

1. ცხოვნება = სიცოცხლეს, დღეგრძელობას „ამ ქვეყანაში“:

„— ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე, რამეთუ წარმავალისა წილ აღგიჩვევის წარუვალი და უმჯობესი.“ (ბალ., 50)

„...გასწავე სამნი ცნებანი და, უკეთუ დაიმარხნე, სცხოვნდე და სარგებელ გეყო.“ (ბალ., 73);

2. ცხოვნება = გადარჩენა, თავის რჩენა (ფიზიკური გადარჩენა)

„— რა არს საზრდელი თქვენი, რომლითა სცხოვნდებით უღაბნოსა მას შინა?“ (ბალ., 83).

3. ცხოვნება = გადარჩენა, თავის რჩენა (სულიერი გადარჩენა)

„აწ ისმინე ჩვენი, რა თა სცხოვნდე, და ნუ ესავ სასოებასა მავას არა სასოსა...“ (კონსტანტი კახის წამება, გვ.,153)

4. ცხოვნება = ცხოვრებას (შდრ.: დღეს სხვადასხვა შინაარსს ვაძლევთ სიტყვას „ცოცხლობს“ და სიტყვას „ცხოვრობს“):

„და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხოვდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყვარელ ყოვლისა ერისა...“ (აბო 126)

„და ვითარ მოიქცა იგი ქვეყანადვე თვისა, ცხოვდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავლითა ღმრთისმსახურებითა.“ (კონსტანტი კახის წამება, გვ.,149)

„რამეთუ მადლი წმიდისა თა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქვეყანასა მას ჩრდილო სასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტიანითა ცხოვდებიან უზრუნველად“ (აბო 128).

5. ცხოვნება = დამკვიდრებას, დაფუძნებას:

„უკეთუ მოკვდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტეს თანა ვცხოვნდე.“ (აბო 138)

„და ცხოვდებოდა წმიდა ევსტათი ქრისტიანობასა შინა და სათნოებასა ქრისტე სსა“ (ევსტათი 27)

6. ცხოვნება = გაცოცხლება:

„მომკუდარ იყო და ცხომდა (განცოცხლდა) (ლ.15,24)

„წიგნმან მოაკუდინის და სულმან აცხოვნის (II, კორ.3,6);

7. ცხოვნება = განკურნება (მეტაფორ.):

„უკუეთუ ცხოვნდე სნეულებისა ამისგან ჩემისა (IV, მფ.1,2)

„ცხოვნდა იგი ყოვლითა წესითა პატივისაითა“ (საეკ.უწყ., 12,21).

„მართალი სარწმუნოებითა ცხოვნდეს“ (საეკ.წ. 43,15).

ჩვენ მიერ წარმოდგენილმა მასალამ და მისი სემანტიკური თვალსაზრისით კლასიფიკაციის ცდამ გარკვეულ შედეგებამდე მიგვიყვანა; კერძოდ, ჩვენ ყველა დასახელებული ერთეულის სალექსიკონო განმარტებებს დავუმატეთ მთელი რიგი სემანტიკური და კონოტაციური განმარტებები;

ვფიქრობთ, დასახელებული განმარტებებით ნათლად ჩანს, რომ სიტყვები ცხოველი, „სიცოცხლე“, „ცხოვნება“, „ცხოვრება“ მკაფიოდ არ იმიჯნებოდა ერთმანეთისაგან, თუმცა ამ ლექსიკურ ერთეულთა დღევანდელის მსგავსი შინაარსობრივი გადანაწილება უკვე დაწყებული ჩანს და ცალკეულ მაგალითებში უკვე ხერხდება ამ სიტყვათა სემანტიკური ველების მკაფიოდ განსაზღვრის მთელი პროცესის განჭვრეტა.

ლიტერატურა

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

ხახიაშვილი, 2005 — ნ. ხახიაშვილი, „ადამიანის“ აღმნიშვნელი ლექსიკის ისტორიისათვის ქართულში“, ფილ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2005

ლექსიკონები:

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973

იმედაშვილი, 1928 — ი. იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომც. სილ.თავართქილაძისა, ტფილისი, 1928.

იმნაიშვილი, 1948-49 — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1948-49.

ორბელიანი, 1991 — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

სარჯველაძე, 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1995.

სარჯველაძე, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ.უნივერსიტ. გამომცემლობა, თბილისი, 2001;

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

„ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, გამომც., მეცნიერება, 1986.

ტექსტები:

ქართული პროზა, თბ., 1981 — „შუშანიკის წამება“, „ვესტატი მცხეთელის წამება“, „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „ჰაბოს წამება“, „კონსტანტი კახის წამება“, „გობრონის წამება“, „კოლაელ ყრმათა წამება“, „დავით და კონსტანტინეს წამება“, „ნინოს ცხოვრება“, „გრიგოლ

ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“
ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955.

TINATIN TURKIA

On the Semantic Field of the Word cxovreba (Life)

Summary

The paper deals with the semantics of the Georgian words "sxovreba", "sicocxle", "cxoveli", "cxoneba". The study has been based on dictionary definitions and Old Georgian literary and historiographic contexts of the mentioned words.

The analysis of the data and its classification have proved that in Old Georgian the semantics of the words in question is not clearly differentiated. The given words have a number of connotative meanings that are not depicted in dictionaries.

Howerer, some elements of a distinct semantic field for each of the enumerated words can be foreseen.

რუსულან იოსელიანი

სვანური საპირბ

უცხოელ მეცნიერ-მოგზაურთა უმეტესობას სვანური სოფელი ევროპულ ქალაქს აგონებდა თეთრად შეფეთილი სახლებითა და კომკებით, დაწმენდილი გზებითა და შუკებით. ამ მხრივ საგულისხმოა ბესარიონ ნიჟარაძის ერთი განცხადებაც: „უშუალოდ შორიდან ახალს მნახველს ქალაქი ეგონება“ (ნიჟარაძე, 1968, 66).

სვანური სოფლის ასეთი შეფასება, უპირველესად, საყურადღებოა იმით, რომ იგი დიდ შთაბეჭდილებას ქმნიდა თავისი უაღრესად განვითარებული და გარემოსთან შესაბამისი არქიტექტურით.

სვანური სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე განვითარების შესახებ ბევრი დაწერია. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სამეცნიერო წრეებისთვის შედარებით უცნობ ნაგებობაზე — საკირზე.

სახლის აშენებისთვის ოჯახი თადარიგს აღრევე იჭერდა; პირველ რიგში, მოიმარაგებდა სამშენებლო მასალას — ქვას, ქვიშას, ლორღას და კირს. ყველაზე რთული კირის მოპოვება და გამოწვა იყო, რაც ნაგებობის სიმტკიცესა და გამძლეობას განაპირობებდა.

კირის გამოსაწვავი ნაგებობა — **ლ-კირ** || **ლ-ლ-კირ** თავისი რთული კონსტრუქციითა და სახიფათო მუშაობის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, უდავოდ წარმოადგენს ქართული საინჟინრო ხელოვნების მაღალ დონეზე განვითარების კიდევ ერთ დასტურს.

ლ-კირ და **ლ-ლ-კირ** პრეფიქსულწარმოებიანი დერივაციული სახელია:

ბზ. ჭყიდ ი საკმეჟელ ნყიდს ი ლ კირ ადგენ ამოშ (სვან. პროზ. ტ., I, გვ. 329) — ცვილი და საკმეველი იყიდეს და საკირე დადგეს ამისა¹.

ბქ. ამ კირ-ს ქა იშხის ლ-კირ-რ-ისგა (სვან. პროზ. ტ., II, გვ. 227) — ამ კირს გამოწვავენ საკირეში.

ლშხ. ეჯ არს ჩოთოშუის ჭყიდიშ ი საკმეჟელი ლაკირ (სვან. პროზ. ტ., IV, გვ. 58) — იმათ დაუნთიათ სანთლისა და საკმეველის საკირე.

ლნტ. **ამნემდ ჩუადაქერთინე ლ კირ** (სვან. პროზ. ტ., III, გვ. 203) — ამან გაახურა საკირე.

როგორც ვხედავთ, **ლა-კირ** (< ***ლა-ლ-კირ**) ორმაგპრეფიქსიანი სახელია, სადაც მეორე პრეფიქსის მნიშვნელობა დღეისათვის უკვე დაჩრდილულია. ამგვარი წარმოება არაერთია სვანურ ენაში (შდრ. **ლა-სგურ-ა** || **ლა-ლ-სგურ-ა** (ზს., ლშხ.) **ლა-სგურ-ა** || **ლა-ლ-სგურ-ა** (ლნტ.) „საჯდომი“ (სკამი); **ლა-ზგ-ა** (ზს., ლშხ.) „სამოსახლო“, შდრ. **ლა-ლ-ზგ-ა** (ზს., ლშხ.) **ლა-ლ-ზგ-ა** (უშგ., ლნტ.) „სასახლე“, **ლე-ზუბებ** || **ლე-ლე-ზუბებ** (ბზ.), „საკმეველი, **ნა-ზორ** || **ნა-ნ-ზორ** (ბზ.) **ნა-ნა-ზორ** (ლნტ.) „ნაკრები“... იმდენად იჩრდილება თავდაპირველი პრეფიქსის ფუნქცია, რომ ზოგჯერ ის საერთოდ გამქრალია ან მხოლოდ ერთ რომელიმე დიალექტშია შემონახული: ბქ. **ლა-წხ-ა**, ბზ. **ლა-მ-წგხ** || **სა-მ-წგხ** „საჭირო რამ“, ზს. **ლგ-გმ შ**, ლშხ. **ლგ-გმაშ**, ლნტ. **ლგ-ლ-გმ შ** „ძლიერი“, „ღონიერი“, ზს., ლშხ. **ნა-მა-ზ¹უ¹**, ლნტ. **ნა-ლ-მა-ზალ** „ნაშიერნაყოლი პირუტყვი“, ბზ. **ნა-მ-თუ-რ** < **ნა-ათუ-არ**, ლნტ. **ნა-თუ-რ** „განაყოფი“, ზს., ლშხ. **ნა-ბგ-ი** || **ნა-ბგ-ი** „სიმაგრე“... უმრავლეს შემთხვევაში ინფიქსად ქცეული პრეფიქსის მიმღეობური მნიშვნელობა დაჩრდილულია და ამიტომაც ერთვის ფორმას ახალი პრეფიქსი (ფონოლოგიურად ხან იდენტური, ხანაც განსხვავებული). ამასთანავე, ორმაგ და ცალმაგპრეფიქსიანი მიმღეობათა (აგრეთვე მასდართა თუ დერივაციულ სახელთა) შეპირისპირება მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს სემანტიკური თვალსაზრისით: წყვილთა კომპონენტებს შორის ან აბსოლუტური იდენტიფიკაციაა მნიშვნელობის მხრივ ან მხოლოდ ნიუანსურ სხვაობასთან გვაქვს საქმე (ჩანტლაძე, 1998, 242).

საკირე წარმოადგენდა სრულიად დამოუკიდებელ ნაგებობას, რომელსაც სახლის აშენებამდე კირის გამოსაწვავად აგებდა ოჯახი.

სვანური "საკირის" შესახებ თავის ნაშრომში საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართული არქიტექტურის ცნობილი მკვლევარი ა. ქალდანი, რომელსაც ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხილული აქვს, თუ როგორ შენდებოდა საკირე (ქალდანი, 1974).

სვანი ოსტატები საკირეს უძველესი ქართული სამშენებლო პრინციპით — თაღოვანი სისტემით — აგებდნენ.

თაღოვანი, ანუ კამაროსანი შენების სტილი მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული: ქართულ ხუროთმოძღვრებაში უძველესი დროიდან შენობისა თუ ნაგებობის ორნაირი გადაბმა ყოფილა ცნო-

ბილი — მარტივი, ბრტყელი — ბანური და, მეორე, უფრო რთული — კამაროსანი (ჯავახიშვილი, 1946, 98).

კამაროსანი მეთოდით ძველ საქართველოში საცხოვრებელი ნაგებობების, ციხესიმაგრეებისა და ეკლესიების გარდა, ურთულესი კონსტრუქციითა და დიდი გამძლეობით გამორჩეულ ხიდებსაც აგებდნენ (მაგ. ბესლეთის ქართული წარწერებით შემკული თაღოვანი ხიდი აფხაზეთში და თამარის ხიდი აჭარაში XII-XIII სს.).

ჩვენ საგანგებოდ დავათვალიერეთ და შევისწავლეთ სვანეთში, მესტიის რაიონის სოფ. მულახში (ცალდაშში) ნავერიანების საცხოვრებელი კომპლექსის შიდა ეზოში განთავსებული მიწისქვეშა სართული — ე. წ. „დილევი“, რომელიც შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს თაღოვანი შენების პრინციპის მაღალ დონეზე განვითარებისა. იგი, ჩვენი აზრით, სახლსა და სამ კოშკს შორის გამავალი გვირაბების დამაკავშირებელია. სწორედ იმის გამო, რომ ის ეზოს შუაგულში მდებარეობს და უნდა გაეძლო მეტი დატვირთვისთვის, გამოყენებულია თაღოვანი შენების პრინციპი.

ამრიგად, დამოწმებული მასალის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ სვანი ხელოსნები (ძვ. ქ. კირ-ით-ხურ-ო-ნი) მშენებრივად ფლობდნენ მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, თაღოვან-კამაროვანი, შენების პრინციპს, რომელიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თაღოვან-კამაროვანი შენების შესანიშნავ ნიმუშს, უდავოდ, წარმოადგენს სვანური **ლ-კირ**, სადაც ყველაზე რთულ პირობებში და გამოუწვეავი მასალით იგებოდა ურთულესი კონსტრუქციის ნაგებობა — პირმოკრული, წრიული თაღი, რაც თავისი დროის საინჟინრო ხელოვნების მიღწევად მიგვაჩნია.

საკირის აგება იმდენად რთული იყო, რომ ოჯახი **კელუ ნს** („ხელოვანი“) აიყვანდა და ნაღსაც იწვევდა. ოჯახის უფროსი (**ქორ-მანუშ-ი**) დილით არყით დაილოცებოდა და სოლომონს („ყოველ საქმეში სვე-ბედის მიმინიჭებელი კაც-ღვთაება“ — ბარდაველიძე, 1939, 196) შეევედრებოდა კეთილი ჯვარი დაესვა საკირის აშენებისთვის, რათა რამე არ მომხდარიყო.

ორმოს ამოთხრიდნენ და შიგნიდან მოიყვანდნენ ქვის კედელს ერთი **ალ ბის** („ადლი, არშინი“) სიმაღლეზე — **კუილა**ს („ქვის ყორე“), შდრ. ხევს. **კოლ-ი**, ფშ. **კოვლ-ი**.

„საკირის“ აშენებისას თავდაპირველად ცეცხლგამძლე ქვებს აწყობდნენ (ქალდანი, 1974, 46), შემდეგ მშენებლობას აგრძელებდნენ კირის ნაჭრებით.

ქვის კედლის ამოყვანის შემდეგ საკირის აგებას აგრძელებდნენ კირის ნაჭრებით.

„კირი — არს ქვა, დამწვარი, საშენებლად სიმაგრისთვის“.

კირით შენება განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ცოდნას მოითხოვდა, ვინაიდან საკირე თაღოვანი პრინციპით შენდებოდა და ამავე დროს, კირის ნაჭრებისგან (რასაც სიმტკიცე არ ჰქონდა), ამიტომ საკირის ასაგებად მხოლოდ მეტად გამოცდილ და მცოდნე **პელუ ნებს** აიყვანდნენ ხოლმე. საკირის აშენებისას, შიგნით ორი ოსტატი მუშაობდა, რომელთაც გარედან სხვები ეხმარებოდნენ.

საკირეს ერთ მხარეზე კარს (შესასვლელს) დაუტოვებდნენ, რომელსაც ქვის საფეხურებს გაუკეთებდნენ:

საგუბინისგა აშუ ყორ ნქს ხ ჩოხ ი ხოშმ ბ ჩ ლაგჭი რს აკჩეხ, ეჩი ჟიქ ნქა სგელ კას ხალფ რიხ (სვან, ენ. ქრესტ., 1978, გვ. 107) — წინიდან ერთ საკარეს უკეთებენ და დიდი ქვის ზღურბლს აღმართავენ, იმის ზევით ფიქალ ქვას აფარებენ.

საკირეს თაღის ამოყვანას სვანურ ენაში შესაბამისი ტერმინი გამოხატავს: **„ლინკუე“** — მოღუნვა (შდრ. კაკვი-ი იმერ. მო-კუკ-ვა-ა, გურ. კაკ-ულ-იე, აჭარ. კანკ-ულ-ია- , ფშ. მო-კა-ულ-ი), ანუ თაღის დასრულება.

კედლის მოღუნვის დროს, საკირეში შიგნით მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობდა. საქმის დამთავრების მომენტში მას ნაგებობიდან მხოლოდ თავი და ხელები უჩანდა, ცენტრში, რომელიც ღიად რჩებოდა, ხის სოლს (**ცუყუბა**ს) ჩაარჭობდნენ, სხვა მონაცემებით **ცუყუბა** კირის წაწვეტებული ნაჭერი იყო, ე. ი. შეიძლებოდა ყოფილიყო ხისაც და კირისაც: **ცუყუბა** — „სარქველი, საცობი“ (თოფურია, ქალდანი, 2000, 839), რომელიც ამ მრგვალი ნაგებობის სიმტკიცეს აწონასწორებდა.

საინტერესოა, რომ ივანე ჯავახიშვილს ქიზიყში დამოწმებული აქვს „თაღის ლურსმანი“, რომელიც სოლისებური მოყვანილობის საგანს წარმოადგენდა: „თაღის ლურსმანი, შუაგულის შემკვრელი, ზოგჯერ ოდნავ წამოზიდული, სოლისებრივი მოყვანილობის ნაწილია (ჯავახიშვილი, 1946, 101).

გფიქრობთ, რომ ქიზიყური „თაღის ლურსმანი“ სვანური საკირის სარქველის ანალოგიური მონაცემია, საიდანაც ჩანს, რომ თაღოვან-კა-

მარული შენების პრინციპი ერთნაირი ყოფილა როგორც სვანურში, ისე დანარჩენ საქართველოში.

საკირის აგებისა და მის გვირგვინში სარქველის ჩადგმის შემდეგ ნაგებობა უკვე იმდენად, მყარი და მტკიცე იყო, რომ დარჩენილ კირის ნაჭრებს (მშენებლობის დროს გამოუსადეგარს), ზედ აყრიდნენ; სიმძიმის შიში უკვე აღარ ჰქონდათ და ამიტომაც, შუაში, **"კუნჭულენ"** (ქალდანი, 1974, 46) ჩაარჭობდნენ ხის ჯვარს, რომელიც საკირის ბოლომდე ჩაწვისას შიგ იფერფლებოდა.

ამრიგად, სვანური **ლ-კირ** || **ლ-ლ-კირ**, ჩვენი აზრით, წარმოადგენდა სრულიად დამოუკიდებელ ნაგებობას, რომლის გამართვის პრინციპებშიც სამშენებლო ტრადიციებისა და ცოდნის მაღალი დონე თუ ხელოვნებაა გამოხატული.

უძველესი ქართული სამშენებლო ხელოვნების ამ ქმნილების გამომხატველ ტერმინებს, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებიდანვე ჩანაცვლა არაქართული წარმოშობის ლექსემები (კამარა, თალი), ხოლო ქართული ტერმინი, სამწუხაროდ, დაიკარგა.

„კამარა“ უძველესი დროიდან გავრცელებული ტერმინია ქართულს ხუროთმოძღვრებაში. ცის კამარა კარგად გვიხსნის, თუ რანაირად ჰქონდა ქართველს წარმოდგენილი მისი მოყვანილობა, მაგრამ კამარა მაინც სხვადასხვანაირი იყო. ქართული კამარა ბერძნულის ამავე სიტყვას უდრის, მაგრამ ზოგჯერ „აფსის“-საც აღნიშნავს.

კამარა ტერმინი შემდეგ ხანებში ქრება. როდის ქრება ის საბოლოოდ და როდის შემოდის ახალი, მის მაგიერი ტერმინი **თალი**, რომელსაც ჩვენ ახლა ვხმარობთ, ჯერ გამორკვეული არაა. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საბა ორბელიანს თალი არ აქვს შეტანილი ლექსიკონში. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ დროს თალი არ ყოფილიყო. ეს სიტყვა ქართული არ არის, თურქულიდანაა შემოსული, მაგრამ თვით ტერმინი უეჭველია უფრო ადრე უნდა იყოს შეთვისებული, მხოლოდ მწერლობაში რატომღაც აღნიშნული არაა“ (ჯავახიშვილი, 1946, 98-99).

სვანურში თალის აღმნიშვნელად რამდენიმე ტერმინი მოგვეპოვება. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ „კამარს“ აქაც მოუკიდია ფეხი: **კამარ, კამრ** ,— ბზ., **კამრ** — უშგ., **კამრა** - ლმხ., **კამარა** — ლნტ. (თოფურია, ქალდანი, 2000, 342).

საინტერესოა, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილისთვის ცნობილი ყოფილა სვანური სამშენებლო ტერმინი: „თალი მთელ საქართველო-

შია გავრცელებული, სვანეთს გარდა, სადაც ამ ცნების გამოსახატავად ტერმინად **ხვენინავს** ხმარობენ“ (ჯავახიშვილი, 1946, 101).

ხუნენ აგ, ვფიქრობთ, რომ დერივაციული ლექსემაა, რომელშიც ძირი უნდა იყოს **ხუნენ**. მასზე დართული ჩანს **-აგ** სუფიქსი, რომელიც შესაძლოა ქართული **-აკ**ის გამჟღავნებული ვარიანტია (აუსლანუტში მკვეთრ თანხმოვანთა გამჟღავნება ჩველებრივი მოვლენაა სვანურში). მოსალოდნელია, რომ საანალიზო ძირი უკავშირდებოდეს სვანური ენის ყველა დიალექტში დაცულ **ხუნ, ხუნან** (ჩოლ.) ლექსემებს „საძირკველისა“ თუ ლოდის მნიშვნელობით. დამახასიათებელია, რომ ჩოლურში ის „გადმოშვებულ მრგვალ ქვას“ აღნიშნავს (მდრ. ტოპონიმები — მდინარე ლუ-ხუნ-ა, სოფლები: ხუნ-ევ-ი, ნა-ხუნ-ო-ვ-რ და ა. შ.)

ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ (1994წ.) ჩოლურული კილოკავისათვის დადასტურებულია **ხონ**-ი-აგ — 1. ქონგური (ციხესახლის კედელში შეჭრილი); 2. კაცის სადგომი სათოფურით. **ხონ**- ძირზე დართული პალატალური ხმოვანი, რომელიც ფონეტიკური ჩანართი ჩანს, ალბათ გამოიწვევდა წინამავალ **ო**ს უმლანუტს, ამიტომაც სრულიად ბუნებრივად მივიღეთ **-ჟე** კომპლექსი **ხუნენ აგ** ფორმაში. ქართული ენის ხევსურულ დიალექტში „რიყის მაგარი ქვის“ აღსანიშნავად გვხვდება **ხონ**-, ხოლო „სამშენებლო წვრილ ქვას“ გადმოსცემს ლექსემა **ხურდა**; ფშაურის **კოვლ**-ი ან ხევსურულის **კოლ**-ი „საცხოვრებელი ნაგებობის ნაგრევეს“ შეესაბამება, ასე რომ, სამშენებლო ტერმინოლოგიაში **ხონ**-, **ხუნენ**-, **კოვლ**-, **კორ**-, **ხურ**- (მდრ. ქართ. **ხურ**-ო, **სა-ხურ**-აგ-ი, **და-ხურ**-ვ-ა, იმერული და მთიულურ-გუდამაყრული **ხორ**-ა, ხევსურული **კოლ**-კარ-ი, სვანური **ლი-ხურ**-ე, **ნა-მ-ხურ**ირ, გურ. **ხულ**-ა და ა. შ.) ძირები ხშირადაა გამოყენებული ქართველურ ენეში.

საკირის მშენებლობა იმდენად საფრთხილო და საშიში იყო, რომ ამ პროცესის დროს ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ერიდებოდნენ, რათა აშენებული თაღოვანი კედელი არ ჩაქცეულიყო და შიგნით მყოფი **გელჟანი** არ მოეყოლებინა:

„**კვლთხი ჰერს დარ მოშ იკედ ლაკრი ლანკუაჟინ**“ (სვან. ენ. ქრესტ., 1978, გვ. 107). — "ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს ("მაღალ ხმას არავინ იღებს") საკირის აგებისას."

მშენებლობის დასრულების შემდგომ კირის ნარჩენებს ზედ დააყრიდნენ საკირეს და შუაში ხის ჯვარს გაუკეთებენ.

სვანური სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე განვითარების შესახებ მეტყველებს ხალხური ცოდნა თაღოვანი კედლის გამოუწვავი კირისგან აგების შესაძლებლობისა. დასრულებული საკირის შუაში ხის ცუყბის ან სოლის ჩამაგრება საბოლოოდ აწონასწორებდა და აკავებდა მრგვლოვნად ამოშენებულ ნაგებობას, რის შემდეგაც ზედ დამატებითი წონის დაყრაც არ იყო საშიში.

საინტერესოა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი — საკირე მიწაში ღრმად ამოთხრილ ორმოში იმართებოდა, რასაც თავისი უმთავრესი მიზეზები გააჩნდა. კირის გამოსაწვავად მაღალი ტემპერატურა იყო საჭირო, სწორედ ამიტომ აგებდნენ საკირეს ორმოში, რის შედეგადაც სითბო არ იკარგებოდა და შესაძლებელი ხდებოდა კირის გამოსაწვავად საჭირო მაქსიმალური ტერმპერატურის მიღწევა.

კირის გამოწვა იმ შემთხვევაში ითვლებოდა დამთავრებულად, როცა საკირის თავში დამაგრებული ხის ჯვარი ჩაიწვებოდა:

ლ კი ო ცხ ნ ერ ჯუ რნლს ხაგლეს, ეჯა ლახე ჩუიშხი, ეჩქას ლ კირი ლგუშის ლი (სვან. ენ. ქრესტ., 1978, გვ. 108) — საკირის თავში რომ ჯვარს ჩაასობენ, ის რომ დაიწვება, მაშინ საკირეც დამწვარი არის.

კირის გამოწვის დროს არა მარტო სმა-ჰამა იყო გაჩაღებული. ერთობოდნენ მიზანში სროლითაც:

კალუსგა ლგუშნლს იგემს ი ეჩხაუ ხეთუფეს,.... ლგუშხილ ხაუხა ეჯას, ე: ყწარს ნესგაისგა ქა ხატაბეს ეჩეფინ, თუთენაუნ შინშუ მურგუალ აბზი ნაზიმ ნიშანს ხაგნეს (სვან. ენ. ქრესტ., 1978, გვ. 107) — ეზოში („კალოში“) „ლუმშხილ“ დგამენ და იმას („იქით“) ესვრიან („თოფს“) „ლუმშხილ“ ჰქვია იმას, რომ ყავარს შუაში ამოჭრიან, იმაზე თეთრზე ნახშირით მრგვალი აბაზის ზომის ნიშანს ასვამენ. ამავე დროს ნაწილი ცეკვა-სიმღერას გააჩაღებდა, რაც აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა სვანური ყოფა-ცხოვრებისა.

ლიტერატურა:

ბარდაველიძე, 1939 — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, თბილისი, 1939 წ.

თოფურია, ქალდანი, 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000 წ.

ლიპარტელიანი, 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული

ლექსიკონი, თბილისი, 1994 წ.

ქალდანი, 1974 — ა. ქალდანი, მშენებლობის ხალხური წესები სვანეთში, მაცნე, ისტორიის... სერია, № 3, თბილისი, 1974 წ.

ჩანტლაძე, 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998 წ.

ჯავახიშვილი, 1964 — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1964წ.

სვანური პროზაული ტექსტები, I, თბილისი, 1939 წ.

სვანური პროზაული ტექსტები, II, თბილისი, 1957 წ.

სვანური პროზაული ტექსტები, III, თბილისი, 1967 წ.

სვანური პროზაული ტექსტები, IV, თბილისი, 1979 წ.

სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი, 1978 წ.

RUSUDAN IOSELIANI

The Svan “Sakire”

Summary

The paper examines the word **sakire** which denotes an arched construction built of pieces of unbaked lime. The art of building **sakire** has had a long tradition in Georgian and in Svaneti, in particular.

Sakire is a perfect sample of Georgian art of engineering. The term **la-kir** // **la-l-kir** is a derivative formed by means of prefixation. The meaning of the second prefix is no longer clear, the wordformation of this type is quite common in Svan.

გაბა კახაბერიძე

სოციოლოგიურ საკითხთა მნიშვნელობა
ორენოვანების კვლევისას

მყარი ენობრივი კანონზომიერებების დამკვიდრება შეიძლება განპირობებული იყოს არა მხოლოდ პიროვნული თავისებურებებით, არამედ არსებული სოციალური მოვლენებით, რომელიც ხდება იმ კოლექტივში, სადაც ენათა კონტაქტები მიმდინარეობს.

ლ. ბლუმფილდი ხაზგასმით ამბობს, რომ ენობრივ მოვლენათა გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ინტენსივობა და სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოებრივი პრესტიჟი.

„როგორც ჩანს, სახელმწიფო ხელისუფლების საერთოობა, რელიგიური ერთიანობა და განსაკუთრებით კი შერეული ქორწინებანი, რომელიმე პოლიტიკური ერთიანობის ფარგლებში იწვევს მეტ-ნაკლებ ენობრივ ერთიანობას“, — აღნიშნავს ბლუმფილდი (ბლუმფილდი, 1968).

სოციალურ მოვლენათა გავლენის გათვალისწინება კანონზომიერია ორენოვანების კვლევისას. „სოციალური“, რა თქმა უნდა, ფართო გაგებით იხმარება. ის მოიცავს არა მხოლოდ სოციალურ ფენებს, არამედ ითვალისწინებს ასაკობრივ, განათლების, მიგრაციულ და სხვა ფაქტორებსაც.

ენათა კონტაქტების დროს საზოგადოების კლასობრივი, კლანობრივი, თუ კასტობრივი დაპირისპირების ხაზგასმა შეიძლება ამა თუ იმ ენის გამოყენების საშუალებით მოხდეს.

„რამდენიმე საუკუნეა სამხრეთ-ინდოელი ტომები ტოდი, კოტი და ბადაგი თანაარსებობენ კასტური დამოუკიდებლობის პრინციპით. სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას ტოდის ტომი, ხოლო კოტა და ბადაგა ემსახურებიან მას. თითოეული ტომი ლაპარაკობს მხოლოდ თავის ენაზე სხვა ტომის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროსაც.“

ასე რომ, თითოეულმა იცის სამივე ენა, მაგრამ უფლება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ თავის ენაზე, რადგან, სხვაგვარად დაირღვეო-

და კასტური იერარქიის პრინციპი. ანალოგიური ურთიერთობა ათამილისა და ტულუს კასტურ დიალექტებს შორის აგრეთვე აზიისა და აფრიკის, ამერიკის ბევრ რეგიონში (ჯორბენაძე, 1989, 44).

საზოგადოების რომელიმე ფენაში სოციალური დიფერენციაცია ვლინდება ამა თუ იმ ენის უპირატესობით. მაღალი საზოგადოება თავის გამოჩენის მიზნით ჩვეულებრივ ცდილობდა სხვადასხვა ფენისაგან თავისი განკერძოებულობა ენითაც გამოეხატა. როგორც წესი, დედაენის ნაცვლად უცხო ენებს ეძალეობდა. ასეთი იყო მეოცე საუკუნის ძველი არისტოკრატის უპირატესად რუსული ენა. სოციალურ ფაქტორს უკავშირდება მეტყველების ასაკობრივი ნიშნით შეპირობებული დიფერენციაციაც. ახალგაზრდობა, ნებით თუ უნებლიეთ, ცდილობს დაუპირისპირდეს უფროს და თავის მომდევნო თაობას არა მხოლოდ ქცევით, არამედ მეტყველებითაც. ამ შემთხვევაში ახალგაზრდობის მიერ თვითგამორჩევისა და საზოგადოებაში თვითგამტკიცების სურვილია მეტყველების ამ ნაირსახეობის წარმოქმნის საფუძველი.

„კანადაში ადგილობრივი ფრანგული აქცენტი ინგლისურ ენაზე მოსაუბრისათვის სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად მომგებიანი იყო, ვიდრე ამერიკაში, სადაც, ვთქვათ, ფრანგი აღმზრდელისათვის ეკონომიკურად განსაკუთრებით მომგებიანი იყო ხაზგასმით გამოეკვეთა ფრანგული აქცენტი, როგორც სიმბოლო თავისი „ავტორიტეტული“ წარმომავლობისა“, — აღნიშნავს ვაინრაიხი (ვაინრაიხი, 1972, 28).

ენათა კონტაქტების სფეროში ბევრი რამ, რომელიც იკვლევება მხოლოდ ენათმეცნიერული, წმინდა ლინგვისტური ნიშნით, სინამდვილეში ფსიქოლოგიურსა და სოციოლოგიურ ხასიათს ატარებს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ადამიანთა ინდივიდუალურ უნარსა და ცოდნას, გამოიყენოს ესა თუ ის ენა ისე, რომ განერიდოს ინტერფერენციას ან, პირიქით, მიუახლოვდეს ინტერფერენტულ მოვლენებს.

გასათვალისწინებელია სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები, რომლებსაც ამა თუ იმ ენის შევიწროებამდე მივყავართ. საყურადღებოა ორენოვანების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რასაც საბოლოოდ პოლიტიკური და საგანმანათლებლო საკითხების მოგვარებისას გაჩენილ პრობლემებამდე მივყავართ.

სოციოლოგიური საკითხების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ინდივიდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთმიმართება იქცევს.

მჭიდრო გეოგრაფიულ სიახლოვეს ცხოვრობენ ჯგუფები, რომლებიც განსხვავდებიან რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით. ისინი ურთიერთზემოქმედებენ და თავისუფლად ურთიერთობენ ერთმანეთთან საზოგადოებრივ ადგილებში. ისინი ემორჩილებიან ერთსა და იმავე ხელისუფლებას და ხშირად სწავლობენ ერთსა და იმავე სკოლაში. თუმცა ხშირი და რეგულარული ურთიერთგაგენა მათ შორის უმნიშვნელოვანესსა და კულტურულ განსხვავებებს ვერ შლის. ჯგუფი ძველებურად ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ ტრადიციებს, ღირებულებებს, მისწრაფებებს, რომლებიც ვლინდება სხვადასხვაგვარ თავისებურებებში.

სახლი, ოჯახი და ახლობლების წრე ძველებურად რჩება ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანად. ურთიერთობები, კავშირები, ქორწინებით შექმნილი და მეგობრული დამოკიდებულებები იშვიათად არღვევს ამ ჩაკეტილ სისტემას.

ყოველდღიური ცხოვრება ადამიანს უეჭველად ახვედრებს უცხო ადამიანებს, მაგრამ საზოგადოებაში მისი ქცევა მკაცრად გამიჯნულია იმ ახლო, ნათესაური კავშირებისაგან, რომლებიც მას აქვს თავის ახლობელთან, ხოლო უფრო ფართოდ თავის კლანთან.

ადამიანს შეუძლია თავისუფლად ჰქონდეს ურთიერთობა სხვა წრის ადამიანებთან. სკოლასა თუ საზოგადოებაში ბაძვდეს კიდევ მას, მაგრამ შინ სულ სხვა გარემო ელის. ეს გარემო სთხოვს მას შინ გამეფებულ ნორმებსა და ქცევის წესებს დაუბრუნდეს. ასე რომ, საზოგადოებრივი და კერძო სისტემების დაყოფა იწვევს ინდივიდის გარკვეულ იზოლაციას და გარედან სიახლეების შეღწევას ხელს უშლის. კერძო, პირადი ცხოვრების სფეროში ამგვარი ჯგუფების არსებობას თან სდევს გარკვეული კოლექტივის ხელში ამა თუ იმ სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მობილიზება. მაგალითად, საბითუმო და საცალო ვაჭრობა სხვადასხვა მეტ-ნაკლებად დახურულ ჯგუფებშია განფენილი. სხვა ჯგუფები ადმინისტრაციულ თუ სამართლებრივ ჩინოვნიკებს წარმოადგენენ. სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციების წრე, რომელსაც ესა თუ ის პირი ასრულებს, განსაზღვრავს იმ საზოგადოებრივი ქცევების რიცხვს, რომლებსაც უნდა ფლობდეს იგი.

„ადამიანთა ურთიერთზემოქმედება საზოგადოებაში მნიშვნელოვანწილად ხასიათდება იმით, რასაც ეთნოგრაფები „სპეციფიკურ ფუნქციას“ უწოდებენ (role specificity) — ყოველდღიური საქმიანობის წრე სხვადასხვა სფეროებად იყოფა. ისინი ხშირად ითხოვენ სხვადას-

ხვა, ხშირად ურთიერთსაპირისპირო ქცევებსაც კი, — შენიშნავს ჯონ გამპერცი (გამპერცი, 1972, 191).

ამ ტიპის სოციალური სტრუქტურა, მით უმეტეს გამოხატული მრავალენოვანი საზოგადოების პირობებში, ისწრაფვის არსებული ენობრივი და დიალექტური სხვაობები იმაზე მეტად შეინარჩუნონ, ვიდრე ეს დასავლეთის რომელიმე ქვეყანაშია. მსოფლიოში ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ ემიგრანტთა ჯგუფებს, რომლების საუკუნეების განმავლობაში ინახავენ თავის ენას. მაშინაც კი, როცა ის მრავალრიცხოვანია.

ერთენოვანი და მრავალენოვანი კოლექტივის ურთიერთიმართება. მრავალენოვან კოლექტივებში თავისი, საკუთარი ნორმების ჩამოყალიბების ტენდენცია შეინიშნება. ისინი ხშირად ძალიან განსხვავდებიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც ერთენოვან კოლექტივს ახასიათებს.

„ინდოელს შეუძლია ინგლისურად ისევე თავისუფლად ისაუბროს, როგორც მშობლიურ ენაზე. მას ინგლისურად წერა, კითხვა და ლექციების ჩატარება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია. მაგრამ თუ ის ინგლისურად ინდოეთში საუბრობს, მისი მეტყველება იზიარებს ინდოეთის სხვა ენობრივი კოდების სხვადასხვა თავისებურებებს. იმ ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის დროს ამ თავისებურებებიდან ინგლისურს დათმობა უწევს. ასე რომ, ინდური ინგლისური იმ ნორმებისაგან, რომლებიც ვთქვამთ ამერიკის დასავლეთ ნაწილშია მიღებული, მნიშვნელოვნად გადახრილია“, — აღნიშნავს გამპერცი (გამპერცი, 1972, 194).

გადახრის ეს ტიპი სულაც არ ნიშნავს ინგლისური ენის სუსტ ან ცუდ ცოდნას, არამედ წარმოადგენს იმ სოციალური მოვლენების ბუნებრივ შედეგს, რომელიც არის იმ გარემოში, სადაც ხდება ინდური ინგლისურის ფუნქციონირება. სოციალური პირობები, არსებული მრავალენოვან საზოგადოებაში, ყოფისადმი სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციებს იწვევს. კოდების ხშირი ჩანაცვლების აუცილებლობა, რომელიც მონაწილეთა უდიდესი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი, მოქმედებს კოდებს შორის სხვაობათა შემცირების მიმართულებით. ენობრივი დაახლოება განსაკუთრებით იმ სიტუაციაში შეიმჩნევა, სადაც ჯგუფებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა.

ორენოვანი მატარებლის ენობრივი ქცევის შესწავლა არ უნდა შემოისაზღვროს ყოველთვის ერთი ადამიანი. როდესაც ენებს შო-

რის ადამიანთა ჯგუფების დონეზე კონტაქტი მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჯგუფები მრავალრიცხოვანია, ქცევის ინდივიდუალური თავისებურებები ქრება და მათ სანაცვლოდ ჩნდება სოცილური გარემოთი განპირობებული ენობრივი პროცესები. ისინი მთლიანობაში ამ ჯგუფის მახასიათებელი ხდება.

ბევრი ფაქტორი, რომელიც ორენოვან სიტუაციაში ამა თუ იმ ენას ანიჭებს უპირატესობას და მას მნიშვნელოვან სტატუსს ანიჭებს (ურთიერთობისას მისი განსაკუთრებული როლი, სოციალური განვითარების სფეროში მნიშვნელობა და ა. შ.) ადამიანს გარემოსაგან ეხვევა თავს. ამიტომ მოცემულ სიტუაციაში ენობრივი მატარებლებისთვის ენებს შორის ურთიერთმიმართებები ხშირად ერთი და იგივე აღმოჩნდება.

მიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ენები შეისწავლება, ასაკი, როდესაც ისინი შეითვისება, ნაკარნახევია არა თვით ენობრივი მატარებლისაგან (თუმცა არსებობს ამგვარი შემთხვევებიც, მაგრამ იშვიათად და არ ვრცელდება კოლექტივის დონეზე), არამედ გარემოსაგან. მეტიც, თვით ორენოვნების მიმართ დამოკიდებულებაც კი შეიძლება იყოს განსხვავებული: ერთ შემთხვევაში პატივისცემას იწვევდეს, მეორე შემთხვევაში — არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. შესაძლოა, გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებში ერთი ენიდან მეორეზე გადართვა დასაშვებია იყოს, სხვა ჯგუფებში — პირიქით.

ორენოვანი მატარებელი ყოველთვის ცდილობს იმ ჯგუფის წესები დაიცვას, რომლის წევრიც არის.

ორენოვნების სოციოლოგიური თვალსაზრისით ანალიზის უმნიშვნელოვანეს ასპექტად ვთვლით მრავალენოვან კოლექტივში ენათა ფუნქციის საკითხის გარკვევას. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ფუნქცია ცალსახად კონსერვატორულ ზემოქმედებას ახდენს ენობრივ ნორმებზე. ხშირად ზოგიერთი ისეთი ფუნქციის არქონა, რომელიც მას პრესტიჟს მატებს (მაგალითად, სახელმწიფო ენის როლის ან სტატუსის არქონა), ხშირად ამცირებს მის ავტორიტეტს და მეტად ხდება სხვა ენათა გავლენის საგანი, ვიდრე თვითონ ზემოქმედებს რომელიმე მათგანზე.

„კონტაქტების საპასუხოდ იქმნება ენის სტანდარტული ვარიანტი. სტანდარტიზებული ენის ვარიანტი და მისი გარემომცველი ემოციური არეალი დასავლური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია და ძალიან გადამდები აღმოჩნდა. საოცარი ანაქრონიზმია აზიისა და

აფრიკის ქვეყნებისათვის, რომლებიც სულ ახლახან გათავისუფლდნენ კოლონიალიზმისაგან. მაგრამ უდავოა, რომ ადამიანები თავისი ენის განმასხვავებელ თავისებურებებს ყველაზე კარგად სწორედ ენობრივი კონტაქტების დროს იზიარებენ. ამ სიტუაციაში წმინდა თუ სტანდარტიზებული ენა ყველაზე იოლად იქცევა ჯგუფის ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოდ“ (..)

მართლაც, ენამ შეიძლება შთააგონოს ორენოვან მატარებლებს პატრიოტიზმი. ენა, სხვა ენებთან დაპირისპირებული, ქცეული ხელშეუხებელ მოვლენად, ფასეულობათა რიგში მაღალ ადგილს იკავებს. იმ ზეწოლის საპასუხოდ, რომელიც მას ემუქრება, აამოქმედებს და ააქტიურებს ისეთ ძალებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ მყოფის გადაჩენისკენ არიან მიმართულნი.

ერთი ენიდან მეორეზე გადართვა თავისთავად რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ ზოგიერთ საკომუნიკაციო სფეროში და სოციოლოგიური თვალსაზრისით საჭიროებს ამა თუ იმ ენის ფუნქციათა იერარქიის გამოკვლას.

ენობრივი კონტაქტების პროცესის სხვადასხვაგვარ განვითარებას თუ რა ზომით განსაზღვრავენ სხვადასხვა ენების მატარებლის ურთიერთობის სოციალურ-ისტორიული პირობები, ირკვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობიერდება ორგანული კავშირი ორენოვნების სოციალურ სიტუაციებსა და ორენოვანი მატარებლის ენობრივ ქცევებს შორის. ორენოვანი მატარებლის ენობრივი ქცევის შესწავლა არ უნდა შემოსაზღვროს ყოველთვის ერთი ადამიანით.

დასკვნის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკელი მკვლევრის, რიჩარდ დიბოლდის, სიტყვები: „მექსიკაში მცხოვრები ამერიკელი ინდიელების ჯგუფებში ორენოვნების შესწავლის ჩემი გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ მხოლოდ ენობრივი მოვლენების აღწერა, რომელიც, რა თქმა უნდა, ენობრივი სესხების ტიპოლოგიის გამდიდრებისათვის მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ფუჭ ვარჯიშს, თუ მას არა აქვს დართული სოციოლოგიური ანალიზი“ (დიბოლდი, 1961, 11. იგივე თვალსაზრისია გამოთქმული რუსი ენათმეცნიერების ნაშრომებშიც (პოლივანოვი, ჟირმუნსკი).

ენობრივი სიტუაციის მიმოხილვისას ჩვენ არ განვიხილავთ ინდივიდუალურად რეალიზებულ ორენოვნებას, როგორც ენობრივი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. ასეთად მივიჩნევთ კოლექტიურ ორენოვნებას. აქვე გავუსვამთ ხაზს იმას, რომ ორენოვანი კოლექ-

ტივი არ არის აუცილებელი იყოს ერთგვაროვანი ეთნიკური ან ნაციონალური თვალსაზრისით. ორენოვნება ინდივიდის დონეზე, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს კვლევის საგანი, მაგრამ აუცილებლად განსხვავებული მიზნით.

ლიტერატურა

ბლუმფილდი, 1968 — Л. Блумфилд, Язык, М, 1968.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ. 1989.,

ვაინრაიხი, 1972 — Уриель Вайнрайх, Одноязычие и многоязычие, Новое в Лингвистик, Выпуск VI, 1972

გამპერცი, 1972 — Джон Гамперц, Переключение кодов хинди-пенджаби в Делиб Новое в Лингвистик, Выпуск VI, 1972

დიბოლდი, 1961 — A. Richard Diebold, Jr. Incipient Bilingualism, Lenguage, 37, 1961.

MAKA KACHKACHISHVILI

Importance of Social Issues for the Investigation of Bilingualism

Summary

The paper focuses on psychological and sociological aspects that are essential for studying language contacts. Sociological aspects of the relationship between an individual and society are more deeply examined. The issue in question is investigated on the material of bilingualism. It is argued that in a bilingual situation the choice of a language by a bilingual is imposed by the setting.

The primacy of one out of the two languages, the chronology of their acquisition and the age when they are learned are determined by the setting. A bilingual tries to observe the rules of a society s/he lives in.

The paper also focuses on the issue of code-switching.

The relationship between bilingual situations and bilinguals' behaviour are essential for stating social and historical conditions of language contacts.

ციცინო კვანტალიანი, ლევან ჩხაიძე

ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონული ლექსიკონის დასრულების და სრულყოფისათვის

(ძირითადი ცვლილებები, რითაც ელექტრონული ლექსიკონი განსხვავდება ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონისაგან)

ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონული ლექსიკონი არის მანქანური ვარიანტი ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონისა (ავტორები: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია). ელექტრონულ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში თითქოს არავითარი სირთულე არ იყო მოსალოდნელი. ფაქტობრივად, წიგნშივე მზა მონაცემთა ბაზა იყო წარმოდგენილი, რომელიც ასევე გადავიდა მანქანურ ვარიანტში, მაგრამ მუშაობის დროს თანდათან გამოიკვეთა სიძნელებები, რაც ძირითადად მანქანის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. სწორედ მანქანურმა სპეციფიკამ მოითხოვა მონაცემთა ბაზიდან ზოგი ფუძისა და ფორმის დაზუსტება-დაკონკრეტება და მუშაობის შედეგად მივიღეთ „ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონული ლექსიკონი“, რომელიც წიგნური ვარიანტისაგან რამდენადმე განსხვავებულია.

ცვლილებები ძირითადად 5 სახისაა.

1. პირველი ცვლილება, რითაც ელექტრონული ლექსიკონი განსხვავდება ზმნური ფუძეების ლექსიკონისაგან, არის პირის აღნიშვნა.

ელექტრონულ ლექსიკონში აღინიშნება III ობიექტური პირის ნიშანი. ეს ნიშანი ემატება როგორც დინამიკურ, ასევე სტატიკურ ზმნებს. ზმნური ფუძეების ლექსიკონი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზეა შექმნილი. ქველ-ში III ობიექტური პირის ნიშნები აღნიშნულია, მაგრამ ზმნური ფუძეების ლექსიკონზე მუშაობის პროცესში ეს საკითხი არ დასმულა. ელექტრონულმა ლექსიკონმა კი მოითხოვა, ერთმანეთისაგან გაგვეჩიხა ასეთი ფორმები. ამიტომ ელექტრონულ ლექსიკონში დაფიქსირდა როგორც ორპირიანი —

წერს, ასევე სამპირიანი — **ს-წერს**.

ჭივინ ფუძე წარმოდგენილია დინამიკური და სტატიკური პარადიგმებით. პირის აღნიშვნის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქველ-ში დაფიქსირებული იყო **შესჭივინებს** — როგორც დინამიკური, ასევე სტატიკური ფორმა. ამიტომ ელექტრონულ ლექსიკონშიც ასევე გაიჩნა ერთმანეთისაგან დინამიკური, სამპირიანი **შე-ს-ჭივინებს** ის მას მას და სტატიკური, ორპირიანი **შესჭივინებს** ის მას.

სტატიკურ ზმნებში მივიღეთ ორი ვარიანტი:

ერთპირიანი **ჭივინებს** და ორპირიანი **შე-ს-ჭივინებს** ის მას **დაჭივინებს**

ძულ ფუძე დინამიკური და სტატიკური ფორმებით არის წარმოდგენილი. **ს-ძულდება, მო-ს-ძულდება, შე-ს-ძულდება**. აქვეა — **და-ს-ძულდება**, რომელიც არის დიალექტური ფორმა და ნიშნავს — **შესძულდება**. რაკი ქველ-ში ეს ფორმა შეტანილია, ჩვენც შევიტანეთ, მხოლოდ გვერდით გაფუკეთეთ აღნიშვნა — დიალექტური.

სტატიკური ფორმები ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

ს-ძულს

ს-ძულ-ობს, რომელსაც მივუწერეთ აღნიშვნა — დიალექტური.

ასევე განსხვავდება **ჭყივის** — **შესჭყივის** ფორმები ერთმანეთისაგან.

ერთპირიანი **ჭყივის** ორპირიანი **გა-ს-ჭყივის, შე-ს-ჭყივის, დაჭყივის** **შემო-ს-ჭყივის, ჩა-ს-ჭყივის, ჩამო-ს-ჭყივის**.

II ცვლილება ეხება -ებ და -ობ თემისნიშნისა ზმნებს.

2. ქველ-ში -ებ და -ობ თემისნიშნისანი სტატიკური ზმნები არაერთგვაროვნად არის შეტანილი:

მაგალითად: არის ორივე ვარიანტი:

ღონ-ებს ღრუტუნ-ებს-ს ღრიალ-ებს ყანყალ-ებს ყაყან-ებს
||ღონ-ობს ||ღრუტუნ-ობს ||ღრიალ-ობს ||ყანყალ-ობს ||ყაყან-ობს

ღუღუნ-ებს ყრანტალ-ებს-ს ჩურჩულ-ებს-ს ჩუნჩუნ-ებს-ს შხაპუნ-ებს-ს
||ღუღუნ-ობს ||ყრანტალ-ობს ||ჩურჩულ-ობს ||ჩუნჩუნ-ობს ||შხაპუნ-ობს

მაგრამ ზოგ ზმნურ ფუძესთან არ არის შეტანილი -ობ თემისნიშნისანი ფორმები:

არის: **ღრჭიალ-ებს ყიყინ-ებს შიშინ-ებს შრიალ-ებს**

არ არის: **ღრჭიალ-ობს ყიყინ-ობს შიშინ-ობს შრიალ-ობს**

არის: **ჩიფჩიფ-ებს ჩახჩახ-ებს**

არ არის: **ჩიფჩიფ-ობს ჩახჩახ-ობს** და სხვ.

ზმნური ფუძეების ლექსიკონში ერთიანი პრინციპი გავატარეთ და ასეთი ფორმები შევიტანეთ. ოღონდ ერთმანეთისაგან განვასხვავეთ ქველ-ში დაფიქსირებული და ჩვენ მიერ დამატებული ფორმები. რა თქმა უნდა, ელექტრონულ ლექსიკონში ეს ფორმები შევიტანეთ (დამატებული ფორმები მრგვალ ფრჩხილებში ჩავსვით), მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ აღგვენიშნა, რომ ასეთი ფორმები დიალექტურია. ამიტომ -ობ თემისნიშნისანი ფორმებს ხშირ შემთხვევაში გვერდით მიეწერა — დიალექტური.

3. III სახის ცვლილება შეეხო ფუძედრეკადი ზმნებისა და უთემისნიშნო და ავთემისნიშნისანი ზმნების ერთიანი პრინციპით აღწერას. ეს ჩვენ წიგნშივე ასე გავაკეთეთ. ელექტრონულ ლექსიკონში დაზუსტება გახდა საჭირო.

მაგალითად, ქველ-ში დადასტურებულია სამივე ვარიანტი:

ჭყებს ჭყვენს
ჭყებავს ჭყვენავს და სხვა.

ჭყიბავს ჭყვინავს

რა თქმა უნდა, ასეთი ფორმები სხვაც ბევრია.

მაგრამ ასევე გვაქვს:

	ერთი მხრივ:	მეორე მხრივ
ღმეჭს	ჩხრეკს	წეწს
 ღმეჭავს	 ჩხრეკავს	 წეწავს
ჩხვლეტს	წნენს	წყმედს
 ჩხვლეტავს	 წნენავს	 წყმედავს
		 წყვითავს...

როგორც ვხედავთ, არაერთგვაროვანი სურათია. ზმნური ფუძეების ლექსიკონზე მუშაობისას ჩვენ შევეცადეთ გავგეტარებინა ერთიანი პრინციპი

ჩხრეკს

ჩხრეკავს თუ არის, ჩვენ შევიტანეთ **ჩხრიაკავს** ფორმაც.

ელექტრონულ ლექსიკონში ეს ფორმები ასევე შევიტანეთ, მაგრამ შემდგომში, მუშაობის პროცესში გადავწყვიტეთ ამ ფორმების ამოღება. ჩვენ ამ საკითხზე ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე მოხსენებაში ვისაუბრეთ და მაშინ გამოითქვა აზრი, რომ რაც არის ზმნური ფუძეების ლექსიკონში, ის უნდა დარჩეს ელექტრონულ ლექსიკონშიც.

ამიტომ **ჭყეტ**
ჭყეტს
ჭყეტავს (დაჭყეტავს) სამივე ვარიანტი დავტოვეთ.

ჭყლეთს
ჭყლეთავს
ჭყლიტავს — არ არის, ჩვენ დავამატეთ.

ამით ელექტრონულ ლექსიკონში ერთიანი პრინციპი გატარდა, ასეთი ფორმები შევიტანეთ, მაგრამ II და III ვარიანტს (**ჭყეტავს** — **ჭყიტავს**) მივუთითეთ, რომ არის დიალექტური. ამიტომ ელექტრონულ ლექსიკონში უკვე ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ლიტერატურული და დიალექტური ფორმები. ეს პრინციპი ბოლომდე გატარებულია, ასეთ ვარიანტებს ყველა შემთხვევაში გაკეთებული აქვს აღნიშვნა — დიალექტური.

4. IV სახის ცვლილება ეხება პარალელურ ფორმებს.

მაგალითად, „ზმნური ფუძეების ლექსიკონში“ ასეა აღნიშნული:

ჭკნ	ჭკმუნს	ჭკუჭყუნ
 ჭკნ	 ჭკმუნს	 ჭკუჭყურ

პარალელური ვარიანტი თავის ანბანურ რიგზე ჩვეულებრივად არის წარმოდგენილი, მაგრამ მითითებული აქვს: **ჭკნ** იხ. **ჭკნ, ჭკუჭყურ** იხ. **ჭკუჭყუნ...**

ელექტრონულ ლექსიკონში „იხილეს“ ვეღარ გამოვიყენებდით, იქ უნდა ჩაწერილიყო კონკრეტული ფორმები, მაგრამ მანქანამ მექანიკურად გაიმეორა ყველა ის ფორმა, რაც ძირითად ფუძეს ჰქონდა. ხშირ შემთხვევაში ბევრი არარსებული ფორმა დაფიქსირდა. მანქანურმა ვარიანტმა სამუშაოს დაკონკრეტება მოითხოვა. კონკრეტულად სჭირდება მითითება, პარალელურ ვარიანტს რა ფორმები აქვს. ხშირ შემთხვევაში ასეთი პარალელური ფორმები, ფონეტიკური ვარიანტები, რომელიც უფრო ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი, ვიდრე ძირითადი ფუძის ფორმები. ამიტომ ერთიანი პრინციპი რომ გატარდეს, ზუსტად ვაფიქსირებთ, რაც არის ქველ-ში. მაგალითად.

ჭყიბინ
|| ჭყრიბინ

ჭყიბინ 1. დინამიკური **ააჭყიბინებს** — **აჭყიბინდება...**
2. სტატიკური **ჭყიბინებს** — **იჭყიბინებს**

||ჭყიბინობს, რომელიც ჩვენ დავამატეთ.

ჭყრიბინ ფუძე ქველ-ში მხოლოდ **ჭყრიბინობს** ფორმით გვგვდება-

ბა. ამ დროს არ არის თვითონ — **ჭყიბინობს**. თუმცა ეს არის გამართლება იმისა, რომ **-ობ** თემისნიშნისანი ფორმები უნდა დავტოვებინა.

ელექტრონულ ლექსიკონში **ჭყრიბინობს** ფორმა დაფიქსირდა თავის ადგილზე. თან, რა თქმა უნდა, მიეწერა — დიალექტური.

ე. ი. პარალელური ფორმები ერთიანი პრინციპით რომ იყოს წარმოდგენილი, ელექტრონულ ლექსიკონში პარალელურ ვარიანტს თავის ადგილზე თავისი კონკრეტული ფორმებით წარმოვადგენთ.

ჭკნ — **დააჭკნობს** ფორმა, რომელსაც მიეწერა **ძკვ**, დაფიქსირდა, რომ არის ძველი ფორმა, თავის ადგილზეა, მაგრამ **ჭკნ-ს** მიეწერა, რომ აქვს პარალელური ფორმა **ჭკნ. ჭკნ**
||ჭკნ.

ასევე: **ჭკმუნს**
||ჭკმუნს

ზმნური ფუძეების ლექსიკონში ასეა წარმოდგენილი:

1. **ჭკმუნს-ი** / **ჭკმუნს-ებ-ი**
|| ჭკმუნს-ი
1. **ჭკმუნს-ავ** / **ჭკმუნს-ებ-ი**
(←ჭკმუნს-ვ-ებ-ი)
|| ჭკმუნს-ი
(←ჭკმუნს-ვ-ი)

ელექტრონულ ლექსიკონში ცალკე გამოვიტანეთ **ჭკმუნს** ვარიანტი. აქვს მხოლოდ ვნებითის ფორმები.

ჭკმუნს-ებ-ი	ეჭკმუნს-ებ-ი, შეეჭკმუნს-ებ-ი
 ჭკმუნს-ი	იჭკმუნს-ი

ხოლო ძირითად სალექსიკონო ერთეულს **-ჭკმუნს** მიეთითა, რომ აქვს პარალელური ვარიანტი. **ჭკმუნს**
||ჭკმუნს

პარალელური ფორმები ლექსიკონში ძალიან ბევრია. ამ ფორმების დაკონკრეტებამ საკმაოდ დიდი მუშაობა მოითხოვა. ვფიქრობთ, პარალელური ფორმების დაზუსტება-დაკონკრეტება ლექსიკონის გამოყენების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელია.

5. ელექტრონულ ლექსიკონში ვამატებთ ახალ ფორმებსაც.

ქველ-ში თუ არის — **დაწყვიტავს, დაიჭირავს** ფორმები, რადგან დამოწმებულია ლიტერატურაში („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“), რატომ არ უნდა იყოს — **შემოი-**

დამებს ფორმა გალაკტიონის ცნობილი ლექსიკიდან „შემოიღამებს მთის ნაპრალები“. ელექტრონულ ლექსიკონში ჩვენ დავამატეთ ეს ფორმა.

ასევე, არის **დაკმუჭნის — დაიკმუჭნის, ჩაკმუჭნის, მაგრამ არ არის მოიკმუჭნება, ჩაიკმუჭნება.**

ასევე არის **ამოეჭირება, გადაუჭერს, გადაეჭირება, როცა არ არის ამოაჭერს, ამოიჭერს გადაიჭერს.**

ჩვენ ასეთ აშკარა ფორმებს (**მოიკმუჭნება, ჩაიკმუჭნება, ამოაჭერს, ამოიჭერს, გადაიჭერს**) ვამატებთ.

ასეთია ძირითადი ცვლილებები, რაც ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონულ ლექსიკონს განასხვავებს — ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონისაგან.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი... 1989 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1950-1964.

Five types of changes have been made.

1. The first change concerns person marking. In the electronic version the third objective person is depicted. Biperson **cers** as well as triperson **scers** are given.

2. In Georgian monolingual dictionary the static verbs with the thematic markers **eb** and **ob** are not fully presented.

In the computer version all the forms are given, the differentiation between dialectal and literary variants is stressed.

3. The third alteration concerns the reducible verbs with no thematic marker or the marker **av**. They are classified according to the general principle.

4. Parallel forms are given in one entry

5. New forms like **moičmučneba, čaičmučneba, amoičcers** etc are given as well.

TSITSINO KVANTALIANI, LEVAN CHKHAIDZE

On the Perfection of the Electronic Dictionary of Georgian Verb Stems

(Main Alterations that made Electronic Dictionary Different from the Dictionary of Georgian Verbs Stems)

Summary

The electronic dictionary of Georgian verb stems is a computer variant of the dictionary of Georgian verb stems compiled by G. Gogolashvili, Ts. Kvantaliani and D. Shengelia).

Computer specificity caused a number of alterations that aimed at making the data more precise and concrete.

თინათინ კურტანიძე

ქართული ენის ბაკვეთილი პირველ
კლასში არაქართულ სკოლაში

როგორც ვიცით, საქართველოში ქართული სკოლების პარალელურად მოქმედებენ არაქართულენოვანი სკოლებიც: სომხური, აზერბაიჯანული და რუსული. ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველებისათვის, შეიძლება ითქვას, მეორე მშობლიური ენაა. დღეს მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა დგას არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით. მასწავლებელი ვალდებულია დაეხმაროს სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის არაქართველს მოქალაქეებს სახელმწიფო ენის დაუფლებაში, რათა აქტიურად ჩაებან დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობასა და მართვა-გამგეობის საქმეში.

არაქართულ სკოლებში ქართული ენა ისწავლება პირველი კლასიდანვე და ერთდროულად რამდენიმე ამოცანა წყდება. ეს მასწავლებლისაგან მოითხოვს როგორც ქართული ენის საფუძვლიან ცოდნას, ასევე მოსწავლის მშობლიური ენის ფლობას. ამასთანავე ექსწლიანი ბავშვის ფსიქიკის ცოდნასაც...

პირველი კლასი ეთმობა წინასაამბანო პერიოდს. ამ პერიოდში ქართული ენის სწავლების ძირითადი მიზანია აუდირება და ლაპარაკი (ქართულად საუბრის უნარ-ჩვევის გამომუშავება). მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მუშაობა მიმდინარეობს ზეპირად. ეს შემდგენიარად წარმართება: მასწავლებლის მიერ წარმოთქმული სიტყვებისა და წინადადებათა მოსმენა. მოსმენის ირგვლივ საუბარი, დიალოგის წარმართვა, ამ დიალოგის შინაარსის დასწავლა და როლებში გათამაშება, საქმიანი თამაშობანი, ლექსებისა და სიმღერების დასწვლა, წარმოთქმისა და ინტონაციაზე ვარჯიში, იმიტაციაზე მამაობა, სპეციფიკურ (ძნელადწარმოსათქმელ) ბგერების წარმოთქმაზე ვარჯი-

ში. მთელი ამ კურსის მანძილზე ქართულ სიტყვათა მარაგი გროვდება, აქვე უნდა შეიძინოს მოსწავლემ მარტივი სამეტყველო ჩვენები.

სიტყვათა გარკვეული მარაგის დაგროვების გარეშე შეუძლებელია მეტყველებისა და აზროვნების განვითარება. როგორც ი. გოგებაშვილი თვლიდა — „სასაუბროებს საგნად უნდა ჰქონდეთ: ბავშვის ნათესაობა, მათი კარ-მიდამო, სკოლის რიგი, მისი კუთვნილებანი, ათი რიცხვის თვლა... ეს ვარჯიშობა ადვილი არ არის და კაი სიმარჯვე მართებს მასწავლებელს, რომ იგი გვარიანად წაიყვანოს“.

წინასაამბანო ლექსიკურ გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ 80-მდე სიტყვა. იმდენად მტკიცედ, რომ მათ არა მარტო ესმოდეთ ამ სიტყვების შინაარსი, არამედ თვითონაც სწორად და მკაფიოდ გამოთქვამდნენ როგორც ცალკე, ისე მართებულად, მოკლე ფრაზაში. აუცილებელია, რომ ამ სიტყვათა ფარგლებში მოსწავლემ თავისუფლად გაიგოს მასწავლებლის შეკითხვა და შეძლებისდაგვარად უპასუხოს. ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა გაკვეთილზე მუშაობას სახალისო ფორმა მისცეს, რათა მოსწავლეები დააინტერესოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ენის მთლიანი, საფუძვლიანი შესწავლისათვის.

გაკვეთილის გეგმა

- გაკვეთილის თემა: ოჯახი
გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილის (დასკვნით ნაწილში) ბოლოს მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:
ა) საუბარი — წარდგენა, კუთვნილება;
ბ) სურათზე გამოსახული პირების დასახელება;
გ) ლექსის წარმოთქმა გუნდურად და ინდივიდუალურად;
დ) შესწავლილი ლექსიკური ერთეულებისა და წინადადებების მეტყველებაში გამოყენება.
სამეტყველო ფუნქციები: ეს ჩემი..., მას ჰქვია...
საჭირო მასალა: სხვადასხვა საოჯახო სურათი, სადაც იქნება სამი თაობის წარმომადგენელი

ნაბიჯი	დრო	დიდაქტიკური მასალა	მეთოდი ხერხი
1	10 წთ.	წინა მასალის გამეორება ა) დიალოგი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის და თვით მოსწავლეთა შორის. ბ) ლექსის ზეპირად წარმოთქმა	ინტერაქტიული მეთოდი
2	20 წთ.	ახალი მასალის ახსნა ა) ოჯახი ბ) თამაში — დიალოგი	საუბრის მეთოდი კითხვების დასმის ხერხი. დიალოგის გამართვა და როლებში გათამაშება
3	10 წთ.	ლექსის ზეპირად დასწავლა უცნობი სიტყვების ახსნა	ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა
4	5 წთ.	ვარჯიში სწორ წარმოთქმაში	

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ მოსწავლეებს გაგამეორებინებ წინა გაკვეთილზე შესწავლილ ლექსიკურ ერთეულებს და ტიპობრივ წინადადებებს:

- სად არის დაფა? მაჩვენე დაფა!
- გამოდი დაფასთან!
- სად დგას მაგიდა? მაჩვენე იგი!
- ჩანთა რაზე დევს?
- სად დევს წიგნი? და ა. შ.

ამავე დროს ვაკვირდები მოსწავლეთა მეტყველებას და მათ ინტონაციას. გზადაგზა შევუსწორებ შეცდომებს. ბოლოს გამომეტყველებით წაიკითხავენ წინა გაკვეთილზე ნასწავლ ლექსს:

„სკამს ადგილი შეუცვალა,
გადაუსვა დაფას ჩვარი,
ზრუნვით მერხებს გადახედა,
გაასწორა ყველა სწრაფად“.

წინა გაკვეთილზე შესწავლილი მასალის ამომწურავად გამეორების შემდეგ გადავალთ ახალ მასალაზე.

პროვოცირებისათვის დაფაზე გავაკრავ სურათს, სადაც წარმოდგენილია: ბებია, ბაბუა, დედა, მამა და და-ძმა. ვუხსნი, რომ ეს არის ოჯახი. ეს არის დედა, მამა, ბებია და ა. შ. რამდენჯერმე გავიმეორებ. შემდეგ დავნომრავ სურათებს. მოსწავლეებს ინდივიდუალურად შევეკითხები რა ნომერია ბებია, რა ნომერია ძმა და ა. შ. შემდეგ ჩამოვხსნი ოჯახის წევრების სურათებს და დავტოვებ მარტო ნომრებს. დავეტყვი: მეორე ნომერი ვინ იყო. პირველი ნომერი ვინ იყო და ა. შ.

შემდეგ ვაჩვენებ სურათს, სადაც ჩემი საკუთარი ოჯახია და აქცენტს გავაკეთებ სიტყვაზე „ჩემი“-ა. ხელს მივიდებ მკერდზე და ვიტყვი: ეს ჩემი ოჯახია და ეს ჩემი ძმაა. მას ჰქვია ირაკლი. ეს ჩემი ბებიაა, მას ჰქვია ნინა და ა. შ.

დიალოგური საუბარი (პროდუცირება)

კლასს დავყოფ რამდენიმე ჯგუფად. ჯგუფის წევრები იქნებიან „და-ძმები“. მიპასუხებენ შეკითხვებზე.

- და გყავს?
- დიახ. და მყავს.
- რა ჰქვია შენს დას?
- ჩემს დას ჰქვია ანა.
- ძმა გყავს?
- არა ძმა არა მყავს.
- დედაშენს რა ჰქვია?
- დედაჩემს ჰქვია ნინო.
- რა ჰქვია მამაშენს?
- მამაჩემს ჰქვია მიხეილი.

გრამატიკული მასალა:

ყურადღებას გავამახვილებ „მე“ — „ჩემი“ ნაცვალსახელების გამოყენებაზე. მე — არის თვითონ პიროვნება, ჩემი — კი კუთვნილება. ამას ვუხსნი მშობლიურ ენაზე.

ვამბობთ: ჩემი ძმა დედაჩემი
ჩემი და მამაჩემი

რამდენჯერმე გავუმეორებ ამ სიტყვებს სურათის ჩვენებით, შემდეგ გაიმართება დიალოგი წყვილებს შორის.

შემდეგ იწყება ლექსის დასწავლა:

„მზე დედაა ჩემი,

მთვარე — მამაჩემი,
 ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
 ძმა და დაა ჩემი,..

მოსწავლეებს დაფაზე გავუკრავ სურათს, სადაც ხატია მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მათ ქვეშ კი დედა, მამა და და-ძმა. მოსწავლეებს ვუხსნი, რომ ეს არის მზე, ეს არის მთვარე, ესენი კი ვარსკვლავები. ვამბობთ მზე დედაა ჩემი, მთვარე კი — მამაჩემი. ამ სტროფის ხაზებს ნახატებზე დაკვირვებით მოსწავლეებს რამდენჯერმე გავამეორებინებ. შემდეგ ორ-ორ სტრიქონს ვათქმევინებ და მერე მთლიან სტროფს დავაზებობინებ. შემდეგ ვათქმევინებ გუნდურად და ინდივიდუალურად.

ამის შემდეგ ვაგრძელებ სწორ წარმოთქმაზე ვარჯიშს. მოსწავლეებს რამდენჯერმე გავამეორებინებ სიტყვებს: ეს დედაჩემია, ეს მამაჩემია, ეს ჩემი ძმაა, ეს ჩემი ბებიაა. მას ჰქვია ძმა გყავს? რა ჰქვია მას?

ამგვარად, არაქართული სკოლის პირველ კლასში ქართული ენის გაკვეთილებზე ძირითადად მიმდინარეობს ზეპირი საუბარი (დიალოგი) ადვილად გასაგები სიტყვებისა და წინადადებების მიწოდება-განმეორებაზე ვარჯიშით.

TINATIN KURTANIDZE

Georgian Lessons in the Fist Form of a Non-Georgian School

Summary

In Georgia, in non-Georgian schools the Georgian language is taught from the first form. The teacher of Georgian faces a number of problems: s/he should know not only the Georgian language but the pupils' native tongue as well.

Besides the teacher should know the psychology of schoolchildren.

In the first form the lessons of Georgian are mostly oral and have a dialogue form. Exercises should be based on the repetition of common core words and simple sentences.

მარიამ კობახიძე

ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონემს ხმოვის ქართულში

ზმნიზედის პირველადი და ძირითადი ფუნქციაა, აღნიშნოს, „სად, როდის, როგორ, რაზომით, რამდენჯერ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება“ (ფეიქრიშვილი, 1992, 252). სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ზმნიზედის სხვა ფუნქციებიც (შანიძე, 1980, 596; ჩიქობავა, 1937, 92; ნიკოლეიშვილი, 1929, 57; უთუტგაიძე, 1986, 13; გაბუნია, 1993, 25...).

ფრონეს ხმოვის მეტყველებაში, ისე როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, ზმნიზედები აღნიშნული ფუნქციით დასტურდებიან, თუმცა თავისებურებებსაც ავლენენ კონტექსტისა თუ სიტუაციის მიხედვით.

ადგილმდებარეობის, მოქმედების მიმართულების აღმნიშვნელად იხმარება **აქა, იქა** ზმნიზედები. მაგ.: „**აქა** ასეთი ამბებია, რო აეტირება ყველას“ „**იქა** ჩანს ყველაფერი“.

„**იქა**“-ში **ა** **აქა**-ს ანალოგიით არის გაჩენილი: ძველი ფორმა იყო „**იქი**“ (შანიძე, 1980, 598).

აქა, იქა ზმნიზედების პარალელურად იხმარება **აქეთ, იქეთ, ექეთ** (მრ. რიცხვში — აქეთები, იქეთები, ექეთები). მაგ.: „**აქეთ-იქეთ** მიედ-მოედება ე შენი მეზობელი“; „**ექეთ** წამოიღეთ, **ექეთ**“; „სუ **იქეთ** გადაიტანა მთელი ქონება“; „**აქეთებისა** არ აქ არაფერი, უფრო **იქეთებს** წააგავს“.

„**აქეთ**“, ასევე **იქით** ზმნისართები — „შემდეგ“, „მერე“ მნიშვნელობით იხმარება. ისინი უპირისპირდებიან უწინარესობის ამსახველ „წინათ“ („წინ“), „ადრე“ ზმნისართებს. დროის წრფევი, ერთგანზომილებიანი ხასიათიდან გამომდინარე, **აქ** და **იქ** ზმნისართთაგან ნაწარმოები ფორმები მუდამ „შემდგომობა — მერმისობას“ ასახვენ ცალსახად (ერთი მიმართულებით — წარსულიდან მომავლისკენ) (გაბუნია, 1993, 32).

აღნიშნული ზმნიზედები მოქმედების მიმართულების საჭიროების გასაძლიერებლად, გამოსაკვეთად **-გან, -კენ, -თან** თანდებულისანი ფორმითაც გამოიყენებიან. მაგ.: „**აქეთკენ** წამოდი, **აქეთკენ**“; **იქეთ-თან** არც ვაპირებ წასვლას“; „**აქეთებთან** არც იხედება, ორი ხელი **იქითკენ** აქ“.

ვ. სომხიშვილის აზრით, „ლიახვისა და ქსნის ხეობაში **„იქეთ“** ზმნიზედის ხმარება **აქეთ**-ის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი“ (სომხიშვილი, 2002, 35). მსგავსი ფორმები სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით დასტურდება ზემოიშვრულში (ძოწენიძე, 1973, 169).

ადგილის ფუნქციის აღნიშნავს **იქიდანა** ზმნიზედა. „ეგ ამბავი **იქიდანა** წამოვიდა“; „ეს **იქიდანა** ჩანს, რო ჩამოვიდა“. ბორჯომის ხეობაში დადასტურებულია **იქიდანი**. იგი მიჩნეულია ზემოიშვრულის გავლენად. „ქართლის მოსაზღვრე იმერეთის მეტყველებაში აღმოსავლური კილოების გავლენით ხშირად ერთვის **-ა** (იქიდანა), მაგრამ დასტურდება **ი-**ს დართვის შემთხვევები (დაგარტყამ ხმალს აქედანო)“ (იმნაიშვილი, 1974, 96).

აქ ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება **აქნამდი**. მაგ.: „**აქნამდი** (= აქ) მოდი, მერე არა გიშავს“; „**აქნამდი** (= აქ) ჩადგი ერთი ოთახი“.

ფრონეს ხეობის ქართლურში **აქნამდი** ზმნიზედა დროის ფუნქციითაც იხმარება. მაგ.: „**აქნამდი** (= აქამდე) არ ჩანს“; „**აქნამდი** (= აქამდე) იწვა და ეძინა“.

აქნამდის ზმნიზედა დამახასიათებელია დასავლური დიალექტებისათვის (ჩიქობავა, 1938, 214-217).

იქ ადგილის ზმნიზედის ფუნქციით იხმარება **მანდ, მანდეთ** ზმნიზედები: „**მანდ** (= იქ) არის ნახე“; „**მანდეთ** (= იქ) გავიდა“.

გარეთ, შიგნით ზმნიზედები **კენ** თანდებულისანი ფორმით დასტურდება. მაგ.: „სუ **გარეთკენ** უწევს გული“; „**შიგნითკენ** შემოიტანე, **შიგნითკენ**“.

ადგილის ზმნიზედები **ზევიდან, ქვევიდან**, იხმარებიან **ზევიანა, ქვევიანა** ფორმით. მაგ.: „წვიმებს დაასწრობს, **ზევიანა** (= ზევიდან) გადახურავს სახლს“; „ერთი **ქვევიანა** შემბღვირა და წავიდა თავი გზაზე“; „**ზევიანა** დევი ქალი გადმოდგა“; „**ქვევიანა** რო ცეცხლი შეუთნეს დევს, მისი ყვირილი ცად ასწვდა“.

მსგავსი ფორმები დადასტურებულია ზემოიშვრულში (ქოწენიძე, 1973, 67). რაც **ამას** აღნიშნავდა: **იმ დრომდის**. „**სანამდე**“-ს გავლენით „**მუნამდე**“-ს პირველი ხმოვანი **ა-**დ იცვალა და მივიღეთ **მანა-**

მდე (ან: მანამდის), რომელსაც მხოლოდ დროული გაგება აქვს (მუნამდე → მანამდე → მანამ) [არის პარალელური ფორმაც: მინამ]. **სანამდე** (ან: სანამდის). **მანამდე**-ს გავლენით **სანამდე**-მ თანხმოვანი გადაიკეთა და აგრეთვე დროული გაგება შეიძინა (სადამდე → სანამდე → სანამ) [არის პარალელური ფორმაც: სინამ] (შანიძე, 1980, 596).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში „**შეშდეგ**“ დროის ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება **ამას იქეთ**. მაგ.: „**ამას იქეთ** აღარ გაჭირდება“; „**ამას იქეთ** გაჩნდა მეორე“.

ამას იქეთ ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობითაც იხმარება. მაგ.: „**ამას იქეთ** არი კალოები“; „**ამას იქეთ** გადაიწია საზღვარმა“.

მსგავსი ფორმები დასტურდება კახურში (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 84).

მოქმედების დროზე მიუთითებს **წინეთ, წინაზე** ზმნიზედები. მაგ.: „**ამ წინაზე** (ამის წინ) ძლივს გადაჩა“; „ეს წინეთ (= უწინ) იყო ასე“.

„**ძლივს**“ ვითარების ზმნიზედა იხმარება **ძლივს** ფორმით. მაგ.: „**ძლივს** აითრია ტანი და წაიღო“; „**ძლივს** არ ეღირსა დაბრუნება“. მსგავსი ფორმა დასტურდება ზემოიშვრულში (ძოწენიძე, 1973, 223).

ძალიან ვითარების ზმნიზედა გვხვდება **ძაან || ძანა** ფორმით. „**ძაან** კარქი ამბავი უნდა გითხრა“; „**ძაან** ახლოს დგას“.

როგორც ცნობილია, ზმნიზედა შეიძლება შეგვხვდეს **ზედსართავისა** და თანდებულის ფუნქციით (შანიძე, 1980, 596-608).

ფრონეს ხეობის ქართლურში ზედსართავის მნიშვნელობით ძირითადად იხმარება **ზევიანა, ქვევიანა, წინა, უკანა, იქეთა, აქეთა** ზმნიზედები. მაგ.: „**ზევიანა კუთხემ** ჩამოიწია და ჩამოწვება კიდეც“; „**ქვევიანა პირი** გადაკეცე და გაასწორე“; „მისი **იქეთა გზა**“; „**აქეთა ნათესავი** სუ დაივიწყა“; „**წინა მეზობელი** ამომავალი ზე არი“; „**უკანა პური** არ იშუშება“.

ფრონეს ხეობის მეტყველებაში, ისე როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს. მაგ.: „**სოფლის იქეთ** გამოჩნდა კალოები“; „**ფრონი ქვევიანა** წამოედო ნარიყი“.

ამრიგად, ფრონეს ხეობის მეტყველებაში ზოგი ზმნიზედა ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით თავისებურია მსგავსად სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტებისა. ზოგჯერ დასტურდება განსხვავებული ფუნქციებიც.

ლიტერატურა

გაბუნია, 1993 — კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

ნიკოლეიშვილი, 1929 — ი. ნიკოლეიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1929.

სომხიშვილი, 2002 — ვ. სომხიშვილი, ლიხავისა და ქსნის ხეობათა ქართლური, ავტორეფერატი, თბ., 2002.

უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ფეიქრიშვილი, 1992 — ყ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთ., 1992.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზ. ტ. III, თბ., 1980.

ჩიქობავა, 1937 — არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიმკის მოამბე, № 1, თბ., 1937.

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938.

ძოწენიძე, 1973 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

MARIAM KOBERIDZE

On the Function and Form of some Adverbs in the Kartlian Dialect Spoken in the Prone Valley

Summary

The study of the Prone valley variant of the Kartlian dialect has revealed peculiar forms and functions of adverbs.

The paper focuses on the adverbs of location aket, iket, and their forms with the postpositions -gan, -kcn, -tan.

The adverbs sinam, minam can denote both location and time.

გაბა ლაბარტაშაძე

„ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ქართულში (სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით)

ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში „ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ნაირგვარადაა წარმოდგენილი.

მოპოვებული მასალის მიხედვით გამოიყო „ბართან“ დაკავშირებული შემდეგი ლექსიკური ჯგუფები: უშუალოდ „მიწის“ (ნიადაგის, დედა-მიწის) აღმნიშვნელი სახელები; „მიწის“ შემადგენელი ნაწილების გამო-მხატველი სიტყვები: „მიწასთან“ დაკავშირებული მსაზღვრელები და სხვა.

ბარის, მიწის, ტყის აღმნიშვნელი სახელები:

მიწა (მეგრ. **დინა** || **დენა**, სვან. **გიმ**) — დედამიწის მყარი ზედაპირი, მიწა-ქვეყნის ნაწილი (საბა, 1991, 487);

მაგალითები: **მიწას** გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი (ასათიანი, 1997, 34); ჩვენ ვთხრით და ვცხრილავთ და ისე ფრთხილად, რომ **მიწამ** შრომა არ გაგვიოხროს (ასათიანი, 1997, 85); და როცა **მიწას** მივებარები, ნაჯაფარი და ტანდაკორძილი (ნიშნინაძე, 1984, 5); **მეგრ.** ვეთხორუ **დინა** — „ამოთხარა მიწა“; ნათხორად **დინას** ქინახუნეს — „გათხრილ მიწაში კი ჩააჯინეს“; **დინაში** ენარჩქინა ვორეთ, **დინათ** ბარსებენტ — „მიწის გაჩენებულები ვართ, მიწით ვარსებობთ“; თეჟი ქამხვადუა ართ **დინასია** — „ეს შემომხვდა ერთ **ადგილასო**“; საინეტესროა, რომ აქ **დინა** „ადგილის“ მნიშვნელობით დასტურდება; **დინა** შილღებე ორდასინი — „მიწა შეიძლება იყოს“ (ჭავჭავაძე, 2002, 477); **დინაში** ლებია — „მიწის ლობიო“; **დინაჭუბერი** — „თინა მიწა“ (ჭარაია, 1997, 59); **სვან.** ეჯყინ ჩჷ დ გჷჷნე, ერე **გიმს** ი მეგ მ... ქიმ ორწუხე — „ისე დატირა, რომ **მიწასა** და ხეს ცრემლი დაადინა“ (თოფურია, ქალდანი, 2000, 172); ხოჩა დარხენქა **გიმ** ჟილუპუსელი — „გვალვისაგან **მიწა** (ამტვერდა“; ლუპუსე **გიმ** — „ამტვერებული **მიწა**“; **გიმჟი** ჭიშხდემე ხოგა — „**მიწაზე** ფენი არ უდგია“ (ჩვენი მასალ.).

ვაკე (მეგრ. **რზეონა**, სვან. **ნაკს**) სწორი, გამლილი, უმთავორაკო ადგილი (ქეგლ, 1950, 11); სულხან-საბა „სიტყვის კონაში“ „ვაკეს“ ასე განმარტავს: ბაქანი — კლდეში შეჭრილი მცირე ვაკე (საბა, 1991, 37); „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებით ლექსიკონში“ აღნიშნულია: „ჭან. ზენ-ი; მეგრ. რ-ზენ; ქართული — ; ბრინჯი დუზლულეფეს ნაჩქუმან (ჩქუ ზენი-თი ბუწუმელთ ზენის ხაჩქუმან ბრინჯი) || ბრინჯს ვაკე-ადგილებში თესავენ (ჩვენ „ზენ“-საც ვიტყვით: „ზენ“-ზე თესვენ ბრინჯს)... **ზენი** ერთი იმ სახელთაგანია, რომელსაც გამოდევნის საფრთხე მოელის ნასესხები სიტყვისაგან. ნ. მარს ათინურსა და ვიწურზე მითითებით მოჰყავს **ზენი**, მაგრამ ეს სახელი არქაბულშიაც არაა გადაშენებული. სოფლის სახელი **გირთა -ზენი** მოწმობს, რომ ეს სიტყვა ჭანურში ისევე იყო მკვიდრი, როგორც მეგრულში. ამ უკანასკნელში განვითარებულია თავკიდური **რ**. ქართულში ეს ფუძე არ ჩანს (ჩიქობავა, 1938, 186).

მაგალითები: გავიარეთ ხევი, უკან დავტოვეთ გორაკები და **ვაკეზე** გავედით (კლდიაშვილი, 1955, 266); ჩვენ წინ **ვაკე** გადაშლილიყო, რომლის ბოლოში აჭარის მთების გრეხილი იწყებოდა (ფორჩხიძე, 1986, 23); **მეგრ. რზეონაშა** გოფვა ჩივ კარავი — „**ვაკეზე** გავშალეთ კარავი“; ჩქიმ სოფელს **რზეონა** არდგილეფე — „ჩემს სოფელში **ვაკე** ადგილებია“; **სვან. უერბ** ამიშ ლაზობ ხოჩა ნაკ დგის ხ თხელნა (ბქ.) — „ორბი ამის შესაქმელად თურმე კარგ **ვაკე** ადგილს ეძებდა (თოფურია, ქალდანი, 2000, 611); და ჩახუ **ნაკ** ისგა ლი — „საძოვრები ვაკეშია“ (ჩვენი მასალა).

ველი (მეგრ. **ვეე**; სვან. **ვ ლყ**) — დიდი ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, — დიდი მინდორი (ქეგლ, 1950, 43); ი. აბულაძის „ძვ. ქართული ენის ლექსიკონში“ „ველი“ ასე განმარტებული: „ველი“ მინდორი, ჭალა“: მოსრა ნავა და **ველობი**“; „მოსრა... ნავები და **ველი**“ (აბულაძე, 1973, 156).

მაგალითები: სველდება **ველი** გადაცელილი, ვხედავ სიმინდის დაულვაშებას (მაჭავარიანი, 1985, 212); ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც მთანი დგანან შიშველნი, სად **ველ-მინდორი** არის მწირი და გვალვიანი (მაჭავარიანი, 1985, 412); რუსეთში მე იმდენ ხანს ვიყავი, ამ თვალშეუღვამი **ველებით** გაშლილ ქვეყანაში ამდენი მეცხოვრა (შენგელია, 1988, 83); კრწანისის **ველზე** ბიბინებს მდელიო და მაშინდელი დროშა ლაშარის (გომიაშვილი, 1960, 9); შეტაკებები მკაცრი და მწარე ეფინებიან **ველებს** მზიანებს (ტაბიძე, 1965, 13); წავედით ერთად **ველებში** გიცდი! ვერ მოვიგონე ქვეყნად არტისტი

ქარის სადარი (ტაბიძე, 1965, 23); დადუნა **ველებზე** გავიდა და ყაყაჩოებს დაუწყო კრეფა (დუმბაძე, 1989, 83); ნახირი დამარცხდა და ბრძოლის **ველიდან** გაიქცა (სანიკიძე, 1976, 269); დავესწრათ როს გაზაფხულსა, **ველსა** ვსხდეთ მწვანით შემკულსა (ჭავჭავაძე, 1975, 32); ქუხვით გადმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა, ჰრწყვენ და განაბოხებენ შორიელთა **ველებთა...** (ჭავჭავაძე, 1976, 104); სად **ველნი**, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან (ორბელიანი, 1975, 241); ზამთრის ყინვამ ცივ მუჭში მოიქცია ბრძოლის **ველი** (ყოჩაშვილიანი, 1974, 3); მეცოდებოდა მარტო ხე **ველზე** უთენილი, სიმაღლეს წვერმიბჯენილი (ჯინჯოლია, 1989, 4); მასხოვს იქ, **ველზე** ხედნიდნენ ულაყს (ჯინჯოლია, 1989, 43); ბრძოლის **ველზე** ყველა და ყველაფერი ისე აირია, შორიდან მცქერალი მტერსა და მოყვარეს ველარ გამოარჩევდი (ჯინჯოლია, 1989, 84); ნეტავ ბულბულად გაქცია, შენთან ვიფრინო **ველადა** (ვაჟა-ფშაველა, 1990, 92); **მეგრ. ვეიშა** მეშიუნს ჩხუ — „**ველზე** მიმყავს ძროხა“ (ჩვენი მასალ.); **სვან. ვალყისგა** მეგ მარ ლგენ — „გაშლილ მინდორში (ველზე) დგას ძროხა“ (ჩვენი მასალ.);

ნიადაგი — დედამიწის ქერქის ზედა შრე, რომელშიც მცენარე ფესვებს იდგამს და რომელიც მის საკვებ მასალას შეიცავს (ქეგლ, 1950, 1482);

კვაჭალია (კუთხ. იმერ.) — პატარა მინდორი ტყეში (ქეგლ. 1950, 1167); **ტრამალი** — ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი, — ველი, მინდორი (ქეგლ, 1950, 1332); ტრამალი ესე არს გრძელი და ვრცელი ნაყოფიერი მინდორი ვაკე, ხოლო მინდორი არს ფართო ადგილი, რომელსა თურქნი მეიდანს უწმობენ; ხოლო ველი არს უტყეო ვაკე იყოს, თუ გვერდობა დიდი და ვრცელი (საბა, 1993, 143);

მინდორი — (მეგრ. **ნაკა** || **მინდურერ**, სვან. **ლარე**) სწორი და ბალახიანი ადგილი (ქეგლ, 1950, 414); სულხან-საბას „მინდორი“ ასე აქვს განმარტებული: ასპარეზი სომხურად სტადიონს ჰქვინან, ხოლო ქართულად მინდორსა, რომელ არს მეიდანს (საბა, 1991, 70);

მაგალითები: **მინდვრის** ბოლოს ტყის პირს აყოლებული საცალფეხო გზა ეგულებოდა (ქიაჩელი, 1965, 109); ჰხედავს, რომ დაბლა **მინდორზე** მზე მოდის მოექანება (ვაჟა-ფშაველა, 1990, 473); გავხედე **მინდვრად** მოცურავს შავი ვეშაპი ქშენითა (ვაჟა-ფშაველა, 1990, 176); სადგურის გვერდით **მინდორზე**, მაღალი მუხების ჩრდილში ხალხი შეგროვილიყო (კლდიაშვილი, 1955, 10); პატარა კაცი მისდგომია თვალუწვედნელ მინდორს (ლევანიძე, 1987, 43); ტრიალ **მინდორზე** ხე

დავინახე (კლდიაშვილი, 1955, 40)... სველია თუმცა ქვრივთა ცრემლით ქართლის **მინდვრები** (მაჭავარიანი, 1985, 162); ზამთრისა უფრო გაახმობ **მინდორთ** შეგნების ხლებასა (ვახტანგ VI, 1975, 45); **მეგრ. ნაკა** ეფშარე ჭაკეფითე — „**მინდორი** სავსეა ცხენებით“; **ნაკას** იებს ეშულეზე — „**მინდორში** იები ამოსულა“. **სვან. ლარეჟა** თვარ შ ყვავილ ოხ გან — „**მინდორში** ლამაზი ყვავილი ამოვიდა“.

ყანა (მეგრ. **ცვანა**, სვან. **დაბ**) თავთავიანი კულტურის (ხორბლის, ქერის, და მისთ.) ნათესი (ქეგლ, 1950, 505); *ყან — ქართ. ყან- ყან-ა; ყან-ობ-ირ-ი... მეგრ. ცონ / ცვან- ცონ-ა / ცვანა „ყანა“, ნა-ცონ-ა / ნო-ყუნ-ი „ნაყანევი“, ო-ყუნ-ე „საყანე“... ლაზ. ცონ- / ცონ- ონ / -ყონ-ა / ცონ-ა / ონ-ა „ყანა“ დასტურდება ძველ ქართულში: შეკრიბა თავი ჯუვილისა ყანასა შინა შემდგომად მომკალთასა. მიემთხვა იგი მიმთხუვით ნაწილსა მას ყანასა ბოო სისხა, მისნი არიან... მაღალნი მთანი ყანიანი; გლახაკთავანი ერისათა დაუტევა ნაბუზარდან მზარაულთ მთავარმან ვენაჯის მოქმედად და ყანის მოქმედად; მას ჟამსა შინა წარმოვიდოდა იესუ დღეს შაბათსა ყანობირსა მათსა... ქართულ **ყან-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესიტყვება მეგრული ცონა (< *ყონ-ა; ცვან-ა / ცონ-ა) და ლა-ზური ყონ-ა (ცონ-ა / ონა < ყონა) შესატყვისობა ქართ., ა : მეგრ. ა : ლაზ. ა აუსლაუტში კანონზომიერია. ქართულ-ზანური ერთიანობის ხანი-სათვის გ. კლიმოვა ალადგინა *ყანა- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 530).

მაგალითები: ღმერთმა გიკურთხოს **ყანები**, სათიბ, საძოვი მთაველი (ვაჟა-ფშაველა, 1990, 449); ჩინებულად შეუნახავს მოკურდღლავე **ყანა** გლედის, ქარქვეტებში გარბის ქარი ულვაშების წანაგლეჯით... (მაჭავარიანი, 1985, 218); მოულოდნელად ქვემხვივით გაგარდა მები და ლაშქარივით გაენართხა მიწაზე **ყანა** (მაჭავარიანი, 1990, 243). **მეგრ. ცვანას** ჩხოულეფ დინორე — „**ყანაში** ძროხები დგანან“; წი **ცვანა** ვემაჭოფეს — „წელს **ყანა** ვერ ავიღეთ“. **სვან. დაბისგა** მუშდება ალამის ჭუმინს — „**ყანაში** მუშები თესავენ ხორბალს“ (ჩვენი მასალ.).

ღრე — დიდად და გრძლად ჩაღრმავებული ადგილი, „დაფლატური და სოროვანი“ (საბა) (ქეგლ, 1950, 471).

მაგალითები: გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და **ღრენი!** ვინ ხარ, ბიჭო, რა დროს საქმეა ამ ტყეში, ამ **ღრეში**, მერე ამ დროს? [ჩემს ჯორს] შეიძლებოდა... ერთი კისრული ექნა ჩემთვის და **ღრეში** ჩავეჩხე; [მიტრუამ] ხევი, **ღრე** და კლდე ისე გაიარა, რომ დაღლილობა არ უგრძენია (ქეგლ, 1950, 471).

ოდრო-ჩოდრო — ამოდრმავებული ადგილი, — ორმო (ქეგლ, 1950, 88). მაგ. არც თარილი, არც **ოდრო**, არც ღელე... მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა (ქეგლ, 1950, 88);

ქანობი — დაღმართი, დაქანებული ადგილი (ქეგლ, 1950, 253);

შურო — ტყეში სერებს შუა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც სიგრძივ ჩადის, მაგრამ ხეობას არ წარმოადგენს. მაგ.: ღრმა **შუროები** გადაიქცნენ ისეთ ღარებად, თითქოს ჩამოდნენ დაუშრეტელ ნიაღვრებად კავკასიონის თეთრი თოვლი და გლეტჩერი (ქეგლ, 1950, 1464);

ფოსო — მცირედ ჩაღრმავებული ადგილი, — ღრმული (ქეგლ, 1950, 155);

მაგალითები: მწყერმა პურის ფესვებშუა თავისი ფეხებით და ნისკარტით მიწა ცოტად ამოთხარა, პატარა **ფოსო** გააკეთა. თვალის კაკლები აწყვია შუბლის ქვემოთ განსაკუთრებულს **ფოსოებში**. უცებ სამხრე ძვალმა დაიხზარუნა და **ფოსოში** ჩავარდა (ქეგლ, 1950, 155).

ზვაგი (მეგრ. **შვე** || **ზავალი**, სვან. **ჟ ჰ**) ზვიდან დიდ გროვად მოსული (ჩამომლილი, ჩამორღვეული) თოვლი ან მიწა (ქეგლ, 1950, 147). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: *ზუაჟ ქართ. ზუაგ-ზუაგი, ზვაგი სვან. ჟახ-ჟა- ჟაჰ/ჟა- / ჟა- „ზვაგი“ არ არის დადასტურებული ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. სულხან-საბას ლექსიკონის ზოგ ხელნაწერში იკითხება: „თუცა გაზაფხულ თოვლი შეყინული ჩამოიზვლა, მას უწოდენ ზვავსა“.

ქართული ზუაგ- ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური ჟაჰ/ჟა (სვანურში ჟ დაკარგულია. არაა ნათელი აუსლაუტში ჰ-ს წარმომავლობა).

მეგრულსა და ლაზურში შესატყვისი ძირები გამოვლენილი არაა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 223);

მაგალითები: ჩამოვიდა **ზვაგი** და სამი კაცი დაახრჩო თოვლმა. **ზვავის** ასხლეტა მინახავს, კლდეზე ელღვარის ტეხილი (ქეგლ, 1950, 147). **მეგრ.** შვექ ბალანა დოვილგ — „ზვავმა ბავში მოკლა“. **სვან.** ლახუხენჩუ ჟ ჰ ანღრი — „მთიდან ზვაგი ჩამოდის“ (ჩვენი მასალ.).

ორმო — (მეგრ. **ორომე** || **სამარე**, სვან. **ფათქ**) მიწაში ამოთხრილი, ამოდრმავებული ადგილი, — ხარო, ღრმული. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ წერია: **მღვმე თხრილი**, „**ორმო**“: „ვემსვავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვმესა ფს. 27, 1; „შთავარდეს მღვმესა“... (აბულაძე, 1973, 304); **ტავარი** — საწნახელი“, ორმო: „აღმოთხარა მას შინა ტავარი“ (აბულაძე, 1973, 410); **ვნარცუ**, ვნა+ცუ ხრამი, თხრილი, ორმო, „მთხრებლი“, „შთავარდეს იგი

წარსულს“ მთ. 12, 11 (აბულაძე, 1973, 570); ჯურღმულ-ი ჭა, ორმო, თხრილი, არხი, წყალსადინელი: „ჯარი ჯურღმულსა შთავარდეს (აბულაძე, 1973, 575);

მაგალითები: ტოროლა... გათხარა პაწაწა **ორმო**, ჩაგდო შიგ ხავსი, ბალახი, დადო ექვსი მოლურჯო კვერცხი და დააჯდა ზედ. **ორმოში** ფეტვი ჩაგყარე შესანახადო, **ორმოში** წყალი ჩასულა დასალობადო... ვიქტორი ყუმბარისაგან ამოთხრილ **ორმოს** წააწყდა, თავი ვერ შეიკავა და პირქვე დაეშვა (ქეგლ, 1950, 54); **მეგრ. ორომეშა** ორქო დოფულუ — „**ორმოში** ოქრო დამალა“. სვან. ფათქე ისგა ფეტუ ზი — „**ორმოში** ფეტვია“

აღმართი — (მეგრ. **ეკოხონი** სვან. **კაჭუი**) დაქანებული ადგილი — ქვევიდან მაყურებლის თვალსაზრისით (ქეგლ, 1950, 761) მაგალითად: **აღმართ-აღმართ** მივიდიოდი მე ნელა, სერზედ შევდეგ, ჭმუნვის ალი მენელა (წერეთელი, 1960, 92); მეგრ. **ეკოხონს** კოჩ მოჩქუ — „აღმართზე კაცი მოჩანს“; **ეკოხონს** იშველი — „აღმართზე ავედი“.

დაღმართი (მეგრ. **დიკოხონი**, სვან. **კაჩჩუ**) — ქვევითკენ დაქანებული ადგილი, თავდაღმართი. მაგ. ადგილი დაღმართი იყო, ქვევითკენ დაქანებული. ჯარი დაქანდა ბილიკზე, რომელიც მთის დაღმართზე... ჩადიოდა (ქეგლ, 1950, 933); მეგრ. **ეკოხონს** იკირული, **დიკოხონს** დიკირული — აღმართზე ამოირბინე, დაღმართზე ჩაომირბინე. ქუა არძო თე **დიკოხონს**, მიკერკელდღ — ქვა ყველა ამ **დაღმართზე** მიგორავდა (ქაჯაია, 2002, 465).

ქვეყანა (მეგრ. **ქიანა** || **ქეჯანა**, სვან. **ქუეყანა**) დედამიწა, დედამიწის სფერო, ჩვენი პლანეტა ცა და ქვეყანა (ქეგლ, 1950, 311); მაგალითები: მოგკლეს უბრალო ბრალითა **ქვეყანა** შეარყიესო (გურამიშვილი, 1975, 68); **ქვეყნის** წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის **ქვეყანასა** (გურამიშვილი, 1975, 111); მომრგვალო არის ამ მიწის სფერო, — იცის **ქვეყანამ** (ლევანიძე, 1978, 21), მზე იყო მკრთალი, ყურს გიპყრობდა **ქვეყანა** მთვრალი (ლევანიძე, 1987, 245). **მეგრ. ქიანა** მივლი დო თიჯუა კოჩ სოთინ ვა მიძირუ — „**ქვეყანა** მოვიარე და ისეთი კაცი არსად მინახავს“ (ჩვენი მასალ.); **ქიანას** ბოროტება რე გამეფებულო — „**ქვეყანაში** ბოროტება გამეფებულო“ (ჩვენი მასალ.); **ქვეყნიერება** იგივეა რაც ქვეყანა (ქეგლ, 1950, 313).

ბარი (სვან. **ბ რ**) . დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებრივ ცხელი ადგილი (საბა, 1991, 96); ლელე „ვევეი“, „ბარი“, ხევი: „ვერ შეუძლეს დამკვდრებად მკვდროა მათ ბარისათა“ (აბულაძე, 1979, 461);

მაგალითები: ბანს გეტყვიან ნაღვლიანად არემარე, მთა და **ბარი** (წერეთელი, 1980, 44); კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს **ბარზედა** (წერეთელი, 1980, 126); მოშრიალევენ, ტოვებენ **ბარში** ალაზანს ლელიანს (გომიაშვილი, 1961, 10); **ბარში** ზარბაზანს ისვრიან და ელავს ომის დანა (გომიაშვილი, 1961, 155); მიყვარს მთებიდან ნათქრიალები **ბარში** ნიაღვრის ღვართა გალობა (ლევანიძე, 1980, 79); **ბარში** ბულბულთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა (ასათიანი, 1997, 17); **ბარში** კი ურდო გამაძლარი იცოხნის მიძიმედ, გაბრუებული, უმი ხორცის და ნეხვის სუნით (ნიშნინიძე, 1984, 13); **სვან. ბ რს** ლიხნის ანბინ ნ — „ბარში ხვნა დაიწყო“ (ჩვენი მასალ.).

ბაქანი — მოსწორებულ-მოვაკებული ადგილი (ქეგლ, 1950, 996).

კორდი — „უნამუშევრო მიწა“ — ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა და ბალახის ფესვებით არის შეკრული (ქეგლ, 1950, 1340). მაგალითები: იგივ ტყეები, ჭალა, **კორდი**, მინდორი, კლდე-ღრე (ჯინჯოლია, 1989, 45); უძვირფასესი იყო ზაფხული, — ვარ **კორდზე** თქვენით დასახლებული (ლევანიძე, 1987, 262). ამ სამარხ **კორდზე** რა დაკარგე, რა გიპოვნია (ლევანიძე, 1987, 344).

შანდაკი — ვაკე, მოსუფთავებული ადგილი, ცარიელი, უკაცრიელი (ქეგლ, 1950, 625);

ხმელეთი (სვან. ჳმელ) მიწა (ზღვის საპირისპიროდ) ჳმელეთი ქვეყანა ზღვას გარდაის (საბა, 1991, 442). მაგალითები: მოვიბაასოთ საიდუმლო **ხმელთა** და ცათა და უმაღლესი პოეზიით ვისუნთქოთ ჳავით (ლევანიძე, 1987, 246); ისეთი ბედი გქონოდეს, **ხმელეთი** დანაღვლიანდეს (ლევანიძე, 1987, 265);

ციხქვეშეთი — დედამიწა, მთელი ქვეყანა (ქეგლ, 1950, 632);

დედამიწა — მზის სისტემის ცთომილი, რომელზედაც განვითარებულია ორგანული სიცოცხლე და ჩვენ ვცხოვრობთ (ქეგლ, 1950, 1120); ო, **დედამიწავ**, მიწავ ბებერო, ბებერო, მაგრამ მაინც მედგარო (თარბა, 1984, 36); **დედამიწაზე** მზე თუ მოვიდა, შენ ჩემთან მოხვალ, ვიცი ნამდვილად (ყოჩაღლიანი, 1974, 99); გზებო, მცირენო, და, გზებო, დიდნო, **დედამიწა** რომ გადაგისერავთ (ჯინჯოლია, 1989, 5); ამიტომაც ცა განათებული ჩანდა, ხოლო **დედამიწას** თავისივე ჩრდილი გადაფარებოდა (ქიაჩელი, 1965, 160); ჳკრა მოგვერდი და გააკრა **დედამიწას**, როგორც შოთი თონესა (ჭავჭავაძე, 1987, 21); ნუთუ **დედამიწას** ჩაფარული სამარე აძლევს ახალ შინაარსს? (გოთუა, 1981, 296); შემოდგომა, მაგრამ სამხრეთის გავარვარებული ცა თითქოს სიცხის ზოდებს

უმენს **დედამიწის** ზურგსაო (დადიანი, 1990, 303);

მინდორ-ველი — მინდორი და ველი (ქეგლ, 1950, 414);

ცა-ხმელეთი (მეგრ. ცა **დოქიანა**; სვან. ცადაქ^{ქეყანა}) — ცა-ხმელი კუთხ. (ფშ.) ჩვეულებრივ მრავლობითში: ცა-ხმელნი ცა და ქვეყანა, — ცა-მყარი (ქეგლ, 1950, 583);

ტყე (მეგრ. **ტყა**) — მეტ-ნაკლებად ვრცელი ფართობი, ხეებით დაფარული; მცენარეული საფარის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი (ქეგლ, 1950, 1366); მაგალითები: **ტყეში** მივდივარ, ჭირიმე, და ხურჯინით საგზალი მიმაქვსო (ქიაჩელი, 1965, 18); **ტყეში** კი არა, სწორ გზაზედაც მხარი აქეცოდა (ქიაჩელი, 1965, 34); დარჩათ **ტყე** და სიჩუმე, ხეზე მღერის შროშანი (ლენონიძე, 1980, 40); ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი, **ტყეები** გადიყირმიზა (ლენონიძე, 1980, 71); გზაზე **ტყის** პირად ეყარნენ მშიერ-მწყურვალი, გამხდარი (წერეთელი, 1980, 191); და ყაჩაღივით სადმე დავიმალე **ტყეში** (გრანელი, 1972, 102); საშუალო **ტყეში** იწვა: გულ-მუცელი ასტიოდა (წერეთელი, 1980, 135); ატურჩევიათ ნავსაყურად **ტყე** უღრანი და ბალახოვანი (ლენონიძე, 1980, 201); მწვანედ შებურულ **ტყის** სიხშირეში, მთის შუაგულ, თეთრად გამოკიაფობდა მთაწმინდის ტაძარი (დადიანი, 1990, 66); ჩატვერებულ და ჩამწვანებულ ძაბრის ძირში კახისის **ტყის** ელვარე კალო-დიდი, ჩავერცხლილად იყო (გოთუა, 1981, 162); რომაელებმა **ტყეების** გაჩეხვა და ცეცხლწაკიდება დაიწყეს (სანიკიძე, 1976, 56); **ტყე** აბოლებულ შუქში ირწვევა და მერე თვალწინ მწვანდება ჩქარა (სანიკიძე, 1976, 56); **ტყე** ვენახისა ხალისით შუქს მათრქვევდა ლურჯად (ნონეშვილი, 1978, 113); დროზე უშველეს... **ტყე** შეეფარა, **ტყე** დაებურა გაუვალ ბუჩქებს (ნონეშვილი, 1978, 378); გახსოვდეს ტყეები? ირიბად ხეზე დაკრული თარვები (ასათიანი, 1997, 46); პირველად შემომხვდა ჩვენს **ტყეში** კანჯარი, პირველად გამიტყდა ჩემს დღეში ხანჯალი (ასათიანი, 1997, 53); და მტერს იმნაირად დაჰყვილა **ტყეები** დაიფურცლა, მინდვრები გადახმა (ნიშნინიძე, 1984, 99); **ტყიდან** ირემი ყვირის — არ უშინდება ხირიმს (ნიშნინიძე, 1984, 175). სამშობლოს **ტყეში** მიცდიან მგლები, — ოცი წელია, მე ვარ სულ მგლებში (ლუბანიძე, 1991, 140); **ტყე** ყოველთვის იზიდავს ზურაბს, ჯადოსნურ სიმღერით ეძახის... (ჟორჟოლიანი, 1974, 45); იყურეთ ღია ფანჯარაში, უყურეთ მწვანე **ტყეს**, მაღალ ლურჯ მთებსა და იცინეთ (ჟორჟოლიანი, 1974, 63); **ტყე** და ხეობა გამაყრუებელი ხმაურით აივსო (ჯაფარიძე, 1975, 25); **ტყეს** უნდა შევეფაროთ, — გაიფიქრა რუხაძემ (ჯაფარიძე, 1975, 25); გულით

ვინატრი შენს ნახვას, **ტყეში** ფოთლებზე ვგორავ (გომიაშვილი, 1961, 43); იქით **ტყე** არის სადათვე, აქეთ სახობზე სერი (ამაშუკელი, 1980, 89); სად ბეთანიის თეთრი სანთელი ასკილის **ტყეში** ბავშვივით ტირის (ამაშუკელი, 1980, 100); იქვე, ახლად გაშენებულ **ტყის** არხში, უხმოდ ჩაწვენენ (შენგელია, 1968, 235); ფრონტის გუგუნი **ტყის** იქიდან ყრუდ და მრისხანედ მოისმოდა (ამაშუკელი, 1968, 10). ლურჯსა ჰაერში ჩავილუბები, ფოთლიან **ტყეში** დავიბუდე (ჭავჭავაძე, 1985, 27); მიწაში ჩავმძვრალიყავი და **ტყეში** ამომეყო თავი (ლუმბაძე, 1989, 32); ზოგი მთის ნაცვლად ზღვას იტყვის, ზოგი ცას, ზოგი **ტყეს**, ზოგი უდაბნოს (ლუმბაძე, 1989, 106); **ტყიდან** მთებს შორის მორახრახებდა ჩვენი ლინეიკა (კლდიაშვილი, 1955, 7); მთიდან მთაზე ჯანჯახით გადაიარა ფრინველმა და **ტყეში** მიიმალა (კლდიაშვილი, 1959, 238); არავის გაუგონია, რომ აქ ოდესმე **ტყე** ყოფილიყო (კლდიაშვილი, 1959, 284); ჟამი მიდის ყვითლდებიან **ტყეები**, ყვირის ჩემი გამურული ყვირილა (ფორჩხიძე, 1986, 21); ეს **ტყე** და გადარღვეული ღობე არავგისპირას წარმომიდგა (გოთუა, 1981, 62); მეც **ტყეს** ავუწყვე სუნთქვა და მაჯისცემა (გოთუა, 1981, 14); ეჰ, წავალ, — **ტყეს** გადავხედავ, ქედსაც გადავადგები (გოთუა, 1981, 64); **ტყენი** ძველთა ნაძვთანი გარდაქმნილან რიყებად (ჭავჭავაძე, 1975, 105); გაზაფხულისა ველითა **ტყე** შემოსილი სიმწვანით (ორბელიანი, 1975, 198); მორბის არავგი არავგიანი თან მოსძახიან მთანი **ტყიანნი** (ბარათაშვილი, 1976, 298); **მეგრ. ტყაში** ვორდი — „ტყეში ვიყავი“; **ტყა** ეფშა რე ყვითეგ ფურცელეფით — „**ტყე** საესეა ყვითელი ფოთლებით“; **ტყაშე** მურდუ ტურეფიშ რკია — „**ტყიდან** მოდიოდა ტურების კივილი“ (ჩვენი მასალ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე გამოიყო მიწის შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი რამდენიმე სახელი, **ბელტი** — მიწის მონაკვეთი, ჩვეულებრივ ბარით, ან სახნისით მოჭრილი (ქეგლ, 1950, 1030); **დარანი** — კუთხ. (ქიზ.) ფენა, შრე (მიწისა), (ქეგლ, 1950, 625); **კეკმა** — მიწის ფენა (ქეგლ, 1950, 1575);

ცალკე ჯგუფს ქმნის „მიწის“ მსაზღვრელებად დადასტურებული სახელები. ასეთებია: **ხრიოკი** — სადაც მცენარე არ ხარობს, — მოტიტვლებული, მწირი (ქეგლ, 1950, 1510); ძვ. „ადგილი ვიწრო და ცხელი“ (ქეგლ, 1950, 583), **ენწერი** — (მეგრ. **ენწერ**, სვან. **ლეგშ მერ**) საერთო სახელი ნიადაგის სხვადასხვა ტიპისა, რაც შეეხება ეწერ ნიადაგებს... ამ სახელწოდებით იგულისხმება მეტად ნაირსახიანი ნიადაგები (ქეგლ,

1950, 1511); მაგალითები: უკან დაგვრჩა ყვირილის ხეობა, ჩქარი ბერუ-ლი, მიწაწითელი **ქეწერი** (კლდიაშვილი, 1955, 640). **მეგრ.** ეშელვ ართ **ენწერ** დიხაშა — „ავიდა ერთ ეწერადგილას“. **ენწერს** ირემიე დიდი რქამი — „ეწერში ირემია დიდრქიანი“; **ენწერც** წგმოფისხუბევი როკი — „**ენწერში** დგას ბერხენი როკი“; სქანი ქომონჯი-ოკორდას... მახინჯეფიში ეკმაჟუნე, მალებერი **ენწერიში** — „შენი ქმარი უნდა იყოს... ქურდების უკან მიმყოლი, **ენწრის** შემომვლელი“; სქანი საქომონჯე კოჩქ ოკოკ იდას **ენწებეფი** — „შენმა საქმრო კაცმა უნდა იაროს ეწერებში (სამეგრელოში ამ სახელით რამდენიმე სოფელია ცნობილი) (ქაჯაია, 2002, 554); თქე **ენწერ** დიხა რე, მუთუნ ვეშურსი — „იქ **ენწერი** მიწაა, არაფერი ამოვა“ (ჩვენი მასალ.).

ხირატი — ძვ. ქვანარევი სახნავი მიწა (ქეგლ, 1950, 1457); **წევხი** — ძვ. „მჭლე და ცუდი მიწა“ (ქეგლ, 1950, 1065); **დიხაშხო** (მეგრ. შხუ-ანა) — უნაყოფო, მწირი მიწა, „მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალუ-ლი (ქეგლ, 1950, 1200); მაგ., ჩემს ადგილზე დავიბორკო, კლდესავით **დიხაშხოში** ჩავერჭო... ეგების მაშინ ვიგრძნო შვება, ვინ იცის (მაჭავარი-ანი, 1985, 448).

მწირი (სვან. ხეკ) უნაყოფო, მოუსავლიანი მწირი ნიადაგი — მწი-რი მინდორი. მაგ., ამექა **ხეკ** ავილ ლი — „აქ **მწირი** ადგილია“ (თოფ-კრია, ქალდანი, 2000, 870);

ღირღალი — ძვ. „ღელე-ღულე ადგილი“, უსწორ-მასწორო დახრა-მული ადგილი, ოღრო-ჩოღრო (ქეგლ, 1950, 445);

ლაგაზი — „ტალახი ძნელად გამოსარეცხელი“ ნოტიო თიხნარი ნი-ადაგი. ნოტიო ნიადაგის აღმნიშვნელია ლაგაზიც ... ლაგაზი მიწის თვი-სების აღმნიშვნელ და დამახასიათებელ სიტყვად გურიამი ახლაც ცო-ცხალია (ქეგლ, 1950, 1457);

თრითინა — თრითინა მიწა კუთხ. (იმერ.) „საცა არათერი მოდის, შეიძლება ჩალა მოვიდეს მართო (ქეგლ, 1950, 484); **ჩოფი** — (კუთხ. თუშ.) სიცხიანი, ცხელი (ადგილი) (ქეგლ, 1950, 532); **ნოღა** — კუთხ. (იმერ.) მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი, — სალე-კი მდელი (ქეგლ, 1950, 1514); **ბოტორო** — ძვ. შამბიანი ცხელი ადგი-ლი (ქეგლ, 1950, 111). **ხოტბო** — კუთხ. (ერწ.) იგივეა, რაც ნეშომპა-ლა. **ნეშომპალა** — ტყის მიწის || ნიადაგის — შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეებისა და ცხოველის ლბობისაგან (ქეგლ, 1950, 1479); **დინგლი** — კუთხ. (ქიზ.) **შავი მიწა** ძარღვიანი ლაფი იცის (ქეგლ, 1950, 1188); **ფსაური** — კუთხ. (ქართლ.) „წმინდა,

ამტვერებული მიწა“ (ქეგლ, 1950, 1196). **ბიცი** — ხსნარი მარილების შემცველი ნიადაგი, მლაშე ნიადაგი, საბას განმარტებით ასეთი სახელი ისეთ ნიადაგს ეწოდებოდა, „სადაც სიმლაშით ნაყოფი არ იქნების“ (ქეგლ, 1950, 1070); **ფხვიერი** — წვრილი, ერთმანეთთან დაუკავშირებე-ლი ნაწილებისაგან შემდგარი მიწა (ქეგლ, 1950, 229); **ტრიალი** — (მიღებულია ტილისაგან): ტრიალი მინდორი, ტრიალი ქვეყანა (ქეგლ, 1950, 1343); **ჩამეწერილი** — „მეწერით ჩაქცეული“ (ქეგლ, 1950, 171); **თიხნარი** (სვან. ჭერ) — ქვიშანარევი თიხა (ქეგლ, 1950, 464); მაგ. სვან. თხრილ+თესვა ჭერ ათშილ — „თხრილში მიწა ჩააყარა“ (თოფურია, ქალდანი, 2000, 742); **ტრიამელი** — ფართო, გაშლილი ადგილი — ტრი-ალი (მინდორი) (ქეგლ, 1950, 1344); **თვალგაუწვდენელი** (სვან. თემის უწვდუნა) თვალგაუწვდენელი — რასაც თვალი ვერ გადასწვდება, ძლი-ან დიდი, ფართო მინდორი და ველი (ქეგლ, 1950, 395); მაგ., თეთ-ნულდ თემიშ უწვდუნა ლახტლი — „თეთნულდი თვალგაუწვდენელი მყინვარია“ (ჩვენი მასალ.). ოღრო-ჩოღრო (მეგრ. ორლო-ჩორლო) — უს-წორ-მასწორო ზედაპირი; ზოგან ჩაღრმავებული, ზოგან ამობურცული ადგილი (ქეგლ, 1950, 88); მაგ. მეგრ. **ორლო-ჩორლო** შარე რე — „ორლო-ჩორლო გზაა“ (ქაჯაია, 2002, 446); **ორლო-ჩორლო** შარას ულა გამიჭირდუ — „ორლო-ჩორლო გზაზე სვლა გამიჭირდა“ (ჩვენი მასალ.).

ველიანი — ადგილი, რომელიც ველს წარმოადგენს, ველეიანი, — ველიანი და ტყეებიანი რაიონები (ქეგლ, 1950, 43);

დაიძებნა კომპოზიციებიც; ესენია: **თირმიწა** — იგივეა რაც თირი „თუ ნიადაგის მიწა მკრობია, მორწყავენ, გაზერგნიან, გატკევენ და ეყოფა თუ არა, მაშინ მოიტანენ თირ-მიწას, დააყრიან და მორწყვის შემდეგ გატკევენ“ (ქეგლ, 1950, 460);

ვაკე-მინდორი — სწორი, გაშლილი მინდორი (ქეგლ, 1950, 11); პ. ჭარაია „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ აღნიშნავს, **დობერა** — ვაკე მაგრამ ცოტა მომალლო ადგილი, ღუბე (საბას განმარტებით დაბალი ადგილი) (ჭარაია, 1997, 59);

ვაკ-ხეობა — გაგაკებული უმთავორაკო ხეობა (ქეგლ, 1950, 11);

შავმიწა (მეგრ. დიხა-შჩა) — შავი, ნოყიერი ნიადაგი. მაგ. მეგრ.

დიხა უჩათ ქიგენწყვედას ექიანობა — (წყველა) დაიქცეს იქაურობა! (ქაჯაია, 2002, 477);

წითელმიწა (მეგრ. ჭითადიხა) თიხისა და რკინის დიდი რაოდენობის შემცველი (ნიადაგი...) (ქეგლ, 1950, 1101);

ველისპირი ველის ნაპირი, კიდე (ქეგლ, 1950, 41);

თავქვე — დაქანებული ადგილი, — დაღმართი. მაგალითები: მგზავრები ჩავიდნენ სოლოლაკის **თავქვეზე**. თითო ცხენიც საკმარისი იყო, რადგანაც აბასთუმნამდის დაქანებული **თავქვეა...** (ქეგლ, 1950, 277);

აღმართ-დაღმართი (მეგრ. ეკოხონ-დიკოხონი) — აღმართი დაღმართი (ქეგლ, 1950, 761); მაგ., ამასობაში სოლომონი გულამღვრეული მიაჩაქჩაქებდა აღმართ-დაღმართში თავის ჯორს (ქეგლ, 1950, 761). მეგრ. გურიას **ეკოხონ-დიკოხონ** შარეფე — „გურიაში აღმართ-დაღმართი გზებია“ (ჩვენი მასალ.).

დადასტურდა იმ ტიპის მასდარები, რომლებიც მხოლოდ „მიწას“ უკავშირდებიან (თუ გადატანითი მნიშვნელობით არ არის გამოყენებული): **ჩამომზღვლევა** — სახელი ჩამომზღვლევა ზმნის მოქმედებისა, — ჩამონგრევა, ჩამომვაგება (მიწისა...) (ქეგლ, 1950, 235).

დაზვაგება — სახელი დააზვაგებს, დაზვაგდება ზმნათა მოქმედებისა, ჩამოშლა, ჩამონგრევა (მიწისა, თოვლისა, თივისა და მისთ.) (ქეგლ, 1950, 311); **ჩამომვაგება** — შავად ჩამოსვლა, ჩამონგრევა, ჩამოქცევა (მიწისა) მდინარის ეაბირის ჩამომვაგება (ქეგლ, 1950, 282); **შევაკება** — ზევით ვაკეზე გასვლა (ქეგლ, 1950, 773);

„ბართან“ („მიწასთან“) დაკავშირებული ლექსიკის ერთი მცირე ნაწილი ნასესხებია: **პლატო** (ფრანგ. plateau) გეოგრ. ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე, რომელიც ფერდობებით უერთდება დაბლობ ადგილებს (ქეგლ, 1950, 240);

გრუნტი (გერმ. grund; რუს. ენის მეშვ.) ნიადაგი, თიხნარი გრუნტი, ფხვიერი გრუნტი || მიწის, ნიადაგის მყარი ზედაფენა (ქეგლ, 1950, 1488).

სტები (რუს. степь) მშრალ პირობებთან შეგუებული ბალახით დაფარული, უტყეო ვრცელი მინდორი (ქეგლ, 1950, 1158).

ხამი (სპარს. ხ მ) დაუმუშავებელი, გამოუყენებელი, მოუქნელი (ქეგლ, 1950, 1327);

ლანდები (ფრანგ. Landes) ქვიშიანი და ჭაობიანი დაბლობები დას. საფრანგეთში, ბისკაის ყურის ნაპირებზე (ქეგლ, 1950, 1475).

პრეერია (ფრანგ. prairie მდელო) ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველები (ქეგლ, 1950, 278).

წარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კომპოზიტები, როგორცაა, ვაკე-მინდორი, ვაკე-ხეობა და სხვ.

ბუნებრივია, **ბართან** დაკავშირებული ლექსიკა მხოლოდ ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალით არ ამოიწურება.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.

თოფურია, ქალდანი, 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანი ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბ., 2000.

ორბელიანი, 1991 — ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ს.ს. ორბელიანის სახელობის პედ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2000.

ფოჩხუა, 2002 — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2002.

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: სსრ მეც. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბ., 1938.

ჭარაია, 1997 — ბ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ს.ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997.

წყაროები

ამაშუკელი, 1980 — რ. ამაშუკელი, ზედაზნის მთვარე, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1980.

ასათიანი, 1997 — ლ. ასათიანი, რჩეული, გამომცემლობა „ჩანგი“, თბ., 1997.

ბარათაშვილი, 1975 — ნ. ბარათაშვილი, ქართული ენის პოეზია, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1975.

გოთუა, 1981 — ლ. გოთუა, ლეკვი ლომისა სწორია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.

გოთუა, 1981 — ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.

გომიაშვილი, 1960 — ა. გომიაშვილი, ლექსები, ბალადები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1960.

გრანელი, 1972 — ტ. გრანელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972.

დადიანი, 1990 — შ. დადიანი, უბედური რუსი, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1990.

დუმბაძე, 1989 — ნ. დუმბაძე, ნუ გეშინია დედა, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1989.

ვასტანგ VI, 1979 — ვასტანგ VI, ლექსები პოემები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979.

თარბა, 1984 — ნ. თარბა, ლექსები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.

კლდიაშვილი, 1955 — ს. კლდიაშვილი, უცნობი ჯარისკაცის დღიურიდან, თბ., 1955.

ლებანიძე, 1991 — მ. ლებანიძე, რჩეული, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991.

ლეონიძე, 1991 — გ. ლეონიძე, ლექსები პოემები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991.

მაჭავარიანი, 1985 — მ. მაჭავარიანი, ლექსები თარგმანები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1985.

ნიშნიანიძე, 1984 — შ. ნიშნიანიძე, რჩეული, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1984.

ნონეშვილი, 1978 — ი. ნონეშვილი, რჩეული, რჩეული, თბ., 1978.

ორბელიანი, 1975 — გრ. ორბელიანი, ქართული პოეზია, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1975.

ჟორჟოლიანი, 1974 — ე. ჟორჟოლიანი, მოთხრობები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., ქუთ., 1974.

სანიკიძე, 1976 — ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976.

ტაბიძე, 1965 — გ. ტაბიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965.

ფშაველა, 1990 — ვაჟა-ფშაველა, პოემები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1990.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2002.

ქიაჩელი, 1965 — ო. ქიაჩელი, გვადი ბიგვა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1965.

შენგელაია, 1994 — დ. შენგელაია, თხზულებანი, თბილისის უნი-

ვერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1994.

წერეთელი, 1980 — აკ. წერეთელი, თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980.

ჭავჭავაძე, 1985 — ი. ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

ჭავჭავაძე, 1975 — ალ. ჭავჭავაძე, ქართული პოეზია, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1975.

ჯაფარიძე, 1975 — რ. ჯაფარიძე, მარუხის თეთრი ღამეები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1975.

ჯინჯოლია, 1989 — აბ. ჯინჯოლია, მგზავრის სიმღერა, გამომცემლობა „ლაშარი“, სოხუმი, 1989.

MAKA LABARTKAVA

Lexical Units Denoting Lowlands in Georgian
(in reference to the other Kartvelian languages)

Summary

The lexical units denoting lowlands have been classified as follows:

1. The units denoting "earth" proper;
2. Lexical units nominating parts of "earth";
3. Modifiers associated with "earth".

თორნა ლეჟავა

მყოფადის წარმოების საკითხი „სიტყვიერი მოქმედების“
ალმნიშვნელი ენიანი ვნებითების ხმაბაპვით ფორმებთან

მეტყველების სემანტიკის ზმნებს (*verba dicendi*) ქართულში „ცნობიერების წრის“ ზმნათა რიგშიც განიხილავენ (ერთელიშვილი, 1962, I, 183). ბ. ფოჩხუა მათ „თქმის ზმნებს“ ეძახის (ფოჩხუა, 1974, 134-135). ძვ. ქართულში ამ რიგის ზმნები უმეტესად, როგორც აღნიშნავენ, აქტიური გარდამავალი ზმნებია (თქვა, უთხრა, ბრძანა, უპასუხა, მიუგო, აღიარა, ახსენა, ჰკითხა და სხვ.) ეს გარდამავალი ზმნები გარკვეული სინტაქსური თავისებურებით (კერძოდ, შესიტყვებაში პირდაპირი დამატების ელიფსითა და ამ პროცესის თანმხლები მოვლენებით) ხასიათდებიან (ერთელიშვილი, 1963, 191-194, სუხიშვილი, 1999, I, 73-74).

მეტყველების სემანტიკას გადმოსცემენ ახალ ქართულში საშუალო (ლაპარაკობს, ბასობს, კამათობს, მასლაათობს...), ვნებითი, როგორც ენიანი, ასევე ენიანი, გვარის ფორმებიც. ასეთი ზმნები აქტიური შინაარსის ე. წ. „სიტყვიერი მოქმედების“ ალმნიშვნელი ზმნებია. ამ რიგის ენიანი ვნებითებია: იგინება, ივედრება, იკურთხება, ილანძღება, ილოცება, იწყევლება, იუწყება, იქაღნება და ბევრი სხვა. აქვე შემოდის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ფორმები: იბასრება (= მწარე-მწარე, ბასრ სიტყვებს ამბობს), იგესლება (= შხამიან, გესლიან, გულის სატკენ სიტყვებს ამბობს), ილორბლება (= დორბლების ყრით ლაპარაკობს) და სხვ. (ღვინაძე, 1989, 18).

„სიტყვიერ ურთიერთობას“ გამოხატავს ენიანი რელატიური ვნებითი გვარის ზმნათა საკმაო ნაწილიც. აქ სუბიექტიცა და ობიექტიც ვინ ჯგუფის სახელებია: სუბიექტი გადასცემს გარკვეულ ინფორმაციას აღრესატს (ირიბ. ობიექტს): „იგი ტკბილად ებაასებოდა ნასყიდა-ფეენდი-ფაშას“ (გეგეშიძე, 1991, 170) — ბაასი ყოველთვის

ორ პირს გულისხმობს — მოლაპარაკესა და მსმენელ-აღრესატს.

ასეთი „სიტყვიერი ურთიერთობის“ გამომხატველი რელატიური ენიანი ვნებითები საკმაო რაოდენობით დასტურდება ქართულში: ედავება, ექაღება, ედუდუნება, ეთათბირება, ეკამათება, ეკურკუ ზება, ელაკლუკება, ელაქლაქება, ემასხარავება, ებულბულება, ეგუგუნება, ელალობება, ეოხუნჯება, ესაიდუმლება, ესაყვედურება, ესიტყვება, ეტიკტიკება, ეტიტინება, ეტრაბახება, ეფურჩულება, ედიჯინება, ედუდუნება, ეჩიჩინება, ეწუწუნება, ეჭუჭუტება და ა. შ. ზოგიერთ ასეთ ზმნას წარმოვადგენთ სათანადო კონტექსტის მიხედვით:

„ვაი, ვაი!“ ეხმიანებოდნენ მათ მგლოვიარენი ამოძახილის ნელი განფენით“ (რობაქიძე, 1991, 29).

„ჰქუხდა ჩაქუხა ჩანჩქერი და ემადლებოდა ფორე მოულოდნელ სიხარულს“ (ლეონიძე, 1990, 230).

„თითქმის ყოველ კვირას ნიშარძელში აღიოდა ფორე, იქ ჩანჩქრის ჩქროს ესაუბრებოდა, ესაყვარებოდა, ელაციცებოდა“ (ლეონიძე, 1990, 222).

„ეჰეი, მერცხლის თვალეზავ, ისევ ცალადა ხარ? რატომ არ თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ? — შეესიტყვებოდა ძმობილი მურწა, კვიმატი კაცი“ (ლეონიძე, 1990, 31).

„დედა ეტიტინებოდა, — გაიცინე, გენაცვალე, გაიცინე!“ (ლეონიძე, 1990, 132).

„რას არ მიცემდი, ოლონდ გამეგო, ის ბიჭი ამ ქალის ვინ იყო და რას ემუდარებოდა“ (გელაშვილი, 1991, 282).

„გახედავენ ცას, უყურებენ ფიფქების მირიანდებს, მერე დაიწყებენ ფოთლების ქექვას, რალაცეების კენკვას. ყრულ მესმის: კურკურებენ, ერუკრუკებიან ერთმანეთს“ (ინანიშვილი, 1987, 126).

„თინა სკამზე იჯდა, წინ წახრილიყო და ბიჭებს რალაცას ეჩურჩულებოდა“ (ინანიშვილი, 1987, 52).

„ბებია ებულბუნებოდა პაპას, — უცნაური კაცი ხარ, არ სჯობდა, ნელად გამოგვეყენებინაო!“ (ინანიშვილი, 1987, 119).

„წამოსწევდა თავს წინ და დასწევდა უკან. ის ჩვენ გვეკითხებოდა რალაცას, ჩვენ იმას“ (ინანიშვილი, 1987, 192).

არნ. ჩიქობავამ შენიშნა, რომ ზოგ ორპირიან ვნებითი გვარის ზმნას — ენიანს, უნიშნოს და დონიანსაც — შესაძლებელია გაუჩნდეს

მესამე პირიც — მიცემითში დასმული მეორე ობიექტის სახით და ნიმუშად მოჰყავს შემდეგი ზმნები: ჰპირდება, უყვება, ეკითხება, ეხვეწება. ამ მოვლენას ავტორი მეორეულად მიიჩნევს (ჩიქობავა, 1934, 9). მეორე ობიექტის გაჩენა რელატიური ენიანი ვნებითის ფორმათა შესიტყვებაში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ზმნისა და ზმნასთან შეწყობილი სახელების მორფოლოგიასა და სინტაქსში. ამ ცვლილებების შედეგია პარალელური გარდაუვალი და გარდამავალი კონსტრუქციები II სერიაში: ელაპარაკა მას (რალაცა) || ელაპარაკა მან მას (რალაცა), ინვერსიული III სერია (კვაჭაძე, 1977, 81), (ლექვაძე, 2005).

სიტყვიერი ურთიერთობის გამომხატველი ენიანი ვნებითები არსებითად აქტიური ზმნებია, „MS მოლაპარაკეა, აქტიურია, აგენსია, ე. ი. პასივს აქტიური სუბიექტი აქვს“ (მელიქიშვილი, 2001, 202).

„სიტყვიერი მოქმედების“ გამომხატველი ენიანი ვნებითის ფორმები არსებითად უზმნისწინოდ, მხოლოდ უსრული ასპექტის მწკრივებში (I, II თუ III სერიისა) დასტურდება (ჭუმბურიძე, 1986, 96). ქვეგლის მიხედვით მხოლოდ აწმყოს დროებში გვხვდება ებუზღუნება, ემასხრება, ეოხუნჯება, ეპასუნება..., მხოლოდ აწმყოსა და II სერიის მწკრივთა უსრული ფორმებით — ებაასება, ებაასა, ებუტბუტება, ებუტბუტა, ედუდუნება, ედუდუნა, ედუდუნება, ედუდუნა, ემასლაათება, ემასლაათა, ეყაყანება, ეყაყანა ეჭიკჭიკება, ეჭიკჭიკა და სხვ. სამსავე სერიის ფორმებითა წარმოდგენილი ემუსაიფება, ემუსაიფა, უმუსაიფნია მასთან, ეპაექრება, ეპაექრა, უპაექრნია მასთან, ეჩურჩულება, ეჩურჩულა, უჩურჩულნია მისთვის და სხვ.

ამ ზმნათაგან უმეტესობა მყოფადის მწკრივებს არ აწარმოებს, მომავალი დროის შინაარსი, კონტექსტის მიხედვით აწმყოს ფორმებით გამოიხატება (ე. წ. მყოფად-უსრული). თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „სიტყვიერი მოქმედების“ გამომხატველი ზოგიერთი ზმნა ზმნისწინაც იგუებს და, შესაბამისად, სრული ასპექტის ფორმებსაც აწარმოებს: ელაპარაკება — დაელაპარაკა, მოელაპარაკა, გამოელაპარაკა — დაემლაპარაკა, მოემლაპარაკა, გამოემლაპარაკა, ემუქრება — დაემუქრა — დაემუქრება, ეპასუნება — გამოეპასუნა, შეეპასუნა — გამოეპასუნა, შეეპასუნა, ეკითხება — დაეკითხა, შეეკითხა — დაეკითხება, შეეკითხება და სხვ.

წარმოდგენთ სათანადო მასალას ქვეგლ-ის მიხედვით: დაედავებ-ა.... მიჯნის დროს მოინდომა მანუჩარმა, — დაედავები ჩემგან გაყინულ მიწებზე გლახებს და იქნება რაიმე კიდევ დავცინცლოთ (ე. ნინოშ.).

დაემდურებ-ა.... დედა შვილს როგორ დაემდურება (აკაკი). დაედრიჯებ-ა... 2. ღრეჯით სთხოვს, ღრეჯით შეეხვეწება. „[თინამ] ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: „ყველას დავდღრიჯები“, დილაადრიან მოადგნენ კარზე რჩეული ბიჭები (რ. ერისთ.).

გაეტირებ-ა... ასე დედას არ გაეტირება ამოდენა ბავშვი (რ. გვეტ.).

გაეძრახებ-ა... ახლა მეც გაგეძრახები, შენ ჩემო თოფო ყირიმის (გ. ტაბ.).

როგორც ვხედავთ, მყოფადის წარმოების თვალსაზრისით „სიტყვიერი მოქმედების“ გამომხატველი ენიანი ვნებითებში ერთგვარობა არ დასტურდება. ამ არაერთგვაროვნებას მათი განსხვავებული ლექსიკური შინაარსი განაპირობებს (ზმნათა ერთი ნაწილის შინაარსი შეუთავსებელია სრული ასპექტის მნიშვნელობასთან და, შესაბამისად, ასეთი ზმნები მყოფადის მწკრივებს ვერ აწარმოებს (ჭუმბურიძე, 1986, 30-35). ამ თვალსაზრისით ენიანი ვნებითების განხილული ჯგუფიდან ყურადღებას იქცევს ხმაბაძვითი ფუძეების გაორმაგებითა (ებუტბუტება, ეჭიკჭიკება, ეჭუჭუჭუკება...) და -უნ, -ინ, -ან... „დაბოლოებებით გაფორმებული „პირველადი საწყისებიდან“ ნაწარმოები (ებუზღუნება, ეჩიჩინება, ეჯაჯლანება...) ენიანი ვნებითები. ეს ზმნები განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევიან, რასაც მათი სემანტიკური და „გრამატიკული“ მნიშვნელობები უდევს საფუძვლად. „გრამატიკულ“ მნიშვნელობაში ფუძის გაორკეცვით მოქმედების მრავალგზისობის გამომხატვა იგულისხმება (ფოჩხუა, 1974, 265). მრავალგზისობას გამომხატავენ -უნ, -ინ და -ან დაბოლოებებიც (ბუტბუტი, ბურტყუნი და ა. შ.). ხმაბაძვით ფუძეთაგან ნაწარმოები ენიანი ვნებითები ძირითადი მნიშვნელობის (სამეტყველო ურთიერთობის) გარდა, დამატებით, გარკვეულ შეფასებით დამოკიდებულებასაც გამოხატავენ. შდრ.: ბურტყუნი „ხმადაბალი, გაურკვეველი ლაპარაკი“, ბუტბუტი „დაბალი ხმით გაურკვეველად ლაპარაკი თავისთვის“ (ფოჩხუა, 1974, 76) და სხვ. ამოსავალ ხმაბაძვით ფუძეთა ეს დამატებითი მნიშვნელობები სათანადო ზმნათა მნიშვნელობებშიც აისახება და ეს ქვეგლ-ში წარმოდგენილ შესაბამის განმარტებებშიც ჩანს:

ებუტბუტებ-ა (ებუტბუტა, —) ბუტბუტით ელაპარაკება. [ლიფსიმე] დაბლა ელაპარაკებოდა ანუ, სწორად, ებუტბუტებოდა მარიამსა განაგებ, რომ არავის გაეგონა (ლ. არდაზ.)...

ეჭუკჭუკებ-ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში)... ჭუკ-ჭუკით ელაპარაკება, — ალერსით ელაპარაკება. თამარს ძალიან უყვარდა [ბატკანი], სულ ეჭუკჭუკებოდა (თ. რაზიკ.).

ეჯიყიყებ-ა (ეჯიყიყა, —) საუბ. ... ჯიყიყით, გაუგებრად ელაპარაკება (სხვა ენაზე). „რალაცას გვეჯიყიყებოდნენ, მაგრამ ჩვენ ენა არ ვიცოდით და თოლმაჯი კი არა გვყავდა“ (ა. ყაზბ.).

ებუზღუნებ-ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში)... ბუზღუნით, უკმაყოფილოდ, გაჯავრებით ელაპარაკება... „ტყუილად მე-ბუზღუნება, ჩემს გასაბრაზებს ჩხავისა“ (ვაჟა).

ეტიტინებ-ა (ეტიტინა, —)... ტიტინებს მასთან, — ტიტინით ელაპარაკება. ბავშვი კარგა ხანს მადიანად ჭამდა ძუძუს, შემდეგ კი ეტიტინებოდა დედას თავის გაუგებარ ენაზე (ე. ნინოშვილი)...

ასე რომ, ხმაბაძვით ფუძეთაგან ნაწარმოები მეტყველების წრის ენიანი ვნებიანების უღვლილების სისტემაში მყოფადის წრის მწკრივთა ნაკლებობას ორმაგი არგუმენტაცია ეძებნება: 1. ამ ტიპის ვნებიანების ფუძეებს მრავალგზისობის შინაარსი აქვს, — მრავალგზისობა კი ვერ იგუებს სრულ ასპექტს. 2. ის ექსპრესიულობა, რომელიც ამ რიგის ზმნებს აქვთ, ენობრივი ფაქტის მიმართ სუბიექტური (ემოციური, შეფასებითი, ხატოვანი...) დამოკიდებულებისა და აღქმის შედეგია. ეს სუბიექტური დამოკიდებულება (დამატებითი მნიშვნელობა) იმას აღბეჭდავს, რაც უშუალოდ მოლაპარაკის დაკვირვების არეში ექცევა, დროის თვალსაზრისით ეს არე მხოლოდ ახლანდელი და წარსული (მიმდინარე და მომხდარი შეიძლება იყოს (ებუტბუტება — ებუტბუტა, ებუზღუნება — ებუზღუნა...)). როგორც ბენვენისტი აღნიშნავს, სუბიექტურობა ენაში დროულ მიმართებასაც იქვემდებარებს (ბენვენისტი, 1974, 296).

ლიტმარატურა

აფრიდონიძე, 1985 — შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამო-მხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები, თბ., 1985.

ბენვენისტი, 1974 — Э. бенвенист, О субъективности в языке, 292-300, Общая лингвистика, 1974.

ერთელიშვილი, 1962 — ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, თბ., 1962.

კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 2001.

სუხიშვილი, 2005 — მ. სუხიშვილი, ბრუნვაცვალებადი სუბიექტის მქონე ორგალენტური ზმნების გრამატიკული სტატუსის საკითხი ძველ ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბ., 2005.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974.

ღვინაძე, 1989 — თ. ღვინაძე, ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბ., 1989.

ჩიქობავა, 1934 — არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“, თბ., 1934.

ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

გეგეშიძე, 1991 — გ. გეგეშიძე, „ათი საუკეთესო მოთხრობა“, თბ., 1991.

გელაშვილი, 1991 — ნ. გელაშვილი, „ათი საუკეთესო მოთხრობა“, თბ., 1991.

ინანიშვილი, 1987 — რ. ინანიშვილი, მოთხრობები, თბ., 1987.

ლეონიძე, 1990 — გ. ლეონიძე, „ნატურის ხე“, თბ., 1990.

რობაქიძე, 1991 — გრ. რობაქიძე, „ათი საუკეთესო მოთხრობა“, თბ., 1991.

ქეგელ, 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, 1950-1964, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

TEONA LEZHAVA

ივლიტა ლოზჟანიძე

**On the Formation of the Future of the Passive Forms of the
Onomatopoeic Talk Domain Verbs with e**

Summary

The passive forms of the talk domain verbs with e reflect a communicative act between two individuals. The verbs of this type are mainly active. Some of them are expressive and are formed either by stem reduplication or by adding **an**, **en**, or **in**. Apart from the basic meaning, the verbs in question have some extra semes, indicating the manner of speaking.

Because of their grammatical and semantic meanings the talk domain verbs in question cannot form the chunks of the Future.

თეატრალური ტერმინ-ფორმების ქართულში

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით სისტემას და თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად იყენებს ყველა იმ (სემანტიკურ, მორფოლოგიურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ) საშუალებას, რომლითაც ივსება და ვითარდება საერთო სალიტერატურო ენა, იგი ამავე დროს შეიმუშავებს თავის საკუთარ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას, დამოუკიდებელ წესებსა და მოდელებს, რომელიც განასხვავებს მას სალიტერატურო საერთო ენისაგან (ღამბაშიძე, 1986, 131).

მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების თითოეული დარგის ტერმინოლოგიის მოებოვება როგორც ზოგადად ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი სიტყვაწარმოების საშუალებები, ასევე თითოეულ დარგს გააჩნია ტერმინთა სპეციფიკური წარმოება. გამოწვევის არც თეატრალური ტერმინოლოგია წარმოადგენს.

სათეატრო ხელოვნება სინთეზური ხელოვნებაა, რომელიც სათქმელის გამოსახატავად იყენებს: დრამატურგიას, მუსიკას, ქორეოგრაფიას, სცენოგრაფიას, ნაწილობრივ კინოს. შესაბამისად, თეატრალურ ტერმინოლოგიაში თავს იყრის ხელოვნების სხვა დარგთა ტერმინები.

თეატრალურ ტერმინთა სიტყვაწარმოების საანალიზოდ განვიხილეთ: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ (თბ., 1991 წ.); ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (თბ., 1995 წ.); დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (თბ., 1984 წ.); „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (თბ., 1950-1964 წ.); რუსულ-ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ტერმინები“ (თბ., 1964 წ.); „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“ (თბ., 1985 წ.); „მცირე თეატრალური ლექსიკონი“ (თბ., 1980 წ.); სხვადასხვა მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურიდან ამოკრეფილი ტერმინები.

ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში გამოიყოფა მარტივი, შედგენილი, ანუ დერივატი-ტერმინები და რთული ტერმინები.

მარტივი თეატრალური ტერმინები შეიძლება იყოს ქართული და უცხოური წარმოშობის. თეატრალურ ტერმინოლოგიაში ძველი ქართული თეატრალური ტერმინების გვერდით გვხვდება ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, გერმანული, რუსული, ესპანური და ინგლისური ენებიდან მომდინარე თეატრალური ტერმინები, რომლებიც ან საკუთარი უცხოენოვანი აფიქსებითაა შემოსული და დამკვიდრებული, ან ქართული აფიქსებითაა გაფორმებული. ქართულში მრავალი ლათინური და ევროპული ენის სიტყვები დამკვიდრებულია რუსულის მეშვეობით.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში უფრო მეტია ქართული წარმოშობის ტერმინები, ვიდრე თანამედროვე ქართულში. დღეს, შედარებით მეტია უცხოური წარმოშობის ტერმინები, საკუთარ ნიადაგზე ტერმინთქმნადობის პროცესი შეზღუდულია. ისევე როგორც სხვა ენების ტერმინოლოგიაში, ქართულშიც ბერძნულ-ლათინურ ტერმინებს ფართოდ აქვს გზა გახსნილი; ბერძნული და ლათინური სიტყვების მოზღვავენას ტერმინოლოგიაში თავისი გამართლება აქვს: 1) ეს სიტყვები შემოდის როგორც ტერმინები და ამიტომ მათი ძირითადი მნიშვნელობა, ე. ი. ის მნიშვნელობა, რაც მათ ბერძნულსა და ლათინურში ჰქონდათ, როგორც ტერმინებს აღარ აქვთ... 2) ამგვარი აღრევის შესაძლებლობა ისობა თვითონ ტერმინების მსესხებელ ენაშიც... 3) ლათინური და ბერძნული სიტყვების საფუძველზე ნაწარმოები ტერმინები ინტერნაციონალურია და ამდენად, საყოველთაოდ გასაგები“ (ნებიერიძე, 2003, 227).

წარმოქმნილი თეატრალური ტერმინები წარმოების მიხედვით სამი სახისაა: პრეფიქსული, სუფიქსური და კონფიქსური.

აბსტრაქტულობის მაწარმოებელი აფიქსები: -ობა, -ება, სი- - ე.

ქართული აფიქსებიდან, რომლებიც თეატრალურ ტერმინებს აფორმებენ ყველაზე პროდუქტიულია აბსტრაქტულობის მაწარმოებელი სუფიქსები: **-ობა, -ება...** „-ობა. ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია ობ-ა, დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან (შანიძე, 1973, 130)“.

„-ობა სუფიქსს ფუძეებთან შეთავსებადობის თვალსაზრისით განუსაზღვრელი პოტენციალი აქვს. საჭიროების შემთხვევაში იგი აწარმოებს სუბსტანტივ ტერმინებს სასუბიექტო და საობიექტო მიმდებარეობათა ფუძეებისაგან“ (მელიქიშვილი, 1999, 55).

-ობა სუფიქსი გვხვება ძველ ქართულში: ბურთა-ობ-ს — ბურთა-ობა; ასპარეზ-ობ-ს — ასპარეზ-ობა; ბერიკა-ობ-ს — ბერიკა-ობა; ყენ-ობ-ს — ყენ-ობა და ა. შ. (ბურთა-ობ-ს — ბურთ-ობა და ასპარეზ-ობ-ს — ასპარეზ-ობა ფორმები გვხვდება ახალ ქართულშიც).

ახალ ქართულში -ობა გვხვდება შემდეგ ფორმებთან: ჟონგლიორ-ობ-ს (ქეგლ-ში განმარტებული არ არის) — ჟონგლიორ-ობა; არტისტ-ობ-ს („არტისტობ-ს... არტისტობას ეწევა, — მსახიობობს (ქეგლ, 1950, 574) — არტისტ-ობა; მომღერლ-ობ-ს (ქეგლ-ში განმარტებული არ არის) — მომღერლ-ობა; ოხუნჯ-ობ-ს („ოხუნჯობ-ს — ოხუნჯივით იქცევა, — ხუმრობს, მასხრობს“ (ქეგლ, 1960, 98) — ოხუნჯ-ობა; გაერ-თ-ობ-ს (ქეგლ-ში განმარტებული არ არის) — გაერ-ობა; მალანურ-ობ-ს (ქეგლ-ში განმარტებული არ არის) — მალანურ-ობა და სანახავი — სანახა-ობა; მსახიობი — მსახიობ-ობა და ა. შ.

ტერმინ სანახაობა < სანახავ-ობა-ში ავ თემისნიშნისეული ვ-ს დაკარგვა -ობ სუფიქსითაა გაპირობებული. შდრ.: შევა-ტყვე — ვა-ტყ-ობ, დავა-მხვე — ვა-მხ-ობ და ა. შ.

ტერმინი სანახაობა აწარმოებს სანახა-ობ-ით-ი და სანახა-ობრ-ივ ფორმებს. საქმე გვაქვს ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილ სახელებთან „-ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ზედსართავ სახელთა წარმოქმნისათვის საზოგადოდ საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენაში“ (შანიძე, 1973, 147).

რაც შეეხება სანახა-ობრ-ივ ფორმას, აქ -ივ მორფემა, როგორც აკ. შანიძე მიუთითებს, წარმოშობით ბრუნვის ნიშანია, მაგრამ წარმოსაქმნელად არის გამოყენებული. -ებრ-ივ-ის ანალოგიითაა მიღებული -ობრ-ივ ფორმა. ზემოთ დასახელებული ტერმინების (სანახაობა, სანახაობითი, სანახაობრივი) ამოსავალი ფორმა ასეა განმარტებული: „სანახავი 1. ვინც, რაც უნდა ნახონ. ტყე დიდებული სანახავი იყო. უნახავმა ნალი ნახა, -ო რა სანახავიაო. 2. (ძვ.) იგივეა, რაც სანახაობა. სანახავად — ნახვის მიზნით (ქეგლ, 1960, 748).

სიტყვა ბოლისემიურია, თეატრალურ ტერმინთ სისტემაში მისი მეორე მნიშვნელობაა გამოყენებული.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ამ ფუძიდან წარმოქმნილი სიტყვებიცაა განმარტებული: „სანახაობა 1. რაც თვალწინ იშლება, რის დანახვაც შეიძლება. ტკბებოდა ბუნების სანახაობით. — შემადრწუნებელი სანახაობა იყო. 2. მრავალრიცხოვანი მსაყურებლისათვის გათვალისწინებული რაიმე გასართობი. სპორტული სანახაობა. თეატრალური სანახაობა. ყველა სანახაობას ჭიდაობა ერჩივნა. „სანახაობით-ი სანახაობის (მნიშვ. 2) ხასიათისა. სანახაობითი ეფექტები. (ქეგლ, 1960, 748-749).

„-ობა სუფიქსით იწარმოება დროის აღმნიშვნელი სახელები:

ა) რელიგიური დღესასწაულები: წმინდანთა სახელობის დღეები: გიორგ-ობა, ელია-ობა || ილი-ობა (მთის რაჭაში); თამარ-ობა...

ბ) რიტუალის აღმნიშვნელი სახელები: დათვქადა-ობა (ეთნ. რიტუალი, რომელსაც ყველიერის ხუთშაბათს ასრულებდნენ, III), ალილო-ობა, ლამპრ-ობა...“ (ტუსკია, 2004, 78). -ობა სუფიქსი ზემოთ დასახელებული ფუნქციებით უხვად დასტურდება სანახაობითი ხელოვნების ამსახველ ტერმინებში. მაგ.: მურყვამ-ობა, ყენ-ობა, გონჯა-ობა (მთის რაჭაში) და ა. შ.

მუსიკალურ ტერმინოლოგიაში „-ობა მაწარმოებლით მიიღწევა სხვადასხვა სტილურ სემანტიკური ინფორმაციის გადმოცემა: ა) განზოგადება, აღსანიშნის ესა თუ ის თვისება, ნიშანი, ბ) გადმოცემა ამა თუ იმ მოქმედების განმეორებადი, სისტემური, მრავალჯერადი ხასიათი, გ) ამა თუ იმ სკოლის, მიმდინარეობის, მოვლენისადმი კუთვნილება, მიმდევრობა; დ) მოვლენათა თუ საგანთა გარკვეული ერთიანობა; ე) ობიექტის მრავალკომპონენტურობის წარმოჩენა; ვ) მუსიკალური ნაწარმოების (ან შესრულების) ხარისხის მითითება; ზ) მუსიკალური ნაწარმოების (ან საშემსრულებლო მანერის) უანრული (ან პროფესიული თავისებურება“ (ტაბიძე, ქესს, 1996, 142).

ბ. ცხადაძე სტატიაში „ობა||-ობანა||-ობია სუფიქსები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“ (იკე, XXVI, 1987, 142).— ობა სუფიქსის კიდევ ერთ, გართობა — თამაშობის გამომხატველ, ფუნქციაზე მიუთითებს. მაგ.: ბურთ-ობა || ბურთა-ობა, კუდიან-ობა, წიხლა-ობა, რკინ-ობა და ა. შ. ეს სუფიქსი თხზულ სახელებთანაც გვხვდება.

ფუნქციური თვალსაზრისით -ობა სუფიქსის იდენტურია -ობანა || -ობია სუფიქსები.

თ. ყორდანას აზრით, „-ობანა სუფიქსი აღნიშნავს მიბაძვას მოქმედებისადმი იმ საგანთა, რომელნიც გამოთქმულ არიან ძირეულ სიტყვებთან“ (ყორდანა, 1889, 92).

„-ობანა დაბოლოება ფართოდ იხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა (მწერლობაში, პრესაში...), და ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში. მისი ერთ-ერთი ფუნქცია იგივეა რაც, -ობა'სი. იგი საბავშვო გართობა-თამაშობათა სახელწოდებების საწარმოებელი ბოლოსართია“ (იკე, XXVI, 1987, 142). მაგ.: დაჭერ-ობანა, დამალ-ობანა, ომ-ობანა, დედ-ობანა, სახლ-ობანა, კოჭ-ობანა და ა. შ.

„-ობია სუფიქსი -ობანა ფორმის იდენტურია და იხმარება ქართული ენის დასავლურ კილოებში, საიდანაც იგი ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწარმოებებში იჩენს თავს“ (იქვე, 145). მაგ.: ჩხირ-ობია, კენჭ-ობია, მალულ-ობია, დანას-ობია, სტუმრ-ობია, ბატონ-ობია და ა. შ.

-ობა, -ობანა, -ობია რთული სუფიქსებია, მათში გამოიყოფა -ობ-ა -ობ-ანა, -ობ-ია ელემენტები.

თითოეულ ზემოთ დასახელებულ სიტყვა-ტერმინში შინაარსობრივად იგულისხმება სათეატრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი „ვითომურობა“, სურვილი განასახიერო, ითამაშო, მიბაძო სხვას. აქედან გამომდინარე თეატრალურ სანახაობითი ხელოვნების აღმნიშვნელ (მხოლოდ თეატრალური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელ) ტერმინთა საწარმოებლად მივიჩნევთ -ობანა, -ობია სუფიქსებს (-ობა სხვა დარგის ტერმინთა საწარმოებლად ფართოდ გამოიყენება).

თეატრალურ ტერმინოლოგიაში გვხვდება -ება სუფიქსი. „-ობა-საგან განსხვავებით, ის იერ-ზე გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს: ბედნიერ-ება, გონიერ-ება, ზმნური წარმოშობისაა, მაგრამ დღეს სახელია: ცხოვრ-ება; ზმნური ფორმა აქვს არს-ება-ს. ზმნის ფორმა ზედსართავად არის გამოყენებული და ამისგან შემდეგ აბსტრაქტული სახელია ნაწარმოები: ღირს, ღირს-ი, ღირს-ება.

-ება გვხვდება თანამედროვე ქართულში: აფიშირ-ებ-ს — აფიშირ-ება; დუბლირ-ებ-ს — დუბლირ-ება; იმპროვიზირ-ებ-ს — იმპროვიზირ-ება; ინსცენირ-ებ-ს — ინსცენირ-ება; მოქმედ-ებს — მოქმედ-ება; ანგაჟირ-ებ-ს — ანგაჟირ-ება; ახმოვან-ებ-ს — გახმოვან-ება; ასცენურ-ებ-ს — გასცენურ-ება; აშარყ-ებს — გაშარყ-ება.

-ება სუფიქსი უმეტესად დაერთვის უცხოენოვან სიტყვებს. მას-
ლაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ამ სიტყვების ფუძეები ბოლოვდე-
ბა -ირ მარცვალზე. მაგ.: ანგაჟირება, ინსცენირება, დუბლირება,
აფიშირება, იმპროვიზირება, რეკლამირება და ა. შ. „ნასესხებ ზმნათა
ჯგუფში -ОВАТЬ დაბოლოების მოცილების შემდეგ დარჩენილი ნაწილი
წარმოადგენს სათანადო გერმანული ზმნის ფუძეს: -ир რუსულმა
მიიღო გერმანულისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, იგი უმეტეს
შემთხვევაში ნასესხები აქვს ფრანგულიდან (ამჟამად ამ უკანასკნელ-
ში იგი აღარ არის)“ (აბესაძე, 1989, 311).

-ება სუფიქსი ქართული ძირებით ნაწარმოებ სიტყვებთანაც
გვხვდება. შდრ.: ა-ხმოვან-ებ-ს — გა-ხმოვან-ება; გა-ა-ნათ-ებ-ს — გა-ნათ-
ება; ძვ. განცხრომა და განცხრომ-ება, ბაასი და გა-ბაას-ება და ა. შ.

საინტერესოა, რომ როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულ თეა-
ტრალურ ტერმინოლოგიაში არ გვხვდება აბსტრაქტულობის მაწარ-
მოებელი კონფიქსი სი- — -ო. სი- — -ე თანამედროვე ქართულში
დასტურდება მხოლოდ ერთ ტერმინთან „სიმწყობრე“ **мерность**
(რუს.-ქართ. დრამ. თეატრ. ხელ. ტერ., 1964, 23). როგორც დ. მე-
ლიქიშვილი აღნიშნავს, ძველ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ
ტერმინოლოგიაში „სი-R-ე კონფიქსი დისტრიბუციის დაბალი ხარის-
ხით ხასიათდება. იგი, ორიოდ გამონაკლისის გარდა, შეიძლება
დაერთოს მხოლოდ ზედსართავი სახელის ფუძეს. სამაგიეროდ ამ
ფუძეებთან იგი დიდი აქტივობით და რეგულარობით გამოირჩევა“
(მელიქიშვილი, 1999, 57).

ამგვარად, თეატრალურ ტერმინოლოგიაში აბსტრაქტულობის
მაწარმოებელი აფიქსებიდან ყველაზე პროდუქტიულია -ობა, შემდეგ
-ება. არ გვხვდება სი- — -ო კონფიქსი. სი- — -ე წარმოების ერთი
შემთხვევა დასტურდება.

საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსტრაქტული სახელე-
ბით პროდუქტიულია, თეატრალური ტერმინოლოგია. ეს იმიტაცაა
გაპირობებული რომ თეატრალური ხელოვნება აბსტრაქციაზე, წარ-
მოსახვაზე, სახე-ხატების შექმნასა და მის განზოგადებაზეა ორიენტი-
რებული.

**ხელობა — (პროფესიის) აღმნიშვნელი მე- — -ე; მე- — -ურ;
მო- — -ე; მო- — -ურ კონფიქსები.**

ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში ყველაზე ხშირად მე-
— -ე დასტურდება, მაგრამ მე- — -ე კონფიქსური წარმოება მარტო

ხელობასა და პროფესიაზე არ მიგვანიშნებს: „მე- — -ე მაწარმოებ-
ლიანი სახელი მხოლოდ იმ პირს კი არ აღნიშნავს, ვინც ამა თუ იმ
დარგის სპეციალისტია, არამედ ამ სახელთა ძირითადი თვისება ისაა,
რომ თითოეული მათგანი აღნიშნავს ისეთ პირს, რომლის საქმიანობა
დაკავშირებული იმ საგანთან, რომლის სახელსაც ამ სიტყვის ფუძე
წარმოადგენს. „ხელობა“ აქ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი მნიშვ-
ნელობათაგანია“ (ფოჩხუა, 1966, 111).

თეატრალურ ტერმინოლოგიაში მე — -ე წარმოების ასეთ
შემთხვევებთან გვაქვს საქმე.

მე- — -ე ფართოდ არის გავრცელებული ძველ ქართულში: მე-
მღერ-ე || მე-მღერ-ი; მე-დას-ე; მე-გოდებ-ე; მე-ავლ-ე || მე-ავილ-ე (მე-
ნესტე-ე — ს.ს. 1990, 458); მე-ფუნდრუკ-ე („ჭაბუკნი მოთამაშენი“
იქვე, 467); მე-შუშპარ-ე; მე-აჩრდილ-ე; მე-მწყობრ-ე; მე-მუსიკ-ე; მე-
ჩანგ-ე; მე-ბახტ-ე („უცხოებთ მროკავნი“ — იქვე, 458); მე-ნაფირ-ე
(ჩასაბერ საკრავებზე დამკვრელი მუსიკოსი (ძველი ქართული ტერმი-
ნი) (Толк. слов., 1985, 414); მე-ნოაგ-ე (სასახლის გასართობი სახი-
ობის მსმენელ-მაყურებელი (ძველი ქართული ტერმინი) იქვე, 4140.
„მეწისქვილე“ (ძველი ქართული თამაში — სანახაობა“ (იქვე, 418);
მე-არფ-ე; მე-სახი-ე; მე-არღნ-ე; მე-ბუკ-ე; მე-ნალარ-ე; მე-საზანდრ-ე;
მე-დაირ-ე; მე-დოლ-ე; მე-ჩონგურ-ე; მე-სტივრ-ე; მე-ფანდურ-ე.

მე- — -ე კონფიქსი უფრო ხშირად იხმარებოდა ძველ ქართულ-
ში, ვიდრე — თანამედროვეში. იგი ძველ ქართულში გვხვდება ქარ-
თული სიტყვების სართებად. მაგ.: მე-მღერ-ე || მე-მღერ-ი; მე-ნოაგ-ე;
მე-ბუკ-ე; მე-დოლ-ე; მე-ნესტე-ე ; მე-ათძალ-ე ; მე-ფანდურ-ე. ძველ
ქართულში გამოიყენება უცხოური წარმოშობის სიტყვებთანაც. მაგ.:
მე-თეატრონ-ე ; მე-ბარბით-ე ; მე-ჩანგ-ე ; მე-მგოსნ-ე- და ა. შ.
ახალ ქართულშიც მე- — -ე კონფიქსური წარმოება უცხოურ სიტყ-
ვებთან ძალზე პროდუქტიულია: მე-გარდერობ-ე; მე-ბილეთ-ე; მე-
ვიოლინ-ე და ა. შ.

მ. ტუსკია წიგნში „სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალი-
ტერატურო ქართულსა და დიალექტებში“ მიუთითებს, მე- — -ე
კონფიქსის ხმარების მრავალფეროვნებაზე და გამოყოფს მის ერთ-
ერთ ფუნქციას. „3. მუსიკალურ საკრავზე დამკვრელი: მე-საყვირ-ე,
მე-დუდუკ-ე, მე-ჩონგურ-ე, მე-სტივრ-ე (ტუსკია, 2004, 102-103). აღ-
ნიშნული ფუნქციით მე- — -ე ხშირად იხმარება თეატრალურ ტერ-
მინოლოგიაში. ზემოთ დასახელებულ ტერმინებს შორის როგორც

ძველ, ასევე თანამედროვე ქართულში ზოგიერთი მუსიკალურ ტერმინს წარმოადგენს. საერთოდ ხელოვნების ამ ორი დარგის ტერმინებს შორის ჭირს ზღვარის გავლება. სათეატრო ხელოვნება იყენებს მუსიკას (ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებს), ამიტომ ზემოთ მოხმობილი ტერმინები **დარგთაშორის ომონიმურ ტერმინებად** შეიძლება ჩავთვალოთ.

მე- — -ურ (II-ულ) კონფიქსი შეგვხვდა მხოლოდ ერთ სიტყვაში — მე-თა-ურ-ი. „მეთაური — ფერხულის ხელმძღვანელი. მეთაურს ევალეზობდა ფერხულის გამართვა, ერთიანი რიტმის დაცვა, ცეკვის შეწყობა სიმღერასთან“ (Толк. слов., 1985, 416).

მო- — -ე ძველ ქართულში გვაქვს შემდეგ სიტყვებთან: მო-ლექს-ე; მო-ასპარეზ-ე; მო-თამაშ-ე.

მო- — -ურ წარმოება საერთოდ არ არის დამახასიათებელი თეატრალური ტერმინოლოგიისათვის, როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში.

ხელობა (პროფესიის) მაწარმოებელი აფიქსებიდან ყველაზე პროდუქტიულია მე- — -ე კონფიქსი. მე- — -ურ ერთ სიტყვაში, ხოლო — მო- — -ე სამ სიტყვაში დასტურდება, მო- — -ურ წარმოება არ დასტურდება.

წარმომავლობის -ურ || -ულ, -ელ, -იურ, -ეულ, -დელ (ა-მდელ), -იონ სუფიქსები.

ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა -ურ||-ულ სუფიქსი, იგი თეატრალურ ტერმინთა სისტემაში თვისების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებლად გვევლინება.

„წარმომავლობის სუფიქსი -ურ(ულ) გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი, მგლ-ურ-ი, მხეც-ურ-ი და სხვ.; ვაჭრ-ულ-ი, ღორ-ულ-ი და სხვ.“ (შანიძე, 1973, 128).

ძველ ქართულში ძალზე პროდუქტიულია -ურ||-ულ სუფიქსური წარმოება ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ტერმინებთან. მაგ.: მხედრ-ულ-ი; ფერხ-ულ-ი; ცერ-ულ-ი; მთიულ-ურ-ი; ქართ-ულ-ი; დავლ-ურ-ი, ბაღდად-ურ-ი მაცურ-ულ-ი; ჯვარ-ულ-ი და ა. შ.

„ახალ ქართულში -ურ სუფიქსი თვისების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. იგი დაერთვის როგორც ქარ-

თულ, ისე უცხოური წარმომავლობის სახელებს და აღნიშნავს თვისებას, ძირეულ საგანთან მიმართებით (ტუსკია, 2004, 67).

ახალ ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში -ურ||-ულ ზემოთ დასახელებული სემანტიკური ნიშნით აწარმოებს შემდეგ ტერმინებს: მსახიობ-ი — მსახიობ-ურ-ი (ნიჭი, ტალანტი); სცენა — სცენ-ურ-ი; რეჟისორ-ი — რეჟისორ-ულ-ი; დრამა — დრამატ-ულ-ი; ტრაგედია — ტრაგიკ-ულ-ი; კომედია — კომიკ-ურ-ი; არტისტ-ი — არტისტ-ულ-ი; აქტიორ-ი — აქტიორ-ულ-ი; მიმიკა — მიმიკ-ურ-ი; თეატრალ-ი — თეატრალ-ურ-ი; მუსიკალ-ი — მუსიკალ-ურ-ი; პოპ-ურ-ი; ბალაგან-ურ-ი; ბატალ-ურ-ი; ბრავურ-ულ-ი; პეიზან-ურ-ი (გლეხური პარიკი); გენერალ-ურ-ი; გუმოზ-ურ-ი; დეკლამაცი-ურ-ი; ეპიზოდ-ურ-ი; სინთეზ-ურ-ი; ფინალ-ურ-ი; პათეტიკ-ურ-ი; ოლიმპი-ურ-ი; გროტესკ-ულ-ი; ინსცენირებ-ულ-ი; კამერ-ულ-ი; ჰეროიკ-ულ-ი და ა. შ.

სიტყვებში თეატრალ-ურ-ი და მუსიკალ-ურ-ი აღ ფუძისეულია. ეს სიტყვები ბერძნული წარმოშობისაა. შდრ. თეატრალი (მაგრამ არ დასტურდება მუსიკალი), „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა მუსიკალი არ გვხვდება. მუსიკალის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი მელომანი: „მელომანი — სიმღერით, მუსიკით გატაცებული (მეგრ. 1980, 24).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დასტურდება მუსიკალური და მუსიკალობა ფორმები. ასევე არ არის განმარტებული თეატრალურობა; გროტესკულობა, თუმცა დასტურდება ტერმინი კომიკურობა-სასაცილოობა.

ზოგიერთ ტერმინთან საქმე გვაქვს -ობა სუფიქსის ამგვარ გამოყენებასთან. მაგ.: კომიკ-ურ-ობა, ანსამბლ-ურ-ობა; მალან-ურ-ობა; სცენ-ურ-ობა; თეატრალ-ურ-ობა; ეპიზოდ-ურ-ობა; სინთეზ-ურ-ობა; პათეტიკ-ურ-ობა; ანსამბლი — ანსამბლურ-ობა; კომიკური — კომიკურ-ობა და ა. შ.

ამგვარი წარმოება ძირითადად დამახასიათებელია უცხოური წარმოშობის სიტყვებისათვის.

წარმომავლობის სუფიქსებიდან -იონ გვხვდება ძველ ქართულში დადასტურებულ ტერმინ სახიონში. „სახიონი — ნიღბის ძველქართული ხალხური სახელწოდება“ (Толк. слов., 1985, 611).

-იონ სუფიქსი -იან-ის ფონეტიკურ ვარიანტადაა მიჩნეული (ჯანაშია, 1937, 212; ჩიქობავა, 1942, 118). „-იან (-იონ) აფიქსებში შემავალი -ან ელემენტი რამდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირ-

რებული მნიშვნელობის შემცველია. შეუძლია აღნიშნოს: წარმომავლობა, კრებითობა, ქონება“ (ტუსკია, 2004, 74). ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითში -იონ ქონების ფუნქციით იხმარება. **სახიონი** სემანტიკურად იგივეა, რაც ნიღბიანი, „სახიანი“, ნიღბის მქონე.

წარმომავლობის ზემოთ დასახელებული -ურ||-ულ, -ელ, -იერ, -ეულ, -დელ(ა-მდელ), -იონ სუფიქსებიდან -ურ||-ულ და -იონ სუფიქსების გარდა, თეატრალურ ტერმინთა საწარმოებლად არ გამოიყენება.

დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი სა- — -ო, სა- — -ულ, სა- — -ე კონფიქსები.

სა- — -ო კონფიქსი თეატრალურ ტერმინოლოგიაში დაერთვის არსებითებს, ზედსართავებს, სახელზმნებს, წარმოქმნილ სახელებს. უცხო წარმომავლობის სახელებს და აღნიშნავს დანიშნულება-განკუთვნებას ან თვისებას. მაგ.:

სა- — -ო გვხვდება ძველ ქართულში: სა-თეატრონ-ო- ; სა-ნა-ღარ-ო (XVII-XVIII საუკუნეებში მომავალ მსახიობთა მომზადება წარმოებდა სასახლის კართან არსებულ ე. წ. სანაღაროში (ურუშაძე, 1999, 91); სა-მასხარა-ო; სა-ხუმარ-ო და ა. შ.

ახალ ქართულში თეატრალურ ტერმინთა საწარმოებლად სა- — -ო უფრო ხშირად გამოიყენება. მაგ., სა-მსახიობ-ო; სა-აქტიორ-ო; სა-არტისტ-ო; სა-გმირ-ო; სა-როლ-ო (საროლო რვეული მ. თუმანიშვილი); სა-გრიმ-ო || სა-ხელოვნებ-ო; სა-სცენ-ო; სა-ანტრაქტ-ო; სა-რეკვიზიტ-ო; სა-დებიუტ-ო; სა-დეკორაცი-ო; სა-ტანსაცმლ-ო; სა-პირფარეშ-ო; სა-პროექცი-ო; სა-მეტყველ-ო; სა-კარნახ-ო ა. შ. ამ ტერმინებს შორის ზოგი გაარსებითებულია (საგრიმიორ-ო), ზოგიც ზედსართავი და მსაზღვრელად გვევლინება შესიტყვება ტერმინებში. მაგ.: სათეატრო ხელოვნება, საფერხულო წყობა, სადებიუტო როლი და ა. შ.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. „ცხოვრების სინამდვილესთან კავშირის გარეშე არ არსებობს **სათეატრო ხელოვნება**“ (ურუშაძე, 1982, 7);

2. „ნივთების მოხატულობაში მეცნიერებმა ამოიკითხეს უხსოვარ დროთა **სათეატრო სანახაობების** ანარეკლები: თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის სასმისზე ნიღბოსანთა **საფერხულო წყობის** მისტიკა“ (იქვე, 8);

3. „ამავე დროს გადასაწყვეტია მრავალი წმინდა **სახელოვნებო პრობლემა**ც მხატვრული სიმართლისა და მხატვრული პირობითობის, ასახვის შემოქმედებითი მეთოდის, ტრადიციის, ნოვატორობის, უანრის, სტილის, შემოქმედებითი რწმენის“ (იქვე, 6);

აღსანიშნავია, რომ დანიშნულების სა- — -ულ კონფიქსით იწარმოება რამდენიმე თეატრალური ტერმინი. მაგ.: სა-თა-ური (პიესის სათაური). სა- წარმოების მოდელეები თეატრალურ ტერმინოლოგიაში არ დასტურდება, ნაკლებია სა- — -ე წარმოების ნიმუშები: სა-სახიობ-ე (სკენე-სცენა); სა-მგოსნ-ე და ა. შ.

ძველ ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში შეიმჩნევა საინტერესო ფაქტი, ტერმინების უმეტესობა კონფიქსურ წარმოებისაა და განეკუთვნება მიმღებობათა ჯგუფს. სუბიექტური მიმღებობის ფორმებია: მ- — -ელ, მა- — -ელ. მ- — პრეფიქსის ხმარების მცირე შემთხვევა გვაქვს.

მ-როკვ-ელ-ი, მ-სახიობ-ელ-ი; მ-წაფ-ელ-ი; მ-თქმე-ელ-ი; მა-ხიობ-ელ-ი; მ-თხრობ-ელ-ი; მ-გალობ-ელ-ი; მ-როკავ-ი; მ-ზუელავ-ი.

ამ მოდელის მიხედვითაა მიღებული ტერმინი მა-ყურებ-ელ-ი, რომელიც ძველ ქართულში არ დასტურდება და გვიან გაჩენილი ჩანს.

სა-ხილვ-ელ-ი (თეატრალური ნაგებობა); სა-გალობ-ელ-ი; გან-სა-ცხრომ-ელ-ი (შდრ.: განცხრომა — ქართული თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა (Толк. слов., 1985, 154). განსაცხრომელი ძველ ქართულში ნიშნავდა სანახაობის (წარმოდგენის) ადგილს.

სა-მისნვ-ელ-ი; სა-მღერ-ელ-ი („სკენა ან სცენა ძველი ქართული თეატრალური ტერმინი“) (იქვე, 608). მო-დახ-ილ-ი; მო-მღერ-ალ-ი; მო-კიცხ-არ-ი; მა-ოც-არ-ი; მ-გრძნობ-არ-ი და ა. შ.

ქართული ხალხური თეატრის უძველესი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი ბერიკაობა მომდინარეობს ბერიკა-დან, „ბერიკაობა“-ში -იკა და -ობა კინიობითისა და აბსტრაქტულობის ტერმინია. ბერი ძველი ქართულით შვილის აღმნიშვნელია: იაბერი, ჭიაბერი, კახაბერი“ (ჯან., 1980, 21).

-ობა სუფიქსი გამოიყოფა სასახლის კარის თეატრის სახელწოდებაში „სახი-ობა“. ი. აბულაძე სახიობა, მსახიობელი, მახეობელის ძირად ხე||ხი ფორმას გამოყოფს (აბულაძე, 1960, 212). მანანა კობაიძემ სტატიაში „ვეფხისტყაოსნის“ ხევა ტერმინისათვის“ საინტერ-

სო თვალსაზრისი გამოთქვა. იგი შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ნახსენებ ხევა მასდარს „მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ სახიობა მახეობელის ძირი „ხე||ნი (ავტორი იზიარებს ი. აბულაძის თვალსაზრისს, ხეობა || ხიობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტის ხმიანობას აღნიშნავდა) მიღებულია ხევ-||-ხივ ფუძისაგან -ობ თემის ნიშნისეულ -ო-ს წინ ვ-ს დაკარგვის შედეგად“ (კობაიძე, 1997, 12).

ქონების სახელთა მაწარმოებელი -იან, -ოვან, -ოსან -ა სუფიქსები.

თეატრალური ტერმინები დაირთავენ:

იანი: გრიმ-იან-ი; ნილბ-იან-ი (ეს ფორმა სასაუბრო მეტყველებისთვისაცაა დამახასიათებელი), სახ-იან-ი;

-ოვან: ხატ-ოვანი; სახ-ოვანი (მრავალსახოვანი).

-ოსან: ნილბ-ოსანი (მდრ.: „ნილბოსანთა თეატრი“).

წინა ვითარების კონფიქსი ნა- — -ებ გვაქვს ნა-თამაშ-ებ ფორმაში (მდრ.: ნათამაშები როლი).

ქართულ თეატრალურ ტერმინოლოგიაში ნასესხები ტერმინები ქართულ ენაში საკუთარი აფიქსებით შემოდის, ასეთი ტერმინი ქართული ენისათვის მარტივ ტერმინად ჩაითვლება. შეუძლია დაირთოს ქართული სართები. მაგ.: ასპარეზ-ობა; თეატრ(ალ)-ურ-ი; კომიკ — კომედია — კომიზმი — კომიკ-ურ-ი, სცენა — სცენ-ურ-ი — სცენ-ურ-ობა; ბილეთი — მე-ბილეთ-ე; ჰეროიზმი — ჰეროიკ-ულ-ი; გარდერობი — სა-გარდერობ-ე და ა. შ.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრალურ ტერმინთა სიტყვაწარმოება ეფუძნება, როგორც ზოგადად ერთიან (მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის) სიტყვაწარმოებითს სისტემას, ასევე აქვს განმასხვავებელი ნიშნები, განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი:

ქართული თამაშობების (იქნება ეს სანახაობითი, თუ საბავშვო) აღმნიშვნელ ტერმინებს სპეციფიკური, მხოლოდ ქართული თეატრალური ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელი წარმოება გააჩნია. მაგ.: ბერ-ობა (იგივე ბერიკობა), თოჯინ-ობანა, სახლ-ობანა, ზღაპრ-ობანა („ელინთა ზღაპრობანი“).

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების აღმნიშვნელ ტერმინთა საწარმოებლად

მივიჩნიოთ მხოლოდ თეატრალური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი სუფიქსები -ობანა || -ობანი; -ობია.

ქართულ თეატრალურ ტერმინთა საწარმოებლად არ გვხვდება სი- — ე (გვაქვს მხოლოდ ერთი შემთხვევა, თეატრალური ტერმინი მწყობრი, რომლიდანაც იწარმოება სი-მწყობრ-ე, ასევე მე-მწყობრ-ე ფორმები და შესიტყვება „მწყობრი მემღერეთა“); -ედ, -ად+ობა (ეს უკანასკნელი ძირითადად დამახასიათებელია ტექნიკური ტერმინოლოგიისათვის) აფიქსები. არ იძებნება ასევე -ები, -იანები, -იანნი, -ოვანნი, -ოსანნი, -ებრნი, -ნაირნი, -მაგვარნი, -მსგავსნი-ს წარმოება (დამახასიათებელია საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიისათვის), ჩვენ საქმე გვაქვს ხელოვნების ერთ-ერთ ურთულეს დარგთან, რომელიც თავისი არსით სინთეზური ხასიათისაა და მოიცავს ხელოვნების თითქმის ყველა დარგს. ამიტომაც მასაც თავისი „ენა“ გააჩნია, რომელიც ზოგად პროგრესთან და მიღწევებთან ერთად ყოველდღიურად მდიდრდება ახალი ცნებებითა და ტერმინებით. „ბუნებრივია, მეცნიერების ენა (ხელოვნების ენაც — ხაზი ჩვენია ი.ლ.) ვერ ელოდება საერთო ენის განვითარების სტაბილურსა და მყარ კანონებს და იგი ხშირად ტერმინის შესაქმნელად საკუთარ გზებსა და საშუალებებს იყენებს, თავისებურად ეპყრობა ენობრივ მასალას, ანაწილებს და ზოგჯერ ფუნქციებს უცვლის ტრადიციულ სიტყვაწარმოებას, ან სიტყვათა მაწარმოებელ აფიქსებს, ხელოვნურად აგებს ტერმინთა მოდელებს, მთელს სისტემებს“ (ლამბაშიძე, 1986, 130).

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ეტიმ. ძიებ., 1987 — ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1997.

იკე, 1960 — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1960.

იკე, 1987 — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1987

მეგრელიძე, 1980 — ი. მეგრელიძე, მცირე თეატრალური ლექსიკონი, თბ., 1980.

მელიქიშვილი, 1999 — დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999.

ნებიერიძე, 2003 — გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2003.

ორბელიანი ს.-ს. 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

რუს-ქართ. დრამ. თეატრ. ხელ. ლექ. 1964 — რუსულ-ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ლექსიკონი, თბ., 1964.

სარჯველაძე, 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995.

ტუსკია, 2004 — მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბ., 2004.

ურუშაძე, 1982 — ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982.

ურუშაძე, 1999 — ნ. ურუშაძე, სახლი სათამაშოი, თბ., 1999.

უცხ. სიტყვ. ლექს. 1964 — უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ., 1964.

ფოჩხუა, 1966 — ბ. ფოჩხუა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1966.

ქეგელ, 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

ქესს, 1996 — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VI, თბ., 1996.

ქესს, 1989 — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, თბ., 1989.

ღამბაშიძე, 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

ღლონტი, 1988 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

ყიფშიძე, 1985 — ი. ყიფშიძე, ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1985.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ჯანელიძე, 1983 — დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1983.

IVLITA LOBJANIDZE

Derivative Theatrical Terms in Georgian

Summary

The Georgian theatrical terms can be divided into simple, derivative and compound. Simple theatrical terms are either of Georgian or foreign origin.

Derivative terms are of three types: they can be formed by means of prefixes, suffixes and confixes.

The most productive of the Georgian derivational affixes are the affixes *oba*, *eba* with an abstract meaning.

From the confixes that form theatrical terms denoting profession (*ma- -e*; *me- -ur*; *mo- -e*; *mo- -ur*) *ma- -e* is most frequently used.

Among the term forming suffixes *-ur/ul*, *-el*, *-iur*, *-eul*, *-del*, *-ion*, the suffix *-ur/ul*, is the most common.

The confix of purpose *sa- -o* is quite frequently encountered in theatrical terms.

The lexemes denoting possession are formed by means of the suffixes *-ian*, *-ovan*, *-osan*.

Specifically theatrical suffixes are *obana/obani*; *-obia*; they form terms denoting theatrical performances.

თავარ ლოგთაჲ

სოციალური დიალექტების ლინგვისტური პრობლემები

სოციალური დიალექტოლოგია განვითარდა ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან და მისი კვლევის საგანი, ძირითადად, არაერთგვაროვან დიდი თუ მცირე ჯგუფების ენობრივი ცვალებადობის მექანიზმის აღმოჩენაა.

სოციალური დიალექტოლოგიის განვითარება უ. ლაბოვის სახელთანაა დაკავშირებული. მეცნიერების ამ დარგის წინსვლა განპირობებული იყო სოციალური პრობლემების გადაჭრის საჭიროებით, რომლებიც ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მზარდი ურბანიზაციის შედეგად წარმოიქმნა.

სოციალურ დიალექტოლოგიაში დიალექტი განიხილება როგორც ლინგვისტური ვარიანტი, რომელიც შეიცავს სტერეოტიპულ თავისებურებებს. მას ახასიათებს „დაბალი“ პრესტიჟულობა, ნაკლებ კოდინფიცირებულობა და გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ არეალში გავრცელებულობა.

ამ ბოლო დროს ევროპული ენების დიალექტურ სახეთა მიმართ გახშირდა ტერმინების — „ვარიანტი“, „ვარიანტულობა“ — ხმარება, რაც უფრო მოსახერხებელია ენა-დიალექტის ლინგვისტური და სოციალური გამიჯვნის სირთულეებისაგან თავის დასაღწევად (ტაბიძე, 2005, 196).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტოლოგიას სერიოზული და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ძირითადად ოდენ ტერიტორიულ დიალექტებს. რაც შეეხება სოციალური დიალექტების კვლევას, ამ მხრივ საქართველოში მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს. არ არის გამოცემული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდეს, არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო.

თუმცა XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან სოციალური დიალექ-

ტების რაობაზე საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც გამახვილდა ყურადღება, რასაც გარკვეული ბიძგი მისცა ნ. მარის თეორიამ ენის კლასობრიობის შესახებ. იგი არსებითად ერთმანეთს უპირისპირებს სალიტერატურო ენასა და ხალხურ (დიალექტურ) მეტყველებას, როგორც ერთი ენის კლასობრივად (სოციალურად) დაპირისპირებულ ორ განშტოებას (მარი, 1934).

„სოციალური დიალექტები, რომლებიც წარმოიქმნა საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად, — აღნიშნავდა ვ. ჟირმუნსკი, — სრულიადაც არ არიან თანაბარუფლებიანი და მათი ურთიერთობა არ იფარგლება მექანიკური თანაარსებობით. ისინი დაკავშირებული არიან რთული ურთიერთქმედების „ეიარაქიული თანადაქვემდებარების საფუძველზე და იმავდროულად ურთიერთშორის ბრძოლითაც, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ეპოქისა და ქვეყნის სოციალური განვითარების ზოგადი მიმართულებით. ამ ურთიერთობის ეროვნული ენა გვევლინება სოციალურ ნორმად, რომელიც გაბატონებულია ყველა სხვა სოციალურ დიალექტზე. რომელიმე საზოგადოების კლასის ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებას შედეგად მოსდევს მისი გაბატონება იდეოლოგიურ სფეროშიც. გაბატონებული კლასის ასეთი კულტურული ჰეგემონია, თავის მხრივ, შეაპირობებს ენობრივ ჰეგემონიას“ (ჟირმუნსკი, 1964).

პოსტსაბჭოურ ეპოქაში მომხდარმა სოციო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა უფრო თვალსაჩინო გახადა სოციალური დიალექტები და გაზარდა მათი ხვედრითი წილი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში; ამიტომაც, მათი პრობლემა თავისთავად ფასეული გახდა სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი), ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით, ანუ ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდევიდი, უმცროსი, 1975).

სოციალური დიალექტების ფუნქციაა, ესა თუ ის სოციალური ფენა გამოარჩიოს სხვათაგან თავისი მეტყველებით (გამპერცი, 1975). ეს მისწრაფება საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლისათვის უპირატესად გააზრებულია და შეგნებული, თუმცა ზოგჯერ ინერტულიცაა; საფუძველი ისაა, რომ საზოგადოების გარკვეული ფენისადმი

ამა თუ იმ პიროვნების მიკუთვნებულობა ზოგ სხვა ფაქტორთან ერთად მეტყველებითაც ვლინდება. ერთ უტყუარად იგრძნობა და წარმოჩინდება საზოგადოებაში არსებული სოციალური პროცესები.

სოციალური დიალექტების წარმოქმნას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებიც, მაგრამ ძირითადი განმსაზღვრელი არის საკუთრივ ენობრივი ტენდენციები, ხოლო გარეენობრივ ფაქტორთაგან — ეროვნული და კულტურული მომენტები.

სოციალური დიალექტები განსაკუთრებით ხელშესახებად იჩენენ თავს ურბანიზაციის პირობებში. ქალაქის ენა არსებითად ყოველთვის დიფერენცირებულია სოციალურ ფენათა მეტყველების მიხედვით. სოციალური ფენა კი უნდა გავიგოთ როგორც ფართო ცნება — იგი მოიცავს პროფესიულ და ასაკობრივ ჯგუფებსაც.

აქედან გამომდინარე, სოციალური დიალექტი ფართო ცნებაა. ამიტომ თანამედროვე ლინგვისტიკაში დამკვიდრდა ტერმინი სოციოლექტი, გერმანულ ლინგვისტიკაში სოციოლექტით აღინიშნება ენის სახესხვაობა ან ჟარგონი, რომელიც ტიპურია რომელიმე სოციალური ჯგუფის ან სამეტყველო ურთიერთობის განმსაზღვრელი სიტუაციის მეტყველებისათვის და ახასიათებს პროფესიულ ან პოლიტიკურ საქმიანობას, მოლაპარაკეთა იდეოლოგიურ პოზიციას და ა. შ.

ფუნქციებისა და აქტივების დიფერენციაციის სხვადასხვაგვარ სიბრტყეთა შორის აუცილებელია მოვახდინოთ პიროვნების ენისა და საზოგადოების ენის, ანუ იდიოლექტებისა და სოციოლექტების განცალკევება. იდიოლექტები და სოციოლექტები ხასიათდებიან ამ ორი სისტემის შემქმნელი პიროვნებებისა და საზოგადოებების თვისებებითა და არჩევით.

ახალი ლექსიკის წარმოქმნის პროცესი იდიოლექტსა და სოციოლექტში, როგორც შედეგი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, პიროვნების, მეორე მხრივ, საზოგადოების თვისებებთან და მოთხოვნილებებთან (ბეჟანოვი, 2000, 21). ე. ი. სოციოლექტი არის ერთ-ერთი სოციალური ჯგუფის ენობრივი თავისებურებების ერთობლიობა.

ლიტმარატურა

ბეჟანოვი, 2000 — ზ. ბეჟანოვი, სოციონეოლოგიზმის წარმოშობის თაობაზე, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 2000.

გამპერცი, 1975 — Д. Гомперц, Типы языковых обществ. НЛ. VII, М., 1975.

მაკდევიდი, 1975 — Р. Н. Макдевид. — мл., Диалектные и социальные разлияня в городом обществе, РЛ., вып. VII, Социолингвистика, М., 1975.

მარი, 1934 — Н. Марр, Яфетическая теория, общий курс учения об языке, избранные работы, Москва-Ленинград, 1934.

ჟირმუნსკი, 1964 — В. Н. Жирмунский, Проблемы социальной диалектологии, изб. АН. СССР, СЛ, т. XXIII, вып. Г. М., 1964.

ტაბიძე, 2005 — მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

TAMAR LOMTATZE

Linguistic Problems of Sociolects

Summary

The paper examines the notion of sociolect and surveys the history of the development of social dialectology.

The works of the Soviet linguists (N. Marr, B. Larin, Zhirmunsky) on social dialectology are analyzed, special emphasis is placed on the post – Soviet epoch and the factors (extralinguistic and linguistic) that conditioned the emergence of sociolects. The importance of linguistic factors, cultural and ethnic aspects is stressed as well.

მაგალითი მარჯვნივ

III სერიის მწკრივთა წარმოება მარჯვნივ

ა) მოქმედებითი გვარი

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი და საერთოდ III სერიის მწკრივები გვიანაა წარმოქმნილი და მას საფუძვლად უძველესი აწმყოს ერთი ტიპის ზმნათა ფორმები. ესაა სტატიკური ვნებითი (შანიძე, 1953, 434-435). მოსაზრებას ამართლებს სამსავე ქართველურ ენაში ზმნათა ამ ორი წყობის განვითარების ერთნაირი ტენდენციები (ნათაძე, 1955, 870).

გარდამავალ ზმნათა წარმოება სპეციალურად შეისწავლა დ. გე-წაძემ და თემის ნიშანთა იგივეობის საფუძველზე ერთხელ კიდევ გა-უსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფუძე შესაბამისი აწმყოს ფუძის იდენტურია (გეწაძე, 1952, 2-8). გამონაკლისს, ამ მხრივ, წარმოადგენს ყველა **ობ** თემისნიშნის ზმნა და **ებ** თემისნიშნის ნაწილი, რომელთაც უმარცვლო ძირი აქვთ. ასეთ ზმნებს წყვეტილში, მესამე პირში **ო** მოუღის პირის ნიშნად (ჩიქობავა, 1944, 126). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ვა-რაუდის თანახმად, ამ ზმნათა ფუძე II სერიის თემამდე დაიყვანება (ჩიქობავა, 1944, 97). ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა ამგვარი ფორმების ახსნისა, სახელდობრ, ვარაუდობენ, რომ წყვეტილის ფუძე ამ ზმნებში მეორეულია და უნდა აიხსნას „ატფობს“ ტიპის ზმნათა ანალოგიით. ისტორიულად უნდა გვექონო-და, ერთი მხრივ, „იპყრობს — უპყრობის“; მეორე მხრივ, „ტფის — განუტფის“ ტიპის ფუძეკუმშვადი ზმნები. ამ უკანასკნელის ანალო-გიით თემის ნიშანი ჩამოსცილდა „უპყრობის“ ტიპის ზმნებსაც და მივიღეთ „უპყრობის“ ფორმა, ე. ი. სავარაუდებელია, რომ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი იმ ფორმებთანაც, სადაც აწმყო დღეს არა ჩანს, ძველად აწმყოს ფუძე იყო გამოყენებული.

ამგვარად, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითისათვის ამოსავალი ჩანს სტატიკური აწმყოს ფუძე (ანდა სტატიკური აწმყოს ყალიბით

გაკეთებული აწმყოს ფუძე), რადგან ყველა ზმნას ხომ თავისი შესა-ბამისი სტატიკური ფორმა არ მოეპოვება (როგორც ცნობილია, სტა-ტიკურ ზმნათა რიცხვი ძალიან მცირეა, სულ 120-მდე) (შანიძე, 1953, 318).

თურმეობითის I-ის კავშირი სტატიკური ზმნის აწმყოსთან ნათ-ლად ჩანს მეგრულშიც. იგი ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის სასხ-ვისო ქცევის ფორმით, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვს, ქართულის მსგავსად, და ეყრდნობა I სერიის თემას ან საწყისს:

ა) ამოსავალია I სერიის თემა:

მარა დორთელი აკა ვა მიძირუნია (ხობ. 50,2) „მაგრამ დაბრუ-ნებული არავინ მინახავს“; მეტი ლერსი ვა გიჭარგ (ხუბ. 341,22) „მეტი ლექსი არ გიწერია“; ზაფანა ვა გიჭკომუნ და პიჯი მექ მერჭუ? (ყიფ. 177,2) „პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რამ დაგწვა?“ გიჭკ-ეფებ, დასურო, სასათულია, უწუთუ (ხუბ. 257,15) „გაგაკეთებიაო, მართლაც, სასწაულიაო, უთხრა“; ქეჩუ ირიფელი, მუთი უძირუნ დო... (ყიფ. 58,9) „უთხრა ყველაფერი, რაც უნახავს და... „დუდი დოუფულუნა (ყიფ. 158,11) „თავი დაუმაღავთ“.

ბ) ამოსავალია საწყისი:

სქანდა ბრელიშა მიტქუალუ (ხუბ. 312,13) „შენთვის ბევრჯერ მიტქვამს“; ეთ სქანი დუდი მიფუტუფუ (ხუბ. 322,17) „ის შენი თავი მიფიცვბია“; ბედნიერი დღას მიფიდირ ენა მავა (ხუბ. 202,24) „ბედ-ნიერ დღეზე მიყიღია მე ესო“; ჩქიმი ცქვვა დოგიჭყაფუ (ხუბ. 341,24) „ჩემი ქება დაგიწყა“; სასათული გუკეთებგ ი კოსია (ხუბ. 257,12) „სასწაული გაუკეთებია იმ კაცსო“; „ის ქდუტალებუ ჩქჩქ ტყასგ (ყიფ. 62,15) „მას დაუტოვებია ჩვილი ტყეში“; გინუჩამგ თე ხენწუფეს ირ სახენწუფოშა (ხუბ. 81,17) „გადაუცია ამ მეფეს ყოვე-ლი სახელმწიფოსათვის“.

მეგრულში გარდამავალი ზმნა I თურმეობითში, აწმყოს მსგავ-სად, I-ლსა და მე-2 პირში მხოლოდითში **ქ** სუფიქსს დაირთავს, მე-3 პირში კი — **ნ**-ს, ხოლო მრავლობითში **თ**-ს I-ლსა და მე-2 პირისა-თვის და **ან**-ს მე-3 პირისათვის; ამათგან **ქ** სუფიქსი მხოლოდ აწმყო-ში გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან (ძ-უნ „დევს“, ჭარ-უნ „წერია“), **თ** ყველა მწკრივში და **ან** რამდენიმე მწკრივში აწმყოს ჩათვლით (ქართულშიც I თურმეობითი პირისა და რიცხვის იმ ნიშნებს იყე-ნებს, რომლებიც აწმყოში იხმარება: მხოლოდითი **ს, ნ, დ, ა; მრ. ან, ედ**), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ I თურმეობითი მეგრულში არა-

თუ აწმყო ფუძეს ეყრდნობა, არამედ ფორმით არის აწმყო (ნათაძე, 1955, 86).

როგორც ვხედავთ, მეგრულში I თურმეობითი გარდამავალი ზმნისა ემთხვევა სტატიკური ზმნის აწმყოს.

ქართული I თურმეობითისა და სტატიკური ვნებითის **•** სუფიქსის შესატყვისად მეგრულში გვევლინება **უ** (ნათაძე, 1955, 90), რომელიც ზმნას I სერიიდან უნდა გადაჰყოლოდა, ხოლო რაც შეეხება ქართული I თურმეობითის დაბოლოების ელემენტს, მას შესატყვისი მეგრულში არ მოეპოვება.

გარდამავალი ზმნის II თურმეობითი და III კავშირებითი ქართულში თავისი შესატყვისი პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილისა და II კავშირებითის რელიტიურ ფორმას ემთხვევა. ასე რომ, ერთმა და იმავე ფორმამ კონტექსტის მიხედვით შეიძლება III სერიის ფორმაც გამოხატოს და მისი შესატყვისი ვნებითის II სერიის ფორმაც.

მეგრულში გადამავალი ზმნის II თურმეობითი და III კავშირებითი, ასევე III პირობითი ისევე იწარმოება I თურმეობითისაგან, როგორც უწყვეტელი, I კავშირებითი და I პირობითი აწმყოსაგან, რითაც მეგრული განსხვავდება ქართულისა და სვანურისაგან.

II თურმეობითი:

თენა ხოლო ნდის დუგურუაფუდუ (ხუბ. 10,2) „ეს კიდევ დევს დაესწავლებინა“; ათე მოსაქვარეში ჩილს დახაშდუ თელას არძო ხოჯეფი (ყიფ. 22,4-5) „ამ დამხმარე კაცის ცოლს მოეხარმა მთლად ყველა ხარი (ხარები)“; ცირას ოზეში მასარეფი კოჩიში დუდით მუუბშაფუდუ (ყიფ. 77,33) „გოგოს ეზოს მესრები კაცის თავით მოეგსო“... არძო ქიგუნწყუაფუდუ ნისორიშა (ყიფ. 22,5) „ყველა დაეწყო გობზე“; ... ნგარა დოუჭყაფუდეს (ყიფ. 150,23) „ტირილი დაეწყო“.

II კავშირებითი:

სქან(ი) ძირათა თეში პილუნს, მიშუმუდას გინდა ბანგი (ყიფ. 109,1) „შენი ნახვა ისე მკლავს, დამელიოს თითქოს საწამლავი (ბანგი)“; ლორონს დუუდუბუდას ჩიჩუაში მაკვილარი (ყიფ. 155,5) „ღმერთს დაედუბოს ჩიჩუას მკვლელი“; სქანი ნტერს ეფერი უძირდას (ყიფ. 34,21) „შენს მტერს ენახოს იმისთანა“; ითამ დიდა დო მუმას უჭარუდას... (ხუბ. 143,17) „ვითომ დედა და მამას დაეწეროს“...

III პირობითი:

მა თაქი თიშენი მოფრთი, ლაზუტი (ლაიტი, ლატი) ქო-მიჰიდირდუკონი (ყიფ. 2,27) „მე აქ იმიტომ მოვედი, სიმიდი რომ მეყიდა“; ფარას ხოლო მერხანდია იშო, დო კოჩი ვაიჰვილუდუკონია (ხუბ. 193,17-18) „ფულს კიდევ მოგცემდი იქეთ და კაცი არ მოგეკლაო“; ლობერი დოგიტახდუკო, ცელი დოგიტახდუკო, კოჩი დოგივილდუკო (ხუბ. 218,5) „ლობე დაგეტება, ცელი დაგეტება, კაცი მოგეკლა“...; გინი იშენი შურო ვა შიილბუდუ ჯორს ქუუხუუდუკო ნი (ცაგ. 54,11) „ხბო სულ არ შეიძლებოდა, რომ ჯორს დაეხადებინა (ემობა)“.

ქართულშიც და სვანურშიც გარდამავალი ზმნის III სერიაში ერთმანეს უპირისპირდება, ერთი მხრივ, I თურმეობითი და, მეორე მხრივ, II თურმეობითი და III კავშირებითი.

ა) I თურმეობითი თავისი ფორმით აწმყოა, II თურმეობითი და III კავშირებითი კი — II სერიის მწკრივები.

ბ) I თურმეობითი თავისი ფორმით სტატიკურია, II თურმეობითი და III კავშირებითი კი — დინამიკური.

მეგრულში II თურმეობითი აშკარად სტატიკური ვნებითის უწყვეტელს იყენებს, ხოლო III კავშირებითი სტატიკური ვნებითის აწმყოს კავშირებითს.

ამგვარად, გარდამავალი ზმნის I თურმეობითი მეგრულში წარმოადგენს ისტორიულად სტატიკური ზმნის სასხვისო ქცევის აწმყოს. II თურმეობითი იგივეა, რაც ამ ზმნათა ვნებითის უწყვეტელი, ასევე III კავშირებითი წარმოადგენს შესატყვისი სტატიკური ვნებითის კავშირებითს. იმ მოქმედებითი გვარის ზმნებთან, რომელთაც სტატიკური ვნებითი არ მოეპოვებათ, III სერიის წარმოებისას არსებული მორფოლოგიური ნორმა გავრცელდა.

მაშასადამე, I თურმეობითის ფორმები მეგრულში, ქართულის მსგავსად, პასიურ წარმონაქმნს წარმოადგენს. პასიურ ფორმებთან კავშირი ნათლად ჩანს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ფორმების წარმოებისას. გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა I თურმეობითის ორივე კომპონენტი ვნებითი გვარის მიმღობა და სტატიკური დამხმარე ზმნა პასიურია. ასევე ხელშესახებია გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმების კავშირი პასიურ ფორმებთან. გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნები მიჭარუ(ნ), მითასუ(ნ) ტიპისა კი ჭარუ(ნ) „წერია“, თასუ(ნ) „თესია“ სტატიკური ვნებითისაგან არის ნაწარმოები.

გასათვალისწინებელი ჩანს შემდეგი გარემოებაც: „...ქართულში მართლაც შეინიშნება მწკრივების მიხედვით აქტიურობა — პასიურობის „ხარისხების“ გარჩევის ტენდენცია, მაგ., წერს და დაუწერია ერთი და იმავე ზმნის ორი ფორმა (აწმყო და I თურმეობითი), ამდენად, თუკი წერს ზმნა მოქმედებითი გვარისაა, მისი პარადიგმაც დაუწერია მოქმედებითი გვარისად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ აშკარაა, რომ დაუწერია ფორმა არ ამჟღავნებს აქტიურობის ისეთ ხარისხს, როგორც წერს ფორმისთვისაა დამახასიათებელი“ (ჯორბენაძე, 1973, 25).

უღლების ნიმუში:

		I თურმეობითი		II თურმეობითი	
მხ.რ.	1.2	მიჭარუ(ნ)	მიწერია	მიჭარულუ	მეწერა
	2.3	გიჭარუ(ნ)	გიწერია	გიჭარულუ	გეწერა
	3.3	უჭარუ(ნ)	უწერია	უჭარულუ	ეწერა
მხ.რ.	1.2	მიჭარუნა(ნ)	გვიწერია	მიჭარულეს	გვეწერა
	2.3	გიჭარუნა(ნ)	გიწერია(თ)	გიჭარულეს	გეწერა(თ)
	3.3	უჭარუნა(ნ)	უწერია(თ)	უჭარულეს	ეწერა(თ)
		III კავშირებითი		II პირობითი	
მხ.რ.	1.2	მიჭარულდას	მეწერო	მიჭარულუკო(ნ)	რომ მეწერა
	2.3	გიჭარულდას	გეწეროს	გიჭარულუკო(ნ)	რომ გეწერა
	3.3	უჭარულდას	ეწეროს	უჭარულუკო(ნ)	რომ ეწერა
მხ.რ.	1.2	მიჭარულან	გვეწეროს	მიჭარულესკო(ნ)	რომ გვეწერა
	2.3	გიჭარულან	გეწერო(თ)	გიჭარულესკო(ნ)	რომ გეწერა(თ)
	3.3	უჭარულან	ეწერო(თ)	უჭარულესკო(ნ)	რომ ეწერა(თ)

ლიტერატურა

გეწაძე, 1952 — დ. გეწაძე, გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III სერიის წევრის ფორმები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი (დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), ქუთაისი, 1952.

ნათაძე, 1955 — ნ. ნათაძე, III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, 1955.

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

ყიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб. 1914.

ჩიქობავა, 1944 — არნ. ჩიქობავა, თურმეობითი I-ის წარმოების ზოგი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944.

ხუბუა, 1937 — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

ჯორბენაძე, 1973 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1973.

MAGULI MARGVELASHVILI

**Formation of the Chunks of Series III in Megrelian
a. Active Voice**

Summary

As is known, Resultative I of transitive verbs and generally the chunks of series III developed later on the basis of static passive of the Present verb forms. The said is testified in all the Kartvelian languages, by the similar tendencies in the development of the given types of verbs.

In Megrelian, historically Resultative I of transitive verbs coincides with the objective version of the static verbs in the Present. Resultative II of the given verbs is the same as their passive form in the Past Imperfect. Subjunctive III corresponds to Subjunctive I of static passive.

The active verb forms with no static passive forms are conjugated according to the above described morphological rules.

In Megrelian the transitive verb in Resultative I, similar to the Present take the suffix **k** in the first and second persons singular, and **n _** in the third person singular. In the plural **t** is the suffix for the first and second persons and **an _** for the third person. The suffix **n** is evidenced only in the Present of intransitive verbs, **t** is encountered in all the chunks, as for **an**, it is testified in several chunks including the Present.

All this proves that in Megrelian Resultative I is not based on the Present form stem, by is Present in its form.

ენის მარჯობა

სახელმწიფო ენა და მისი ფუნქციონირების
სფეროები 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით

თანამედროვე საქართველოს განათლების რეფორმების გატარება ე.წ. ევროინტეგრაციული პროცესების პარალელურად უხდება. ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდის ნაცვლად, წინა პლანზე წამოიწია ე.წ. ევრო-ამერიკულმა საგანმანათლებლო პრიორიტეტებმა, რომელთა მარკირებაც სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია. მართლაც, ე.წ. ევრო-ამერიკული კულტურა და განათლება არ არსებობს. ამ ორ კონტინენტს ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული განათლების სისტემა აქვს. ობიექტურად რომ ვთქვათ, არც საქართველოსთვის დგას არჩევანის საკითხი: თუ აღრე ჩვენთვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის წევრობის ერთადერთ პირობად რუსული ენა მოიაზრებოდა, დღეს ასეთ აუცილებელ პირობად ინგლისურს სახავენ...

დღეს ინგლისურ სასწავლებლებში ბავშვების შეყვანის სახელმწიფო დონეზე პროპაგანდირება (გავიხსენოთ, რომ ყველაზე უბრალო სამსახურის მოვნაც კი შეუძლებელია ინგლისურის გარეშე) ხშირად რუსულით „გატაცების“ ადრინდელ პრაქტიკასაც კი აჭარბებს.

80-იანი წლების პერიოდის მასალამ აჩვენა, რომ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში ქართულს, ძირითადად, რუსული ენა ენაცვლებოდა, ხშირად კი იგი შეუძლებელიც იყო (მაგალითად, საკანონმდებლო აქტების, სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების, დისერტაციებისა და თეზისების ენა მხოლოდ რუსულია).

1991 წელს საქართველო სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოდის და დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა ინსტიტუტის დაფუძნებას იწყებს. ამ მომენტიდან ქართულ ენას პირველად ეძლევა შესაძლებლობა სახელმწიფო ენის როლი რეალურად შეასრულოს, თუმცა ეს არც ისე იოლია, რამდენადაც ქვეყანას ამ დროისათვის უკვე ჰყავს ე. წ. რუსუ-

ლენოვანი მოსახლეობა და რუსულად მომუშავე ორგანიზაცია-დაწესებულებები.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული საზოგადოება უკვე ინტენსიურად ფიქრობს დამოუკიდებლობაზე და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უფლებათა დაცვაზე (რასაც ბიძგი მისცა 1978 წლის 14 აპრილმაც). ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ცხარე დისკუსიები იმართება ქართული ენის განვითარებისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით (ტაბიძე, 2005, 189-192). ამ რიგისაა:

ა) სახელმწიფო ენის სტატუსით ნაგულისხმევი თავისებურებების განსაზღვრა;

ბ) ენის შესახებ კანონის შექმნის აუცილებლობა;

გ) ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

დ) ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს სახელმწიფო ენის გამოყენების სპეციფიკა კულტურის, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დაუბრკოლებელი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია; ამ გზაზე კი განსაკუთრებით საშურია განათლების სისტემაში სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარება. საქართველოში საბჭოთა პერიოდში შესაძლებელი იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ამასთანავე, რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლება — მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე — ჩვენი ქვეყნის ყველა კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ეს საკითხი განსაკუთრებით ხაზგასმულია 1920 წლის საქართველოს კონსტიტუციის პროექტში. მე-14 თავის (რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს) 152-ე მუხლში ვკითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება წარმოებს ბავშვის დედა-ენაზე“ (საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, 1989). შესაბამისად, უკვე 80-იანი წლებისათვის რესპუბლიკის სკოლებში სწავლება წარმოებს რვა ენაზე — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესტონურ, ბერძნულ ენებზე (გ. გუმბარიძის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 19 სექტემბერს, 1989). ამას ჩვენს ქვეყანაში არსებული სკოლების ენობრივი სიჭრე-

ლევ ადასტურებს.

1978 წლის მონაცემებით, მთელ საქართველოში არსებობდა ქართული (2505), რუსული (252), აფხაზური (15), ოსური (195), აზერბაიჯანული (171), ქართულ-რუსული (91), ქართულ-აფხაზური (1), ქართულ-სომხური (10), რუსულ-ქართული (31), რუსულ-აფხაზური (3), რუსულ-ოსური (1), რუსულ-აზერბაიჯანული (2), რუსულ-სომხური (7), აფხაზურ-ქართული (3), აფხაზურ-რუსული (55), ოსურ-ქართული (4), ოსურ-რუსული (54), სომხურ-ქართული (2), სომხურ-რუსული (3), აზერბაიჯანულ-ქართული (4), ქართულ-რუსულ-სომხური (2), აზერბაიჯანულ-რუსულ-სომხური (1), აფხაზურ-ქართულ-რუსული (3), აზერბაიჯანულ-რუსულ-ქართული (1), ოსურ-რუსულ-ქართული (3), ქართულ-ოსურ-რუსული (2), რუსულ-ქართულ-სომხური (2) (საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი, 1980 წ.). (*ცალკე დგას შერეული სკოლების საკითხი: საქართველოში საბჭოთა კავშირიდან „გადმოსული“ წესით არსებობდა ე. წ. შერეული სკოლები: ქართულ-რუსული, სომხურ-ქართული თუ სხვ. მაგრამ ტერმინი „შერეული სკოლა“ აღნიშნავდა არა საგანგებო სასწავლო პროგრამას, არამედ ერთ შენობაში განლაგებულ ორ ან სამ სასწავლებელს (ან კლასს), რომლებიც ჩვეულებრივ ერთენოვანი სკოლების სასწავლო პროგრამით მუშაობდნენ და არა რაიმე განსხვავებულით. ამდენად, შესაძლებელია ე. წ. შერეული სკოლების მითვლა შესაბამის ერთენოვან სკოლებთან (იხ. ტაბიძე, 2005, 90). მიუხედავად ამისა, არაქართული მოსახლეობის უმრავლესობა და ქართველების დიდი ნაწილი განათლებას რუსულ სკოლაში იღებს. თვალსაჩინოებისათვის თბილისის ერთი რაიონის მაგალითს დავასახელებთ:

ოქტომბრის რაიონში 1989 წელს 6 რუსული და 1 ქართულ-რუსული სკოლა იყო, სადაც 26 ეროვნების მოსწავლე სწავლობდა. ამ რაიონში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათაგან რუსულ სკოლებში სწავლობდა სომხების 88%, იეზიდების 80%, აზერბაიჯანელთა 98%, ქურთების 99%, ებრაელთა 85%, ოსების 48%, ასირიელთა 93%, უკრაინელების 94%, ბერძნების 73%. ის ერები, რომლებიც მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, ასევე რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. რუსი ეროვნების ბავშვები რუსული სკოლის მოსწავლეების მხოლოდ ცხრამეტ-ნახევარ პროცენტს შეადგენდნენ. ფაქტობრივად, რუსული საშუალო სკოლები არარუსი ბავშვებისათვის ფუნქციონირებდა.

რეზიდა. ეს პრობლემა ხშირად ქართულ მოსახლეობას უფრო შეეხებოდა, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენლებს. რუსი და ქართველი მოსწავლეების შეფარდებითი სტატისტიკა ასეთია:

მე-3 სკოლა: 15 — ქართველი, 11 — რუსი;

მე-20: სკოლა: 147 — ქართველი, 106 — რუსი;

38-ე სკოლა: 68 — ქართველი, 40 — რუსი;

მე-2 სკოლა: 86 — ქართველი, 377 — რუსი (ჭიპაშვილი, 1989).

ამდენად, რუსულ სკოლებში რუსი ეროვნების ბავშვები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდნენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ქ. ზუგდიდი, სადაც თხუთმეტი საშუალო სკოლიდან (8 ათასი მოსწ.) ოთხი რუსულია, სადაც 1635 ბავშვი სწავლობს, აქედან — 1251 ქართველია (კალანდია, 1988). გარდაბნის რაიონში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 21682-ია. რაიონის 27 ქართულ სკოლაში 7657 მოსწავლეა, 15 აზერბაიჯანულ სკოლაში — 8541, 9 რუსულ სკოლაში — 3929, ხოლო 5 ქართულ-რუსულ სკოლაში — 1565 (აქედან ქართველია 851) (ყავლაშვილი, 1989). გალის ერთ-ერთ ბაგა-ბაღში სულ 206 აღსაზრდელია, აქედან 70 პროცენტია ქართველი, დანარჩენი კი რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბერძენი და ა. შ. (გამსახურდია, 1989). ასევე წალენჯიხის რაიონის ქ. ჯვარში საბავშვო ბაღის 11 ჯგუფიდან მხოლოდ 2 არის ქართული... რუსულ ჯგუფებში უმეტესობა ქართველია. რუსულ საშუალო სკოლაში კი, 52 პირველკლასელი მოსწავლიდან 36, ე. ი. ნახევარზე მეტი, ქართველი აღმოჩნდა (ბაქრაძე და სხვები, 1988). ამ ვითარებას ქართველი მშობლები რუსულ ენის „მაღალი პრესტიჟით“ ხსნიან. სწავლების ენის არჩევას ისინი პრაგმატული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. სახელმწიფო მოწყობა მათ ქართული ენისა და ქართველობის უპერსპექტივობაში არწმუნებდა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა გაცილებით იოლი იყო, ამიტომაც „ქართველი მოსახლეობის მორალურად სუსტ ნაწილს საქართველოს ყველა რეგიონში სტიმული ექმნება, რომ შვილები არამშობლიურ სკოლაში შეიყვანოს“ (საქართველოს სახალხო ქარტია, 1989).

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

1. რუსული სკოლის ერთ-ერთი ქართველი მოსწავლის მშობელი ასე მსჯელობს: „რუსულს მეტი უპირატესობა და გასაქანი აქვს. ინსტიტუტშიც რუსეთში ჩააბარებს. ჩვენ ბევრი ფული არა გვაქვს, იქ

კი უფრო ადვილია მოხვედრა... ქართულს, როგორც ამჟამად ამბობენ, „ვიწრო“ სარბიელი აქვს. საქართველოს გარეთ არაფერში არ გამოვადგება. მე კი მირჩევნია, ჩემი შვილი რომელიმე კარგ სასწავლებელში ჩაირიცხოს, იქ დამთავრებულბესაც მეტი უპირატესობა გააჩნიათ, მეტი ცოდნა და ერუდიცია აქვთ.

2. მეორე მშობელი ამბობს: „მე თუ მეიტხავთ, მაინცდამაინც აუცილებელი არაა ქართველი ბავშვი, გინდა თუ არა, ქართულ სკოლაში სწავლობდეს. ის მშობლიურ ენას მაინც არ დაივიწყებს. ყველა ადამიანს, ყველა ოჯახსა და მშობელს რაღაც მიზანი აქვს ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი შვილიც რუსულ სკოლაში მიგვყავს. როცა ბავშვი ქართულ სკოლაშია, სხვა ენებს დიდი ყურადღებას არ აქცევს, უფრო ქართულისკენ აქვს მიპყრობილი გულისყური. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე მიზანშეწონილად მიმაჩნია შვილების რუსულ სკოლაში წაყვანა... საქმეს ასე აწყობს და ჩემი გადაწყვეტილება... უდავო და მტკიცეა (ვის უხმობს ზარი?, 1988).

ქართველი საზოგადო მოღვაწეები მოითხოვენ სახელმწიფომ დაიცვას ბავშვის უფლება — მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე: „სახელმწიფომ, თავისი კანონით, დაიცვას ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი ნამდვილი სახე ყოველგვარი უნებლიე თუ შეგნებული ძალადობისა და ფალსიფიკაციისაგან, დაიცვას ბავშვი, თუნდაც საკუთარი მშობლებისაგან“, — წერს თამაზ ჭილაძე და გთავაზობს, დაწესდეს — განსაკუთრებით, ზოგიერთ მცირერიცხოვან რესპუბლიკაში — ბავშვის დედაენაზე აუცილებელი სწავლების სტატუსი (ჭილაძე, 1989). ამ აზრს სხვებიც იზიარებენ: „ერთმა უჭკუომ რომ თქვას, მშობლიური ენის არჩევანი პიროვნების პერეოგატივია, ათასმა ჭკვიანმა უნდა უთხრას, რომ ის პიროვნების კი არა, სახელმწიფოს პერეოგატივია“ (ფაცაცია, 1989).

მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მართლაც რომ საფრთხის ქვეშ იდგა. 70-იან წლებში იყო მცდელობა ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საგნების სწავლება რუსულ ენაზე შემოედოთ. 1976 წელს საქართველოს განათლების მინისტრი წერდა: „ზუგდიდის სასოფლო სკოლა-ინტერნატში ... უკვე მე-5 კლასიდან ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზკულტურის გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდება“ (ჯაფარიძე, 1988). აფხაზეთში „...მეხუთე კლასიდან დაწყებული ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება“ (თოფურია, 1989). იგივე საფრთხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც

შეეხო: „ასე მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალისტურ ვალდებულებად კისრულობდა, სასწავლო საგნების რუსულ ენაზე წაითხვას და „წამყვანი სპეციალისტების“ გარედან პერიოდულ მოწვევას. უმაღლესი სკოლის ყველა სახელმძღვანელო რუსულად უნდა გამოქვეყნებულიყო, ქართულად გამოცემის უფლება მოსკოვს უნდა გაეცა“ (თოფურია, 1989).

მსგავსი პრობლემები არც დღევანდელი საზოგადოებისათვის არის უცხო. იმ განსხვავებით, რომ რუსულ ენას ინგლისური ჩაენაცვლა, რუსეთის უმაღლეს სკოლებს კი — საზღვარგარეთის პრესტიჟული (ან ფსევდოპრესტიჟული) სასწავლებლები. თბილისში უკვე გაჩნდა ინგლისურენოვანი სასწავლებლები. მაგალითად, კავკასიის ბიზნესსკოლა, სადაც სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს; ამერიკული აკადემია თბილისში — სწავლება ინგლისურ ენაზე (მიიღებიან ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები); შავი ზღვის უნივერსიტეტი — სწავლება ინგლისურ ენაზე; ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი — სწავლება ინგლისურ ენაზე; კავკასიის უნივერსიტეტი — სწავლება ასევე ინგლისურ და ქართულ ენებზე; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი — სწავლება ასევე ინგლისურ და ქართულ ენებზე (ქართულად მხოლოდ ორიოდ საგანი); ამ ორ უკანასკნელ სასწავლებელში მაგისტრატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზეა. გვხვდება გერმანულენოვანი და ფრანგულენოვანი სასწავლებლებიც, მაგალითად, ფრანგული ლიცეუმი, სადაც სწავლება მიმდინარეობს როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე; გოეთეს ინსტიტუტი — სწავლება გერმანულ ენაზე.

საქართველოში არაქართული სასწავლებლებისა და არაქართული უმაღლესი სასწავლებლების მომრავლება სულ მოკლე ხანში საქართველოს ქართულად განსწავლული ინტელიგენციის გარეშე დატოვებას უქადის.

თავის დროზე ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის ცხარე კამათი (და კონფლიქტიც) გამოიწვია ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნაცვლად ნიკო მარის მიერ მთელი ამიერკავკასიისათვის ერთი რუსული უნივერსიტეტის გახსნის შემოთავაზებამ. კიდევ უფრო ადრე ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ქართველ ერს ქომაგი ესაჭიროებოდა ქართულად განსწავლული ინტელიგენციის სახით. ასე რომ, ამ საკითხებზე წესით დღეს სჯა-ბაასის გამართვა არც უნდა იყოს საჭირო. მით უფრო, რომ უცხო ენათა ხარისხიანად შესწავლა

კარგად აწყობილმა განათლების სისტემამ უნდა მოახერხოს. ამის პრაქტიკა ჩვენში დიდი ხანია არსებობს: საქართველოს სკოლებში ჩვეულებრივია უცხო ენათა გადრმავებული სწავლება. დღეს საქართველოში 255 სკოლაა, სადაც გადრმავებულად ისწავლება ინგლისური ენა;

77 სკოლაში — გერმანული;

35 სკოლაში — ფრანგული;

43 სკოლაში — რუსული.

აქედან თბილისში ასეთი ვითარებაა: 138 სკოლაში — ინგლისური, 36-ში — გერმანული, 13-ში — რუსული, 8-ში — ფრანგული, 1 სკოლაში — უკრაინული, 1-ში — ესპანური, 1-ში — იტალიური, 1-ში — ბერძნული, 1-ში — პოლონური, 1-ში — თურქული, 1-ში — სპარსული, 1-ში — არაბული, 1-ში — ებრაული.

ეროვნულ უმცირესობათათვის დღესაც არსებობს:

14 — რუსული,

3 — სომხური,

1 — აზერბაიჯანული,

1 — უკრაინული სკოლა.

ფუნქციონირებს შერეული სკოლებიც:

39 — ქართულ-რუსული;

5 — რუსულ-სომხური;

1 — რუსულ-აზერბაიჯანული.

ლიტერატურა

ბაქრაძე და სხვები, 1988 — ა. ბაქრაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. კიკნაძე და სხვები, ჩვენ გვიხმობს ზარი!..., ახალგაზრდა კომუნისტი, № 129, 27, 1988.

გამსახურდია, 1989 — ი. გამსახურდია, დაფიქრება გემართებს, სახალხო განათლება, № 36, 9. VIII, 1989.

გუმბარიძე, 1989 — გ. გუმბარიძის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 19 სექტემბერს, ახალგაზრდა კომუნისტი, № 113, 23. IX, 1989.

ვის უხმობს ზარი?... 1988 — ვის უხმობს ზარი?... ახალგაზრდა კომუნისტი, № 123, 13. X, 1988.

თოფურია, 1989 — პ. თოფურია, ორენოვნობის ბუნება ანუ

რამდენ ენაზე ვილაპარაკოთ?, ლიტერატურული საქართველო, № 5, 3. II, 1989.

კალანდია, 1988 — ზ. კალანდია, სანამ ილია ზუგდიდს ჩამობრძანდება..., ლიტერატურული საქართველო, № 45, 4. X, 1988.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, 1989 — საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, სახალხო განათლება, № 25, 24. V, 1989.

საქართველოს სახალხო ფრონტის ქარტია, 1989 — საქართველოს სახალხო ფრონტის ქარტია, სახალხო განათლება, № 29, 21, VI, 1989.

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი, 1980 — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი, თბ., 1980.

ტაბიძე, 2005 — მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, „ქართული ენა“, თბ., 2005.

ფაცაცია, 1989 — გ. ფაცაცია, ჩვენ გვიხმობს ზარი..., ახალგაზრდა კომუნისტი, № 149, 12. XII, 1989.

ყავლაშვილი, 1989 — ნ. ყავლაშვილი, თავისუფალეა სკოლას, სოფლის ცხოვრება, № 239, 18. X, 1989.

ჭილაძე, 1989 — თ. ჭილაძე, სფინქსის აჩრდილი, ლიტერატურული საქართველო, № 28, 14. VII, 1989.

ჭიბაშვილი, 1989 — ნ. ჭიბაშვილი, მცირე მოსაზრებანი დიდ საკითხზე ანუ ეროვნული სენის ზოგიერთი მიზეზი და შედეგი, ახალგაზრდა კომუნისტი, № 149, 12, XII, 1989.

ჯაფარიძე, 1988 — რ. ჯაფარიძე, საგნებს თავისი სახელი დავარქვათ, თბ., № 148, 18. VI, 1988.

NINO MARKOZIA

მანა ზარდანი

**State Language and the Spheres of its Functioning
According to the Press of the 80s**

Summary

Education reforms in present day Georgia are parallel to Eurointegration processes.

Consideration of the experience of the recent past is essential for the present day education policy.

The study of the press of the 80s has proved that in the Soviet period in state and public bodies, in cultural and educational spheres the Georgian language was replaced by Russian. In some spheres Russian was irreplaceable – for instance, the language of legal acts, official documents, dissertations was Russian. In 1991 Georgian gained its independence and the formation of institutions typical of an independent country was under way. However, it was not an easy question to settle, because a large amount of Georgia's population was Russian-speaking, Russian was the working language of a number of organizations.

Intensive discussions on the issues of the Georgian language are characteristic of the press of the 80s, some of the vital issues are as follows:

1. Determining the status, and the traits associated with the status of a state language.
2. necessity of making a law on the state language.
3. working out a state programme on the Georgian language.
4. Promoting functioning of Georgian in various administrative and social spheres of the country.

მიმართვის ფორმები ბრიტანულ საბაზეთო სათაურებში

ბრიტანული საგაზეთო სათაურები გამოირჩევა მიმართვის ფორმების მრავალფეროვნებით, რომელიც, ჩვენი აზრით, ფრიალ საინტერესოა.

კვლევის საგანს წარმოადგენს საკუთარი სახელები, კერძოდ, ანთროპონიმები.

უნდა აღინიშნოს, რომ სათაურებში პირთა სახელები ძირითადად რეგალიების გარეშეა მოცემული, სამაგიეროდ, თავად ტექსტებში იშვიათია პიროვნების მოხსენიება მხოლოდ გვარით (მით უფრო, სახელით).

ჩვენი დაკვირვებით, სათაურებში ანთროპონიმთა გამოყენების შემდეგი შემთხვევები აღინუსხება:

1. ძალიან იშვიათი იყო გვარის წინ სატიტულო სიტყვის ხმარების შემთხვევები:

Sir Paul is hurt by Mary's marital woes.

(The Sunday Telegraph, 10, 2005)

Lady Thatcher declares her support for Euro.

(The Daily Telegraph, Mar. 18, 2005)

Enough reforms, says **Lord Woolf**. (The Daily Telegraph, Feb.8, 2005)

2. უიშვიათესია სახელი და გვარი ერთად:

Jackie Ashley meets **Ed Balls**, chief economic adviser to the treasury.

(The Guardian, Nov.4, 2002)

Alastair Campbell is back and this time it's personal.

(The Daily Telegraph, Feb.9, 2005)

Liam Fox joins Tory leadership race with pledge to heal a 'broken society'.

London is just capital for **Woody Allen's** new film.

(The Times, May 13, 2005)

3. მარტო სახელი:

Diana betrayal is blamed for florist's blaze.

(The Daily Evening, Dec.2, 2002)

Charlotte's killer get life but refuses to say where her body is.
Charles splashes out on **Camilla** and gardens.
(The Daily Telegraph, Feb.8, 2005)

First place for **Victoria** after kidnap plot shock.
(The Daily Evening, Nov.4, 2002)

Kylie: I'll back soon. (The Daily Telegraph, May 20, 2005)
Suzy's body is 'under patio'. (The Daily Evening, Dec.2, 2002)

4. მარტო გვარი

Soros offers to meet attacker.

Taylor takes over in Liberia.

Pipe and **Moor** found guilty. (The Daily Telegraph, Feb.18, 2005)

Clark to expel child refugees. (The Sunday Times, Feb.6, 2005)

Howard promises 7 a week pension increase.
(The Daily Telegraph, Feb.18, 2005)

გრამატიკული თავისებურებანი:

• წარმოდგენილია გვარები საერთო ბრუნვაში:

Blair links benefits to social behaviour.

Arafat escapes his third 'last stand' and chains victory.
(The Daily Telegraph, May 2, 2002)

Rice offers France the hand of friendship.
(The Daily Telegraph, Feb.9, 2005)

Schroder tries to kick-start Germany.
(The Daily Telegraph, March 18, 2005)

Lavingstone has plans for a windy city.
(The Sunday Times, Feb.13, 2005)

• გვარები კუთვნილებითის ფორმით —'s აპოსტროფით:
Churchill's escape gun fetches. (The Daily Telegraph, May 2, 2002)

Putin's quest for power harming Russia.
(The Financial Times, Aug.34, 2004)

Prescott's 'first resort is to demolish homes.'
(The Daily Telegraph, Feb.8, 2005)

Campbell's return sparks 'dirty tricks'.
(The Sunday Times, Feb.6, 2005)

შესაძლებელია, დავადგინოთ შეფასების ფორმები ან გარკვეული პრინციპები ამა თუ იმ პირის სახელით, გვარით, ტიტულით, ბატონობით ან სახელითა და გვარით მოხსენიების თვალსაზრისით. კერძოდ:

1. მარტო სახელით უპატივცემულობაა გადმოცემული (მაგ., სადამისა და როჯის (სამხრეთ კორეის პრეზიდენტის) მიმართ უპატივცემულობის ნიშნად მათ მხოლოდ სახელებით იხსენიებენ):

Saddam's snub on missiles. (The Daily Mail, Feb.21, 2003)

Roh blocks call for S Korean funding inquiry.
(The Financial Times, Nov.26, 2003)

2. მხოლოდ სახელი სიყვარულის, მეგობრობის, პატივისცემის ნიშანია ან სახელით მიმართვა (მათ შორის კნინობითი) პიროვნებისადმი უშუალო და თბილ დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგ.:

Camilla did look good. (The Sunday Telegraph, April 10, 2005)

Hillary hobbled by return of the loudmouth.
(The Sunday Times, Feb. 6, 2005)

Nigerian superstar **Fella** dies.

I want to be PM, says **Cherie**. (The Sunday Times, Feb.13, 2005)

McCrocodile and **DI's** Rock. (The Daily Mail, July 15, 1997)

Condi comes over all coquettish. (The Daily Telegraph, Feb. 7, 2005)

3. მხოლოდ სახელით მიმართვა შეიძლება იყოს ირონიის ან დაცინვის ნიშანი:

Saddam's yacht sunk. (The Daily Telegraph, Mar.18, 2003)

Charles cannot marry at Windsor Castle.
(The Daily Telegraph, Feb.8, 2005)

4. ტიტული ოფიციალურობის ნიშანია; მაგ.:

Enough reforms, says **Lord Woolf**.

5. მსაზღვრელებით; მაგ:
Charitable Charles. (The Daily Mail, Feb. 21, 2003)

6. ფამილიარული მიმართვა: Hallo **Bush**!

7. მიმართვა ბატონობით: A few truths on pensions, **Mr. Blunket**.
(The Times, May 13, 2005)

'Boring' **Mrs Blair** forgets which country she's in.
(The Daily Telegraph, Feb.8, 2005)

Miss Kidman plays hitman. (The Daily Evening, Feb.26, 2003)

8. ოფიციალურ პირებს მხოლოდ გვარებით იხსენიებენ:
Bush and **Clinton** join battle in Florida.

Netanyahu will join cabinet if election called.

(The Guardian, Nov.4, 2002)

Putin oil pledge to **Bush**. (The Financial Times, Aug.24, 2004)

Thatcher planned to change for library use. (The Times, Jan.1, 2001)

Sharon escapes censure over finance claims.

(The Daily Telegraph, Feb.18, 2005)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელები, კნინობითი სახელები, მეტსახელები კონოტაციის გამოსახატავად გამოიყენება. ბრიტანულ გაზეთებში, ძირითადად ტაბლოიდებში გამოიყენება ენის არანორმატიული ლექსიკა, რაც პიროვნების სახელებით ან მეტსახელებით მოხსენიებაში ვლინდება.

ლიტერატურა

ტაბიძე, 1993 — მ. ტაბიძე, სემანტიკური გაფართოება-დავიწროების პროცესები ქართულ საკუთარ და საზოგადო სახელებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1993.

ტაბიძე, 1993 — მ. ტაბიძე, ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელების მოტივაციისა და სტრუქტურის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, მეცნიერება, თბილისი, 1989.

MAYA MARGHANIA

The Forms of Address in British Newspaper Headlines

Summary

The paper deals with various forms of address - Christian names, family names, nicknames, titles, full names etc. - encountered in British newspaper headlines. The means in question show various attitudes towards the people addressed. They might be the sign of respect, familiarity, love or friendliness.

თეონა ნიჟარაძე

მეტაფორების კლასიფიკაცია მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით

დასავლურ ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საკითხი, თუ რა სიხშირით გამოიყენება მეტაფორები ყოველდღიურობაში, რის მიხედვითაც გამოიყოფა მეტაფორების სამი ძირითადი ტიპი: მკვეთრი (kühne), მდგრადი (etablierte) და ლექსიკალიზირებული (lexikalisierte).

საუბარია მკვეთრ მეტაფორაზე, თუ მათ მიეკუთვნება შემდეგი ნიშნები: პოეტურ ტექსტებში გამოყენება, სიახლე, ხატოვანება, უჩვეულო ზემოქმედება. ასეთი მეტაფორების ამოცნობა მხოლოდ კონტექსტშია შესაძლებელი. მათი ცალკე გამოყენების შემთხვევაში რეციპიენტი მთლად ადეკვატურად ვერ აღიქვამს მას, რამდენად აუცილებელია მეტაფორების გარემოცვა, რათა ისინი სწორად იქნას აღქმული. [ვაინრიხი, 1983, 317-320].

მდგრადი მეტაფორები ხშირად გამოიყენება საქმიანი ხასიათის ტექსტებში. ისინი შეიძლება შეგვხვდეს პრესაში, სხვადასხვა სპეციალურ ტექსტებში. ასეთი მეტაფორები არ მოქმედებენ ისე უჩვეულოდ და მკვეთრად, როგორც პირველი ტიპი. ისინი ფლობენ ხატოვანებისა და სიახლის ნაკლებ ხარისხს, მაგრამ კონტექსტის არსებობა ასევე აუცილებელია ამგვარ მეტაფორათა ადეკვატური აღქმისათვის.

ლექსიკალიზირებული, ანუ გაცვეთილი, გაუფერულებული მეტაფორები გამოიყენება ყოველდღიურ საუბრებშიც, სპეციალურ ლიტერატურაშიცა და პრესაშიც. ისინი არ ფლობენ იმ სიმკვეთრეს და ხატოვანებას, რაც დამახასიათებელია პირველი ორი ტიპის მეტაფორებისათვის. ისინი ძლიერ შთაბეჭდილებასა და ზემოქმედებას ვერ ახდენენ მეტაფორის მიმღებზე. ლექსიკალიზირებული მეტაფორებისათვის არ არის დამახასიათებელი სიახლის ნიშანი. ასეთი მეტაფორების გამოყენება კონტექსტს არ მოითხოვს. [ლიბერტი, 1922, 5]. თა-

ნამედროვე ლექსიკოლოგიაში მეტაფორა განიხილება, როგორც ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების საშუალება და მეტაფორის ლექსიკალიზაცია წარმოადგენს სწორედ მნიშვნელოვან სემანტიკურ პროცესს. [სტებანოვი, ჩერნიშევა, 1962, 161-164].

პ. პაული ენას „დამკვირვებელი მეტაფორების ჰერბარიუმს“ უწოდებს (ლევანდოვსკი, 1994; 709). მეტაფორების სიკვდილი არ ნიშნავს იმას, რომ ენა ღარიბდება ან ნაკლებად ცხოველმყოფელი ხდება. ჰემპერი ამ პროცესს აუცილებლადაც თვლის. ახალი მეტაფორები ენაში მუდმივად წარმოქმნება. ისინი რომ ყველა ცოცხლობდეს, მაშინ ჩვენს აზროვნებას ძლიერად შეაფერხებდა. ენაში სიტყვების დიდი ნაწილი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მარტივად უნდა იქნას გამოყენებული ხალხის მიერ, რადგან ენის უტილიტარული მიზანი ამას მოითხოვს (ჰემპერი, 1980;144)

ყოველ მეტაფორას თავისი ისტორია აქვს. წარმოქმნის დასაწყისში ისინი მოქმედებენ მკვეთრად, ხატოვნად. მათთვის დამახასიათებელია სიახლის ნიშანი. მაგრამ მუდმივი ხმარების შედეგად, ისინი იცვითება, უფერულდება, გადაიქცევა ლექსიკალიზირებულ მეტაფორებად და შედის ენის ლექსიკურ შემადგენლობაში.

გერმანული ლექსიკის განვითარების პროცესს თუ დიაქრონიულ ჭრილში განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ ძალიან ბევრი სიტყვა მეტაფორული გამოყენების საფუძველზეა წარმოშობილი. მაგალითად, კლიმანი იკვლევდა მეტაფორებს, რომლებიც აზროვნების სფეროს მიეკუთვნებოდა და დაადგინა, რომ ლექსიკალიზირებული ზმნური მეტაფორები, რომლებიც დღესდღეობით ძალიან ხშირად გამოიყენება სააზროვნო პროცესების აღსანიშნავად და არ აღიქმება როგორც მეტაფორები, ეფუძნება გადატანის პროცესებს. მაგალითად, მას მოჰყავს ზმნა „begreifen“. დღეისათვის ეს ზმნა გამოიყენება როგორც **verstehen, erkennen, merken** ზმნების სინონიმად, ანუ ემსახურება აზროვნების პროცესის აღნიშვნას. ადრე ეს ზმნა აღნიშნავდა ხელის ტაცებას. საქმე ეხებოდა პრაქტიკულ მოქმედებას, ხელით სინჯვის მოძრაობებს, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა ინფორმაციის მიღება ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე. ზმნის ამჟამინდელი მნიშვნელობა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: როცა ადამიანი ხშირად სინჯავდა ამა თუ იმ საგანს, ის იღებდა სრულ წარმოდგენას მოცემული საგნის გამოყენების სფეროზე: ფორმაზე, ფუნქციაზე, ფერებზე და შედეგად

მოცემული ზმნა აღნიშნავს სააზროვნო პროცესს. იგივე ვითარება გვაქვს შემდეგ ზმნებში **erfassen, aufnehmen, festhalten, ableiten** და ა.შ.

მოცემულ მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია შევიმუშაოთ მეტაფორის განვითარების სქემა: ახლადწარმოქმნა — გარდამავალი სტადია — ლექსიკალიზაცია. ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტაფორა თავიდან შემოქმედებს ხატოვნად, ხოლო შემდეგ თანდათანობით სიმკვეთრიდან გადაიქცევა უფერულად. მაგრამ მეტაფორის განვითარების პროცესი ამ სქემას ყოველთვის არ შეესაბამება. ერთ კონტექსტში მეტაფორული სიტყვა მრავალჯერ რომ იქნეს გამოყენებული, მაინც მეტაფორად რჩება. მას გააჩნია ესთეტიკური თვისება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის მკითხველს განაცდევინებს სიახლის შეგრძნებას. ზოგჯერ ლექსიკალიზირებული მეტაფორა, რომელიც გამოყენებული იქნა განსაზღვრულ კონტექსტში, მოქმედებს მკაფიოდ და ხატოვნად, თითქოსდა მიმდინარეობს რემეტაფორიზაცია.

განხილული კლასიფიკაციის ნაკლოვან მხარედ ითვლება ის, რომ მეტაფორათა სამ ტიპად განაწილებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ აღქმას და ენობრივ თვითშეგნებას, რომელიც იმ საზოგადოების კულტურასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ადამიანი მიეკუთვნება, რომელმაც აღიქვა, ან კვლავ წარმოქმნა მეტაფორა. მოცემულ კლასიფიკაციაში არ არსებობს მკაფიო პარამეტრები, რომლის მიხედვითაც მეტაფორას მივაკუთვნებდით ამა თუ იმ ტიპს. უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორის ლექსიკალიზაცია რთული განსასაზღვრია. მათი კლასიფიცირება ენაში გამოყენების სინთეზის მიხედვით და მათთვის მკაფიობის ან გაფერმკრთალების ხარისხის მინიჭება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით თუ ვიყენებთ არა მშობლიურ, არამედ უცხო ენის მეტაფორებს.

ლიტერატურა

ჰემპერი, 1980 — Hemper H. Bedeutungslehre und allgemeine Sprachwissenschaft. Guntner Narr Verlag. Tübingen. 1980.

ლევანდოვსკი, 1994 — Lewandowski Th. Linguistisches Wörterbuch 2 UTB Für Wissenschaften. Eine Arbeitsgemeinschaft der Verlage Quelle & Meyer Heidelberg, Wiesbaden, 1994.

ლიბერტი, 1922 — Liebert W. Metaphernbereiche der deutschen All-tagssprache. Kognitive Linguistik und die Perspektiven einer kognitiven Lexikographie. - Frankfurt am Main: Peter Lang Verlag, 1992.

სტეპანოვა, ჩერნიშევა, 1962 — Степанова М.Д. Чернышева И.И. Лексикология современного немецкого языка. Москва. Высшая школа, 1962.

ვაინრიხი, 1983 — Weinrich H. Semantik der kühnen Metapher//Theorie der Metapher. - Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1983.

TEONA NIZARADZE

Classification of Metaphors According to the Frequency of their Usage

Summary

The frequency of usage of metaphors in everyday speech is a very important question in linguistics. According to their usage metaphors are divided into three main types: bold, static and lexicalized. The shortcoming of the classification is that it is based on subjective perception, i.e. there are no precise parameters for including metaphors into any of the given types.

მარინა სიორიძე

კონცეპტების – „ჭარი“, „ცხელი“, „მიწა“ – კულტურის სიმბოლარიზმი ფრანგულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

ცეცხლი მზის, ელვის, მიწის, სამჭედლოსი — სიმბოლიკა ელემენტისა, რომელიც წვავს: ეს არის, უწინარეს ყოვლისა, განწყენდა, გასუფთავება, სინათლე, ვნება და დესტრუქციაც იმავდროულად.

როგორც მზე, ასევე ცეცხლიც, მისი მატერიალური სუბსტიტუტი დედამიწაზე, გამანაყოფიერებელი და განმწყენდი; ის ანათებს და მისი ალი სულიერი აღტყინების სულიერი გამოსახულებაა, მაგრამ მისი ნეგატიური ვერსიის თანახმად, ის შთანთქავს და ანადგურებს. დესტრუქცია, ამისდა მიუხედავად, შეიძლება ჩაითვალოს რეგენერაციის სინონიმად.

ცეცხლის მიღმა ვხედავთ დროს: მზის ელვარებას, სიკაშკაშესა და მცხუნვარებას ცვლის ღამის ცეცხლი. მფარველი ცეცხლი ანათებს და ათბობს, ქმნის სივრცეს, რომლის წინაშე უძლურია ღამე, შიში და სიცივე.

ცეცხლის დამლუპველი ასპექტი განპირობებულია მისი დემონური თვისებების გაყენებით. ის, როგორც მოუთვინიერებელი „ცხოველი“ აღმდგარია ყველაფრის გასანადგურებლად. ჯოჯოხეთის ცეცხლი თავის დესტრუქციულ ენერგიაში ავლენს უხსოვარი დროის აულაგმაობას, უმოწყალობას. ეს ველური ცეცხლი უპირისპირდება „მოშინაურებულ“, სიმშვიდის მომგვრელ ცეცხლს, რომლის ირგვლივ სიცოცხლე იბუდებს. ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის თანახმად, კონცეპტ „ცეცხლის“ სიმბოლიკა ფრანგულ ლინგვოკულტუროლოგიაში შემდეგნაირად აისახა:

შთაგონება: le feu du génie — გენის ცეცხლი;

სიტკბო-სიამე: avoir le dos au feu — განცხრომა, სიამოვნება;

ღვთაებრივი ენერგია: avoir le feu sacré pour le travail — ხელებიდან ცეცხლი გამოსდის;

ზეიმი: le feu d'artifice (feu de joie) — სიხარულის ცეცხლი, ფეიერვერკი;

ვნება: être tout feu (tout flamme) — ვნებამოდებული, ვნებით შეპყრობილი;

თავგანწირვა: se jeter dans le feu pour qn — ვინმესთვის ცეცხლში ჩავარდნა.

საფრთხის მოლოდინი: sentir le feu sous les pieds — ცხოვრება როგორც ვულკანზე.

რისკი: jouer avec le feu — ცეცხლთან თამაში.

სიყვარულის დაგვირგვინება: couronner la flamme, les feux, le feu — გვირგვინის დადგმა, ჯვრის დაწერა.

მიზანსწრაფვა: être de feu pour qch — გულანთებული, დიდი სურვილით შეპყრობილი.

გულადობა, მამაცობა: aller au feu — ბრძოლაში წასვლა.

წამიერი აღელვება, წამიერი გატაცება: feu de paille — წუთიერი გატაცება.

სინათლის წყარო, ცოდნისა და ინტელექტის სიმბოლო: feu sacré — წმინდა ცეცხლი; ღვთიური ნაპერწკალი; avoir le feu sacré — ღვთიური, გენიოსის ნიშნით აღბეჭდილი; ტალანტი.

„ცეცხლი“ — ძლიერი და აქტიური ელემენტი როგორც შემომქმედ, ასევე დამანგრეველ ძალთა სიმბოლო, საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება იტალიურ სინამდვილეში.

უფლის სამსჯავრო: prova del fuoco — გამოცდა ცეცხლითა და წყლით.

ჯოჯონეთი: il fuoco eterno — მუდმივი ცეცხლი.

თავგანწირვა: gettarsi sul fuoco per qd — ვინმესთვის ცეცხლში ჩავარდნა

პირგამენება: versare fuoco e fiamma — ცეცხლის ფრქვევა პირიდან.

ღვთის ალი, ღვთიური ცეცხლი: tutto fuoco e tutto fiamma — აღმოდებული, ცეცხლმოდებული.

ენაბრგვნილობა: sputare fuoco — გესლის ნთხევა.

კეთილდღეობა: avere la pentola al fuoco — ქოთანის თუხთუხებს ცეცხლზე, კეთილდღეობა.

საფრთხის მოლოდინი: camminare sul fuoco — ცხოვრება როგორც ვულკანზე.

სისასტიკე: a ferro e (a) fuoco — ცეცხლითა და მახვილით.

გულმხურვალეობა: avere il fuoco in corpo — გულწრფელობა, გულანთებულობა.

ქარი — გაცოცხლებული სულის პოეტური სახე, რომლის ზემოქმედება შეიძლება დავინახოთ და გავიგონოთ, მაგრამ რომელიც თვითონ უხილავი რჩება. ქარი, ჰაერი და სუნთქვა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს მისტიკურ სიმბოლოზში.

ქარი — სიცოცხლის კოსმიური მიმნიჭებელი, ორგანიზატორი და საწყისი.

ქარი — მერყეობის, ცვალებადობის, ეფემერულობის მძლავრი სიმბოლო.

როგორც ფრანგულ, ასევე იტალიურ ენებში „ქარის“ როგორც ციდან მომდინარე ელემენტის სიმბოლო უკავშირდება:

ამაო მცდელობას: ფრ.: semer sur le vent — ქვიშის კომკების აგება, ქარის წისქვილების აგება იტ. buttare (ან. gettare, spargere) al vento — ამაოდ ეცადა. დაშვრა.

განწყობილების, დამოკიდებულების შეცვლას ქარის მიმართულებით: ფრ.: tourner à tout vent (ან. à tous les vents) იტ. voltarsi a tutti venti — საიდანაც ქარი დაუბერავს, იქითკენ გადაიხრება.

გუმანის, გუშის აღების: ფრ. avoir vent de qch, იტ. adorare il vento infido — იმის ცოდნა, თუ საიდან უბერავს ქარი.

ფრანგული მენტალიტეტისათვის კონცეპტ „ქარის“ სიმბოლური მრავალფეროვნება დაუკავშირდა:

გარემოების შეცვლას: le vent tourne (a tourné) — ქარმა სხვა მხარეს დაუბერა.

მიზანსწრაფვას: gagner au vent მიზნისკენ სვლა დაბრკოლებების მიუხედავად.

ინტუიციას: flairer le vent — გარკვევა სიტუაციაში, გზის გამონახვა.

წარმატებულობას: être au vent de la bouée — გაფურჩქვნა, წარმატება.

ბედს მინდობას: jeter la peau d'âne au vent — ბედის გამოცდა, ბედთან თამაში (ცდა ბედის მონახევრეაო).

იტალიურ კულტურულ სოციალურ კი „ქარის“ კონცეპტი სიმბოლოა:

თავქარიანობის: pieno di vento — ქარაფშუტა;

უაზრობის: parlare al vento — ჰაერზე ლაპარაკი, რაღაცის მიედ-
მოედება.

ინტრიგების: tessare vento — ინტრიგების ქსელის გაბმა.

ბაქიაობის: un pallone pieno di vento — მკვებარა, ტრაბახა, ბაქია.

მოტყუების, შეტყუების მცდელობის: tendere le reti al vento —
ვიღაცის (ვისიმე) ბადეში გახვევის მცდელობა.

სიმშვიდის დარღვევის: chiamare vento in mare — ზღვაში ქარის
მოსმობა.

სიცრუის: pescare di vento — ფუჭი დაპირებებით შეტყუება.

შიმშილის: campare (ან nutrirsi) di vento — ჰაერით (ქარით) კვე-
ბა.

მიწა — დედობა და მფარველობა — ნაყოფიერებისა და „პური
არსობისას“ უნივერსალური სიმბოლო. პასიური, ქალურობისა და
სიბნელის საწყისი. იგი ხან ველურია, ხან კულტივირებული, ზოგჯერ
მავნე, დამღუბველი, ზოგჯერ კი სასურველიცა და ხელსაყრელიც.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული მიწა ქაოსის დედაა, რომლის
ყოველი გამოვლინება (მდინარე, ხე, მთა, ცხოველები, მცენარეები...) მომდინარეობს მისი ყოვლისმომცველი ქმნადობის უნარიდან, იგია
წიაღი. მისი მაორგანიზებელი და მასტაბილიზებელი მოწოდება
გამოხატულია შემდეგი მახასიათებლებით: უკვდავთა მარადი სამყო-
ფელი, ბარაქის, სიუხვის უშრეტი წყარო, უნივერსალური დედა,
თვით ღმერთების დედაც. კულტივირებულ მიწას გააჩნია კეთილსაი-
მედო ღირებულებებიც. მასზე აღმოცენებული მცენარეები მასვე უბ-
რუნდებიან კვდომისას, მათი მარცვლები და ფესვები კი ახალ სიცო-
ცხლეს ანიჭებენ სხვა მცენარეებს. მიწა — სიცოცხლის ციკლის
განახლების გარანტი. წიაღი — ბნელეთის დედოფალი, ჩრდილების
სამეფო, ქვესკნელთა სივრცე ზოგიერთ კულტურაში წარმოადგენს
ყველაზე საშიშ, მაგრამ არა აუცილებლად დამღუბველ შემადგენელ
ნაწილს. მას აქვს ავბედილობის შთანთქმის საოცარი უნარი.

ფრანგულ სინამდვილეში კონცეპტ „მიწის“ სიმბოლური ვარი-
ციები გაიშალა შემდეგნაირად:

ბარაქიანობა და ნაყოფიერება: dons de la terre — ამქვეყნიური
სიკეთეები.

მიწიერი არსებობა: être sur terre — სიცოცხლე, არსებობა.

ძალების აღდგენა: reprendre terre — ახალი ძალების მოკრება.

სიმდიდრე და სიუხვე: terre décollante de lait et de miel — რძედ

და გოლეულად მდინარე მიწა.

ფარული ინტრიგები: sous terre — მიწისქვეშეთის ინტრიგები.

აღამიანთა მოღვაძე: souiller la face de la terre — აღამიანთა მო-
ღვაძის შერცხვენა.

დასაფლავება: mettre (porter) en terre — დამარხვა, დაკრძალვა.

იტალიურ ენაში „მიწის“ კონცეპტი სიმბოლოა:

ნაყოფიერების: forza della terra — უხვმოსავლიანობა.

პიროვნების გაღმერთების: bacciare la terra dove passa qd — ტერ-
ფის ნაკვალევის კოცნა, მოხვევა

ქვემარტების მოძიების: scoprire terra — სიმართლის გარკვევა.

საზრიანობის: prendere terra — ამა თუ იმ საქმის არსის წვდომა.

საკუთარი თავის რწმენის: essere (stare) con i piedi sulla terra —
მიწაზე მყარად დგომა.

სარგებლიანობის, სარფიანობის: gettare a terra il formento — სა-
რფიანი საქმისათვის ნიადაგის მომზადება.

ლიტერატურა

ჩერდანცევა, 2000 — Черданцева Т. З. Итальянская фразеология
и итальянцы. М., Черо, 2000.

ტრესიდერი, 2001 — Тресиддер Д. Словарь символов. М., 2001.

ლევი-სტროსი, 2003 — Claude Levi-Straus. Anthropologie
structurelle. La pensée sauvage.

ფუმაგალი, 2002 — Fumagalli C., Chi l'ha detto? Tesoro di citazioni
italiani. Firenze, 2002.

პონ-იუმბერი, 1998 — Pont-Humbert C/ Dictionnaire desw symboles
et des croyances. Paris, 1998.

MARINA SIORIDZE

ია ტურაშვილი

**The Cultural Symbolism of the Concepts “Wind”,
“Earth”, “Fire” in French and Italian
Phraseological Units**

Summary

The Italian and French phraseological units containing the concept “fire” form a metaphoric semantic field and nominate objects, substances, elements, mythological and folklore notions and the concepts associated with the Bible.

The Italian and French phraseological units containing the concept “wind” form an associative - figurative semantic field which is further subdivided into processual-dynamic and qualitative metaphoric fields.

The former is more loaded in Italian whereas the latter is equally loaded in both languages.

In the case of the concept “earth” only two semantic fields - a processual-dynamic field and a figurative semantic field with a denotative accent have been singled out. It should be noted that in both languages, and in French, in particular, the seme of activity is actualized.

**პირის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი
ვნებიანი ზვარის ნასახელარ ზმნებში
საშუალო ქართულის ძებლთა ენის მიხედვით**

ნასახელარი პასივების გამოყენება საშუალო ქართულში პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით ძირითადად ემთხვევა თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებს. მაგრამ აქა-იქ მაინც დაჩნდება თავისებურებანი. ასეთებია: აწმყოს ძველი დაბოლოება ადრეული პერიოდის ძეგლებში, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსის არსებობა პრეფიქსიან ვნებითებში, ასევე, მრავლობითობის **-თ** სუფიქსის ხმარება მესამე სუბიექტური პირის **-ს** ნიშნის შემდეგ.

როგორც ვიცით, ვნებითი გვარის ზმნამ ახალ ქართულში ცვლილება განიცადა III სუბიექტური პირის წარმოებაში, კერძოდ, ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი **-ის** დაბოლოება **-ა** სუფიქსმა შეცვალა; ჩემ მიერ დამუშავებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ აწმყოს ძველი დაბოლოება ნორმის საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის ძეგლებისათვის. მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის **-ის** დაბოლოება ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“ ენისათვის. მოგვიანო ხანის ძეგლებში უკვე ახალი ფორმები თანდათან მატულობს, თუმცა ძველი წარმოების ნიმუშები მაინც გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვნებითის **-ა** დაბოლოებიანი ფორმები პირველად XVII-XVIII საუკუნეების მწერლებთან გვხვდება (ბარამიძე, 1976, 111). იმასაც აღნიშნავენ, რომ „ცოცხალ მეტყველებაში ის უფრო ადრე, რამდენიმე საუკუნით წინ უნდა ჩასახულიყო“ (დანელია, 1997, 44). მკვლევარი იქვე დასძენს, რომ მის მიერ შესწავლილ ტექსტებში „აწმყოს ახლებური წარმოება XVIII საუკუნემდე არ დასტურდება“. მაგრამ დადასტურდა **-ა** სუფიქსიანი ვნებითების არსებობა „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯან-

ნიანისა“ და სხვა XII-XIII საუკუნეების ძეგლების ენაში. აქ, რა თქმა უნდა, ისეთი სინზირით ვერ შევხვდებით **-ა** სუფიქსიან ფორმებს, როგორც **-ის** დაბოლოებაა გავრცელებული, მაგრამ მაინც შეინიშნება. ასე რომ, **-ის**→**-ა** ევოლუციის პროცესის დასაწყისი საშუალო ქართულის პირველ ძეგლებშივე დასტურდება. **-ის** დაბოლოება კი მოგვიანო პერიოდის ძეგლებშიც გვხვდება. ასე რომ, მართებულია ნ. დანელიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ საშუალო ქართულში „არ მოგვეპოვება ისეთი ძეგლი, რომელშიც მხოლოდ ახალდაბოლოებიანი ფორმები იქნებოდა წარმოდგენილი“ (დანელია, 1997, 44).

აქ მოყვანილი მაგალითები XII-XIII საუკუნეების ძეგლთა ენის ნიმუშებია, სადაც **-ა** სუფიქსიანი III სუბიექტური პირის ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები დასტურდება: „არა **იმსახურებოდა** საპურობოდ თვალისა ჯამთა და ჭიქათაგან კიდე“ [ხონელი, 1969, 109]; „სხვანი კარნი გამოარნეს, **იჭრებოდა** დარბაზს მსმელი“ [რუსთველი, 1988, 183, 1194]; „ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი **დაიჭრებოდა**“ [რუსთველი, 1988, 243, 1598]; „გაქცევა **ეაუგებოდა** და გუგანით ამულს მიჰმართა“ [ვისრ. 1964, 362]; „თავი **ემრუდებოდა** და მოყვარე **ენენარიანებოდა**“ [ვისრ. 1964, 266]; „თვალნი მოვსწყვიდნი, სიცოცხლე ამითა **მეარმებოდა**“ [რუსთველი, 1988, 77, 480]; „და ვითა მოვეწურენით, ჩვენ გული **შეგვჯაბნებოდა**“ [ხონელი, 1969, 158]; „ჯოვი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის **ეაგეთა**“ [რუსთველი, 1988, 210, 1369]; „მზე ღრუბელსა მოჰფარვოდა, **ქუსდებოდა**, ვარდსა ზრვიდა“ [რუსთველი, 1988, 233, 1525]; „გათენებისა ეშინოდა, ვისი გაჭრისათვის გული **უმცრდებოდა**“ [ვისრ. 1964, 143]; „**მოლოზობიერდა**, მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული“ [რუსთველი, 1988, 86, 536]; „ვისი ცოტად **დარესწყენარდა** შეჭირვებისაგან“ [ვისრ. 1964, 69]; „რა მეფემან მოისმინა, **გაგულისდა, გაავმცნობდა**“ [რუსთველი, 1988, 118, 754]; „და დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, **გასისხლმდინარდა**“ [რუსთველი, 1988, 93, 580]; „მე ხუთისა წლისა ვიყავ, **დაორსულდა** დედოფალი“ [რუსთველი, 1988, 53, 319]; „**მოგვიადვილდა** ჩემი მიჯნურობა, დაგვიწყდა ჩემი სიყვარული“ [ვისრ. 1964, 251]; „ორითა-ვე ხელითა პირსა ესრე უწყალოდ იცემდის, რომელ **გაუიისფრდა**“ [ვისრ. 1964, 152].

მომდევნო ხანის ძეგლებში კი ფართოდაა გავრცელებული **-ა** სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები.

ენიანი ვნებითი: ის ნდომა საყნოსელთა **ესუნელება**“ [ორბ.

თხზ. II, 2 00]; „არეზს აქეთი ლაშქარი ხან ნაცვლით **ექეშოება**“ [არჩ. II, 88, 757]; „**ემლაშება**, მეყველეობს, გაუსრულდა მისი ნება“ [ვახტანგ VI, 32, 66]; „დავითს იქვე დუშეთს ვიყავით, რაც სოფელურს გაძლებინებას **შეეფერება**“ [ქ.პროზ. 5, 573]; „ამისთვის მარტოობა არად ქებულა, და ეს ლექსი **ემოწმება**“ [ორბ. თხზ. II, 56]; „ემოაკსა **ელაციცება**, ეს ედარების ეროდეს“ [ბესიკი, 1962, 96]; „თუ **გენერნება**, მორჩები მისი ხნარცვისა ბადიმსა!“ [ორბ. თხზ. II, 28]; „მის სენის უფალი მკვდარს **ემსგავსება**, და ვერ ეცნათ“ [ორბ. სიბ.-სიცი. 1986, 119]; „ეჰა, მზე და თავი ჩემი მე უშენოდ **მემუხთლება**“ [ნ.ციციშვილი, 1930, 74, 580]; „რომელიცა მოხუცებული ხელმწიფეთა **ემეგობრება**, და მათსა ალერსსა ცდილობს“ [ორბ. თხზ. II, 268]; „...საქმეც **ემოწმებოდა**, რომ ის კვერცხი ხელმწიფეს ამან მოართვა“ [რუსულ. 1957, 181]; „მანუჩარ ამისთანა სიტყვათა **ეუბნებოდა** და მდღუდართა ცრემლითა **ესალამებოდა**“ [რუსულ. 1957, 10]; „სხვა იყო ერთი სამეფო, რუსეთს **ემეზობლებოდა**“ [ნ.ციციშვილი, 1930, 97, 776]; „მე მგზავრად მიველ ეგვიპტეს, საქმე რამ **მესაქმებოდა**“ [ნ.ციციშვილი, 1930, 171, 1415]; „მტკვარი ნახეს, მდებრებრ შეკრთეს, ქალდა გასვლა **გაეძენლა**“ [ტფილელი, 1939, 22, 134]; „სტუმარი იგი ებრაულს ენას **ერთფილა**“ [ორბ. თხზ. II, 187]; „აწ ნახვითა შენით მკურნე, თვარ სუდარა **მეზეწარა**“ [ნ.ციციშვილი, 1930, 193, 1606]; „დალიანთ **მიესალამა** საიმერეთოს ხანია“ [ბესიკი, 1962, 125].

ინიანი ვნებითი: „ამითი შეპყრობა კაცთაგან ვით **იაზრებაო**“ [რუსულ. 1957, 188]; „ის უფროსი **იბერება**, ეს უფროსი არს უბერე“ [ვახტანგ VI, 42, 140]; „ესგრის მიჯნურთა უცდურად, გულსა ჰკრავს, არ **იმიწება**“ [არჩ. I, 9, 23];

ლონიანი ვნებითი: „...ესეცა თქმულა, რომელიც კაცი თუ მართლა **კაცდება**“ [ტფილელი, 1939, 41, 285]; „მე ცოლსა რას ვაქნევი, ანუ დიდებასა, თუ ასრე აღრე **დამშანმდებოდა!**“ [ორბ. სიბ.-სიცი. 1986, 134]; „**გაშტერდებოდა** და მისა ფასსა ვერა სცნობდა“ [რუსულ. 1957, 27]; „ორგული არ **გაუერთგულდა** და ერთგულიც არ **გაუორგულდა**“ [ორბ. სიბ.-სიცი. 1986, 151]; „საქმისა რიგებისა სამართალი და გზები გაუმრთულდა“ [ორბ. თხზ. II, 266].

როგორც ვიცით, მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტი ვნებითში სუბიექტად იქცევა და მრავლობითში **—ენ(—ნ)** გადმოჰყვება, რომელიც უფუნქციო ხდება: დამალნა (მან იგი) — დამალნეს (იგინი). ამას ადგილი აქვს პრეფიქსიანი ვნებითებში (შანიძე, 1953, 473).

ამის მაგალითები მრავლადაა საშუალო ქართულის ძეგლებში: **„დაი-მოყვრნეს** და ძმად იფიცნეს“ [ხოხელი,1969,112]; **„მაშინ წარიყვანეს** იგი ფიცითა და სიმტკიცითა, რომლითა **ეფუცნეს** წინაშე სვეტსა ცხოველსა კათალიკოსს“ [ქ.პროზ.3,77]; **„ხოლო კვლადცა ეფუზნეს** სარკინოზნი ქართლსა“ [ქ.პროზ.3,66]; **„და ველარ მემტერნეს** მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო“ [არჩ.11,84,728]; **„ესაყვარლნეს** ერთმანეთსა და სხვაფერად არ იძრახნეს“ [ნ.ციციშვილი,1930,124,1004]; **„და დაემტერნეს** ერთმანერთსა, აღარ მისცეს წამსა მანი“ [არჩ.11,78,674]; **„მაშინ მიემოწმნეს** ყოველნი ლაშქარნი“ [ქ.სამ.ძეგ.11,113]; **„ეფუცხოვნეს** ხელმწიფისა სიტურფე, და ხელი ხელს სცეს“ [ნ.ციციშვილი,1930,21,142]; **„გუეზედავნეს** და მივეციტ და მიუბოძეთ სასიხლოდ კასპი და იგოეთი“ [ქ.სამ.ძეგ.11,120]; **„დამეძაბუნნეს,** სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა“ [რუსთველი,1988,96,601]; **„და ორნი ჩვენ შემოგვეზნეს“** [ხოხელი,1969,149]; **„ერთმანერთსა ელა-ლოზნეს** ლაღობათა, მათთა მშვენთა“ [რუსთველი,1988,215,1401]; **„და დაევაჭრნეს,** არ მოჰყიდეს, შავნი ვნახენ მეტად წყენით“ [რუსთველი,1988,175,1130]; **„მოვიდეს, და მესალამნეს,** თაყვანისმცეს დას-დასებით“ [არჩ.11,33,275]; **„მივიდნენ, გაესალამნეს** ძმისწული მა-მიდაშვილსა“ [არჩ.11,27,220]; **„დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს“** [რუსთველი, 1988,146,940]; **„იგინიცა დაემოწმნეს** ამა მისსა ნაუბარსა“ [რუსთველი, 1988,211,1383]; **„და იგი არა მოეშვა, ცხენზევე მოემშვიდობნეს** ერთმანერთსა!“ [ხოხელი,1969,138]; **„ბო-ლოსა ჯამსა გაეთაყვანნეს** და მოახსენეს...“ [ხოხელი,1969,9]; **„და გულნი ჩვენნი გაუმეგებლად დაეტყვენნეს** მისით მახით“ [რუსთველი,1988,179,1158]; **„დაემონნეს** მას ყოველნი, თვით არვისგან ეშინოდა“ [არჩ.1,59,336]; **„და საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“** [რუსთველი, 1988,104,652]; **„...მაშასადამე, თანამ-დებ ვართ, რათა უფროსლა ქმრად დავიმარხოთ და განვემკაცრნეთ“** [ქ.სამ.ძეგ.1,162]; **„და მოდი, ფრიდონს ველადოზნეთ,** ჯოგსა მისსა მო-ვადგეთა!“ [რუსთველი, 1988, 210, 1369].

დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც ირიბი ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ **წვ-**ის ნიშანი -ს დაკუთვლია: **„თო-რემ ვისაც გებრანებოდესთ,** წერილნი ნახეთ და მაშინ სცნობთ“ [ქ.სამ.ძეგ.1,479]; **„როგორც ველმწიფესა და კათალიკოსს ებრანებო-დესთ,** ისრე გარდააჯდევინონ“ [ქ.სამ.ძეგ.1, 520]; **„და თუ გულისყურ-ნაკლები ვინცა ვინ მოვლეს და ვერ გასწიოს იმათთან, ამისთვის რომ**

ემძიმებოდესთ ის საქმე“ [ქ.სამ.ძეგ.1,277]; **„შეგეწყალებოდესთ** ყო-ველთა, მწირი მწირობდეს რებულად“ [მ.ბარათაშვილი,4]; **„იმათ ზამ-თრისა სიცივით მალ გაუქარდესთ** სულიო“ [თეიმურაზი,119,10].

როგორც ვხედავთ, ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოე-ბაში პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით დაჩნდება გარკვეული თავისებურებანი; ამ თავისებურებათა წარმოჩენა, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის იმის მტკიცებას, რომ ნასახელარი პასივების წარმო-ება საშუალო ქართულში ძირითადად ემთხვევა თანამედროვე სალიტე-რატურო ენის ნორმებს.

ლიტერატურა

ბარამიძე, 1976 — ლ. ბარამიძე, ვნებითი გვარის ზმნათა აწ-მყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კა-თედრის შრომები, ტ. XIX, თბ. 1976;

დანელია, 1997 — ნ. დანელია, სუფიქსური და უნიშნო ვნები-თების მწკრივთა წარმოებისათვის საშუალო ქართულში, სადისერტა-ციო ნაშრომი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1997;

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ.1953;

წყაროები

მოსე ხონელი, 1969 — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ. 1969;

ვახტანგ VI, 1947 — ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, თბ. 1947, აღ. ბარამიძის რედაქციით;

ორბელიანი, 1986 — სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუ-ისა,თბ.1986;

ორბელიანი, 1962 — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II₁ და II₂, თბ. 1962;

რუსთაველი, 1988 — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1988;

რუსულდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ. 1957;

არჩილიანი, I და II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1936;

ქართული სამართლის ძეგლები, 1965 — ქართული სამართლის ძეგლები II, თბ. 1965;

თეიმურაზ I, 1934 — თეიმურაზ I, თბ. 1934, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით;

თეიმურაზ II, 1939 — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1939, გ. ჯაკობიას რედაქციით;

ბესიკი, 1962 — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1962.

IA TURASHVILI

Peculiarities of Person marker Usage In the Passive

Forms of Nounal Verbs

(on the material of Medieval Georgian)

Summary

In Medieval Georgian the norms applied to the usage of person markers with the passive forms of nounal verbs are generally similar to the present-day rules. However, there are some differences, viz. out-dated person markers in the Present (especially in Early Medieval Georgian), the suffix **en** in the plural of direct objects of prefixed passive forms, the plural suffix **t** after the third person subjective marker.

The out-dated forms in Medieval Georgian can be interpreted as the remnants of Old Georgian. The transition of the suffix **en** from the active voice to passive proves that the passive forms are based on the active. The plural suffix **t** is evidenced in the dialects as well.

ნანა შრთაშვილი

სიტყვის წარმოთქმასთან დაკავშირებული ლექსიკა კვლ ქართულ საღვთისმეტყველო და საბარო ლიტერატურაში

სინამდვილე ენაში აისახება და ფიქსირდება. ენა ითვისების წინააღმდეგ ნიუანსს ადამიანური ყოფისა — ფიზიკურს, ფსიქიკურს, სოციალურს, კულტურულსა და ა. შ. ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ სიტყვის წარმოთქმასთან დაკავშირებულ ლექსიკაზე.

ძვ. ქართულ საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ადამიანის სამეტყველო ორგანოების ამსახველი ლექსიკა. სიტყვის წარმოქმნა ზოგჯერ დაკავშირებულია გულთან, სულთან და გონებასთან. სამეტყველო ორგანოთა ამსახველი ლექსიკიდან სინამდვილით გამოირჩევა ლექსემები: „პირი“, „ენა“, და „ბაგე“, იშვიათია „ხორხი“ და „სასა“.

ბაგე

„რომელ **ალუქვეს ბაგეთა** ჩემთა“ (დავითი 65, 14).

„უფალო **ბაგენი** ჩემნი **აღანუნე**“ (დავითი 50, 17).

ენა

„და **ენა** ჩემი **იტყოდა** სიმართლესა“ (დავითი 34, 28).

„ისწავა **ენამან თქმა** ტყუილისა“ (იერ. 9, 5).

„ნუმცა ნუ მკითხავ ამბავსა, ვერცა რას **გითხრობ ენითა**“ (რუსთ. 356).

„კვლა **ვეუბნები** მას მზესა ტკბილ-მოუბრითა **ენითა**“ (რუსთ. 356).

„ერიდე ჩემსა წყენასა, ავს ნუ **აუბნებ ენასა**“ (დ. გურ. 477).

პირი

„და **აღვალო პირი** შენი და გასწაო თქუენ რა ჰყოთ“ (გამოსლ. 4, 15).

„**პირი** ჩემი **იტყოდის** სიბრძნესა“ (დავითი 48, 4).

„**პირი** ჩემი **უთხრობდეს** ქებულებასა შენსა“ (დავითი 50, 17).

„სადა არს **პირი** შენი, რომელი **იტყოდა**“ (მსაჯულთა 9, 38).

მოცემული ლექსემები ხშირად გააზრებულია მეტაფორულადაც:

„ბაგითა მწყისინ მეფეჴ (იგავთა 20, 11).

„შრომამან ბაგეთა მათამან **დაფარნეს** იგინი (დავითი 139,10).

„მთხრებლ ღრმა არს **პირნი** უმჯულო სა და უფლისგან განვრდომილი შთავარდეს“ (იგავთა 22, 14).

ძვ. ქართული ლიტერატურის ძეგლებში სიტყვის წარმოთქმა სამეტყველო ორგანოების გარდა დაკავშირებულია გულთან, სულთან და გონებასთან.

სული და გონება ხანდახან სინონიმური მნიშვნელობით იხმარება: „ხოლო არს ოდესმე გონებაცა სულად ითქმის (ს.ს.).“

გონება, სული

„უკუეთუ **სთქუა გონებასა** შენსა“ (2 სჯ. 7, 17).

„და **იყვენ სიტყუანი** ესე, რომელთა გამცნებ შენ გულსა შენსა და **გონებასა** შენსა“ (2 სჯ. 6, 6).

„და არა **ისიტყუა სულმან** მათმან“ (ესაია, 44, 19).

„არცა **სული** ჩემი **იტყოდეს** სიცრუევსა“ (იოზ. 27, 4).

„შვილო, უკუეთუ შეიწყნარე **სულისა** ჩემისა **თქუმულნი** მცნებანი და დაფარნე შენ თანა“ (იგავთა 2, 1).

გული

„ესთერ, ნუთუ **სთქუა გულსა** შენსა“ (ესთ. 4, 19).

„და **იწყეს** თანამეინახეთა მათ **სიტყუად გულთა** შინა მათთა“ (ლუკა 7, 49).

„ხოლო მარიამს **დაემარხეს სიტყუანი** ესე და დაედვა **გულსა** თვისსა (ლუკა 2, 19).

„და **გული ეტყოდა** განძღებად მუცლისა“ (ლუკა 15, 16).

„მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს **გულმან უთქვა** ხსენება საბან იშხნელისა (გ. მერჩ. 563).

სიტყვა „გულს“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. ამას საფუძვლად უდევს ღრმა ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და სულიერი მომენტები. გულის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ფუნქციებს განიხილავს მღვდელმთავარი ლუკა ვოინო-იასენცი (ერისკაცობაში ქირურგი) და ასკენის: „ჩვენი ცოდნა გულის ფიზიოლოგიურ-ანატომიური ფუნქციებისა გვიბიძგებს, რომ გული მივიჩნიოთ არა მხოლოდ სისხლის მიმოქცევის მთავარ მამოძრავებელ ძალად, არამედ ემოციების მთავარ ორგანოდ... წმინდა წერილი გაცილებ-

ბით ბევრს გვიამბობს გულის შესახებ. ბიბლიის მკითხველმა არ შეიძლება არ შენიშნოს, რომ გული მიჩნეულია შემეცნების, აზროვნებისა და სულიერი აღქმის უმთავრეს საშუალებად“ (მღვდელმთავარი ლუკა, 2001).

ბ. ვიშესლავცევი გულს ადარებს წრის ცენტრს, საიდანაც მოედინება რადიუსთა უსასრულო რაოდენობა ან სინათლის ცენტრს, რომელიც ფერადოვან სხივებს გამოსცემს. გული — ეს საერთოდ სიცოცხლის ცენტრია — ფსიქიკური, სულიერი და მშვიდგონებრივი ცხოვრებისა. იგი ლაპარაკობს გულის მნიშვნელობაზე რელიგიაში და ასკენის, რომ გული გაცილებით იდუმალი და ამოუცნობია, ვიდრე სული, გონება ან სამშვიდგონებელი.

ერთ-ერთი გზა გულში არსებული სიკეთისა თუ ბოროტების გამოსავლენად არის ადამიანის პირი, ბაგე ან ენა.

„რამეთუ **გულისგან გამოვლენ გულისსიტყუანი** ბოროტნი“ (მათე, 15, 19).

„ხოლო **გამომავალი პირით გულისგან გამოვალს** და იგი შეაგინებს კაცსა“ (მათე, 15, 18).

„**გესლი** რა **გულისა ბაგეთაგან** იცნობა (გ. მერჩ. 588).

რუსთაველს აზრის ნათლად გამოსახატავად ენასა და ოსტატობასთან ერთად გულის დახმარებაც სჭირდება:

„აწ **ენა** მინდა გამოთქმად, **გული** და ხელოვანება“ (რუსთ. 5).

ქართული ენა სიტყვის წარმოთქმასთან „გულის“, „სულისა“ და „გონების“ დაკავშირებით ხაზს უსვამს სიტყვის წარმოქმნის სიღრმესა და სივრცულობას.

ლიტერატურა

ვიშესლავცევი, 1990 — Б. П. Вышеславцев, Сердце в христианском религии и индийской мистике, Вопросы философии, 1990 № 4.

მღვდელმთავარი ლუკა, 2001 — Святитель Лука, Наука и религия, 2001.

მასლოვა, 2004 — Маслова В. А. Лингвокультурология, 2004.

შემოკლებანი

გამოსლ. — წიგნი გამოსლვათა

ესთ. — წიგნი ესთერისი

იერ. — წინასწარმეტყველება იერემიასი
იგავთა. — წიგნი იგავთა
ესაია — წინასწარმეტყველება ესაიასი
იობ. — წიგნი იობისა
2 სჯული — წიგნი მეორე სჯულისა
ლუკა — სახარება ლუკასი
მათე — სახარება მათესი
გ. მერჩულე — გიორგი მერჩულე
რუსთ. — შოთა რუსთაველი

წყაროები

მცხეთური ხელნაწერი — მცხეთური ხელნაწერი, 1981, 1982, 1983, 1985, 1986 წლები.
ახალი აღთქმა — ახალი აღთქმა, 1995 წ.
გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.
შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1978.
სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II 1993.

NANA URTISHVILI

Lexical Units Denoting Word Articulation in Old Georgian Religious and Secular Literature

Summary

The paper focuses on Old Georgian lexemes denoting organs of articulation.

The lexemes 'ena' (tongue), 'piri' (mouth), bage (lip) are very frequent, as for xorxi (larynx), and sasa (palate), they are less frequently encountered.

The above mentioned lexemes are used both metaphorically and literally.

Alongside the given lexemes, in Old Georgian literature word articulation and formation are metaphorically associated with heart, soul and mind.

თბილისი

ტიქსტის გრამატიკის ბანკითარების ტანდემციები

მე-20 საუკუნის დასაწყისი შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ ეტაპად ენათმეცნიერების ისტორიაში. თეორიული ლინგვისტიკა გასცდა წინადადების ფარგლებს და კვლევის ობიექტად ტექსტი გაიხადა. 50-იანი წლებიდან ტექსტის კვლევა ახალ ფაზაში გადადის. ინტენსიური მუშაობა ამ საკითხის ირგვლივ 70-იანი წლებიდან იწყება. ამას მოწმობს ის სამეცნიერო კონფერენციები თუ გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც ტექსტის კვლევის ირგვლივ აქტუალურ ხასიათს იძენენ. ისმება კითხვა: რას წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა? არის თუ არა იგი მონოლითური, თუ აერთიანებს რამდენიმე ერთმანეთთან ახლომდგომ დისციპლინას იმის მიხედვით, თუ ტექსტის რომელი ასპექტი წამოიწევა წინ. ვოლფგანგ დრესლერს ტექსტის ლინგვისტიკა არ წარმოუდგენია ერთიან დისციპლინად. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ტექსტის სემანტიკას, ტექსტის პრაგმატიკას, ტექსტის სინტაქსსა და ტექსტის ფონეტიკას. ოიგენიუ კოსერიუ ფიქრობს, რომ ტექსტის ლინგვისტიკა, ერთი მხრივ, გულისხმობს ავტონომიურ დისციპლინას, რომელიც მხედველობაში არ იღებს ეროვნულ ენობრივ განსხვავებებს. იგი მას საზრისის ლინგვისტიკას უწოდებს და ჰერმენევტიკასთან აიგივებს. რაც შეეხება ტექსტის თავისებურებების შესწავლას ცალკეული ენების ფარგლებში, ეს, მისი აზრით, ტრანსფრასტული, ანუ ტექსტის გრამატიკის კომპეტენციაა.

ტიქსტის გრამატიკა იკვლევს ენობრივ მიმართებებს, რომლებიც წინადადების დონეს სცილდება და ადგენს მათ სტატუსსა და ფუნქციებს ტექსტში.

ტიქსტის ლინგვისტიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე ტექსტის გრამატიკა მჭიდრო კავშირშია ტექსტის სტილისტიკასთან. XX საუკუნის დასაწყისიდან მრავალი შრომა მიეძღვნა მხატვრული ტექსტების ენობრივი და სტილისტიკური თავისებურებების აღწერას.

ოტო ვაიზე თავის ნაშრომს ტექსტების სტილისტიკურ ანალიზს უძღვნის და ყურადღებას ამახვილებს არა მარტო სტილისტიკურ ფიგურებზე, არამედ გრამატიკულ მიმართებებზეც, მაგალითად, წინადადების დაკავშირების წესებზე, სიტყვათა წყობასა და დროის კატეგორიაზე. ემპირიულ მასალად იგი იყენებს ტექსტების მონაკვეთებს გოეთეს „ეგმონტიდან“ და „ვერთერიდან“.

გრამატიკისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართება ინტერპრეტაციული სკოლის კვლევის არეალშიც მოექცა. გრამატიკა სხვა არაფერია, თუ არა ერთ მდგომარეობაში გაყინული სტილისტიკა, — წერს ლეო შპიცერი. სწორედ „ერთ ადგილზე გაყინული“ სტილისტიკის კვლევას უძღვნის თავის ნაშრომს ამ სკოლის მეორე წარმომადგენელი ვილჰელმ შნაიდერი. ავტორისათვის სტილი არის შერჩევა და სათანადო გამოყენება იმ ერთეულებისა, რომელსაც ცალკეული ენა გვთავაზობს. სტილი გამოხატულია სხვადასხვა სიტყვით, შესიტყვებით, სინტაქსური შენაერთებითა და წინადადებით. მათი გამოყენება სპონტანურად, გარკვეული წესების დაცვის გარეშე შეუძლებელია. გრამატიკის ამოცანაა იმ კანონზომიერებების დადგენა, რომლებიც არეგულირებს ენის გამოყენებას.

ტექსტის ინტერპრეტაციის ლინგვოსტილისტიკურ ანალიზს გვთავაზობს ელიზე რიზელი, რომელიც განასხვავებს მიკრო- და მაკროსტილისტიკის სფეროებს. მიკრო-სტილისტიკა მცირე ენობრივი ერთეულების სტილისტიკურ დახასიათებებს გვთავაზობს, მაკროსტილისტიკა კი კვლევის უფრო ფართო სპექტრით შემოიფარგლება. მკვლევარი ტექსტის ინტერპრეტაციის ორ სახეობას გამოყოფს: ანალიზურს და ანალიზურ-სინთეზურს. ლინგვოსტილისტიკური ინტერპრეტაციის საანალიზო მასალად იგი იღებს როგორც მხატვრულ ისე არამხატვრულ ტექსტებს. მის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციის სამი ხერხიდან — (სემანტიკურ-სტილისტიკური, სტრუქტურული და სტატისტიკური) — განსაკუთრებულ მნიშვნელობას იგი ანიჭებს სემანტიკურ-სტილისტიკურ ინტერპრეტაციას, რომელმაც უნდა შეასრულოს შუამავლის როლი ლიტერატურათმცოდნეებისა და ლინგვისტების ინტერესების გაერთიანებაში.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ენათმეცნიერულ გერმანისტიკაშიც. იგი მდიდრდება ახალი თეორიებითა და მეთოდებით. აქტუალური ხდება იმ გრამატიკული მოვლენების ანალიზი ტექსტის დონეზე, რომელიც განეკუთვნება

ტრანსფორმაციული გრამატიკის კომპეტენციას და გულისხმობს ცალკეული ენების პოტენციურ შესაძლებლობების აღწერას ამა თუ იმ საზრისის გამოსახატავად. ამ გრამატიკის ემპირიულ მასალას ქმნის ცალკეული ენების სტრუქტურები, როგორც ზოგადად შესაძლებელი და კონკრეტულ შემთხვევაში აქტუალიზებული. შესწავლის საგანი ხდება მიმართებებები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ტექსტის გრამატიკული ანალიზისას. ესენია:

- სუპერორდინაცია
- სუბორდინაცია
- კოორდინაცია
- სუბსტიტუცია

პირველი გულისხმობს ენობრივი ერთეულების თვისებების ჩვენებას ტექსტის დონეზე ქვევიდან ზევით, სუბორდინაცია — განლაგებას ზევიდან ქვევით, კოორდინაცია — ერთი და იმავე სახის ერთეულების შეკვრას კომპლექსურ წარმონაქმნებად, ხოლო სუბსტიტუცია დაკავშირებულია ჩანაცვლებასთან (ო. კოსერიუ)

ტექსტის გრამატიკის პრობლემებია განხილული ოლგა მოსკალსკაიას ნაშრომში „**грамматика текста**“. მასში ტექსტის დონეზე ხდება იმ გრამატიკული პრობლემების გადაჭრა, რომლებიც წინადადების ჩარჩოში ვერ თავსდება. გრამატიკული მოვლენების ერთ ნაწილს, ტრადიციულად მხოლოდ წინადადების დონეზე რომ განიხილებოდა, ახალმა მიდგომამ ტექსტის კატეგორიის სტატუსი მიანიჭა. „ტექსტის გრამატიკა“. ო. მოსკალსკაიას ფართო გაგებით ესმის. ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ავტორი თავის წიგნში საკითხების უფრო მრავალფეროვან სპექტრს განიხილავს, ვიდრე საათურიდან ჩანს, რადგან იქ სემანტიკურ და სხვა პრობლემებზეც არის მსჯელობა.

ვან დეიკის „ტექსტმცოდნეობა“ ახალ ინტერდისციპლინარულ კვლევას წარმოადგენს. ავტორი განიხილავს ტექსტების აგების საშუალებებს და ერთმანეთისგან განასხვავებს გრამატიკულ, სტილისტიკურ, რიტორიკულ და სქემატურ ტექსტთა სტრუქტურებს. იგი ცალკე თავს უძღვნის ტექსტისა და გრამატიკის მიმართებას. ყოველი ინდივიდი, ინდივიდთა ჯგუფი ან ენობრივი კოლექტივი კომუნიკაციის პროცესში დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებასა და კომუნიკაციურ კონტექსტზე. ისინი ენის სისტემას მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ფორმით იყენებენ. გრამატიკა არის წესების, კატეგორიებისა და დე-

ფინიციების ერთობლიობა, რომელიც განფენილია ენის სისტემაში; რადგან წინადადებებსა და ტექსტებს აქვთ სპეციფიკური ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები, ავტორი ერთმანეთისაგან მიჯნავს წინადადებისა და ტექსტის დონეებს.

ჰორსტ იზენბერგის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ტექსტის გრამატიკის განვითარება. იზენბერგი ტექსტს განსაზღვრავს როგორც „წინადადების კავშირების კოჰერენტულ შედეგს“. იგი ფიქრობს, რომ წინადადებებს შორის არსებობს მიმართებები, რომლებიც ტექსტის გრამატიკის დონეზე უნდა იხილებოდეს, კერძოდ:

- წინადადებების წრფივი თანამიმდევრობა
- მარცხენა და მარჯვენა საზღვრები
- შეფარდებითი დასრულებულობა
- წინადადებებს შორის ბმულობა
- სემანტიკური ურთიერთობა ზედაპირულ კონსტიტუენტებს შორის.

ტექსტის გრამატიკის თანამედროვე კონცეფციას გვთავაზობს ჰარალდ ვაინრიხი. მისი აზრით, ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურებისათვის მარტივი, ნათელი თეორიების შექმნა. იგი ტექსტს მიიჩნევს ენობრივი ნიშნების კავშირთა ერთობლიობად, რომელშიც სრულყოფილად წარმოჩინდება ამ კავშირების კანონზომიერებანი. ავტორი ემპირიულ მასალად იყენებს როგორც ზებირ, ისე წერილობით ტექსტებს. ლინგვისტიკა, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, იყენებს სპეციალურ დარგობრივ ენას. თავად გრამატიკა ანტიკური ხანიდან მოყოლებული საკუთარი ტერმინოლოგიით ოპერირებს. ლინგვისტიკური ტერმინოლოგიის მნიშვნელობები დროთა მანძილზე იცვლება, ხდება მათი სპეციალიზაცია ტექსტის დონეზეც, — წერს ვაინრიხი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჰ. ვაინრიხის თეორიამეთოდოლოგიიდან შემდეგი ძირითადი საკითხების ხაზგასმა:

- ემპირიულ მასალად წერილობითი ტექსტების გამოყენება
- ანაფორულ-კატაფორული მიმართებები
- საბაზისო ერთეულების დეტერმინაცია
- ჩარჩოს კონსტრუქციები
- ბმულობის საშუალებები
- იუნქციების სინტაქსი
- ზმნა და მისი პოზიციები

ნაშრომში ავტორი ემპირიულ მასალად არა მარტო მხატვრულ ტექსტებს იყენებს, არამედ აგრეთვე სპეცტექსტებს სხვადასხვა მეცნიერული დარგებიდან. მაგალითად, ვნებიტი გვარია განხილული ეკონომიკური ტექსტის ერთ-ერთ მონაკვეთში. ავტორი ტექსტს თან ურთავს გრამატიკულ კომენტარს, სადაც გრამატიკული მიმართებები ტექსტის დონეზეა აღწერილი:

ტექსტი:

გრამატიკული კომენტარი:

Nach dem Erscheinungsbild lasse sich (1) sehr unterschiedliche Inflationsformen unterscheiden. Das moderne Phänomen der schleichenden Inflation ist (2) hier einzuordnen: Von schleichender Inflation wird gesprochen (3), wenn die Preissteigerungsraten „gering“ sind und über mehrere Perioden hinweg ohne nennenswerte Beschleunigung zu beobachten sind (4)

(1) lassen sich- unterscheiden: რეფლექსური მნიშვნელობით გამოყენებული ზმნა „lasse“ ზმნის ინფინიტივთან ერთად არის მოდალური პასივის ეკვივალენტი: „können unterschieden werden: პასივის ეს აღწერილობითი ფორმა ხშირად გვხვდება ტექსტებში როგორც პასიური ფორმების ჩანაცვლების საშუალება.

(2) ist- einzuordnen: აქაც საქმე ეხება მოდალურ პასივს, რომელსაც ქმნის დამხმარე ზმნა „ist“ ინფინიტივთან და წინდებულ „zu“-სთან ერთად, რომელიც ინფიქსის სახით ორნაწილიან ზმნაში არის ჩართული. მოდალური მნიშვნელობა ბუნდოვანია, თუმცა იმ საზღვრებშია, რომელიც მოდალური ზმნების პარადიგმით არის დადგენილი. იგი მერყეობს „kann eingeordnet werden“-სა და „muss eingeordnet werden“-ს შორის.

(3) wird gesprochen: აშკარად ნაგულისხმევია ეკონომისტი-მეცნიერი, რომელიც განსაზღვრულ პი-

რობებში მცოცავ ინფლაციაზე საუბრობს. ამდენად ბუნდოვანი ქვემდებარე შესაძლებელია ლექსიკურად დაუსახელებელი დარჩეს. ასე რომ, მთელი ყურადღება მიმართულია საგანზე, აქ ენის გამოყენებაში მცოცავი ინფლაციის ცნებასთან დაკავშირებით.

(4) **wenn-zu beobachten sind:** ეს არის კვლავ მოდალური პასივი, ნაწარმოები დამხმარე ზმნით „sind“ და წინდებუდიანი ინფინიტივის ფორმით. მოდალობა ნიშნავს შესაძლო მოდალობას: „**wenn die Preissteigerungsraten (...) beobachtet werden können**“

2. ჰ. ვაინრიხის აზრით, ანაფორული და კატაფორული ურთიერთობები მიემართებიან კონტექსტში ჩადებულ და მისგან გამომდინარე გააქტიურებულ ინფორმაციაზე. ანაფორული მიმართებების გამოხატვის მარკერებად მიჩნეულია განსაზღვრული არტიკლი, ხოლო კატაფორულად განუსაზღვრელი არტიკლი.

3. ავტორი გამოყოფს დეტერმინანტების სამ სახეობას: პრედიკატულს, ატრიბუტულსა და აპლიკატურს. პრედიკატულია დეტერმინანტი, როდესაც დეტერმინანტის როლში სუბიექტია გამოყენებული: **der Vogel singt**. ატრიბუტული დეტერმინანტის საბაზისო ერთეულს სახელი წარმოადგენს, რომელიც ტექსტში განისაზღვრება რომელიმე დეტერმინანტით, მაგალითად, ზედსართავი სახელით: **der blaue Vogel**. მესამე ტიპს ვაინრიხის თეორიაში აპლიკატივი ჰქვია. ამ შემთხვევაში დეტერმინანტის საბაზისო ერთეულად გამოყენებულია არა ნომინალური სიტყვები, არამედ აპლიკატურად ნახმარი ზედსართავი სახელი ან ზმნიზედა: **er singt kräftig, er singt immer**. ამ ტიპს ტრადიციულ გრამატიკაში შეესაბამება გარემოებითი სიტყვები.

4. გერმანულ ენაში ტექსტები საშუალებას იძლევა თვალსაჩინო გახადოს ჩარჩოს კონსტრუქციის მრავალი ტიპი, — წერს ვაინრიხი. ამ თვალსაზრისით, იგი გერმანულ ენას ჩარჩოს ენას უწოდებს და სამ ტიპს განსხვავებს. ზმნური ჩარჩო მოიცავს იმ მონაკვეთის ინ-

ფორმაციას, რაც ტექსტში გვხვდება საწყისს და ბოლო კომპონენტებს შორის. მაგალითად, **gehe...fort, bin...gegangen**; სახელადი ჩარჩო მოიცავს ყველა ენობრივ ერთეულს და მათ შესატყვის ინფორმაციას, რაც არტიკლსა და სახელს შორის არის მოცემული: **der (x,y)Tag**; მესამე ტიპი იწოდება ადიუნქტების ჩარჩოდ. იგი გაშლილია დამოკიდებულ წინადადებებში საწყის იუნქტორსა და ბოლო პოზიციაზე მდგარ ზმნას შორის: **wenn... beginnt**. ჩარჩოს გამხსნელი ელემენტი აღძრავს იმ მოლოდინს, რომელიც მართლდება ჩარჩოს დამხმარავი ელემენტით.

5. ტექსტის ბმულობის საშუალებებად ჰ. ვაინრიხი ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ამკვიდრებს ისეთ ტერმინებს, როგორცაა იუნქტორი, ადიუნქტი. იუნქცია არის დეტერმინაციული სტრუქტურა, რომელშიც დეტერმინაციული ბაზისი ქმნის იუნქციის ბაზისს, ხოლო დეტერმინანტი არის ადიუნქტი. სხვა დეტერმინაციული სტრუქტურებისაგან იუნქცია იმით განსხვავდება, რომ დეტერმინაციაში ყოველთვის მონაწილეობს იუნქტორი, რომელიც მიეკუთვნება ადიუნქტს:

„*Junktionen sind Determinationsgefüge besonderer Art. In einer Junktion heißt die Determinationsbasis Junktionbasis, und die zugehörige Determinante heißt Adjunkt. Das besondere einer Junktion gegenüber Determinationsgefügen anderer Art liegt darin, dass an dieser Determination immer ein Junktor beteiligt ist, der als Operator zum Adjunkt gehört und der dessen Determinationsleistung ausdrücklich spezifiziert*“ იუნქტორების ჯგუფს მიეკუთვნება წინდებულები, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, ასევე ფლექსია გენიტივისა, როგორც ერთადერთი ბრუნვა, რომელიც წარმოადგენს სახელად ნიშანს.

6. ჰ. ვაინრიხი ცალკე თავს უძღვნის იუნქციების სინტაქსს. ტექსტში ყველა ენობრივი ნიშანი ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია. ეს კავშირი კი სხვადასხვა სახით ვლინდება. ტექსტური ბმულობის განსაკუთრებულ სახეს იუნქციები ქმნის, ხოლო იუნქცია არის დეტერმინაციის სტრუქტურა. სიმბოლურად ეს სტრუქტურა შემდგომნაირად გამოისახება:

ich wohne		meinen Freunden
eine Wohnung	bei	
wohnhaft		ihnen

Basis	Junktor	Adjunkt
J u n	k t i o n	

იუნქციის ელემენტებს აქვთ საკუთარი მნიშვნელობები. ორი ელემენტის — ბაზისისა და იუნქტორის — დაკავშირება მხოლოდ იუნქციის საშუალებით ხდება. დამწერი მკითხველს ანიშნებს გაიზიაროს ადიუნქტის თვალსაზრისი, რომელიც განიხილება იუნქტორის მითითების შესაბამისად. ერთმანეთისაგან განსხვავდება:

- იუნქციების გრამატიკული მნიშვნელობები
- იუნქციის ორივე წევრის ლექსიკური მნიშვნელობა
- იუნქციების საერთო ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა.

ფუნქციების გამოყენების საერთო წესიდან გამომდინარე, 3. ვაინრიხი განასხვავებს იუნქტორების შემდეგ ტიპებს:

1. წინდებულებს, რომლებიც აკავშირებენ ნებისმიერ საბაზისო ერთეულს სახელად ან ნაცვალსახელურ ადიუნქტთან;

2. ერთადერთ ფლექსია-იუნქტორს, რომელიც გენტივის ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს. იგი ნომინალურ ბაზისს სახელად ადიუნქტთან აკავშირებს.

3. კავშირებს, რომლებიც წინადადების ფორმის მქონე ერთეულის ბაზისს აკავშირებენ წინადადების ფორმის ადიუნქტებთან.

4. მიმართებითი იუნქტორები აკავშირებენ ნომინალურ ან პრონომინალურ ბაზისს წინადადების ფორმის ადიუნქტთან.

7. 3. ვაინრიხი ტექსტებს ზმნის პოზიციიდან ანალიზებს. იგი მათ ტექსტების საორგანიზაციო ცენტრებად მიიჩნევს. ეს პრინციპი ორ მეთოდოლოგიურ საფუძველს ემყარება. ერთი მხრივ, ზმნის სტანდარტულ ფორმებად ამ გრამატიკაში აღებულია არა საწყისი, ინფინიტიური ფორმები, არამედ ზმნის პირიანი ფორმები, კერძოდ, მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ფორმა, რომელსაც ავტორი მოლაპარაკის როლს (**Sprecherrolle**) უწოდებს: „*sage, stehe, schreie.*“ რაც შეეხება უპირო ზმნებს, ისინი წარმოდგენილი არიან ტრადიციულად III პირის ფორმით, ანუ რეფერენციალური როლით (**Referenzrolle**): „*regnet, hagelt.*“ მეორე მხრივ, გერმანულში ზმნას აქვს უნარი შექმნას ჩარჩოს კონსტრუქციები. 3. ვაინრიხი ვირტუალური თვალსაზრისით ორ კომპონენტიან ზმნებს უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, ვიდრე მარტივ ზმნებს. ზმნის ჩარჩო აღიქმება, როგორც დინამიკური

სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს ტექსტის სემანტიკას.

ასევე მნიშვნელოვანია ზმნის დროის კატეგორიისა და მისი პოზიციების შეფასება ვაინრიხის მიერ. ტერმინი „დრო“, მისი აზრით არის კომპლექსური ცნება. დრო და უღლება ორ ჯგუფად იყოფა: მარტივი დროის უღლებად და ჩარჩოს მაწარმოებელი ზმნების უღლებად, ხოლო პოზიციები არის მოქმედების ძირითადი ფორმები, რომლებიც ხუთ კომპონენტად ჯგუფდება: თხრობითი კილოს, კონიუნქტივის, იმპერატივის, ინფინიტივის ფორმებად და მოდალურ ზმნებად.

ვაინრიხი იყენებს ტერმინს — დროის რეგისტრი („**Tempus-Register**“), რომელიც წარმოადგენს პოზიციათა კატეგორიას. მის ნიადაგზე დგინდება პრედიკაციის ფუნქცია. იგი დროის ორ რეგისტრს გამოყოფს: განსჯასა და თხრობას (**Besprechen und Erzählen**).

აქვე განხილული დროის პერსპექტივა, ანუ სივრცეში განვითარება, რომელიც, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფად იყოფა — ნეიტრალურ პერსპექტივად და დიფერენციალურ პერსპექტივად. პირველი ორ დროის ფორმას აერთიანებს — პრეზენსსა და პრეტერიტუმს, ხოლო მეორე, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა — უკუპერსპექტივად და წინამავალ პერსპექტივად. პირველს მიეკუთვნება პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის დროის ფორმები, ხოლო მეორეს — ფუტურუმში:

Tempus-Perspektive		
Neutral-Perspektive	Differenz-Perspektive	
Präsens Präteritum	Rück-Perspektive Perfekt	Voraus-Perspektive Futurum Plusquamperfekt

3. ვაინრიხის მიხედვით, კავშირებითი კილოს კატეგორიაში გამოიყოფა რესტრიქტიული და ინდირექტიული ფორმები. რესტრიქტივი კავშირებითი კილოს ორი ფორმის სახით გვხვდება — სინთეზურით და ანალიზურით. თითოეული დრო ორ პერსპექტივას განასხვავებს: ნეიტრალურ პერსპექტივას და უკუპერსპექტივას. ეს უკანასკნელი ყოველთვის ქმნის ჩარჩოს:

დამხმარე ზმნა ინფინიტივი
Wir würden ja gerne heiraten, wenn...

ზ მ ნ უ რ ი ჩ ა რ ჩ ი

რესტრიქტიული ფორმების გამოყენება სპეციალურ წესებს ემორჩილება:

1. ანალიზური რესტრიქტივის ფორმები შეიძლება ძირითადად სუსტ ზმნებში, რომლებსაც აქვთ პრეტერიტუმისა და რესტრიქტიული კონიუნქტივის საერთო ფორმები:

Er sagte mir, er würde diese Arbeit gerne machen, wenn...

Sie dachte, dass er das wohl nicht sagen würde, wenn nicht...

სინთეზური რესტრიქტივის ფორმები „machte“ და „sagte“ მოცემულ მაგალითებში არ იქნებოდა განსხვავებული მათი აქტივის პრეტერიტუმის ფორმებისაგან.

2. კოპულატიურ, დამხმარე და მოდალურ ზმნებთან უფრო ხშირია სინთეზური რესტრიქტივის გამოყენება ვიდრე ანალიზურის:

Wenn ich ein Vöglein wäre und auch zwei Flügel hätte

3. სხვა ძლიერ ზმნებთან, რომელთა ფორმებიც პრეტერიტუმსა და სინთეზურ რესტრიქტივში განსხვავებულია, უპირატესობა არ ენიჭება არც სინთეზურ და არც ანალიზურ ფორმებს:

Ich gäbe mir gewiss alle Mühe mit dieser Besorgung, wenn...

ან

Ich würde mir gewiss alle Mühe mit dieser Besorgung geben, wenn...

4. უკურესტრიქტივთან, როგორც წესია სინთეზური რესტრიქტივი იხმარება. იგი დამხმარე ზმნების „habe“ და „bin“ ფორმებისაგან შედგება. მათი სინთეზური რესტრიქტიული ფორმები თავიანთი უმლაუტიტ განსხვავდებიან თხრობითი კილოს პრეტერიტუმის ფორმებისაგან.

Was hättest du denn an meiner Stelle getan?

Warst du damit einverstanden gewesen?

რაც შეეხება ინდიკატივის ხმარების წესებს, მას არსებითად უფრო შესაფერისი ფორმები აქვს, ვიდრე რესტრიქტივის. უმეტესწილად იგი იხმარება მხოლოდითი რიცხვის III პირში:

Er/sie/es/rede

3. ვაინრიხი ზმნის გვარის კატეგორიაში ორ ჯგუფს განსხვავებს — მოქმედებითსა და ვნებითს. ვნებითი გვარის კატეგორიაში გამოიყოფა სახეობები, რომელთა ნათელსაყოფად ვიშველიებთ სემანტი-

კურ როლებს — აგენსს, პაციენსსა და რეციპიენტს, რომლებიც სიღრმული სტრუქტურის ტერმინებია.

1. Das Objekt-im-Subjekt-Passiv- პაციენსი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ქვემდებარეა.

Soziale Phänomene werden am besten mit den Methoden der Feldforschung untersucht.

2. Das Partner-im-Subjekt-Passiv- რეციპიენტი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ქვემდებარეა.

Der Versicherte bekommt die Krankhauskosten erstattet (პასივის მაჩვენებელია ასეთ შემთხვევაში ზმნები: kriege, bekomme და (იშვიათად) erhalte.

3. Das Subjekt-im-Verb-Passiv- აგენსი, რომელიც იგულისხმება პასიურ კონსტრუქციაში .

Heute wird in unserem Betrieb gefeiert.

3. ვაინრიხი მსჯელობს აგრეთვე კვაზი პასიურ ფორმებზე, ფუნქციონალურ პასივსა და მოდალურ პასივზე:

Sie haben deutlich erkennbare Fortschritte gemacht.(1)

Die Probleme werden verfremdet zur Sprache gebracht.(2)

Der Haushaltsplan ist in Einnahme und Ausgabe auszugleichen.(3)

ამრიგად, პარალელ ვაინრიხმა ახლებურად გაიაზრა გრამატიკული მიმართებები. მან შექმნა ახალი ტერმინოლოგიური და ცნებითი აპარატი ტექსტის გრამატიკის ფარგლებში, რითაც უშუალოდ დაუკავშირა ერთმანეთს გრამატიკული სისტემა და ტექსტი.

დასკვნები

1. ტექსტის გრამატიკის განვითარების ტენდენციები მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული მჭიდროდ უკავშირდება ტექსტის სტილისტიკას და მის ფარგლებში რჩება.

2. 50-იანი წლებიდან ტექსტის გრამატიკა გამოკვეთილ სახეს იღებს, თუმცა ჯერ კიდევ არ აქვს სტილისტიკიდან საბოლოოდ გამოყოფის პრეტენზია.

3. 80-იანი წლებიდან ტექსტის გრამატიკა იწყებს ჩამოყალიბებას ავტონომიურ დისციპლინად კვლევის საკუთარი ობიექტით და მეთოდებით ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში.

ლიტერატურა

გიულინი, რაიბლე, 1977 — Gülich E./ Raible W., Linguistische Textmodelle, Wilhelm Fink Verlag, München, 1977

ვაინრიხი, 1993 — Weinrich H. Textgrammatik der deutschen Sprache, Mannheim, Leipzig, Wien, Zürich, Dudenver., 1993

კოსერიუ, 1980 — Coseriu E, Textlinguistik, Eine Einführung, Herausgegeben und bearbeitet von Jörn Albrecht, 1980

მოსკალსკაია, 1981 — Москальская О. И. грамматика текста. Москва. 1981

რიზელი, 1974 — Riesel E, Theorie und Praxis der Linguostilistischen Textinterpretation, Moskau, Verlag „Hochschule“ 1974

ფურცელაძე 1998 — ვ. ფურცელაძე, ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. სამშობლო. თბ., 1998

შნაიდერი 1963 — Schneider W. Stilistische deutsche Grammatik, Herder Druck Freiburg im Breisgau, 1963

ჰაინემანი, ფიევეგერი, 1991 — Heinemann W, /Viehweger D. Textlinguistik. Max Niemeyer Verlag. Tübingen 1991

TEA PETELAVA

Tendencies in the Development of Text Grammar

Summary

The paper examines the evolution of text grammar from the early stage when it was closely associated with text stylistics up to the period when text grammar turned into an autonomous discipline within the Framework of text linguistics

ივანე ჯავახიშვილი

შენიშვნები სპარსულ-არაბული წარმოშობის ძვირფასი ქვების სახელების შესახებ „ზააქიანში“

განხილვის ობიექტია „ზააქიანის“ პროზაული ვერსიის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია 1934 წელს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომში. ტექსტში უხვად არის წარმოდგენილი აღმოსავლური ენებიდან ნასესხები ლექსიკა, კერძოდ, სპარსულ-არაბული წარმომავლობის ძვირფასი ქვების სახელები.

ალმასი — ვერსიაში გვითხულობთ: „... წინ უდგანან ასი-ათასი ფალავანი — ყველა ალმასისა ხანჯლებით“ (ზააქიანი, 1934, 394). „სიტყვის კონის“ მიხედვით, „ალმასი — თუალაია პატიოსანი, ადამატიინე“ (ორბელიანი, 1949, 23). ლათ. *diamentum*, ბერძნ. *adamas* — „უბადლო“, „მტკიცე“. იუსტინე აბულადის განმარტებით, „არ.-სპ. *almās* — ალმას „ძვირფასი ქვა“ (აბულაძე, 1934, 566). მ. ანდრონიკაშვილის განმარტებით, „*almās*, ბერძნულიდან არის ნასესხები“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 342). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ალმასი — 1. ძვირფასი ქვა, — უფერო და გამჭვირვალე, ფრიად მაგარი, იხმარება სამკაულად. 2. ბასრი, მჭრელი“ (ქეგლ, I, 279). ახალ სპ. *almās* < ფალ. *almās*, ბერძნულიდან არის ნასესხები (მოინ 1998, 165).

ბროლი — ზააქიანში გვითხულობთ: „ორთავ მნათობთა ბროლისა და სადაფის პირით აკოცებდა“ (ზააქიანი, 1934, 394). საბას განმარტებით: „ბროლი — ბუნებით თეთრი ქვაი არს და ჭიჭისაგან შეიშადება“ (ორბელიანი, 1949, 74). იუსტინე აბულადის განმარტებით, „ბროლი — სპ. *bulūr* — ბოლურ-კრისტალი, იგ. მნიშვნ.“ (აბულაძე, 1934, 571). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, „ბროლი — 1. მაღალხარისხოვანი მინა ... ვადატ. თვალწარმტაცი თეთრი და ნაზი გულ-მკერდი, ყელი, თითები — ბროლის ზამთარი, სპეტაკ თოვლიანი ზამთარი. 2. ვადატ. სუფთა თეთრი, ძლიან

თეთრი. 3. მინერალ. კვარცის სახესხვაობა, — უფერო, გამჭვირვალე, კრისტალური“ (ქეგლ, I, 1138). მ. ანდრონიკაშვილის განმარტებით, „ახ. სპარსული **bulūr** — „ბროლი, მინა, კრისტალი“, სომხ. **blur** — „ბორცვი, გორაკი, ამალღებული ადგილი“ (ანდრონიკაშვილი 1996, 75-76). მ. მოინი მიუთითებს სპ. **bolur** — ის ბერძნულ წარმოშობაზე — **beryllos**. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ტერმინი **ballūr** — „კრისტალი“, „მთის ბროლი“ დადასტურებულია ისლამამდელ არაბულ ბიბლიაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაბ. **ballūr** — „ბროლი“ არამეულის გზით უკავშირდება ბერძ. **beryllos**, რომელიც შემოსულია ბერძნულში სანსკრიტული ენიდან“ (ნედოსპასოვა, 1991, 19). ახ. სპ. **bulūrīna**, მრ. რიცხვი **bulūrīnahā** აღნიშნავს „ბროლის ნაკეთობა“ (ჩიქობავა, 1986, 9).

გვარი — ტექსტში ვკითხულობთ: „გვართავან და გლახათავან დაკლიან“ (ზააქიანი, 1934, 376). იუსტინე აბულადის განმარტებით, „გვარი — ძვ. გუარი — სპ. **gohar** — გუჰარ — გუარი, **resp.** გვარი — წარმოშობა, შობილება, ჩამომავლობა, შთამოება“ (აბულაძე, 1934, 576). იუსტინე აბულადის აზრით, „გუარი — სპ. **gohar** გოვჰარ ქართ. გოვარი... გუჰარ ... გოარ, მარგალიტის თვალი — ქართულში გვაქვს აქედან: გუარი, დაბოლოს გვარი, მოდემის, ჯიშის, ნათესაობის, ტომის, ჩვეულებრივი გვარის, ჩამომავლობის მნიშვნელობით (აბულაძე, 1934, 577). ილია აბულაძეს ეს სიტყვა მკვიდრ ქართულად მიაჩნია და სომხურ ვარიანტს ქართულიდან ნასესხებად თვლის, რაც, მ. ანდრონიკაშვილის აზრით, არ არის სწორი. სიტყვა გოვარი — გუარი — გვარი — ნასესხებია საშ. სპარსულიდან ქართულშიც და სომხურშიც, რასაც ამტკიცებს სრული იდენტობა, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური საშუალო და ახალ სპარსულ სიტყვასთან **gōhr-gōhār**, რომელიც ქართულში კანონზომიერად მოგვცა გოარი > გოვარი > გუარი > გვარი. „ძველი ირანული ფორმა უნდა ყოფილიყო **Gauhra**, შდრ. **gōtra** "Family". ჰ. ბელი ამ სიტყვას აწარმოებს ძირიდან **gav-** „აღმოცენება, წარმოშობა. ახ. სპარსული, **gōuhar** და **gohar** 1. — „არსი, ბუნება, მატერია, წარმომავლობა, ელემენტი“, **gohari** — „კეთილშობილი, გვარიანი“, ფალ. **gōhrīk** ... პროვინცია, ოლქი, ქვეყანა, მამული, სამშობლო“ (საგვარეულო, ფუძე > სამშობლო) საშ. სპარსული **gōhar** „ბუნება, მატერია, არსი, წარმოშობა, არსა, გვარეუ-

ლობა, შთამომავლობა“ და სხვ. 2. — „ძვირფასი ქვა, მარგალიტი, თვალი პატიოსანი (თვალი პატიოსანი — კეთილშობილი) (ანდრონიკაშვილი 1966, 303-304). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „გვარიანი — 1. წარჩინებული გვარის. 2. გადატ. საკმაოდ კარგი, რიგიანი. გვარეობა — ჯიში, მოდგმა ცხოველთა“ (შდრ. გვარი, მნიშვ. 2) (ქეგლ, II, 1434). ახალ სპარსულ ენაში სიტყვა **gohar / gouhar**-ის არაბიზირებულმა ფორმამ **jouhar** (მრ. **javāher**) მიიღო საზოგადო სახელის ფუნქცია: **javāher-e nafis** — „ძვირფასი ქვები“, **javāher-e motavasset** — „ნახევრადძვირფასი ქვები“, **javāher-e ma'dani** — „მინერალური წარმოშობის ძვირფასი ქვები“ (ჩიქობავა, 1986, 13-14).

ზობარჯადი — ზააქიანში ვკითხულობთ — „სახელმწიფო გუარი, ზობარჯადი და მალრიბული ოქრო“ (ზააქიანი 1934, 415). იუსტინე აბულადის განმარტებით, „არ. ზობარჯად ან ზუბარჯი ან და ზობარჯი — სპ. **zabarjad** — ზაბარჯადი — ერთგვარი ზურმუხტი, ქრიზოლიტი. ზუბარჯის ტახტი — ქრიზოლიტის ტახტი, — ოქროს ტახტი“ (აბულაძე, 1934, 588). ზოგი სპეციალისტის აზრით, სპ. **zebarjad**-ი **zum-murud**-ის ნაირსახეობაა და ეს ტერმინები სინონიმები არიან (ნედოსპასოვა, 1991, 30). მ. მოინის აზრით, **zebarjad**-ი სემიტური სიტყვაა, რომელიც უკავშირდება **barq** და **barqa** — „კამკაში“, „ნათება“, ხოლო **ze-** ელემენტი დართულია (ბორჰან 1952, II, 1004).

ზურმუხტი — ვერსიაში ვკითხულობთ: „იაგუნდი, ზურმუხტი, ლალი და ფეროზი დაჰკიდეს“ (ზააქიანი, 1934, 388). „სიტყვის კონის“ მიხედვით, „ზურმუხტი — მწუანე თვალია პატიოსანი“ (ორბელიანი, 1949, 228). იუსტინე აბულადის განმარტებით, „ზურმუხტი — სპ. **zumurrud** ზუმროდ — აქედან რუს. **изумруд**. — ძვირფასი თვალი მწვანე ფერის, აქედანვეა ზურმუხტი — მწვანე (აბულაძე, 1934, 588); ლათ. **smaragdus** — „მწვანე“. ფალაურში **zmuruxt** > სომხ. **zmuruxt**, ხოლო ქართულში **zurmuxt**-ი „ზურმუხტი“. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, სიტყვა სემიტური წარმოშობისაა და ბერძნული გზით დამკვიდრდა ირანულში, ფალ. **zmuruxt** > ახ. სპ. **zummurud** > არაბ. **zibarjad** (ანდრონიკაშვილი, 1966, 330-331). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ზურმუხტი — [სპ. ზუმურუდ] ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა — ზოგჯერ უმართებულოდ უნმარიათ „ლურჯ“-ის მნიშვნელობით“ (ქეგლ, V, 188). ახალ-სპარსულში დადას-

ტურებული zumurrud-i asam — „ყრუ არაგამჭვირვალე ზურმუხტი“, zumurrud-i zulmānī — „მუქი ზურმუხტი“ (ჩიქობავა, 1986, 11).

იაგუნდი — ტექსტში ვკითხულობთ: „წითლით იაგუნდით მოკაზმულსა ოქროსა“ (ზააქიანი 1934, 374). „სიტყვის კონის“ მიხედვით, „იაგუნდი — თუალია პატიოსანი“ (ორბელიანი, 1949, 253). იუსტინე აბულადის განმარტებით, „იაგუნდი“ — არ. yāqūt — იაკუტ იგ. მნიშ. ძვირფასი ქვა“ (აბულადე, 1934, 590). „საშ. სპ. yagund — ქართულ. იაგუნდი „ლალი, ძვირფასი ქვა წითელი ფერისა“... ახ. სპარსული yagand და yāqūt „იაგუნდი, ლალი“, yāgand-i azraq „ბივრილი, აკვამარინი“, yagand-i zard „ტოპაზი“, „ლალი“ (წითელი იაგუნდი), yāgand-i kabūd „საფირონი“. შეადარეთ აგრეთვე yāgand-i revān „წითელი ღვინო“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 200, 331). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „იაგუნდი [არ. იაკ თ] იგივეა, რაც ლალი. იგივეა, რაც საფირონი“ (ქეგლ, IV, 520).

ლალი — ზააქიანში ვკითხულობთ: „... ლალის და ფეროზისა თასებითა და ბროლისა ჭიქითა...“ (ზააქიანი, 1934, 400). საბას განმარტებით, „ლალი — წითელი“ (ორბელიანი, 1949, 324). იუსტინე აბულადის აზრით, „ლალი — წითელი“. სპ. lāl ლალ — წითელი ფერის ძვირფასი ქვა, აქედანვე: ლალი — წითელი“ (აბულადე, 1934, 592). მ. ანდრონიკაშვილის განმარტებით, „საშ. სპარსული lāl „წითელი“ = ქართ. ლალი „ძვირფასი ქვა წითელი ფერისა“. არ.-სპ. lāl „ძვირფასი ქვა ლალი, წითელი ვარდი“, lāl „წითელი, ლალი“ და სხვ. ა. სიდდიკი არაბულ lāl-ს სპარსულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და შენიშნავს, რომ ალბათ თვით სპარსელები ამ სიტყვას „აინ“-ით წერდნენ რომ ლალი= lāl (lal >არაბ. la'l), რომელიც არაბულში იყო გადასული, lāl „წითელი“-საგან გაერჩიათ ისე“ (ანდრონიკაშვილი 1966, 208, 336). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ლალი — [არ. ლა'ლ] წითელი ფერის ძვირფასი ქვა, პატიოსანი თვალი (სინონ. იაგუნდი) წითელი ღვინის ეპითეტად ხმარობდნენ“. სპეციალისტების აზრით, ტერმინი lal-i (მისი სინონიმი — badaxši / balaxši) აღნიშნავს შპინელის წითელ ნაირსახეობას. მაგრამ ლიტერატურაში lali და იაგუნდი მათი მსგავსების გამო ხშირად არის აღრეული ერთმანეთთან (შდრ. ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონში — ლალი ... სინონ. იაგუნდი). ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ

ბადახშანის საბადოების აღმოჩენამდე la'l საზოგადოდ წითელი ფერის ძვირფას ქვას აღნიშნავდა. შემდეგ კი la'li badaxšan-ით ან la'l-ით აღინიშნება შპინელი (ჩიქობავა, 1990, 110-114).

ფეროზი — ვერსიაში ვკითხულობთ: „იაგუნდი, ზურმუხტი, ლალი და ფეროზი; დაჰკიდეს“ (ზააქიანი 1934, 388). იუსტინე აბულადის განმარტებით, „ფირუზი — ძვირფასი ქვაა, მწვანე ფერისა“ (აბულადე, 1934, 620). ფეროზი — „თვალი პატიოსანი, ძვირფასი ქვა ცისფერი. ახ. სპარს. firūzah — არაბიზირებული ფორმა; სპარსულია pirūzah. ... საშ. სპარსული pērōzak, pērōzag-იდან“. მცენიერი განაგრძობს, „ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა მოდის ძველი ირანული patirancāh ფორმიდან, „მოელვარე, ბრწყინვალე“ (ანდრონიკაშვილი 1966, 146-147). ფერის ეპითეტის ფუნქციით — ახ. სპ. pirūza-ye āsmangūn „ცისფერი ფირუზა“ (ჩიქობავა, 1986, 10). შდრ. ქართ. — „ცა-ფირუზ...“.

მურასა — ტექსტში ვკითხულობთ: „მოუყენეს ოქროლ გმიანნი ცხენნი მურასა უნაგრებითა“ (ზააქიანი 1934, 398). ზააქიანის ტექსტში გვხვდება სიტყვა — მურასა, რომელიც საბას განმარტებით, აღნიშნავს „სპარსთა ენაა, ქართულად მოოჭვილი ჰქვიან“, ხოლო მოოჭვილი ნიშნავს „მოთვალული ოქროითა“ (ორბელიანი 1949, 407, 426). იუსტინე აბულადის მიხედვით, „მურასა ოქროთი ან თვალმარგალიტით მოჭედული, მოოჭვილი“ (აბულადე 1934, 601). უფრო სრულ ინფორმაციას გვაწვდის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: „მურასა — ძვირფასი თვლებით მოოჭვილი რამ. მურასა ტანისამოსი კუთხ. (ქიზ.) „საგანგებო, საუცხოო ქსოვილის ტანისამოსი, მოოჭვილი ტანისამოსი“. მურასა (პური) კუთხ. (იმერ.) თონეული თეთრი, წმინდა პური“ (ქეგლ V, 1158, I). ლექსემა murassa — სპარსულში გავრცელებული არაბული სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს მოოჭვილ ნივთებს, მათ შორის იარაღსაც (მოინ III, 4016-4017).

ლიტერატურა

ზააქიანი, 1934 — ზააქიანი, ტექსტი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომი, თსუ, 1934.

ორბელიანი, 1949 — ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

აბულაძე, 1934 — „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომზე დართული იუსტინე აბულაძის ლექსიკონი.

ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.

ანდრონიკაშვილი, 1996 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, თბ., 1996.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-1964.

მოინ, 1998 — M. Mo'in, Persian Dictionary I-VI, Tehran, 1998.

ნედოსპასოვა, 1991 — Недоспасова, Драгоценные камни и арабский библии, Тбилиси, 1991.

ბორჰან, 1952 — Borhān-e Qāte', II, 1952, Tehran.

ჩიქობავა, 1986 — М. Чикобава, Гемологическая номенклатура и терминология в персидском языке (по трактату Абу-л Касема Абдоллаха Кашани "Свадебные подарки драгоценных камней и редкости благовоний", 1300г.), Автореферат канд. диссертации, Тбилиси, 1986.

ჩიქობავა, 1980 — მ. ჩიქობავა, „ლალი“ და „ბადახში“ ტერმინების მნიშვნელობისათვის, „მაცნე“ (ენ. ლიტ. სერ.), №4, 1980.

Georg. **gvar-i** // **guar-i** // **goar-i** // **guhar-i** - "precious stone", "origin", "family" < Mid. Pers. gōhar. Old Ind. * Gauθra // Sansk. gōtra - "family". Arab.-Pers. johar // jouhar (plur. - jovāhir) - com. noun - "jewelry".

Georg. **zubarjad-i** "kind of emerald" < Pers. zeparjad - synonym of zummurud. Pers. zeparjad is of Semit. origin, it is connected with barq, barāqa - "bright", "shinig", ze element is added (Moin).

Georg. **zurmuxt-i** - < "emerald" < Mid. Pers. zmuruxt > N. Pers. zummurud > Arab. zeparjad. It is of Semit. origin via Greek to Iran.

Georg. **iagund-i** "ruby" < Mid. Pers. yāgūnd > N. Pers. yāgund // Arab. > Arab. yāgūt, Rus. yaxont.

Georg. **lal-i** - "ruby" < Mid. Pers. lōl - "red" > Arab.-N.Pers. la'l. lāl/ la'l - its synonym - badaxš / balaxš - "shpinel".

Georg. **peroz-i** / **piruz-i** - "turquoise". Mid. Pers. pērōzak / pērōzag > NPers. pīrūza / Arab. fīrūzah.

The word 'murassa' encountered in "Zaakiani" is of Arabic origin and means inlaid with precious stones.

IHAH KAZIM

Comments on the Originally Persian and Arabic names for Precious Stones in "Zaakiani"

Summary

The prose version of Georgian "Zaakiani" whose text was published in the Georgian version of "Shāh-Nāmeḥ" (vol. 2, 1934) is abundant in the borrowings from Oriental languages, viz, the text in question is rich in the originally Persian and Arabic names for precious stones:

Georg. **almasi** - "diamond" < Mid. Pers. almās // Greek adamas - "incomparable", "firm".

Georg. **broli-i** - "cut-glass", "crystal" < Pers. bulūr // Arab. bellur via Aramaic < Greek beryllos from Old Ind.

სოფიო ყიფიანი

ლოგიკური აუცილებლობის გამოხატვალი
მაისტრული მოდალობა ინფლიქსსა და ჰარტოულში

ენაში მოდალური მნიშვნელობების ხასიათისა და რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს მოდალობის რამდენიმე ტიპის არსებობას, რომელიც გამოიხატება მოსაუბრის მიერ გამოთქმული შინაარსის დამოკიდებულებით რეალობასთან, მის ჭეშმარიტებასთან. ეპისტემური მოდალობის ტიპს უწოდებენ სუბიექტურს, კერძოს, დამატებითს, თავისუფალს. [პანფილოვი, 1977, 39; ერმოლაევა, 1964, 121]

ეპისტემური მოდალობა გამოხატავს მოსაუბრის რეალობასთან დამოკიდებულებას. ის ყოველთვის სუბიექტურია იმ გაგებით, რომ დამოკიდებულია მოსაუბრის დასკვნაზე. ეპისტემური მოდალობა — გარესინტაქსური კატეგორიაა, რადგან, როგორც წესი, გამოიხატება ელემენტებით, რომლებიც არიან სინტაქსურ იზოლაციაში (მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, მოდალური ფრაზები) — ეს გამონათქვამთა მოდალობაა და არა მოქმედების გამოხატველი მოდალობა.

ეპისტემური მოდალობა შინაარსის მიხედვით შეიძლება გავყოთ ორ სემანტიკურ ოპოზიციად: ა) თვითდაჯერებულობა/ეჭვი, ბ) ლოგიკური შესაძლებლობა/ლოგიკური აუცილებლობა. პირველი ოპოზიცია გამოხატავს მოსაუბრის ცოდნის ხარისხს და ობიექტსა და პრედიკატს შორის სავარუდო კავშირის ხასიათს. მოდალური მნიშვნელობის ლოგიკური შესაძლებლობა გამოხატავს ვარაუდს რეალობის არასრულ, სუბიექტურ ცოდნაზე დაყრდნობით. [ლოიჩი, 1974, 74-75].

ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, წინასწარ ცოდნაზე, საქმეთა ჩვეულებრივ მდგომარეობაზე, თვითმხილველის მტკიცებულებებზე. ლოგიკური აუცილებლობის გამოხატველი მოდალური გამოთქმები შეიძლება შევავსოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვით. ასე, მაგალითად გამოთქმას "He must be at home" (ის სახლში უნდა იყოს) შეიძლება

წინ უსწრებდეს აზრთა ასეთი წყობა: დღეს შაბათია, არა სამუშაო დღე, გვიანია, წვიმიანი დღეა, ის სახლში უნდა იყოს".

Must გადმოცემს დასკვნას, რომელსაც აკეთებს მოსაუბრე რეალური ფაქტების საფუძველზე, თუმცა არაა საკმარისი ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის არსებობის მტკიცებისათვის. ამ თვალსაზრისით აქ გაკეთებული ყველაზე „ძლიერი“ დასკვნაც კი „სუსტია“ რეალობის მოდალობასთან შედარებით, რომელიც გამოიხატება თხრობითი კილოთი. მართალია, რომ **must** გამოხატავს დარწმუნებულობას, მაგრამ მნიშვნელობა აქვს კონტექსტს: ძირითადი დასკვნა ჩვეულებრივ არის გამოტანილი ან ადვილად ჩანს კონტექსტიდან: [პოლიდეი, 1970, 329]

I felt instinctively that the hour must be chosen with delicacy. (S. Maugham)

გვრძნობდა, რომ ნახვის დრო გულდასმით უნდა შემერჩია.

That must be the story of innumerable couples, and the pattern of life it offers has a homely grace. (S. Maugham)

ასეთია უამრავი ოჯახის მიერ გავლილი გზა და ასეთი ცხოვრება არ არის მოკლებული თავისებურ ეშსა და მომნიშველობას.

მოსაუბრის დასკვნა შეიძლება დაეფუძნოს არა კერძო დაკვირვებებს, არამედ სხვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებებს:

"I must get out of this now pretty soon", was the sturdy German's regular comment. (Th. Dreiser)

— როგორმე უნდა დავაღწიო თავი ამ უბედურებას, — იტყოდა ხოლმე ჯიუტი გერმანელი.

must-ით გამოხატული დასკვნა შეიძლება ეკუთვნოდეს აწმყოსა და ნამყოსაც, თუმცა თვითონ მოდალური ზმნა არ იცვლის ფორმას.

მოვლენებისადმი მიდგომა განსაზღვრულია ინფინიტივის ფორმით: **Continuous**-თან და **Indefinite Infinitive** - თან შეთანხმება გამოხატავს მოვლენის შესახებ დასკვნას მეტყველების მომენტისათვის ერთდროულად. პალმერის მტკიცებულებით **must** არ გამოხატავს მოცემულ მნიშვნელობას, როგორც მომდევნო მოვლენებთან დაკავშირებულს. განსაკუთრებით ხშირია **be+** სახელობითი ნაწილი ინფინიტივთან შეთანხმება. (პალმერი, 1979, 44)

He was a United States Senator, however the neighborhood they lived in must be very poor. (Th. Dreiser)

რაც უნდა იყოს, შეერთებული შტატების სენატორია და ამ ქალაქის მცხოვრების ასეთი ღუბჭირი ყოფით დაინტერესება მისთვის

უხერხული არ უნდა ყოფილიყო.

Let's go in you must be getting cold. (I. Murdoch)

შინ შევიდეთ, ალბათ შეგცივდათ.

პერფექტული ინფინიტივი მიანიშნებს მოვლენების მომენტთან კავშირს, რომელიც წინ უსწრებს მეტყველების მომენტს:

It must have been very difficult to explain to Robert. (S. Maugham)

წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდით, როცა რობერტს გაუმხილეთ ყველაფერი.

He must have gone off last night in a trishaw – or in somebody else's car. (G. Green)

წუხელ ველო-რიქშით თუ წავიდა, ან სხვისი ავტომობილით.

He must have been started. (I. Steinbeck)

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, მოდალურ ზმნა **must**-ის ძირითადი მნიშვნელობაა აუცილებლობის გამოხატვა. მის ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს **have to**. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გადმოიცემა იგი ქართულში:

I must thank him. (E. Hemingway)

მადლობა უნდა ვუთხრა.

I must give him something more than the belly meat then. (E. Hemingway)

მეტი უნდა მივცე, ერთი რბილი ნაჭერი არ იქნება საკმარისი.

No journalists were allowed, no cables could be sent, for the papers must carry only victories. (G. Green)

აქ არც კორესპოდენტებს უშვებდნენ და არც დეპეშების გაზავნის ნებას რთავდნენ, რადგან გაზეთებმა ხომ მხოლოდ გამარჯვებები უნდა გამოაქვეყნონ.

So when I told old Spencer I had to go the gym to get my equipment and stuff, that was a sheer lie. (J. Salinger)

მოხუც სპენსერს რომ ვუთხარი, ფიზკულტურის დარბაზში უნდა შევიარო-მეთქი, ესეც მტკნარი სიცრუე იყო.

მოდალური ზმნა **must** გამოხატავს როგორც ბრძანებას, ასევე აკრძალვას:

You must go right off and get some more. (Th. Dreiser)

გასწი ახლავე და კიდევ მოიტანე!

"I will go now," he said, again addressing Gerhardt, "but you mustn't think that I am leaving this matter for good." (Th. Dreiser)

მივდივარ, - განავრძო ბრენდერმა და გერპარდტს მიუბრუნდა, - მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ საქმეს ასე დავტოვებ.

"You mustn't stare at people when they pass," cautioned her mother wisely. (Th. Dreiser)

— ნურავის შეაჩერდები, არ ვარვა, — დაარია დედა.

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნა **must** ასევე გამოხატავს ეჭვს, ქართულში კი ამ თვალსაზრისით გვხვდება იქნებ, ეგებ, ალბათ და სხვა მოდალური ნაწილაკები:

It must be very strange in an aeroplane, he thought. (E. Hemingway)

თვითმფრინავიდან ალბათ ყველაფერი ერთობ უცნაურად ჩანს, — გაიფიქრა მან.

The boy must be forty by now. (J. Galsworthy)

ბიჭი ახლა ორმოცი წლისა იქნებოდა.

Have to (have got to) ნაკლებად გამოიყენება ლოგიკური აუცილებლობის გამოსახატავად ინგლისური ენის ბრიტანულ ვარიანტში, მაგრამ საკმარის გავრცელებულია ამერიკულ ვარიანტში. **Must** და **have to**-ს შორის განსხვავება ახსნილია როგორც განსხვავება „ფაქტობრივ აუცილებლობასა“ და „თეორიულ აუცილებლობას“ შორის. თუმცა ეს განსხვავება განეიტრალებულია სამეცნიერო სტილის მეტყველებაში.

Will შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების ანალიზი. ის ხშირად ატარებს „წინასწარმეტყველურ“ ხასიათს:

She'll be with father in their room. (J. Galsworthy)

მამამისთან ერთად იქნება თავიანთ ოთახში.

„წინასწარგანჭვრეტილი“ წინადადებები მოდალური ზმნა **will**-ით შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების ანალიზი.

It is my intention to do well by her, but perhaps it will be better to keep her away, at least for the present. (Th. Dreiser)

მისთვის სიკეთე მინდა, მაგრამ, იქნებ, სჯობდეს, ერთხანს არ მოვიდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში.

განუსაზღვრელი ან განვრძობითი ინფინიტივის შეთანხმება **will**-თან გამოხატავს მოვლენებზე დაყრდნობით, ერთდროულ მეტყველების მომენტს, პერფექტული ინფინიტივის შეთანხმებას მოვლენებთან, რომელიც წინ უსწრებს მეტყველების მომენტს.

ხშირად **will** გამოხატავს დასკვნას, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტის ხასიათი. გამოიყენება ჩვეულებრივი მოვლენების აღსანიშნავად (**habitual events**). წინადადებები ატარებენ განზოგად-

ბულ ხასიათს, რომელიც განპირობებულია არს. სახელის - ქვემდებარის გამოყენებით გარკვეული მნიშვნელობით:

Boys will be boys.

Oil will float on water.

Accidents will happen.

Will გამოხატავს მტკიცე ვარაუდს. **Must** ხშირად გამოხატავს დასკვნას ფაქტებზე და მოვლენებზე დაყრდნობით, **will** — მოსაუბრის მოცემული ცოდნის, ინფორმაციის შედეგად:

John will be in his office. (ჯონი ოფისში იქნება) — რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი;

John must be in his office. (ჯონი ოფისში უნდა იყოს) — მე ვხედავ შუქს მის ფანჯრებში.

ასეთი განსხვავებიდან გამომდინარე, როგორც პალმერი აღნიშნავს, შესაძლებელია ასეთი შეთანხმება:

John will be in his office now. Yes, the lights are on, so he must be there. (F. R. palmer 1979, 47)

წინადადებაში **will**-ის გამოყენება გულისხმობს მომავალ დროს, ძნელია მომავლისა და მოდალობის გამომხატველ მნიშვნელობათა გამოიკვანა.

Will - ის შერბილებული ფორმაა **would** და მისი გამოყენება მეტყველებაში მნიშვნელოვნად აღემატება **will**-ის გამოყენებას, განსაკუთრებით ჩვეულებრივი მოქმედებისა და ქცევის გამოხატვისას:

Now the bulbs would be out in the square garden, and I didn't care a damn. (G. Green)

ახლა, ახლა, გაიფურჩქნებოდა ბალი, მაგრამ ამას არ დაგიდევდით.

Would შეიძლება გამოხატავდეს „წინასწარმეტყველებას“ ცალკეულ შემთხვევებში აწმყოსა და ნამყოში **Perfect Infinitive**-თან შეთანხმებაში:

I could not do her the injustice of supposing that so trifling a circumstance would have prevented her from giving them, bur she was obstinate. (S. Maugham)

მე, რასაკვირველია, დავეჭვდი, რომ ისეთი უბრალო რამ, როგორც ქუჩის ხმაური და ტრანსპორტის მოძრაობა, ხელს შეგვიშლიდა ამ ამბის დაწვრილებით განსჯაში, მაგრამ მის უეტორფორდმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა.

She probably wouldn't have told me anyway. (J. Salinger)

სულერთია, მაინც არ მიპასუხებდა.

წარსულის კონტექსტში **would** არის **will**-ის წარსული დროის ფორმა და გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის ეპისტემურ მნიშვნელობებს.

That did not necessarily mean that he would jump. But he might. (E. Hemingway)

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ თევზი აუცილებლად ამოცურდებოდა ზედაპირზე, მაგრამ ამოცურება მაინც შეძლო.

It appeared that when everything was settled he would be four or five hundred pounds out of pocket. (S. Maugham)

როგორც ირკვეოდა, სტრიკლენდს ოთხასი — ხუთასი გირვანქა მაინც უნდა ამოეყაჭა საკუთარი ჯიბიდან.

Ought to, should ორივე მოდალური ზმნა გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობის შესუსტებულ ფორმას, ე.ი. მოსაუბრის მიერ გამოთქმულ დასკვნას. აქვს დარწმუნებულობის ელფერი.

Our guests must be at home by now - მე ვაკეთებ დასკვნას, რომ ისინი გაემგზავრნენ ნახევარი საათის წინ, მათ ჰყავთ მანქანა და ცხოვრობენ აქედან რამდენიმე მილის დაშორებით.

Our guests ought to be at home by now - მე ვაკეთებ დასკვნას, მაგრამ მე არ ვიცი სწორია თუ არა დასკვნა, შეიძლება მათ ხელი შეუშალა რაიმე გაუთვალისწინებელმა მდგომარეობამ.

ეპისტემური **should** და **ought** ვარაუდობს, რომ მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრი შეიძლება მცდარი იყოს:

It has never been moved, it ought to be in prime condition sitll, but I don't know, I can't tell. (J. Galsworthy)

ერთი მხრივ, ეპისტემური **must, should** და **ought** გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას მოსაუბრისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

I knew I ought to have gone over myself. (S. Maugham)

მე თვითონ უნდა წავსულიყავი.

I feel that by dwelling on some trick of speech or some queer habit I should be able to give them a significance peculiar to themselves. (S. Maugham)

ვგრძნობდი, რომელიმე დამახასიათებელი გამოთქმა ან რაიმე უცნაური ჩვეულება რომ შემენიშნა, ჩემი გმირები უფრო შესამჩნევი

და ხელშესახები გახდებოდნენ, ასე კი შპალერზე გამოხატულ ფიგურებს წაავადნენ.

But today is eighty-five days and I should fish the day well. (E. Hemingway)

მაგრამ დღეს ოთხმოცდამეხუთე დღეა და კარგად უნდა ვითევზაო.

უარყოფით ფორმაში **should** და **ought to** გამოხატავს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოქმედება შეიძლება არ მოხდეს, ე.ი. ამ შემთხვევაში უარყოფილია მოვლენა და არა მოდალური მნიშვნელობა:

You shouldn't live with a man who doesn't smoke, Phuong. (G. Green)

შენ ისეთ კაცთან არ უნდა იცხოვრო, ფუონგ, რომელიც ოპიუმს არ ეწევა.

ეპისტემური **should** და **ought to**, როგორც წესი, გამოიყენება Indefinite, Continuous Infinitive-თან და აფასებს მოვლენას. პერფექტულ ინფინიტივთან შეთანხმება ვარაუდის მნიშვნელობით იშვიათია და წარმოადგენს ისეთ შემთხვევებს, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს როგორც წუხილის გამოხატვა იმის გამო, რომ რაღაც მოვლენა მოხდა (ან არ მოხდა) წარსულში:

She ought never to have married him. (S. Maugham)

არა, არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

I knew I ought to have gone over myself. (S. Maugham)

მე თვითონ უნდა წავსულიყავი.

It is my fault that I should let you do that. (Th. Dreiser)

სულ ჩემი ბრალია, განა თვითონ არ გვზავნიდი იმ ქვანახშირის მოსატანად.

Must-ისა და **will**-საგან განსხვავებით ეპისტემურმა **should** და **ought to**-მ შეიძლება გამოხატოს ეპისტემური მნიშვნელობა კითხვით ფორმაში, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია:

Should there be any difficulty in getting tickets?

საერთოდ, კითხვითი კატეგორია, როგორც მაგალითებმა გვიჩვენა, არ შეესაბამება ლოგიკური აუცილებლობის ცნებას, თუმცა შეესაბამება ალბათობის მნიშვნელობას. იგივე ეხება უარყოფის კატეგორიას. ლოგიკური აუცილებლობის მოდალური მნიშვნელობის უარყოფა ხდება პრეპოზიციის უარყოფით მოდალურ ზმნებში, პრეპოზიციის უარყოფა შესაძლებელია მისი გამოვლენის შესაძლებლობის უარყოფის გზით, რის შედეგადაც ჩნდება მომდევნო ლოგიკური მოვლენა:

ნა: უნდა იყოს=არ შეიძლება იყოს; არ უნდა იყოს=შეიძლება არ იყოს; არ უნდა იყოს=არ შეიძლება იყოს. **will, must** და **would**-ის უარყოფითი მნიშვნელობის გამოხატველი ეკვივალენტია მოდალური ზმნა **can not**:

He must be still in the office. - No, he can't be there;

They say he has left already.

მოდალური ზმნების **ought** და **should**-ის უნარი გამოყენებული იქნეს უარყოფით და კითხვით ფორმებში, მიუთითებს მათ სიახლოვეს ალბათობის მოდალურ ზმნასთან და ზოგიერთ ლინგვისტს აძლევს მათი ალბათობის გამოხატველ მოდალურ მოდიფიკატორთა ხარისხში განხილვის შესაძლებლობას. [ლიჩი, 1975, 131]

მოდალური კონსტრუქცია **be bound** ინფინიტივთან შეთანხმებით გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს მდგომარეობიდან ან მოვლენათა მდგომარეობის საერთო ცოდნიდან **must**-ისაგან განსხვავებით, რომელიც არის მოვლენათა დასკვნის გამოხატველი ახლანდელში ან წარსულში, **bound to** აღნიშნავს მოვლენათა ლოგიკურ ვარაუდს მომავალში.

If he traveled even approximately west, he was bound to hit somewhere on the coastline sooner or later. (A. Clark)

ეს მოდალური კონსტრუქცია ძირითადად ავტორთა თხრობაში გამოიყენება, სამეცნიერო მეტყველების მტკიცებით წინადადებებში.

Naturally — ამ ჯგუფის გავრცელებული მოდალური სიტყვაა დამახასიათებელი არასავალდებულო რეგისტრის ურთიერთობისათვის კომუნიკანტებს შორის ახლო ფსიქოლოგიური დისტანციისას, აგრეთვე შინაგან მონოლოგში და არა კერძო — არაპირდაპირ მეტყველებაში. გამოხატავს ლოგიკურ მოვლენათა აუცილებლობას, დაფუძნებულს საერთო ნაცნობ მდგომარეობაზე, საზოგადოების სოციალურ ნორმებზე. მოვლენები, რომელიც ფასდება წინადადებაში, არ არის მოულოდნელი მოსაუბრისათვის, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე, და ასევე მსმენელისათვის. **Naturally** — ფორმამ შეიძლება დაიკავოს წინადადებაში ნებისმიერი პოზიცია და შეიძლება მისი სრული გამოყენება მტკიცე პასუხის დროს.

I didn't break my neck looking for him, naturally, the bastard. (J. Salinger)

რაღა თქმა უნდა, კისერი არ მომიტეხია მის საძებრად.

Naturally, such a deep religious feeling made him stern with his children. (Th. Dreiser)

ბუნებრივია, რელიგიის ასეთმა ღრმა რწმენამ მკაცრი და პირქუში გახადა შეილებთან დამოკიდებულებაში.

Evidently გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას დაფუძნებულს დაკვირვებებზე, აშკარა ფაქტებზე. ის გავრცელებულია ავტორთა თხრობაში, მეცნიერულ მეტყველებაში, იშვიათად დიალოგში კომუნიკანტებს შორის დამოკიდებულებაში ფორმალურ ან ნეიტრალურ რეგისტრში.

***Evidently** she noticed it, for she turned away her eyes.*

აშკარად შენიშნა, რადგან ყურადღება მომაპყრო.

Obviously — გამოხატავს წინა მოვლენებზე დაფუძნებულ ლოგიკურ დასკვნას, წინა მოვლენათა შეფასებაზე, როგორც შედეგი ან ძიება ან დასკვნა, დაფუძნებული უტყუარ მონაცემებზე. მეტყველებაში გამოიყენება იშვიათად და გვხვდება თხრობისას ან დიალოგში. სინტაქსური პოზიცია — აზრობრივი ზმნის ან პრედიკატივის წინ შეიძლება გამოვიტყენოთ ფაქტის მტკიცების სახით.

*If he starts swimming off on his own account and can **obviously** give you at least forty yards in the hundred, where are you? (P. Wodehouse)*

მოდალური ფრაზები წარმოიქმნება ერთი მოდელით **It is** + მოდალური სიტყვა. **It is obvious, It is evident etc.** და მეტყველებაში შეზღუდულია მისი გავრცელება, ძირითადად გვხვდება ავტორის თხრობაში და მეტყველების მეცნიერულ სტილში:

***It is evident** that in a slightly changed context the verb has a different meaning.*

მოდალურ ზმნას **need**-ს აქვს მხოლოდ ერთი ფორმა. ინფინიტივი დაერთვის **to** ნაწილაკის გარეშე. ის გამოხატავს აუცილებლობას და ვალდებულებას. მისი უარყოფითი ფორმა **need not** გამოხატავს მოსაუბრის უფლებასა და რჩევას:

*You don't **need** to thank him. (E. Hemingway)*

შენ არ გჭირდება მადლობის გადახდა.

*I reflected that French paper was bad, and that, foiled of my purpose, I **need** not burden myself with a purchase I did not need. (S. Maugham)*

მერე გამახსენდა, რომ ფრანგული ქაღალდი არ ვარგოდა და ვიფიქრე, რადგან სტრიკლენდი მაინც ვერ მოვიშორე თავიდან, ამ ქაღალდს რაღას ვაქნევ-მეთქი.

***Need** we write this text by tomorrow?*

ჩვენ უნდა დავწეროთ ეს ტექსტი ხვალისათვის?

ქართულ ენაში აუცილებლობის გამოხატვისას ძირითადად

გვხვდება „უნდა“ მოდალური ნაწილაკი. ქართულში აუცილებლობას ასევე გამოხატავს ბრძანებითი კილო და ისეთი სიტყვები, ფრაზები, და კონსტრუქციები, როგორცაა: ნამდვილად, აუცილებლად, ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა და სხვა.

*She **ought** never to have married him. (S. Maugham)*

არა, არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

*And how you **should** play it according to the rules. (J. Salinger)*

ამ თამაშში ყოველგვარი წესები უნდა დაიცვაო.

*I **must** hold him all I can and give him line when he **must** have it. (E. Hemingway)*

თოკი მაგრად უნდა მეჭიროს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მივუშვა.

***Naturally** she was happy. (Th. Dreiser)*

ბუნებრივია, უმწეო გოგონა ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს.

*It was about this little kid that **wouldn't** let anybody look at his goldfish because he'd bought it with his own money. (J. Salinger)*

ერთი პატარა ბიჭის ამბავია, თურმე არასდიდებით არ აჩვენებდა სხვას თავის ოქროს თევზს, ჩემი ფულით მაქვს ნაყიდო.

*It was dark as hell in the foyer, **naturally**, and **naturally** I couldn't turn on any lights. (J. Salinger)*

შესასვლელში, რაღა თქმა უნდა, საშინლად ბნელოდა, და იმასაც არ უნდა თქმა, რომ სინათლეს ვერ ავანთებდი.

*You **must** go right off and get some more. (Th. Dreiser)*

გასწი ახლავე და კიდევ მოიტანე!

*Besides, somebody **will** look after them. (S. Maugham)*

ესეც არ იყოს, ვინმე მიხედავს.

She mightn't take much, but she would appreciate what she drank. (J. Galsworthy)

შეიძლება ბევრი არ დალიოს, მაგრამ რასაც დალევს, იმას კი შეაფასებს.

The servants must give us hot dinner on Sundays – they've nothing to do but play the corcertina. (J. Galsworthy)

მსახურებმა კვირაობით ცხელი სადილი მოგვიმზადონ — სულერთია, კონცერტინოზე დაკვრის მეტს მაინც არაფერს აკეთებენო.

ლოგიკური აუცილებლობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, წინასწარ ცოდნაზე, თვითმხილველის მტკიცებუ-

ლებებზე. ყოველივე ამის ნათელ მაგალითს იძლევა შემდეგი წინადადებები:

I didn't break my neck looking for him, naturally, the bastard. (J. Salinger)

რალა თქმა უნდა, კისერი არ მომიტეხია მის საძებრად.

Naturally, such a deep religious feeling made him stern with his children. (Th. Dreiser)

ბუნებრივად, რელიგიის ასეთმა ღრმა რწმენამ მკაცრი და პირქუში გახადა შვილებთან დამოკიდებულებაში.

George, on hearing the story, grinned. The hat had obviously been worn as a practical joke! (J. Galsworthy)

ჯორჯმა რომ ქულის ამბავი მოისმინა, თავისთვის ჩაიცინა და ესა სთქვა: ცხადია, კარგად მოფიქრებული ტლანჩი ოხუნჯობააო!

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ინგლისურ ენაში ლოგიკური აუცილებლობის ველის ბირთვს ქმნის მოდალური ზმნა **must**, ხოლო პერიფერიას ქმნის მოდალური კონსტრუქცია **be bound** და მოდალობის გამომხატველი სიტყვები: **naturally, evidently, obviously**. ქართულ ენაში კი აუცილებლობის გამომხატველი მოდალობის ველის ბირთვია მოდალური ნაწილაკი *უნდა*, ხოლო პერიფერიას ქმნის ისეთი სიტყვები და გამოთქმები როგორცაა: *ნამდვილად, აუცილებლად, ბუნებრივად, რალა თქმა უნდა* და სხვა. ყოველივე ამის ნათელი მაგალითია სქემა, რომელიც წარმოგვიდგენს აუცილებლობის გამომხატველ მოდალობას ინგლისურსა და ქართულ ენებში:

აუცილებლობის გამომხატველი მოდალობა ინგლისურ ენაში

მოდალური ზმნები	მოდალური სიტყვები	მოდალური კონსტრუქციები
must	naturally	
have to		
should	evidently	
ought		be bound
will	obviously	
would		

აუცილებლობის გამომხატველი მოდალობა ქართულ ენაში

მოდალური ნაწილაკები	მოდალური სიტყვები	მოდალური ფრაზები
უნდა	ბუნებრივად	
მაინც	რასაკვირველია	რალა თქმა უნდა
	აშკარად	
	ცხადია	

ლიტერატურა

ჯორბენაძე, 1993 — ჯორბენაძე ბ. ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, კრებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი X, თბილისი, 1993

ერმოლაევა, 1964 — Ермолаева Л. С. Система средств выражения модальности в современных германских языках, Автореферат канд. дис. Москва, 1964

პანფილოვი, 1977 — Панфилов В. З. Категория модальности и ее роль в конструировании структуры предложения и суждения, ВЯ, 1977, № 4

ჰოლიდეი, 1970 — Halliday M. A. K. Functional diversity in language as seen from a consideration of modality and mood in English. Foundations of Language, 1970, N 6

ლიჩი, 1974 — Leech G. N. Meaning and the English verb. London, 1974

პალმერი, 1976 — Palmer F. R. Modality and the English modals. London - New York, 1976.

SOPIO KIPIANI

ინზა ზაღური

**Epistemic Modality Expressing Necessity in English
and Georgian Languages**

**ფლემსიური კატეგორიები აფხაზური და
ქართული ზმნის მჭკრიგებში**

Summary

The paper deals with the controversial problem of modern linguistics – modality.

The controversy concerns the number and nature of modality. The paper focuses on one of the subtypes of epistemic modality – that of expressing necessity. Epistemic modality is characterized as having the greatest degree of internal regularity and completeness. The epistemic modals are normally subjective, i. e. they are speaker oriented.

აფხაზური სალიტერატურო ენის, ისევე როგორც ქართულის უღლების სისტემის აღწერისას ჩვეულებრივ აქცენტი კეთდება ზმნურ ფორმათა დროით მნიშვნელობებზე. აღნიშნავენ აგრეთვე მათ დაპირისპირებას სრული / უსრული ასპექტის მიხედვით. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ დროში ლოკალიზაციის გამოხატვა აფხაზური დინამიკური ზმნის ინდიკატივის მთავარი ფორმებისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ისინი, უპირველეს ყოვლისა, დაპირისპირებულია ასპექტის კატეგორიების, ოღონდ არა სრული / უსრული ასპექტის მიხედვით. ასპექტური მნიშვნელობები წამყვან როლს ასრულებენ ქართული ზმნის უღლებაშიც.

ცნობილია, რომ მშობლიური ენის ათვისებისას ბავშვი ასპექტს უფრო ადრე ეუფლება, ვიდრე დროს, ამასთან, ასპექტური დაპირისპირებები მრავალ ენაში ისტორიულად უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე დროითი [მელჩუკი, 1998, 116]. გარდა ამისა, ზმნებში ასპექტის მნიშვნელობები ხშირად დროითთან შედარებით უფრო დიფერენცირებულია. მსგავსი ვითარებაა შესაპირისპირებელ ენობრივ სისტემებშიც.

სანამ აფხაზური და ქართული ზმნის უღლების სისტემას განვიხილავდეთ, დავაზუსტებთ ზოგიერთი ასპექტოლოგიური ტერმინის ინტერპრეტაციას, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში ამ მხრივ თვალში საცემი არაერთგვაროვნებაა. *დურატის* ვუწოდებთ ასპექტურ გრამემას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ მოლაპარაკის ყურადღება მიმართულია არაწამიერი ფაქტის (პროცესისა თუ მოვლენის) შუა სტადიაზე [პლუნგიანი, 298]. მოლაპარაკის (ან დამკვირვებლის) ყურადღებამ „ორივე მხრიდან“ შემოფარგლული პროცესი შეიძლება მთლიანად მოიცვას; ამგვარი ხედვისას გამოიხატება *ლიმიტაციის* მნიშვნელობა, ამასთან, ფაქტი ინარჩუნებს გრძლივობას [პლუნ-

გიანი, 2000, 302]. კომპლექტივისა და არა-კომპლექტივის გრამემები, რომლებიც მიუთითებენ ფაქტის მიერ ბუნებრივი საზღვრის მიღწევა-არმიღწევაზე, დაპირისპირებულია მხოლოდ ზღვრულ ზმნებში. შედარებით უფრო გრამატიკალიზებულია პუნქტივის მნიშვნელობა, რომელიც გამოყოფს სიტუაციის საწყის ან ბოლო მომენტს, ან მთელ სიტუაციას წარმოგვიდგენს როგორც წამიერს [პლუნგიანი, 2000, 301].

რაც შეეხება ტერმინებს *სრული უსრული ასპექტი*, ზოგადდროულ გამოკვლევებში ისინი უფრო ხშირად გამოიყენება არა დამოუკიდებელი გრამემების, არამედ სხვადასხვა ასპექტური კატეგორიის გრამემათა კომბინაციის (სახელდობრ, პუნქტივ-ლიმიტატივისა და დურატივ-ჰაბიტუალისის) მიმართ [პლუნგიანი, 2000, 300; კომრი, 1976, 19]. ჰაბიტუალისი, ასევე იტერატივი უკავშირდება ერთგზისობა / მრავალგზისობის გამოხატვას. პირველი მიუთითებს რეგულარულ ფაქტებზე, ხოლო მეორე — ისეთებზე, რომლებიც ხორციელდება დროდადრო (შესაძლოა, არარეგულარულად).

ცალკე უნდა გამოიყოს *პერფექტულობის* კატეგორია, რომელშიც გადაჯაჭვულია ასპექტისა და დროის ნიშნები. პერფექტული ფორმები მიუთითებენ ორ ასინქრონულ სიტუაციაზე, რომელთაგან ერთი ძირითადია, მეორე — ფონური. პერფექტის ასეთი ინტერპრეტაცია აუცილებლობით არ გულისხმობს წინამავალი მოქმედების კონკრეტული შედეგის არსებობას.

აფხაზურ და ქართულ ზმნურ ფორმათა შეპირისპირების გასაადვილებლად გამოვიყენებთ შანიძისეულ ტერმინს *მწკრივი* და მწკრივთა დასახელებისას უმეტესწილად მივმართავთ საერთაშორისო ტერმინებს.

აფხაზური დინამიკური ზმნის უღლების სისტემაში გამოიყოფა ინდიკატივის მთავარი და მეორეული მწკრივები. პირველი ქვესისტემა შედგება: *აწყო-ყოფადის* მწკრივისაგან, რომელიც იწარმოება დურატივ-ჰაბიტუალისის «*ჟა*» მორფემის მეშვეობით; *პერფექტის* ორი მწკრივისაგან — პერფექტულობის გრამემის «*ხა*» და «*ც*» მაჩვენებლებით; *აორისტის* მწკრივისაგან, რომელიც არამარკირებულია როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად და გამოხატავს არა-დურატივის, არა-ჰაბიტუალისისა და არა-პერფექტულობის გრამემებს. აფხაზური ზმნის ინდიკატივის მეორეული ფორმები იწარმოება მთავარ ფორმებზე წარსული დროის/უწინარესობის მორფემის დართვით, რის შედეგადაც ვიღებთ შემდეგ კომბინაციებს: დურატივ-ჰაბიტუალი-

სი + წარსული დრო / უწინარესობა=*იმპერფექტი*, პერფექტი + წარსული დრო / უწინარესობა=*პლუსკვამპერფექტი*; არა-დურატივი, არა-ჰაბიტუალისი, არა-პერფექტულობა + წარსული დრო / უწინარესობა=*პრეტერიტი*.

ქართული ზმნის პერფექტისა და პლუსკვამპერფექტისთვის ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი *რეზულტატივი*, მაგრამ ქართულში, ისევე როგორც აფხაზურში, ეს ტერმინი უკეთ მიესადაგება ფორმებს, რომლებიც მიუთითებენ არა ორ ასინქრონულ სიტუაციაზე, არამედ მოქმედების უშუალო შედეგზე, მაგ.: *გაკეთებულია*, აფხ. *ყაწოჟჷბ*, შდრ. *გაუკეთებია*, აფხ. *ყა წახე ტ*. რეზულტატურობის მნიშვნელობა ა.შანიძეს თურმეობითობის მნიშვნელობიდან გამოჰყავს: მოლაპარაკე არ ყოფილა ფაქტის თვითმხილველი და მსჯელობს მასზე შედეგის მიხედვით [შანიძე, 1953, 226]. აფხაზურ ენაში თურმეობითობას ანუ *ინფერენტივს* სპეციალური მაჩვენებელი აქვს; მეტიც, ინფერენტივის ფორმები ქმნიან ცალკე ქვესისტემას, რომელიც ახლოსაა ირიბ კილოთა ქვესისტემასთან.

აფხაზურში საერთო მწკრივად აერთიანებენ პერფექტის ფუნქციურად და ფორმალურად განსხვავებულ ზმნურ სიტყვაფორმათა ორ წყებას: ერთ-ერთის მაჩვენებელი, -*ხა*, გვხვდება დადებით ფორმებში, მეორის -*ც* მაჩვენებელი — უპირატესად უარყოფითში. -*ც* შეიძლება დადასტურდეს აგრეთვე არაფინიტურ დადებით ფორმაში, რომელიც ექვემდებარება ამავე ლექსემის ფინიტურ ფორმას [ჭკაღუა, 1970, 218] (მათში წარმოდგენილია კორეფერენტული აქტანტები ან სირკონსტანტები), მაგალითად: *დგმცაც / დახ'ცაც დცოდტ* "მიდის, როგორც/სადაც უვლია", შდრ. *დახ'ცახ'ოჟ სგზდგრჷამ* "არ ვიცი, სად არის წასული". უარყოფით ფინიტურ ფორმებში გამოიხატება "ჯერ არ" ტიპის მნიშვნელობა, დადებითში კი, განსაკუთრებით ზღვრულ ზმნათა ფორმებში — "უკვე" ტიპისა. შდრ., მაგ., *დგმნედცტ* "ჯერ არ მისულა", *დნედნედტ* "უკვე მივიდა". როგორც ვხედავთ, -*ც* სუფიქსიანი ფორმები, -*ხა* სუფიქსიანისგან განსხვავებით, სიტუაციას ახასიათებენ როგორც ერთგვაროვანს. პერფექტის ორ ფორმას შორის განსხვავება, ვფიქრობთ, არ დაიყვანება უარყოფის ქონა-არქონაზე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ "ჯერ [არ/კიდევ]" და "უკვე" ტიპის მნიშვნელობათა გამოსახატავად მრავალ ენაში გამოიყენება განსხვავებული ლექსემები (მაგ., ინგლ. [not] yet/still – already, რუს. пока/ещё [he] – уже, ფრ. [pas] encore – déjà). ამგვარ ლექსემათა

განხილვისას სემანტიკოსები საუბრობენ მოლოდინის სემაზე: წარსულის კონტექსტში როგორც "ჯერ არ", ისე "უკვე [აღ]არ" გულისხმობს, რომ მოსალოდნელი მოქმედება არ შესრულებულა; ოღონდ "ჯერ არ" ხაზს უსვამს მომავალში მისი შესრულების შესაძლებლობას, ხოლო "უკვე [აღ]არ" ამას გამორიცხავს. ამასთან, პირველი მიუთითებს წინა სიტუაციაზე, მეორე — მომდევნოზე: აქამდე ჯერ არ უთქვამს — ამის შემდეგ [უკვე] აღარ უთქვამს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვყოფთ პერფექტის ორ მწკრივს: -ხა მჩვენებლიან I პერფექტსა და -ც მჩვენებლიან II პერფექტს. ანალოგიური განსხვავება გვაქვს პლუსკვაპერფექტის ორ ფორმაში.

წარსულში შეუსრულებელი მოქმედების გამოსახატავად ქართულში, როგორც ცნობილია, ძალიან ხშირად გამოყენება პერფექტი, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს შედეგზე მის ორიენტაციასა და თურმეობითობას, მაგრამ ალბათ გარკვეულ როლს ასრულებს ისიც, რომ მოქმედების უარყოფისას მეტყველების მომენტის წინმსწრები დროის მონაკვეთი დაუნაწევრებელია. ეს აახლოებს ქართულ პერფექტს აფხაზურ II პერფექტთან, რომელიც მიუთითებს სიტუაციის ერთგვაროვნებაზე და რომლის დადებით ფორმებს ახლავს ფონური სიტუაციის ექსპლიციტურად აღმნიშვნელი ფინიტური ზმნა: შდრ. აფხ. დღშცაც დცლდტ და მისი ქართული თარგმანი "შიდის, როგორც უკლია".

აფხაზურში ინდიკატივის ქვესისტემას მიერთვის ე.წ. I და II მყოფადის ფორმები, რომლებშიც გადაჯაჭვულია ასპექტისა და მოდალობის მნიშვნელობები, მაგ.: აწაქა შგბ "[ველოდები, რომ] ვაშლი დამწიფდება", აწაქა შგშტ "ვაშლი უსათუოდ დამწიფდება". ჩვენი აზრით, ამ ფორმებში გამოიხატება პროსპექტივის გრამემა, რომელიც მიუთითებს ორ ასინქრონულ სიტუაციაზე და პერფექტის საპირისპიროა იმ მხრივ, რომ მიმართულია ახლანდელი დროიდან მომავლისაკენ. ე.წ. მყოფადის ფორმათა ინტერპრეტაციაზე დამოკიდებულია მათ ფუძეებზე წარსული დროის / უწინარესობის მჩვენებლის დართვის შედეგად მიღებულ ფორმათა ანალიზი (აფხაზურ გრამატიკებში ისინი მიიჩნევა კავშირებითი კილოს ანუ შეპირობებითის ფორმებად). გრამემათა კომბინაცია "არა-წარსული (ან მომავალი)+უწინარესობა" არ შეესაბამება ამ ფორმათა სემანტიკას, ხოლო კომბინაცია "არა-წარსული (ან მომავალი)+წარსული", ცხადია, დაუშვებელია. რჩება კომბინაცია "მომდევნობა+წარსული დრო", რომელიც, ერთი შეხედ-

ვით, დასაშვებია, თუ პირობას გავიაზრებთ როგორც შედეგის წინმსწრებ ფაქტს; მაგრამ ამას არ ეთანხმება ისეთი გამონათქვამები, როგორცაა აწაწე უხაადუაზარ სგვრდარგნ "ხვალ ჩამოსვლას თუ შეძლებდი, გამეხარდებოდა". რაც მთავარია, ამგვარი აღწერისას არაფინიტურ ფორმებში გვექნება მიუღებელი კომბინაცია "მომდევნობა+უწინარესობა". პირობითი წინადადების აპოდოსში ასეთ ფორმებს ქართულში შეესატყვისება ხოლმეობითის მწკრივი. გ.მაჭავარიანის აზრით, პრევერბით გამოხატული დასრულებულობისა და თემის ნიშნით გამოხატული უწყვეტობის მნიშვნელობათა კომბინაცია იძლევა განმეორებითობის მნიშვნელობას [მაჭავარიანი, 1974, 120], ხოლო შეპირობებითობის სემანტიკა აქ კონტექსტით არის განსაზღვრული¹.

ქართულ "წესიერ" ზმნებში (ანუ, ძირითადად, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებში) აწმყოსა და მყოფადის წრეების გამოყოფა დაიყვანება ზმნურ ლექსემათა და არა ფორმათა დაპირისპირებაზე (ა.შანიძე აღნიშნავს, რომ ასპექტი უეჭველად არის წარმოქმნის კატეგორია, თუმცა მას ჯერ კიდევ შემონახული აქვს მიმოხრის კატეგორიის ნიშნები [შანიძე, 1953, 285]), ამდენად, ეს დაპირისპირება ვერ იქნება მწკრივთა განსხვავების საფუძველი. საფიქრებელია, რომ პრევერბი ქართულში პუნქტივს გამოხატავს (შდრ. იყვირებს — დაიყვირებს, ადღ — გააღღ), და თუ ეს სწორია, მაშინ აწმყოს წრის მწკრივები არ ექნება პუნქტივის გამოხატველ ზმნებს, ხოლო მყოფადის წრის მწკრივები — არა-პუნქტივის გამოხატველთ. ასეთი აღწერისას მყოფადის ფორმათა სტრუქტურა გულისხმობს "პუნქტივი + დურატივი / ჰაბიტუალისი + არა-წარსული დრო" კომბინაციის გამოხატვას, მაგრამ დურატივი ვერ გამოიხატება პუნქტივის კონტექსტში; რჩება პუნქტივის, ჰაბიტუალისისა და არა-წარსულის კომბინაცია, რაც გვაძლევს მომავალი დროის მნიშვნელობას.

აფხაზური ზმნის მწკრივებს პუნქტივი არ განასხვავებს. ზღვრულ ზმნათა ზოგიერთ მწკრივში (აორისტში, პრეტერიტში, I და II მყოფადში, აგრეთვე I პერფექტში) უპირატესად გამოიხატება ბუნებრივი ზღვრის მიღწევის ანუ კომპლექტივის მნიშვნელობა, მაგრამ იგი დის-

¹ გივი მაჭავარიანის გამოკვლევათა უმრავლესობა, სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელია. აქ ვხვდებით დანელობდით ქართული ენის სტრუქტურული ანალიზის იმ კურსის ჩვენი კონსპექტი, რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი კითხულობდა თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილებაზე 1964-1965 წლებში.

ტინქციური არ არის და გამომდინარეობს ინდიკატივის ქვესისტემის სხვა, კონსტიტუციური ნიშნებისაგან. მაგ., აქვთა და გააქვთა ტიპის ზმნებს აფხაზურში ერთი ფორმა შეესატყვისება — იყაფქედჷ, ზმნათა წყვილს აქვთებს და გააქვთებს — იყაფქოდჷ ფორმა. აფხაზურში კომპლექტივი ჩვეულებრივ არის არა-დურატივის, ხოლო არა-კომპლექტივი — დურატივის თანმდევი მნიშვნელობა. ის, რომ კომპლექტივი აფხაზური ზმნისათვის დისტინქციური არ არის, იქიდან ჩანს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მწკრივები აქვს პრაქტიკულად ყველა დინამიკურ ზმნას, მათ შორის არაზღვრულსაც.

ქართულ ირეგულარულ ზმნებს, რეგულარულისგან განსხვავებით, აქვთ არა-წარსული დროის ორი მწკრივი: ცუკვავს ტიპის ფორმებს უპირისპირდება ლიმიტატიური იცუკვავს. ასევე ლიმიტატიურია იცუკვავ ტიპის წარსული დროის ფორმები, ხოლო ცუკვავდა ტიპის ფორმები არა-ლიმიტატიურია¹ (ფორმალურად ლიმიტატივი აქ გამოიხატება ე-პრეფიქსით). როდესაც საშუალო გვარის ზმნა დაირთავს პრევერბს, ვიღებთ სხვა ლექსემას.

საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვით ქართული ზმნის უღლებაში დაპირისპირებულია სამი ასპექტური მნიშვნელობა — სრული, უსრული და წყვეტილი, ამასთან, წყვეტილი მეორეულია სრული ასპექტის მიმართ [ნებეირიძე, 1987, 138], ე.ი. სრულასპექტიანი მოქმედება ყოველთვის წყვეტილია. ეს მნიშვნელობები განისაზღვრება მოქმედების ან მდგომარეობის ბოლო ფაზის მიხედვით: აწმყოს წრის მწკრივები აღწერენ უსრულ ფაქტებს, მყოფადის წრის, აგრეთვე II და III სერიის მწკრივები — წყვეტილს ან სრულს (იცივნებს — გაიცივნებს). თუ ვაღიარებთ, რომ სრული/უსრული ასპექტის ოპოზიცია დერივაციის განეკუთვნება, ეს სამი ნიშანი არაერთგვაროვანი აღმოჩნდება.

აფხაზურ დინამიკურ ზმნათა უღლების სისტემა საკმაოდ დიდ სი-ახლოვეს იჩენს ქართულ ირეგულარულ ზმნათა უღლებასთან. მაგ., აორისტის ფორმა დჷაჷმედჷ აღნიშნავს არა-დურატიულ, არა-ჰაბიტუალურ მოქმედებას და შეესაბამება ქართულ იცუკვავს-ს, იმპერფექტისა და აწმყო-მყოფადის დამონ და დჷაჷმოდჷ ფორმები გამოხატავენ დურატივ-ჰაბიტუალის და შეესატყვისებიან ქართულ ცუკვავდა და ცუკვ-

ვავს ფორმებს, თუმცა დჷაჷმოდჷ გამოხატავს ლიმიტატიურ "იციკვებს" მნიშვნელობაც, ე.ი. არა-წარსული დროის გამომხატველ ფორმებში ხდება დურატივისა და ლიმიტატივის ოპოზიციის ნეიტრალიზაცია.

ორივე ენაში დაპირისპირებულია აბსოლუტური დროის ორი გრამემა — წარსული და არა-წარსული დრო. რელატიური დროის (თანამდევრობის) კატეგორიაში ასევე გვაქვს ორი გრამემა — უწინარესობა და არა-უწინარესობა. აბსოლუტური დროის მაჩვენებლები გამოხატავენ რელატიურ დროსაც, რაც ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ენებში, ხოლო არა-წარსულისა და არა-უწინარესობის გრამემები ორივე ენაში ფორმალურად არამარკირებულია. როგორც ითქვა, აფხაზურ ზმნაში ახლანდელი და მომავალი ერთი და იმავე ფორმით აღინიშნება, ხოლო ქართულში მომავლის გამოხატვა დაიყვანება პუნქტიური ან ლიმიტატიური არა-წარსულის გამოხატვაზე. ამგვარად, როგორც ქართული, ისე აფხაზური ზმნის უღლებაში დაპირისპირებათა უმეტესი ნაწილი ასპექტურია: დურატივ-ჰაბიტუალისი გამოხატება ორივე დროის ფორმებში, პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის მწკრივებში გამოიხატება პერფექტულობის კატეგორიის მარკირებული გრამემა, რომელიც შეიცავს ასპექტის ნიშნებს; აფხაზური ზმნის I და II მყოფადის მწკრივებში, ჩვენი ვარაუდით, გამოიხატება პროსპექტივის გრამემა. არაერთ ფორმაში შესაძლებელია იტერატივის ასპექტური მნიშვნელობის გამოხატვაც. აფხაზურში მისი მაჩვენებელი არ გვხვდება არა-დურატივისა და არა-ჰაბიტუალისის გამომხატველ ფორმებში, მაგრამ იგი დასტურდება ამ ასპექტების მიმართ ნეიტრალურ მწკრივებში, მაგალითად, პერფექტის არაფინიტურ ფორმებში: აფჷხალაჷლჷ "ვისაც იგი წაუკითხავს ხოლმე".

საგანგებო აღნიშვნის ღირსია აფხაზურ დინამიკურ ზმნათა პრეტერიტის მწკრივი, რომელშიც გამოიხატება გრამემათა კომბინაცია "არა-დურატივი, არა-ჰაბიტუალისი, უწინარესობა". აქედან გამომდინარე, პრეტერიტის ფორმები უნდა მიუთითებდნენ სხვა მოქმედების წინმსწრებ მოქმედებაზე, და ეს ასეც არის, მაგ.: დჷცან ააფჷედჷ "წავიდა და მოიტანა". რამდენადაც პრეტერიტისა და აორისტის არაფინიტურ ფორმებში გამოიხატება უწინარესობის გრამემა, ისინი ზოგჯერ ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას. არაფინიტურ აორისტში უწინარესობის მნიშვნელობა განპირობებულია სისტემური მიმართებებით, ხოლო პრეტერიტში იგი ექსპლიციტურად არის გამოხატული. უწინარესობის გრამემა გამოიხატება აგრეთვე ორივე ენის პლუსკვამპერფექტის მწკრივებში.

¹ ლიმიტატიურობის ნიშნის მსგავსი ინტერპრეტაცია ეძლევა *მოლიანობის* ნიშნის ნაშრომში (ჭრელაშვილი, 237), თუმცა ქართულ ზმნათა მწკრივებში ამ ნიშნის გამოხატვა განსხვავებულიად არის წარმოდგენილი.

სტატიკურ ზმნათა უღლება აფხაზურში მკვეთრად განსხვავდება დინამიკურ ზმნათა უღლებისაგან. ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, პარადიგმათა ეს სისტემა ნაკლებ განვითარებულია, ვიდრე დინამიკურ ზმნათა უღლების სისტემა. ფინიტური ფორმები დაპირისპირებულია მხოლოდ დროში ლოკალიზაციის, სახელდობრ, წარსული/არა-წარსული დროის გრამემათა მიხედვით, მაგალითად: ისმომტუბ "მაქვს", ისმმან "მქონდა". არაფინიტურ ფორმებში არსებობს კიდევ ერთი ოპოზიცია — პერფექტულობა/არა-პერფექტულობა, მაგრამ აქ დასტურდება მხოლოდ II პერფექტი, I პერფექტი არ გვხვდება. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ პერფექტის ორ ფორმას შორის განსხვავება არ არის განპირობებული მხოლოდ უარყოფის კონტექსტით. მაგალითად, გამონათქვამში იმეყუც ყუტუბ "როგორც იყო, [ისევე] არის" სიტუაცია არ იცვლება, რაც დამახასიათებელია სწორედ სტატიკური ზმნებისათვის. ამგვარად, აფხაზურ სტატიკურ ზმნაში ასპექტის მიხედვით დაპირისპირებები თითქმის არ არის წარმოდგენილი. აფხაზურისგან განსხვავებით, ქართულში მდგომარეობის აღმნიშვნელ ზოგიერთ ზმნასთან გვხვდება იტერატივის გამოხატვის სტანდარტული საშუალება ("ხოლმე" კლიტიკა). ამ ზმნებს ხოლმეობითის ფორმაც მოეპოვებათ (ექნებოდდა), მაგრამ აქ იგი იტერატივს, როგორც წესი, არ გამოხატავს. მდგომარეობის ზმნათა ზოგადი ნამყოს მწკრივში (იწვდა) ნეიტრალიზებულია დაპირისპირებები დურატივისა და ლიმიტატივის ნიშნით, ხოლმეობითი კი ლიმიტატიურია.

ამგვარად, თუ განვიხილავთ მხოლოდ ფლექსიურ ასპექტურ და დროით მნიშვნელობებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ და აფხაზურ ზმნათა უღლების სისტემებს ახასიათებთ მსგავსების საკმაოდ მაღალი ხარისხი.

ლიტერატურა

მელჩუკი, 1998 — Мельчук И.А., Курс общей морфологии, т. II. Москва–Вена, 1998.

პლუნგანი, 2000 — Плунгян В.А., Общая морфология. Эдиториал УРСС, Москва, 2000.

კომრი, 1976 — B. Comrie, Aspect. Cambridge University Press, 1976.

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია. თბილისი, 1953.

ჭკადუა, 1970 — Чкадуа Л.П., Система времен и основных модальных образований в абхазско-абазинских диалектах. Мецниереба, Тбилиси, 1970.

მაჭავარიანი, 1974 — გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

ჭრელაშვილი, 1980 — კ. ჭრელაშვილი, საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, ნაწ. I, 1980.

ნებიერიძე, 1987 — გ. ნებიერიძე, "აკაკი შანიძე - 100", 1987.

INGA SHADURI

Flectional Categories in the Chunks of Abkhazian and Georgian Verbs

Summary

The gramemes of absolute tenses, simultaneity and aspect that distinguish the chunks of Georgian regular verbs form similar oppositions in the Indicative of the Abkhazian dynamic verbs. In Georgian, verbs are opposed as punctual _ non-punctual.

However, this feature does not distinguish flectional forms, but only lexemes, hence, it cannot be used as the basis for chunk distinction. The completive aspect is not a distinctive category either for Georgian or Abkhazian irregular verbs.

Unlike the opposition punctual _ non-punctual, durative and habitual types of aspectual meanings are flectional in both languages. In the contrasted languages the distinction between the chunks based on the above-mentioned oppositions.

The Abkhazian perfect forming suffixes x'a, c form separate chunks.

The forms with c show close connection of the preceding situation with the following one. The latter is regarded as its continuation. It is argued, that the forms traditionally associated with the future express prospective meaning and can convey various types of modal meanings.

რუსულან ზამელაზვილი-ჯაქალაზვილი

ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა კომუნიკაციური ფუნქციონისათვის ძარბულ ზამირ დისკუსიონი

ზეპირსა და წერით მეტყველებაში რელიზდება ენაში პოტენციურად არსებული გამომსახველობითი უნარი. ნებისმიერი კომუნიკაცია ეყრდნობა კომუნიკანტთა სამეტყველო და პრაგმატულ კომპეტენციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში და განპირობებულია როგორც უნივერსალური მენტალურ-ვერბალური კანონზომიერებებით, ისე სპეციფიკური და ინდივიდუალური ენობრივი თუ პიროვნული თვისებებით (აზროვნებისა და მეტყველების ზოგადი წესები, ცალკეული ინდივიდის ეროვნულ-კულტურული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, როგორცაა: ეროვნება, განათლებისა და კულტურის დონე, სოციალური სტატუსი, როლი, ასაკი, სქესი, ხასიათი, ტემპერამენტი და სხვ.).

ნებისმიერი ენობრივი გამოხატულება თავისი შინაგანი ბუნებით დიალოგურია და ორიენტირებულია კონკრეტულ ან განზოგადებულ ადრესატზე, აქვს მიზანი (ინტენცია) და განპირობებულია საკომუნიკაციო სიტუაციით. ამიტომ ვერბალურ ერთეულთა კვლევა შეუძლებელია ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა გათვალისწინებლად და პარავერბალურ-არავერბალურ საშუალებებთან კომპლექსური კავშირის გარეშე. სწორედ ასეთი მიდგომაა დღეს აქტუალური საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში და ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა ბევრი ახალი კომპლექსური დარგი: ლინგვოპრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მიმართულებებში იგრძნობა ორი ტენდენცია: ერთი მხრივ, ლტოლვა ვიწრო სპეციალიზაციისკენ და, მეორე მხრივ, ინტეგრაციულობისკენ.

ერთ-ერთი ახალი ლინგვისტური დარგია **დისკუსიის (საუბრის) ანალიზი**, რომელიც ინტერაქციულ მეტყველებას განიხილავს პარავერბალურ და არავერბალურ საშუალებებთან ერთად ანუ დიალო-

გურ მეტყველებას სწავლობს ცოცხალ გარემოში.

მოუბარი პირი საუბრის დაწყებამდე ყოველთვის ირჩევს სასაუბრო სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს ადრესატზე ზემოქმედების ყველაზე მოხერხებულ ფორმებს თავაზიანობის წესების შესაბამისად. ამიტომაც ზოგჯერ საჭირო ხდება სათქმელის ილოკუციური ძალის შენიღბვა, დამალვა, კატეგორიულობის შერბილება. მაგ., ბრძანების ჩამოყალიბება თხოვნის ან კითხვის ფორმით, მოდალური სიტყვების, შორისდებულების, ჩართული სიტყვა-გამოთქმების დამატება, თავაზიანობის ეტიკეტური ფორმულების, სააღერსო გამოთქმების გამოყენება და ა. შ.

მეტყველებაში სათქმელის ილოკუციური ძალის შემასუსტებელ საშუალებებს უწოდებენ **შეპარბილებელ ენობრივ ელემენტებს** (შეე). ეს ელემენტები მოიცავს ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეს ზედაპირულ სტრუქტურაში, მაგრამ არ გამოირიცხავს მათს კომბინაციასაც. შემოთავაზებულია სხვა ტერმინიც: **მინიმალური კომუნიკაციური ერთეული** (მკე). ლინგვისტურ ლიტერატურაში ხაზს უსვამენ ამ ერთეულთა სისტემატური კლასიფიკაციის სირთულეს, რადგან განსახილველი ფენომენის ფუნქცია პრაგმატიკის სფეროშია, თუმცა გამოხატვის საშუალებები მოიცავს სხვადასხვა დონეს: გრამატიკულს (მორფოლოგიურ-სინტაქსურს), ლექსიკურს, სემანტიკურს, სტილისტურს, მორფოსტილისტურსა და სხვ. (ლანგლერი, 1994).

ჩვენ ვაფართოებთ შეე-თა საზღვრებს, ვუწოდებთ მათ **შეპარბილებელ კომუნიკაციურ ერთეულებს (შკე)** და გამოხატვის ფორმის მიხედვით გამოვყოფთ სამ ძირითად ჯგუფს:

I. ვერბალურს, II პარავერბალურსა და III. არავერბალურს.

ვერბალური ერთეულები მოიცავს სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა იმპლიციტურად გამოხატავს ერთგვარ გაურკვევლობას (იხ. ლანგლერი, 1994).

I. **ვერბალურ** ჯგუფში შედის:

1. ლექსიკური ერთეულები: მოდალური სიტყვები (ზმნიზედები, ნაწილაკები), ევფემიზმები, შორისდებულები (ნაწილაკებზე საინტერესო ნაშრომი აქვს მ. შერაზადიშვილს, 2003).

2. გრამატიკული ერთეულები: ა. მორფოლოგიური (**კილო**: კავშირებითი, ბრძანებითი ან პირობითი; **პირი**: განზოგადებული ან განუსაზღვრელი, ზმნის იმპერსონალიზაცია, თავაზიანი ფორმები; **გვარი**: პასივი, აღწერილობითი ვნებითი); ბ. სინტაქსური: წინადადე-

ბათა მოდალობის შეცვლა, არარეალური პირობით დამოკიდებული წინადადებები; ჩართული სიტყვა-გამოთქმები (ჩართულები ღრმად შეისწავლა დ. ახვლედიანმა, 2001).

3. სტილისტური ხერხია სამეტყველო სიტუაციის ადეკვატური საკომუნიკაციო რეგისტრის შერჩევა. ეს დონე აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საშუალებას.

II. **პარალიგვიზმები** შედის მეტყველების თანმხლები ფონაციური ანუ რიტმიკულ-ინტონაციური მხარე: ინტონაცია, მახვილი, პაუზები, რიტმი, ტემპი (ხმის მოდულაცია), ინტენსიობა (საინტერესო ნაშრომი აქვს პარალინგვიზმების შესახებ თ. ომიძეს, 1996).

III. **არავერბალური** შემარბილებელი კომუნიკაციური ერთეულები მოიცავს მეტყველების თანმხლებ კინესიკურ, პროქსემიკურ და ტაქტილურ საშუალებებს: ყესტი, მიმიკა, მხედველობითი კონტაქტი, შეხება (ტაქტილური არხი), კომუნიკანტთა შორის დისტანცია (პროქსემიკა) (გ. კრეილინი, 2002).

განხილული ერთეულები უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ქცევის უმნიშვნელოვანეს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთან — **თავაზიანობის** ფენომენთან, რადგან სათქმელის ილოკუციური ძალის შერბილება გამოწვეულია ადრესატისადმი პატივისცემის, ყურადღების, გულთბილი დამოკიდებულების, თანაგრძნობის გამოხატვის ან წყენის შემსუბუქების სურვილით.

ლაკოფმა ლინგვისტიკაში პირველად გამოიყენა ტერმინი „ზღუდე“: ინგლ. „hedge“, გერმ. „Heckenausdrücke“ (რ. ლაკოფი, 1972), რომელთაც მიიჩნევენ „მოდულიკატორთა მოდიფიკატორად“. „ზღუდე“ აერთიანებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს (ნაცვალსახელებს, ხარისხისა და ჯერობის ნაწილაკებს, ზმნიზედებს, შორისდებულებს), ჩართულ კონსტრუქციებს, რომელთა სემანტიკა გამოხატავს გაურკვევლობას, დაეჭვებას, ვარაუდს, სიფრთხილეს და სხვ. მაგ., სიტყვები ან გამოთქმები: ერთგვარად, გარკვეულწილად, თითქოს, დაახლოებით, ოდნავ, სულ ცოტა, კაცმა რომ თქვას, ასე რომ ვთქვათ, როგორც ამბობენ, ეგებ, ვინ იცის, შესაძლოა, არაა გამორიცხული, შეიძლება, დასაშვებია და ა.შ.

შემარბილებელ კომუნიკაციურ ერთეულთა მთელი სისტემის თითოეული საშუალება შეიძლება ჩაითვალოს „ზღუდედ“ ფართო მნიშვნელობით, რადგან მათი გამოყენებით მოუბარი პირი ამცირებს საკუთარ პრეტენზიას ჭეშმარიტების მიმართ და ამით ინარჩუნებს „სახეს“.

„ზღუდედ“ ითვლება ასევე ეტიკეტური სამეტყველო ფორმულები მაღლობის, ბოდიშის გამოსახატავად: ბოდიში, უკაცრავად, მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი; ნება მომეცით, ბოდიში მოვიხადო; მაღლობა, დიდი მაღლობა, გმადლობთ, უღრმესი მაღლობა, მაღლობას ვიხდით, ნება მომეცით, მაღლობა გადავიხადოთ. დიდად დამავალეთ, როგორ შეგაწუხეთ; თავაზიანობის ფორმულები: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, გეთავყვანე, შენ შემოგვევლე, არაფრის, რა შეწუხებთა, სათქმელადაც არ ღირს და ა.შ.

არასასიამოვნო ინფორმაციის გადაცემის ან უცენზურო სიტყვების გამოყენებისას კომუნიკანტი საკუთარ ემოციას და დამოკიდებულებას გამოხატავს მობოდიშებით: ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვების გამო, ბოდიშის მოხდით გავიმეორებ, უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვებზე, მაპატიეთ და ა. შ. ასეთ მობოდიშებას ქართველი აუცილებლად მიიჩნევს მაშინაც, თუკი რამე სათხოვარი აქვს: ძალიან მერიდება ამის თქმა, მაგრამ; ალბათ გაგიკვირდებათ, ისეთ რამეზე გაწუხებთ; როგორ გაგიბედოთ ამის თხოვნა, არ ვიცი; აი, გავბედე, შუბლის ძარღვი გავიწყვიტე და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით ვიზიარებთ ნ. დარასელიას აზრს, რომ ამ დროს „ადრესანტი ინარჩუნებს როგორც საკუთარ, ისე ადრესატის დადებით სახეს, რადგანაც არაკატეგორიულობით, სიფრთხილით აზრის გამოთქმისას იგი, ერთი მხრივ, თავს აწონებს ადრესატს, ხოლო, მეორე მხრივ, პატივს სცემს მის თვალთაზრისს, უნარჩუნებს მას პიროვნულ დამოუკიდებლობას“ (დარასელია, 1999, 32).

ქართული დისკურსის (დიალოგური მეტყველების), როგორც კომუნიკანტთა თანამშრომლობის, დამადასტურებელია მსმენელის სიგნალები, ე. წ. **უკუკავშირის სიგნალები**, რომელთა გამოყენებითაც ადრესატი ადასტურებს ყურადღებას, თანაგრძნობას (თანაგანცდას ანუ ემპათიას) არასასიამოვნო ინფორმაციის მოსმენის დროს: ოჰ, რა საშინელებაა! უჰ, უჰ, ნეტა ეს არ გეთქვა! უი, ეს რა მოგსვლია? ვაიმე, რას ამბობ? შე საწყალო! ჩემი სიკვდილი, ეს როგორ მოხდა? ძალიან მეცოდები! შენ მოგიკვდი მე! და ა.შ.

საკმაოდ ემოციური და მრავალფეროვანია ქართულ დისკურსში სამგლოვიარო ცერემონიაზე ან უბედური შემთხვევის გამო თანაგრძნობის გამოხატვა სიტყვიერად ან არავერბალური საშუალებებით: ვიზიარებ თქვენს დიდ მწუხარებას! გამაგრდით, ცხოვრება ასეთია! თქვენ არა ხართ მარტო ამ დიდ მწუხარებაში! ახლა გმართებთ სიმ-

ტკიცე და გამაგრება! თავს ვერ მოვიკლავთ თურმე! ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი! ყველას გზა ესაა!..

ხშირად ამ სიტყვებს ახლავს არავერბალური ქცევაც: კოცნა, ხელის ჩამორთმევა და თავზე გადასმა, მხარზე დარტყმა გასამხნევებლად, ადამიანის გულში ჩახუტება და ა.შ.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციაში ვერბალურ-არავერბალურ საშუალებებს ყოველთვის არა აქვთ ინფორმაციის გადაცემის ფუნქცია, არამედ მათი მნიშვნელობა რელევანტურია კომუნიკაციურ დონეზე, ანუ ესაა პრაგმატული ინფორმაცია და ორიენტირებულაა ადრესატზე. შემარბილებელი კომუნიკაციური ერთეულები ასრულებს „ზღუდის“ ფუნქციას და არბილებს გამონათქვამის ილოკოციურ ძალას.

კომუნიკაციის წარმატებულობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექსტრალინგვისტური პარამეტრების სწორ შეფასებას და ენობრივ-არაენობრივ საშუალებათა კომპლექსურ გამოყენებას, რათა არ წარმოიშვას კომუნიკაციური კონფლიქტი.

ლიტერატურა

ახვლედიანი, 2001 — დ. ახვლედიანი, ჩართული სიტყვები და გამოთქმები ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, საკ. დის. (ხელნაწერი), თბ., 2001.

დარასელია, 1998 — ნ. დარასელია, შორისდებულთა ტექსტობრივი ფუნქციები სასაუბრო დისკორსში// ბ. ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია, V, მასალები, თბ.: ქართული ენა, 1998.

დარასელია, 1999 — ნ. დარასელია, შორისდებულთა სოციალური ფუნქციები ზეპირმეტყველებით დისკორსში// კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბ.: ქართული ენა, 1999, IX.

ლაკოფი, 1972 — R. Lakoff, Hedges: A Study in Meaning Criteria and the Logic of Fuzzy Concepts// In: Papers from the eighth Regional Meeting of the Chicago Linguistic Society, april 14-16, 1972.

ლანგერი, 1994 — M. Langner, Zur kommunikativen Funktion von Abschwächungen. Pragma- und soziolinguistische Untersuchungen// Studium Sprachwissenschaft, Beiheft 23, Hrsg. von H. Gipper, G. Haßler, P. Schmitter. Münster: Nodus Publikationen, 1994, გვ. 81-124.

კრეიდლინი, 2002 — Крейдлин Г. Е., Невербальная семиотика, М., 2002.

ომიაძე, 1998 — თ. ომიაძე, პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში, საკ. დის. (ხელნაწერი), თბ., 1998.

შერაზადიშვილი, 2003 — მ. შერაზადიშვილი, ნაწილაკის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის ქართულში, საკ. დის. (ხელნაწერი), თბ., 2003.

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

The Communicative Function of Verbal and Non-verbal Means in Georgian Spoken Discourse

Summary

The paper stresses the importance of extralinguistic factors in communication. It is maintained that the interaction of verbal, paraverbal and non-verbal means condition the success of a communicative act. The above-mentioned means serve as mitigators and function as hedges in Georgian spoken discourse.

They intensify the illocutionary force of polite speech acts (thanking, apologizing, sympathizing etc.).

ენის უარაზენიძე

სტილისტური „შეცდომები“ თანამედროვე
ბერძნულ ენაში

დახურული წინადადება წევრების უწყვეტი თანამიმდევრობით არის ჩვეულებრივი სინტაქსური ფორმა. ტექსტი შეიძლება შედგებოდეს არა მხოლოდ დახურული, არამედ ღია ე. წ. სტრუქტურულად არასრული წინადადებისაგან. სტილისტიკურ შეცდომებად (*Stilfehler*), ანუ სტილისტიკურ საშუალებებად (*Stilmittel*), რომლებიც კონსტრუქციის შეწყვეტას წარმოადგენენ, ბ. სოვინსკი მიიჩნევს პროლეპსს, ანაკოლუტს, დანართს, პარენთეზასა და წინადადების დანაწევრებას (სოვინსკი, 1991, 96).

პროლეპსი (Prolepse) არის წინადადების წევრის ხელახალი აღქმა (ამ შემთხვევაში გამოხატვა) ნაცვალსახელის ან ზმნიზედის მეშვეობით (გვენცაძე, 2002, 63).

მაგალითი 1:

Immer nach Norden, das war natürlich auch eine Antwort (aus: ბროინივი, *Unterwegs*, 212).

ნაცვალსახელი *das* ცვლის წინამორბედ გამონათქვამს, რომელიც სუბიექტის ფუნქციას ასრულებს.

მაგალითი 2:

Er und ich, wir standen in diesem Strom (კლაუდიუსი, *Mensch auf der Grenze*, 47).

ნაცვალსახელი *wir* ცვლის ორ ქვემდებარეს.

ანაკოლუთი (Anakoluth) (ბერძ. *anakolouthon* — უკავშირო) არის წინადადების თავდაპირველად დაგეგმილი კონსტრუქციის მოულოდნელი შეცვლა, რაც ერთიანობაში გრამატიკულად არასწორ გამოთქმას ქმნის (ბუსმანი, 1990, 77). განასხვავებენ სინტაქსურ და სემანტიკურ ანაკოლუტს (სოვინსკი, 1972, 161). პირველ შემთხვევაში შეინიშნება შეუთავსებლობა ბრუნვებში ან სიტყვათა წყობაში.

მაგალითი 3:

"Hole diesen Artisten von dort weg", sagte Lang zu Anderson, seinem Assistenten. "Bring ihn...", er zögerte, "dort hinüber" (aus: კინასტი, *Die letzte Tour*, 111).

მეორე შემთხვევაში ერთი შინაარსობრივი ხაზი წყდება და იცვლება მეორეთი, რის შედეგადაც ხდება სინტაქსური და სემანტიკური წყვეტილების შერწყმა.

მაგალითი 4:

Die Pest... Er kam zu mir, und ich erkrankte auch (aus: ჰოფმანი *Villon, den ganz Paris gekannt*, 36).

ტექსტის დონეზე წინადადება იძენს სხვა სტატუსს, რადგან აქ ის გამოიყენება არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში, რომელიც სემანტიკურად და სინტაქსურად ავსებს ღია წინადადებას და „ხურავს“ მის შინაარსს.

მაგალითი 5:

"Telefon ist tot," knurrte Olle. "Soll ich mit Zeichensprache...?" Er deutete auf die Fernbeobachterkamera, die aus dem Loch in der Decke hing. Sie war schmal und zylindrisch wie eine kleine Stabtaschenlampe (aus: კინასტი, *Die Tour*, 155).

პირდაპირი ნათქვამის მეორე რეპლიკა არაა დასრულებული, წინადადება წყდება, მაგრამ მკითხველისათვის მაინც ნათელია, თუ რას გულისხმობს ავტორი. ამის გაგებაში მკითხველს ეხმარება კონტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ დაუსრულებელი რეპლიკა იძლევა ინტერპრეტაციის სხვადასხვა საშუალებას: „Soll ich mit Zeichensprache herausrücken? / alles mitteilen? / die Information übergeben?“ მისი შინაარსი მაინც ერთმნიშვნელოვანია: ოლე ეკითხება მოსაუბრეს, ვალდებულია თუ არა გადასცეს ინფორმაცია ჟესტების მეშვეობით.

დანართი (Apposition) (ლათ. *appositio* — დამატება) ნომინატიური ფრაზის ფაკულტატიური შემადგენელია, რომელიც სინტაქსურად და უმეტესწილად რეფერენციულად ეთანხმება ნომინატიურ ბირთვის. განასხვავებენ პრე- ან პოსტპოზიციის მდგომ განუყოფელ დანართს (*voran- oder nachgestellte enge Apposition*), მაგალითად, *Tante Luise, Herr Scmitt, die Stadt Köln* და (პოსტპოზიციის მდგომ) განკერძოებულ დანართს (*(nachgestellte) lose Apposition*) მაგალითად, *Philip, mein bester Freund* (ბუსმანი, 1990, 91).

პოსტპოზიციის მყოფი დანართი არ განიხილება როგორც კონსტრუქციის შეწყვეტა, თუ კი ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში იმ

სიტყვას, რომელსაც განსაზღვრავს (სოვინსკი, 1991, 97).

მაგალითი 6:

Sie trägt eine Brille schwarz Hornbrille (ფრიში, Homo faber, 125).

აქ გვაქვს კონსტრუქციის შეწყვეტა, ვინაიდან ზედსართავი სახელი „schwarz“ არ ეთანხმება არსებით სახელს „Hornbrille“ ბრუნვასა და რიცხვში, იგი მოცემულია საწყის ფორმაში.

პარენტეზა (ჩართვა) (Parenthese (Einschub)) ეწოდება ჩართულ წინადადებას, შესიტყვებას ან სიტყვას, რომელიც წყვეტს წინადადების სტრუქტურას. იგი ჩვეულებრივ გამოიყოფა ტირეებით, შედარებით იშვითად მძიმეებით ან ფრჩხილებით (გვენცაძე, 2002, 63).

მაგალითი 7:

Damen und Herren in Festkleidung promenierten auf und ab, schauten sich einem günstigen, etwas erhöhten Platz um, von dem aus man gut sehen und — was besonders für die Damen wichtig war — gut gesehen werden konnte (aus: ჰოფმანი, Villon, den ganz Paris gekannt, 47).

მაგალითი 8:

Einer dieser Schlägertypen — bezeichnenderweise Stahlkopf mit Namen — ließ die uns anvertrauten Schutzhäftlinge zum Appel antreten und befahl den Juden unter ihnen, gesondert Aufstellung zu nehmen (aus: Graa, Mein Jahrhundert, 123).

კონსტრუქციის შეცვლის ახალ ფორმას წარმოადგენს წინადადების **დანაწევრება (Aosgliederung)** ცალკეულ სემანტეზად. ესაა დანამატები (Nachträge), რომლებიც ავსებენ ერთმანეთს. დაყოფის შემთხვევაში ერთი წინადადების წევრები სცილდებიან წინადადების ფარგლებს. ამასთან ინფორმაცია იმყოფება არა ჩვეულ ადგილზე, არამედ გადმოიცემა დამატებით (სოვინსკი, 1991, 98).

მაგალითი 9:

Ich schrieb sie ab. Ohne beleidigt zu sein. (aus: ფრიში, Homo Faber, 867).

ღია სტრუქტურებს, რომლებიც თავის დასრულებულობას ტექსტის დონეზე იძენენ, განეკუთვნებიან ე. წ. ეგზისტენციალური (Existenzialsätze) და სახელდებითი (Benennungssätze) წინადადებები. ეგზისტენციალური წინადადებები შედგებიან მხოლოდ ნომინატივისაგან ან კონსტრუქციისაგან „ნომინატივი — განსაზღვრება“. პრედიკატი არ სახელდება, ვინაიდან მის შინაარსს ზოგადად გამოხატავს საგნის არსებობის ფორმა (Daseinform des Gegenstandes) (აღმონი, 1986,

113), როგორც ეს შემდეგ მაგალითებზე ჩანს.

მაგალითი 10:

Kein Laut, kein Licht (aus: შტაინიგერი, Melde mich vom Knast zurück, 250).

მაგალითი 11:

Das einschläfernde Geräusch des Schreibenwischers. Die Monotonie der Straße (aus: ბროინიგი, Unterwegs, 211).

სახელდებითი წინადადებები, რომლებიც აგრეთვე მხოლოდ ნომინატივისაგან შედგება, ეგზისტენციალური წინადადებებისაგან განსხვავებით დამოკიდებულია სიტუაციაზე. სიტუაციური სახელდებითი წინადადებები (situative Benennungssätze) ასახელებენ უშუალოდ მოცემულ სიტუაციაში მყოფ საგნებს. ამგვარი წინადადებები ჩვეულებრივ ატარებენ ემოციურ ან შეფასებით ხასიათს (აღმონი, 1986, 114).

მაგალითი 12:

Der Junge war wirklich beinah vollkommen. Ein schwimmer Gold aus der Haut heraus, aus dem Haar, aus den Augen. Und dieser niemals geknickte schwung in jeder seiner Bewegungen von den Brauen bis in die Fingerspitzen (aus: ზეგერსი, Der Führer, 63).

ხაზგასმული ტექსტი სახელდებითი წინადადებებია ემოციური შეფერილობით.

კონტექსტუალური სახელდებითი წინადადებები (Kontextbenennungssätze) ასახელებენ საგანს, რომელიც მეტყველების ნაკადში გრამატიკულად იზოლირებულია, მაგრამ სინტაქსური ვალენტობის საფუძველზე და კონტექსტის ზეგავლენის ქვეშ ახდენს პრედიკატული შეფარდების პროეცირებას რომელიმე კონკრეტულ სიტყვაზე (აღმონი, 1986, 114).

მაგალითი 13:

Und nun — stand etwas an der Autobahn, ein Köfferchen neben sich, stand da und hatte ein Kopftuch um und ein Mäntelchen gegen den Regen, der über die Kiefern pffif, und das war mitten im Flämig. Ringsum nichts als Wald und Heide. Nichts als Kiefern und Regen, Sand und Wind (aus: ბროინიგი, Unterwegs, 211).

ხაზგასმული კონტექსტური სახელდებითი წინადადებები უკავშირდება წინამავალ ტექსტს ადგილის გარემოების „ringsum“ მეშვეობით.

ღიაობა დამახასიათებელია აგრეთვე ელიფსებისათვის, რომლე-

ბიც განიხილება როგორც „დაუსრულებელ წინადადებათა ტიპი“ (შვაბე, 1994, 2). ელიფტურ გამონათქვამებში ფაქტობრივად გამოხატული მნიშვნელობა რეგულარულად ივსება მნიშვნელობის სხვა ელემენტებით (კლაინი, 1985, 5).

ელიფსი (ბერძ. *elleipsis* — გამოტოვება) წარმოადგენს გამოტოვებას ენობრივი ელემენტებისა, რომელთა გამოყენება აუცილებელია სინტაქსური წესების ან ლექსიკური თვისებების (მაგ., ზმნის ვალენტობის) საფუძველზე (კლაინი, 1993, 765). ელიფსი გვხვდება არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ წერილობით ტექსტებშიც, როცა საჭიროა ადგილის ეკონომია, მაგ., სათაურებში, დეპეშებში და ა. შ. ამ შემთხვევებში ელიფსები მოითხოვენ არსებით სახელზე კონცენტრაციას (პლეტი, 1991, 57).

ელიფსები უმეტესწილად ორიენტირებულია რემატულ სტრატეგიაზე: თუ კი გასაგებია რაზეა ლაპარაკი, ჩვენ გამოვთქვამთ მხოლოდ იმ აზრს, რომელიც ახალ ინფორმაციას შეიცავს.

ელიფსი შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო დიალოგის რეპლიკებში, არამედ დამოუკიდებელ წინადადებებშიც:

მაგალითი 14:

Wie der Herzog ihm geraten—, suchte er sich ein Quartier und blieb ein paar Tage in Orleans (aus: ჰოფმანი, Villon, den ganz Paris gekannt, 300).

წინადადებაში გამოტოვებულია დამხმარე ზმნა, რომელსაც, როგორც ეს კონტექსტიდან გამომდინარეობს, უნდა ჰქონდეს ფორმა „hatte“.

შიდატექსტურ კავშირებს განსაკუთრებით აძლიერებს ქვემდებარის გამოტოვება (65).

მაგალითი 15:

Obwohl — selbst Vorzeigekapitalist — ist Kafelnikow stets ein Gegner der amerikanishen Hegemonie auf der Tennis-Tour geblieben - ein kalter Krieger (aus: Süddeutsche Zeitung 2002, N 275, 31).

დამოკიდებულ წინადადებაში გამოტოვებულია „Kafelnikow“ და შემასმენელი „ist“. მიუხედავად ამისა წინადადების გაგება მკითხველისათვის პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან საჭირო ინფორმაცია იოლად მოიპოვება კონტექსტში.

ხანდახან ელიფსში სიტყვა შეიძლება იყოს წარმოდგენილი „ნაწილობრივ“, მაგალითად, როცა არსებითი სახელის ნაცვლად გამოიყენება მხოლოდ არტიკლი.

მაგალითი 16:

Und seine Bewunderung ist jedesmal besser, gründlicher, entzückter als die des Besuchers (aus: როდინი, August Rodin, 589).

მაშასადამე, სტილისტურ საშუალებებს, რომლებიც კონსტრუქციის შეწყვეტას წარმოადგენს განეკუთვნება პროლეფსი, ანაკოლუთი, დანართი, პარენტეზა, წინადადების დანაწევრება და ელიფსი.

ლიტერატურა

ელმონი, 1986 — Admoni W. Der deutsche Sprachbau, Просвещение Москва, 1986.

ბუფმანი, 1990 — Bußmann H. Lexikon der Sprachwissenschaft. Alfred Kröner Verlag. Tübingen, 1990.

გვენცაძე, 2002 — Gwenzadze M. Einführung in die Stilistik der deutschen Sprache. Bakur Sulakauri Verlag, Tb., 2002.

კლაინი, 1985 — Klein W. Ellipse, Fokusgliederung und thematischer Stand. In Ellipsen und fragmentarische Ausdrücke. Hrsg. von R. Meyer / Hermann u. Hannes Rieser. Max Niemeyer Verlag. Tübingen, 1985.

კლაინი, 1993 — Klein W. Ellipse. In: Syntax. Ein internationales Handbuchzeitgenössischer Forschung. Hrsg. von J. Jacobs / A. von Stechow / W. Sternefeld / T. Vennemann. 1. Halbband. De Gruyter. Berlin, 1993.

პლეტი, 1991 — Plett H.-F. Einführung in die rhetorische Textanalyse. Hamburg, 1991.

შვაბე, 1994 — Schwabe K. Syntax und Semantik situativer Ellipsen. Narr. Tübingen, 1994.

სოვინსკი, 1972 — Sowinski B. Deutsche Stilistik. Faschet Taschenbuch Verlag. Frankfurt am Main, 1972.

სოვინსკი, 1991 — Sowinski B. Stilistik. Metzler. Stuttgart. Bd. 263, 1991.

წყაროები

ბრონიგი, 1972 — Bräunig W. Unterwegs. In: Bettina pflückt wilde Narzissen. Mitteldeutscher Verlag. Halle / Leipzig, 1972.

ზეგერსი, 1972 — Seghers A. Der Führer. In: Bettina pflückt wilde Narzissen. Mitteldeutscher Verlag. Halle / Leipzig, 1972.

ზოუდლოიჩე, 2002 — Süddeutsche Zeitung 2002, N275, 31.

კინასტი, 1983 — Kienast W. Die letzte Tour. 3. Auflage. Velag Das neue Berlin, Berlin, 1983.

კლაუდიუსი, 1972 — Claudies E. Mensch auf der Grenze. In: Bettina pflückt wilde Narzissen. Mitteldeutscher Verlag. Halle / Leipzig. 1972.

ლილკე, 1978 — Rilke R. M. August Rodin, 3. Bd. Insel Verlag. Berlin, 1978.

ფრიში, 2002 — Frusch M. Homo Faber. Ein Bericht. Suhrkamp Verlag. Frankfurt am Main, 2002.

შტაინიგერი, 1974 — Steiniger K. Melde mich vom Knast zurück. Gutenberg Buchdruckerei. Weimar, 1974

ჰოფმანი, 1978 — Hoffmann J. Villon, den ganz Paris gekannt. 3. Auflage. Gutenberg Buchdruckerei und Verlagsanstalt, 1978.

NINO SHARASHENIDZE

Stylistic "Errors" in Present day German

Summary

As is known, texts sometimes consist of structurally incomplete sentences that are considered to be stylistic mistakes. The stylistic means, that break the sequence of word order in a sentence are: prolepsis, paranthesis, anacoluthon, ellipsis, parcelling. The usage of these means is rule-governed.

მანანა ზვლია

ფსიქოლინგვისტური კვლევის პროდუქტულობა სიტყვის ანალიზის პროცესში

დიდი ხანია, რაც ფსიქოლინგვისტური მიდგომა ფართოდ გამოიყენება ამა თუ იმ ლინგვისტური საკითხის განხილვისას. ცნობილია, რომ ფსიქოლინგვისტიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ენობრივი კოდირებისა და დეკოდირების პროცესებს ინფორმაციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, იკვლევს იმ პროცესებს, რომლის საშუალებით მიღებული ინფორმაცია გარდაიქმნება მოცემული კოდის სიგნალად, ხოლო ინტერპრეტაციის პროცესში განიცდის უკუგარდაქმნას მსმენელების (მკითხველების) მიერ (ახმანოვა, 1964, 58).

ტერმინ „ფსიქოლინგვისტიკის“ შემოღება შესაძლებელია ეკუთვნის ნ.გ. პრონკის, რომელმაც გამოიყენა ის თავის სტატიაში 1946 წელს (Pronko N. H. Language and Psycholinguistics-In: "Psychological Bulletin, 1946). ჯერ კიდევ მაშინ ამ ახალმა დისციპლინამ მოიპოვა თავისი ადგილის უფლება ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ოჯახში, აშშ-ში, ინდიანის შტატის უნივერსიტეტში ჩატარებული ზაფხულის სემინარის შემდეგ. შემდგომშიც ფსიქოლოგები ცდილობდნენ კონტაქტის განმტკიცებას ლინგვისტიკასთან (გუნდტი, მილდი).

ამ საკითხით აგრეთვე დაინტერესდნენ ევროპელი ფსიქოლოგები, რომლებიც იკვლევდნენ აზროვნების პრობლემებს (დელაკრუა, ბიულერი, კაინცი და სხვები), ასევე ამერიკელი ბიპევიორისტები (ოლპორტი, ვეისი, კანტორი, სკინერი), რომლებიც ცდილობდნენ მეტყველების, ქცევის როგორც ფსიქოლოგიის ცენტრალური განხრის შესწავლას. მიუხედავად ლ. ბლუმფილდისა და ვ. სეპირის მერყეობისა ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდგომში ის მიღებული იქნა ლინგვისტების მიერ. ცნობილია ლინგვისტიკის ფსიქოლოგიზებული მიმართულება (მ. ბალი) და ა. დელაკრუას ძალისხმევა ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების ერთობლივი მუშაობის ჩასატარებლად ენის ზოგიერთი მხარის ახსნისათვის (ტიტონე, 1981, 338).

ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფსიქოლინგვისტიკაში დაკავშირებულია სიტყვებს შორის ასოციაციების ანალიზთან. ა. ა. ლეონტიევის აზრით, ენის მატარებლის მიერ ფსიქიკაში არსებულ სიტყვათა სემანტიკური კავშირები ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენებას ხდის მნიშვნელოვანს და საინტერესოა არა მხოლოდ ფსიქოლოგისთვის ან ფსიქოლინგვისტისთვის, არამედ ასევე ლინგვისტისთვისაც (მასლოვი, 1987, 60).

ფსიქოლინგვისტური ხერხი დაფუძნებულია სიტყვებს შორის ასოციაციური კავშირების კონსტატაციაზე. ასოციაციური კავშირები წარმოადგენს ადამიანის სიტყვათა მარაგის რეალურ არსებით მოვლენას, რომელიც აერთიანებს ცნებებს ენაში და მონაწილეობს გარკვეული კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტაში.

ფსიქოლოგების — ჰაუესისა და დიხის ნაშრომებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლინგვისტიკის მეთოდს სიტყვებს შორის ასოციაციის მიწოდებასა და განმტკიცებაში.

მნიშვნელოვანია ფსიქოლინგვისტური მიდგომის პროდუქტულობა სიტყვების ანალიზისას მათი ასოციაციური სტრუქტურის დადგენის მიზნით. ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის გამოყენება ხელს უწყობს სიტყვის დანაწევრების პროცესში წამოჭრილი სირთულეების დაძლევას.

მოცემულ ნაშრომში სიტყვის შინაგანი სტრუქტურის დადგენის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულია **დეფინიციურ-ასოციაციური მეთოდი**, რომელიც დამუშავებულია პროფ. ე. პ. შუბინისა და ტ. ტროიკაის მიერ (შუბინი, ტროიკაია, 1971, 32).

აღნიშნული თეორიის თანახმად გამოყოფენ სიტყვათა ასოციაციის სამ ტიპს: ა) **ფორმალურ-სემანტიკურს**, როცა სიტყვები ასოცირდება როგორც ფორმით, ასევე მნიშვნელობით, ბ) **სემანტიკურს**, როცა სიტყვები ასოცირდება მხოლოდ მნიშვნელობით, ხოლო ფორმა არ არის რელევანტური და გ) **ფორმალურს**, როცა სიტყვები ასოცირდება მხოლოდ ფორმით. ფორმალური ასოციაცია არ თამაშობს რაიმე მნიშვნელოვან როლს კომუნიკაციაში. ამ შემთხვევაში დეფინიციური მეთოდიკა არ გამოიყენება, რადგანაც სიტყვათა მნიშვნელობა არ არის რელევანტური. სემანტიკურ ასოციაციებს ადგილი აქვს იმ სიტყვათა ჯგუფებში, როგორცაა სინონიმები და სხვადასხვა სახის „სემანტიკური ველი“.

შედარებით „ძლიერი“ და შესაბამისად აქტუალური, კომუნიკაციური თვალსაზრისით, არის **ფორმალურ-სემანტიკური** ასოციაცია, რადგანაც აქ ადგილი აქვს ორმაგ ფსიქოლოგიურ კავშირს: როგორც გამოხატვის, ასევე შინაარსობრივ პლანში (შუბინი, 1969, 86).

სიტყვის ასოციაციური სტრუქტურა განისაზღვრება მისივე დეფინიციით. და ასევე განისაზღვრება სემენტის ან სემენტების შემადგენლობაში არსებული ფონემების (გრაფემების) საშუალებით, რომლებიც განაპირობებენ სიტყვის შეყვანას ძლიერ და სუსტ ასოციაციაში სხვა სიტყვებთან. ასეთ სემენტებს ეწოდება სიტყვის ასოციაციური კომპონენტები (ანუ უბრალოდ კომპონენტები). მაშასადამე, სიტყვის სტრუქტურა ეს არის ლექსიკონის სტრუქტურის რეალური გამოვლენა, რომელიც აიხსნება როგორც ასოციაციური ურთიერთობების ქსელი მის ერთეულებს შორის.

გამოყოფენ სიტყვის ასოციაციის ორ კომპონენტს: აზრობრივ კომპონენტს (**national component, NC**) და **მარკერულ კომპონენტს (marking component, MC)**. სიტყვის აზრობრივი კომპონენტი ეს ის სემენტიცაა, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის ძლიერ ფორმალურ-სემანტიკურ ასოციაციას სხვა სიტყვასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრობრივი კომპონენტი — ეს სიტყვის ის სემენტიცაა, რომელიც ემთხვევა (მსგავსია) მისივე დეფინაციის მნიშვნელობის აღმნიშვნელი წევრისა.

მაგ.: სემენტი **sing** — წარმოადგენს სიტყვა **singer**-ის აზრობრივ კომპონენტს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ის ემთხვევა ამ სიტყვის დეფინაციის მნიშვნელობის მატარებელ წევრს (= **a person who sings**). შეგახსენებთ, რომ სიტყვათა აზრობრივი კომპონენტები თვითონ მოკლებულნი არიან მნიშვნელობას; ისინი მიუთითებენ სიტყვა-ასოციანტზე. ამიტომ ტერმინი „აზრობრივი“ არ უნდა იყოს გაგებული როგორც მნიშვნელობა — „აზრის მქონე“.

მეორე სახესხვაობა ასოციაციური კომპონენტებისა არის სიტყვის მარკირებული კომპონენტი (**MC**). ეს ის სემენტიცაა, რომელიც მიაკუთვნებს სიტყვას გარკვეულ ფორმალურ-სემანტიკურ კლასს. მარკერული კომპონენტების გამოყოფა ხდება სიტყვის ასოციაციის სუსტ (დიფუზურ) საფუძველზე, სადაც ასოციანტი შეიძლება იყოს იმავე ფორმალურ-სემანტიკური კლასის ნებისმიერი სიტყვა.

მაშასადამე, თუ აზრობრივი კომპონენტის დადგენა ხდება უშუალოდ დეფინიციიდან აღებული სიტყვიდან, სადაც ის წარმოდგენი-

ლია როგორც ფორმალური კორელანტი, მარკერული კომპონენტის გამოსაყოფად საჭიროა ვაწარმოთ შეპირისპირება არანაკლებ ორი სიტყვის დეფინიციებისა. მაგ.: სეგმენტი **-er** მარკირებს სიტყვებს **worker, builder, painter** და ა. შ., რომელიც მიეკუთვნება ერთ ფორმალურ-სემანტიკურ კლასს (**a name for profession or occupation**).

განსხვავება აზრობრივ და მარკირებულ კომპონენტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველები გამოიყოფა კონკრეტული მნიშვნელობების ასოციაციით (სიტყვა — ასოციანტები), მაშინ როცა მეორენი ასოცირდებიან ან ტიპთან (კლასთან), ან (საწყისი სიტყვის) მნიშვნელობასთან.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება მრავალი ნაშრომი, სადაც აღწერილია ისეთი სეგმენტების არსებობა სიტყვის სტრუქტურაში, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე ასოციაციური ფუნქცია და არა აქვთ სრულფასოვანი მორფემული სტატუსი. ლინგვისტები ასეთ სეგმენტებს თავიანთ ნაშრომში აძლევენ სხვადასხვა სახელწოდებას. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია უნიკალური მორფემები (**unique morphemes**), რომელთა რაოდენობა თანამედროვე ინგლისურ ენაში ითვლის 1500-ზე მეტ ერთეულს. ჩვენს ნაშრომში მოცემული სეგმენტი აღინიშნება ასოთი **R (Remainder)** — ნაშთიანი სეგმენტი (ბლუმფილდი, 1933, 607).

კვლევის მიზნისათვის გამოყენებულია ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი **The Oxford English Dictionary On Historical Principles (Oxford University Press, 1978)** [140]. აგრეთვე ინგლისურ-ქართული ლექსიკონები — ავტორები ვ. კ. მიულერი, ი. გალპერინი, ი. დ. აპრესინი.

შეიჩა სიტყვათა კოპუსი ინგლისურ-ქართული, ინგლისურ-რუსული ლექსიკონებიდან, რომლებშიც აღინიშნებოდა ნაშთის არსებობა. ჩატარდა ყოველი სიტყვის სტრუქტურის ცალკეული დაზუსტება დეფინიციური ანალიზის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით მარკერული კომპონენტების გამოვლენა ხორციელდებოდა სიტყვათა ჯგუფის ანალიზით.

სეგმენტი **crayfish = a frest water crustacea, resembling a fish or living in water like a fish**. სეგმენტი — **fish** აზრობრივი კომპონენტია — **NC**, ხოლო პირველი სეგმენტი **cry** — შეიძლება ჩაითვალოს ნაშთად, რადგანაც დეფინიციაში არ მოეპოვება ასოციანტი. ამ მაგალითშიც

ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის საშუალებით დავადგინეთ სიტყვის სტრუქტურა **[R + NC]**.

ნაშთიანი სეგმენტი შეიძლება იყოს სიტყვის თავში — **barberry**, შუაში — **demolish** ან ბოლოში — **necklace**.

დეფინიციური ანალიზის ობიექტს წარმოადგენს სიტყვათა მნიშვნელობის ვერბალური აღწერა, რომელთაც სინტაგმის ფორმა გააჩნიათ და მოცემულია განმარტებით ლექსიკონებში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვაგვარი სტრუქტურა მათი მნიშვნელობებიდან გამომდინარე. შესაძლოა ერთსა და იმავე სიტყვას ერთი მნიშვნელობის მიხედვით ჰქონდეს ერთი სტრუქტურა, ხოლო მეორე მნიშვნელობით კი — განსხვავებული. მაგალითად, შეიძლება წარმოადგინოთ სიტყვა **dough-boy**, რომელსაც ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში აქვს ორი დეფინიცია: 1. **a boiled flour dumpling**; 2. ან **infantry soldier**; დეფინიციების მიხედვით სიტყვის პირველი კომპონენტი **dough-** პირველი მნიშვნელობით წარმოადგენს აზრობრივ კომპონენტს **NC**, ხოლო სეგმენტი- **boy** ჩაითვლება ნაშთად **R**. რომლის სტრუქტურა გადმოიცემა ფორმულით **[NC + R]**, ხოლო მეორე მნიშვნელობაში ნაშთს წარმოადგენს სიტყვის პირველი სეგმენტი **dough-**, მეორე სეგმენტი — **boy** კი აზრობრივი კომპონენტია, რომლის სტრუქტურა აღინიშნება ფორმულით **[R + NC]** (შელია, 146).

როგორც ცნობილია, ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობა განუწყვეტილად ივსება და მდიდრდება ახალი სიტყვებით, მათი გარკვეული რაოდენობა დიალექტიდანაა შემოტანილი და აგრეთვე ნასესხებია სხვა ენებიდან, რაც მახასიათებელია ინდო-ევროპული ოჯახის ყველა ენისათვის. სიტყვები განვითარების რომელიმე საფეხურზე წარმოიშობა, ვითარდება, იცვლის ფორმას, ხდება როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური ცვლილება ან შესაძლოა ხმარებიდან ამოვარდეს და დაიკარგოს.

ამჯერად შემოვთავაზებთ სიტყვაში ნაშთიანი სეგმენტების წარმოშობის დიაქრონიულ კვლევას

MC → R
NC + MC → NC + R

PIECEMEAL [ME. f. PIECE sb + - MEAL] One part a time, piece by piece.

სეგმენტი — meal [OE. æum] უწინ გამოიყენებოდა, როგორც მარკერული კომპონენტი მნიშვნელობით — **measure, quantity taken at a time**. მოცემული მარკერის ენიდან ამოვარდნის შედეგად სიტყვაში **piecemeal** სეგმენტი — meal გარდაიქმნა ნაშთად.

$\emptyset_1 \rightarrow \text{NC}$

$\emptyset_2 \rightarrow \text{R}$

$\emptyset_1 + \emptyset_2 \rightarrow \text{NC} + \text{R}$

სიტყვა **BELFRY** ძველი ფრანგული ენიდან იყო შემოსული შუა საუკუნეების ინგლისურ ენაში [ME berarey, -ay, a. OF. bukakuS -ai, ay pointing to a. late L. berearedus, ad. Teut. bergfrid defensive place of shelter] **A bell-tower 1440**. ადრე ის გამოიყენებოდა **bell-tower**-ის მნიშვნელობით, შემდგომში, ფორმის შეცვლის შედეგად მიიღო ასეთი სახე — **belfry**, მოცემული სიტყვა ასოცირდება სიტყვასთან **bell**. აზრობრივი კომპონენტი **bel-** გამოიყოფა სიტყვიდან, რომელიც ადრე შეიცავდა ორნულოვან სეგმენტს, ხოლო სეგმენტი **-fry** გარდაიქმნა ნაშთად.

ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის გამოყენება ხელს უწყობს ენის შემსწავლელებს ლინგვისტური პროცედურების ჩატარებაში და იმ სირთულეების გადაწყვეტაში, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის ანალიზის პროცესთან.

ლიტერატურა

ახმანოვა, 1964 — Ахманова О. С. Психоллингвистика, Сб. ст. "Общее языкознание", изд. Московского университета, 1964.

ტიტონე, 1984 — Титоне Р. Некоторые эпистемологические проблемы психоллингвистики. Психоллингвистика. Сб. статей. Составитель Шахнович А. М., М., "Прогресс", 1984.

მასლოვი, 1987 — Маслов Ю. С. Введение в языкознание. М., Высшая школа", 1987.

შუბინი, ტროიცკაია, 1971 — Шубин Э. П. Тройцкая К. Б. Дефинационно-ассоциативная теория внутренней структуры слова. Калининский гос. пед. институт, 1971.

შუბინი, 1969 — Шубин Э. П. Ассоциативная структура слова (на материале английского языка). Учен. записи. Калининского гос. пед. института, 1979.

ბლუმფილდი, 1933 — Bloomfield L., Language, New York, 1933.

შელია, 2004 — მ. შელია, „სიტყვათა სტრუქტურული ტიპები ნაშთიანი სეგმენტებით თანამედროვე ინგლისურ ენაში“. საქართველოს განათლების სამინისტროს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, № 7, თბ., 2004.

შელია, 2004 — მ. შელია, „სიტყვის სტრუქტურაში ნაშთიანი სეგმენტების წარმოშობის გზები თანამედროვე ინგლისურ ენაში“. — პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, თბ., 2004, 1(18).

MANANA SHELIA

Productivity of Psycholinguistic Investigation in the Process of Word Analysis

Summary

The paper focuses on psycholinguistic aspects of linguistic study of words. The psychological trend in linguistics is surveyed and the importance of the psycholinguistic approach is emphasized. It is claimed that psychological experiments are essential for stating the associative structure of words. The experiments in question help to overcome difficulties in the process of componential analysis of words.

For the definition of word structure the associative method of definition (by E. Shubin) is used. The associative structure of word forms the theoretical basis of the study.

ეთერ ზენაელია

სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი
ლექსიკა მებრულ-ლაზურში

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, გამოავლინოს სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკური ერთეულები მეგრულ-ლაზურში. აქ წარმოდგენილი მასალის წყაროს წარმოადგენს სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მონაცემები, კერძოდ, ი. ჯავახიშვილის „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“, გამოცემული ტექსტები, ლექსიკონები, ი. ასათიანის ლაზური დიალექტის სალექსიკონო ფონდი (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებული), ამასთანავე 2004, 2005, 2006 წლებში ჩვენ მიერ სამეგრელოსა (ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის რაიონებში) და ლაზეთში (ხელვაჩაურის რაიონის სარფის თემსა და ხოფის რეგიონში) საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და ფოლკლორული ტექსტები.

მასალა დაჯგუფებულია თემატური თანმიმდევრობით: 1) სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები; 2) სამოსლის სახეობები; 3) სამოსლის ნაწილები; 4) სამოსლის მოსართავები და მორთვა; 5) სამოსლის შესაკრავები, სარტყლები; 6) ჩაცმა-დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები; 7) სამოსლის დაწყობა-დალაგება; 8) მასალა (სამოსლისთვის გამოყენებული); 9) რეწვა; 10) თავსაბურავი; 11) ფეხსაცმელი, ფეხსამოსი; 12) სამოსლის საკიდი, სათავსოები; 13) დასაგები, დალაგება, „გა“დაფარება; 14) რეწვისთვის გამოყენებული ხელსაწყოები.

წარმოდგენილი სამოსელთან დაკავშირებული აღწერითი მასალა, სამოსლის ფორმა, მათი ნაწილებისა და დამზადების პროცესში შემავალ ოპერაციათა აღმნიშვნელი ტერმინები მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევისათვის და ქართველთა ყოფის ისტორიისათვის.

1) სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები

მოცემულ სემანტიკურ ჯგუფში გამოვლენილია სამოსლის, კერძოდ, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ფეხსამოსის, თავსაბურავის, მოსასხამის აღმნიშვნელი ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ზან. ბარგი-ი „ტანსაცმელი“, „ბარგი“, „ქონება“. 2. ზან. (მეგრ.) მიკაქვენჯ-ი || მგკაქვანჯ-ი „ჩასაცმელი“; 3. ზან. (მეგრ.) მუკაქუნალ-ი || მგკაქუნალ-ი „ჩასაცმელი“; ზან. (მეგრ.) ომორსალ-ი || ომოსალ-ი || გამორსალ-ი „სამოსელი“; ზან. (ლაზ.) ომოსუშ-ი „სამოსი“. 5. ზან. (მეგრ.) ტანგმიკოქვენჯ-ი „ტანსაცმელი“. 6. ზან. (მეგრ.) ტანი-ი დო კუჩხ-ი „ტანი და ფეხი“, გადატ. „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“. 7. ზან. (მეგრ.) მაქუნალ-ი || გინაქუნალ-ი „მოსასხამი“, „მოსაცმელი“; ზან. (ლაზ.) მოქუნუშ-ი „მოსასხამი“ || მოყაქუნუშ-ი || მოყაქუნუ || გეყაქუნუ || ეყაქუნუშ-ი „მოსაცმელი“. 8. ზან. (მეგრ.) მილაქუნალ-ი || დინახლენ-ი მილაქუნალ-ი || დინახლენ-ი ბარგი-ი „მიგნითა ჩასაცმელი (|| „ტანსაცმელი“); ზან. (ლაზ.) მეშაქუნუშ-ი || დოლოხე მეშაქუნუშ-ი || დოლოქუნუშ-ი || მილახიშე დოლოქუნუშ-ი „მიგნითა ჩასაცმელი“. 9. ზან. (მეგრ.) მადვალარ-ი || კუჩხიშ-ი მადვალარ-ი „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“; ზან. (ლაზ.) მოდვალუ || მოდვალუშ-ი || კუჩხეშ-ი მოდვალუ „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“. 10. ზან. (მეგრ.) გიორთუმალარ-ი || დუდიშ-ი გიორთუმალარ-ი „თავსაბურავი“; ზან. (ლაზ.) მოთუმალე || მოთუმუშ-ი „თავსაბურავი“. 11. ზან. (მეგრ.) ოსურიშ-ი მგკაქუნალ-ი, მადვალარ-ი, გიორთუმალარ-ი „ქალის ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, თავსაბურავი“; ზან. (ლაზ.) ქალეშ-ი || ოხორჯაშ-ი დოლოქუნუშ-ი, მოთუმუშ-ი, მოდვალუშ-ი „ქალის ტანსაცმელი“, ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, „თავსაბურავი“. 12. ზან. (მეგრ.) ძღაბიშ-ი მგკაქუნალ-ი, მადვალარ-ი, გიორთუმალარ-ი „გოგოს ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, „თავსაბურავი“. 13. ზან. (მეგრ.) კოჩიშ-ი მგკაქუნალ-ი, მადვალარ-ი, გიორთუმალარ-ი „კაცის ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, „თავსაბურავი“, ზან. (ლაზ.) კოჩეშ-ი დოლოქუნუშ-ი, მოდვალუშ-ი, მოთუმუშ-ი „კაცის ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, „თავსაბურავი“. 14. ზან. (მეგრ.) ბოშიშ-ი მგკაქუნალ-ი, მადვალარ-ი, გიორთუმალარ-ი „ბიჭის ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, „თავსაბურავი“; ზან. (ლაზ.) ბიჭიშ-ი || სქირიშ-ი || ბერეშ-ი დოლოქუნუშ-ი

ი, მოდვალუ||-შ-ი, მოთუშუ||-შ-ი „ბიჭის ტანსაცმელი“, ფეხსაცმელი“, „ფეხსამოსი“, თავსაბურავი“.

2. სამოსლის სახეობები მეგრულ-ლაზურში

სამოსლის სახეობების აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში შედის: კაბა, ზედა სამოსლის აღმნიშვნელი სახელები, ქვედა სამოსლის აღმნიშვნელი სახელები, მოსასხამი, შიდა სამოსელი, სამოსლის სახეები დანიშნულებისა და რაგვარობის მიხედვით, კაცის სამოსი, ქალის სამოსი, ცხვირსახოცი, ქისა:

1. ზან. (მეგრ.) ახა უხ-ი || ახალუხ-ი. 2. ზან. (მეგრ.) გინაქუ-ნალ-ი „ჩასაცმელი“. 3. ზან. (მეგრ.) თუდონგკაბა „ქვედაბლო“; ზან. (ლაზ.) გოტკიმაღლე. 4. ზან. (მეგრ.) „კაბა“, „ახალუხი (ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი“; ზან. (ლაზ.) ფორკა || ქორკა „კაბა“. 5. ზან. (მეგრ.) აწაფორალ-ი „წინაფარი“; ზან. (ლაზ.) გოწაკიუ || გოწაკი-რუ „წინაფარი“. 6. ზან. კიტელ-ი „მამაკაცის ზედა ჩასაცმელი“. 7. ზან. (მეგრ.) ლაგუჯ-ი „ცხვირისა და თხის ტყავისაგან გაკეთებული ხალთა“, „ტყაბუჭი“, „ტანსაცმელი“. 8. ზან. (მეგრ.) მაზარა „ტანისამოსი (ერთგვარი) გრძელსახელოიანი“. 9. ზან. (მეგრ.) ცანორც-ი, ციცანორც-ი, ცანოც-ი „ცხვირსახოცი“, „თავსაფარი“; ზან. (ლაზ.) მენდილ-ი || ბოხჩა 1) ცხვირსახოცი; 2) „სამშითვო ნივთების შესახვევი ქსოვილი. 10. ზან. (მეგრ.) ფორჩა „სელის ძაფისაგან ნაქსოვი“; „პერანგი, ხალათი (ზევითა) უხეში ძაფისაგან ხელით მოქსოვილი“; ზან. (ლაზ.) ფორჩა 1) „კაცის ზედა ჩასაცმელი“; 2) „კაბა“. 11. ზან. (მეგრ.) საკგდგრო || საკიდრო || ოკიდრო „სამკერდე, ჩასაცმლის სახეობა“. 12. ზან. (მეგრ.) ფაფანაკ-ი „ფაფანავი“ (ტანისამოსია). 13. ზან. ფოტა „წინაფარი, კაბის ნაწილი“ (კაბაზე მიკერებული, მკერდიდან ბარძაყამდის ჰქონდათ შემოხვეული). 14. ზან. (მეგრ.) ქენჩი-ი || ქენჩი-გ || ქუნჩი-ი „ზედა ჩასაცმელი ტყავისა“. 15. ზან. (მეგრ.) ქერსა || ქესა || ქესა „ქისა“. 16. ზან. (მეგრ.) ქულაჯა „ქურქისნაირი ტანსაცმელი ქალისა“. 17. ზან. (მეგრ.) ქურქი-ი „ქურქი“; ზან. (ლაზ.) ქურქონი „ქურქიანი, ნაბღიანი“. 18. ზან. (მეგრ.) ჩოხა „ჩოხა“, „შალი“; ზან. (ლაზ.) ჩოხა || ძიქვა-ჩოხა „ჩოხა-ახალუხი“. 19. ზან. (მეგრ.) ხეშეთათმან-ი „ხელთათმანი“; ზან. (ლაზ.) თათმან-ი || ხეხმოდვალუშ-ი „ხელთათმანი“ || ზან. 'ქუჯ-ი' „ხელთათმანი“. ზან. (ლაზ.) ფოსტ-ი || ფოსთ-ი 1) „ტყავის (ცხვირისა)“; 2) „უსახელო ჩასაცმელი“. 21. ზან. (მეგრ.) გვამ-ი 1) „ძველი სამო-

სელი“; 2) „ნაგავი“; ზან. (ლაზ.) გვამ-ი „დაჭუჭყიანებული“. 22. ზან. (ლაზ.) ანთერ-ი „ქალის ზედა მოკლე ტანსაცმელი“. 23. ზან. (ლაზ.) ანთე „კაცის ზედა ჩასაცმელი“; ზან. (ლაზ.) კოქთა „ქალის ზედა ჩასაცმელი“. 24. ზან. (ლაზ.) ელბისე „კაბა, ტანისამოსი, ჩასაცმელი“. 25. ზან. (ლაზ.) ფატა „ფატა“. 26. ზან. (მეგრ.) ანაფარა „ანაფორა“. 27. ზან. (მეგრ.) გაროზ-ი „მოსასხამი“. 28. ზან. (მეგრ.) ღართ-ი „ჩოხა; საწვიმარი ნაბაღი“. 29. ზან. (მეგრ.) ქუნჩი-ი „ქურქი, ბეწვიანი მოსასხამი“. 30. ზან. (მეგრ.) ნაბად-ი „ნაბაღი“; ზან. (ლაზ.) ლიბად-ი || ლიბად-ე „ნაბაღი“. 31. ზან. (მეგრ.) ტოლმა „ნაბაღით მოსასხამი ქალისა, უსახელოებო“. 32. ზან. (მეგრ.) მოსასხან „ქალის ზევითა ჩასაცმელი“. 33. ზან. (მეგრ.) კვანჩა „ქეჩხო“, „თხისა და ცხვირის ტყავი ბეწვიანი, რომელსაც მწყემსები იყენებენ ქვეშსაგებად და მოსასხამად“. 34. ზან. (მეგრ.) გვაბანა „წამოსასხამი“ (ნაბადივით თოვლში, ქარსა და წვიმაში ზევით ჩასაცმელად“. 35. ზან. (ლაზ.) ლაბადა „მოსასხამი“. 36. ზან. (მეგრ.) ხაბარდა „ქალის ტანისამოსი მავთულუბიანი, კაბის ქვეშ ჩასაცმელი“. 37. ზან. (მეგრ.) აბუო „კაბის ქვეშ ჩასაცმელი“. 38. ზან. (მეგრ.) ოსარე 1) „პერანგი, ხალათი“ (ზევითა პერანგი, ქვედა პერანგი); 2) „ურმის ნაწილი“; ზან. (ლაზ.) სე დოლოქუნუშ-ი || სერგდოლოქუნუშ-ი || სერდოლოქუნალ-ი „ღამის პერანგი“. 39. ზან. (მეგრ.) ყანთარ-ი || კანთარ-ი „ქალის წელზევით ტანისამოსი უსახელოებო, აზღუდი“; ზან. (ლაზ.) ელეღ-ი „აზღუდი“ (უსახელო ჩასაცმელს ყველაფერს ელელს ეძახიან). 40. ზან. (მეგრ.) ჩეშ-ი „კაცის პერანგი“. 41. ზან. (მეგრ.) ჩარიქამ-ი ოსარე „გვერდებზე ძირიდან აჭრილი პერანგი“ (ხამის პერანგი) || ჩაქ-ი. ზან. კურთა „ქედა საცვალი“. 42. ზან. (მეგრ.) კურთალარ-ი „ნიფხავი“, „ნიფხვის ძალი“. 43. ზან. (მეგრ.) აფართა „პერანგი, ბუდე“ (ნაყოფისა) || ოლან-ი || ოსარე; ზან. (ლაზ.) ობდე „პერანგი, ბუდე“ (ნაყოფისა). 44. ზან. ბლუზა „ზედა ჩასაცმელი“. 45. ზან. (მეგრ.) შაკეტი-ი „შაკეტი“; ზან. (ლაზ.) ჩარკეტი-ი „შაკეტი“. 46. ზან. (მეგრ.) ოქაქალაია კაბა „ფრიალა კაბა“. 47. ზან. (მეგრ.) ჭარჭულია კაბა „ჭრელა-ჭრულა კაბა“. 48. ომორგუალე || ომორგუალ-ი || ორგუალ-ი || ორგაშე „სამგლოვიარო ტანსაცმელი“. ზან. (ლაზ.) დერდონიშ-ი დოლოქუნუ, უჩა დოლოქუნუ, უჩალონ-ი „სამგლოვიარო ტანსაცმელი“. 49. ზან. (მეგრ.) სასურდ-ი „სუდარი, სუდარა“, || გასურდალ-ი „შესასუდრი“ 50. ზან. (მეგრ.) სამოჭყუდუო კაბა „საბატარძლო კაბა“; ზან. (ლაზ.) ნოლა-

მისლულ-ი „საბატარძლო კაბა“. 51. ზან. (მეგრ.) **რღამილ-ი** || **ეშარღამილ-ი** კაბა „გულამოდებული კაბა“. 52. ზან. (მეგრ.) **ქუჩუჩია კაბა** „ფოჩებით მორთული კაბა“. 53. ზან. (მეგრ.) **ოფიორაია კაბა** „ფორიალა კაბა“. 54. ზან. (მეგრ.) **ფირთხიშია კაბა** „უშნოდ ფართო, უბრალო კაბა“. 55. ზან. (მეგრ.) **ფინა-ფინათ დონწყილ-ი კაბა** „ფენა-ფენად დაწყობილი“ (ფენებიანი კაბა). ზან. (მეგრ.) კონტად, ლამაზად გაშლილი, ფოჩებით მორთული კაბა“. 56. ზან. (მეგრ.) **გურფინა კაბა** „გულღია (გულამოდებული) კაბა“. 57. ზან. (მეგრ.) **ჭაჭილ-ი კაბა** „ნაოჭებიანი კაბა“; ზან. (ლაზ.) **ციგე ფორჩა** „ნაოჭებიანი კაბა“. 58. ზან. (მეგრ.) **ალანწყვილ-ი** || **გონწყვილ-ი კაბა** „გახსნილი კაბა“; ზან. (ლაზ.) **გონწყვირ-ი** **ქორკა** „გახსნილი კაბა“. 59. ზან. (მეგრ.) **ალანარილ-ი კაბა** „ჩაჭრილი, ჩახსნილი (ღრმად) გახსნილი კაბა“. 60. ზან. (მეგრ.) **ჭონჭილ-ი კაბა** „ფენა-ფენად ერთმანეთზე მიკერებული კაბა“. 61. ზან. (მეგრ.) (დინახლენ-ი) **მილაყუნაფალ-ი** „შიგნით ჩასაცმელი“; ზან. (ლაზ.) **დოლოხენ-ი** (დოლოქუნუშ-ი) „შიგნით ჩასაცმელი“. 62. ზან. (მეგრ.) **ფოჩვამ-ი კაბა** „ფოჩებიანი კაბა“. 63. ზან. (მეგრ.) **ფაღურ-ი კაბა** „მდიდრული კაბა“ (ფაღავს რომ შეპფერის ისეთი). 64. ზან. (მეგრ.) **კლოში კაბა** „კლიომი კაბა“; ზან. (ლაზ.) **ჩაღისტონ-ი** **ქორკა** „კლიომი კაბა“. 65. ზან. (მეგრ.) „გოფრე კაბა“; ზან. (ლაზ.) **კირმალ-ი** **ფორჩა** „გოფრე კაბა“. 66. ზან. (მეგრ.) **მათირალ-ი** „გამოსაცვლელი“; ზან. (ლაზ.) **მოქთირუშ-ი** „გამოსაცვლელი“. 67. ზან. (მეგრ.) **ჩხვიჩხვამ-ი** || **ჩხვიჩხველ-ი კაბა** „ბოლოჩამომლილი, სამგლოვიარო, შავი კაბა“. 68. ზან. (მეგრ.) **თაღს-ი** || **თარხ-ი კაბა** „თაღხი კაბა“ 69. ზან. (მეგრ.) **ტკვაჩილ-ი კაბა** „ნაკეცებიანი კაბა“ („პლისე“); ზან. (ლაზ.) **მეჭიტერი-ი** **ფორკა** „ნაკეცებიანი კაბა“ („პლისე“); ზან. (მეგრ.) **ქიტუა** || **ქეტუა** || **ქილიტუა** „დახვევა, შეხვევა, დართვა“; **ქიტილ-ი** „გაქრული“, „გახვეული“.

3. სამოსლის ნაწილები

წინამდებარე სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია ძირითადი ნაწილები სამოსლისა — საყელო, კალთა, სათავე, სახელო, სარჩული, შარვლის ნაწილები, სადილე:

1. ზან. (მეგრ.) **ბაიკარტ-ი** „გულმკერდის არე“. 2. ზან. (მეგრ.) **ბედან-ი** „ჩოხის შემადგენელი ნაწილი“. 3. ზან. (მეგრ.) **ბეტკ-ი** „კაბის სათავე“; „კალთის ძირისა და გვერდის ფართე ტკეჩები“; ზან.

(ლაზ.) **ბეტკებ-ი** „კალთის სალტეები“; **გოტკალე** „სათავე“ (კაბისა). 4. ზან. (მეგრ.) **კილე** || **კიე** || **კვლე** „მკლავი“ (სახელო); ზან. ხეფორჩა „სახელო“. 5. ზან. (მეგრ.) **კართე** „კალთა“; ზან. (ლაზ.) **პოდ ა** || **პორგ ა** || **პორჯა** „კალთა“. 6. ზან. (მეგრ.) **კაბაში კუდელ-ი** „კაბის ბოლო“. 7. ზან. (მეგრ.) **ლუბა** || **ლგბა** „უბე“; ზან. (ლაზ.) **უბა** || **ცუბა** „უბე, მკერდი“. 8. ზან. (მეგრ.) **ნათ-ი** „წელი“ (ტანისამოსისა); ზან. (ლაზ.) **შკა** „წელი“, „თეძო“. 9. ზან. (მეგრ.) **ოცალე** || **ოცალეშ-ი** || **ოცულეშ-ი** „საყელო“; ზან. (ლაზ.) **ყალ-ი** || **ოყალე** „საყელო“. 10. ზან. (მეგრ.) **ღია** || **რღია** „იღლია“; ზან. (ლაზ.) **ღალაჯიჯ-ი** || **ხელაჯიჯ-ი** „იღლია“. 11. ზან. (მეგრ.) **სარჩულ-ი** „სარჩული“; ზან. (ლაზ.) **გერჩაფულე** „სარჩული“. 12. ზან. (მეგრ.) **პიჯ-ი** „საპირე“; **პიჯ-ი დო სარჩულ-ი** „საპირე და სარჩული“. 13. ზან. (მეგრ.) **ჩხვიჩხვ-ი** „ფესვი, ძირი, განტოტება“ (კაბის, ან თავსაფრის ძაფჩამომლილი ბოლო). 14. ზან. (მეგრ.) **ფოსვ-ი** „ფესვი“ (კაბის ბოლოს მნიშვნელობითაც გვხვდება). 15. ზან. (მეგრ.) **ქილა** „ჩოხის მასრა“; **ქილებ-ი** „ჩოხის მასრები“. 16. ზან. (მეგრ.) **საქილე** „სამასრე“. 17. ზან. (მეგრ.) **ქუბა, ქობა** „ქობი“ (ტანისამოსის ნაწილი). 18. ზან. (მეგრ.) **ქუჩუჩი-ი** „ფოჩვი“. 19. ზან. (მეგრ.) **ჩაქ-ი** „ჩოხის გარდევული გვერდები“. 20. ზან. (მეგრ.) **გურ-პიჯ-ი** „გულმკერდი“ (კაბის). 21. ზან. (მეგრ.) **მენჯ-ი** „თეძო“; ზან. (ლაზ.) **თეძო** „თეძო“. 22. ზან. (მეგრ.) **კინკ-ი** „შარვლი, საცვლის უბე“; ზან. (ლაზ.) **ბობ-ი** „საცვლის უბე“. 23. ზან. (მეგრ.) **ჭიბე** „ჩიბე“; ზან. (ლაზ.) **ჭებ-ე** || **ჭებ-ი** „ჩიბე“. 24. ზან. (მეგრ.) **გურ-ჭიბე** „უბის ჩიბე“. 25. ზან. (მეგრ.) **ტოტ-ი** (|| **შარვალიშ-ი ტოტ-ი**) „შარვლის ტოტი“; ზან. (ლაზ.) **კუჩხ-ი** „შარვლის ტოტი“, **კუჩხეფე** „შარვლის ტოტები“. 26. ზან. (მეგრ.) **მანჯა** „მაჯა“ (სამოსლისა) || **მანუეტ-ი**; ზან. (ლაზ.) (ხეშ-ი) **მენდიკონ-ი** „მაჯა“ (სამოსლისა). 27. ზან. (ლაზ.) **თელიკ-ი** „სადილე“. 28. ზან. (მეგრ.) **ხასლა** „გვერდი“ (კაბის); ზან. (ლაზ.) **ქენა** „გვერდი“ (კაბის). 29. ზან. (მეგრ.) **კაბაში წვანდ-ი** || **წვანჯ-ი** „კაბის ბოლო, კალთა“; ზან. (ლაზ.) **ფორკაში ცუჯ-ი** „კაბის ბოლო, კალთა“. 30. ზან. (მეგრ.) **ნოჭკერი-ი** „ნაჭერი“ (ქსოვილისა); ზან. (ლაზ.) **ფეშ-ი** „ნაჭერი“ (ქსოვილისა, კაბისა); **ფეშერონ-ი** „ნაჭერიანი“; **ფარჩა** „ნაჭერი“.

4. სამოსლის მოსართავები და მორთვა

ამ სემანტიკურ ჯგუფში თავმოყრილია ის სიტყვები, რომლებიც გამოიყენება სამოსლისა და ადამიანის მოსართავად — სამკაულები,

გულსაბნევი, მაქმანები, ქამრის მოსართავები, მორთვის აღმნიშვნელი სახელები:

1. ზან. (მეგრ.) **მიკობინუა** „მიბნევა“, „მიმაგრება“. 2. ზან. (მეგრ.) **გებუნაფა** „დაკიდება“; ზან. (ლაზ.) **გეკიდუ** „დაკიდება“. 3. ზან. (მეგრ.) **გიობუნაფალ-ი** „გულსაკიდი“, „ყელსაბამი“; ზან. (ლაზ.) **გებუნაფალ-ე** „ყელსაბამი“, გულსაკიდი“. 4. ზან. (მეგრ.) **გასანწყო** „გასაწყო“; ზან. (ლაზ.) **მოწყვინუ** „გასაწყო“. 5. ზან. (მეგრ.) **კანტი-ი** „კანტი“; ზან. (ლაზ.) **ქემე** „კანტი“. 6. ზან. (მეგრ.) **მოსანწყო** „მოსართავი“; ზან. (ლაზ.) **მოწიფხუ** „მოსართავი“. 7. ზან. (მეგრ.) **მოსართე** „მოსართავი“. 8. ზან. (მეგრ.) **გონწყულა** „გაწყობა“; ზან. (ლაზ.) **მოწყვინუ** „გაწყობა“. 9. ზან. (მეგრ.) **ეშანწყულა** || **იშანწყულა** „გულმკერდის ამორთვა“. 10. ზან. (მეგრ.) **ორცხონჯ-ი** || **ორცხონდ-ი** „სავარცხელი“; ზან. (ლაზ.) **ოცხოჯ-ი** „სავარცხელი“. 11. ზან. (მეგრ.) **საკიდრო** || **საკედრო** „სამკერდული“. 12. ზან. (მეგრ.) **ალაცუნაფა** „გარჯობა“, „ჩასობა“. 13. ზან. (მეგრ.) **ხანტურუა** „მოხატვა“, „მორთვა“. 14. ზან. (ლაზ.) **დალაღეფ-ე** „ქამრის მოსართავი“. 15. ზან. (მეგრ.) **ძია** „მძივი“; ზან. (ლაზ.) **მონ-ი**, **ზენჯილი-ი** „მძივი“. 16. ზან. (მეგრ.) **ოფუჯე** „საყურე“; ზან. (ლაზ.) **ცუჯ-ი** დოლოკიდალე „საყურე“. 17. ზან. (ლაზ.) **თაბლა** „თავსამკაული ქალისა“. 18. ზან. (მეგრ.) **სირმა** „საყელოს მოსართავი“ (შემოსავლები). 19. ზან. (ლაზ.) **ფალასქა** „ფოჩები“. 20. ზან. (ლაზ.) **მეცი-გალე** „გულსაბნევი“. 21. ზან. (ლაზ.) **ბეშლულ-ი** „ხუთთუმნიანი ოქროს ფული, რომელსაც ყელზე საკიდად ხმარობენ ქალები, საქმროს საჩუქარი საცოლესადმი“.

5. სამოსლის შესაკრავები, სარტყლები, შესაკრავების შეკვრა, შეხსნა

ამ სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია სამოსლის შესაკრავები, მათი სახეები — თასმები, თოკი, ბაფთი, ზონარი, ღილი, ქინძისთავები, სარტყლები, შესაკრავების შეკვრა, შეხსნა:

1. ზან. (მეგრ.) **ბაწარია**, **ნობაწარია** „ბაწარი“. 2. ზან. (მეგრ.) **ამბოურ-ი**, **ამბეურ-ი** „თასმა, აბეური“. 3. ზან. (მეგრ.) **ბანტი-ი** „ბაფთი, ლენტე, ზონარი“. 4. ზან. (მეგრ.) **თოკ-ი** „ბაწარი“; ზან. (ლაზ.) **თოკ-ი** || **თოჯ-ი** || **მთუკ-ი** || **თუკ-ი** || **თოკა** „ბაწარი, თოკი“. 5. ზან. (მეგრ.) **ღვედი-ი** „სარტყელი, ქამარი, გარსაკრავი“ (ტყავის ვიწრო ზოლი). 6. ზან. (მეგრ.) **სადაფ-ი**, **ფულაქ-ი** || **ფა აქ-ი** „ღილი“; ზან. (ლაზ.) **სედეფი-ი** || **მფულ-ი** „ღილი“. 7. ზან. (მეგრ.) **ობ-**

ინალ-ი „საკინძე, საკინძი“. 8. ზან. (მეგრ.) **ლეკვერთხ-ი** „ლეკვერთხი, წვივსაკრავი“. 9. ზან. (მეგრ.) **კანჯო** „ქინძისთავი“. 10. ზან. (მეგრ.) **თასმა** „ღვედი“, „თასმა“. 11. ზან. (მეგრ.) **ზორტი-ი** „ზორტი, გრძელი შესაკრავი“. 12. ზან. (მეგრ.) **ზონარი-ი** „ზონარი“. 13. ზან. (მეგრ.) **ორტყაფუ** „სარტყელი“; ზან. (ლაზ.) **გოტყაფუ** || **გოტყაფე** || **ოტყაფუ** || **გოტყაფულე** || **მოტყაფუ** „სარტყელი“. 14. ზან. (მეგრ.) **კანცხუ** || **კაცხუ** „ქინძისთავი“. 15. ზან. (მეგრ.) **ქინისტე** „ქინძისთავი“. 16. ზან. (მეგრ.) **მექვრუა** „მოჭრა“ (შესაკრავისა). 17. ზან. (მეგრ.) **თოკუა** „გათოკვა“. 18. ზან. (მეგრ.) **გოსქანჩუა** „დაჭერა, მაგრად გაყინვა“ (შესაკრავისა მაგრად გაკვრის მნიშვნელობითაც გვხვდება). 19. ზან. (მეგრ.) **გოსქულა** || **გოსკულა** „შეკვრა, გასკვნა, გაკვანძვა“. 20. ზან. (მეგრ.) **აკოკირუა** „შეკვრა“, „გასკვნა“; ზან. (ლაზ.) **ოკიუ** || **ოკირუ** „შეკვრა“. 21. ზან. (მეგრ.) **გონწყვმა** „გახსნა, შეხსნა“; ზან. (ლაზ.) **ოწკიმუ** „გახსნა, შეხსნა“. 22. ზან. (მეგრ.) **აკოზგუმონჯუა** „შეერთება“, შერწყმა, მაგრად შეკვრა“. 23. ზან. (მეგრ.) **ქიტუა** „შეკვრა, შებოჭვა, გაბაწვრა“. 24. ზან. (მეგრ.) **შქვერთ-ი** „თასმა, შოლტი“. 25. ზან. (მეგრ.) **ხართა** „შემოსაკრავი, შემოსავლები“. 26. ზან. (მეგრ.) **ხართუა** „თოკებით რაიმეს შეკვრა“. 27. ზან. (მეგრ.) **მოშქუმალა** „მოშვება“ (შესაკრავისა). 28. ზან. (მეგრ.) **აკოჭოფუა** „შეკვება, ხუთვა“ (ნაჭრების შეჯგუფება), „თავის შეკვრა“ (სათავების თავმოყრა). 29. ზან. (მეგრ.) **კურთალარი-ი** „ხონჯარი“ (სარტყელში გასაყრელი). 30. ზან. (მეგრ.) **დუგმები-ი** „შესაკრავი“ (ჩოხის სახელოსი). 31. ზან. (მეგრ.) **ხვანჯარი-ი** „შესაკრავი“. 32. ზან. (მეგრ.) **კაკები-ი** „ღილები“ (ქალების პერანგის შესაკრავი). 33. ზან. (ლაზ.) **ტობჭა** „თოკის გასაყრელი (სალიღესავით) პიჯაკის ორივე მხარეს დამაგრებული“. 34. ზან. (ლაზ.) **შიბ-ი** „ზონარი“. 35. ზან. (მეგრ.) **აკაბინალ-ი** „შესაკრავი“; ზან. (ლაზ.) **ოკოკორონ-ი** „შესაკრავი“. 36. ზან. (ლაზ.) **თო** „ერთგვარი ქამარი“. 37. ზან. (ლაზ.) **კორთალად-ი** || **ლათინკა** || **კოლთულა** „მონადირის ქამარი“. 38. ზან. (მეგრ.) **გორტყაფა** „შემორტყმა სარტყლისა“. 39. ზან. (მეგრ.) **კვლარღვაფა** || **მიშარღვაფა** „გაყრა“ (სარტყლისა, თასმისა). 40. ზან. (მეგრ.) **გვთოდვალა** „წელზე სარტყლის შემოდება (შემორტყმა)“.

6. ჩაცმა-დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები

ამ სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია სამოსლის ჩაცმა, გახდა, როგორ სამოსელს იცვამს-ვიწროს, ზომაზე დიდს, რამდენად მოხდენილად იცვამს, თავზე წაკვრა, დახურვა, მოხსნა, მოხდა:

1. ზან. (მეგრ.) **მგკოყვაყვაფა** „ბეწვიანი, სქელი რამის ჩაცმა“, **მგკაყვაყუ** „ბეწვიანი, სქელი რამ აცვია“, **გიოყვაყუ** „ფაფუკი რამ ახურავს“, **მაყვაყუ** „თბილი რამ აცვია“ (ფეხზე). 2. ზან. (მეგრ.) **ბირძღაფი** „პოტინება, ბლაუჭი, ხელში აყვანა, ატაცება“, **ათაბირძღე** „ზომაზე პატარა სამოსელი ძლივს აცვია“. 3. ზან. (მეგრ.) **ბარღ-ღალ-ი** „უაზრო, უშინაარსო, დაუფიქრებელი ლაპარაკი“, **მგკო-ბარღღაფა** „უშნოდ ჩაცმა ტანსაცმლისა“, **გებარღღაფა** „უშნოდ დაფარება, დახურვა თავზე“, **მობარღღაფა** „უშნოდ ჩაცმა ფეხსაცმლისა ან ფეხსამოსისა“. 4. ზან. (მეგრ.) **გოკვანუა** „გაკვეთება, გაკვეთება“, **კუჩხიქე გაკვანგ** „ფეხი გაკვეთებული, გაკვეთებული აქვს“. 7. ზან. (მეგრ.) **კინოკართუა** || **ეკართუა** „გადაკეცვა“, წაკაპიწება“, „აკალთვა“, ზან. (ლაზ.) **ელანძიქუ** „აკეცვა“ (შარღლის ტოტისა, მკლავისა, კაბის კალთისა). 8. ზან. (მეგრ.) **ეკიჩუა** „აკეცვა“. 9. ზან. (მეგრ.) **გოკირუა** „გახვევა, შეკვრა“ (ბაწრით), თავზე წაკვრის მნიშვნელობითაც გამოიყენება“, ზან. (ლაზ.) **ოკოკიუ** „შეკოჭვა, შეკვრა“. 10. ზან. (მეგრ.) **მოლაფა** „გაძრომა (მოვარდნა) ფეხზე“, **მგკოლაფა** „გაძრომა (ტანზე), **ელაფა** „აძრომა“ (თავზე). 11. ზან. (მეგრ.) **მობიძგაფა** „ვიწრო ფეხსაცმლის, ან ფეხსამოსის ჩაცმა“, **მაბიძგე** „ვიწრო ფეხსაცმელი, ან ფეხსამოსი ძლივს აცვია ფეხზე“. 12. ზან. (მეგრ.) **მგკონძგი-ლუა** „ვიწრო ტანსაცმლის ჩაცმა“, **მონძგილუა** „ვიწრო ფეხსაცმლის, ფეხსამოსის ჩაცმა“, **გენძგილუა** „ვიწრო თავსაბურავის დაფარება, დახურვა“. 13. ზან. (მეგრ.) **მითორღვაფა** „გაყრა“ (მკლავისა). 14. ზან. (მეგრ.) **კილარღვაფა** „მკლავის გამოღება“. 15. ზან. (მეგრ.) **მორღვაფა** „გახდა“ (ფეხსაცმლისა) (დაყრის მნიშვნელობით); ზან. (ლაზ.) **მებღერი-ი** „ჩაყრილი“. 17. ზან. (მეგრ.) **ყგვართინ-ი** || **ყგვერთინ-ი** „ფართხალი, ყღვერთა“, **მგკოყგვართაფა** „სამოსლის უშნოდ (ფართხუნა რამის) ჩაცმა“. 18. ზან. (მეგრ.) **ღორჭიბუა** „გადატვირთვა, დაყურსვა“, **მგკორჭიბუა** „ვიწრო რამის ჩაცმა“, **მორჭი-ბუა** „ფეხზე ვიწრო რამის ჩაცმა“, **ათორჭიბუა** „ვიწრო რამის ამოც-მა“, **გერჭიბუა** „ვიწრო რამის ჩამოცმა თავზე“. 19. ზან. (მეგრ.) **სურღლუა** „შავით შემოსვა“, **სურღილ-ი** „შესუღრული, შავით შემო-სილი“. 20. ზან. (მეგრ.) **ტანქიქე** || **ტანქიქე** „ტანმჩატე“, **ქიქეოგ მგკაქუნსუ** „მჩატედ აცვია“. 21. ზან. (მეგრ.) **გეტატაფა** „მჩატე რა-მის დახურვა“, **ათოტატაფა** „თხელი რამის ამოცმა“, **მოტატაფა** „ფლოსტების, მსუბუქი რამის ჩაცმა ფეხზე“, **მგკოტატაფა** „თხელი რამის ჩაცმა“ (ტანზე). 22. **მონკალუა** „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა“.

23. ზან. (მეგრ.) **აწოფორაფა** „წინსაფრის გაკეთება“ (წაფარება). 24. ზან. (მეგრ.) **ნძგილაფი** „ციცქნა, ჩიჩქნა“, **მგკონძგილუა** „ვიწრო რა-მის ჩაცმა“ (ტანზე); **მონძგილუა** „ვიწრო რამის ჩაცმა ფეხზე“. 25. **მგკონწყემა** „გახდა“ (ტანზე); **მონწყემა** „გახდა“ (ფეხზე), **ენწყემა** „მო-ხსნა, მოხდა (თავსაბურავისა); ზან. (ლაზ.) **მოწყიმუ** „გახდა“. 26. ზან. (მეგრ.) **მგკოჭონჭუა** „ბევრი რამის ერთად ჩაცმა“, **მიკიჭონ-ჭანგე** „ბევრ რამეს ერთად იცვამს“. 27. ზან. (მეგრ.) **მოლაფა** „გა-ძრომა“, გამალგ „გაძვრა“ (ფეხზე), **გამკალგ** „გაძვრა“ (ტანზე); **ელა-ფა** „მოძრომა“, **გეიოლგ** „მოსძვრა“ (თავსაბურავი); ზან. (ლაზ.) **მო-სთვალუ** „გაძრომა“, 28. ზან. (მეგრ.) **ბურუა** „დაბურვა, დაფარება“. 29. ზან. (მეგრ.) **ქუნჩუა** „შეხვევა, შებურვა, ქუნჩით დათბუნება“. 30. ზან. (მეგრ.) **ქუნა, ქუნუა**, „დახურვა, ჩაცმა“, ზან. (ლაზ.) **დო-ლოქუნუ** „ჩაცმა“. 31. ზან. (მეგრ.) **მოსუა** || **მორსუა** „შემოსვა“, ზან. (ლაზ.) **ომოსუ** „შემოსვა“, 32. ზან. (მეგრ.) **კენოკირუა** „წა-კვრა“, ზან. (ლაზ.) **გოლაკიუ** || **გოლაკირუ** || **თის გოლაკიუ** || **თის გოლაკირუ** || **მეყაკიუ** || **მეყაკირუ** || **თი მეყაკიუ** || **თი მეყაკირუ** „წაკვრა“. 33. ზან. (მეგრ.) **კუჩხიშ-ი მიშაღალა** „ფეხის შეყოფა (ფეხსაცმლის ჩაცმის მნიშვნელობით); ზან. (ლაზ.) **მეშაღალუ** „შე-ყოფა“ (ფეხსაცმლის ჩაცმის მნიშვნელობით). 34. ზან. (მეგრ.) **გერ-თუშალა** „დაფარება, დახურვა“ (თავსაბურავისა); ზან. (ლაზ.) **მო-თვალუ** || **მითუშალე** || **(თიშ) მითუშალე** „დაფარება, დახურვა (თავსაბურავისა). 35. ზან. (მეგრ.) **გორტყაფა** „შემორტყმა, შემოცმა (მჭიდროდ); ზან. (ლაზ.) **მოტკიმუ** „შემორტყმა, შემოცმა (მჭიდ-როდ). 36. ზან. (მეგრ.) **მოთირა** || **მოთირუა** „გამოცვლა“, ზან. (ლაზ.) **მოქთიუ** || **მოქთირუ**. 37. ზან. (მეგრ.) **აკობინუა** „შეკვრა“, ზან. (ლაზ.) **ოკომბინუ** „შეკვრა“. 38. ზან. (მეგრ.) **აკოკირუა** „შე-კოჭვა, შეკვრა“, ზან. (ლაზ.) **ოკოკიუ** || **ოკოკირუ** „შეკვრა“. 39. ზან. (მეგრ.); **მობანგაფა** „დიდი ფეხსაცმლის ჩაცმა“ **მობანხუ** „დიდი ფეხ-საცმელი აცვია“. 40. ზან. (მეგრ.) **დონწერუა** „შესუღრვა“. 41. ზან. (მეგრ.) **გორჩულა** „გაძარცვა“, **გორჩვილიე** „გაძარცვულია“. 42. ზან. (მეგრ.) **გოტყაბარუა** „გატყავება“, „გაძარცვა“, **გოტყაბარელ-ი** „გატყავებული“ (არაფრის მქონე, გაძარცვული). 43. ზან. (მეგრ.) **წკიბუა** „კოხტად გამოწყობა“, „მორთვა“, **გიმწკიბილ-ი** „კოხტად გამოწყობილი, მორთული, გამოწყობილი“. 44. ზან. (მეგრ.) **გორჭი-ბუა** „გაჭიმვა“ (ხედმეტად). **მგკორჭიბუა** „ვიწრო რამის ჩაცმა ტან-ზე“, **გერჭიბუა** „ვიწრო რამის დახურვა“, **ათორჭიბუა** „ვიწრო რამის

ამოცმა“; **მორკიბუა** „ვიწრო რამის ჩაცმა“ (ფეხზე). 45. ზან. (მეგრ.) **ხელუა** „გაფცქვნა“; **გოხელერ-ი** „გაძარცული“ (არაფრის მქონე). 46. ზან. (მეგრ.) **შხვართუა** „ტანსაცმლის მოხდენილად (ლამაზად) ტარება“. 47. ზან. (მეგრ.) **ზიმაფა** „ზმანება“, **მგოზიმაფა** „ჩაზომება, ვასინჯვა“. 48. ზან. (მეგრ.) **დაცაფ-ი** „ლაწანი, თხლაშუნი, თხლემა“; **მიდაცანსე** „ფეხზე იცვამს“ (სწრაფად ან მდიდრულად); **მიკიდაცანსე** „ტანზე იცვამს (სწრაფად, მდიდრულად)“. 49. ზან. (მეგრ.) **მოლგება** „მოხდობა“, **მალე** „მოუხდება, კარგად ექნება (მისი ზომის)“. 50. ზან. (მეგრ.) **ლაფაჩა** „შილიფი“, **ლაფაჩათ მუკოქუნა** „შილიფად, მსუბუქად, ხალვათად ჩაცმა (უსარტყლოდ, უიარალოდ)“. 51. ზან. (მეგრ.) **დათხია, დათხიება** „დათხოვება“, „გაძარცვა (სამოსლის გახდის მნიშვნელობით)“; **დათხინაფილ-ი** „(სამოსელ) მოცილებული, გაძარცული“. 52. ზან. (მეგრ.) **გოჯვანჯუა** „შეფუთნა, გახვევა (უმნოდ), **გოჯვანჯვილ-ი** „შეფუთნული, გახვეული“. 53. ზან. (მეგრ.) **მოკვართხუა** „მოკაზმვა, მოკვალთვა“; **მოკვართხილ-ი** „მოკაზმული, მოკვალთული“. 54. ზან. (მეგრ.) **დოფინუა** „დაფენა“, **ინოფინუა** „გულმკერდში ან ფეხსაცმელში რამის ჩაფენა“. 55. ზან. (მეგრ.) **დოფორუა** „დაფარვა“; **დიფორგ** „შეიმოსა (თავიან, ფეხიანად)“. 56. ზან. (მეგრ.) **ბურუა** „დაბურვა, დაფარება“. **დოუბურუ** „დაუფარება“. 57. ზან. (მეგრ.) **ღაღვია** „მთელ ტანზე გრძელბუმბულიანი ქათამი“; **მგკაღვალუ** „გრძელი ღუნღულა ტანსაცმელი აცვია“ (ტანზე); **მადვალუ** „ღუნღულა რამე აცვია“ (ფეხზე). 58. ზან. (მეგრ.) **ფაყვინ-ი** || **ფაყვინ-ი** || **ფაყუა** „მჩატედ გდება, ჯდობა, ვარდნა“, **გიოფაყუ** || **გიოფაყუ** „მჩატედ ასურავს თავსაბურავი“; **გინაფაყუ** || **გინაფაყუ** „მჩატე რამ აქვს მოსხმული“. 59. ზან. (მეგრ.) **ნტირა** || **ტირა** „ჩატევა“, **მგკონტირა** „ჩატევა“ (ტანსაცმლის), **მონტირა** „ჩატევა“ (ფეხსაცმლის, ფეხსამოსის). 60. ზან. (მეგრ.) **ტაბაცუა** „გაპარსვა“, „გაპრიანება“, გადატ. „გაქურდვა“, „არაფრის არ დატოვება“; **ტაბაცელ-ი** „გაპარსული, მოტიტვლებული“ (გამოიყენება გაძარცულის მნიშვნელობითაც). 61. ზან. (მეგრ.) **დოყურსუა** „დაყურსვა“, **დოყურსილ-ი** „დაყურსული“ (ხილზე იტყვიან; გამოიყენება კარგად ჩაცმულის მნიშვნელობითაც). 62. ზან. (მეგრ.) **დოყვაცუა** „მდიდრული ტანსაცმლის ჩაცმა“. 63. ზან. (მეგრ.) **მგკოდაცაფა** „კარგად, მორგებულად ჩაცმა“ (ტანზე); **მოდაცაფა** „კარგად, მოხდენილად ჩაცმა“ (ფეხზე); **გედაცაფა** „კარგად, მოხდენილად დახურვა“ (თავზე). 64. ზან. (მეგრ.) **მინოფინუა** „გადაფენა“; ზან. (ლაზ.) **მოჟანფინუ** „გადა-

ფენა“. 65. ზან. (მეგრ.) **მგკოძვაცაფა** „ზომაზე დიდი სამოსლის უმნოდ ჩაცმა“, **მგკაძვაცუ** „ზომაზე დიდი სამოსი უმნოდ აცვია“. 66. ზან. (მეგრ.) **მოღვალა** „ჩაცმა“ (ფეხზე), **მოძინ** „აცვია“. 67. ზან. (მეგრ.) **მოძიკუა** „ვიწრო, მოკლე რამის ჩაცმა“, **მაძიკე** „ვიწრო, მოკლე რამ აცვია“. 68. ზან. (მეგრ.) **გვთოდვალა** „ყელზე რამის შემოვლება (შემოდება)“, **გვთოდე** || **გვთაძე** „ყელზე რალაც აქვს შემოვლებული“ (შემოდებული). 69. ზან. (მეგრ.) **შირუა** „ცვეთა“, **შირგნსე** „ცვეთს“. 70. ზან. (მეგრ.) **მგკაჯვარზე** „სქელი რამ აცვია უმნოდ“ (ტანზე); **მაჯვარზე** „სქელი რამ აცვია უმნოდ“ (ფეხზე). 71. **მგკოკვაცაფა** „კოხტად (მოხდენილად) ჩაცმა“ (ტანზე), **მოკვაცაფა** „კოხტად (მოხდენილად) ჩაცმა“ (ფეხზე); **გეკვაცაფა** „კოხტად (მოხდენილად) დახურვა (თავსაბურავისა)“. 72. ზან. (მეგრ.) **კუჩხიშ-ი ინოდგმა** || **დინოდგმა** „ფეხსაცმელში ფეხის ჩადგმა“. 73. ზან. (მეგრ.) **(დუდიშ-ი) ინოჩანაფა** „თავის ჩაყოფა“ (ჩაცმის მნიშვნელობით); **(კუჩხიშ-ი) ინოჩანაფა** „ფეხის ჩაყოფა“ (ჩაცმის მნიშვნელობით). 74. ზან. (მეგრ.) **ფიორ-ი** „ფრიალი“; **მიკიფიორუანსე** „ფრიალა რამეს ჩაიცვამს“ (ტანზე). 75. ზან. (მეგრ.) **ოსარეფალო** „პერანგის ამარა“; **ფალო** „მარტო, ამარა“. 76. ზან. (მეგრ.) **დინოყუნაფა** „ჩატანება“, **ქინიყუნუ** „ჩაიტანია“.

7. სამოსლის დაწყობა-დალაგება

ამ სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია, თუ რა სახელები გამოიყენება სამოსლის დაწყობა-დალაგების აღმნიშვნელად, კერძოდ, თაროზე ჩამოდება, ყუთში, უჯრამში ჩადება, ჩამოკიდება, ჩამოხსნა, დაკეცვა, შენახვა, ამოლაგება:

1. ზან. (მეგრ.) **დონწყულა** „დაწყობა, დალაგება“, **ინონწყულა** „ჩალაგება“; ზან. (ლაზ.) **დოლონსვაუ** „დაწყობა“. 2. ზან. (მეგრ.) **მიკობუნაფა** „ჩამოკიდება“; ზან. (ლაზ.) **გელაკიდუ** „ჩამოკიდება“. 3. ზან. (მეგრ.) **დოკიჩუა** „დაკეცვა, დალაგება“. 4. ზან. (მეგრ.) **დოტკვანჩუა** „კოხტად ერთმანეთზე დაწყობა“. 5. ზან. (მეგრ.) **დოწყანტუა** „კოხტად დაწყობა“. 6. ზან. (მეგრ.) **ინოდვალა** „ჩადება“; **გილაღვალა** „ჩამოდება“; **გედვალა** „დადება“. 7. ზან. (მეგრ.) **დოწოდუა** „ლამაზად მიჯრით დაწყობა-დალაგება“; ზან. (ლაზ.) **ოწოდუ** „ფენა-ფენად დაწყობა, დალაგება“. 8. ზან. (მეგრ.) **ელანწყულა, ეშანწყულა** „ამოლაგება“; ზან. (ლაზ.) **ეშანსვაუ** „ამოლაგება“. 9. ზან. (მეგრ.) **გეფინუა** „დაფენა“. 10. ზან. (მეგრ.)

გებარდლაფა „უწნოდ დადება“. 11. ზან. (მეგრ.) გოცოთამა „დაგდება“. 12. ზან. (მეგრ.) ეკიჩუა „დაკეცილის ალაგება“. 13. ზან. (ლაზ.) ნობარგ-ი „დალაგება“. 14. ზან. (მეგრ.) ინორღვაფა „ჩაყრა“; ზან. (ლაზ.) მებღერ-ი „ჩაყრილი“. 15. ზან. (მეგრ.) ერღვაფა „დაკეცილის აყრა, აშლა“, ეშარღვაფა „ამოყრა“, მეკორღვაფა „ჩამოხსნა, ჩამოყრა“ 16. ზან. (ლაზ.) ლაგ-, ლაქ-, ლაგუ „დაალაგა, მოაწესრიგა“. 17. ზან. (მეგრ.) დოწკიწუა „კოხტად, ლამაზად დაწყობა, დალაგება“. 18. ზან. (მეგრ.) ჩუალა „შენახვა“.

8. მასალა (სამოსლისთვის გამოყენებული)

ამ ჯგუფში მოცემულია მასალა, რომელიც გამოყენება სამოსლისათვის, კერძოდ, ქსოვილი, ქსოვილის სახეები, ძაფი, ტყავი, ტყავის სახეები, მატყლი, ხე:

1. ზან. (მეგრ.) ბუთა (ნაბუთუ მონტყორ-ი) „გაზაფხულზე გაკრეჭილი მატყლი“. 2. ზან. (მეგრ.) პინტი-ი „ბინტი, ჩვარი, ჭინჭი“. 3. ზან. (მეგრ.) კორხ-ი „დიბა“, „ფარჩა“. 5. ზან. (მეგრ.) ომოშირ-ი „საქსოვი ძაფი“. 6. ზან. (მეგრ.) ორშუალ-ი „საქსელო ძაფი“. 7. ზან. (მეგრ.) კუმონილ-ი „მაგრად დართული ძაფი“. 8. ზან. (მეგრ.) ძაფ-ი „ძაფი“, ძაფუა „ძაფივით გაჭიმვა“; ზან. (ლაზ.) ნოკეფ-ე „ძაფი“. 9. ზან. (მეგრ.) არეშუმი-ი „აბრეშუმი“; ზან. (მეგრ.) საზ-ი „აბრეშუმი“, ომბრიშუმიში-ი „აბრეშუმის“. 10. ზან. (მეგრ.) ატლან-ი „ატლასი“; ზან. (ლაზ.) ანტლას-ი „ატლასი“. 11. ზან. (მეგრ.) ბამბე „ბამბა“; ზან. (ლაზ.) ბამბუ „ბამბა“. 12. ზან. (მეგრ.) ჩინთ-ი „ჩითი“. 13. ზან. (მეგრ.) ლანდ-ი „ერთი ამოღება აბრეშუმის ძაფი“. 14. ზან. (მეგრ.) ყანაოზ-ი „აბრეშუმის ქსოვილი“. 15. ზან. (მეგრ.) ჯილო, ნჯილო „უხეში, თხის ბეწვნარევი ქსოვილი“. 16. ზან. (მეგრ.) საოსარო „საპერანგე“. 17. ზან. (მეგრ.) ნოჭკერ-ი „ნაჭერი“ (ქსოვილი); ზან. (ლაზ.) მ-ბელა „ნაჭერი“; „ჩვილის საფენი აკვანში“. 18. ზან. (მეგრ.) კონჭ-ი „კოჭი“; ზან. (ლაზ.) მაკა ა მაკა ა „კოჭის ძაფი“. 19. ზან. (მეგრ.) ბანდურ-ი „კოჭი“. 20. ზან. (მეგრ.) კორჩა „ქსოვილის სახეობა ერთგვარი“. 21. ზან. (მეგრ.) ბამბაზია „ბამბის თბილი ქსოვილი“; ზან. (ლაზ.) ფამბულ-ი „ჩასაცმლის სახე“. 22. ზან. (მეგრ.) დაწაწა „მეტად ნაზი მატყლი“. 23. ზან. (მეგრ.) ფშალ-ი || შალ-ი „შალი“; ზან. (ლაზ.) შალ-ი. 24. ზან. (მეგრ.) ფორჩა || ფარჩა „ფარჩა“. 25. ზან. (მეგრ.) დარაია „აბრეშუმის ქსოვილი. 26. ზან. (მეგრ.) ლენ-ი „ლაინი“. 27. ზან. (მეგრ.) ჩაჩაბ-ი, ჭოლ-ი, ჭილოფ-ი

„ჭილობი“. 28. ზან. (მეგრ.) ხამინ-ი „ხამი“; ზან. (ლაზ.) ასტარ-ი „უხეში ტილო, ხამი“. 29. ზან. (მეგრ.) კვირკვი-ი „ძაფის კოჭი“. 30. ზან. (ლაზ.) ბეზ-ი „ტილო“, „პარუსინა“, „ნარმა“, „ქსოვილი“. 31. ზან. (ლაზ.) ბატან ე „ქსოვილი ერთგვარი“. 32. ზან. (მეგრ.) ტყებ-ი „ტყავი“; ზან. (ლაზ.) ტყებ-ი || ტებ-ი. 33. ზან. (მეგრ.) კან-ი „ტყავი“, „კანი“. 34. ზან. (ლაზ.) მანდაბოლ-ი „მიტკალი“. 35. ზან. (მეგრ.) ტილო „ტილო“; ზან. (ლაზ.) ტილო || ვილარ-ი. 36. ზან. (ლაზ.) ჩადირ-ი „ნარმა“.

9. რეწვა

ამ ჯგუფში წარმოდგენილია რეწვის აღმნიშვნელი სახელები: ჭრა, კერვა, ქსოვა, დართვა, ქარგვა, ძახვა, დახვევა:

1. ზან. (მეგრ.) ბამბუა „დაბამბვა“. 2. ზან. (მეგრ.) გურიშთ-ი „გვირისტი“; „ცუდად კერვა“. 3. ზან. (მეგრ.) ჭალა „კერვა“; ზან. (ლაზ.) ოჭუ. 4. ზან. (მეგრ.) გერთაფა „დახვევა“. 7. ზან. (მეგრ.) ჭკირუა || ჭკერუა „ჭრა“; ზან. (ლაზ.) ოჭკირუ „ჭრა“. ზან. (მეგრ.) კვათუა „ჭრა“. 9. ზან. (მეგრ.) რშუალა || შუალა „ქსოვა“; ზან. (ლაზ.) ოშუ. 10. ზან. (მეგრ.) ხეშუა „დაკეცვა, დახვევა“. 11. ზან. (მეგრ.) აკოშქვაფა || აკოშქუმალა „ძახვა ძაფისა“, „შეკავშირება“. 12. ზან. (მეგრ.) გედგმა „დადგმა (დაკერება) ლილისა“; ზან. (ლაზ.) გერანუ „დადგმა, დაკერება ლილისა“; 13. ზან. (მეგრ.) შველია თუნილ-ი „ფომფლედ დართული“. 14. ზან. (მეგრ.) ელაბურუა „ამობლანდვა“. 15. ზან. (მეგრ.) ლამბუა „ლამბვა“. 16. ზან. (მეგრ.) დაჭუა „გაკრეჭა“; ზან. (ლაზ.) ოღვანჭუ „ჭრა“. 17. ზან. (მეგრ.) ქარგუა „ქარგვა“; ზან. (ლაზ.) მოწიფხუ „ქარგვა“. 18. ზან. (მეგრ.) წკუმონტუა „დაგრეხა“. 19. ზან. (მეგრ.) გგოტანუა „ამოკეცვა“. 20. ზან. (მეგრ.) გოხუალა „გარღვევა“. 21. სარჩულიში-ი დოდვალა, გედვალა, გეჭალა „სარჩულის დაღება, დაკერება“. 22. ზან. (მეგრ.) ჯგვიშუა „ცუდად კერვა“. 23. ზან. (მეგრ.) თინგუა „ერთი დარტყმით ჩამოჭრა“. 24. ზან. (მეგრ.) დოფიცოლუა „წვრილად დაჭრა“. 25. ზან. (მეგრ.) დამანგება „დაპირდაპირება“. 26. ზან. (მეგრ.) დამარგება „დამარგება, რამეზე მიმაგრება, გაჩერება“. 27. ზან. (მეგრ.) ეკვათუა „აჭრა“. ზან. (ლაზ.) ოჭკირუ „დაჭრა“. 28. ზან. (მეგრ.) ეშატანუა „ამოტეხვა“ (ამოკერვის მნიშვნელობით). 29. ზან. (მეგრ.) გორშუალა „შემოქსოვა“ (ირგვლივ). 31. ზან. (მეგრ.) გოღირიწუა „გახვევა, გაგლეჯა“ (გვხვდება სწრაფი კერვის მნიშვნელობით).

თაც). 31. ზან. (მეგრ.) **კვლარხუალა** „გახვრეტა“. 32. ზან. (მეგრ.) **დოლინუა** „შემოტარება“ (ნაკერის). 33. ზან. (მეგრ.) **ნიორუა** „განიავება“ (გვხვდება სწრაფად კერვის მნიშვნელობითაც). 34. ზან. (მეგრ.) **ემათანჯუა** || **ემათარჯუა** „თარჯის დადება“, შდრ. თარგი. 35. ზან. (მეგრ.) **ზიმუა** „ზომვა“. 35. ზან. (მეგრ.) **ქერქუა** „ფლეთა, ქერქის გაცლა“, „წვრილად, ნაფლეთ-ნაფლეთ დაჭრა“, „გაცვეთა“. 37. ზან. (მეგრ.) **ფია-ფიათ ჭკირუა** „ნაჭერ-ნაჭერ დაჭრა“. 38. ზან. (მეგრ.) **ფუტოლ-ი** || **ფუტოლუა** „რთვა“, **ნაფუტოლა** „ნართი“, **ფუტოლირ-ი** „დართული“. 39. ზან. (მეგრ.) **ფიცოლუა** „წვრილად დაჭრა“. 40. ზან. (მეგრ.) **ფეთუა** „ჩეჩვა“. 41. ზან. (მეგრ.) **აკოდვინა** „შეგვუფება“ (კერვის მნიშვნელობით). 42. ზან. (მეგრ.) **დაგირძალე-ბა** „დაგრძელება“. 43. ზან. (მეგრ.) **მოძინა** „მომატება“. 44. ზან. (მეგრ.) **დაკუნტარება** || **დაკუნტორება** „დამოკლება“ (კერვის მნიშვნელობით) 45. ზან. (მეგრ.) **ათოტყურაფა** „კერვისას, ჭრისას მოპარვა“. 46. ზან. (მეგრ.) **გოხუალა** „გარღვევა“, **გინოხუალა** „ერთმანეთზე გადაკერებულის მორღვევა“, **გვთოხუალა** „ამოკეცილის გა-მორღვევა“. 47. ზან. (მეგრ.) **ელაჭალა** „გაკერვა“. 48. ზან. (მეგრ.) **ენწყმა** „მოხსნა“ (ლილის, სარჩულის). 49. ზან. (მეგრ.) **ესუალა** „არღვევა“. 50. ზან. (მეგრ.) **ჯიჯიხუა** „დაკორძება, დამსხვილება“. 51. ზან. (მეგრ.) **ჯგვიშუა** „ცუდად კერვა“. 52. ზან. (მეგრ.) **ხაბარკუა** „გაწიპარტება, ნედლი ტყავის გაჭიმვა ჯოხებზე გასახმობად“. 53. ზან. (მეგრ.) **ცამულუა** „გაკემსვა“, „წვრილ-წვრილად დაჭრა“. 54. ზან. (მეგრ.) **ოჭალ-ი** „შესაკერი“, ზან. (ლაზ.) **ოჭუშ-ი** „შესაკერი“. 55. ზან. (მეგრ.) **რაცუა** „ბამბის პენტვა“.

10. თავსაბურავი

ამ ჯგუფში მოცემულია თავსაბურავის სახეები: თავსაფარი, მისი სახეები და ნაწილები; ქუდი, მისი სახეები და ნაწილები:

1. ზან. (მეგრ.) **გაგურჯელა** || **გაგურჯგლა** || **გარგუჯელა** „გვირგვინი“, „ჩიხტიკობი“, „ქალების თავსაბურავი“. 2. ზან. (მეგრ.) **ლეჩეჟი** „ლეჩაჟი“, ზან. (ლაზ.) **ლაჩაჟი-ი** „ლეჩაჟი“. 3. ზან. (მეგრ.) **მადილოსანი-ი** || **მადგლოსანი-ი** „მანდილოსანი“, ზან. (ლაზ.) **მენდილი-ი**, **თი-მენდილონი-ი** „მანდილი“. 4. ზან. (მეგრ.) **ქიცა** „თავსაფარი“, „ლეჩაჟი“. 5. ზან. (მეგრ.) **ღაზ-ი** „შალის მსხვილი ძაფით მოქსოვილი ქალის თავსაბურავი“, „ღაზლი“. 6. ზან. (ლაზ.) **კავუნ-ი**, **კაუნა** „ძველებური თავსაბურავი, „გარსი“. 7. ზან. (ლაზ.) **კაზ-ი** „თავსაფარი“

(პირბადესავით). ზან. (ლაზ.) **ჩადრ-ი** „ჩადრი“. 9. ზან. (ლაზ.) **დუად-ი** „პატარძლის თავსაბურავი“. 10. ზან. **ქუდი-ი** „ქუდი“. 11. ზან. (მეგრ.) **ტატუცი-ი** „ფაფანაკი“. 12. ზან. (მეგრ.) **ფაყუ** „ქუდი, თავსაბურავი“. 13. ზან. (მეგრ.) **ბაშალაყუ** || **ბაშალაყვი-ი** || **ბაშალაყვ** || **ბაშ აცუ** „ყაბალახი“, ზან. (ლაზ.) **ბაშლუ** || **ბაშლუდი-ი**. 14. ზან. (ლაზ.) **პაპან-ი** „ფაფახი“. 15. ზან. (ლაზ.) **ქერულა** „ქუდი“ (ერთგვარი). 16. ზან. (ლაზ.) **ქეს-ი** „ქუდი“.

11. ფეხსაცმელი, ფეხსამოსი

ამ სემანტიკურ ჯგუფში მოცემულია ფეხსაცმელი ზოგადად, ჩუსტები, ჩექმა, ბანდული, ფეხსაცმლის ნაწილები, ფეხსამოსი — წინდები, ფეხზე შემოსახვევი:

1. ზან. (მეგრ.) **პაჭანაკ-ი** „პაჭანაკი“, „საკოჭური პაჭისა“. 2. ზან. (მეგრ.) **პაჭიჭი-ი** „პაჭი“ (ბავშვის ფეხსაცმელი). 3. ზან. (მეგრ.) **მადვალარ-ი** || **კუჩხგოდვალ-ი** || **კუჩხიშიმადვალარ-ი** „ფეხსაცმელი“, ზან. (ლაზ.) **მოდვალუ** || **მოდვალუშ-ი** || **კუჩხეშ-მოდვალუ** „ფეხსაცმელი“. 4. ზან. (მეგრ.) **კანიშ ჩაფალა**, **კანჩაფლა**, **კანჩაფია**, **ჩაფლა**, **ჩაფ ა** „ტყავის ფეხსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, ზან. (ლაზ.) **ჩაფულა**, **ჩაბლა** „ფეხსაცმელი“, 5. ზან. **მესთ-ი** || **მესტი-ი** „ყელიანი ფეხსაცმელი წულის ქვეშ ჩასაცმელი“. 6. ზან. (მეგრ.) **ბიწყანტია** „წილასთან ჩასაცმელი“. 7. ზან. **აზიასკ-ი** || **აზ ატსკ-ი** „აზიური ჩექმა“. 8. ზან. (მეგრ.) **ყაყაბ-ი** „ტყავის ცხვირიანი ფეხსაცმელი მაღალქუსლიან ხის ძირზე“. 9. ზან. (მეგრ.) **ბუგ-ი** „მატყლის თბილი ფეხსაცმელი“. 10. ზან. (მეგრ.) **ჯორაბ-ი** „ერთგვარი ფეხსაცმელი“. 11. ზან. (მეგრ.) **ქურ-ი** || **ქურს-ი** || **ქურცი-ი** „ქუსლი, ძირი“ (ფეხსაცმლისა); ზან. (ლაზ.) **ქუ** „ქუსლი, ძირი“ (ფეხსაცმლისა). 12. ზან. (მეგრ.) **მაშია** „ფეხსაცმელი“ (ქალისა, ქოშივით). 13. ზან. (მეგრ.) **სანდალ-ი** „ფეხსაცმელი“. 14. ზან. (მეგრ.) **ჩუსტი-ი** „კალოშისნაირად ამოღებული ფეხსაცმელი“ (ქალისა), „ჩუსტი“. 15. ზან. (მეგრ.) **საცვეთ-ი** „წულის შიგნით ჩასაცმელი“. 16. ზან. (მეგრ.) **მაგუია** „რეზინისნაირი უხეში ფეხსაცმელი“. 17. ზან. (მეგრ.) **წიბარ-ი** „წერიფი“ (მთაში სასიარულო). 18. ზან. (მეგრ.) **თხილამურ-ი** || **თხიამ-ი** „თხილამური“, ზან. (ლაზ.) **ხედეკ-ი** „თხილამური“. 19. ზან. (მეგრ.) **ოზოხუა** „ოჩოფეხი“. 20. ზან. (მეგრ.) **ლეკვერთთხებ-ი** || **ლეკვერთხ-ი** „ლაკვერთხები“, „წვივისაკრავი“. 21. ზან. (მეგრ.) **სამგე** „ფეხსაცმელი“ (ერთგვარი). 22. ზან. (მეგრ.) **ფოსტალი-ი** „ფლოსტი“.

23. ზან. (მეგრ.) **წალა** „უძირო ჩასაცმელი“; ზან. (ლაზ.) **წულა**. 24. ზან. (მეგრ.) **ქოსალა** „ფეხსაცმელი“ (ერთგვარი). 25. ზან. (მეგრ.) **ბადღ-ი** „ფეხსაცმელი“ (ერთგვარი). 26. ზან. (მეგრ.) **მატატია** „ჩუსტები“. 27. ზან. (მეგრ.) **ლაშია** „ცუდი ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელი“, „საერთოდ ძველი, უვარგისი ფეხსაცმელი“. 28. ზან. (მეგრ.) **ნარჩა, ნაჩა** „ლანჩა, ძირი ფეხსაცმლისა“. 29. ზან. (მეგრ.) **თათმან-ი** || **თათგმან-ი** „თათმანი“, „წინდა“. 30. ზან. (მეგრ.) **გეჭტალ-ი** „ფეხზე შემოსახვევი ნაჭერი“. ზან. (მეგრ.) **შემუხ-ი** „პაიჭის გარეთ მუხლზე დასადები“. 31. ზან. (ლაზ.) **ბაწუწ-ი** „ჩუსტი“, „წანგი“. 32. ზან. (ლაზ.) **ემენ-ი** „ფეხსაცმელი“ (ჩუსტივით). 33. ზან. (ლაზ.) **ნალინ-ი** „ხის ქოშები“. 34. ზან. (მეგრ.) **ინარჩაფალ-ი** „ჩასაფენი“; ზან. (ლაზ.) **დორჩუშ-ი** || **მოდვალუშ-ი** **დორჩუშ-ი** || **მოდვალუშ-ი** **დოლორჩუშ-ი** „ჩასაფენი“ (ფეხსაცმელში). 35. ზან. (მეგრ.) **ჩაფლაშ-ი** **ნინა** „ფეხსაცმლის ენა“; ზან. (ლაზ.) **მოდვალუშ-ი** **ნენა** „ფეხსაცმელი ენა“. 36. ზან. (მეგრ.) **ქურამ-ი** **მადვალარ-ი** „ქუსლიანი ფეხსაცმელი“; ზან. (ლაზ.) **ქუოლონ-ი** **მოდვალუ, ქურონ-ი** „ქუსლიანი ფეხსაცმელი“. 37. ზან. **ღვედ-ი** „ზონარი“. 38. ზან. (ლაზ.) **ბორჩხალ-ი** „ერთგვარი ფეხსაცმელი“. 39. ზან. **ჩექმა** „ჩექმა“.

12. საკიდი, სათავსოები

ამ სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებულია სამოსლის საკიდის, სათავსოების აღმნიშვნელი სახელები:

1. ზან. (მეგრ.) **კაცხუ** „ღუმე, ღოგმა“. 2. ზან. (მეგრ.) **კვაკვ-ი, კანკვ-ი** „კაკვი“. 3. ზან. (მეგრ.) **კაღუ, კაღუცა** || **კაღუცია** „კაუჭი“, „ხის კავი“. 4. ზან. (მეგრ.) **კიდობან-ი** || **კიდგბან-ი** „კიდობანი“. 5. ზან. **თარო** „თარო“. 6. ზან. (ლაზ.) **ოწოდუ** || **ოწოდე** „თარო“. 7. ზან. (მეგრ.) **საფეთიშ-ი** **კიდობან-ი** „დიდი სკივრი“. 8. ზან. (მეგრ.) **გარაბად-ი** „კარადა“; ზან. (ლაზ.) **დულაბ-ი** || **დოლაბ-ი** || **გარდოლაბ-ი** „კარადა“. 9. ზან. (მეგრ.) **მუკაბუნაფალ-ი** || **მგკაბუნაფალ-ი** „ჩამოსაკიდი“; ზან. (ლაზ.) **გელაკიდუშ-ი** „ჩამოსაკიდი“ (კაუჭივით). 10. ზან. (მეგრ.) **ჩამადან-ი**; ზან. (ლაზ.) **ჯამუდან-ი** || **ჯამადან-ი** „ჩემოდანი“. 11. ზან. (მეგრ.) **ზანდუკ-ი** „ზანდუკი“, „სკივრი“; ზან. (ლაზ.) **სანდულ-ი** „ზანდუკი“, „სკივრი“. 12. ზან. (ლაზ.) **ობარგალე** „სათავსო, საბარგული“, „საკუჭნაო“. 13. ზან. (ლაზ.) **კამოთ-ი** || **კა-**

მოდ-ი „კომოდი“. 14. ზან. (ლაზ.) **ხვან-ი** „ტანსაცმლის დასაკიდი ბაწარი“.

13. დასაგები

ამ ჯგუფში მოცემულია იმ საგანთა სახელები, რომლებიც დასაგებად გამოიყენება — ტახტის გადასაფარებელი, საბან-საგებელი, ფარდაები, დაგება-დაფარების აღმნიშვნელი სიტყვები:

1. ზან. (მეგრ.) **ორჩაფალ-ი** „საგები, საგებელი“; **ნორჩალ-ი** „საბანი“; **ნორჩალ-გეჭუნალ-ი** „საბან-საგებელი“; ზან. (ლაზ.) **დორჩალე** „დასაგები“; **ნერჩალე** „დასაფენი“; **მერჩუშ-ი** „დასაგები“. 2. ზან. (მეგრ.) **დაფინალ-ი** „დასაფენი“; ზან. (ლაზ.) **დომფინონ-ი** „დასაფენი“. 3. ზან. (მეგრ.) **დორჩაფა** „დაგება“; ზან. (ლაზ.) **ნორჩე, ორჩუ** „დაგება“. 4. ზან. (მეგრ.) **ღებ-ი** „ლეიბი“; ზან. (ლაზ.) **ონჯერი** „ლეიბი“. 5. ზან. (მეგრ.) **ამაზონკა** „ქალის უნაგირის ნაწილი, ცხენ-ზემჯდარი ქალის მუხლისთავებზე საფენი“. 6. ზან. (მეგრ.) **ჩაჩაბ-ი** ბალახებით გატენილი ქვეშაგები ბავშვებისათვის. 7. ზან. (მეგრ.) **ორახუ, ორხოვა, ორხოა, ორხუა** „ფარდაგი, ნოხი“. 8. ზან. (მეგრ.) **გვან-ი, გუბან-ი** „აკენის ლეიბი“. 9. ზან. (მეგრ.) **ზენწარი** || **ზენწარე** || **ძენწარე** || **ძინწარი** „ზეწარი“. 10. ზან. (მეგრ.) **ფარჩა** „ფარჩა“. 11. ზან. (მეგრ.) **ფარდაგ-ი** „ფარდაგი. 12. ზან. (მეგრ.) **ქეჩა** „ქეჩა“; ზან. (ლაზ.) **ქეჩე** „ქეჩა“. 13. ზან. (მეგრ.) **შა თა** || **შალთა** „შალითა“, ზან. (ლაზ.) **ჩარშაფ-ი** || **ჩარშავ-ი** „შალითა, ზეწარი, გადასაფარებელი“. 14. ზან. (ლაზ.) **ხასი** „დასაგები“ (ხელით ნაქსოვი). 15. ზან. (ლაზ.) **ქილიმ-ი** „ოთახში დასაგები“. 16. ზან. (მეგრ.) **ნოხ-ი** „ხალიჩა“.

14. ხელსაწყობები

მოცემულ სემანტიკურ ჯგუფში წარმოდგენილია იმ ხელსაწყობთა სახელწოდებები, რომლებიც სამოსლის რეწვისთვის გამოიყენებოდა — საქსოვი დაზგა და მისი მოწყობილობა, ნემსები, საქსოვი ჩხირები, ხისა თუ რკინის იარაღები, ხელსაწყობთა ნაწილები:

1. ზან. (მეგრ.) **აბნა** || **აფხა** || **აფხვა** „საქსოვი მოწყობილობის ნაწილი, სავარცხელი“; ზან. (ლაზ.) **აფხა** „საქსოვი დაზგის ნაწილი“. 2. ზან. (მეგრ.) **ბზინგ-ი** „დგიმი, საქსოვი დაზგის ნაწილი“. 3. ზან. (მეგრ.) **დაძგა** „დაზგა“; ზან. (ლაზ.) **ანამილ** „დაზგა“. 4. ზან. (მეგრ.) **ლიშ-ი** || **ლეშ-ი** || **ლეფშ-ი** || **ეშ-ი** „ლემსი“; ზან. (ლაზ.) **ლეშ-ი** „ნემსი“. 5. ზან. (მეგრ.) **მარგატელ-ი** „მაკრატელი“; ზან.

(ლაზ.) **მაკას-ი**, **ოდვანჭუ** „მაკრატელი“. 6. ზან. (მეგრ.) **მახათ-ი** „მახათი“; ზან. (ლაზ.) **დიდ-ი ლემშ-ი** || **ბიზი**. 7. ზან. (მეგრ.) **ოდ-გიშ-ი** „სადგისი“; ზან. (ლაზ.) **იბეტ-ი** „სადგისი“. 8. ზან. (მეგრ.) **ორშვალ-ი** „ქსელი, საქურალი, საგურავი“. 9. ზან. (მეგრ.) **ოფეთაშე** „საჩეჩელი“. 10. ზან. (მეგრ.) **საჩაფეთ-ი** „ხელსაწყო“. 11. ზან. (მეგრ.) **ოჭალ-ი მაშენა** „საკერავი მანქანა“, **ხეშ-ი მაშენა** „ხელის მანქანა“, **კუჩხიშ-ი მაშენა** „ფეხის მანქანა“; ზან. (ლაზ.) **ოჭუშ-ი მაქენა** „საკერავი მანქანა“, **ხეშ-ი მაქენა** || **მაქენა** „ხელის მანქანა“, **კუჩხეშ-ი მაქენა** „ფეხის მანქანა“. 12. ზან. **სათით-ი** „სათითე“. 13. ზან. (მეგრ.) **ფარფალია** „საქსოვი დაზვის ნაწილი, იგივეა, რაც **სარ-სოლ-ი** „მასრაზე ძაფის დასახვევი“. 14. ზან. (მეგრ.) **ფათხ-ი** „ფათხა“, „ბადის საქსოვი ჩხირი“. 15. ზან. (მეგრ.) **მარქვა** „მაქო“. 16. ზან. (მეგრ.) **ოლარა** „სანტიმეტრი“, „საზომი“. 17. ზან. (მეგრ.) **ჭუ-ბურსან-ი** „ოსტატის, ხუროს იარაღი“. 18. ზან. (მეგრ.) **ჩერია** „თითისტარი, ჩერია“. 19. ზან. (მეგრ.) **ყაზნახ-ი** „ყასნაკი, საქსოვი ჩხირი“. 20. ზან. (მეგრ.) **ჩხირ-ი** „ჩხირი“ (საქსოვი), ზან. (ლაზ.) **მჩხილი-ი** „ჩხირი“ (საქსოვი). 21. ზან. (მეგრ.) **ლიშიშ-ი ყუნწ-ი** „ნემსის ყური“ (ძაფის გასაყრელი); ზან. (ლაზ.) **ლემშიშ-ი ცუჯ-ი**. 22. ზან. (ლაზ.) **ალამიდ-ი, ანამიდ-ი** „საქსოვი დაზვის ცილინდრული ნაწილი“; ზან. (მეგრ.) **თანგ-ი** „თარგი“. 23. ზან. (მეგრ.) **სარჩაბედ-ი** „ტყავის გადასაბრუნებელი ხელსაწყო“. 24. ზან. (მეგრ.) **სეჩელ-ი** „საჩეჩელი“; ზან. (ლაზ.) **ტალ-ი** || **ტარალ-ი** „საჩეჩელი“. 25. ზან. (მეგრ.) **ჩაჩაბ-ი** „ჭილოფი, რომელზედაც ითელებოდა მატყლი“. 26. ზან. (მეგრ.) **ოკუჩხე** „ნიჩბის მსგავსი იარაღი, რომლითაც სცემდნენ მოქსოვილ ფორჩას გარეცხვის შემდეგ“. 27. ზან. (მეგრ.) **მარსა** „მასრა“; ზან. (ლაზ.) **მასლა** „მასრა“. 28. ზან. (ლაზ.) **მცხაჯ-ი** „საქსოვი დაზვის ნაწილი“. 29. ზან. (მეგრ.) **რულე** „საქსოვი დაზვის ნაწილი“. 30. ზან. (მეგრ.) **თერეზ-ი** „თარაზო“.

სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკა, როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო ზანურში. როგორც მეგრულში, ისე ლაზურში საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი საერთო ქართული ყოფა და ამ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი ნაწილი: 1) სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები; 2) სამოსლის სახეობები; 3) სამოსლის ნაწილები; 4) სამოსლის მოსართავები და მორთვა; 5) სამოსლის შესაკრავები, სარტყლები; 6) ჩაცმა-დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები; 7) სამოსლის დაწყობა-და-

ლაგება; 8) მასალა (სამოსლისთვის გამოყენებული); 9) რეწვა; 10) თავსაბურავი; 11) ფეხსაცმელი, ფეხსამოსი; 12) სამოსლის საკიდი, სათავსოები; 13) დასაგები, დალაგება, „გა“დაფარება; 14) რეწვისთვის გამოყენებული ხელსაწყოები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიტყვათა სესხება ერთი დიალექტიდან მეორეში ხშირია; მეტად მნიშვნელოვანია საკუთრივ ზანური ძირის სიტყვები, რომელთა უმეტესობას შესატყვისები ეძებნება ქართულში; სიტყვათა გარკვეული რაოდენობა იზოლირებულია, მათი შესატყვისები არ ჩანს სხვა ქართველურ ენებში. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების ჩატარება ჩვენი მომავალი მუშაობის მიზანს წარმოადგენს.

ლიტერატურა

ასათიანი, 1974 — ი. ასათიანი, ჭანური ტექსტები, თბ., 1974.

ვანილიში, თანდილავა, 1964 — მ. ვანილიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964.

კარტოზია, 1972 — გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I, თბ., 1972.

მარი, 1910 — Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург, 1910.

მარი, 1919 — Н. Я. Марр, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург, 1910.

მაკალათია, 1992 — ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, I, თბ., 1992.

მასალები, 1971 — ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), გამოსაცემად მოამზადა კ. სამუშიამ, თბ., 1971.

მასალები, 1976 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით 5 ტომად, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976.

მასალები, 1982 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით 5 ტომად, ტ. II, ნაწილი II, ქსოვა, ღებვა, ქარგვა, თბ., 1982.

მასალები, 1983 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით 5 ტომად, ტ. III, ნაწილი I, ტანისამოსი, თბ., 1983.

მასალები, 1986 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით 5 ტომად, ტ. IV, ნაწილი I, თბ., 1986.

ჟღენტი, 1938 — ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილო-კავი, თბ., 1938.

სამუშაო, 1990 — კ. სამუშაო, ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბ., 1990.

სახოკია, 1956 — თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

ფონდი — ი. ასათიანის ლაზური დიალექტის სალექსიკონო ფონდი (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებული).

ქაჯაია, 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.

ქს, 1975 — ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, თბ., 1975.

ქს, 1991 — ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991.

ეიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург, 1914.

ცაგარელი, 1880 — А. Цагарели, Мингрельские этюды, С.-Петербург, 1880.

ცანავა, 1970 — ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

ჩუხუა, 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ხალხური სიბრძნე, 1994 — ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშივი, თბ., 1994.

ETER SHENGELIA

Basic Megrelian-Laz Vocabulary Connected with Clothing

Summary

The paper presents a thematic classification of Megrelian and Laz lexical units associated with clothes:

1. General terms nominating clothes.
2. Terms referring to the types of clothing.
3. Units denoting parts of clothes.
4. Terms referring to clothes ornaments and the ways of decorating clothes.
5. Units denoting various types of fasteners.
6. Terms nominating materials used for clothes making
7. Lexical units denoting articles of headwear and footwear
8. Terms connected with stands and places used for keeping clothes.
9. Terms connected with `clothes production.
10. Words denoting dressing and undressing.

ლალი ჩიქოვანი

ატრიბუტული და პრედიკატული ტიპის შედარება
(გიორგი ლეონიძის შემოქმედების მიხედვით)

გიორგი ლეონიძის ფერადოვან და ხმიერ ლექსებს იმთავითვე გამორჩეული ენობრივი იერსახე დაჰყვა, რაც თავისებურ ეშხსა და მომხიბვლელობას მატებს პოეტის პოეტურ ფრაზას, მხატვრულ სახეს.

ფოლადივით მტკიცედ ნაჭედ, ძარღვიან თქმებთან, ფრთიან, ომბიან სიტყვებთან ერთად, საიდანაც მოისმის ათასი ჩანჩქერის ბლავილი თუ გადაშხული, თითისტარის ძგრიალი, უზანგების ძგარა-ძგური, ირმის ყვირილი, ალაზანზე ხოხბის ყვილი, კოჭბის თლუხთლუხი, ცის დგრიალი, — პოეტის ნაგეში თვალი და ყური „ციცნათელების ფანცქალსა“ და „ნუშის ნაფერთალსაც“ ამჩნევს. ასეთ დროს უსათუთესი განწყობილება სადა სიტყვებად ამოჟონავს პოეტის სულის ხვეულებიდან.

აშკარად საგრძნობია გ. ლეონიძის პოეზიაში ფორმის სიახლის წყურვილი, ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია სახელთა წარმოქმნისა და კომბინაციის დროს: **ბროლშენაციები** დილა, **მტრედისმხარული** ზეცა, **დაიისფერებული** ზვირთები... ლეონიძის მიერ შექმნილი ან დამკვიდრებული სახელებიდან გამორჩეულად საინტერესოა ნასახელარი ზმნები: „**ამოთეთრა** კავკასიონმა“, „ეს ლექსი შენ არ **გამოამტევენე**“ „**წაიბნელა** ორბის ფრთამა“...

სიტყვათა ახლებული გააზრება, ჩვეულებრივ, ტროპული მეტყველებით მიიღწევა.

„ტროპი დამოკიდებულების გამოხატვის, სამყაროს ხელოვანისეული ხედვისა და წარმოსახვის ერთ-ერთი წამყვანი საშუალებაა. ეს არის აზროვნების, ანუ მოვლენათა აღქმისა და მათ შორის მიმართებათა დამყარების სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ყოველთვის ახლავს ესთეტიკური შემოქმედების ძალა. თანამედროვე დაზუსტებით, ტროპი ესაა მნიშვნელობის გადანაცვლება, თანაარსებობა ერთ

აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობისა — პირდაპირისა და გადატანითის“ (ნათაძე, V, 108).

ტროპული ფორმებიდან ჩვენ განვიხილავთ შედარებას გიორგი ლეონიძის შემოქმედების მიხედვით.

ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, „შედარება არის გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი ფორმა. შედარება ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია, შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან უინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე“ (ჭილაია, VII, 335).

შედარების მრავალფეროვანი სახეებიდან და საშუალებებიდან ამჯერად გვაინტერესებს ისეთები, რომლებიც უშუალოდ გრამატიკულ საწარმოებელთა გამოყენებით გადმოიცემა.

შედარების კატეგორიის გამოსახატავად ქართულ ენას მდიდარი გრამატიკული ინვენტარი მოუპოვება. ესენია: შედარების ფუნქციით აღჭურვილი თანდებულები, გათანდებულებული ლექსემები, კავშირები, სადერივაციო აფიქსები, ფლექსია, პაუზა.

შედარებისათვის აუცილებელია სამი ძირითადი კონსტრუქციული კომპონენტის არსებობა: შესადარებელი საგანი (დასამსგავსებელი), შედარების ობიექტი (დამსგავსებელი) და ნიშანი, რომლის მიხედვითაც ხდება შედარება. „დასამსგავსებლის ან გასუბსტანტივებული სხვა მეტყველების ნაწილების საშუალებით, თვითონ ნიშნისა კი — ატრიბუტით ან პრედიკატივით. ძირითად წევრებთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვათაგან ყველა ვერ იქნება სქემის წევრი: განმსაზღვრელი წევრი ისეთი სიტყვაა, რომლის ამოღებით მოდელი სემანტიკურ დონეზე დაირღვევა“ (კვაჭანტირაძე, III, 15).

შესაძლებელია, გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი მსგავსებისა ატრიბუტული და პრედიკატული იმის მიხედვით, ატრიბუტია თუ პრედიკატი შედარების ნიშნის მარეალიზებული წევრი.

ატრიბუტული ჯგუფი

ატრიბუტული ჯგუფი წარმოადგენს მთლიანი წინადადების კონსტრუქციის ნაწილს. შედარებისათვის აუცილებელი სამივე კომპონენტი ერთმანეთის მიმართ დაქვემდებარებულ ურთიერთობაშია: დასამსგავსებლისა და ნიშნის მარეალიზებული — ორივე წარმოადგენს დამსგავსებულის მარეალიზებული წევრის განმვრცობს. თავად დამსგავ-

სებული წინადადებაში შესაძლოა მთავარი ან მეორეხარისხიანი წევრის როლს ასრულებდეს. მსგავსებით ფუნქციას გამოხატავენ ელემენტები, რომლებიც დასამსგავსებლისგან განსაზღვრულ ფორმას მოითხოვენ. ეს ელემენტებია:

ვით

იკუმშებოდნენ თბილისის თავზე **ვეფხვის ტყავით** ჭრელი ღრუბლები [ლენონიძე, I, 463]; ელიოზი ... ოცნებებით იფარავდა თავს **მხეცივით** შემოტეული სინამდვილისაგან [ლენონიძე, II, 10]; სუფრაზე აქ-იქ მოჩანდნენ **მოსამკალ თავთავით** თავდამძიმებული სტუმრები [ლენონიძე, II, 116]; ეს გული ვიღამ დასხლიტა, **ბურთივით** გაუთქვრავი [ლენონიძე, I, 39]; **ქიშმიშივით** დამჭანარსა და **სარივით** გამხმარს ან რაში ედგა სული [ლენონიძე, II, 17]; ცა იყო ნაზი და წმინდა **სიყვარულივით** [ლენონიძე, II, 82]; მეორე ნათლიაც გამოჩნდა, **მთასავით** ვაჟკაცი, გაურანდავი მგელ-ხარი [ლენონიძე, II, 91]; და ვარ **ზღვასავით** აღვარებული [ლენონიძე, I, 176];

-ებრ, -ებრი, -ებური

იცი, რომ თოვლში დამწყვდეულ **ყანასებრ**, შენც დამწყვდეული გექნება გული [ლენონიძე, I, 112]; მიყვარდა სიტყვა **მიმინოსებრი** [ლენონიძე, I, 236]; მშვენიერება ტურფა **შენებრი** [I, 216]; ღურაჯის **ცეცხლებრ** ბრიალი [ლენონიძე, I, 208]; ბრძენი **შენებრის** განგებია-ნი, **შენებრ** მხედარი დაუდგრომელი [ლენონიძე, I, 306]; ზეცის ტალღაზე **ელვისებური** ისახებიან ცეცხლის ხაზები, ვით აღმასები **დაისებური** ასხივოსნდება სულის ბალები [ლენონიძე, I, 28]; და მისი ვაჟის, ქუჩა-ჭაბუკის გამომკლავება იყო **ლომებრი** [ლენონიძე, I, 464];

-ოდენა, -ოდენი

ცრემლს **ზღვათაოდენს** თქვენსას ნუ ზღავენ [ლენონიძე, I, 300]; მე **ზღვისოდენა** ბედნიერი ვარ [ლენონიძე, I, 264];

-ტოლა

ხარის ენის ტოლა ვენახი მიგდია რაღაც [ლენონიძე, II, 19]; **ცერის ტოლა** თეთრი თუთა დათაფლული შტოზე დნება [ლენონიძე, I, 165]; მსგავსების ელემენტები დასამსგავსებელს განსაზღვრულ ბრუნვაში მართავენ. -ვით-ის გარდა, რომელიც სახელობითისა და მიცემითი

ბრუნვის ფორმებს მოითხოვს დასამსგავსებლისაგან, დანარჩენი ელემენტები ნათესაობით ბრუნვას დაერთვიან. ძირითად წევრთა თანამიმდევრობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრულია: ჯერ იქნება ელემენტდართული დასამსგავსებელი, შემდეგ — ნიშანი, ბოლოს — დამსგავსებელი.

მაგალითების განხილვისას აშკარად საგრძნობია, რომ ნიშანი ზოგჯერ ცალკე სიტყვად რეალიზდება, ზოგჯერ კი მსგავსების ელემენტების, მსგავსების ფუნქციით აღჭურვილი მორფემით ან ლექსემის საშუალებით. ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს 2 ჯგუფი:

1. სადაც ნიშანი ყოველთვის ცალკე სიტყვით რეალიზდება;
2. სადაც ნიშანი ცალკე სიტყვით არ რეალიზდება.

„ამგვარ კლოასიფიკაციას ელემენტთა სემანტიკური დატვირთულობა უდევს საფუძვლად ... მსგავსების ნიშანი ზოგიერთ ელემენტში მთლიანად არის განზავებული, ზოგჯერ კი მისგან აბსოლუტურად დაცლილია“ [კვაჭანტირაძე, III, 19].

-ვით და -ებრ ელემენტთან ატრიბუტულ ჯგუფში მსგავსების ნიშანი ყოველთვის ცალკე სიტყვად არის წარმოდგენილი: **ზღვასავით მდიდარი**; ფაფასავით **სქელი**; მთასავით **ვაჟკაცი**; მტრედევით **წყნარი**; მგელივით **ატროვებული**; ვარსკვლავებივით **მოფიკიკე**; სიყვარულივით **ნაზი**; ნისლივით **მტირალი**; მიმინოსებრი **სიტყვა**; ცეცხლებრ **ბრიალი**; **ბრძენი** შენებრი; ელვისებური **ხაზები**;

„-ვით, -ებრ წმინდა რელაციის აღმნიშვნელი ელემენტებია, ისინი ოდენ გრამატიკული (აქ: მსგავსების) ფუნქციით არიან აღჭურვილი და დამოუკიდებლად ვერ გამოახატავენ იმ ნიშანს, რომლის მიხედვითაც გვაქვს მსგავსება. ამიტომაც ნიშანი ცალკე სიტყვით გადმოიცემა“ [კვაჭანტირაძე, III, 19].

-ოდენა, -ოდენი, -ტოლა ელემენტთან ჯგუფში ერთი სიტყვით გადმოიცემა დასამსგავსებელიც, ნიშანიც და მსგავსების ელემენტებიც: **ცერისტოლა** თუთა; **ხარის ენის ტოლა** ვენახი; **ზღვათაოდენი** ცრემლი;

პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი

ატრიბუტულისაგან განსხვავებით, პრედიკატული ჯგუფის წევრებს შორის განსხვავებული მიმართებაა: ფართოდება ობიექტთა კლასის ცნება: ზმნა-შემასმენელი ხდება მთავარი წევრი, ამიტომ ვიღებთ წინადადების მთლიან კონსტრუქციას და არა ნაწილს.

პრედიკატულ ჯგუფში გამოიყენება:

1. იგივე ელემენტები, რაც გვექონდა ატრიბუტულ ჯგუფთან: - ვით და -ებრ.
2. ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ატრიბუტულისათვის არ იყო დამახასიათებელი. ესენია: ვით, როგორც, თითქოს.

-ვით

დეიდა მაიკო ფეხჩაუდგმელი შრომობდა მეთაფლე **ფუტკარივით** [II, 130]; **მესდაცემულივით** იდგა ღვინაქუა [II, 124]; ნისლის კოტორი ხან **ქალივით** მოეხვეოდა, ხან **სუდარასავით** [II, 118]; ტოტებზე **ბალერინასავით** დახტოდა ყვითელი მოლადური [II, 14]; **გრიგალ-ქარივით** ატყდა მსოფლიო ომი [II, 223]; მარიტა **ცისარტყელასავით** დადიოდა სოფლის ორღობეში [II, 181]; გულგაგლეჯილი **იადონივით** შენს ლექსს სათარა ცრემლით მღეროდა [I, 229]; გაზაფხულის **ნია-ვივით** სიყმაწვილემ ჩაიარა... წყალს ჩავარდნილ **ფოთოლივით** გა-ცურდა და დაიშალა [I, 354]; მესმა მუხა გახარა, აშიშინა **ხორცივით** [I, 354];

-ებრ

სალამანდრასებრ ვეღარ დაგწვა შენი ცეცხლებივით [I, 329]; ხალხის გულში მიგელავ ვარსკვლავების **თვალთაებრ** [I, 374]; აგაელ-ვარებს ცხრა წყარო **მზისებრ** [I, 393]; მტვერივით მიჰქროდა **სეტყვასებრ** მტერი [I, 214];

ვით

ვით ოქროს ფარჩა გადმოკიდებული, ბრწყინავდა შენი ქვეყნის ბუნება [I, 182]; ცისარტყელა ბრიალებდა **ვით** ხოხობის ყელი [I, 54]; **ვით** გვალვა წვიმას, შენ მოგიწყურებ [I, 405]; ჩვენ ცხოვრება გვდარაჯობდა, **ვით** გამყოლი ქორის თვალი [I, 382]; ვწვივით, **ვით** ჩი-ტი მზეწვივა [I, 288]; მე შენთან მოვალ, **ვით** ვარდზე ნამი [I, 273]; შეიბ მახვილი! — უგალობს ხალხი და სასახლესთან, **ვით** ზღვა, დგანდვარებს [I, 518]; აქ ზენაქარი ჟღერს, **ვით** ფანდური [I, 150]; მუხლთ მოეხვივნენ ჭაღარა მეფეს, **ვით** ქარში მუხას მცირე მუხები [I, 463];

როგორც

გვიყურებდნენ ვარსკვლავნი, **როგორც** ჯიხვის თვალეხი [I, 78]; **როგორც** საძროხე ქვებს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლე-ბი [I, 74]; შევევირებ, **როგორც** ირმები ჰყვირიან ყარაიასა [I, 71]; ცას ღრუბელი გადევარა, თეთრი **როგორც** ყაჭი [I, 49]; **როგორც** ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია [I, 46]; აქა-ფებულა შუალამე, **როგორც** ჯაგარი [I, 34]; მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, **როგორც** წყალში დგას წნორის ძირები [I, 10]; შენი ტუჩე-ბიც ისე ტკბილია, **როგორც** ბადაგი დაღუღებისას [I, 73]; ყველა ლექსსა აქვს — **როგორც** პეპელას და არწივს — ნება ცაში ფრენისა [I, 419]; დაიხანგება საღამო, **როგორც** ბულია კამეჩი [I, 170];

თითქოს

გულდებით იცოდა საუბარი, **თითქოს** ცეცხლზე შემდგარი თაფ-ლის ქვაბი ტკბილი ჩუხჩუხით გელაპარაკებო [II, 247]; რას ამეყუდა დალოცვილი, **თითქოს** მზის ნაცვლად ღამე დამიდგა წინაო [II, 112]; ცაში შემოწალიკდნენ წერონი, **თითქოს** გმირთა სულები დედამიწი-დან ცაში მიემგზავრებოდნენ [II, 85]; გადაჰხედე, შენი მთები, — **თითქოს** ვეფხვნი-დაყრილანო [I, 139]; **თითქოს** ქალი სარკმელიდან, იყურება ვაშლი ხიდან [I, 165];

თუ ატრიბუტულ ჯგუფში ნიშანი მხოლოდ ერთი, ძირითადი წევრით გადმოიცემოდა, განმსაზღვრელი წევრი არ ახლდა, ზოგჯერ სახეზე გვექონდა, ზოგჯერ მსგავსების ელემენტში იყო, პრედიკატულ ჯგუფში სხვა სურათია; ნიშანი, ზმნა-შემასმენლით გამოხატული, ყოველთვის სახეზეა, მას ხშირად ახლავს განმსაზღვრელი წევრი.

კომპლექსური შედარება

„ატრიბუტული ნიშნით ერთმანეთს რამდენიმე წევრი ვერ დაუ-კავშირდება, რადგან ატრიბუტული ნიშანი მხოლოდ ერთ წევრს შე-იძლება ახასიათებდეს, პრედიკატული ნიშნით კი შესაძლოა რამდენი-მე წევრი უკავშირდებოდეს ერთმანეთს. ასეთ შედარებას კომპლექსუ-რი შეიძლება ვუწოდოთ“ [კვანტალიაძე, III, 27].

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში დასტურდება კომპლექსური შედარების რამდენიმე მაგალითი: „ვითარცა გველეშაპს წმიდა გიორ-გი, ასე ებრძოდა ციციკორე ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლაპიებს“

[კვაჭანტირაძე, II, 162]; აქ, ერთი მხრივ, ციციკორეს შესაბამისია წმიდა გიორგი, მეორე მხრივ, გველემშაპისა — ვაჭრები, ჩარჩები, სოფლისკლავები. დამოუკიდებლად, ამ წყვილების რეალიზაციისას შინაარსი გაუგებარი ხდება: ისე ებრძოდა ციციკორე ვაჭრებს, როგორც წმიდა გიორგი (?) ან ისე ებრძოდა ციციკორე ვაჭრებს, როგორც გველემშაპს (?) მამასადამე, კომპლექსური მსგავსების დამოუკიდებელ ნაწილებად დაშლა, ჩვეულებრივ, არ ხერხდება. სხვა მაგალითი: „როგორც ბუზი ჯიგარს, ისე გაჰყვებოდა თლოშიაური სუფრას, ვისიც და სადაც გინდ ყოფილიყო“ [ლეონიძე, II, 93]; როგორც ბუზი ჯიგარს, ისე თლოშიაური სუფრას — ეს ორი კომპლექსი თავიანთი საერთო ნიშნის (გაჰყვებოდა) ინტენსივობით ედარება ერთმანეთს. კომპლექსური შედარებისათვის აუცილებელია მსგავსების ფუნქციის მატარებელი რთული შედგენილობის ელემენტი — ისე — როგორც.

პრედიკატულ ჯგუფში უნდა განვიხილოთ ვითარებითი ბრუნვით გაფორმებული მსგავსების ელემენტებიც: „შენი თვალევი გაიშლება ღამის **პეპლებად** [I, 21]; ჩუმ **პეპლებად** თოვლი ცვივა [I, 151]; ინდოეთისკენ მავალ ქარავნებს, აქ ჩაუვლიათ წეროს **მწკრივებად** [I, 151]; მე შენს სიყვარულს **ზღვად** ავიდევნებ [I, 393]; **ჩიტებად**, — ოქროს ნისკარტით დაჰქრიან შენი ლექსები [I, 326]; ბევრჯერ მზე ჩავა დაჭრილ **ირემად** და ოქროს **ხონხად** ამოფრინდება [I, 325];

„ზედსართავ სახელთა ანალოგიამ და ერთი ჯგუფის ზმნათა თავისებურმა სემანტიკამ (შედარება-მსგავსების მოთხოვნამ და შეგუება) განაპირობა არსებით სახელთა ზმნისართული მნიშვნელობით გამოყენება ... ვითარებითი ბრუნვით გაფორმებულ მსგავსების ელემენტებიან სახელებში მეტია ზმნისართულობა, ვიდრე ზედსართაულობა. ამიტომ არის, რომ იგი გვხვდება მართო ზმნებთან და ნაზმნარ სახელებთან, ხოლო სხვა ტიპის (მტრედული, არწივისებური) შედარება-მსგავსების გამომხატველი წევრებისათვის ატრიბუტული გამოყენებაც არაა უცხო (მტრედული ფრთხილი, მტრედევით კაცი)“ [ქავთარაძე, VI, 171];

გიორგი ლეონიძე ერთსა და იმავე სიტყვას ხმარობს ხან ვითარებითი ბრუნვის ფორმით, ხან -ვით თანდებულთან ერთად. მოვიყვანოთ რამდენიმე პარალელურ ფორმას:

ბევრჯერ მზე ჩავა დაჭრილ **ირემად**, \longleftrightarrow ნამარილვე **ირემივით** სმა შევერგება.

ჩუმ **პეპლებად** თოვლი ცვივა. \longleftrightarrow მართას სული **პეპელასავით** გაფრინდა.

მე შენს სიყვარულს **ზღვად** ავიდევნებ. \longleftrightarrow და ვარ **ზღვასავით** აღვარებული.

ვარსკვლავებად დამე თბილისს დაენთება თქვენი თვალი. \longleftrightarrow გარეთ კი **ვარსკვლავებივით** მოუიჭიკე ცა უეცრივ გაპირბნელებულიყო.

ასეთ ფორმებს (ირემად, ირემივით, როგორც ირემები) ხმარება სტილისტიკური მონაცვლეობისა და მრავალფეროვნების გამომხატვის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია. ამის დასადასტურებლად ისევ შეიძლება დავიმოწმოთ მაგალითები, სადაც ერთდროულად დასტურდება სხვადასხვა მსგავსების ელემენტებით გადმოცემული რამდენიმე შედარება: ცა, **როგორც** თაფლი ჩამოღვენილია, გული სუფთაა, **ვით** ბამბის ფთილა [I, 299]; გაჰქრა, **როგორც** გადარეკილ ვარსკვლავების კვალი, ჩამოცვივდა, გაიფანტა, **ვით** ყაყაჩოს ხალი [I, 439]; **ვით** ეკალზე ბრწყინავს ვარდი, ღამის **ოქროდ** — ციციინათელა, მისთვის იყო, ჩვენი ლექსი ცხოვრებამ რომ ვერ წათელა [I, 382]; მე შენთან მოვალ, **ვით** ვარდზე ნამი, ჩამოვალ **როგორც** სხივი მთვარისა [I, 273];

ლიტერატურა

ლეონიძე, 1980 — გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1980.
ლეონიძე, 1976 — გ. ლეონიძე, „ნატურის ხე“, თბ., 1976.
კვაჭანტირაძე, 1978 — თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978.
კვაჭაძე, 1977 — თ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
ნათაძე, 1984 — მ. ნათაძე, ტროპი გ. ლეონიძის პოეზიაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1984.
ქავთარაძე, 1972 — ი. ქავთარაძე, შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები და ვითარებითი ბრუნვის ერთი მნიშვნელობისათვის ქართულში, თსუ შრომები B 5 (145), 1972.

ჭილაია, ჭილაია, 1984 — ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.

LALI CHIKOVANI

**Attributive and Predicative Types of Simile
in Leonidze's Works**

Summary

The paper examines similes from the standpoints of literary criticism and linguistics.

Two types of simile have been singled out _ attributive and predicative.

In attributive similes likeness is conveyed by means of the following elements: -vit, -ebr (-ebri, -eburi), -odena (-odeni). In predicative types of simile similar morphemes are used for expressing likeness, however some other means are also encountered.

The observations have proved that likeness can be expressed by a separate word, as well as by complex types of simile.

ენო ცენტრში

**იტალიური ენის სწავლებისას კულტურათა შორის
ლინგვისტურ და მქსტრალინგვისტურ
ბანსხვავებათა თავისებურებანი**

ლინგვისტური და სოციალურ-კულტურული სისტემის წიაღში კომუნიკაციის კვლევისას თავს იჩენს მთელი რიგი ფაქტორები, კერძოდ: სოციალური ურთიერთგავლენის კომპონენტები, ვერბალური მესიჯის სტრუქტურა, მისი დამოკიდებულება სოციალური ცვლილებების პარამეტრებთან, ის კოდები, რომელთა საშუალებითაც თანამოსაუბრეები ერთმანეთზე ზემოქმედებენ, აგრეთვე, ურთიერთდამოკიდებულება მოცემულ მესიჯსა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ქცევის იმ მოდელს შორის, რომლებიც მოცემული კულტურის წიაღში წარმოიშვა. თითოეული ამ ფაქტორთაგანი სხვადასხვა დისციპლინის კვლევის საგანია, — წერს პიერანჯელა დიადორა, სიენის უნივერსიტეტის პროფესორი, — რომელიც იკვლევს კულტურათაშორის არსებულ თავისებურებებს და უცხოელებისათვის იტალიური ენის სწავლებაში ექსტრალინგვისტური კომუნიკაციის ყოფით პრობლემებს.

ადამიანთა კომუნიკაციის კვლევა, იმ მიმართულებით, საითკენაც ის ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში წარიმართა, დისციპლინათაშორისი ურთიერთგავლენის ტიპური მაგალითია. ეს მშვენივრად იციან იმ ლინგვისტებმა, რომლებიც შეისწავლიან დისკურსის ანალიზს და, კერძოდ, ისეთი დისციპლინის სფეროში მომუშავე მკვლევრებმა, როგორცაა პრაგმატიკა. სწორედ ის განიხილავს კომუნიკაციის რეალური გამოყენების შემთხვევებს, ანუ იმ კონკრეტულ ცვლილებებს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია, კერძოდ:

ა) „იმ სტრატეგიებს, რომლებიც ამოქმედდება მოყვანილია მის მიერ, ვინც ლაპარაკობს (ადრესანტი), და ვინც უსმენს (ადრესატი),

რათა ამ უკანასკნელმაც, თავის მხრივ, დაადასტუროს ნებისმიერი ლინგვისტური აქტის შესრულება;

ბ) ენასა და კონტექსტს შორის ურთიერთობებს, რომლებიც ლინგვისტური სტრუქტურით „კოდიფიცირდებიან“ (სობრერო, 1999, 29).

დღეს, როდესაც წარმოუდგენლად უსაზღვროა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სივრცის შესაძლებლობები და გაადვილებულია მიმოსვლა, იტალიური ენის შემსწავლელი საზღვარგარეთელი სტუდენტები თითქმის თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდნენ მათთან, რომლებიც ამ ენაზე დაბადებიდან ლაპარაკობენ, ანუ იმ „საზოგადოების წევრებად“ უნდა მიიჩნეოდნენ თავს, რომელთაც სურთ, გარკვეულ საერთო სპეციფიკურ გარემოში, კონკრეტული ქმედებების მეშვეობით (და არა მხოლოდ ენის ცოდნით), განახორციელონ თავიანთი საკომუნიკაციო მიზნები.

თანამედროვე ენების დიდაქტიკა განპირობებულია კომუნიკაციური სიახლოვით. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ძირითადად ორიენტირებულია მოქმედების აქტზე, შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმ დისციპლინებიდან გამომდინარე გარემოებებს, რომლებიც ენის ფარგლებში საკომუნიკაციო აქტის სხვა ასპექტების სწავლებითაც არიან დაკავებულნი (როგორც იტალიური ენის, ისე ანთროპოლოგიური და სოციოლინგვისტური დისციპლინების შესწავლით). მოცემული დისციპლინების სიახლოვე ძალზე მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე ეხება თანამოსაუბრეთა კომუნიკაციის სხვადასხვა ასპექტს, რომელთა მიზანს წარმოადგენს იტალიური ენის შემსწავლელ უცხოელებთან ანალოგიური კომუნიკაციის განხორციელება. რადგან შეუძლებელია, ამ თვალსაზრისით, მოვანდინოთ მხოლოდ ენისა და ვერბალური კოდის იმიტირება, იმ მომენტში, როცა ინდივიდებს შორის საკომუნიკაციო აქტი მხოლოდ ლინგვისტური სისტემის საშუალებით კი აღარ ხორციელდება, არამედ მოძრაობაში მოდის არავერბალური კოდების მთელი ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს იმ მესიჯის წარმოქმნას, რომელიც მეტყველი პირიდან ადრესატს გადაეცემა. მეორე მხრივ, უცხოურ ენაზე საკომუნიკაციო აქტის წარმართვა თავის თავში გულისხმობს მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა, როგორც ვერბალურ და არავერბალურ ურთიერთობის, ისე მოცემული ენის შემსწავლელთა ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა ღრმა ცოდნას. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ,

რომ კულტურათაშორისი ასპექტები შესაბამისობაში მოდიან დისციპლინათაშორის ასპექტებთან, ქმნიან რა ურთიერთდამოკიდებულების ისეთ რთულ გამას, რომელსაც უცხოური ენის მასწავლებელმა თავი უნდა გაართვას მისი, თუნდაც ორი ენის საფუძვლიანი ცოდნით, რომელიც აღჭურვილი და გამყარებული უნდა იყოს გლოსეო-დიდაქტიკის შესაბამისი მეთოდებითა და ხერხებით.

„ექსტრალინგვისტური კომპეტენცია არის, როგორც კომუნიკაციურ აღქმაზე დაფუძნებული სწავლების თეორია, ისე კულტურათაშორის დიდაქტიკასა და სამოქმედო აქტზე ორიენტირებული აღქმის მასტიმულირებელი პრინციპების მთელი ერთობლიობა“ (სობრერო, გვ. 59). ამიტომ დღევანდელი განვითარებული მსოფლიოს უცხო ენის მასწავლებლები უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებენ ექსტრალინგვისტური კომპეტენციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას კონკრეტულ ენასა და კულტურასთან მიმართებაში იყენებენ რა, მსგავსი მიზნის მისაღწევად აუდიო-ვიზუალურ და სხვა სახის ეფექტურ ტექნიკურ საშუალებებს, ტრანსკოდიფიკაციურ დიდაქტიკურ ხერხებსა და სხვა ულტრათანამედროვე აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდა ამოქმედებული სამეტყველო აქტის ანალიზისა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ენებს შორის მიმართებებისა და კულტურათაშორისი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებასაც. ასეთ შემთხვევაში, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა მიერ განხორციელებულ საკომუნიკაციო აქტსა და სხვა ენისა და კულტურის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებულ მსგავს ქმედებაში, ხშირად, მართლაც რომ იჩენს ხოლმე თავს სრულიად განსხვავებული ფაქტორები. ანუ, აშკარაა, რომ როცა საქმე არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურ განხორციელებას ეხება, ძალზე ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც ზემოხსენებულ ფაქტორებს ითვალისწინებს.

„სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა საკომუნიკაციო აქტის განხორციელებისას ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შევძლოთ როგორც სხვა ერის წარმომადგენლის როგორც სიტყვების, ისე „ქცევების“ გაგება და აღქმა“ (კრაშენი, გვ.: 31).

იტალიელი მკვლევრის პ. დიადორას აზრით, საკომუნიკაციო და პრაგმატული დანიშნულებით იტალიური ენის სწავლებისას არ ღირს გვერდი ავუაროთ ყოველივე ზემოთქმულს, რადგან არავერბალური დანიშნულების სიმბოლოებს არც თუ ისეთი მეორეხარისხოვანი რო-

ლი ენიჭებათ, როგორც დღევანდელ იტალიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ იტალოფონების საკომუნიკაციო აქტიში. იტალიური კულტურა და კონტექსტი, მართლაც რომ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი „ძლიერი კულტურა და კონტექსტი“, რომლის ინტერპრეტაციისას ანგარიში უნდა გავუწიოთ კონტექსტს, რომელშიც ხორციელდება მნიშვნელოვანი ურთიერთზეგავლენა (იმპლიციტური კომუნიკაცია), იმ ე. წ. „სუსტი კონტექსტის კულტურისაგან განსხვავებით, როგორცაა, მაგალითად, გერმანული, სკანდინავიური, ანგლო-საქსური, რომელშიც კონტექსტი ნაკლებ მნიშვნელოვანია და სადაც ვერბალური კომუნიკაცია ასრულებს წამყვან როლს, რათა უფრო გამომხატველობითი (ექსპლიციტური) გახადოს ყველაფერი ის, რაც სჭირდება მსმენელს მესიჯის სწორად აღსაქმელად (ექსპლიციტური კომუნიკაცია)“ (დიალორა, 2002, 7).

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ კინესიკური, პროქსემიკური და ქრონემიკული კომპეტენციის რამოდენიმე ასპექტი, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული მნიშვნელობა იქონიონ იმ უცხოელებისათვის, რომლებსაც იტალიურ კულტურასთან აქვთ უშუალო შეხება. იტალიელი მკვლევარი ლუჩია მადიი ენის საკომუნიკაციო კომპეტენციის განსაზღვრისას და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციისას წარმოქმნილი გაუგებრობების ასახნეულად იშველიებს ვენეციის "Ca' Foscari"-ს უნივერსიტეტის პროფესორ ბალბონის ტერმინს "incidenti interculturali" (სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის მომხდარი უბედური შემთხვევები) და დასძენს, რომ მსგავსმა პრობლემებმა მართლაც შეიძლება იჩინონ თავი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების ენის სწავლებისას. ზემოხსენებული ავტორი იშველიებს ცნობილი ლინგვისტის Krashen-ის სიტყვებს: ემოციური ფონი გავლენას ახდენს შეძენილი ცოდნის ხარისხზე, დახარჯულ დროსა და მიღწეულ შედეგზე. როდესაც უცხოური ენის შემსწავლელი პირისპირ აღმოჩნდება „უხერხულობის“, „კოგნიტიური დისონანსის“ წინაშე, უცხოური ენის შესწავლისას შესაძლოა თავი იჩინოს ერთგვარმა ფსიქოლინგვისტურმა „შეფერხებებმა“ და „ჩამორჩენამაც“ კი. ზემოაღნიშნული პრობლემების დაძლევის ეფექტურად გადაჭრის მიზნით ლუჩია მადიი გთავაზობს პროფესორ ბალბონის ნაშრომიდან ამოკრეფილ იმ, მისი აზრით, მნიშვნელოვან ფორმულირებებს, რომლის საბოლოო განხილვისას აკეთებს მეტად საინტერესო ანალიზს და იძლევა სასარგებლო რჩე-

ვებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. პირველ რიგში მკვლევარი სვამს შემდეგ შეკითხვას: „რა არის ენა?“ და ამ შეკითხვაზე პასუხობს პროფესორ ბალბონის სიტყვებით: „ენა ზოგადად არის კომუნიკაციის დამყარებისა და აზრის გადაცემის საშუალება, მაგრამ ამავდროულად ენა წარმოადგენს ამა თუ იმ კულტურის გაცნობის საშუალებასაც“ (ბალბონი, 1999, 24). ავტორი მას სამ ძირითად ფუნქციას ანიჭებს: 1. **მრავალფუნქციური** (რადგან გამოიყენება არა მარტო იმისთვის, რომ რაიმე „ვეტყვათ“ ან „წარმოვჩინოთ“, არამედ იმისთვისაც, რომ „ვიმოქმედოთ“); 2. **მრავალშრიანი** (რადგან მასში ერთმანეთს გადაჰკვეთენ კოგნიტიური, სოციალური და კონტექსტუალური ფენომენები); 3. **მრავალარხოვანი** (რადგან ეს უკანასკნელი იყენებს უმრავ არხს, მაგ.: ჟესტიკულაცია, მიმიკა, პროქსემიკა, პროქსოდიკა, რომლებიც მეტნაკლებად ფიგურირებენ გარკვეული „მესიჯის“ აგებისას. „კომუნიკაცია არის ყოვლისმომცველი და ყოვლისგამჭოლი ადამიანური ფენომენი, ხოლო ენა წარმოადგენს ერთდროულად ამ ფენომენის საფუძველს, მედიუმსა და შეიძლება ითქვას, წიაღს“ (ლევანიძე, 2004, 37). პროფესორი ბალბონი ენის საკომუნიკაციო კომპეტენციას განსაზღვრავს როგორც სამფერდა პირამიდას, რომელიც აუცილებლად გულისხმობს შემდეგ სამ კომპეტენციას: 1) **sapere la lingua** (ვიცოდეთ ენა) აზრის გაგება, კითხვა, წერა, მონოლოგის, დიალოგის წარმართვა, თარგმნა; 2) **saper fare lingua** (ვიცოდეთ, თუ რა ვაკეთოთ ენით) ენის თავისუფლად ფლობა, რაც გულისხმობს სოციალურ, პრაგმატულ და კულტურულ ასპექტებს); 2) **sapere i linguaggi verbali e non verbali** (ვერბალური და არავერბალური ენის ცოდნა), რაც გულისხმობს როგორც ლინგვისტურ კომპეტენციას (სინტაქსურ-მორფოლოგიურ, კონტექსტუალურ, ფონოლოგიურ და პარალინგვისტურ ასპექტებს), ისე ექსტრალინგვისტურ კომპეტენციას (პროქსემიკა, პროსოდიკა, ვესტემიკა). საკომუნიკაციო აქტის კომპონენტთა სრული გაგება ყოველთვის კონტექსტუალურ-სიტუაციური აღქმის შედეგად მიიღწევა. ბალბონის მიხედვით კომუნიკაციური სიტუაცია შეიძლება განისაზღვროს შემდეგი გარემოებებისა და მიხედვით: ა) **დრო**, რომლის აღქმაც, როგორც ცნობილია, განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში; ბ) **სასაუბრო თემები და საკითხები**, რომლებიც შესაძლოა გასაგები მოგვეჩვენოს თანამოსაუბრისთვის, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სხვა კულტურაში ისინი შესაძლოა განსხვავებულ-

ლი ღირებულებების მატარებელი აღმოჩნდნენ (ამიტომ უმჯობესია გადავამოწმოთ მათი ადეკვატურად აღქმა); გ) **თანამოსაუბრეთა როლების გადანაწილება**, რომლებიც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს; დ) **ადგილი**, სადაც ხორციელდება საკომუნიკაციო აქტი, რომელიც შესაძლოა განვითარდეს კონკრეტული კულტურის „არენაზე“ (გეოგრაფიულ სივრცეში).. ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გეოგრაფიული და კულტურული სივრცის წარმომადგენლები, რომლებიც იმისდამოკიდებულად, რომ გაცნობიერებული აქვთ, რომ სხვა „არენაზე“ უწევთ საკომუნიკაციო აქტის განხორციელება, მაინც წარმართავენ ამ უკანასკნელს თავიანთი კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ღირებულებებისა და მენტალობის მიხედვით (ბალბონი, 1999, 26). ცნობილია, რომ საკომუნიკაციო აქტში გამოიყენება: ა) **ლინგვისტური ტექსტი**; ბ) **ექსტრალინგვისტური საკომუნიკაციო საშუალებები**; დ) **მკაფიო ან ფარული მიზნები**, რომლებიც ნებისმიერ კულტურაში ექსპლიციტური ფორმების მკაცრი წესებითაა განპირობებული, წესები, რომლებიც კომუნიკანტთა სოციალური სტატუსის, იერარქიისა და სქესის მიხედვით სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ე) **ფსიქოლოგიური მიდგომა** (დამოკიდებულება) კომუნიკანტის კულტურის, ინსტიტუციის, ეთნიკური ჯგუფის ან სქესის მიმართ, რომლის წარმომადგენელიცაა თანამოსაუბრე (ურთიერთდამოკიდებულებანი, რომლებიც თავს იჩენს განსაკუთრებით ექსტრალინგვისტური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებისას). ბუნებრივია, რომ უცხო ენის სწავლება გულისხმობს კონკრეტული შესასწავლი ენის სინტაქსურ-მორფოლოგიური, ფონოლოგიური და ტექსტობრივი კომპეტენციის შექმნას. გარდა ამისა, გულისხმობს პრაგმატული, სოციოლინგვისტური და კულტურული კომპეტენციის ფლობასაც.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის საკომუნიკაციო აქტის წარმართვისას ხშირად შეიძლება წავწყდეთ შემდეგი სახის სირთულეებს: აზრის ერთმანეთთან დაკავშირების განსხვავებულ თავისებურებებს, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორი ლინგვისტური ხერხებით არიან ეს აზრები გადმოცემულნი და როგორი ემოციური საშუალებებით გადმოიცემა ესა თუ ის ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, პრობლემა იმაში კი არ მდგომარე-

ობს, რომ გავიგოთ რა არის ნათქვამი?, არამედ იმაში, თუ რატომ არის ნათქვამი?. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ინფორმაციებში პასუხი ამ უკანასკნელზე არასოდეს არის ჩადებული. კულტურათა შორის ლინგვისტური განსხვავებებით გამოწვეული გაუგებრობები თავს იჩენს არა მარტო მაშინ, როცა თანამოსაუბრეთა კომუნიკაციისას გაურკვევლობა ხდება, არამედ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მეტყველებენ თავიანთი კულტურისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპების გამოყენებით, რაც თანამოსაუბრეთა შორის ხშირად დაძაბულობასა და დაბნეულობას, ანუ ე. წ. „კულტურულ მოკს“ წარმოშობს.

ახლა ვნახოთ, თუ როგორი სახის პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის არავერბალური კომუნიკაციისას კინესიკური, პროქსემიკული, პროქსოდიკული და სხვა პარალინგვისტური ასპექტების თვალსაზრისით:

გამოხედვა: ცნობილია, რომ არსებობს მთელი კომპლექსი გამოხედვებისა, რომელიც ნაირფეროვანია თანამოსაუბრეთა ასაკის, სქესის, იერარქიული საფეხურის, ნდობის ფაქტორისა და სხვათა მიხედვით. აღნიშნული არავერბალური კოდის გამოყენების წესები სრულიად განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში. იტალიელებმა დიდი ხანია შეამჩნიეს და მათთვის კლასიკურ მაგალითად იქცა ის, რომ მასწავლებლის მიერ დატუქსული ჩინელი მოსწავლე თავს ჩაქინდრავს და თვალებით იატაკს ამტერდება. მაშინ, როცა იტალიელი მასწავლებლისთვის ზემოაღნიშნული არავერბალური კოდი, გარდა იმისა, რომ ყალბი და თვალთმაქცური საქციელის მაჩვენებელია, მოსწავლის მხრიდან სრულებით არ წარმოადგენს სინანულის გამომხატველ ყესტს. ალბათ, სწორედ ამიტომ მიმართავენ მასწავლებელი მას შემდეგი ფრაზით: „თვალეში მიცქირე, როცა გელაპარაკები!“ ანალოგიური „კულტურული მოკი“ შეიძლება გამოიწვიოს იტალიელი მასწავლებლის მიერ ქართველი დატუქსული მოსწავლის ქცევამაც, რადგან ზემოაღნიშნული ვერბალური კოდი ქართულ კულტურაშიც თავაზიანი ყესტის დატვირთვის მატარებელია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენელია, თუ როგორი არა ადეკვატური, თვით ეროტიკული ინტერპრეტაცია კი მიეცეს სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა შორის გამოხედვასა და თვალების მოძრაობებს.

სახის გამომეტყველება, მიმიკა: მსგავს არავერბალურ კოდს თითქმის ყველა კულტურა იყენებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა ხმარების წესებზე კონტროლი განსხვავებულია მსოფლიო კულტურებში. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრთა კულტურა არ ზღუდავს სახის მიმიკაში გრძნობებისა და ემოციების დაუფარავად გამოხატვას (საუბარია იმ საყოველთაო ფორმულირებაზე, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებით მამაკაცმა არ უნდა შეიმჩნიოს თავისი „სისუსტე“). მსოფლიოს სხვა კუთხეებში, კერძოდ, აზიაში, სახის მიმიკაზე გარკვეული ტაბუა დაწესებული, რაც ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრთ ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის თითქოს აზიელები შეუვალი თუ არა, ემოციას მოკლებული ხალხია, ნაკლებ პატივს სცემს სხვა კულტურის წარმომადგენლებს, რაც, ბუნებრივია, მცდარია და სინამდვილეს არ შეეფერება.

მკლავებისა და ხელების მოძრაობები: ბუნებრივია, ხელებით შესტიკულირება სახის მიმიკასთან ერთად ძლიერი მაკოდირებელი არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებაა და მისი დაწვრილებითი ანალიზი შორს წაგვიყვანს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი იტალიის სახვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დატვირთვის მატარებლებია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ესტი, რომელიც ერთ კონკრეტულ კულტურაში დადებითი მესიჯის შემცველია, სხვაში შეუარაცმყოფელი და უარყოფითი მუხტის მატარებელია. ზემოაღნიშნულის დასამოწმებლად ბალბონის მოჰყავს ცნობილი ამერიკული ესტის მაგალითი „O.K.“: აღსანიშნავია, რომ ქართველები და იტალიელებიც ბევრ ესტს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ, რაზეც, ჩემი აზრით, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს სტუდენტის ყურადღება.

სუნები, ხმაური და სხეულის ნაწილების მოძრაობით გამოწვეული ხმაური: ბუნებრივია, ზედმეტი დაწვრილმანება ამ კუთხით მიუღებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურას განსხვავებული მგრძნობელობა ახასიათებს ზემოაღნიშნულთან მიმართებაში. თითქმის ყველა კულტურისათვის მიუღებელია სხეულიდან მომდინარე არასასიამოვნო სუნი და ხმაური, თუმცა ამ მხრივაც სხვადასხვა კულტურებში წესების ნაირგვარობასთან გვაქვს საქმე: მაგალითად, დასავლეთის კულტურაში მიღებულია ცხვირის ხმაურიანი მოხოცვა, მაშინ, როცა იაპონიაში, ჩინეთში და ჩვენთანაც, საქართველოში მსგავსი ქმედება უკულტურობის ნიშანია. „ხშირად მინახავს, — აღ-

ნიშნავს ავტორი, —თუ როგორ ჩაყოფს თავს მერხში აზიელი მოსწავლე ცხვირის ფარულად მოსახოცად (ყოველგვარი ხმაურის გამოცემის გარეშე), რადგან მას მისი კულტურა ასწავლის, რომ ეს თავაზიანობას მოკლებული შესტია“ (ბალბონი, 1999, 28). პირადად, მეც, არაერთხელ შევსწრებვიარ, თუ რა გაცეხას იწვევს ქართველში იტალიელის მიერ აღნიშნული ქმედება. ამიტომ, უმჯობესია, მსგავსი თავისებურებები წინასწარ ახსნილი და განმარტებული იქნეს პედაგოგის მიერ.

თანამოსაუბრეების სხეულთა შორის დისტანცია: თვითოეულ ჩვენგანს გარს ახვევია ერთგვარი უხილავი „გარსი“, რომლის შიგნითაც თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობს. როდესაც ვინმე ჩვენი „გარსის საზღვრების“ გადმოლახვას ცდილობს, ამას, გარკვეულწილად, აგრესიად აღვიქვამთ და დისკომფორტს განვიცდით. შემოსხენებულის დასადასტურებლად, ბალბონის მოჰყავს ცენტრალური იტალიისა, და ნაწილობრივ, ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრთა აზრი იმის შესახებ, რომ საუკეთესო დისტანცია კომუნიკანტთა შორის არის მასთან მკლავის ორ გაწვდენაზე დგომა. მაშინ, როცა სამხრეთ იტალიისა და არაბეთში, აგრეთვე, ჩემი აზრით, საქართველოშიც, აღნიშნული დისტანციის დასაშვები ზღვარია მკლავის ერთ გაწვდენაზე დგომა, თუმცა მიღებულია, აგრეთვე, ამ მანძილის შემცირება თვით თანამოსაუბრესთან შეხებამდეც კი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვილი გასაგები უნდა იყოს ის დისკომფორტი, რომელიც შესაძლოა იგრძნოს ორი განსხვავებული „გარსის“ მქონე თანამოსაუბრემ, როდესაც მათ კულტურაში მიღებული წესები დაირღვევა რომელიმე ან ორივე თანამოსაუბრის მხრიდან: ის, ვინც მიჩვეულია დიდ მანძილზე საუბრის წარმართვას, დისტანციის დარღვევას აღიქვამს როგორც მის წინაშე აგრესიის ჩადენას, და ის, ვინც ახლო მანძილზე საუბარს არის მიჩვეული, თანამოსაუბრეში ხედავს პიროვნებას, რომელიც მის მიმართ ცივ ურთიერთობას იჩენს და გაურბის. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული, ზოგადი ხასიათის საერთაშორისო ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ერთი და იმავე და განსხვავებული სქესის წარმომადგენლების დისტანციურ ზღვარს. და ბოლოს, წესები იმის შესახებ, თუ რომელი პიროვნების გადაკონკრეტული ვაპირებთ, სად და როდის, საგრძნობლად განსხვავდება კულტურებს შორის: იტალიაში მამაკაცების მიერ ერთმანეთის გადაკონკრეტული არც თუ ისე მიღებულია, თუმცა ეს უკანასკნელი ფართოდ

გამოიყენება, როგორც მისალმების ყესტი მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ფარგლებში. სახალხოდ კოცნა აღნიშნულ რეგიონში (ქალსა და მამაკაცს შორის, აგრეთვე მამასა და შვილს შორის) სხვადასხვანაირად აღიქმება: ზოგან დასაშვებია, ზოგან კი არა). რაც შეეხება ქართულ კულტურას, მასში განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მიღებულია მამაკაცების მიერ ერთმანეთის გადაკოცნა, რაც სითბოსა და მეგობრობის გამომხატველ ყესტს წარმოადგენს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ბევრი კულტურისათვის მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდეს.

შეთავაზებები: უცხოელი სტუმრის გამასპინძლება ყოველთვის თავაზიანობისა და პატივისცემის გამომხატველი ყესტია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გვმართებს ზომიერების დაცვა. მაგალითად, საქართველოში (უფრო ძლიერ) და ნაწილობრივ იტალიაშიც (შედარებით ნაკლებად), შეინიშნება ტენდენცია (საბედნიეროდ, ეს ტენდენცია ორივე კულტურაში თანდათან სუსტდება) საკვებისა და სასმელის სტუმრისთვის დაძალების თვალსაზრისით, რაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებს სხვა კულტურის წარმომადგენლებს (მაგ. ანგლოსაქსური წარმოშობის მქონე პირებს), რომლებიც სხვაგვარი ქცევის ნორმებს არიან მოჩვეულნი. აქვე თავს უფლებას მიეცემ დავამატო, რომ კარგი იქნება, თუ მომავალში, საქართველოში ჩატარდება კვლევები კულტუროლოგიის დარგში, რომლებშიც მეცნიერულ დონეზე შესწავლილი იქნება ჩვენი კულტურისთვის დამახასიათებელი ექსტრალინგვისტური ხერხები და გამოხატვითი საშუალებანი, განსაკუთრებით, ქართული სუფრის ტრადიციების შესახებ, რათა ჩამოსულმა სტუმარმა არ მიიღოს, თუნდაც სასიამოვნო, მაგრამ მაინც ე. წ. „კულტურული შოკი“.

საჩუქრები: ბუნებრივია, საჩუქრის გაკეთება წარმოადგენს ისეთ საკომუნიკაციო ხერხს, რომლის საშუალებითაც პიროვნებისადმი პატივისცემას, მეგობრობასა და სიყვარულს გამოვხატავთ. განსხვავებულია მხოლოდ მიდგომა იმ ნივთების მიმართ, რომლებსაც ესა თუ ის კულტურა ანიჭებს საჩუქრის სტატუსს და, აგრეთვე იმას, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული ცერემონია: როგორი სახით გადასცემენ ან თანხმდებიან მასზე. ნებისმიერ კულტურაში შესაძლოა არსებობდეს ნივთი ან ნივთები, რომლის ჩუქებაც საერთოდ შეუძლებელია ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით: მაგ. იტალიაში, ქრიზანთემების თაიგულის მირთმევას ერიდებიან, განსაკუთ-

რებით, მშობიარე ან ორსული ქალებისათვის, რადგან შესაძლოა ცუდად ენიშნოთ მანამ, სანამ ბავშვი არ დაბადებულა. ცნობილია, ასევე, რომ გერმანიაში ცელოფანში შეხვეული ყვავილების მირთმევა არც თუ ისე კარგ ტონად აღიქმება. საინტერესო და სხვადასხვანაირია მიდგომა, აგრეთვე, საჩუქრის მომტანი პირის თანდასწრებით მისი გახსნა-არგახსნის რიტუალის შესახებაც: დასავლეთის ქვეყნებში მიღებულია საჩუქრის ავტორის თანდასწრებით მისი გახსნა, რადგან მაღლიერებაზე მიგვანიშნებს, მაშინ როცა, აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში საჩუქარს არ ხსნიან და მხოლოდ მაღლობას იხდიან.

როგორც დავინახეთ, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისას შესაძლოა თავი იჩინოს ე. წ. „კულტურულმა შოკმა“, რაც გამოწვეულია ე. წ. „კოგნიტიური დისონანსით“, რაც ნებისმიერ ინდივიდს შესაძლოა გაუჩნდეს სხვა კულტურის თავისებურებების საკუთართან არ დამთხვევის შემთხვევაში. ბუნებრივია იმის კითხვა: რა დიდაქტიკური სტრატეგიები შეიძლება იქნეს გამოყენებული კულტურათაშორის განსხვავებებისას წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად? ჩვენი აზრით, უცხო ენის სწავლებისას აუცილებელია შემდეგი დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური სტრატეგიების გათვალისწინება:

ა) შესასწავლი ენისა და კულტურის ტრადიციების, ადათ-წესებისა და წეს-ჩვეულებების განსხვავებების ახსნა ვიზუალური და სხვა სახის თვალსაჩინოებითი ნიმუშებისა და მაგალითების (ვიდეო, წერილობითი დიალოგები, ილუსტრაციები) საშუალებით, ანდა პირდაპირი გამოცდილების (მაგნიტოფირზე ან ვიდეო კამერაზე ჩაწერილი მასალის) მეშვეობით.

ბ) ავთვისანებ და განვუვითაროთ ენის შემსწავლელებს ის უნარი, რომ არსებობენ უნივერსალურად პრაგმატული და არაპრაგმატული ერები, მაგრამ არსებობს აგრეთვე მთელი გამა ლინგვისტური ხერხებისა მასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

გ) გაცნობიერდეს და დაინგრეს ორივე კულტურის სტერეოტიპები და შესწავლილი და შემუშავებულ იქნას სხვადასხვა ხერხები და მეთოდები ლინგვისტური აქტების წარმატებით განსახორციელებლად.

დ) მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე შეუძლებელია უცხო კულტურის კომუნიკაციური კომპეტენციის სრულიად ადეკვატური დაუფლება, „კულტურული შოკის“ თავიდან ასაცილებლად მაინც არსებობს ისეთი ფსიქოლოგიური სტრატეგიები და ხერხები, როგო-

რეზიკა, მაგალითად: ირონიული თვითკრიტიკა, შეცდომებზე თვალის დახუჭვა ან ბოდიშის მოხდა და სხვ.

ლიტერატურა

ლებანიძე, 2004 — ლებანიძე გ კომუნიკაციური ლინგვისტიკა, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004.

მაკაროვი, 2003 — Макаров В. Л. Основы теории дискурса. <<Гнозис>>. Москва, 2003.

ბალბონი, 1994 — Balboni P., Didattica dell'italiano a stranieri, Roma, Bonacci 1994.

ბალბონი, 1998 — Balboni P. Tecniche didattiche per l'educazione linguistica. Italiano, lingue straniere, lingue classiche, Torino, UTET 1998.

ბალბონი, 1999 — Balboni P.E., Parole comuni, culture diverse. Guida alla comunicazione interculturale, Venezia, Marsilio. 1999.

დიადორა, 2001 — Diadora P., L'ITALIA FRA NOI la comunicazione non verbale, p://www. Neticon. Net/fra noi/2001/COMUNICAZIONE. htm, pag. 1-8.

მადი, — Madii L., La diversa appartenenza culturale può unfluire sull'apprendimento della Lingua?, www.irre.toscana.it/sell/recources/competenzacomunicativa.htm.

სობრერო, 1999 — Sobrero A. A. „Lingue (e lingua) da salvare, «Italiano e Oltre»,., 1999, XIV, 152.

სობრერო, 1993 — Sobrero A. A. (a cura di), Introduzione all'italiano contemporaneo. I, Le strutture. II, La variazione e gli usi, Laterza, 1993a, Roma-Bari.

დიულეი, ბერტი, კრაშენი, 1985 — H. Dulay, M. Burt, S. Krashen, La seconda lingua, Bologna, Il Mulino, 1985 (edizione originale in lingua inglese Language two, New York, Oxford University Press, 1982)

NINO TSERSVADZE

Extralinguistic and Linguistic Culture Specific Peculiarities when Teaching Italian

Summary

As is known, misunderstandings during an intercultural communication are often caused by culture-specific stereotypes the participants of the communicative act manipulate with. Misunderstandings might lead to tensions, they may be interpreted as offences, or they might bring about a "cognitive dissonance", i. e. misunderstandings might condition a culture shock.

The paper examines a culture-specific verbal and non-verbal means that are essential when handling communication in Italian. The author presents a number of didactic and methodological strategies that might help teachers of Italian to deal with the issue.

ა. ცარცვაძე, ი. რუსაძე

სხვათა სიტყვის ნაწილაკები რუსულ და ქართულ ენაში

ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში ხშირად იმეორებენ საკუთარ ან სხვის ნათქვამს. ეს სჭირდებათ მათ, ერთ შემთხვევაში, იმისათვის, რომ მისცენ თავის ნათქვამს მეტი დამარწმუნებლობა, სხვა შემთხვევაში, კი როგორც მასალა, არგუმენტი თხრობისათვის.

თავისი ან სხვისი ნათქვამი მოსაუბრეს შეუძლია გადასცეს ან ისე, როგორც ნათქვამი პირველად (სიტყვასიტყვითაც) ან შეცვლილი ფორმით. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ ნათქვამს.

სხვისი სიტყვის კონსტრუქციები წარმოადგენენ ტევად და რთულ სინტაქსურ ქვესიტემას.

მოცემული ნაშრომის მიზანია, შევადაროთ სხვათა სიტყვის ნაწილაკების ფუნქცია რუსულ და ქართულ ენებში (კ. პაუსტოვსკის პროზისა და მ. ჯავახიშვილის რომანის მასალაზე).

სხვათა სიტყვის ნაწილაკები გადმოსცემენ, გამოხატავენ სხვისი ან თავისი წინანდელი ნათქვამის განმეორებას. ესენია რუსულ ენაში: "мол", "де", "дескать". ქართულში — „მეთქი“, „თქო“, „ო“.

ყველა აღნიშნული ნაწილაკი დამოუკიდებელი მნიშვნელობის იყო, მაგრამ შემდგომში მათ დაკარგეს დამოუკიდებლობა.

აკად. ვ. ვინოგრადოვი, "мол", "де", "дескать". ნაწილაკებს განიხილავს, როგორც მოდალურს, აგრეთვე „მეთქი“, „თქო“ და „ო“ მოდალურ ნაწილაკებს განეკუთვნება.

სხვათა სიტყვის ნაწილაკებს შორის რუსულ და ქართულ ენებში მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ჯერ ერთი, რუსულ ენაში ნაწილაკები "мол", "де", "дескать". გამოიყენება ირიბი ნათქვამის გამოსაცემად, ხოლო ქართულ ენაში ნაწილაკები, „მეთქი“, „თქო“ და „ო“ — პირდაპირ ნათქვამს გამოხატავს.

მეორე ნაწილაკი "дескать", გააჩნია ორი ფუნქცია:

I გამოიყენება მოუბრის ნათქვამის გადასაცემად მსმენელის ან მესამე პირისათვის; II გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის გადასაცემად მსმენელისათვის მოუბრის პირით. ამ მნიშვნელობებს ქართულ ენაში ასრულებენ ნაწილაკები „თქო“ და „ო“. მაგალითად:

ხალხო, მე არც მაღლობა მინდა და არც საჩუქარი, გული მე-რჩოდა და გიშველეთ, მორჩა და გათავდა, წადით ყველას უთხარით, რომ არსენა ყაჩაღი არ არის-თქო (მ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელი“).

ბატონიშვილმა ძლივს გაიმეტა სეხნია ბარნაველი, რომელიც იმ დამეს ოძელაანთ ოჯახს და თავის დათუნას მხნეობით და იმედით ავსებდა და არწმუნებდა, რომ შემოდგომაზე ალექსანდრე თავის შუალავრის ზვარს საკუთარი ხელით მოკრიფავსო (იქვე).

ნაწილაკი "мол", თავისი მნიშვნელობით წააგავს "де", "дескать". ნაწილაკებს, მაგრამ ის აგრეთვე მიუთითებს რომ სიტყვები, რომლებზეც არის საუბარი, ეკუთვნის თვით მოსაუბრეს და ამასთანავე ისინი გადმოსცემენ მის მიერ ჩადენილ მოქმედებას წარსულში.

ქართული ენის შემთხვევაში იხმარება ნაწილაკი „მეთქი“. შევადაროთ:

Люди балагурили собой, что вот, мол Тихий океан приветствует наш приезд стольпышной иллюминацией (П. Колхида).

ეს ჭორი თვითონ მაიორმა მოიგონა და დამიძახა, აბა რას ვეტყობი? თავი მოვიკატუნე და ვუთხარი, არსენას ბრაღია — მეთქი (მ.ჯ. „ა.მ.“).

ირიბი მეტყველების კონსტრუქციებში ნაწილაკები "мол", "де", "дескать" აძლიერებენ მოწყვეტას ავტორისა და ირიბ ნათქვამს შორის, აახლოებენ მათ არასაკუთარ პირდაპირ ნათქვამს. და აწარმოებენ თითქოს გარდამავალ კონსტრუქციებს თანამედროვე ქართულში ნაწილაკები „მეთქი“, „თქო“, „ო“, დაერთვის პირდაპირ ნათქვამს. ა. ჯიქიას დისერტაციაში ვკითხულობთ: „პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან მოუბარი პირის ნათქვამის განმეორებას უცვლელად. ესენია, ო, მეთქი, თქო ნაწილაკები, რომლებიც ირიბ ნათქვამში არ გამოიყენება.

ნაწილაკები „მეთქი“, „თქო“, და „ო“ — სიტყვასიტყვითი ნაწილაკებია, ვინაიდან ისინი დაერთვის მოუბრის ნათქვამს და გადმოგვცემს მას ზუსტად, უცვლელად. ქართული ტექსტის, „არსენა მარაბდელის“, თარგმნისას ჩვენ შევამჩნიეთ ერთი თავისებურება: ამღავარი

წინადადებების თარგმნისას რუსულზე ნაწილაკების მიერ შეტანილი ელფერი, გადმოიცემა, როგორც წესი, ირიბი ნათქვამის ფორმით.

შევადაროთ:

„კუჭატელიც გადამეკიდა, მაგრამ ამას არა უშავს რა, გუშინ ლაპარაკს მოვკარი ყური: პატარა ბატონი ჩემს ქალბატონს ეუბნებოდა ბასილას რუსეთიდან რამდენიმე კომლი ყმა დაუბარებიაო“.

Теперь ещё и Кучатнели пристаёт. да этот, ничего, вот вчера, молодой барин рассказывает барыне что майор выписав из России несколько домов крепостных.

თარგმანი რუსულიდან ქართულში გვიჩვენებს შესაბამისობას რუსული ენის ირიბ მეტყველების კონსტრუქციებსა და სიტყვა-სიტყვით ნაწილაკების „მეთქი“, „თქო“, და „ო“ კონსტრუქციებს შორის.

მაგალითები:

Чоп рассказывал, что два часа назад извозчик Шалико привез десять связок лука и вывалил их на кухню (П. Колхида).

ჩოპმა უთხრა, რომ საათი იქნება მეეტლე შალიკომ ათი გალა პრასი მოიტანა და სამზარეულოში დაყარაო.

აქ რუსული ტექსტის ირიბი ნათქვამი ქართულზე გადმოიცემა პირდაპირი ნათქვამით.

პირდაპირ ნათქვამის კონსტრუქციები „მეთქი“, „თქო“ და „ო“ ნაწილაკებით და მის გარეშე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პირდაპირი ნათქვამის კონსტრუქციით ნაწილაკების გარეშე სხვისი ნათქვამი გადმოიცემა იმ პირის მიერ, ვისაც ეს ეკუთვნის; ნაწილაკებთან პირდაპირ ნათქვამში — ავტორის ან სხვა პირის მიერ.

ლიტერატურა

ვინოგრადოვი, 1974 — ვ. ვინოგრადოვი, „რუსული ენა“, მოსკოვი, 1974.

ძიძიგური, 1965 — შ. ძიძიგური, ირიბი მეტყველების დასაცავად, „ცისკარი“, 1965.

ჯიქია, 1972 — ნ. ჯიქია, სხვათა სიტყვა ქართულში, საკ. დისერტაცია, 1972.

შანიძე, 1980 — თ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველი, თბ., ტ. 1, 1980.

კვაჭაძე, 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

მურზინი, 1969 — ლ. მურზინი, სხვათა სიტყვა და მისი ტიპოლოგია. წიგნ. ლექსიკა. გრამატიკა. პერმი, 1969.

M. TSERTSVADZE, IZ. RUSADZE

Reported Construction Particles in Russian and Georgian

Summary

The paper contrasts the Georgian and Russian reported construction particles viz Georgian - metki, tko, o, Russian mol, dc, deskať.

In indirect constructions the above enumerated Russian particles intensify the gap between the speaker and the indirect speech.

The Georgian particles metki, tko, o, are associated with direct speech. The given Georgian forms are conveyed in Russian by means of indirect speech.

ენო ციხიშვილი

უნიშნო და -ი სუფიქსიანი წყვეტილი საშუალო მართულში

საშუალო ქართულში წყვეტილის უნიშნო და -ი სუფიქსიანი ფორმების შესწავლისას ამოსავალ ვითარებად ავიღეთ თვალსაზრისი, რომელიც მწკრივის წარმოების ტიპის განსაზღვრას საყრდენი მორფემის სტრუქტურით გულისხმობს (გოგოლაშვილი, 1984). აღნიშნული ცნების შემოტანამ შესაძლებელი გახდა -ი ბოლოსართის ზუსტი კვალიფიკაცია და, შესაბამისად, უნიშნო და -ი მწკრივის ნიშნად ფორმათა გარკვეული წესრიგით დაჯგუფება. ძველ ქართულში უნიშნოდ იწარმოებოდა უმარცვლო ან რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები. თანამედროვე ენაში ისინი I და II ყალიბებად დაჯგუფდნენ: უმარცვლო და ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები წყვეტილის წარმოების II ყალიბში გაერთიანდნენ. აქ გამოვლენილ -ი ელემენტს მარედუცირებადი ძალა აქვს და ნულთან არ მონაცვლეობს, ხოლო ისეთმა ზმნებმა, რომელთა მარცვლოვანი საყრდენი მორფემაც სრულ რედუქციას განიცდიდა, ახალ ქართულში I ყალიბი შექმნეს. აღნიშნულ ფორმებთან არსებული -ი ნიშანი მორფოლოგიურად უფუნქციოა და ნულთან მონაცვლეობს (გოგოლაშვილი, 1984, 94-95). საშუალო ქართულში უნიშნო და -ი სუფიქსიანი ფორმების კვლევისას ძველ და ახალ სალიტერატურო ენებს შორის არსებული სხვაობაა მნიშვნელოვანი, რომელშიც რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ, კერძოდ: ა) სრულად რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის შემცველი ზმნები მხ. რიცხვში ძველად თუ უნიშნოდ იყო წარმოდგენილი, ახალ ქართულში მათ ნართაული -ი ხმოვანი დაირთეს (მოვ-კალ-Ø → მოვ-კალ-(ი); ბ) უნიშნო წყვეტილის ზმნათა მრ. რიცხვის ფორმები ძველი ქართულის ადრეულ ეტაპზე თუ -ი-ს გარეშე იყო, ახალ ქართულში მათ -თ სუფიქსის წინ -ი ელემენტი სისტემებრ გამოავლენს (მოვ-კალ-თ → მოვ-კალ-ი-თ, დავა-ბ-თ → დავაბ-ი-თ); გ) ნაწილობრივ რედუცირება-

დი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები ძველ ქართულში არ დაირთავდნენ -ი მწკრივის ნიშანს. ახალ ქართულში ამის საპირისპიროდ -ი სუფიქსიანი ფორმები მივიღეთ (ვ-თქუ-Ø → ვ-თქუ-ი(ვთქუ)); დ) უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველი ზმნები ძველი ქართულის ადრეულ საფეხურზე უმწკრივისნიშნონი იყვნენ, ახალ ქართულში -ი ყოველთვის არის წარმოდგენილი (დავა-ბ-Ø → დავა-ბ-ი).

საშუალო ქართულში უნიშნოდ იწარმოებენ წყვეტილის მწკრივის სრულად რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემების მქონე „მოვკალ“ ტიპის ზმნები, რომელთაც მრ. რიცხვში სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსის წინ ნართაული -ი მოუდის. აღნიშნული ტიპი წყვეტილის წარმოების I ყალიბია. ასეთი წარმოება გვხვდება როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ტექსტებში, როგორც სასულიერო, ასევე საერთო ჟანრის თხზულებებში, ისტორიულ საბუთებსა თუ სამართლის ძეგლებში, ლაბიარულ წარწერებსა და „ქართლის ცხოვრების“ წიგნებში:

კაცს შუბი ვჭკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა (გეფხ., 439, 3).

აწ გეწყალოდეს პატრონი ჩემი მზეჭაბუკი, რომელ ვითარცა კაცთა მუხთლად მოჭკალითო (ამირ., 633, 3).

ხოლო თქუენ ნუგეშინის-გეცით ერისა ამისთვის, რომელ ივსნა ღმერთმან შვდას ოთხმოცი ათასი (ქ. ცხ., I, 176, 20).

ბასილი ჳმაყო: „ვა მე, რად მომკალ სიწყალობელი და საბრალო, წმიდაო მოწამეო! (აბუს. ტბელი, 62, 103).

I ყალიბის უნიშნო ფორმათა გვერდით საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ენობრივ ძეგლებში ძალზე იშვიათად ძველი ქართულის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ფორმებიც გამოერევა ხოლმე აქა-იქ. ესენია უმარცვლო და ნაწილობრივ რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები (დავა-ბ-Ø, ვ-თქუ-Ø), რომლებიც ახალ ქართულში წყვეტილის წარმოების II ყალიბის ზმნებს შეუერთდნენ.

ნაწილობრივ რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე უნიშნო ფორმათაგან უმრავლესობა „ვთქუ“ და „ვარქუ“ ზმნებია, რომლებიც უმეტესად „ქართლის ცხოვრებაში“ და სამართლის ძეგლებში შეგვხვდა, თითო-თითო ზმნა სულხან-საბას „სწავლანში“, ბესიკისა და არჩილის პოეზიაშიც დადასტურდა:

და განკარგებულ მივეხსნე და ვარქუ ესრეთ (ქსდ., I, 114, 9).
და დაგხუ ებისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო (ქსდ., I, 179, 11).

რა სთქუ, ვინ შემძლებელ არს ამისდა ქმნად, მოგონებად და სმენად, რამეთუ განსაკრებელ არს? (ქსდ., I, 86, 8).
ყოველივე მსახურება წმიდისა ამის ხატისა ღმრთაებისა აღვა-სრულე და გუჯარი ესე აღმოვთქუ (ქსდ., II, 383).
ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგან მეღიზღებოდა და მე ვარქუ (საბა, სწავლ., 178, 547).

ვარქუ მე: მაგად ვიხარო რად ე! (ბეს., გვ. 14, 2, 1).

ცოტა რამ ლექსად აღმოვსთქუ სიტყვები მე შესაქმისა (არჩ., I, გვ. 90, 64, 4).

რაც შეეხება უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველ ზმნებს, რომლებიც ასევე უნიშნო წარმოებისანი არიან, ძველი სალიტერატურო ენიდან შემორჩენილი ეს იშვიათი ფორმები მხოლოდ არჩილის პოეზიაში აღმოჩნდა. მათი დანიშნულება აქ მუხლედთა თანაბარ-მარცვლიანობის დაცვა უნდა იყოს:

ერთბაშად დაანთქ ყოველნი და უფრო შენი ამყოლნი (არჩ., I, გვ. 58, 322, 4).

სასწაულითა მოწუებულითა

დაიდგ გვირგვინი, არა ხელადა (არჩ., I, გვ. 234, 45, 4).

ამ ტიპის უმწკრივისნიშნო სხვა ზმნები არ შეგვხვდრია, თუ არ ჩავთვლით ბრძანებითის ფორმებს, რომელთაც სხვაგან საგანგებოდ შეგვხვებით.

საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში წყვეტილის უნიშნო ზმნათა პარალელურად იშვიათად ნართალხმოვნიანი ფორმებიც შეინიშნება. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში არეკლილია ის ხანგრძლივი პროცესი, რაც სალიტერატურო ენამ წყვეტილის I ყალიბის ზმნებში უნიშნო წარმოებიდან სუფიქსურ წარმოებად გადაიარა.

„ვეფხისტყაოსანში“ I ყალიბის უამრავი უმწკრივისნიშნო ფორმის გვერდით მხოლოდ რამდენიმე -ი ელემენტიანი ზმნა შეგვხვდა. თითქმის ყველა შემთხვევაში სალექსო საზომითაა განპირობებული აღნიშნული სუფიქსის დართვა:

ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული (ვეფხ., 4, 2).

„ვთქვენი“ ფორმა აქ თუ მუხლედთა თანაბარმარცვლიანობისათვის არის შეწყობილი, სხვაგან იმავე ზმნაში ნართალხმოვანს რითმისათვის მიმართავს რუსთაველი:

მე, გლახ, რა ვარ, მიწა ცუდი, თავით ჩემით რამცა **ვქმენი**,

აწ დავხოცენ მტერნი თქვენი, გავასრულე რაცა **ვთქვენი**

(ვეფხ., 1039, 2-3).

ამ უკანასკნელში „ვთქვენი“ ზმნა შინაგან-გარეგანი რითმის მაგალითია, შეთანხმებულია როგორც სხვა ტაეპთა, ასევე შინაგანი მუხლის დაბოლოებებთან. გარდა ამისა, ზმნაში -ენ მხოლოდ რითმის გამოა, ნარიანი პირდაპირი ობიექტი ფრაზაში არსად ჩანს.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ -ი ელემენტი XVI საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ სამართლის ძეგლში, კერძოდ, 1563-1564 წლის წყალობის სიგელში დადასტურდა:

სადაც რომ დაგასაქმე-ან ყენთან და ან ხვანთქართან-ყოვლგნით კარგის საქმობით **მომიხვედი** (ქსდ., II, 192).

ჩვენ მიერ მოკვლეულ მხატვრულ ტექსტებში კი XVII საუკუნემდე არ შეგვხვდრია აღნიშნული ელემენტი. XVII საუკუნიდან, სახელდობრ, თეიმურაზ I-დან მოყოლებული ის თითქმის ყველა ავტორთან შეგვხვდა.

ცნობილია, თეიმურაზ I იმჟამინდელი სპარსული პოეზიის დიდ გავლენას განიცდის, როცა მაჯამამ, ხელოვნური, ამოუცნობი ტიპის ლექსებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მართალია, ქართველი პოეტისათვის მაჯამა მხოლოდ მხატვრული გამოხატვის ომონიმურ ხერხს წარმოადგენს, მაინც მის პოეზიაში ბევრია ბუნდოვანი შესიტყვებანი და არასწორი გრამატიკული ფორმები. სწორედ მის ლირიკულ პოემა „მაჯამაში“ და „ვარდ-ბულბულიანში“ ვხვდებით I ყალიბის მხ. რიცხვში მდგარ ზმნებთან ნართალხმოვანს -ი-ს. ორგანვე -ი ნიშნის ზმნები მოსაზღვრე ტაეპებთან რითმებადაა შეწყობილი:

უსუსოდ ვიყავ უმისოდ, რაც ხანი **წავიარენი**,

მან მომაღხინა, ვისი მძღვეს მე სუფთა არე-მარენი (თეიმ. I, გვ. 124, 27, 3).

აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე, **გამაყვითენი**,

შენი ბრალია, შემშალე, თეთრ-წითლად პირი მითენი (თეიმ. I, გვ. 11, 71, 3).

თუ რუსთაველთან და თეიმურაზ I-თან -ი სუფიქსიან ფორმათა გამოყენება სალექსო მეტრიითა და რითმითაა განპირობებული, არ-

ჩილის პოეზიაში I ყალიბის ზმნებთან მხ. რიცხვში ნართაული **-ი** ზოგჯერ ამგვარი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად გვხვდება:

ამისთვის **გჰქენი**, მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს და მეო,
თვარე რაც გინდა, იგი ქმენ, შენ მანდ ზიხარ და ა მეო (არჩ., II, 413, 3).

საინტერესო ფორმაა არჩილის საისტორიო პოეზიაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“:

ჩვენ წახდენად ქვე დაგყარენ, შენ სეფევის ტახტასა **ადი** (არჩ., II, 1098, 4).

ეს უკანასკნელი **-ი** სუფიქსიანი „ახვედი“ ზმნის წართქმითი ბრძანებითის ახალ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ფორმაა, მაგრამ აქ კონტექსტით თხრობითი კილოა ნაგულისხმევი. ასეთი ფორმები თხრობითი კილოს წყვეტილისა დასავლეთ საქართველოს დიალექტური წრისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. მწერალი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში ავიდა იმერეთის სამეთო ტახტზე, სადაც XVII საუკუნის მიწურულს რამდენიმე წელი დაჰყო. ბუნებრივია, თუ არჩილის პოეზიაში ამ დიალექტური წრისათვის ნიშანდობლივი ფორმები შეგვხვდება.

უღებს რა კარს ახალ ფორმებს თავის პოეზიაში, ამავდროულად ცდილობს, მცირეოდენი ხარკი ძველისთვისაც გაიღოს იქ, სადაც ამას სალექსო საზომი მოითხოვს. არჩილის პოემებში მრ. რიცხვის ძველი სამწერლობო ენისათვის ნიშნული ფორმებიც დასტურდება, რომლებშიც ნართაული ხმოვანი **-თ** სუფიქსის წინ არ ჩანს:

ვერავინ **იცანთ**, ვერც **გამოიცანთ**
მისი ცხოვრების მოუნახველად (არჩ., I, გვ. 232, 36, 7).

XVII საუკუნის პოეტი თეიმურაზ II მხოლოდ პროზაულ ტექსტში მიმართავს ნართაულ **-ი**-ს, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული ელემენტი მართოდენ პოეტური აქსესუარი კი არა, უკვე თანამედროვე საზოგადოების სასაუბრო ენაში კარგად დამკვიდრებული გრამატიკული ფორმანტია:

ჰკითხა: თუ: „რასათვის **მოჰკალიო!**“ (თეიმ. II, 162, 39).
თუმცა ამავე ტექსტში იგივე ზმნა **-ი** ელემენტის გარეშეა:
აწე, თუ შენი შვილი არ **მოჰკალ**, ან მოგკლენ და ან
ტახტიდაღმე გარდაგადებენ (თეიმ. II, 185, 13).

საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ზემოხსენებულ ფორმებს იყენებს. მხოლოდ „სიბრძნე სიცრუესა“ და „მოგზაურობა

ევროპაში“, „მხატვრულ პროზაში ახალი ქართული სალიტერატორო ენის გამომხატველია სულხან-საბა. „სიბრძნე სიცრუესა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ ამის საბუთია“ (კეკელიძე, ბარამიძე, 1954, 402):

ვაი, ჩემო რძალო, რა უბრალოდ **მოკალიო!** (საბა, ს.ს., 57).
მე მეორესაც დღესაც იქ **დავდექი** (საბა, მოგზ., 161).

„სწავლანი“ რელიგიურ-სამოდერებო ხასიათის თხზულებაა, ამგვარი თხრობა კი ძველ სამწერლობო ენასა და სტილს ემყარება. ამიტომაც აქ „მოვკალი“ ტიპის ნართაულხმოვნიანი ზმნები არ შეგვხვდრია. მაგრამ ვნახეთ მრ. რიცხვის ფორმა I ყალიბისა, სადაც თანხმოვანთგამყარის ფუნქციის მქონე **-ი** არ ჩანს. ეს არის თხზულების დასასრულს შემდეგი ფრაზის **B** ვარიანტში, რომელსაც **A** ვარიანტში **-ი** სუფიქსიანი ფორმა უპირისპირდება:

და სული წმიდა სახითა ტრედისა თა დაადგრა თავსა მისა.
ამით **გსცანთ** (საბა, სწავლ., 229, 9).

სწორედ სასულიერო თემატიკა განაპირობებს იმას, რომ გურამიშვილის რელიგიურ ლირიკაში ვერსად ვხვდებით „მოვკალი“ ტიპის ზმნებს, სამაგიეროდ, აქვე, „უკვდავების წყაროს იგავში“ აღმოჩნდა ძველი ქართულისეული ფორმა მრ. რიცხვისა, სადაც სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსის წინ ნართაული **-ი** არ გვაქვს:

აგრევე მზრდელი ყოველთა **გსცანთ** გასაზრდელი ბაგითა
(დავითიანი, გვ. 38. 80, 4).

I ყალიბის ნართაულხმოვნიანი ზმნები გურამიშვილთან მხოლოდ „ქაცვია მწყემსშია“, რომელსაც საყოფაცხოვრებო პოემად მოიხსენებენ კრიტიკოსები:

მღრღელმან მიუთხრა: „როგორ **დაგკალი?**
გამაგებინე მე გზა და კვალი,
ასეთი რა **გქენი** (დავითიანი, გვ. 216. 247, 1-3).

ბესიკის პოეზიაშიც შეგვხვდა ორიოდ **-ი** ელემენტიანი ზმნა. ერთ-ერთ სტრიქონში გვერდი-გვერდ არის ერთი ფუძის **-ი** ელემენტის და უნიშნო ზმნები:

ჭირი სრულად ვიალაფე, **ავდექი** და **დავდექი** ჭართალს (ბეს., გვ. 74. 30, 1).

მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული ხმოვანი არ დაფიქსირდა საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის ისტორიულ საბუთებსა და წარწერების კორპუსში. შესაძლოა, თავად მასალის სიმციროს გამო

ვერ ვნახეთ აქ ჩვენთვის საინტერესო ფორმები. ვერ მივაკვლიეთ მათ ვერც „ქართლის ცხოვრებაში“; გარდა ერთი მოგვიანო ხანის ხელნაწერისა. ეს არის ახალი ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ტექსტი, რომელიც XVII საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს გადაწერილი:

რამეთუ ესეოდენი ბოროტი გიყოფიეს და არა **განსძელი** სისხლთა ჩუენთაგან (ქ. ცხ., II, 461, 17).

ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ფორმები აღნიშნული ძეგლებისათვის თუ უცხოა, სამაგიეროდ, „მოვკალთ“ ტიპის ძველი წარმოების ზმნებია მათში აქა-იქ შემორჩენილი.

საინტერესო მაგალითს შევხვდით ქართული სამართლის ძეგლებში. XVIII საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ სამართლებრივ ძეგლში გვერდი-გვერდ არის „დავსჯთ“ და „დავსხით“ ზმნები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ ფორმაში **ჯარია** შემორჩენილი, ახალში კი — **ხანი**. ამასთან ახალში არ ჩანს ნარიანი პირდაპირი ობიექტის ამსახველი ფორმანტი. კარგად იკვეთება ამ დოკუმენტის შემდგენლის ენობრივი პოზიცია: შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი და სტილი მისგან ძველი ენობრივი ნორმების დაცვას მოითხოვს, ცოცხალი სასაუბრო ენის ინერცია კი ავტორს ახალი ფორმების გამოყენებისაკენ უბიძგებს:

დავსხედით და **დავსჯთ** წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევფთვიმე; **დავსხით** ვეზირნი, და ეპისკოპოზნი და მოურავნი (ქსძ., I, 401).

მრ. რიცხვის ხსენებული ფორმები შემორჩენილია „ქართლის ცხოვრებაშიც“. ყველა მათგანი ე. წ. „ძველი ქართლის ცხოვრების“ ქრონიკათა კრებულშია. საგულისხმოა, რომ ამ არქაულ ფორმათა უმრავლესობა იმ ეპიზოდებში დაფიქსირდა, სადაც ქრისტიანობაზე, უფალზე, მაცხოვარზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეზე უადრესი ნუსხები არ მოგვეპოვება, მაინც აშკარაა ზოგიერთი გადამწერის მცდელობა, ხელნაწერი დედანს დაუახლოვოს და მაქსიმალური სიზუსტით მიჰყვეს სასულიერო მწერლობის ტრადიციას იქ, სადაც თხრობა რელიგიურ საკითხებს შეეხება, მაგალითად:

მშუდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ **მოჰკალთ** თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელ შემოქმედისა (ქ. ცხ., I, 99, 11).

განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად **ვიბყართ** სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა (ქ. ცხ., I, 146, 7).

ანუ თუ ვითარ მოვიქცით და მოვიღეთ სჯული ქრისტიანობისა და **ვიცანთ** ღმერთი, ისმინეთ მოთხრობილი აბიათარისა (ქ. ცხ., I, 363, 22).

წყვეტილის **-ი** სუფიქსიან წარმოებაში იშვიათი ნართაულხმოვნია ფორმებისაგან განცალკევებით დგანან II ყალიბის ზმნები. ამ უკანასკნელთა უმარცვლო საყრდენ მორფემას მწკრივის მაწარმოებლად მიერთვის **-ი** ხმოვანი, რომელიც გენეზისითა და ფუნქციით განსხვავებულია I ყალიბის ზმნებში დადასტურებული ნართაული **-ი**-სგან (გოგოლაშვილი, 1984, 94).

საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მოკვლეულ სამწერლობო ძეგლებში წყვეტილის **-ი** სუფიქსიანი წარმოების ძირითად ნაწილს სწორედ II ყალიბის ზმნები ქმნიან, განსხვავებით ახალი ქართულისაგან, სადაც, პირიქით, ნართაულხმოვნია ფორმები ჭარბობენ.

საშუალო ქართულში II ყალიბით იწარმოებენ წყვეტილს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები.

მოქმედებითთაგან ამგვარ წარმოებას მიმართავენ **-ამ** თემისნიშნის ზმნები, **-ავ** თემისნიშნისაგან ორიოდ (დავწვი, დავფქვი) და **-ებ** თემისნიშნისაგან — ერთი (გავუშვი):

გული **დავაბი** ათასითა ბასრითა ტოილოითა (ვისრ., 279, 4).

რად, სოფელო, სხვა არ **დასწვი** ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?

(თეიმ., I, გვ. 110, 85, 1).

გუეჰაჯა, რომელ ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ეღვა ფუძესა ზედა, რათამცა იგი **გაუშუით** (ქსძ., II, 36, 16).

ვნებითი გვარის ზმნათაგან II ყალიბით იწარმოება **-დ** სუფიქსიანი ვნებითები, „უნიშნო ვნებითთა“ ნაწილი, ზოგი პრეფიქსიანი ვნებითი და სათანადო სტატიკური ვნებითები:

ბნელში მგდებარე გამოვედ გარე,

ვითა **დავღამდი**, ისევ **გავსთენდი!** (დავითიანი, გვ. 112, 6, 4).

ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, **დავშოთი** ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა (ქ. ცხ., II, 215, 8).

სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად **დაებია?!!** (თეიმ., I, გვ. 139, 12, 4).

წყვეტილის -ი სუფიქსიანი II ყალიბის ზოგიერთი ზმნის საყრდენი მორფემა ისტორიულად მარცვლოვანი იყო და, შესაბამისად, ისინი უმწკრივისნიშნონი იყვნენ:

შევი-რტყ-ი ← შევი-რატყ-ღ

დავ-წვ-ი ← დავ-წუ-ღ

მოვ-კვდ-ი ← მოვ-კუედ-ღ

შევ-კრთ-ი ← შევ-კერთ-ღ (გოგოლაშვილი, 1984, 34-35).

ამ ისტორიული ვითარების კვალი ალაგ-ალაგ შემორჩენილია საშუალო ქართულის ძეგლებში:

უკმოვისაშ კარი, ჩემგან მათი ჰვრეტა ვერა ცნენსა (ვეფხ., 1120, 4).

რად არ მოკუედ მამისა ჩემისგან წინათ (ვისრ., 52, 17).

ჰ ჩემდა, ნუ უკუე და-სამე-ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ **შე-სამე-ვსცეთ** სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 13).

დავასკვნით, საშუალო ქართულში უნიშნო წარმოებისა I ყალიბის „მოკვალ“ ტიპის ზმნები და იშვიათი გამოვლინების ფორმები, რომელთა საყრდენი მორფემა უმარცვლო (დავა-ბ-ღ) ან საწილობრივ რედუცირებადია (ვ-ტქუ-ღ). ამ უკანასკნელთ ახალ ქართულში წყვეტილის მწკრივის მაწარმოებლად -ი სუფიქსი მიიღეს და II ყალიბის ზმნებს შეუერთდნენ. ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები ისტორიული ჟანრის თხზულებებში, სახელობრ, იურიდიულ დოკუმენტებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ შეგვხვდა. რამდენიმე ამგვარი ფორმა სამიოდე მწერლის ცალკეულ ნაწარმოებებშიც შევნიშნეთ. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულთა უმეტესობა „ვთქუ“, „ვარქუ“ ზმნათა ფორმებია. რაც შეეხება უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველ ძველი ქართულის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელ ფორმებს, ისინი მხოლოდ არჩილის პოეზიაში დადასტურდა.

უნიშნო წარმოების „მოკვალ“ ტიპის ზმნათა გვერდით იშვიათად ნართალხმოვნიანი ფორმებიც გამოვლინდება. ფაქტი, რომ აღნიშნული პერიოდის სამწერლობო ძეგლებში მხ. რიცხვის ფორმებთან ნართალხმოვნიანი -ი იშვიადად გვხვდება, მიგვანიშნებს იმაზე, რომ საშუალო ქართული დასახელებულ ფორმებში მისი დამკვიდრების ეტაპს წარმოადგენს. ანუ საშუალო ქართულის სალიტერატურო ენაში წყვეტილის წარმოების I ყალიბის ზმნათა მხ. რიცხვის ფორმები უნიშნო წარმოებიდან -ი სუფიქსიან წარმოებაზე გადადის. ეს ეტაპი

შეიძლება 2 ქვეტიპად წარმოვადგინოთ: I — საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის დასაწყისიდან XVI საუკუნემდე და II — XVI საუკუნიდან ამ პერიოდის დასასრულამდე. XII-XV საუკუნეები ის საფეხურია საშუალო ქართულისა, როცა ნართალხმოვნიანი -ი მხოლოდ მრ. რიცხვის ფორმებთანაა სისტემებრ წარმოდგენილი, მხ. რიცხვში კი ის თითქმის ჯერ არ მოჩანს. თუმცა ამ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში აღნიშნული ელემენტი უკვე დამკვიდრებულად მოიაზრება. წყვეტილის მწკრივის I ყალიბის ზმნათა წარმოებისას აღნიშნული ენობრივი პერიოდი ახალ სალიტერატურო ფორმებს გზას XVI საუკუნიდან აძლევს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ „მოკვალი“ ტიპის რამდენიმე ზმნა დადასტურდა, მათი გამოყენება აქ ყველა შემთხვევაში პოეტური აუცილებლობითაა განპირობებული. XVI საუკუნის სამართლებრივ ძეგლში შეგვხვდა პირველად ამგვარი ნართალხმოვნიანი ფორმა. აქედან მოყოლებული I ყალიბის ზმნებთან ნართალხმოვნიანი იშვიათად, თუმცა, მაინც ყველგან გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით სულხან-საბას „სწავლანს“ და „დავითანის“ ნაწილს. ორივე ძეგლში რელიგიური თემატიკაა წინ წამოწეული, რაც, სასულიერო მწერლობის ტრადიციისამებრ, ძველი ენობრივი ნორმებისა და ძველი სტილის დაცვას მოითხოვს ავტორისაგან. აღნიშნული ელემენტი მოვიძიეთ ამ პერიოდის როგორც პროზაულ, ისე პოეტურ თხზულებებში. თავად პოეზიაში შეგვხვდა იგი არა მხოლოდ როგორც ლექსთწყობის იარაღი, არამედ როგორც თავისთავადი გრამატიკული ფორმანტიც. არაპოეტურ ტექსტებში მრ. რიცხვის ფორმებთან ნართალხმოვნიანი -ი-ს გამოვლენა კი ცხადყოფს, რომ ის საშუალო ქართულის სალიტერატურო ენაში ფეხს იკიდებს.

თუ „მოკვალი“ ტიპის ზმნებმა ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალებში ოთხი ათეული შეადგინა მხოლოდ, ნართალხმოვნიანი -ი მრ. რიცხვის ფორმებთან ყოველთვისაა წარმოდგენილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ამ გამონაკლისთა უმრავლესობას „სამართლის ძეგლებში“ და „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში მოვაკვლიეთ. ხელნაწერთა პირველწყაროები XI-XII-XIII საუკუნეებს ეკუთვნის. და, რაც მთავარია, „მოკვალთ“ ტიპის ძველი ქართულისეული ზმნები ისტორიულ ქრონიკათა იმ ეპიზოდებში ვნახეთ, სადაც ავტორები სარწმუნოებრივ პრობლემატიკას შეეხებიან. ამავე მიზეზითაა განპირობებული „მოკვალთ“ ტიპის ზმნათა გამოჩენა სულხან-საბა ორბელიანთან და დავით გურამიშვილთან. ცალკეა აღსანიშნი არჩილის პოეზია, რომელიც

ენობრივი სიჭრელით გამოირჩევა. აქ თითქმის თანაბრად გვხვდება ძველი და ახალი ფორმები. თუმცა არჩილის შემოქმედებაში მონიშნული მრ. რიცხვის ჩვენთვის საინტერესო ზმნები სალექსო საზომს ემორჩილება. საერთოდ კი „მოვკალთ“ ტიპის ზმნათა რიცხვი საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში ორ ათეულს აღწევს.

ნართალის **-ი** წარმომავლობით და ფუნქციით განსხვავებულია **-ი** ნიშნისაგან, რომელიც უმარცვლო საყრდენი მორფემის ზმნებთან გვხვდება წყვეტილის მაწარმოებლად. ესენია II ყალიბის ფორმები, რომელთაც საშუალო ქართულის სალიტერატურო ენის სისტემაში უკვე გამოკვეთილი ადგილი უკავია.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი, 1984 — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

კეკელიძე, ბარამიძე, 1954 — კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954.

შემოკლებათა ბანარტმანი

აბუს. ტბელი — აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთან, 1233 წ. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ამირ. — „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ., 1967.

არჩ. — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936; ტ. II, ტფ., 1937.

ბეს. — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. თოფურია, ტფ., 1932.

დავითიანი — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1955.

ვეფხ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძისა, პ. ინგოროვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, თბ., 1966.

ვისრ. — „ვისრამიანი“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარია და მ. თოდუამ, თბ., 1962.

თეიმ. I — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ჯაკობიამ, ტფ., 1934.

თეიმ. II — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო გ. ჯაკობიამ, თბ., 1939.

საბა, ს.ს., მოგზ. — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

საბა, სწავლ. — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, სწავლანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო იგ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

ქსძ. I — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.

NINO TSIKHISHVILI

The Aorist with the Suffix *i* and with no Marker in Medieval Georgian

Summary

In Medieval Georgian the verbs of the type "movkal" (I killef) as well as those with monosyllabic or partially reduced stems have no markers in the Aorist. Alongside the mentioned verbs there is a group of verbs that take the dummy grammatical marker *i* in the Aorist.

The dummy marker: first appeared in Medieval Georgian. The evolution of the marker in question covers two periods I _ from the beginning of the Medieval period up to the 15th c. II _ from the 16th c. up to the present day. In the 12-15th centuries the dummy marker *i* was evidenced only with plural forms, no instances of its usage with singular forms are testified.

ცირა ძაძაშია

ფერ- ძირი ქართველურ ენებში

ფერთა ლექსიკის კვლევა დაკავშირებულია თვით ზოგადი სახელ-წოდების სემანტიკასთან, ის დიდ პოლისემიურობას ამჟღავნებს და ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია ერთი და იმავე **ფერ-** ძირით ენაში.

ცნობილია, რომ სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის ცალსახა ურთიერთობის დარღვევის სამი ტიპი გამოიყოფა, ესენია: პოლისემია, ომონიმია და სინონიმია. პოლისემია კონტექსტთან მჭიდრო კავშირშია, ის სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებს მხოლოდ რეალურ კონტექსტზე, სიტუაციაზე მითითებით (ფოჩხუა, 1974, 119). სიტყვათა აზრობრივი შესამება ზოგჯერ არალინგვისტური, ობიექტური სინამდვილით განისაზღვრება და დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, ცვალებადია დროსა და სივრცეში. გარე სამყაროს მრავალფეროვნების ასახვა არსებული სიტყვების მარაგით ზოგჯერ შეუძლებელია. ამიტომ ბევრი სიტყვა სემანტიკურად უაღრესად დატვირთულია.

ლინგვისტური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სხვა ლექსემებთან შეწყობის პოტენციური შესაძლებლობით. ამ მხრივ სიტყვა „**ფერ**“-ი პროდუქტიულია როგორც ძველსა და ახალ ქართულში, ასევე მეგრულში.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვას „**ფერ**“-ი ოთხი მნიშვნელობა აქვს:

1. შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ არეკლილი სინათლე;
 2. ადამიანის სახის ასეთი თუ ისეთი შეფერილობა;
 3. მოვარდისფრო საღებავი სახისა (ხმარობდნენ უმაროლთან ერთად);
 4. ვისიმე შესაფერი.
- გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში:

ფერი ეცვლება, ფერი მისდის — სახის ფერს კარგავს, შიშისაგან, ავადმყოფობისაგან ფითრდება.

ფერი დაედება — ფერს მიიღებს.

რაც შეეხება ძველ ქართულს, აქ „ფერისათვის“ მხოლოდ ერთი სემანტიკური მაჩვენებელია — ესაა „სახე“, ხოლო **ფერის** მნიშვნელობას გადმოსცემს ამ ძირისაგან მომდინარე დერივაციული სიტყვა „ფერ-ოვ-ნ-ებ-ა-“.

მეგრულ ლექსიკონებში სიტყვა „ფერ-ი“ შემდეგნაირადაა განმარტებული:

1. **ფერი** — ფერი, მსგავსი, ნაირი, ისეთი (ქაჯაია, 2001, 94)
2. **ფერი** — ფერი (ჭარაია, 1998, 135)

სვანურ ენაში **ფერ** ლექსემას, გარდა იმისა, რომ ზოგადი სახელ-წოდებაა სხვადასხვა კონკრეტული შეფერილობისა, აქვს ომონიმური მნიშვნელობაც, მაგრამ მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში; ესაა „კვეთიანი რძის ამოსარევი ჩხირი“.

ჟიდიშ ლ ჩდინა **ფერ** ჩუამთუაფ — „კვეთის ამოსარევი ჩხირი დამეკარგა“.

გფიქრობთ, ფერ სიტყვის მეორე მნიშვნელობას არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს შეფერილობასთან და ალბათ უნდა უკავშირდებოდეს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დადასტურებულ შესაბამის ფორმებს:

ლა-ფერ-ი (ზემო აჭარული):

1. ხის პატარა ბრტყელი ნიჩაბი, კარაქის ამოსაღები;
2. მოხარშული მხლის საკები შენელების წინ;
3. წყლის გადასაგდები წისქვილის ღარიდან.

ლა-ფერ-ა, ლა-ფ-ერ-ე (გურული):

ხის ფართო და სწორპირიანი კოვზი, ღომის ამოსარიგებელი.

ლა-ფარ-ა (იმერული):

ფქვილის ამოსაღები ალაოდან წისქვილში.

მეგრულში **ფერ-ი** სიტყვით გამოხატულია:

1. შეფერილობა საგნისა, ადამიანის კანისა, თმის ფერისა, ცხოველის ბეწვისა, ქსოვილისა, ძვირფასი თვლისა, მცენარისა, მეტალისა და ა. შ.

ვარდ-იშ-ფერ-ი ღვანწყამი — „ვარდისფერ ლოყებიანი“;

ტუტა-შ-ფერ-ი თოლეფი — „ნაცრისფერი თვალები“;

ქგლორ-იშ-ფერ-ი | ქილორ-იშ-ფერ-ი ცა — „ხოხბისფერი ცა“.

2. ადამიანის ჯანმრთელობა ან მისი ფსიქიკური მდგომარეობა: **ფერ-უ-ან-ი** — **ფეროვანი** (მდრ. ლეჩხ.: **ფერ-გ-ან-ი** — ჯანსაღი, ფეროვანი, ფერ-ხორციტ სავსე, წითური); **ფერ-გინო-რთ-ელ-ი** — „ფერშეცვლილი“; **ფერ-დონ-წყ-ილ-ი** — „ფერ დაწყობილი“; **ფერ-გინო-ქანქ-ილ-ი** — „ფერგამქრალი“; **ფერ-გინო-ლაფ-ირ-ი** — „ფერ-დაკარგული“; **ფერ-ე-რაჯ-ილ-ი** — „ფერ აკრეფილი“; **ფერ-წა-ულ-ირ-ი** — „ფერწამხდარი“, „წირწამხდარი“; **ფერ-მორთ-ელ-ი** — „ფერ-შეცვლილი“; **ფერ-შა მოული-რი** — „ფეხზე მოსული“; **უ-ფერ-ო** — „უფერული“.

3. არსი —

ირკოც ართიან უჯორდუ დო მითინ ვარწყედ უჩა დღას, მუდგარენი სარკო ორდუ თი თუთაშფერ თუთაშნას (გუდ., 23, 32) „ყველას ერთმანეთი უყვარდა და არავინ იჭო შავ დღეში, რაღაც საოცარი იყო იმ მთვარისფერ ორშაბათს“. მდრ.: „მისგან არს ყოვლი ზელმწიფე, გვაქვს უთვალავი ფერთა"... („ვეფხ.“); „სამთა ფერთა სა-ქებელთა..." („ვეფხ.“).

4. მშვენიერება, სილამაზე:

„მაფურინჯე ფერი“ — „ზედმეტადი („მფრინავი“) ფერი“;

რხიანი ფერი — „მხიარული ფერი“ (მდრ. რხიანი — ეშხიანი), მხიარული (ქაქუ., 564). **სქანი თოლიში რხიან უინათ უკუმელა ინა-თუუ** (სამუშ., 42) — „შენი თვალის ეშხიანი მზერით წყვილიანი ნა-თლდება“;

არიკ-იშ-ფერ-ი — „არაკისფერი“;

ჩე გოთანა-შ-ფერ-ი — „თეთრი გათენების ფერი“;

წნარ-იშ-დიდა-შ-ფერ-ი — „წყლის დედის ფერი“;

ნნარ-იშ-მაფა-შ-ფერ-ი — „წყლის მეფის ფერი“.

5. შესაფერისობა, ტოლობა, მსგავსება, გვარი, ნაირი, სახე...

მა სო ბძირა სქანი ცალი — „მე სად ვნახო შენი მსგავსი“

ტანი გილუ მშვენიერი, ფურინუა ქირიცალო, პიჯიში კანი სქვამი გილუ ატამაში პირიცალო (გუდ., 42, 2) — „ტანი გაქვს მშვენიერი, ფრენა ქორივით, პირის კანი ლამაზი გაქვს ატმის ყვავი-ლივით („პირ-ი-ვით“)“.

6. სიჭრელე:

ფერ-ი-აკორთ-ელ-ი — „ფერშერეული“, **ფერ-ად-ი** — „ნაირგვა-რი, სხვადასხვა ფერისა, ჭრელი“ (მდრ. იმერ., გურ. **ფერ-ა** — **ფერ-ა** „ჭიაფერა — მოწითალო ღეროსა და თეთრი ყვავილების მქონე ბა-

ლახოვანი მცენარე“).

ძველ ქართულში ჭრელი ფერის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ლექსება **ფერო-** (გიგინეიშვილი 1981, 136), მას სულხან-საბა ორ-ბელიანი ასე განმარტავს: „თეთრსა და შავს საშუალი“. თეთრ და შავ ფერებს შორის გარდამავალ საფეხურად, ჩვეულებრივ, რუხ ფერს წარმოადგენენ ხოლმე. საგულისხმოა, რომ სვანურში ფ რუხ, რომე-ლიც უკანა მიმართულების უმლაუტის შედეგი ჩანს (მ. ქალდანი), აღნიშნავს სწორედ რუხ ფერს, ნაცრისფერს:

ნაღუჟურდ **ფ რუ** აბგოლ ჟქოსრეკ ჰინგორს — „ვაჟმა ნაცრის-ფერი აბგები ჩამოჰკიდა უნავირს“ (თოფურია, ქალდანი, 2000, 755). ამგვარი რამ მეგრულში არ შეგვინიშნავს; ასე რომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება სიტყვა „ფერ-ი“-ს ლექსი-კურ შესაძლებლობათა შესახებ (ჩიქოვანი, 1992, 16) გარკვეულ კო-რექტივს საყიროებს.

ფერ- ძირი ყველა ქართველურ ენაში გამოყენებულია ძალზე მნიშ-ვნელოვანი რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებაშიც. ქართული **ფერ-ის-ცვალ-ება** (მდრ. იმერ. გურ. ლეჩხ. **ფერ-ცვალ-ობ-ა**), მე-გრული **ფერ-ცვალ-ება**, სვანური **ფერ-ცჷლ-ობ**.

მეგრულში ფერთა აღმნიშვნელ სახელებში ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნიან კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელს, მეორე კი — ფერ ფუძეს: **ატამა-შ-ი-პირ-იშ-ი-ი** — **ფერ-ი** — „ატმის ყვავილისფერი“, **შქერ-იშ-პირ-იშ-ფერ-ი** — „დეკას ყვავილისფერი“, **სანთ-ელ-იშ-ფერ-ი** — „სანთლისფერი“, **ბინეხ-იშ-ლერწ-იშ-ფერ-ი** — „ვენახის ლერწმის ფერი...“ იგივე კომპოზიტები მნიშვნელობას ინარჩუნებენ **ჯგურ-ა** („მსგავსი“) თანდებულისა და ნერ-ი („ნაირი“) სახელის და-რთვისას, **ატამა-ში-პირ-იშ-ფერ-ი**, **ატამა-ში-პირ-ი-ჯგურ-ა** — „ატმის ჭვავილის მსგავსი, **ატამა-შ-პირ-იშ-ნერ-ი** — „ატმის ყვავი-ლისნაირი“, **ბამბე-შ ფერი** „ბამბის ფერი“; **ბამბეფურ-ა** — „ბამ-ბისმსგავსი“, **ბამბეშ-ნერ-ი** — „ბამბისნაირი“.

ატამა-შ-პირ-იშ-ფერ-ი სახე ულუ — „ატმის ყვავილისფერი სა-ხე აქვს“;

ბამბე-ჯგურ-ა ჩე რე — ბამბასავით თეთრია“;

ბშა-შ-ნერ-ი ობარჩხალაია რე — მზესავით ჩახჩახაა (ნათე-ლია)...

აღსანიშნავია, რომ **გვარი, ფერი, ნაირი** — ქართულშიც მაწარ-

მოებელ ელემენტებად გვაქვს, ამასთან „ეს სახელები, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელებთანაც გვხვდება, ამათგან ყველაზე მეტი გავრცელება გვარს აქვს, „ფერი“ და რიგი“ დიალექტურ ფორმებად არის ქცეული (შანიძე, 1980, 119). ა. მარტიროსოვის აზრით, მეგრულშიც დასტურდება იგივე სახელები ჩვენებით ნაცვალსახელებში წარმოებულ ელემენტებად, რომლებიც ქართულ ენიდანაა ნასესხები (მარტიროსოვი, 1964, 156).

მეგრულში ქართულ გვარს შესაბამის ფორმებში **‘ი’-ჯგურა**-თანდებული შეესაბამება, რაც ნიშნავს „მსგავს“. ა. მარტიროსოვს შესაძლებლად მიაჩნია „ჯგურა“-ში დავინახოთ არაბული სიტყვა **ჯურა**, რომელიც „მსგავსის“ მნიშვნელობით ქართულ დიალექტებშიც იხმარება ჩვენებით ნაცვალსახელებთან. კახური **ამჯურა, იმჯურა**; შდრ.: ინგილოური **ემჟურა, იმჟურა** (მარტიროსოვი, 1964, 158-160). საგულისხმოა, რომ თუშური **ფერ-აყ-ი** აღნიშნავს „მსგავსს, ნაირს“ (შდრ. **ფერ-ებ-ა-** „მიმსგავსება“).

როგორც ჩანს, **ფერი, გვარი, იერი** და სახე სემანტიკური თვალსაზრისით ერთ ჯგუფში ერთიანდება და გამოხატავს მსგავსებას, შედარებითობას (შდრ.: ქართ. **გავ-გვ — ჰ-გავ-ს, ჰ-გვ-ან-დ-ა**, მეგრ. **გ-||გუ — გუნ-ა** „მსგავსება“, ლაზ. **ნ-უ-გ-ამ — „ჰგავს“**, „ჩანს“... სვან. **მუ-გუ-ი-დ — „მსგავსი“**, ლი-მგუ-ი — „დამსგავსება“, **მე-გუ-ი** „თანაბარი, თანა ტოლი“. ***გა/-გ** აღდგენილია საერთო-ქართველური ენის დონეზე (ფენიხი, სარჯველაძე, 1990, 71-72).

ფერ-ი, როგორც კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი, წარმოდგენილია ლექსემაში **ელ-ფერ-ი**, რომელსაც ქართულ ენაში აქვს ორი მნიშვნელობა.

1. ოდნავ შესამჩნევი სხვაობა (ზოგადად ან ერთისა და იმავე ფერისა).

2. იერი, შესახედაობა.

მეგრულშიც დასტურდება **ელ-ფერ-ი** იმავე მნიშვნელობით.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში კანის ფერის აღსანიშნავად იხმარება კომპოზიტი **სელ-ფერ-იშ**, რომელიც, ვფიქრობთ, მიუთითებს სელის ფერის მქონებლობაზე. სელი-ი (*Linum usitatum*) ერთწლოვანი მცენარეა, ცისფერყვავილებიანი, მაგრამ მისი თესლისაგან დამზადებული ზეთი ან ბოჭკოს ქსოვილი მოყვითალო ფერისაა. ასე რომ, ადამიანის იერი, შესახედაობა თავის დროზე სვანებს შესაძლოა მიემსგავსებინათ აღნიშნული მცენარისათვის.

როგორც ვხედავთ, მეგრულ ფერთა აღმნიშვნელ სახელებში დადასტურებულ მრავალსახოვან ფორმათა არსი უკავშირდება ერთ ძირითად მახასიათებელს. ცხადია, ადამიანის თვალი განარჩევს საგნებს, მათ სახეს, იერს, გვარობას, შეფერილობას; ამ პროცესში ადგილი აქვს შედარებითობა-მსგავსებითობის გამოხატვას, რაც „ფერ“-ძირისაგან მომდინარე სიტყვათა პოლისემიების ერთ-ერთი საფუძველიცაა.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, 1981 — ბ. გიგინეიშვილი, მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, „მაცნე“, № 2, თბილისი.

გუდავა, 1975 — ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

მარტიროსოვი, 1964 — ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი.

სამუშია, 1990 — კ. სამუშია, ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბილისი.

ფენიხი, სარჯველაძე 1990 — ჰ. ფენიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფოჩხუა 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ქალდანი, 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III, თბილისი.

ჩიქოვანი, 1992 — ნ. ჩიქოვანი, ფერთა ლექსიკონისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

ჭარაია, 1998 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

TSIRA DZADZAMIA

**The Root "Per" (meaning "colour") in the
Kartvelian Languages**

Summary

The investigation of colour words of the Kartvelian languages is closely connected with the semantics of the root "per" (meaning "colour"). The latter is polysemantic. The Megrelian "per" has the following meanings:

1. colouring (of objects, man's complexion, hair, animal fur, fabric, precious stones, plants, metals tec.).
2. man's health or his psychic condition.
3. essence.
4. beauty, fairness.
5. correspondence, equivalence, likeness, resemblance, type.
6. In compounds the governed modifier in the Genetive can be substituted by the units "ižgura" ("similar"), and 'neri' (type).

ნათია ჯიკლაშვილი

უცხო წარმოშობის ლექსიკა თანამედროვე ქართულ პრესაში

პრესა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქის ენობრივი სტილის ჩამოყალიბებაზე. ეს გავლენა მიზანმიმართულიც შეიძლება იყოს და სტიქიურიც; პრესა ასახავს ენაში მომხდარ ცვლილებებს და, ნებისთი თუ უნებლიეთ, ნერგავს კიდევ ამა თუ იმ ენობრივ ფორმას.

თანამედროვე პრესაში თვალშისაცემია ენის სიწმინდის მიმართ გულგრილობა. ეს განსაკუთრებით ეხება ქართულ სალიტერატურო ენაში შემოჭრილ უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს. თუ ადრე რუსული ენიდან შემოსული ნეოლოგიზმების კონტროლირება და ნორმალიზება პრესის ცენტრალიზებულობის გამო (რაც თავისუფალი სიტყვისთვის არ იყო კარგი), ასე თუ ისე, ხერხდებოდა, დღევანდელ ვითარებაში „პრესის გათავისუფლება“, სამწუხაროდ, ენობრივი კულტურისაგან გათავისუფლებადაც იქნა გაგებული (ტაბიძე, 2001, 93-95).

ინგლისური ენიდან სტიქიურად შემოსული სიტყვები (ნასესხობანიც და ბარბარიზმებიც) დაუბრკოლებლად იკავებენ ადგილს ქართულ ლექსიკურ შემადგენლობაში. ასეთი სიტუაცია არა მხოლოდ „დამოუკიდებელ პრესაში“ („ალია“, „ასავალ-დასავალი“, „სარკე“, „თბილისელები“...), არამედ ცენტრალური გაზეთების პუბლიკაციებშიც, რომლებიც წესით სახელმწიფო ენაზე უნდა მეტყველებდნენ („საქ. რესპუბლ.“ „24 სთ.“...).

თანამედროვე ქართული მასმედიის ენაში გვხვდება უცხო ენიდან შემოსული პოლიტიკური, ეკონომიკური, დარგობრივი, ლექსიკა, როგორებიცაა: **ტრანსპარენტობა, ინიცირება, მონიტორინგი, სალდო, როსტიტუცია, პროფანაცია, ნოსტრიფიკაცია...** კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინები: **ნოუთბუქი, პრინტერი, კატრიჯი, ტონერი, ბილბორდი...**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ცნებათა სახელდების საშუალებანი ხშირად შეიძლება თავად ენობრივ ფონდში იქნას და-
ქებული, თუმცა ჟურნალისტები „ფსევდო“ ელიტარიზმის დაჩემებით
ცდილობენ „თავი მოიწონონ“ და უპირატესობას უცხო ტერმინებს
ანიჭებენ. ასე ჩნდება ე.წ. დუბლეტური ფორმები, როგორცაა: **კონ-
ტრაქტი** — ხელშეკრულება, **იგნორირება** — უგულვებლყოფა,
სკრუპულოზური — გამოწველილვითი, **რეფერი** — მსაჯი...

თუმცა პრესის ენაში გვხვდება ისეთი ნასესხობანიც, რომლებსაც
ქართულ ენაში პირდაპირი შესატყვისი არა აქვს. ამ ტერმინებს ზოგ-
ჯერ ჟურნალისტები თავადვე განმარტავენ: „თბილისში პირველი **ჰოს-
ფისი** — უიმედო ონკოლოგიური ავადმყოფების თავმესაფარი გაიხ-
სნა“ („24 საათი“, 2005, A 1).

საყურადღებოა ტერმინ „**ფრანშიზის**“ დაწერილობისა და გან-
მარტების საკითხი. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, „**ფრან-
შიზი**“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მიწოდებული საქონლის იმ
რაოდენობიდან გადახრის საზღვარს, რომელიც ხელშეკრულებაშია
ნაჩვენები, გამოიხატება პროცენტებით, ხოლო „**ფრენჩაიზინგი**“ —
მსხვილი და წვრილი მეწარმეების შერეული ფორმა, როდესაც მსხვი-
ლი კორპორაციები — „მშობელი“ კომპანიები (ე.წ. ფრანჩაიზერები)
ხელშეკრულებას დებენ წვრილ ფირმებთან „ქალიშვილურ“ („შვილო-
ბილ“) კომპანიებთან ან ბიზნესმენებთან ე.წ. ფრანჩაიზერებთან მათი
სახელით მოქმედების უფლებისა და პრივილეგიების მიღების თაობა-
ზე. თვით ჟურნალისტები კი მას ასე განმარტავენ: „პროდუქციის და-
მზადებისას სავაჭრო ნიშნისა თუ სახელის მინიჭების უფლება“.

გვხვდება ტერმინის სხვადასხვა დაწერილობა: **ფრანშიზი, ფრან-
ჩიზი, ფრენჩაიზი; ფრანჩაიზინგი და ფრენჩაიზინგი.**

ხშირია ერთმანეთის მსგავსი ბგერითი გაფორმების სიტყვების,
ანუ პარონიმთა აღრევის შემთხვევები. საერთოდ, პარონიმთა დიდ
ნაწილს უცხო ტერმინოლოგია შეადგენს. ამა თუ იმ სიტყვის არასა-
თანადო ცოდნის გამო მისი ზუსტი მნიშვნელობა მავანათავის უცნო-
ბია და ამიტომ ხდება ერთი ტერმინის მეორით შენაცვლება. მაგალი-
თად: **პატრონატი** — **პატრონაჟი.**

პატრონაჟი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ავადმყოფებისა და
ბავშვების ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებას შინ, ოჯახის პი-

რობებში; ხოლო ტერმინი **პატრონატი** — ლათინურია და აღნიშნავს
(გადატ. მნიშვნელობით) მფარველობას. მაგალითად: „გაზეთს საკუ-
თარი თავის წარდგენა არ შეუძლია, ეს აუცილებლად რომელიმე სა-
ნდო ორგანიზაციის **პატრონაჟით** უნდა მოხდეს.“ („24 სთ.“, 2004,
B 1).

ზოგ უცხო ძირს ქართული თავისი მაწარმოებლებით მოაქართუ-
ლებს ხოლმე: **დაპიარება, დამესიჯება...**

ზოგჯერ საკუთრივ ქართული ლექსიკა ცდილობს მოერგოს თანა-
მედროვე მოთხოვნებს:

ა) საკუთრივ ქართული სიტყვაწარმოებანი — **დგამ-ავეჯი, შვ-
იდ-დღიური, მალფუჭებადი, ორცყობილა, ჭირ-ბოროტი...**

ბ) შესიტყვების (ან კომპოზიტის) ერთი წევრი ქართული ლექსე-
მია, ხოლო მეორე ნასესხები: **პრომოსარგებლური, ქვეკონტრაქტო-
რი, პუბლიცისტური ნამცვრევი.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია სიტყვათა თამაშით მიღებული ფორმა
„ბალეტ-მერი-სტერი“. ამ ფორმის შექმნა საზოგადოდ გახმაურე-
ბულ მოვლენას უკავშირდება, როდესაც მერიის გადაწყვეტილებით,
ქორეოგრაფიული სასწავლებელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახ-
ლეში უნდა განთავსებულიყო.

ა) ჩვეულებრივ, მედიის ლექსიკა რამდენიმე კუთხით ვეისწავლე-
ბა; დარგობრივი (ჟურნალისტური) ჟარგონი: **ინტერპრესნიუსი,
პრეზენტაცია, ჰოლდინგი, რუპორი, შავი პიარი, პრაიმერიზება,
პრაიმტაიმი, ნიუსი, ფრეშრაკურსი...**

ბ) შეფასებითი ლექსიკა: **სიმილარული, ტრენირებული, პრე-
ზენტაბელური, ფანტასტიური...**

გ) ემოციური: **სენსიტიური, დისაპონტიური...**

ანგლო-ამერიკანიზმების დამკვიდრების მიზეზი ძირითადად ის კი
არაა, რომ მათი შესატყვისი გამოძებნა ჭირს (თუმცა ასეთი შემთხვე-
ვებიც გვხვდება), არამედ სოციალური პრესტიჟი, რომელიც დღევან-
დელი ქართველი ჟურნალისტების თვალში ინგლისურს აქვს. მაგალი-
თად, „**ახალი ამბების**“ ნაცვლად, „**ნიუს**“-ს ამბობენ და გასამართლე-
ბელ საბუთად „**ნიუს**“-ის „სხვა აზრობრივი დატვირთვა“ მოაქვთ.

უცხო სიტყვათა ხმარების სიმრავლე ზოგჯერ რიგითი მკითხვე-
ლისათვის საგაზეთო ტექსტს თითქმის გაუგებარს ხდის. ამ ფონზე

უცნაურად ჟღერს თავად ქართული ლექსიკის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები: „ზედმეტად ხატოვანია“, „გადაპრანჭულია“, „ასე არავინ ლაპარაკობს“ და ა.შ.

ჩვენს სტატიამი გვინდა შევეხოთ თანამედროვეობის კიდევ ერთ რებუსს — აბრევიატურას, რადგანაც ახლად შექმნილ აბრევიატურათა განმარტება ცოტას თუ შეუძლია: **პლჰ** — საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია („საქ. რესპუბლ.“ 2005, გვ. 2), **ჯდსდს** — ჯანმრთელობის დაცვის სათემო დაზღვევის სქემები („24 სთ.“, 2004, A3).

მასმედიის ენისთვის დამახასიათებელია ბარბარიზმებისა და ვულგარიზმების, უხეში, უცენზურო, ყარგონული და ქუჩური მეტყველების მოჭარბება: „**რიმეიქები**“, „**ნიუსმეიქები**“, „**კონფუზი**“, „**ქული**“, „**ლაითი**“, „**ნასედკა**“, „**სლიშკამ დამწვარი პონტი**“ „**ჩაუშვა**“, „**დაშოკა**“.

ხშირად უგულვებლყოფილია პუნქტუაცია, გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები, ერთი და იმავე ნასესხობათა ჩაწერის სხვადასხვა ვარიანტები: **ეგზიტპოლები** — **ეგზიტპოლები**, **გრუფი** — **გრუბი**; სპორტში **რეგბი** — **რაგბი**. ანბანური შერევის (ქართული და ლათინური) კომბინაციები და სხვ.

ა) დეფისით: **არტ-მენეჯმენტი**, **არტ-ვილა**, **არტ-პუბლიკა**, **ვიდეო-არტი**.

ბ) შერწყმულად: **ვიდეოარტები**.

გ) ცალ-ცალკე: **არტ კავკასია**, **არტ ვილა**.

დ) ლათინური შრიფტით: **art seqtorebi**, **art-istebi**.

და ბოლოს, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, კერძოდ, ენაში აღრინდელი ნასესხობების (და ზოგჯერ ქართული სიტყვების) ჩანაცვლება მოხდა ახალი ტერმინებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება პროფესიისა და საქმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებს, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

ა) სოციალური პრესტიჟი: სოციალურად შედარებით დაბალი რანგის ადამიანები, მათი საქმიანობის აღმნიშვნელი ახალი, უცხო ტერმინების გამოყენებით, ცდილობენ საზოგადოების თვალში ამალდნენ, მაგალითად, თუ ადრე იყო **პარიკმანერი**, ახლა ამ პრო-

ფესიის ადამიანი **სტილისტად** მოიხსენიება, **მკერავი დიზაინერი**, **კუტიურიკა**, **გამყიდველი** — **კონსულტანტი**;

ბ) ახალი ენის პრესტიჟის გამო, სამედიცინო სისტემაში **სტომატოლოგის** მაგიერ, იხმარება ტერმინი **დანტისტი**, ასე გამოიყენება განათლების სისტემაში სიტყვა **ტრენინგი** და მნიშვნელოვან მოვლენათა აღსანიშნავი სიტყვები: **შოუ**, **ფართი**, **უიკენდი/გვიქენდი**, **უიქენდი**.

გ) ქართულ სინამდვილეში ახალი პროფესიების გაჩენასთან დაკავშირებული ლექსიკა; ტერმინი **ბუკმეიკერი** — თუ ადრე აღნიშნავდა მხოლოდ დოღში ფულის ამკრეფს, ახლა იგი საერთოდ, სავაჭრო აგენტის აღმნიშვნელად გვევლინება.

ლიტმარატურა:

არაბული, 2004 — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.

კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი, 1990.

ტაბიძე, 2001 — მ. ტაბიძე, მასმედიის ენის სოციალური ბუნებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური კონფერენცია. თბილისი, 2001 წელი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1980.

ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი, თბილისი, 2002.

„24 საათი“, 2. III. 2004.

„24 საათი“, 4. V. 2005.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2. VIII. 2005.

NATIA TSIKLARI

ირინე ხაჟალია

Foreignisms in Modern Georgian Press

Summary

The language tendencies encountered in the present-day Georgian press in most cases are unacceptable and unnatural for the Georgian language. The language of the present-day Georgian press is abundant in the political, economic and social terms borrowed from other languages, double forms and the confusion of paronyms are also evidenced. There are attempts to regulate foreign terms by the principles of Georgian wordformation.

However, barbarisms and vulgarisms are too abundant to be controlled. The spelling mistakes are noteworthy and abbreviations are vague.

The replacement of Georgian terms or older borrowings by new terms are caused by:

- a) social prestige.
- b) The prestige of a foreign language.
- c) A prestigious new profession.

**ინგლისური ზმნა-პრედიკატის კომუნკაციურ-სემანტიკური
ორინენტაცია ზმნარქების ბარბარიზმული
ზმნების სემანტიკური ველის მიხედვით**

სამეტყველო ენა წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, იგი თავისი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების მოწესრიგებულობით ხასიათდება. ენის სხვადასხვა შემადგენელი ერთეულების ურთიერთკავშირი და ორგანიზებულობა თავის ასახვას ჰპოვებს როგორც ფონეტიკურ, ისე გრამატიკულ და ლექსიკურ სტრუქტურაში. ლექსიკური ერთეულების ორგანიზებულობა მიიღწევა სხვადასხვა სემანტიკურ კლასებად (გრამატიკული, სიტყვათწარმომქნელი, ლექსიკურ-სტილისტური) და ჯგუფებით.

ამჟამად, მრავალი მეცნიერის მცდელობა მიმართულია ენის ლექსიკურ შემადგენლობაში სემანტიკურად ერთგვაროვანი ჯგუფების გამოყოფის, მათი შინაგანი ორგანიზაციისა და მეტნაკლებად ზოგადი კანონზომიერებების ჩამოყალიბებისკენ. ლექსემების ერთგვაროვანი სემანტიკური ჯგუფები ქმნის სემანტიკურ ველს (SF). რომლის ფარგლებში დგინდება და შეისწავლება მისი წევრების სემანტიკური ურთიერთკავშირები.

თანამედროვე ინგლისურ ენაში სემანტიკური ველი ზოგადად განისაზღვრება, როგორც საერთო შინაარსის მქონე ენობრივი ერთეულების წყება და გადმოცემულ მოვლენასთან მათი კონცეპტური, ობიექტური, ფუნქციური მსგავსება.

ამა თუ იმ სემანტიკურ ველში გამოვლინდება ეგრეთწოდებული „ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები“ (LSG), რომელთა შემადგენლობის განსაზღვრის სხვადასხვა ხერხი არსებობს: სტრუქტურული, დამყარებული სინტაქსური დონის სემანტიკურთან კავშირზე, სტრუქტურულ-სემანტიკური და ლოგიკურ-სემანტიკური.

ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები თავის მხრივ იყოფა თემატურ რიგებად (TR), ხოლო ეს უკანასკნელნი კი სინონიმურ რიგებად

(SR). სინონიმური რიგები წარმოადგენს სემანტიკურად დაკავშირებული, საერთო ლექსიკური მნიშვნელობისა და საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის მქონე სიტყვების მინიმალურ დაჯგუფებას. სემანტიკური მსგავსების მიუხედავად, სინონიმები განსხვავდებიან მათი ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსობრივი დატვირთვით, გამოყენების სფეროთი, ემოციურ-სტილისტური შეფერილობითა და მნიშვნელობის საკუთარი განმასხვავებელი ელფერით.

ნებისმიერი ზნის სემანტიკური ველის სტრუქტურული შემადგენლობა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:

SF — LSG — TR — SR

ზმნა-შემასმენლის სუბიექტური და ობიექტური ორიენტაციის დადგენის მიზნით ლექსიკონების დეფინიციის საფუძველზე ჩატარებული კომპონენტური ანალიზის მეთოდის გამოყენებით განვიხილეთ მგრძობელობით-ემოციური ზმნების სემანტიკური ველი. კვლევის წყაროდ ავიღეთ თანამედროვე ინგლისური ენის განმარტებითი, თემატური, სინონიმებისა და თეზაურუსების ლექსიკონები.

მგრძობელობით-ემოციური ზმნების სემანტიკურ ველში გაერთიანდა შეგრძნების, აღქმისა და ემოციის გამომხატველი ორმიმართულებიანი ზმნები, ძირითადი, გადატანითი და სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სხვადასხვა მნიშვნელობებით.

შეგრძნების გამომხატველი ზმნების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი იყოფა შემდეგ თემატურ რიგებად:

1) შეგრძნების ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი ზმნების თემატური რიგი,

2) ტკივილის შეგრძნების გამომხატველი ზმნების თემატური რიგები,

3) სითბოსა და სიცივის შეგრძნების გამომხატველი ზმნების თემატური რიგები.

თითოეული ზემოთ მოყვანილი თემატური რიგი, თავის მხრივ, იყოფა სინონიმურ ჯგუფებად. შეგრძნების გამომხატველი ზმნები გადმოგვცემს ადამიანის აზროვნებაში ბიოლოგიურად სიგნალების ანარეკლს. ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობის შესახებ ზმნების ნაწილი გამოხატავს შეგრძნების ზოგად მნიშვნელობას, ნაწილი კი უფრო კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, მაგ: ტკივილის, სითბოს, სიცივის და ა.შ. შეგრძნება.

მგრძობელობით-ემოციური ზმნების სემანტიკური ველის ფარ-

გლებში ჩვენ დავადგინეთ შემდეგი პროპოზიციური როლები: აგენსი (A), ექსპერიენცერი (E), პაციენსი (P), რეინჯი (R), წყარო (S). ყოველ როლში (შემსრულებლის გარდა) გამოიყოფა სხვადასხვა ვარიაციები, რომლებიც გარკვეულ ზოგადკატეგორიულ-სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელ ზმნა-პრედიკატებთან ქმნის სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონე სტილისტურ ჩარჩოს.

ჩვენ მიერ განხილული სემანტიკური ველის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მგრძობელობითი ქმედება, მისი ფსიქიკის მგრძობელობით-ემოციური მხარე.

სწორედ ამიტომ, საერთო იდენტიფიკატორად ავიღეთ ზმნა „to feel“, რომელიც გამოხატავს ორგანიზმის სხვადასხვა მდგომარეობისა და ფუნქციის ანარეკლს აზროვნებაში.

გადავიღეთ შეგრძნების გამომხატველი ზმნების სემანტიკური ველის შემადგენელი ნაწილების უშუალო განხილვაზე.

1. შეგრძნების ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი ზმნების თემატური რიგი: feel, sense, perceive — შეგრძნება, ვინმეს ან რამეს აღქმა შეგრძნების საშუალებით (ფიზიკური კონტაქტის გარეშე), მაგალითად:

1) „**With the hood lowered he'd been feeling the full heat of the sun.**“

/Durbridge F. `The Pig-tail Murder“; London, Hodder Paperbacks, 1971, p.21/

2) „**Dawdling around the house he perceived a certain restlessness in her.**“

/Greenwood W. `Love on the Dole~, London, Penguin Books, 1976, p.89/

მოცემულ ზმნებთან მიმართებაში ქვემდებარე არის პირი, რომელიც რაღაცას შეიგრძნობს. მისი ნერვული სისტემა პასიურია და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე აფიქსირებს რაღაცის არსებობას. პირდაპირი დამატების ფუნქციაში გამოდის შეგრძნების ობიექტები, რომლებიც პერცეპტის როლს ასრულებს. მოცემული ზმნა-პრედიკატების სტილისტური ჩარჩო გრაფიკულად გამოიხატება შემდეგნაირად:

V pr. unvol.

|| Subjective Orientation

(E² + Per.¹)

II. ტკივილის შეგრძნების გამომხატველი ზმნების თემატური

რივი: „slap, wound, spank, cane, whip, burn, maul, bruise, scorch, sprain, hurt, injure, pain — ტკივილის შეგრძნების გამოწვევა, ტკივილის მიყენება“.

მოცემული სინონიმური ჯგუფის ზმნები განსხვავდებიან სტილისტური ჩარჩოს მრავალფეროვნებით. მათი უმრავლესობა მხოლოდ სუბიექტურად ორიენტირებულია. ასეთი ზმნების რიცხვს მიეკუთვნება maul, bruise, wound, slap, bite, spank, cane, whip, scorch, მაგალითად:

„I drany slowly the green bitter tea, shifting the handleless cup from to palm as the heat scorched my fingers.“ /Greene G. *The Quiet American*; Moscow, PH, 1963, p. 137/

V ac. con.
|| Subjective Orientation
(A² + P²)

სხვაგვარი სტილისტური ჩარჩო აქვს ზმნას „to sprain“, მაგალითად:

„I’ve sprained my ankle and fortunately Mr. Maxwell has been kind enough to help me home“ /Kidd F. *Nurse at Rowanbank*; Winnipeg, Herleguin Books, 1966, p. 33/

ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ვთქვათ, რომ ზმნა აქციონალურია. იგი სუბიექტის უხერხულ, დისკომფორტულ მდგომარეობაზე უფრო მიუთითებს, ხოლო ობიექტის პოზიციაში კი ყოველთვის გვხვდება ერთი თემატური რიგის სახელებით — სხეულის ნაწილებით. ამდენად, მოცემული ზმნის სტილისტური ჩარჩო გრაფიკულად გამოისახება შემდეგნაირად:

V st. con. unvol.
|| Subjective Orientation
(E⁴ + R²)

სხვადასხვაგვარი სტილისტური ჩარჩო გამოვლინდა სუბიექტურად ორიენტირებულ პრედიკატში „to burn“, მაგალითად:

1) **„... thinking of the long, golden, light-headed afternoon on the dunes, when salt and sun burned her lips“**

/Bates H.E. *A Death of French Air*; London, Penguin Books, 1978, p. 151/

V ac. var.
|| Subjective Orientation
(A² + P²)

2) **„She frequently burned her fingertips ...“**

/Stone I. *Those Who Love*; N.Y., Signet Books, 1967, p. 91/

V st. var. unvol.
|| Subjective Orientation
(E⁴ + R²)

სხვადასხვა ორიენტაციით ხასიათდება მაგალითად ზმნა „to hurt“:

1) **„Freddy, don’t poke me. Miss Honeychurch, your brother’s hurting me“**

/Forster E. M. *A Room with a View*; London, Penguin Books, 1976, p. 154/

V ac. var. vol.
|| Subjective Orientation
(A¹ + P²)

2) **„Did she hurt her forehead? Miss Pomfret enquired warily“.**

/Green H. *Nothing. Doting. Blindness*; London, Pan Books, 1979, p. 41/

V st. var. unvol.
|| Subjective Orientation
(E⁴ + R²)

3) **„Instantly her broken boots ... hurt her.“**

/Lawrence D.H. *Sons and Lovers*; London, Penguin Books, 1981, p. 194/

V st. var.
|| Objective Orientation
(S + E⁴)

მოცემულ ჯგუფში კონსტანტურ ობიექტურად ორიენტირებულ ზმნა-პრედიკატს წარმოადგენს მხოლოდ „to pain“, მაგალითად:

1) **„She was panting, and drawing breath pained her.“**

/O’Faclin J. *Women in the Wall*; London, Penguin Books, 1978, p. 104/

V st. con.
|| Objective Orientation
(S + E⁴)

2) hurt, irritate, stab, bite, sting, grate — „რაიმე არასასიამოვნო, ტკივილის მსგავსი შეგრძნების განცდა (მკვეთრი სინათლის, ხმის, ზეწოლის და ა.შ.)“.

ჩვენ მიერ განხილული სინონიმური ჯგუფის ყველა ზმნა შეგვიძლია მივაკუთვნოთ კონსტანტურ ობიექტურად-ორიენტირებულ პრედიკატებს, მოქმედების შემსრულებლის როლში მდგარი ობიექტი და ექსპერიენცერის როლში მდგარი სუბიექტით, მაგალითად:

„**She lit the gas. The glare hurt her eyes.**“

/Greenwood W. `Love on the Dole~, London, Penguin Books, 1976, p.14/

V st. con.

|| Objective Orientation

(S + E4)

3) **gnaw, pinch, pluck, crush, pain, tear, prick, sting** — სულიერი ტკივილის მიყენება, მაგალითად:

1) „.....**the miserable realization of his poverty crushed his heart.**“

/Greenwood W. „Love on the Dole“, London, Penguin Books, 1976, p.150/

2) „**Reproach stung her.**“

/Greenwood W. „Love on the Dole“, London, Penguin Books, 1976, p.194/

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მოცემულ ჯგუფში გაერთიანებული ყველა ზმნა ერთი ორიენტაციის მქონე პრედიკატს წარმოადგენს და ყველა მათგანს ერთნაირი სტილისტური ჩარჩო გააჩნია:

V st. con.

|| Objective Orientation

(S + E⁴)

4) „**soothe, mitigate, relieve, assuage, allay, alleviate** — ტკივილის შეგრძნების შეწყვეტა ან შემსუბუქება“. ასეთ ზმნებთან სუბიექტის როლში ყოველთვის გვევლინება მოქმედების უსულო შემსრულებელი, რომლის ობიექტიც არის სულიერი საგანი, შემცველი, რომელიც პაციენტის როლს ასრულებს, კერძოდ P³. მათი სტილისტური ჩარჩო გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

V ac. con.

|| Subjective Orientation

(A² + p³)

მაგალითად:

„**At night before my sleeping drug had soothed me would imagine**

him going up my stairs, knocking at my door, sleeping in my bed.“

/Greene G. `The Quiet American~, Moscow, FLPH, 1963, p.141/

III. სიტბოსა და სიცივის შეგრძნების გამომხატველი ზმნების თემატური რივი:

1) **warm** — სიტბოს ზემოქმედებით სიცივის შეგრძნებისგან გამოთავისუფლება, ვინმეს ან რამეს გათბობა.

მოცემული ზმნა-პრედიკატი სუბიექტურად ორიენტირებულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტილისტური ჩარჩოს ნაირგვარობა, მაგალითად:

„**She took the glove off her left hand, slipped the hand into his. He was cold; she warmed him**“ */Stone I. „Those Who Love“, N.Y., Signet Books, 1967, p. 45/*

V ac. var. vol.

|| Subjective Orientation

(A¹ + P³)

ზოგჯერ ზმნა სუბიექტის მდგომარეობის გამოსახატავად გამოიყენება, ხოლო ობიექტის როლში გამოდიან ერთი სემანტიკური რიგის არსებითი სახელები, კერძოდ სხეულის სხვადასხვა ნაწილები, მაგალითად:

„**Mrs. Mellor warmed her feet at the fire so that she wouldn't have cramp**“

/Lees M. „General Hospital“, Winnipeg, Harlequin Books, 1963, p. 84/

ამ შემთხვევაში სტილისტური ჩარჩო ასე გამოიყურება:

V st. var. vol.

|| Subjective Orientation

(E¹ + R²)

2) **cool, numb, chill, freeze** — გაცივება, გაყინვა. ყველა ეს ზმნა სუბიექტურად ორიენტირებული პრედიკატია, რომლის ქვემდებარეც უსულო საგანია, ხოლო დამატების როლში კი დგას P³, მაგალითად:

„**The air of the room chilled his shoulders**“

/Joyce J. „Dubliners. A Portrait of the Artist as a Young Man“, Moscow, 1982, p.219/

სტილისტური ჩარჩო ასე გამოიყურება:

V ac. con.

|| Subjective Orientation

(A² + P³)

გვხვდება აგრეთვე სხვა სემანტიკური მნიშვნელობაც ზმნების „to

freeze“, „to congeal“ — „გაშეშება (შიშისაგან და ა.შ.)“.

განხილული სინონიმური ზმნები გადმოსცემენ სუბიექტის ფსიქიკურ მდგომარეობას, მაგალითად:

„...**chill froze his heart**“

/Greenwood W. „Love on the Dole“, London, Penguin Books, 1976, p.154/

ამ შემთხვევაში სტილისტური ჩარჩო გამოიყურება შემდეგნაირად:

V st. con.
|| Subjective Orientation
(S + E²)

ლექსიკონებში მოცემული დეფინიციის საფუძველზე ჩატარებული კომპონენტური ანალიზის მეთოდით საშუალება მოგვეცა შეგვედღწა ზმნის სემანტიკური მნიშვნელობის სიღრმეში, უფრო ელემენტარულ სემანტიკურ კომპონენტებად გავვეშალა სიტყვის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა, რათა დაგვედგინა ერთნაირი სემანტიკური ჯგუფების მოცულობა და შემადგენლობა. წარმოდგენილი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა გვეხმარება ჩავწვდეთ ნებისმიერი ზმნის არსს, გავიგოთ რა აერთიანებს და რა განასხვავებს მოცემული სიტყვის მნიშვნელობებს. სწორედ კომპონენტური მნიშვნელობების გამოვლენა წარმოადგენს სემანტიკურ სტრუქტურაში სიტყვების ერთ სემანტიკურ ველში გაერთიანების კრიტერიუმს. ჩვენ მიერ განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეგრძნების გამოხატველი ზმნების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი სხვადასხვა ორიენტაციით ხასიათდება. გვხვდება როგორც სუბიექტურად ორიენტირებული, ისე ობიექტურად ორიენტირებული პრედიკატები.

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 — გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003;

ბიკოვა, 1978 — Бикова О. И. „К вопросу о функциональном аспекте изменений в семантической структуре многозначного слова“. - В кн.: Функционирование языковых единиц в контексте. Воронеж, 1978, с. 51-57.

კრივჩენკო, 1973 — Кривченко Е. Л. „К понятию "семантическое поле" и методы его изучения.“ Научные доклады высшей школы. Филол. науки, 1973, № 1, с. 99-103.

ბალერტი, 1970 — „Arguments and Predicates in the Logico-Semantic Structure of Utterances _ Studies in Syntax and Semantics (Foundations of Language)“, 1970, vol. 10, p.34-54.

ფილმორი, 1970 — „Types of Lexical Information _ Studies in SKntax and Semantics (Foundations of Language)“, 1970, vol.10, p. 109-137.

ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თსუ, თბ., 1995.

Longman DictionarK of English Language and Culture, UK, 1992.

A New American Roget's Thesaurus, Revised and Expanded in NY, 1991.

IRINE KHAZHALLIA

Communicative-Semantic Orientation of the English Verb-Predicate in the Semantic Fied of Verbs Expressing Feeling

Summary

The paper examines the semantics of English emotion verbs on the basis of componential analysis of dictionary definitions.

The lexical and logical study of the verbs in question resulted in stating the volume and constituents of similar semantic groups.

It is concluded that lexical-semantic groups of verbs of feeling have different orientations. They can be subjective as well as objective oriented predicates.

ნატა ხითარიშვილი

**„ქალის სტატუსი ოჯახში: ბენეფარული ასპექტი
(ფრანგული მხატვრული პროზაული
ნაწარმოების მიხედვით)“**

ოჯახური მოდელის განსაზღვრა კონკრეტული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტის საფუძველზე ცხადყოფს ქალის სტატუსისა და ოჯახური სტრუქტურის ეტაპობრივ ცვლილებებს. ასეთი ცვლილებების შემდეგ საფრანგეთში, მაგალითად, ქალი იქცა სრულფასოვან სოციალურ სუბიექტად. გენდერის პოზიციიდან ჩატარებული XI-XIX საუკუნეების ფრანგული პროზაული ნაწარმოებების ანალიზი ნათლად უჩვენებს, თუ რა საფეხურებით მიმდინარეობდა საფრანგეთში ქალის სტატუსის ევოლუცია საუკუნეების მანძილზე და რამოდენა ბარიერი არსებობდა ფემინური ბუნების ამბიციებსა და ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ სტერეოტიპებს შორის.

სოციოლოგიური კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ შუა საუკუნეების პატრიარქატის ეპოქაში ქალის უფლებები მაქსიმალურად შეზღუდულია. ამ პერიოდში შექმნილი საოჯახო კანონმდებლობა ქალს უფლებაუუნარო არსებად აცხადებს და ცდილობს ოჯახურ ჩარჩოში მის მკაცრ იზოლირებას. გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით ქალი წარმოადგენს უმწეო არსებას, იგი ემორჩილება ძმას ან მამას, რომლებიც წყვეტენ მის ბედს, გათხოვების შემდეგ კი — ქმარს. ეს უკანასკნელი მიიჩნევა როგორც უმალღესი ხელისუფალი და შეუძლია ცოლზე ყოველგვარი ზემოქმედების მოხდენა. აღნიშნული საკითხის პრაქტიკული დადასტურების მიზნით შეგვიძლია მოვიშველიოთ შუა საუკუნეების ლიტერატურული ნაწარმოებები: „სიმღერა როლანზე“, „ტრისტანი და იზოლდა“, სადაც წარმოდგენილია მამაკაცის მიერ ქალზე ბატონობის მაგალითები. პოემაში „სიმღერა როლანზე“ ვაწყდებით და-ძმის ურთიერთდამოკიდებულების მაგალითს. როლანის საცოლვე ალდა ძმის მორჩილების ქვეშ

იმყოფება, რომელიც მის უკითხავად წყვეტს დის ბედს და როლანს ემუქრება, რომ თუ თავს შეირცხვენს, ალდას დაკარგავს, უკვე დასახელებული რომანი „ტრისტანი და იზოლდა“ კი ცხადყოფს იმასაც, რომ ქმარს შეუძლია ცოლზე შურისძიება. საკუთარი სახელისა და ოჯახური ღირსების დამცირებით განრისხებული მეფე-მარკი გადაწყვეტს, რომ უმკაცრესი სასჯელი მიუზღოს ცოლს იზოლდას.

შუა საუკუნეების საფრანგეთში ქორწინება ძირითადად სოციალური ჰომოგამიის საფუძველზე მიმდინარეობს და მხედველობაში იღებს პიროვნებათა სტატუსს, წყვილთა ოჯახების სოციალურ მდგომარეობასა და ეკონომიკურ წონასწორობას. განსაკუთრებით მძიმეა გლეხი ქალის მდგომარეობა, რადგან შრომის მთელი სიმძიმე მის მხრებზე გადადის, ასევე რთულია ნებისმიერი ფენის გაუთხოვარ და ქვრივ ქალთა მდგომარეობა, რომელთა ადგილი ოჯახური მონოგამიის ახალ ჩარჩოში არ მოიძებნება და იძულებულნი არიან, მონასტრებს შეაფარონ თავი. შექმნილი სავალალო ვითარების წინააღმდეგ კურტუაზიული მიმდინარეობა ლიტერატურაში საფუძველს უყრის გათხოვილი ქალის კულტს. იქიდან გამომდინარე, რომ არისტოკრატიულ ოჯახში ქორწინება ხდებოდა მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით, ამიტომ ტრუბადურების მადონას სახე, რომელიც ყოველთვის გათხოვილი ქალია, წარმოადგენს არსებული სიტუაციის წინააღმდეგ ამბოხს იმის დასამტკიცებლად, რომ ოჯახის შექმნისათვის სიყვარული აუცილებელია.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე მდებარეობით სქესში თანდათანობით იმატა პროტესტის გრძნობამ, რომელსაც დაერთო XV საუკუნეში გატარებული მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-კულტურული ცვლილებები, რის შემდეგაც ქალებმა საზოგადოებას გარკვეული მოთხოვნილებები წაუყენეს, რამაც გამოიწვია ფემინისტური და ანტი-ფემინისტური შეხედულებების მკვეთრი დაპირისპირება. ამ პაექრობაში აქტიურად იყო ჩაბმული მარგარიტა ნავარელი, რომელიც საზოგადოებას ახალ იდეებს უყენებდა და საკუთარი გადასახედიდან იცავდა ქალთა უფლებებს. ის ძირითადი მოთხოვნილებები, რასაც ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლები აყენებდნენ XVI საუკუნეში, კარგადაა გადმოცემული მარგარიტა ნავარელის „ჰებტამერონში“. კონკრეტულად, ავტორის მოთხოვნილებაა, რომ ქალი დაფასებული ყოფილიყო, როგორც ინდივიდი და არა — როგორც მამაკაცის სიამოვნების საგანი, უნდა ჰქონოდა პიროვნული უფლება სიყვარულ-

ში, ქორწინება დაფუძნებული ყოფილიყო ორმხრივ ერთგულებაზე და ქალს უნდა მიეღო განათლება. მართალია, ამ ეპოქაში დიდი ყურადღება მიექცა გოგონათა აღზრდა-განათლების საკითხს, მაგრამ ეს ღონისძიება მიმართულია მხოლოდ ოჯახური მოდელის ევოლუციისაკენ, იმ მიზნით, რომ ქალს განათლება დაეხმარებოდა მომავალი საოჯახო როლის უკეთესად შესრულებაში, რასაც ადასტურებს XV საუკუნის ბოლო პერიოდის ტრაქტატი, სახელწოდებით „Menagier de Paris“ (მიშელი, 1979,38). მარგალიტა ნავარელის იდეებს მკვეთრად უპირისპირდება ფრანსუა რაბლეს დამოკიდებულება ქალთა სქესის მიმართ. რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ იგი აცხადებს, რომ ოჯახი ეს არის ბუნებრივი ფენომენი, რომელსაც თვით ბუნება სთხოვს ადამიანს, რომ უნდა შექმნას. ქალი კი წარმოადგენს ობიექტს, რომელსაც საქორწინო კონტრაქტით დაისაკუთრებს მამაკაცი და არა პიროვნებას, რომ მამაკაცისთვის ცოლი საჭიროა იმისათვის, რომ თავი მარტოსულად არ იგრძნოს.

მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ქალთა სტატუსის გაუმჯობესებისკენ, უფრო აქტიურად დაისვა XVII საუკუნეში. ფემინისტები ამჟამად აყენებდნენ ქალის ადამიანური ღირსების დაცვის საკითხს. სწორედ ამ მიზანს ისახავდა პრეციოზული სტილის მარკიზა რამბულიესა და მადმუაზელ დე სკუდერის ცნობილი სალონები, სადაც თავს იყრიდა მრავალი წარჩინებული წრის ქალბატონი და იხილავდნენ ფემინისტურ პრობლემებს. დროის რეალობის მიუხედავად, ისინი მოითხოვდნენ ქორწინების პირობების გაუმჯობესებას, უგულვებლყოფდნენ ოჯახში ქალის მონურ მდგომარეობას და თვლიდნენ, რომ ქორწინება უნდა ყოფილიყო პარტნიორთა თანასწორობით უზრუნველყოფილი თავისუფალი აღიანსი, საუბრობდნენ ქალისა და მამაკაცის მეგობრობაზე, ცხოვრების ჰარმონიულ განვითარებაზე. მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა მადამ დე ლაფაიეტი, რომელიც XVII საუკუნის სოციო-კულტურულ კონტექსტში საოცარი სიმწვავეთ აპროტესტებს არსებულ იდეოლოგიას. მისი რომანი „კლევის პრინცესა“ წარმოადგენს ქალთა რომანის დებიუტს ფრანგულ ლიტერატურაში, განასახიერებს არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგობრივ ფორმას და უარყოფს ქალის ისეთი იდეალის შექმნას რომელიც ტრადიციებსა და საოჯახო სივრცეს უნდა იყოს მიჯაჭვული.

მომდევნო ეპოქის დასასრულს, 1792 წელს, საფრანგეთში გამო-

დის კანონი, რომელიც აცხადებს ცოლ-ქმრის თანასწორობას. ქორწინება მიიჩნევა, როგორც ორ სქესთა შორის სამოქალაქო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ოჯახი ემყარება სქესთა ურთიერთშეთანხმებასა და თანასწორობას. ვოლტერის განმარტებით ქორწინება არის ხალხთა უფლებრივი კონტრაქტი (*contrat de droit*), რომლის ძალითაც ხდება წყვილის შეუღლება, რათა ბავშვი კანონიერად ითვლებოდეს. თვით კონტრაქტს სამოქალაქო დატვირთვა გააჩნია, ხოლო რაც შეეხება კურთხევას, ეს ეკლესიის წყალობაა. ამ ორი ფენომენის არსებობა კი ქორწინებას კანონიერს ხდის (შეგალენი, 2002, 117).

XVIII საუკუნეში იწყება ძველ და ახალ კონცეფციებს შორის მერყეობა, საფუძველი ეყრება ქალთა ემანსიპაციისათვის მოძრაობას, რაც იწვევს საზოგადოების მიერ ძველი კონცეფციების უარყოფას და ხელს უწყობს ქალის სტატუსის ლიბერალიზაციას. ფემინისტთა მიერ წინა ეპოქაში წაყენებულ მოთხოვნებებს დაემატა ქალთა მიერ პოლიტიკური უფლებების მოთხოვნილება. ასეთ აქტიურობას მკვეთრად უპირისპირდება განმანათლებელთა შეხედულებები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა ჟან-ჟაკ რუსო. იგი სასტიკად ეწინააღმდეგება ქალისათვის საზოგადოებრივი სტატუსის მინიჭებას და უმართებულოდ მიაჩნია მისთვის უმაღლესი განათლების მიღება, რადგან იგი თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში ქალს უკვე მამაკაცთან გატოლების სურვილი უჩნდება, რაც მისი მოსაზრებით ყოვლად დაუშვებელია. რომანში „ახალი ელოიზი“ რუსო ანტიფემინისტური პოზიციიდან აფასებს ქალის სტატუსს ოჯახურ სფეროში, ხაზს უსვამს მამაკაცის უფლებრივ უპირატესობას და ყიულის სახით საზოგადოებას აძლევს მაგალითს, თუ როგორ უნდა შეასრულოს ქალმა ოჯახში დედისა და მეუღლის როლი, რათა გამოიყურებოდეს ღირსეულად და იმსახურებდეს ქმრის პატივისცემას. იგი თვლის, რომ თუ ქალი გამორჩეულია ღირსებით, ის მამაკაცს მისადმი პატივისცემის გრძნობას აღუძრავს, იმორჩილებს მის სულსა და გრძნობებს. ამდენად, ის ქალისა და ოჯახისათვის აუცილებლობად მიიჩნევს სათნოებას, რასაც ქადაგებს ბურჟუაზიული ოჯახის იდეალი.

XIX საუკუნიდან საფრანგეთში ეკონომიკური ძვრები შეინიშნება. იზრდება წარმოება და შესაბამისად მუშა-ხელის მოთხოვნილება. აუცილებელი გახდა ქალის წარმოებაში ჩაბმა, რამაც სრული-

ად შეცვალა ქალის როლი ოჯახში. ამიერიდან იგი არის „დედა, მეუღლე და ქმრის დამხმარე“ (ფრისკვი, 1994, 30). იცვლება მისი საზოგადოებასთან მისადაგების სტატუსიც და იგი უკვე სოციალურ სუბიექტს განასახიერებს. ასეთ მდგომარეობას ორი პოზიტიური მხარე გააჩნია: ქალს საშუალება ეძლევა, ოჯახის მარწუხებიდან გათავისუფლდეს და ამავდროულად გააჩნია საკუთარი მატერიალური მხარეც. თუმცა ეს არ ნიშნავს ოჯახში ფემინური პოზიციების სრულ გაუმჯობესებას, რადგან სამუშაოს ის კვლავ პატრიარქალური მმართველობის ქვეშ ახორციელებს. სქესთა შორის არსებული იერარქია მაინც მრავალ დაბრკოლებას წარმოშობს და ცალკეულ ინდივიდებს თავისი როლის შესრულებას აიძულებს. საერთო შეხედულებით ქალი კვლავ მოისაზრება ოჯახურ, ხოლო მამაკაცი — საზოგადოებრივ სფეროში. აქედან გამომდინარე ქალი ძირითადად პრივატულ საწარმოებში მუშაობს, მისთვის სპეციფიკურ სამუშაოზე და შრომის ანაზღაურებაც მამაკაცთან შედარებით საგრძნობლად დაბალია.

XIX საუკუნიდან თავს იჩენს ქორწინების ახალი ტიპი — „თავისუფალი ქორწინება“, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები საკუთარი ოჯახებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ წყვილთან ოფიციალური ქორწინების გარეშე. მართალია, ასეთი კავშირი არალეგიტიმური იყო, მაგრამ მუშათა კლასისათვის ამორალობის ნიშანს არ ატარებდა, განსხვავებით მაღალი ფენისაგან. XIX საუკუნეში პროლეტარიატი ქმნის საოჯახო ინტიმურ მოდელს და ქორწინებას ფორმალური სახე ეძლევა. ასეთი კავშირის მეშვეობით ინდივიდი ერთდროულად ფლობს სიყვარულსა და ავტონომიას. იგი აერთიანებს ორ შრომისუფლებიან წევრს. ასეთი განმარტება აქვს ქორწინების ამ ახალ სახეს. (ჟეან-კლუდე შანგი; 1996, 68). განსხვავებული ვითარება ბურჟუაზიულ წრეში, სადაც ქალის ძირითად ფუნქციას შეადგენს ის, რომ იყოს „ოჯახის ქალბატონი“. თუ დაბალი წრის საზოგადოებაში ქალი შრომისუნარიანობით ფასობს, სამაგიეროდ მაღალი სოციალური ფენისათვის ქალი დედობრივი გრძნობითაა ამაღლებული. აქ კვლავ ყურადღება ექცევა ფინანსურ მხარეს, ქალის მზითევს, რომლის ბატონ-პატრონიც გათხოვების შემდეგ ხდება მისი მეუღლე-ბურჟუა. აღნიშნული ფაქტს ადასტურებს ონორე დე ბალზაკის რომანი „ეჟენი გრანდე“. ავტორი მასში ხატავს ანგარების ნიადაგზე შექმნილი ოჯახის სურათს. გრანდესა და მისი ცოლის ურთიერთობა პატრონელობის მაგალითს განასახიერებს. ერთადერთი ინ-

ტერესი, რაც ქმარს ოდესმე მისდამი გასჩენია, არის ფული. ქალიც შეგუებულია თავის მონურ მდგომარეობას და მოქმედებს მხოლოდ ქმრის სურვილისა და მინიშნების მიხედვით. მაგრამ დედამისისგან განსხვავებით ეჟენი ეწინააღმდეგება ეპოქის საზოგადოებრივ კანონებს, განსაკუთრებით ანგარებიან ქორწინებასა და ტრადიციულ კონცეფციებს, რომლის მიხედვითაც მამაკაცისათვის აზროვნებისა და ქმედების გზა სამყაროში ყოველმხრივ ხსნილია, ქალისათვის კი დახშულია თავისუფალი ქმედების უნარი და საკუთარ არსებასა და ოჯახში ჩაკეტილი ილტვის გრძნობებით მოპოვებული ბედნიერებისაკენ.

ქალის ოჯახური სფეროდან და ეპოქის შეზღუდულობიდან თავის დაღწევის სურვილს ააშკარავებს ფლობერის საქვეყნოდ აღიარებული რომანი „მადამ ბოვარი“. მისი მთავარი პერსონაჟი — ემა ერთდროულად ამბიციური, ენერგიული და მეოცნებე ქალის განსახიერებაა, რომელიც ოჯახში გამოკეტვას ვერ ეგუება და ისწრაფვის საზოგადოებაში გამოჩენაზე. მისი მიზანია, გათავისუფლდეს სოციალურ კანონებზე დაფუძნებული ოჯახის მარწუხებისა და არასასურველი ქმრის დამოკიდებულებისაგან, გამოჩნდეს საზოგადოებაში და მოიპოვოს ბედნიერება. მას სურს, რომ იყოს წარმატებული და თავისუფალი ქალი. ეჟენისა და ემა ბოვარის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები წარმოადგენდა, საერთოდ, XIX საუკუნის ქალთა მოთხოვნებს, რომელსაც ლიტერატურაში ავტორთა მხრიდან უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ მართებულად შეეფასებინათ ქალის მოთხოვნილებებსა და სოციალური კანონებს შორის არსებული ბარიერი, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. მომდევნო XX საუკუნიდან დაიწყო არსებული ტრადიციების ლიბერალიზაცია და აქტიური მოძრაობა, რომლის მიზანიც იყო ქალთა უფლებების ზრდა სოციალური, საგანმანათლებლო და მორალური თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- მიშელი, 1979** — A. Michel, *Le Feminisme*, Puf, Paris, 1979.
სეგალენი, 2000 — M. Segalen, *Sociologie de la Famille*, Armand Colin, Paris, 2000.
ფრისკეი, 1994 — A. Frickey, *La Femme dans la societe Francaise*, Paris, 1994.
სანგოი, 1996 — J Cloude Sangoi, *La population Francaise au XIX siecle*, Paris, 1996.

NATA KHITARISHVILI

Women's Status in a Family: Gender Aspect (on the material of French Fiction)

Summary

The paper investigates women's rights in a French family from the Middle ages up to the 19th century. The controversy between societal laws and feminine ambition. Social and sexual problems caused by the patriarchal system are discussed.

Sociological data are illustrated on the material of French fiction and the evolution of women's rights are shown.

რუსულან ჯოგაია

ბასსენება და წარმოსახვა

(მ. იურსენარის „აღრიანეს მოზონებების“ მიხედვით)

მოგონება, მემუარი (მხ. რ. *mémoire*), პირველ ყოვლისა, როგორც სახელი მიგვანიშნებს, წარმოადგენს შენიშვნების ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია რაიმე მოვლენის, ანგარიშის ნიშნის შესანარჩუნებლად. მემუარული ჟანრის პირველ ქმნილებებს სწორედ რომ გააჩნიათ ამ პირველი ფუნქციის ანაბეჭდი. ისტორიული, სამეცნიერო, იურიდიული მემუარები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც „განსაკუთრებულ ფაქტთა და მოვლენათა ურთიერთკავშირები ისტორიის სამსახურში“; ამგვარად, განმარტებას იძლევა 1694 წ. გამოცემული ფრანგული აკადემიის ლექსიკონი. XVI საუკუნიდან სიტყვის მხოლოდითი რიცხვი მრავლობითით შეიცვალა და აღნიშნავდა ჟანრს, რომელიც მოიცავს ისტორიას, ავტობიოგრაფიას, ამბავს (*recit*), სადაც პიროვნება აღბეჭდავს იმ ფაქტებს, რომლებსაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ დასამოწმებლად.

პირველი მემუარები მე-15 ს ბოლოს გაჩნდა და სამი საუკუნის განმავლობაში სამეფო კარის მხარდაჭერით სარგებლობდა, შემდგომ კი უფრო დიდი საზოგადოების წინაშე მიაღწია წარმატებას. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ისტორიულ მოვლენათა დამოწმებულ ფაქტს არისტოკრატების, გენერლების, მინისტრების მიერ, რომლებიც ამხელდნენ და ამართლებდნენ თავიანთ ქმედებებს, მას შემდეგ რაც ისინი განსაცდელში ვარდებოდნენ. ამ კატეგორიის შეიძლება მივაკუთვნოთ მადამ დე ლაფაიეტის „სამეფო კარის მემუარები“ და გიზოს „ჩემი დროის ისტორიისათვის გამოსადეგი მემუარები“. შემდგომში მომრავლდა ისეთი მოგონებები, რომლებიც სიკვდილის შემდგომ იწერებოდა. მათ შორის უხვად იყო გასაჭირში ჩავარდნილი დიდგვაროვნების ნაწერები, რომელთაგან წინა პლანზე წამოიწია XVII ს-ში შექმნილმა ლა როშ ფუკოს (1662), რეცის (1765), სენ-სიმონის (1694-1723 გამოცემა 1830) ნაშრომებმა. მას მერე მოგონებებმა

მიიღეს ე.წ. ავტობიოგრაფიის სახე, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსოს „აღსარების“ შემდეგ (1782-89). აღსანიშნავია, აგრეთვე, შატობრიანის „საფლავს მიღმა მოგონებები“ (1848-50). მე-მუარული ჟანრი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და იზიდავდა სახელმწიფო მმართველებს (მაგ.: შარლ დე გოლის „ომის მოგონებები“ 1954-59) ჟურნალისტებს, უბრალო მოქალაქეებსაც კი, რომელთაც სურდათ საკუთარი გამოცდილების აღბეჭდვა. ამ ჟანრის ქმნილებები მრავლად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ: ედმუნდ ვილსონის „ვილსონის საგრაფოს მემუარები“ (1715), ფრედერიკ სულიეს „ემმაკის მემუარები“, დანიელ დეფოს „ერთი მხედრის მემუარები“, (1724), მანულ ანტონიო დე ალმადას „მილიციის სერჟანტის მემუარები“ (18530, სტენდალის „ტურუსტის მემუარები“ (1838), ალესანდრ გიტრის „თაღლითის მემუარები“ (1935) და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველად მემუარების წერას მიმართავდნენ მაღალი წოდებისა და ჩინის ადამიანები, რომლებიც ან თავად წერდნენ, ან კიდევ დაქირავებულ მწერლებს უხმობდნენ, რითაც ისინი თავიანთი ქმედებების გამართლებასა და ლეგიტიმაციას ახდენდნენ. ამის შედეგად მოგონებებმა ისტორიული დოკუმენტის სახეც მიიღო. რაც ისტორიკოსებმა მე-19 ს-ში გამოქვეყნებულ „ძველი რეჟიმის მოგონებათა“ სერიაში ასახეს. და მაინც უნდა ითქვას, რომ ნაწარმოები, რომელიც ავტორის გამოცდილების შედეგად მიღებული განცდებისა და ვნებების საფუძველზე არის შექმნილი, უეჭველად ასახავს სუბიექტურობას, ინდივიდუალურ ხედვასა და აპოლოგიას. თითოეული ჩამოთვლილი მემორალისტი არაჩვეულებრივად ასახავს წარსულს აწმყოში. მონოლოგი, რაც უმეტესად საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებაა, აღსარებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან პიროვნული თვისებები, ნაკლოვანებები, მანკიერი მხარეები, სწორედ რომ აშკარა გამხელით, განდობით ვლინდება.

მარგარეტ იურსენარის „ადრიანეს მემუარები“ წარმოადგენს ერთობ მტკიცე და რთულ ნაწარმოებს, მკითხველმა, რომელიც ეცდება უბრალოდ თვალი გადაავლოს მას და ჩაუწვდომლად აღიქვას, უმჯობესია თავი შეიკავოს მისგან.

ნაწარმოების სიუჟეტი, სტილი მიეკუთვნება სუფთად კლასიკურ, ფრანგულ სტილს. ფიქრები მასში ვითარდება პირველ პირში დასმული ხანგრძლივი მედიტაციის ანალიტიკური ფორმით. ნაწარმოების

იდეა მდგომარეობს — ნილაბი ჩამოხსნას სტანდარტულ აზრთა სისტემას, კომფორტიზმს, რომელიც ასაზრდოებდა იმდროინდელ ხალხთა ურთიერთობას, კომფორტიზმს, გვაჩვენოს ტიტულს ამოფარებული ადამიანის სამაგალითო თვისებები, ვნებები, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის დამახასიათებელი განცდები.

მარგარეტ იურსენარმა ზღვა მასალა მოაგროვა რომის იმპერატორის ადრიანეს შესახებ, გაეცნო უამრავ ლიტერატურულ მასალას, ხელნაწერებს, ქრონიკებსა და ანალებს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ნაწარმოებზე მუშაობა. მაგრამ ცხადი იყო, რომ ყოველივე მისი თვალთახედვის ქვეშ აისახებოდა, საიდანც ფორმად — ფიქცია ჩამოყალიბდა.

ნაწარმოების მემუარული ფორმა, რომანიც თხრობით ჩარჩოში ჯდება, იწყება ეპისტორალური ფორმით „ჩემი ძვირფასო მარკ“ და რომანის პირველივე გვერდიდან მკითხველი მოგონებებში ერთი ფიქციური მიზანსცენით ებმება: სიბერისგან და ავადმყოფობისგან ძალა-გამოცლილი იმპერატორი გადაწყვეტს სახელმწიფო საქმიანობაზე უარი თქვას და ტიბურის ვილაში მყოფი წერს ამბავს თავისი ცხოვრების შესახებ. მარტოოდენ მოცალეობის ჟამი არ განაპირობებს მოგონებების დაწერას. ადრიანეს შემთხვევაში ნამდვილ მიზეზს პირველ ნაწილში ვხვდებით („*nimula, vagula, blandula*“): საზოგადოებიდან გარიყვა და სინანული წარმოადგენს განმსაზღვრელ პირობას ჭეშმარიტების საძიებლად. უნდა ვაღიაროთ, რომ წარსულის მოგონება თავისუფლების ყველაზე ექსპრესული ფორმაა, რომელიც ცოცხლდება გარიყვასთან ერთად. შატობრიანი „საფლავს მიღმა მოგონებებში“ მაგალითისათვის ნაპოლეონს იხმობს: „თუ იგი (ნაპოლეონი) ფეხქვეშ თელავს აწმყოს, წარსული მას ასულდგმულებს... დიდი ნაწილი ჩემი გრძნობებისა სულის სიღრმეში დაივანებს“. („საფლავს მიღმა მემუარები“, ტომი I, გალიმარი 1951).

თავად მარგარეტ იურსენარი იცავს ყველა იმ პირობას, რომელიც სათავეში უდევს მოგონებების წერას და ეს იმ მიზეზით, რათა გვამცნოს, რომ „ადრიანეს მემუარები“ ფიქციად წაკითხვამდე უნდა განვიხილოთ, როგორც მედიტაცია დაწყებული ადრიანეს მეფობის სარწმუნო ამბიდან. ერთ-ერთ ჟურნალში დასმულ შეკითხვაზე ავტორი პასუხობს: „ადრიანე არ გახლავთ მარტოოდენ რომანი, არამედ იგი არის მედიტაცია ან ამბავი (*recit*), რომელიც დგას ისტორიის ზღვარზე... აქვე ისმის კითხვა რეალობასა და ფიქციას შორის კავში-

რებისა, რომელიც უფრო კომპლექსურია, ვიდრე ეს დასაწყისში ჩანს“ (ყურნალი „მიზეზები“ (pretexte) №1 1957). თავად მწერალი აღრიანეს სახელის უკან ქრება, რაც სრულიად უგულებელყოფს მემუარული ჟანრის ფორმის ელემენტარულ ნორმებს, სადაც ავტორი, მთხრობელი და მთავარი გმირი ერთია. აქედან გამომდინარე, რელიურმა ავტორმა შექმნა პირველ პირში მოლაპარაკე ავტორის ფიქცია.

საინტერესოა კრიტიკოსთა შეფასება, როდესაც საქმე ეხება „ადრიანეს მემუარების“ ლიტერატურული ჟანრის დანიშნულებას: „ყალბი მემუარები“ „არასარწმუნო მემუარები“, „ბიოგრაფია“, „ბიოგრაფიული ლირიკა“. ვერც ერთი ამ ეტიკეტთაგანი ვერ მიესადაგა.

ფაქტია, რომ ავტორის ნება მდგომარეობს წარსულის აღდგენასა და ობიექტურ წარმოსახვაში, რომელიც შეიძლება არ ახასიათებდეს მემუარულ ჟანრს, მაგრამ ისტორიული რომანის შემადგენელი ნაწილია. ის, რაც განსაკუთრებულს ხდის იურსენარს არის თვით ხერხი წარმოსახვის აღდგენისა. ის, რის გადმოცემასაც იგი შეეცადა გახლავთ თანაფარდობა მის შინაგან ხმას, ტონს, რითმსა და ადრიანეს შორის. სინამდვილეში, რაც უნდა შორი იყოს მანძილი დროსა და სივრცეში ადრიანესა და მის ბიოგრაფიას შორის, „ადრიანეს მოგონებები“ გამოსახულია თანამედროვე დროში.

მრავალჯერ დასმულ შეკითხვაზე საკუთარ ნაწარმოებში ავტობიოგრაფიის შესახებ, მ. იურსენარმა ერთხელაც უპასუხა ორაზროვანი ფორმულით, რომელიც უფრო მეტად არის ახლოს სინამდვილესთან, ვიდრე ეს „მენიშენების დღიურში“ ჩანს: „არაფერი და ძალიან დიდი“, „ყველგან ვრცელდება და არაფერთან კავშირში“ (ყურნალი Pretexte“.)

„ადრიანეს მემუარების“ პირველწყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ამას თავად მწერალიც ადასტურებს, „ავგუსტის ისტორია“ (l’Histoire Auguste), ნაშრომი, რომელიც მოიცავს 39 იმპერატორის ბიოგრაფიას ადრიანედან მოყოლებული და თარიღდება მე-3 ს-ის ბოლო წლებიდან. სულ ახლახან, განაცხადა ერთმა გერმანელმა ისტორიკოსმა, რომ აქ ლიტერატურულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე: ნაშრომი გამოქვეყნებული უნდა იყოს დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგ უცნობი ავტორის მიერ სხვადასხვა დოკუმენტის საფუძველზე, რაც შეეხება ადრიანეს ამბავს, იგი მემუარებს ეყრდნობა, რომელიც გამოქვეყნდა იმპერატორის მიერ ფლეგონის სახელით.

მარგარეტ იურსენარი ერთნაირი ინტერესით გაეცნო, როგორც

„ავგუსტის ისტორიას“, ასევე დიონ კასიუსის „რომის ისტორიას“, რომელიც ასევე ერთ-ერთი პირველწყაროა რომანის ისტორიული ამბისა. რაც შეეხება „ავგუსტის ისტორიას“, მწერალმა უშუალოდ მიუძღვნა ნაშრომი სათაურით „ისტორიული სახეები ავგუსტის ისტორიაში“. აი, რას წერს იგი მის შესახებ: „ყველა ისტორიიდან, რაც კი კაცობრიობის მეხსიერებაში აღბეჭდილა, რომის ისტორიამ ყველაზე მეტი ფიქრის, ოცნებისა და განსჯის საბაბი მისცა ფილოსოფოსებს, პოეტებსა და მორალისტებს, ეს კი რომელიც ისტორიკოსების დამსახურებაა, რომელთაც მოახერხეს დიდი ძალისხმევით ჩვენამდე მოეტანათ რომის პრესტიჟი... ხოლო რაც შეეხება „ავგუსტის ისტორიას“ — არაჩვეულებრივი ქმნილებაა. იგი იმდენად გიტაცებს და აღვაფრთოვანებს, ვიდრე ამას ისტორიული ნაწარმოები იმსახურებს. ჰუმანურობის საოცარი სურნელი მოდის ამ წიგნიდან (მ. იურსენარი, „ისტორიული სახეები ავგუსტის ისტორიაში“ გალიმარი, 1929, 9-21).

როგორც აღვნიშნეთ, „ადრიანეს მემუარები“ ისტორიისა და ფიქციის ზღვარზე იმყოფება, ამიტომ უხერხული იქნებოდა მისთვის უზუსტობისა და სიცრუის მიკუთვნება. მაგრამ მას შემდეგ რაც ზოგიერთი ავტორი მკვეთრად უპირისპირდება ისტორიას, უგულებელყოფს სამეცნიერო წყაროებს, ისტორიკოსები ამაოდ ცდილობენ სიზუსტის კრიტერიუმების დადგენას. 1984 წ. ინგლისური არქეოლოგი რონალდ სიმი შეუდგა „ადრიანეს მემუარების“ შინაარსისა და მეთოდის მცდარობის დადგენას.

პირველივე წაკითხვიდან ადრიანეს მიერ დაწერილი მოგონებები გარეგნულად იცავს ოფიციალურ ქრონოლოგიურ სწორხაზოვნებას დაწყებული პირველ თავში ასახული ოჯახური გენიალოგიიდან დამთავრებული ბოლოს წინა თავით (Disciplina Augustal). ადრიანეს ამბავი სკრუპულოზურად ასახავს „ავგუსტის ისტორიაში“ (L’Histoire Augusta) მოვლენებს, მაგრამ რაც უფრო ახლოს შევხვდებით მოვლენათა გადმოცემას (თხრობა), იგი მუდმივად ექვემდებარება აღწერას, ხოლო ეს უკანასკნელი პოლიტიკურ მედიტაციას. ზოგადად გავრცელებული აზრით, ამ ჟანრის ნაწარმოებებში ქრონოლოგია და პერიოდიზაცია უპირისპირდება ოფიციალურ ქრონოლოგიას, მაგალითს მოვიყვანთ ბალზაკის „დაკარგული ილუზიებიდან“, სადაც ვოტრენი ლუსიენისადმი მიცემულ ისტორიის გაკვეთილში, ამბობს: „არსებობს ორი ისტორია“, სადაც უტყუარი მოვლენებია ასახული (ბალზაკი, „დაკარგული ილუზიები“, ფოლიო, გალიმარი, 625) მაშასადამე, უპირატესობა უნდა მი-

ვანიჭოთ „ავგუსტის ისტორიას“ (ოფიციალური ისტორია) და შემდეგ „ადრიანეს მემუარებში“ ასახული ისტორიული მოვლენები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოებში თხრობა იწყება მარკ ორელისადმი გაგზავნილი წერილით წარსულ დამთავრებულ დროში (*passee composé*) და ვითარდება წარსულ დაუსრულებელ დროში (*Imparfait*), რასაც მოქმედება დინამიკაში მოჰყავს. როდესაც იმპერატორს სათანადო შეფასებები და დასკვნები გამოაქვს, აწმყო დროს ვაწყდებით: „რთული იყო იმპერატორი ექიმის თანდასწრებით და ამასთან შეინარჩუნო კაცის ღირსება (ადრიანეს მემუარები) ნაწარმოებში კანონზომიერად არის განმარტებული შემოკლება და ლაკონურობა (*concilion*), აგრეთვე, მარტივი წინადადებების ნომინალური წყობა — ქვემდებარე, ზმნა, ზმნიზედა, დამატება, მაგ.: ჯარი ჩქარა დაიძრა ჩრდილოეთის მიმართულებით“. (ადრიანეს მემუარები, 89). ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ თხრობითი სტრატეგიის ნამდვილი პარადიგმა, თუნდაც ყველა მინიმალური შემთხვევის გათვალისწინებით, რადგანაც მათ გადააქვთ მოქმედების აქცენტი მოდალობაზე და შემოჰყავს მთხრობელის აზრი, ასე მაგალითად, როცა ზმნიზედა ან დროის დამატება ფრაზის დასაწყისში დგას. იგი იღებს სიმბოლურ მნიშვნელობას, მეოთხე თავის (*saeculum Aureum*) ერთ-ერთი ნაწილი იწყება ოსირისის წლისთავით ნილოსის ნაპირებთან, სადაც იმყოფებიან ადრიანი და ანტონიუსი; ეს ის დღეა, როცა ანტონიუსმა გადაწყვიტა თავის მოკვლა, მაგრამ ადრიანი არ იხსენებს და მკითხველი იძულებულია შეიტყოს არაპირდაპირ. შემდეგ პარაგრაფში იგი წერს: „წინა საღამოს ლუციუსმა დამპატიჟა ვახშმად ნავზე“. (ადრიანეს მემუარები, 241), პირდაპირი კონტექსტით „წინა“ უკავშირდება დაკრძალვის ცერემონიალს. ეს ხაზგასმა, დროის აღნიშვნა იტვირთება ორმაგი მნიშვნელობით: ლიტერატურული მნიშვნელობით „წინა“ მიეკუთვნება ოსირისისადმი მიძღვნილ ცერემონიალს, მაგრამ იმპლიტაციურად „წინა“ უკავშირდება ანტონიუსის სიკვდილს, რომელიც მთხრობელმა შემოინახა ავტოცენზურისათვის.

რომანში ხშირად ვხვდებით აგრეთვე, ელიფსურ წინადადებებს. ხერხი ძალზედ მარტივია: საქმე ეხება მოვლენათა ჯაჭვის დაჩქარებას, გაქრობას, რომელიც ტრადიციულად ისტორიკოსების ინტერესს წარმოადგენს. თუ მკითხველი ეცდება დაწვრილებითი ინფორმაცია მოიპოვოს ადრიანეს მეფობის დროინდელი ისტორიული ამბების, ომების შესახებ, იმედგაცრუებული დარჩება, მაგრამ რალაცა დოზით

მაინც არის წარმოდგენილი მეორე თავის (*Varius multiplex multiformis*) დასაწყისში, მესამე თავის (*Tellus stabilita*) დასაწყისში და მეხუთე თავის (*Disciplina augusta*) ორ ნაწილში. მაგალითად, სარმატებთან ომი შემოიფარგლება რამდენიმე სიტყვით: იგი გარძელდა 11 თვე და იყო საშინელი (ადრ. მემ. გვ. 80). რაც შეეხება, იუდეველებთან ომის ამსახველ ეპიზოდებს, იგი დანაწევრებულია რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პარაგრაფით, რომლებიც ჩართულნი არიან ნელ და ხანგრძლივ მედიტაციაში რომის იმპერიის ნაკლოვანებების შესახებ: მთხრობელი კი ამგვარ რეზიუმეს აკეთებს: „ამ ოთხწლიანი ომის განმავლობაში ორმოცდაათი ციხესიმაგრე და ასზე მეტი ქალაქი და სოფელი იქნა განადგურებული. მტერმა 600 ათასი ადამიანი დაკარგა, ბრძოლებმა, ანდემიურმა და ეპიდემიურმა სიცხეებმა დაგვაკარგინა თითქმის 90 ათასზე მეტი ადამიანი (ადრ. მემ. გვ. 269). ეს ავბედითი შემოკლებული მონაცემი გამიზნულია თავზარდამცემი ხერხით ნათელი მოჰფინოს საყოველთაო ჭეშმარიტებას, გვიჩვენოს, რომ ისტორია, რაც არ უნდა ვიღონოთ, მაინც მუდმივად განახლებადია, „ქვეყნის განახლება თან სდევს ომის ნამოქმედარს, საჭიროა ყოველთვის განახლება (ადრ. მემ. გვ. 269).

იმ ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც რაიმე ამბავი წინაპირობაა ადრიანეს მედიტაციისათვის, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზოგიერთი ამბავი (*anecdote*) ქმნის ალევორიული ამბისათვის (*rcicit*) ფიგურას, ანუ პარაბოლას. ასე მაგალითად, ადრიანე იხსენებს ტარაგონის მალაროებში ვიზიტს, სადაც მას ერთი მონა უგუნური ჟესტით სიკვდილით დაემუქრა. ამან იმპერატორი აიძულა ლოგიკური დასკვნა გამოეტანა და დაესვა სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: „მალაროში სამუშაოდ მისჯილი ეს ბარბაროსი ჩემთვის გადაიქცა ყველა ბარბაროსისა და ყველა მონის სიმბოლოდ“ (ად. მემ. გვ. 139).

ეს ნაწარმოები, რომელიც ერთდროულად რომანიც არის, ისტორიაც და პოეზიაც, მსოფლიო და ფრანგული კრიტიკის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც ლიტერატურული მოვლენა. რომის იმპერიის სახელოვანი იმპერატორის მოგონებების წარმოსახვით ავტორმა ისტორია „შვინიდან შეექმნა ის, რაც მე-19 საუკუნის არქიტექტორებმა შექმნეს გარედან“. ადრიანე დაუნდობლად აწონ-დაწონეს თავის პირად და პოლიტიკურ მოღვაწეობას და არ უარყოფს, რომ რომი მიუხედავად თავისი სიდიადისა, ერთ დღესაც დაილუბება (განადგურდება),

მაგრამ ბერძნებიდან შთამომავლობით ნაბოძები ჰუმანიზმი და რომანული რეალიზმი მას იძულებულს ხდის იაზროვნოს და იმსახუროს ბოლომდე... „თავს პასუხისმგებლად ვთვლიდი სამყაროს მშვენიერების გამო,“ — ამბობს გმირი, რომლის პრობლემები იგივეა, რაც ყველა დროის ადამიანის.

ლიტერატურა

ლევინი, 2000 — ანრიეტ ლევინი, კომენტარი „მარგარეტ იურსენარის ადრიანეს მოგონებები“, ფოლიო, გალიმარი 2000.
ბალზაკი, 1990 — ბალზაკი, „დაკარგული ილუზიები“, ფოლიო, გალიმარი 1990.
ზოჟო, 1995 — ჟან ზოჟო, „რომანული რელიგია იმპერიის აპოგეის დროს“, პარიზი, ბელ ლეტრ, 1995.
ვიალა, 1992 — ალენ ვიალას „ეპისტორალური ლიტერატურა“, 1992.
პაპანდოპოლუსი, 1988 — კრისტიან პაპანდოპოლუსი, „დროის გამოხატვა მ. იურსენარის ავტობიოგრაფია და რომანულ ნაწარმოებში“ ევროპული საუნივერსიტეტო გამოცემები, ბერნი, პეტერ ლანგი, 1988.
იურსენარი, 1929 — მ. იურსენარი, ისტორიული სახეები ავგუსტას ისტორიაში, გალიმარი, 1929.

RUSUDAN JOBAVA

Recollection and Imagination

(On the material of M. Jussenard's "Adrian's Memoirs")

Summary

The paper discusses the origin and purpose of the genre of memoir, its importance for the life of an individual and the role it plays in the relationship between an individual and society.
 The given issues are examined on the material of M. Jussenard's novel "Adrian's memoirs". The relationship between fiction and reality is particularly stressed.

სარჩევი

ე. აბაიშვილი — მო- და შე- ზმნისწინების ვარიანტები ფშურში 3
 ლ. ავიძბა — შელოცვები აფხაზურ ხალხურ მედიცინაში 8
 ნ. ახვლედიანი — სარეკლამო დისკურსის ლინგვისტიკის ტერმინული თავისებურებანი 18
 ნ. აკობია — პრაგმატული კატეგორიების პრევალირება-ნაკლებობის დადგენა იურიდიულ ტექსტში 25
 თ. არაბული, ლ. გოქსაძე — ორენოვანი ბავშვის შეცდომების ანალიზი სემანტიკურ დონეზე 37
 ა. ასრათოვ-ომარაშვილი — ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ინგილოურ ტოპონიმებში 52
 ა. ბაღიშვილი — არაბული წარმოშობის ლექსიკა მეგრულში 57
 თ. ბერია — ფორმისა და სემანტიკის მიმართებისათვის გვარის ფორმებში 62
 მ. ბერსენაძე — შესაძლებლობის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები ინგლისურსა და ქართულში 71
 თ. გასიტაშვილი — ტერმინ „ბარქაშის“ მნიშვნელობისათვის „რუსულდანიანში“ 75
 რ. გერსამია — სისტემური, განმეორებადი მოქმედების გადმოცემა გილა- ზმნისწინის საშუალებით მეგრულში 80
 ე. გოგალაძე — ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ სპარსულში 86
 მ. გოდუაძე — ერთიანობა II მთლიანობის და განყოფილება II გაცალკევების გამომსახველ ცნებათა სემანტიკური კოდისათვის ქართულში 93
 მ. გუგუნივა — ინტერტექსტუალობა კინემატოგრაფიაში 100

ტ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე — მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელთა აგების თეორიული საფუძვლები	110
ი. დ ი ა კ ო ნ ი ძ ე — ხალხური და „ცრუ ხალხური“	114
ი. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი — „სნრა“-ს ჟანრის განმსაზღვრელი ერთი სტილისტური თავისებურების შესახებ „ათას ერთ ღამეში“	118
რ. თ უ თ ბ ე რ ი ძ ე — ერთი უარყოფითი ბაზისური ემოციის — Fear /შიში — სახელდების საკითხი ინგლისურ და ქართულ ენებში	129
თ. თ უ რ ქ ი ა — „ცხოვრება“ სიტყვის სემანტიკური ველის შესახებ	140
რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — სვანური საკირე	148
მ. კ ა ჭ კ ა ჭ ი შ ვ ი ლ ი — სოციოლოგიურ საკითხთა მნიშვნე- ლობა ორენოვნების კვლევისას	156
ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, ლ. ჩ ხ ა ი ძ ე — ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონული ლექსიკონის დახვეწისა და სრულყოფისათვის (ძირითადი ცვლილებები, რითაც ელექტრონული ლექსიკონი განსხვავდება ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონისაგან)	163
თ. კ უ რ ტ ა ნ ი ძ ე — ქართული ენის გაკვეთილი პირველ კლასში არაქართულ სკოლაში	170
მ. კ ო ბ ე რ ი ძ ე — ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისა- თვის ფრონეს ხეობის ქართულში	175
მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა — „ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ქართულში (სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით)	179
თ. ლ ე ყ ა ვ ა — მყოფადის წარმოების საკითხი „სიტყვიერი მოქმედების“ აღმნიშვნელი ენიანი ვნებიების ხმაბაძვით ფორმებთან	194
ი. ლ ო ბ ჯ ა ნ ი ძ ე — თეატრალური ტერმინ-დერივატები ქართულში	201
თ. ლ ო მ თ ა ძ ე — სოციალური დიალექტების ლინგვისტიკური პრობლემეტიკა	216
მ. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — III სერიის მწკრივთა წარმოება მეგრულში ა) მოქმედებითი გვარი	220
ნ. მ ა რ კ ო ზ ი ა — სახელმწიფო ენა და მისი ფუნქციონირების	

სფეროები 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით	226
მ. მ ა რ ლ ა ნ ი ა — მიმართვის ფორმები ბრიტანულ საგაზეთო სათაურებში მიმართვის ფორმები ბრიტანულ საგაზეთო სათაურებში	235
თ. ნ ი შ ა რ ა ძ ე — მეტაფორების კლასიფიკაცია მათი გამოყე- ნების სიხშირის მიხედვით	239
მ. ს ი ო რ ი ძ ე — კონცეპტების — „ქარი“, „ცხელი“, „მიწა“ — კულტურის სიმბოლარიუმი ფრანგულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში	243
ი. ტ უ რ ა შ ვ ი ლ ი — პირის ნიშანთა ხმარების თავისებუ- რებანი ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნებში საშუალო ქართულის ძეგლთა ენის მიხედვით	249
ნ. უ რ თ ა შ ვ ი ლ ი — სიტყვის წარმოთქმასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულ საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურაში	255
თ. ფ ე ტ ე ლ ა ვ ა — ტექსტის გრამატიკის განვითარების ტენდენციები	259
ი. ქ ა ზ ე მ ი — შენიშვნები სპარსულ-არაბული წარმომავლო- ბის ძვირფასი ქვების სახელების შესახებ „ზააქიანი“	271
ს. ყ ი ფ ი ა ნ ი — ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველი ეპისტემური მოდალობა ინგლისურსა და ქართულში	278
ი. შ ა დ ლ უ რ ი — ფლექსიური კატეგორიები აფხაზური და ქართული ზმნის მწკრივებში	291
რ. შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი - ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი — ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა კომუნიკაციური ფუნქ- ციისათვის ქართულ ზეპირ დისკურსში	300
ნ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე — სტილისტური „შეცდომები“ თანამედროვე გერმანულ ენაში	306
მ. შ ე ლ ი ა — ფსიქოლინგვისტური კვლევის პროდუქტულობა სიტყვის ანალიზის პროცესში	313
ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა — სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში	320
ლ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ატრიბუტული და პრედიკატული ტიპის შედარება (გიორგი ლეონიძის შემოქმედების მიხედვით)	342
ნ. ც ე რ ც ვ ა ძ ე — იტალიური ენის სწავლებისას კულტურათა	

მორის ლინგვისტიკური და ექსტრალინგვისტიკური განსხვავებათა თავისებურებანი	351
მ. ცერცვაძე, ი. რუსაძე — სხვათა სიტყვის ნაწილაკები რუსულ და ქართულ ენაში	364
ნ. ციხიშვილი — უნიშნო და -ი სუფიქსიანი წყვეტილი საშუალო ქართულში	368
ც. ძაძამია — ფერ- ძირი ქართველურ ენებში	380
ნ. წიკლაური — უცხო წარმოშობის ლექსიკა თანამედროვე ქართულ პრესაში	387
ი. ხაჩალია — ინგლისური ზმნა-პრედიკატის კომუნიკაციურ-სემანტიკური ორიენტაცია შეგრძნების გამომხატველი ზმნების სემანტიკური ველის მიხედვით	393
ნ. ხითაიშვილი — „ქალის სტატუსი ოჯახში: გენდერული ასპექტი (ფრანგული მხატვრული პროზაული ნაწარმოების მიხედვით)“	402
რ. ჯობავა — გახსენება და წარმოსახვა (მ. იურსენარის „ადრიანეს მოგონებების“ მიხედვით)	409

Contents

E. A b a i s h v i l i — The Variants of the Preverbs mo and še in Pshav	7
L. A v i d z b a — Incantations in Abkhazian Folk Medicine	17
N. A k v l e d i a n i — Linguostylistic Peculiarities of Advertisement Discourse	24
N. A k o b i a — On Stating Prevalence or Lack of Pragmatic Categories in Juridical Texts	36
T. A r a b u l i , L. G o k s a d z e — Error Analysis of the Speech of a Bilingual Child on the Semantic Level	51
A. A s r a t o v - O m a r a s h v i l i — Main Phonetic Phenomena in Ingilooan Toponyms	56
A. B a g h i s h v i l i — Lexemes of Arabic Origin in Megrelian	61
T. B e r i a — On the Relationship between the Form and Semantics in the Voice Form	70
M. B e r s e n a d z e — Grammatical and Semantic Means of Expressing Ability in English and Georgian	74
T. G a s i t a s h v i l i — On the Meaning of the Term barkaš in "Rusudaniani"	79
R. G e r s a m i a — "Ganzi" (treasure) - Old Georgian Juridical Term	85
E. G o g a l a d z e — On Phatic Communication and Speech Acts in Persian	92
M. G o d u a d z e — On the Semantic Code of the Notions Expressing Unity//Wholeness and Division // Separation in Georgian	99
M. G u g u n a v a — Intertextuality in Cinematography	109
T. G u r g e n i d z e — Theoretical Basis for Building the Plural of the First and Second Person Pronouns	113
I. D i a k o n i d z e — Folklore and Fakelore	118
I. Z u r a b i s h v i l i — A stylistic peculiarity determining the genre of sira in the Thousand and One Nights	128
R. T u t b e r i d z e — Nomination of One Negative Basic Emotion	

Fear / šiši in English and Georgian	139
T. Turki a — On the Semantic Field of the Word cxovreba (Life)	147
R. Ioseli ani — The Svan “Sakire”	155
M. Kachkachi shvili — Importance of Social Issues for the Investigation of Bilingualism	162
Ts. Kvantali ani, L. Chkhaidze — On the Perfection of the Electronic Dictionary of Georgian Verb Stems (Main Alterations that made Electronic Dictionary Different from the Dictionary of Georgian Verbs Stems)	168
T. Kurtanidze — Georgian Lessons in the Fist Form of a Non-Georgian School	174
M. Kobridze — On the Function and Form of some Adverbs in the Kartlian Dialect Spoken in the Prone Valley	178
M. Labartkava — Lexical Units Denoting Lowlands in Georgian (in reference to the other Kartvelian languages)	193
T. Lezhava — On the Formation of the Future of the Passive Forms of the Onomatopoeic Talk Domain Verbs with e	200
I. Lobjanidze — Derivative Theatrical Terms in Georgian	215
T. Lomtatz e — Linguistic Problems of Sociolects	219
M. Margvelashvili — Formation of the Chunks of Series III in Megrelian a. Active Voice	225
N. Markozia — State Language and the Spheres of its Functioning According to the Press of the 80s	234
M. Marghania — The Forms of Address in British Newspaper Headlines	238
T. Nizaradze — Classification of Metaphors According to the Frequency of their Usage	242
M. Sioridze — The Cultural Symbolism of the Concepts “Wind”, “Earth”, “Fire” in French and Italian Phraseological Units	248
I. Turashvili — Peculiarities of Person marker Usage In the Passive Forms of Nounal Verbs (on the material of Medieval Georgian)	254
N. Urtishvili — Lexical Units Denoting Word Acticulation in Old Georgian Religious and Secular Literature	258

T. Petelava — Tendencies in the Development of Text Grammar	270
I. Kazim — Comments on the Originally Persian and Arabic names for Precious Stones in "Zaakiani"	276
S. Kipiani — Epistemic Modality Expressing Necessity in English and Georgian Languages	290
I. Shaduri — Flecional Categories in the Chunks of Abkhazian and Georgian Verbs	299
R. Shamelashvili-Zekalashvili — The Communicative Function of Verbal and Non-verbal Means in Georgian Spoken Discourse	305
N. Sharashenidze — Stylistic "Errors" in Present day German	312
M. Shelia — Productivity of Psycholinguistic Investigation in the Process of Word Analysis	319
E. Shengelia — Basic Megrelian-Laz Vocabulary Connected with Clothing	341
L. Chikovani — Attributive and Predicative Types of Simile in Leonidze's Works	350
N. Tsersvadze — Extralinguistic and Linguistic Culture Specific Peculiarities when Teaching Italian	363
M. Tsersvadze, I. Rusadze —Reported Construction Particles in Russian and Georgian	367
N. Tsikhishvili — The Aorist with the Suffix i and with no Marker in Medieval Georgian	379
Ts. Dzadzamia — The Root "Per" (meaning "colour") in the Kartvelian Languages	386
N. Tsiklauri — Foreignisms in Modern Georgian Press	392
I. Khazhalia — Communicative-Semantic Orientation of the English Verb-Predicate in the Semantic Fied of Verbs Expressing Feeling	401
N. Khitarishvili — Women's Status in a Family: Gender Aspect (on the material of French Fiction)	408
R. Jobava — Recollection and Imagination (On the material of M. Jussenard's "Adrian's Memoirs")	416